ანრი ბეილიდან სტენდალამდე

BIBLIONTEKA.COM

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ანრი ბეილი, რომელიც უფრო სტენდალის ფსევდონიმითაა ცნობილი, დღემდე რაღაც იდუმალებით მოსილ პიროვნებად რჩება ლიტერატურის ისტორიაში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცხოვრება და შემოქმედება თითქოს მიკროსკოპულადაა შესწავლილი, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი მაინც გამოცანად ქცეულა. არც იმის ნიშანი ჩანს, რომ ახლო მომავალში გაირკვევა რაიმე. ძნელია და იმიტომ. ეს თავსატეხი თვითონ სტენდალმა გაუჩინა მკითხველებს. იგი გულმოდგინედ ნიღბავდა თავის პიროვნებას; არ უნდოდა საკუთარი სახით წარმდგარიყო საზოგადოების წინაშე. თითქოს ეშინოდა კიდეც ამისი და ზოგიერთი თანამედროვე რომანის გმირის მსგავსად აცხადებდა, მინდა სხვა ვიყოო. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ შტეფან ცვაიგის შენიშვნის მიხედვით, სტენდალი «მხოლოდ სხვის ნიღაბსა და სამოსში გრძნობდა თავს არხეინად». თვითონ მწერალიც აღიარებდა, ყველაზე სიამოვნებით მე ვიკეთებდი ნიღბებს და ვიცვლიდი სახელებსო. სპეციალისტებმა გამოარკვიეს, რომ ანრი ბეილს ორასამდე ნიღაბი (ფსევდონიმი) აქვს გამოცვლილი. ერთი მწერლის ორასი ფსევდონიმი, მართლაც, უჩვეულო ამბავია, თანაც საყურადღებო, რადგან ამ მოგონილ სახელებში თვითონ ანრი ბეილი ისეა გაფანტული, რომ სხვებს კი არა, თავადაც უჭირს ყველა მათგანის ერთ პიროვნებაში თავმოყრა. ამიტომაც ამბობს, რა ვიყავი? რა ვარ? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა გამიძნელდებაო.

დალოცვილი! თვითონ თუ გაუძნელდება ეს, სხვებმა რა უნდა ქნან?! მით უმეტეს, რომ ამ ნიღბებით თამაშის დროს იგი არავითარი პრინციპით არ იზღუდავს თავს. ხან ვითომ ბარონია, ხან კავალერიის ოფიცერი, უბრალო კომერსანტი, ვიღაც დომენიკი, სეზარ ბომბე ან სხვა ვინმე. ზოგჯერ ამა თუ იმ ცნობილი მწერლის გვარსაც ამოეფარება, ვთქვათ, ლამარტინს ან ჟანენს. თუ მოისურვებს, არც საეჭვო რეპუტაციის «კეთილშობილი ვიგინდარების» ნიღბებზე იტყვის უარს. ერთი სიტყვით, სულ იმას ცდილობს, საზოგადოების წინაშე ვინმე სხვა იყოს და არა _ თვითონ. ალბათ, ამით ის უნდა, რომ სხვა დაინახოს და განიცადოს, როგორც საკუთარი მე-ს ნაწილი. ამის მიზეზსაც თვითონ განმარტავს: «მე ვცდილობდი დავნათესავებოდი ვინმე სხვის ხასიათს, მექცია ის ჩემად და ამით მიმეღწია წარმატებისთვის...»

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ლიტერატურათმცოდნეებს უძნელდებათ დაადგინონ სტენდალის შემოქმედებაში სად სხვაა და სად თვითონ, მით უმეტეს, რომ ის «თვითონ» და ის «სხვაც» ერთ პიროვნებაშია თავმოყრილი.

შინაგანი გაორების თუ, როგორც ახლა ამბობენ, «გაუცხოების» ამგვარი ფაქტები ადრეც იყო ცნობილი ლიტერატურაში. შექსპირის ჰამლეტზე რომ არაფერი ვთქვათ, ჯერ კიდევ გოეთე ანსხვავებდა ერთმანეთისაგან «თავის თვითონს» (siener Selbst) და «სხვა თვითონს» (andere Selbst). უფრო გვიან რაინერ მარია რილკე ამ ორ «თვითონს» თავის მე-ში აერთიანებდა და ამბობდა _ «ჩემი ორივეო» (meine Beide), თანაც ისე იყო დარწმუნებული ამ ორის ერთიანობაში, რომ თავისივე «სხვა თვითონს» ეკითხებოდა, ჩვენ ორთაგან რომელი ხარ ახლა შენო.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ სტენდალის რომანებში იშვიათია ისეთი პერსონაჟი, რომლის ხასიათის გასარკვევად ასეთივე კითხვის დასმა არ იყოს საჭირო. თვითონ სტენდალიც ხომ ასეთია. იგი ჯერ ვინმეს ნიღაბს მოირგებს, ე. ი. «ვიღაც სხვის ხასიათს დაენათესავება», თავის თვითონად აქცევს, მერე კი ისე გააბამს მასთან საუბარს, თითქოს ის «სხვაც» ანუ «მისი მეორეც» თვითონ არ იყოს!

სტენდალის შემდეგ პიროვნების ამგვარი შინაგანი გაუცხოება ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ლიტერატურაში. დოსტოევსკის კარამაზოვი ისე ესაუბრება თავის «სხვა თვითონს», როგორც თომას მანის ადრიან ლევერკიუნი მისსავე «შემაძრწუნებლად მეორეს» (entsezlich Andere). სტენდალის გმირებიც ამგვარი პროტოგონისტული ძალების შინაგან ერთიანობას ანსახიერებენ. ესეც ართულებს ლიტერატურათმცოდნეთა ამოცანას მისი გმირების ხასიათის შესწავლის დროს. კიდევ უფრო მეტი სიძნელეები ხვდება მათ, როცა თვითონ მწერლის მიერ განსაზღვრული თარიღებისა და ამა თუ იმ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოთქმული შეხედულებების სისწორეს ამოწმებენ. აქ, როგორც იტყვიან, სტენდალს ორ ნაბიჯზე ვერ ენდობა კაცი. იგი ისე ოსტატურად აბნევს მკითხველს, რომ, რაც არ უნდა ეცადო, სულ ერთია, სიმართლეს მაინც ვერ დაადგენ, ვერც შესავალ კარს უპოვი მის მიერ გულმოდგინედ ჩასაიდუმლოებულ ან სულაც ფალსიფიცირებულ ამბავს, თუ, რა თქმა უნდა, ხანგრძლივი ძიებისა და უამრავი ფაქტის შეჯერების გზით არ გაარჩევ, სადაა სიცრუე და სად სიმართლე. ეს ეხება როგორც წვრილმან, ისე უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებსაც. ასე მაგალითად, «პარმის სავანის» ავტორისეულ წინასიტყვაობაში წერია, ეს რომანი მე 1830 წელს დავწერე პარიზიდან სამასი ლიეს დაშორებითო. მკითხველი თითქოს უნდა ენდოს ავტორის ამგვარ განცხადებას,

სინამდვილეში კი არაფერი ამის მსგავსი. მკვლევარებმა მოახერხეს ზუსტად დაედგინათ, რომ «პარმის სავანე» დაწერილია არა 1830, არამედ 1839 წელს და ისიც სამასი ლიეს დაშორებით კი არა, - პარიზის შუაგულში. სხვა მნიშვნელოვანი თარიღებიც ასეა არეული. მისამართებიც... ვთქვათ, ანრი ბეილი ვინმე ნაცნობს წერს წერილს გრენობლიდან, იმას კი აცნობებს, თითქოს ბეზანსონიდან უგზავნიდეს ბარათს. მერე ირკვევა, რომ ბეზანსონში იგი საერთოდ არ ყოფილა არასოდეს. საქმე ის არის, რომ ამგვარ სიცრუესაც თავისი ლიტერატურული ასპექტი აქვს. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მას შემდეგ, რაც სტენდალმა «წითელი და შავის» თხრობა დაამთავრა და უკანასკნელი წერტილი დასვა, მაინც საჭიროდ ჩათვალა ერთი აბზაცი კიდევ მიეწერა, სადაც აღიარა:

«რათა თავიდან აეცილებინა კერძო ცხოვრებაში ხელების ფათური, ავტორმა მოიგონა პატარა ქალაქი ვერიერი, ხოლო როცა მას ეპისკოპოსი, სასამართლო, ნაფიც მსაჯულთა კოლეგია დასჭირდა, ყოველივე ეს ბეზანსონში მოათავსა, სადაც ის არასოდეს არ ყოფილა...»

ამ სიტყვებით მთავრდება «წითელი და შავი». ასეა ყოველ ფეხის ნაბიჯზე. იქ, სადაც უბრალო სიმართლის თქმაა საჭირო, ბეილი ფაქტების რაღაც საოცარ ფალსიფიკაციას მიმართავს, რასაც სინამდვილედ ასაღებს. ერთხელ მისი რომელიღაც მეგობარი ისე გააცეცხლა ამან, რომ პირდაპირ მიახალა, ეს უსირცხვილო ტყუილიაო. მართალი ბრძანდებითო, _ მიუგო მშვიდად სტენდალმა. ან რატომ უნდა აღელვებულიყო ამ უტიფრობაზე, როცა «სიცრუის ხელოვნების» დაუფლება მას მომავალი სამწერლო მოღვაწეობის ერთ აუცლებელ პირობად მიაჩნდა. წერდა კიდეც, სხვა ხელოვნებასთან ერთად მწერალმა სიცრუის ხელოვნებაც უნდა ისწავლოსო. ამიტომაც ცრუობდა მთელი სიცოცხლის მანძილზე. დამახასიათებელია, რომ არც სიკვდილის პირას მდგომმა უღალატა თავის ამ პრინციპს. ანდერძის მიხედვით მის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა უნდა გაეკეთებინათ: «არიგო ბეილე. მილანელი. ვცხოვრობდი, ვწერდი, მიყვარდა». როგორც ცნობილია, სტენდალი ცხოვრებას ყოველთვის მაღლა აყენებდა მწერლობაზე. ამიტომაც ჯერ ვცხოვრობდიო, დაწერა, შემდეგ კი: «ვწერდი». ვინც ეს ანდერძი შეასრულა, ამ სიტყვებს თვითნებურად შეუცვალა ადგილი, ვითომ მთავარი მისთვის მწერლობააო. ასეა თუ ისე, საფლავის ქვის წარწერა მაინც ფალსიფიცირებულია თვით სტენდალის მიერ. მწერლის ამ უკანასკნელი სიცრუის შესახებ ცვაიგი წერს, რომ მან «სიკვდილის შემდეგაც არ ისურვა ნიღბის მოხსნა». ვინ იცის, რატომ! იქნებ სიცრუე მიაჩნდა სიმართლის უფრო

მკვეთრად გამოჩენის საშუალებად, ისევე როგორც ლ. ტოლსტოის, რომელიც წერდა ბოროტების აუცილებლობაზე სიკეთის უფრო ნათლად გამოსაჩენად.

სხვათა შორის, ეტიუდში სტენდალის შესახებ ანატოლ ფრანსი სპეციალურად შეეხო ამ საკითხს. მისი აზრით, «იგი ყოველთვის სიმართლეს ამბობს, მაშინაც კი, როცა ცრუობს». ფრანსს მიაჩნია, რომ «ცხოვრებაში სიცრუე აუცილებელია, რადგან ამის გარეშე არც ხელოვნება იქნება, არც სილამაზე და არც სიყვარული». ფრანსი წერს: «როცა იგი ცრუობს, მაშინაც კი სიმართლისმოყვარედ რჩება...»

ასეა თუ ისე, სულხან-საბა ორბელიანის ქვეყანაში, სადაც ჭეშმარიტად გენიალური «სიბრძნე-სიცრუისა» შეიქმნა, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს არც სტენდალის მიმართ, რომელსაც მწერლობა «დიდი სიცრუისა და დიდი სიმართლის ხელოვნებად» მიაჩნდა. ამიტომ უყვარდა როგორც «თავხედური სიცრუის», ისე «თავხედური სიმართლის» პირდაპირ თქმაო, _ წერს ცვაიგი.

როგორც ჩანს, ყოველივე ეს სტენდალს მართლაც ნამდვილი, შეუფერავი, თუნდაც შემაძრწუნებელი სიმართლის გამოსახატავად უნდოდა. «სიცრუისა» და მისტიფიკაციის რა ხერხისთვისაც არ უნდა მიემართა, მაინც სიმართლე იყო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უპირველესი დევიზი. ცვაიგმა ეს რომ გაითვალისწინა, სწორედ ამიტომ უწოდა თავის ესსეს სტენდალის შესახებ «სიცრუისა და სიმართლის მოყვარეობა». ისიც დამახასიათებელია, რომ ეს ესსე იწყება სიტყვებით: «ცოტა ვინმეს თუ უცრუია იმდენი და მიუმართავს სამყაროს იმდენნაირი მისტიფიკაციისათვის, როგორც სტენდალს, მაგრამ ასევე ცოტა ვინმეს თუ უთქვამს უფრო სრული და ღრმა სიმართლე». უნდა ითქვას, რომ ეს არის სტენდალის შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი, რამაც განაპირობა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თავისებურება, სახელდობრ, სიცრუისა და სიმართლის ურთიერთშერწყმა, რასაც თომას მანი უფრო აკადემიურად «მოგონილისა და ნამდვილის ერთიანობას» უწოდებს. ამ ერთიანობის მოდუსი კი, უწინარეს ყოვლისა, სიმართლეა, ჭეშმარიტება. ამიტომ არც ისაა შემთხვევითი, რომ სტენდალმა თავისი შემოქმედების უმთავრეს ლოზუნგად დანტონის ცნობილი სიტყვები აირჩია: «სიმართლე, მკაცრი სიმართლე!» ამ «მკაცრი სიმართლის» წინაშე იგი არც სხვას ინდობს და არც საკუთარ თავს. მას შეუძლია სრულიად აშკარად გამოხატოს თავისი ისეთი უინტიმურესი გრძნობები და მიდრეკილებები, რის გამჟღავნებაც ჩვეულებრივ სიწითლეს გვრის ადამიანს. ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში («ანრი ბრუილარის ცხოვრება») ბეილი ე. წ. «ოიდიპოსის კომპლექსსაც» ამჟღავნებს. თურმე ამის შედეგი იყო ბავშვობიდანვე უსაზღვრო სიყვარული

დედის და ასევე უსაზღვრო სიძულვილი მამის მიმართ. ამგვარი «ინტიმური საიდუმლოების» სააშკარაოზე გამოტანა თვით ყველაზე უტიფარ ცინიკოსსაც შეაძრწუნებდა. ბეილთან კი არავითარი თავშეკავება, მორიდება, არა; მხოლოდ გულახდილობა, პირდაპირობა, ე. ი. ისევ ის მკაცრი და უკომპრომისო სიმართლე! როგორც ჩანს, ამის მიზეზით მამის სიკვდილი ისე გაუხარდა, რომ სხვათა წინაშეც ვერ მოახერხა სინანულის გარეგნული გამოხატვა მაინც. ის კი არა, არც ეს გრძნობა დაუმალავს და პირდაპირ აღიარებს, მამის სიკვდილი რომ შევიტყვე, მთელი თვე ვცდილობდი სინანულის გრძნობა გამომეწვია ჩემში, მაგრამ ვერ შევძელიო. ასეთი რამ მხოლოდ თანამედროვე ბურჟუაზიული მწერლის ზოგიერთ რომანში თუ შეგვხვდება, ვთქვათ, ალბერ კამიუს «უცხოში», სადაც ახალგაზრდა მერსომ ვერაფრით ვერ განიცადა დედის გარდაცვალება. სტენდალი ჯერ კიდევ მაშინ აშიშვლებდა ქვენა გრძნობებს და განგებაც ამუქებდა ფერებს, რათა ისედაც შემაძრწუნებელი ამბავი უფრო შთამბეჭდავი გამოსულიყო. გავიხსენოთ სიკვდილმისჯილ ჟიულიენ სორელის («წითელი და შავი») ფიქრები ციხეში. ჟიულიენს არ ესიამოვნა, როცა მამა ესტუმრა საკანში გამოსამშვიდობებლად. ეზიზღებოდა მამა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეშორებინა თავიდან. არც უსიამოვნო ლაპარაკის გაბმა უნდოდა მასთან და...

«_ მე ფული მაქვს დაგროვებული! _ წამოიძახა მან უცებ. ამ გენიოსურმა სიტყვებმა შეცვალა მოხუცის სახეც და ჟიულიენის პოზიციაც.

_ როგორ უნდა განვარიგო? _ იკითხა ჟიულიენმა უფრო წყნარად.»

ჟიულიენის მამას უნდოდა ხელიდან არ გაეშვა ფული და ესიამოვნა კიდეც, შვილმა რომ გამოუცხადა, ათას-ათას ფრანკს ჩემს ძმებს მივცემ, დანარჩენს კი თქვენ დაგიტოვებთო.

«_ საუცხოოა, _ უპასუხა მოხუცმა, დანარჩენი მე სამართლით მერგება. მაგრამ რადგან ღმერთმა მოწყალება გამოიჩინა და გული მოგილბოთ, თქვენი ვალებიც უნდა გადაიხადოთ, თუ გსურთ ისე მოკვდეთ, როგორც კეთილ ქრისტიანს შეეფერება. რჩება კიდევ ხარჯები, რომელიც თქვენი გამოკვებისა და აღზრდისათვის გავიღე და რომელზედაც თქვენ არ ფიქრობთ...»

ეს ამაზრზენი ანგარიშიანობაა შვილთან, რომელსაც მეორე დღეს გილიოტინით უნდა მოჰკვეთონ თავი!..

«აი მამის სიყვარული! _ ჩაილაპარაკა რამდენჯერმე ჟიულიენმა სევდიანად, როცა მარტო დარჩა». შემდეგ კი ისევ ფიქრს მისცა თავი:

«იმის შიშით, ფული არ დამაკლდესო, სიძუნწის კარნახით, ის ნუგეშს პოულობს სამას თუ ოთხას ლუიდორში, მე რომ შემიძლია დავუტოვო. ერთ მშვენიერ კვირა დღეს, სადილის შემდეგ, ის თავის ოქროს აჩვენებს ვერიერის შურიან მოქალაქეებს. ვინ არის თქვენს შორის ისეთი, ჰკითხავს მათ თვალთა გამომეტყველებით, ვინც შვილს სიამოვნებით გილიოტინაზე არ გაისტუმრებდა, თუ ასეთ საფასურს მიიღებდა?!»

ასე აშიშვლებდა სტენდალი ფულზე დახარბებულ ადამიანებს, რითაც თანამედროვეთა აღშფოთებას იწვევდა, ზოგჯერ გაბოროტებასაც. შეიძლება ეს გასაგებიც იყოს, რადგან კლასიცისტური პრესიოზული სტილისა და რომანტიკოსების ცისფერი ოცნებების თუ მწერლობის მოყვარული ქალბატონების სანტიმენტალური რომანების შემდეგ ასეთი «ბანჯგვლიანი სიმართლე» რაღაც ახალი და მოულოდნელია, თანაც შემაშფოთებელი იყო იმ დროის რაფინირებული ლიტერატურული გემოვნებისათვის. მერე ამას ბოდლერის «ბოროტების ყვავილები» მოჰყვა. ჩვენს საუკუნეში კი, აბა, ადამიანისა და მისი ქვეცნობიერი სფეროს ბნელი მხარეების ცინიკური გამოსახვით ვის გააკვირვებ!

ამით ის მინდა ვთქვა, რომ სტენდალმა მთელი საუკუნით გაუსწრო თავის თანამედროვეებს. ამიტომაც უწოდეს მას «მომავლის მწერალი». თვითონაც დარწმუნებული იყო ამაში. ჯერ კიდევ 1801 წელს წერდა 18 წლის ბეილი, მე დაახლოებით 1880 წლიდან გავითქვამQ სახელსო. ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. სწორედ 1880 წელს, როცა პარიზში ახალი მაგისტრალები გაჰყავდათ და მშენებლები მონმარტრის სასაფლაოსაც მიადგნენ, გაუკვირდათ, ვინ უნდა ყოფილიყო ეს მილანელი არიგო ბეილე. იტალიელი ფრანგების სასაფლაოზე! მაშინ არავინ იცოდა, რომ ამ ცრუწარწერიან საფლავის ლოდის ქვეშ ორმოცი წლის წინ გარდაცვლილი და თითქმის ყველასაგან მივიწყებული იწვა ერის დიდება.

* * *

ამბობენ, გენიოსები არ იკარგებიანო. თუ ასეა, ისიც ცხადია, რომ არც მათი შედევრები ეძლევა სამუდამო დავიწყებას. დრო რომ გაივლის, ვიღაც მაძიებელი წააწყდება მას ბიბლიოთეკის დამტვერილ თაროებზე ან არქივებში და ხელახლა გამოიტანს მზის სინათლეზე. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ეს «მეორედ დაბადებული მწერალი» ჩვენს თანამედროვეობას უფრო ეხმაურება, ვიდრე იმ ეპოქას, როცა მას უხდებოდა გულგრილობისა და გაუგებრობის სფეროში ცხოვრება. 1880 წელს სტენდალიც

ასე ხელახლა აღმოაჩინეს საფრანგეთში. მისტიფიკაციის ბურუსიც ნელ-ნელა გაიფანტა. ჯერ იყო და გრენობლის ბიბლიოთეკაში გახსნეს მწერლის ხელნაწერებით სავსე ხის უზარმაზარი ყუთები. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, სტენდალმა თვითონ გადასცა თავისი ხელნაწერები გრენობლის ბიბლიოთეკას. თანამედროვეების ცნობით, ეს მასალები სამოციოდ ტომს შეადგენდა. მაშინვე დაიწყეს ამ ხელნაწერების გარჩევა და დამუშავება. ამას მოჰყვა ბეილის მიერ ადრე გამოცემულ ნაწერებთან ერთად ახალი, მანამ უცნობი ნაწარმოებების გამოქვეყნება, რამაც, უნდა ითქვას, მკითხველთა ფართო საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია.

სტენდალის სხვა წინასწარმეტყველებანიც ასევე ახდა: მე ათას ცხრაასი წლიდან გამიგებენო, რომ წერდა, ან ასე: «ჩემს ნაწარმოებებს 1935 წელს წაიკითხავენ».

განა ასე არ მოხდა? თუ მის სიცოცხლეში გამოცემული ნაწარმოებები რამდენიმე ათეული ეგზემპლარი ძლივს საღდებოდა, ახლა სტენდალის ნაწარმოებებს მილიონობით მკითხველი ჰყავს მსოფლიოს ყველა კუთხეში...

მართალია, თვითონ სტენდალი ვერ მოესწრო მისი სახელის ამგვარ დიდებას, მაგრამ იმ დროის ყველაზე დიდმა მწერლებმა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე სტენდალი თავის ცნობილ რომანებს გამოაქვეყნებდა, შეამჩნიეს თანამემამულეთა მიერ უსამართლოდ უგულებელყოფილი ფრანგი მწერლის, ანრი ბეილის (სტენდალის) «გასაოცარი ნიჭი და წერის გაბედული სტილი». ახლა შეიძლება მართლაც გაოცება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ სტენდალის პატარა წიგნს _ «რომი, ნეაპოლი, ფლორენცია» გაეცნო და გულთბილად გამოეხმაურა უკვე ღრმად მოხუცებული გოეთე. ეს მით უფრო საოცარია, რომ სტენდალის ეს ნაწარმოები ფაქტიურად უცხოელი ტურისტებისთვის დაწერილი ცნობარია იტალიის ამ სამი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა შესახებ. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ წიგნს ანრი ბეილმა პირველად მოაწერა თავისი ყველაზე ცნობილი ფსევდონიმი, თანაც მისთვის ჩვეული პომპეზურობით: «ბარონი ანრი სტენდალი, კავალერიის ოფიცერი». გოეთეს თურმე ისე მოეწონა ეს წიგნი, რომ ცელტერს მისწერა: «ეს არის დეტალები იშვიათი წიგნიდან, რაც შენ აუცილებლად უნდა იშოვო. სახელი ანონიმურია. ეს მოგზაური ფრანგია, მუსიკის, ცეკვისა და თეატრის ჭეშმარიტი ტრფიალი... ეს ორი ნაწყვეტი გიჩვენებს წერის თავისუფალ, გაბედულ მანერას. იგი გიზიდავთ, ხელსა გკრავთ, გაინტერესებთ, მოთმინებას გაკარგვინებთ, მაგრამ ბოლოს მაინც თავს წაგაკითხებთ... გადაიკითხავთ წიგნს და ისევ აღტაცებაში მოდიხართ, გინდათ ცალკეული ადგილები ზეპირად ისწავლოთ. თვითონ მას ბევრი რამ უნახავს, აქვს უნარი შესანიშნავად

გამოიყენოს ის, რაც ხელთ ხვდება; ერთი სიტყვით, საკმარისი არ არის წაიკითხო ეს წიგნი, ის უნდა გქონდეს...»

1824 წელს საბერძნეთში გამგზავრების წინ ბაირონმაც მისწერა წერილი ანრი ბეილს, რომელიც მან პირადად გაიცნო იტალიაში ყოფნის დროს: «მე შემთხვევა მქონდა გამეცანით თქვენი წიგნებით: «რომი, ნეაპოლი, ფლორენცია», «მოცარტისა და ჰაიდნის ცხოვრება» და პატარა გამოკვლევით რასინისა და შექსპირის შესახებ. მე ჯერ არ მქონია ბედნიერება წამეკითხა თქვენი წიგნი «ფერწერის ისტორია».

თუმც სტენდალს იმხანად არც ერთი მხატვრული ნაწარმოები არ ჰქონდა გამოქვეყნებული, ბაირონმა მას «საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერალი» უწოდა. თავის დროზე ასევე გულთბილად გამოეხმაურა სტენდალს პუშკინიც. მაგრამ სტენდალის, როგორც «საფრანგეთის უდიდესი მწერლის» აღმოჩენის პატივი მაინც ბალზაკს ეკუთვნის. მას შემდეგ, რაც 1840 წელს ბალზაკმა ჟურნალ «რევიუ პარიზიენში» გამოაქვეყნა ამჟამად უკვე ფართოდ ცნობილი «ეტიუდი ანრი ბეილის შესახებ», ეს ყველასათვის თვალსაჩინო გახდა, რადგან საქმე მანამ თითქმის სრულიად უცნობი ავტორის საჯაროდ აღიარებას ეხებოდა. ბალზაკს თავის «წმიდათაწმიდა მოვალეობად» მიაჩნდა «დამსახურებული მიეზღო» მწერლისათვის, «რომლის გენიას მხოლოდ მცირეოდენთა თვალი თუ ხედავდა».

«ბატონი ბეილი ჩვენი დროის ერთი უდიდესი ადამიანია», _ წერდა იგი. ბალზაკი ისე იყო აღტაცებული სტენდალის «პარმის სავანეთი», რომ სამჯერ გადაიკითხა იგი. რომანის ზოგიერთმა ადგილმა კი იმდენად მოხიბლა, რომ წერს: «მკითხველი რომ ამ ადგილს წაიკითხავს, წიგნს გვერდზე გადადებს, დაფიქრდება და იტყვის: «ღმერთო ჩემო, ეს რა მშვენიერებაა!..» ბალზაკისთვის სტენდალის «უზარმაზარი გენიის» აღმოჩენა ნეტარება იყო; სწორედ რომ ნეტარება! თვითონ წერს, სინდისით გამართლებული აღტაცება _ ნეტარებაა.

შეიძლება აქ ისიც გავიხსენოთ, რომ თვითონ სტენდალსაც ჰქონდა გენიის აღმოჩენის ამგვარი «ნეტარება» განცდილი. ბალზაკის თქმით, მან აღმოუჩინა საფრანგეთს როსინის «მუსიკალური გენია» და განადიდა ადამიანი, რომელიც თვით «საფრანგეთმა ვერაფრით ვერ აქცია თავის დიდებად».

ასეთი გულწრფელი აღტაცება სძლევს ისეთ საზიზღარ გრძნობას, როგორიცაა შური, ანუ «მწუხარება¡ სხუათა კეთილისა ზედა» (საბა). ბალზაკიც ამიტომ ხუმრობს, მე, ვისთვისაც უცხოა შური, ეს თავი რომ წავიკითხე, მგონი, მართლა აღმეძრა ამგვარი

გრძნობაო. ეს ისეა ნათქვამი, თორემ, ასე რომ იყოს, ესოდენ გულწრფელ აღტაცებას როგორ გამოთქვამდა!

ბალზაკს მიაჩნდა, რომ «მხატვრული ნაწარმოები მაშინ ახდენს ძლიერ ზეგავლენას მკითხველზე, როცა იდეალსა და ფორმის უზენაეს კანონებს ემორჩილება». ასეთი იყო მისთვის ანრი ბეილის (სტენდალის) რომანები. ფაქტების სიუხვე, სახეთა ზომიერება, თხრობის ბუნებრიობა და სიცხადე, აი, რა მოსწონდა ბალზაკს თავისი უფროსი კოლეგის შემოქმედებაში. იგი წერდა, რომ ბეილის რომანების თითო გვერდზე მთელი წიგნია დატეული, რასაც თვითონ ბალზაკი «კაჟში ჩამალულ ნაპერწკლებს» უწოდებს. ამიტომაც მიაჩნია სტენდალი «უზარმაზარ გენიად» და «საფრანგეთის ერთ უდიდეს ადამიანად». თავის მხრივ, სტენდალიც აღფრთოვანებული იყო ბალზაკით, რომელსაც «საფრანგეთში უდიდეს რომანისტად» თვლიდა. ასეთ სიტუაციაში გასაგებია, თუ რა მღელვარებით წაიკითხავდა სტენდალი ბალზაკის ეტიუდს მისი შემოქმედების შესახებ. ჟურნალის ის ნომერი, სადაც ეს «ეტიუდი» იყო გამოქვეყნებული, სტენდალმა მიიღო იტალიის ერთ პატარა ზღვისპირა ქალაქ ჩივიტა-ვეკიაში, სადაც სამშობლოდან «ნებაყოფლობით» გაძევებული და თითქმის ყველასგან მივიწყებული, თანაც ნაადრევად დაბერებული მწერალი ვითომ კონსულად მუშაობდა; ფაქტიურად კი სამსახურში იშვიათად ცხადდებოდა და უმთავრესად რომში ატარებდა ცხოვრების ამ უკანასკნელ წლებს. იგი ისე იყო გულაჩუყებული ამ მოულოდნელი აღიარებით, რომ მადლობის წერილი გაუგზავნა ბალზაკს, სადაც წერს, თქვენ, ალბათ, შეგებრალათ ქუჩაში მიტოვებული ობოლი ბავშვიო. სტენდალმა ბალზაკის «ეტიუდს» უწოდა «გასაოცარი სტატია, რის მსგავსი არც ერთ მწერალს არ დაუწერია მეორე მწერალზე».

ანატოლ ფრანსს უთქვამს, მოპასანზე სტატია ისე უნდა დაიწეროს, ლომი რომ დაწერდა სიმამაცეზე, წერა-კითხვა რომ იცოდესო. როგორც ჩანს, «ლომები» ყნოსვით გრძნობენ მათი ჯიშის გენიის გამოჩენას სამწერლო ასპარეზზე. ამიტომ იყო, რომ გოეთეს, ბაირონის, პუშკინისა და ბალზაკის შემდეგ სტენდალის შემოქმედებას ასევე გულთბილად გამოეხმაურნენ ეპოქის უდიდესი მწერლები: ტოლსტოი, ზოლა, როლანი, გორკი, არაგონი, ცვაიგი და სხვები.

სტენდალის არც ასეთი ნაგვიანევი აღიარებაა შემთხვევითი. როგორც ჩანს, ამასაც თავისი მიზეზები აქვს. ჯერ კიდევ ბალზაკი წერდა, ანრი ბეილით შეიძლება მხოლოდ მოაზროვნე საფრანგეთი დაინტერესდესო, და დასძენდა: საბედნიეროდ, ყველა ქვეყანაში

არის ხელოვნების ერთგულ გონებათა თანამეგობრობა, რომელიც პირველი იჩენს ამგვარ ინტერესს და ასევე პირველი ეხმაურება მას, სხვები კი გულგრილნი რჩებიანო.

მართლაც ასე მოხდა. სტენდალმა მთელი თავისი ცხოვრება აბსოლუტური გულგრილობის ატმოსფეროში გაატარა. ოფიციალური კრიტიკა მას არაფრად აგდებდა ან აბუჩად იგდებდა, აქაოდა ტლანქიაო, უხეში, არა ესთეტიური... უფრო გაბოროტებულები კი სტენდალს ისეთ «უზნეო მწერლად» თვლიდნენ, რომელიც «ცხოვრებასა და ადამიანში მხოლოდ მახინჯ მხარეებს ეხება». «დიდებულები» და მთავრობის მოხელენი ვერ იტანდნენ სტენდალის გესლიან თავდასხმებს. ამიტომ იყო, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში იგი პოლიციის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. თვითონ მწერალი ისე იყო ამის გამო შეშინებული, რომ ხელნაწერები გავსებული აქვს არეებზე მიწერილი შენიშვნებით, რასაც იგი «პოლიციის თვალის ასახვევად» აკეთებდა. თარიღებსა და მისამართებსაც ამიტომ აბნევდა. როგორც ჩანს, ეშინოდა, მაშინდელი კონკრეტული ამბები არ ამოეკითხათ მის ნაწერებში. ის ხომ არ ერიდებოდა გაბატონებული საზოგადოების მიერ «მიღებული შეხედულებების» მწვავე კრიტიკას. პოლიტიკური თვალსაზრისითაც ყოველთვის ოპოზიციაში ედგა ხელისუფლებას. ამიტომაც ითვლება კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლად ფრანგულ ლიტერატურაში.

* * *

ზედმეტად გაკადნიერებული კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, სტენდალი ლიტერატურულ სტილს არავითარ ყურადღებას არ აქცევდაო. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, მაგრამ ამგვარი თვალსაზრისი მაინც გარკვეულ მოსაზრებას ეყრდნობა. სრულიად აშკარაა, რომ სტენდალი ისე არ წერდა, როგორც იმდროინდელი მწერლები. მას წერის თავისებური, შეიძლება ითქვას, ნოვატორული მანერა ჰქონდა გამომუშავებული. თვითონ უთქვამს, სტილზე არასოდეს მიფიქრიაო. ესეც პირობითად უნდა იქნეს გაგებული. სტენდალი თუ თავისი რომანების წერის დროს სტილზე არ ფიქრობდა, მხოლოდ იმიტომ, რომ არ სჭირდებოდა. ამაზე მას ადრე ჰქონდა ნაფიქრი. საქმე ის არის, რომ გოეთემ თუ სტენდალის სწორედ «თავისუფალი და გაბედული» სტილი მოიწონა, ამის წინასწარ გამომუშავებას სტენდალმა ოცზე მეტი წელი მოანდომა. ამდენივე ტომიც დაწერა «ხელის გასაწაფავად». და ყველაფერი ეს მანამ, ვიდრე თავისი ცნობილი რომანების წერას შეუდგებოდა. ასეთ შემთხვევაში მწერალთა ორგვარ ტიპს არჩევენ: ერთნი წინასწარ ადგენენ მთელი ნაწარმოების ზუსტ გეგმას, გულმოდგინედ მუშაობენ ტექსტზე,

დაუსრულებლივ შეაქვთ შესწორებები, აუმჯობესებენ სტილს, ახალ-ახალი სამკაულებით ამშვენიერებენ და ხვეწენ მას (მაგალითად, ბალზაკი, ფლობერი და სხვ.); მეორენი წინასწარ ეუფლებიან წერის კულტურას, იწაფავენ ხელს, იმუშავებენ თავისებურ სტილს, შემდეგ კი წერენ სწრაფად, სულმოუთქმელად, იმპროვიზებულად, ყოველგვარი წინასწარი გეგმის გარეშე. ასეთი იყო სტენდალი. იგი ერთხელ დაწერილს იშვიათად ასწორებდა, ან თუ ასწორებდა რამეს, პირიქით, ამბობენ, აფუჭებდაო.

ბალზაკის «ეტიუდში ბეილის შესახებ» გარდა ხოტბისა, საკმაოდ მკაცრი და არსებითი შენიშვნებიც იყო ჩართული. სტენდალი სერიოზულად ჩააფიქრა ამ გარემოებამ. კრიტიკულ შენიშვნებს იგი სულაც არ გაუღიზიანებია. იგი არც იყო ამგვარი ბუნების კაცი. ერთგან ამბობს, მე საკმაოდ ამაყი ვარ იმისათვის, რომ კრიტიკა მძულდესო. ეს კი ასეა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ყოველი წიგნის გამოცემის შემდეგ, სადღაც, სხვა ქვეყანაში გარბოდა შეშინებული, საზოგადოებას ემალებოდა, რომ არ მოესმინა, რას ამბობდნენ მისი ნაწარმოების შესახებ. ბალზაკის შენიშვნებს კი იგი გულისყურით მოეკიდა, რამდენჯერმე სცადა კიდეც გადაემუშავებინა რომანი ამის მიხედვით, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ბოლოს თავი მიანება. არც შეეძლო, რადგან სხვა რომ არა იყოს რა, ეს ორი მწერალი მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან თუნდაც იმითაც, რომ ბალზაკი, როგორც წესი, გარემოს, საზოგადოების ანალიზს ახდენს, სტენდალი კი პიროვნების, მისი შინაგანი სამყაროს გამოსახვითაა დაინტერესებული. ამიტომ, რაც არ უნდა ეცადა, სტენდალი ბალზაკად მაინც ვერ იქცეოდა, ვერც საკუთარი წერის მანერას დათმობდა ასე ადვილად. ის კი არა, თავისი ნაწარმოების ტექსტის შესწორებასაც ერიდებოდა. ამბობდა, მე აზრების თანმიმდევრობა უფრო მაინტერესებს, ვიდრე გამოთქმების შერჩევაო. მისივე სიტყვებია: ისე უნდა წერო, როგორც გეწერება და არაფერი შეცვალოო! ამით აღწევდა იგი სტილის ბუნებრიობას. ბალზაკი პირიქით, დაუსრულებლივ ასწორებდა ტექსტს, ოცამდე კორექტურას აკეთებდა, თვითონაც იტანჯებოდა და სტამბის მუშებსაც აწამებდა გაუთავებელი შესწორებებით. ფლობერი მით უმეტეს, იმას ამბობდა, ხშირად თითო წინადადების დაწერას რამდენიმე დღე ვუნდებიო. მართლაც! იჯდა, წვალობდა, სულ ახალ-ახალ გამოთქმებს ეძებდა, წერდა, ხევდა, ისევ წერდა, ხვნეშოდა (ამბობენ, «შეშის მჭრელივითო»), ილანძღებოდა, ვინ მოიგონა ეს კატორღული სამუშაოო. რომ ჰკითხავდნენ, რა გტანჯავთ ასეო, უპასუხებდა, სტილის სიმსუბუქის მიღწევაო. სხვაც ბევრი იყო ასე დატანჯული.

გოგოლს რომ ჰკითხეს, რითი აღწევთ სტილის ასეთ სიმსუბუქესო, კვამლითო, _ უპასუხა მან, _ ვწერ _ ვწვავ, ისევ ვწერ _ ისევ ვწვავ, ისევ ვწერ... და ასეო...

სტენდალს ეს არ შეეძლო. თუ დავუჯერებთ, მას «სუფთა ქაღალდის შეხედვის ეშინოდა», სხვას კარნახობდა ტექსტს და ისე გზავნიდა სტამბაში, რომ ერთხელაც არ გადაიკითხავდა. ასე შექმნა მან თავისი უზარმაზარი რომანი «პარმის სავანე», რომლის წერა დაიწყო 1838 წლის 4 ნოემბერს და დაამთავრა იმავე წლის 26 დეკემბერს, ე. ი. სულ რაღაც ორ თვეში, უფრო ზუსტად _ 52 დღეში. მართალია, ზოგჯერ წინასწარაც ჰქონდა ნაწარმოების ზოგადი გეგმა მოფიქრებული, მაგრამ იმპროვიზაციის დროს ყველაფერი ეს იცვლებოდა. იმასაც ამბობდა, რომანის ერთ თავს რომ ვწერ, არასოდეს ვიცი, მეორე თავი როგორ გაგრძელდებაო. მისი აზრით, სასურველია, ეს არც მკითხველმა იცოდეს, ყველაფერი მოულოდნელი უნდა იყოს და იწვევდეს გაოცებას, რაც ამ «ღვთაებრივი გაუთვალისწინებლობის» შედეგია.

ამიტომაა, რომ სტენდალის რომანებში მოქმედება უაღრესად სწრაფად, დინამიკურად ვითარდება. მას არ უყვარს დეტალებზე შეჩერება, საგნის ყოველმხრივი აღწერა, სამაგიეროდ, კალმის ერთი მოსმით შეუძლია თითქოს პატარა, უმნიშვნელო ფაქტის გროტესკული განზოგადება. წვრილმანი მის წარმოსახვაში რეფლექტორივით დიდდება და განზოგადებულ მნიშვნელობას იძენს. ეს არის დეტალების მოულოდნელი და გასაოცარი ტრანსფიგურაცია მთელში, ზოგადში, საყოველთაოში.

ვიდრე ანრი ბეილი იმპროვიზაციის ამგვარ ოსტატობას მიაღწევდა, ე. ი. ნამდვილ სტენდალად იქცეოდა, რამდენიმე ათეულმა წელმა განვლო. მეც ამ წინასიტყვაობას ამიტომაც ვუწოდე «ანრი ბეილიდან სტენდალამდე». ეს დიდი მანძილია. ყველაფერი, რაც სტენდალმა «წითელი და შავის» გამოქვეყნებამდე შექმნა, ფაქტიურად მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაო იყო. იგი დიდხანს და გულმოდგინედ ვარჯიშობდა, სანამ კაჟს რკინას ჩამოჰკრავდა და ნაპერწკლებს დააკვესებდა. თვითონაც ასე ამბობს: ვიდრე ჩემში გენია არ ვიგრძენი, კალმისთვის ხელი არ მომიკიდიაო. ესეც ისეა ნათქვამი, თორემ «კალმისთვის ხელი არ მოუკიდია» კი არა, რომან «წითელსა და შავში» გენიის გაელვებამდე ოციოდ ტომი სხვადასხვა ჟანრისა, მაგრამ არა მხატვრულ-ბელეტრისტული ნაწარმოები დაწერა. ჩვენ ამას ანრი ბეილის, ანუ მომავალი სტენდალის მოსამზადებელ პერიოდს ვუწოდებთ. ამით ის გვინდა ვთქვათ, რომ ყველაფერი, რაც ანრი ბეილმა ნახა, განიცადა, დაიმახსოვრა, უბის წიგნაკში ჩაინიშნა თუ სავარჯიშოდ დაწერა, შემდეგ სტენდალმა გამოიყენა თავისი უკვდავი რომანების - «წითელი და შავი», «ლუსიენ

ლევენისა» და «პარმის სავანის», აგრეთვე, მოთხრობების ციკლის - «იტალიური ქრონიკების» - შესაქმნელად. ათეული წლების მანძილზე ანრი ბეილი თითქოს ფეხაკრეფით უახლოვდებოდა სტენდალს. გარეგნულად არც არაფერი ეტყობოდა, რომ ბეილისაგან შეიძლებოდა სტენდალი გამოსულიყო. ეს შესაძლებლობა, როგორც ჩანს, ისე პოტენციურად იყო მოცემული ბეილში, როგორც «ნაპერწკალი კაჟში». უნდა ითქვას, რომ მან ადრეც სცადა ჩამოეკრა რკინა კაჟზე, მაგრამ ნაპერწკლები მაინც ვერ გააყრევინა: ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკს უნდოდა კომედიები და ტრაგედიები დაეწერა, ბევრიც იწვალა, მაგრამ უშედეგოდ, და ისევ საკუთარი პიროვნების სრულყოფას დაუბრუნდა. ასე რომ არ მომხდარიყო, ალბათ, აღარც სტენდალი იქნებოდა. ამიტომ ანრი ბეილი მკვლევართაგან არანაკლებ ყურადღებას მოითხოვს, ვიდრე სტენდალი. მთავარი კი აქ ის არის, რომ ისინი არ გავთიშოთ ერთმანეთისაგან, თორემ ასეც წერენ, აქ მთავრდება ბეილი და იწყება სტენდალიო. არა! არც ბეილი მთავრდება სტენდალში და არც სტენდალი იწყება ბეილის შემდეგ. ისინი ავსებენ ერთმანეთს. ამიტომ სჯობს, ჩვენც ისე ვთქვათ, რილკე რომ ამბობდა _ «ჩემი ორივეო». ბეილი და სტენდალი მართლაც «ერთის ორივეა», თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი სულაც არ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან. ცხადია, ამ თვალსაზრისით ანრი ბეილი (სტენდალი) სრულიად თავისებური მოვლენაა ლიტერატურის ისტორიაში. ამ თავისებურებას კი აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში. საქმე ის არის, ანრი ბეილმა იმისთვის, რომ სტენდალი მოემზადებინა, იმთავითვე გადაწყვიტა, ჯერ «ცხოვრების ხელოვნებას» დაუფლებოდა, შემდეგ კი - «მწერლობის საიდუმლოებას». ამის შედეგი ის იყო, რომ მან ამით საკუთარი პიროვნება და შემოქმედება ერთნაირად საინტერესო გახადა საზოგადოებისათვის. ა. ფრანსი წერს: «არიან გენიალური ადამიანები, რომელნიც თვითონ მეტ ინტერესს იწვევენ, ვიდრე მათი ნაწარმოებები. სტენდალს რომ ვკითხულობ, ის უფრო მაინტერესებს, ვიდრე მის მიერ შექმნილი გმირების თავგადასავალი...»

შეიძლება ეს რამდენადმე გადაჭარბებული იყოს, მაგრამ სტენდალის ცხოვრებისა და შემოქმედების არსებით ნიშანზე მაინც მიუთითებს. საქმე ის არის რომ სტენდალის ნაწარმოებების ყველა გმირი _ ასეთი თუ ისეთი, დადებითი თუ უარყოფითი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, როგორც წესი, თვითონაა და არა სხვა ვინმე. ან თუ სხვაა, ისიც «მისი მეორეა». მან ჯერ საკუთარი პიროვნების რთული კომპლექსი შექმნა, შემდეგ კი მრავალსახოვან იანუსივით განსახიერდა ლიტერატურულ პერსონაჟებში. თვითონაც აქვს ნათქვამი, ამიერიდან მე ანგარიშს გავუწევ მხოლოდ საკუთარი ხასიათის ნიშნებს, რაც

გამოცდილი მაქვსო. რაც არა _ იმას იგონებდა, მაგრამ ისე იყო «სიცრუის ხელოვნებას» დაუფლებული, რომ მის ნაწარმოებებში ნამდვილისა და მოგონილის განცალკევება უკვე შეუძლებელია. ამიტომაა, რომ თვითონ მწერლის პიროვნება და ის გარემო, რომელშიც უხდებოდა მოღვაწეობა, ესოდენ დიდ ინტერესს იწვევს არა იმდენად ბიოგრაფიული, არამედ ლიტერატურული თვალსაზრისით...

* * *

სტენდალს უაღრესად რთულსა და წინააღმდეგობებით აღსავსე ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა: საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, ნაპოლეონის დიდება და დაცემა, რესტავრაციის პერიოდი, ფეოდალური წყობილების რღვევა და ბურჟუაზიის დამკვიდრება, ფინანსური არისტოკრატიის გაბატონება _ ასეთი იყო ის სოციალ-პოლიტიკური გარემო, როცა ანრი ბეილი ჯერ საკუთარი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნავდა, შემდეგ კი საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მოღვაწეობას შეუდგა. მართალია, რევოლუციის წლებში ანრი ბეილი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, მაგრამ რაკი საფრანგეთის მთელი შემდეგი ისტორიული განვითარება ამ რევოლუციის მძლავრი ზეგავლენით წარიმართა, მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სტენდალის პოლიტიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში. ფაქტიურად, ეს იყო პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია მთელ ევროპაში, რასაც ფეოდალური წყობილების სრული განადგურება მოჰყვა. ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მთელი XIX საუკუნე, რომელმაც კაცობრიობას მოუტანა ცივილიზაცია და კულტურა, საფრანგეთის რევოლუციის ნიშნით წარიმართა. ამ რევოლუციის წარმატება, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა ფართო მასების უაღრესად აქტიური მონაწილეობით იყო განპირობებული. რევოლუციის მონაპოვრების შემდგომი განვითარება _ აბსოლუტური მონარქიის დამხობა, ფეოდალურ ურთიერთობათა გაუქმება, არჩევნების დემოკრატიული სისტემის შემოღება და რესპუბლიკური არმიის შექმნა - ისევ იმ ძირითადი სოციალური ძალების მონაწილეობითვე ხორციელდებოდა. უფრო გვიან, როგორც მოსალოდნელი იყო, მშრომელი მასების და მსხვილი ბურჟუაზიის ინტერესები ისე მკვეთრად დაშორდა და დაუპირისპირდა კიდეც ერთმანეთს, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა მათი დარაზმვა ერთი დროშის ქვეშ, რომელზედაც ეწერა სტენდალისათვის ბოლომდე სანუკვარი სიტყვები: «ძმობა, ერთობა, თავისუფლება».

სოციალ-კლასობრივი თვალსაზრისით, ეს გასაგებიცაა. ჟირონდისტების კონტრრევოლუციურ საქმიანობას კონვენტში ერთ პერიოდში იაკობინელთა დიქტატურა

მოჰყვა, რამაც რევოლუციური გარდაქმნების პროცესი დააჩქარა. მიუხედავად ამისა, 1799 წლის შემდეგ რეაქციულმა ძალებმა მოახერხეს იაკობინელთა მოძრაობის შეზღუდვა - შეიკვეცა ხალხის დემოკრატიული უფლებები და მომზადდა ნიადაგი რეაქციული რეფორმებისათვის. ამას ხელი შეუწყო თვით იაკობინელთა რიგების გათიშვამ, რაც მათივე დარბევითა და რობესპიერის სიკვდილით დასჯით დასრულდა. ამას მოჰყვა რესპუბლიკის ნაცვლად კონსულთა სისტემის დაარსება, რამაც გზა გაუხსნა მონარქისტულ პარტიებს ხელისუფლებისაკენ. მსხვილმა ბურჟუაზიამაც ზურგი აქცია რევოლუციას, დემოკრატიულ-რესპუბლიკური ლოზუნგები დავიწყებას მიეცა. უკვე აღარც ნაპოლეონი იცავდა ძველ რესპუბლიკურ იდეებს და მან თავი ჯერ პირველ კონსულად, ხოლო შემდეგ იმპერატორად გამოაცხადა, რითაც თვითონვე შეუწყო ხელი მონარქიის რესტავრაციას. ამან ისე გააძლიერა რეაქციული კლასები, რომ ნაპოლეონის დამხობის შემდეგ ბურბონების თავადაზნაურული მონარქია დამყარდა, ხალხთა მასების დემოკრატიული მოძრაობა კი ოპოზიციაში აღმოჩნდა, შემდეგ კი მათი ზეგავლენა კიდევ უფრო გაძლიერდა და საბოლოოდ 1830 წლის ივლისის რევოლუცია გამოიწვია. რევოლუციის დამარცხებას ისევ რეაქციული რეჟიმის განმტკიცება და მსხვილი ბურჟუაზიის გაბატონება მოჰყვა. გაძლიერდა ფინანსური არისტოკრატიაც. ივლისის მონარქიის პერიდში გამწვავებულმა სოციალ-კლასობრივმა ურთიერთობებმა დიდი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და, ცხადია, ლიტერატურაზეც.

სტენდალიც ამ ბობოქარ ეპოქაში მოღვაწეობდა. იგი 1783 წელს დაიბადა გრენობლში, გამდიდრებული დურგლის ოჯახში. მისი შორეული წინაპრები იტალიელები იყვნენ, ლიტერატურასა და ხელოვნებასთან მათ არავითარი კავშირი არ ჰქონიათ. ეს ინტერესი ანრი ბეილს გაუღვიძა აღმზრდელმა ბაბუამ (დედის მხრივ), დოქტორმა განიონმა, რომელიც განმანათლებელთა იდეებით იყო გატაცებული და თავს ვოლტერიანელად თვლიდა. ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში («ანრი ბრუილარის ცხოვრება») ბეილი წერს, რომ არსებითად მისი აღმზრდელი ძვირფასი ბაბუა იყო.

გრენობლის სკოლაში ანრი უმთავრესად «მსოფლიოს დედოფლით» _ მათემატიკით იყო გატაცებული. სწორედ მათემატიკის მასწავლებელმა გრომ, რომელიც რევოლუციის პერიოდში იაკობინელებს თანაუგრძნობდა, გაუღვიძა მას ინტერესი პოლიტიკისადმი, რაც სიკვდილამდე გაჰყვა. სწორია ლუი არაგონი, როცა წერს, სტენდალის ყველა რომანი პოლიტიკურიაო.

1799 წელს ანრი ბეილი პარიზის პოლიტექნიკურ სასწავლებელში შედის, მაგრამ მაშინვე თავს ანებებს და გავლენიანი ბიძის, შემდეგ კი ნაპოლეონის მარშლის _ პიერ დარიუს ზეგავლენით სამხედრო სამსახურს იწყებს. იმ დროის ახალგაზრდობა, მათ შორის, ცხადია, ანრი ბეილიც ისე იყო გატაცებული «კორსიკელი გენერლის» თავბრუდამხვევი კარიერით, რომ მათთვის არ არსებობდა უფრო საოცნებო ბედნიერება, ვიდრე ნაპოლეონის არმიაში სამსახური.

ანრი ბეილმა მაშინვე ლეიტენანტის სამხედრო წოდება მიიღო და ნაპოლეონის არმიის ნაწილებთან ერთად იტალიაში გაემგზავრა. აქედან იწყება მისი გატაცება ამ «საოცნებო ქვეყნით», რაც შემდეგ მთელ მის შემოქმედებაზე ახდენს გავლენას. ამის დასტურად თუნდაც იმის აღნიშვნა კმარა, რომ სტენდალის ნაწარმოებების დიდი უმრავლესობა იტალიის ცხოვრებას, მის ისტორიას, ხელოვნებასა და ლიტერატურას ასახავს. აქ მას შემთხვევა ჰქონდა გაცნობოდა ხელოვნების დიდებულ ძეგლებს, მუსიკას, მხატვრობას. მილანში ისე იყო გატაცებული ოპერით, რომ შემთხვევას არ უშვებდა დასწრებოდა «ლა სკალას» დიდებულ სპექტაკლებს. სამხედრო სამსახური მას დიდ დროს არ ართმევდა, არც რამე ინტერესი ჰქონდა ყაზარმული ცხოვრებისადმი. უფრო ოფიცრის ფორმა მოსწონდა, ვიდრე სამსახური. ცვაიგი ირონიულად აღწერს ბეილის მთელ სამხედრო მოღვაწეობას, ამტკიცებს, რომ ფაქტიურად მას არც ერთ ომში არ მიუღია მონაწილეობა. ის კი არა, ხეირიანად ცხენზე ჯდომაც ვერ ისწავლა და ოფიცრები მასხრად იგდებდნენო. ასეა თუ ისე, 1801 წელს ანრი ბეილი სამხედრო სამსახურს თავს ანებებს, პარიზში ბრუნდება და, უმთავრესად, თვითგანათლებითაა გატაცებული. განსაკუთრებით ფრანგი განმანათლებლების წიგნებს ეტანება, ფილოსოფოსების: ჰელვეციუსისა და კოდილიაკის შრომებს კითხულობს, მოსწონს ჰელვეციუსის მოძღვრება საზოგადოებრივი და პირადი ბედნიერების შეხამების შესახებ. პოლიტიკაში ისევ საფრანგეთის რევოლუციის იდეების მომხრე რჩება, ეზიზღება დესპოტიზმი და ტირანია, სკეპტიკურად უყურებს თავის ძველ კერპს, ნაპოლეონს; იზრდება ინტერესი ლიტერატურისადმი. ცდილობს დაეუფლოს წერის კულტურას, მაგრამ თანმიყოლილი, ორგანიზებული შრომა არ შეუძლია. უამრავ გეგმას ადგენს, თუმცა, ბოლომდე არც ერთს არ ახორციელებს. მის მემკვიდრეობაში კომედიებისა და ტრაგედიების უამრავი ასეთი გეგმა და ფრაგმენტია შემორჩენილი. 1931 წელს გამომცემლობა «დივანმა» მთელი ეს მასალა ცალკე წიგნად გამოსცა. აქ არის ლექსად დაწერილი ნაწყვეტი კომედიისა «სელმური», გეგმა ხუთმოქმედებიანი პიესისა «მოდური ქორწინება», ფრაგმენტები ტრაგედიიდან «ულისე»,

კომედია «ორი ადამიანის» წინასიტყვაობა, შექსპირის მიბაძვით დაწერილი პიესის «ჰამლეტის» სამი გეგმა და მოქმედ პირთა დახასიათება. როგორც ჩანს, იმ დროს ანრი ბეილი უმთავრესად მოლიერით იყო გატაცებული და ამიტომაც ეტანებოდა კომედიის ჟანრს («ლეტელიე», «გამრყვნელი», «სახლი ორი გასასვლელით» და სხვ.), უცდია დრამატული პოემის დაწერაც («თეისალი») და ყველაფერი ეს 1801-1805 წლებში, როცა იგი ჯერ მხოლოდ 17-22 წლისაა. ცხადია, ამ ნაწერებს არავითარი ლიტერატურული ღირებულება არა აქვს, მაგრამ საინტერესოა თვით ანრი ბეილის, როგორც მწერლის ჩამოყალიბების პროცესის შესასწავლად. იგი უკვე მაშინ წერდა, მე მხოლოდ კალმით შემიძლია აზროვნებაო და ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, ოცნებობდა ან აკეთებდა, შეჰქონდა დღიურებში, რომლის შედგენა 1801 წლის 18 აპრილს დაიწყო და შეწყვიტა 1818 წლის 29 აგვისტოს. ეს დღიურებიც საინტერესო მასალას იძლევა სტენდალის შემოქმედებითი ევოლუციის შესასწავლად. საყურადღებოა აგრეთვე ანრი ბეილის პირადი წერილები თავისი დის _ პოლინასადმი, რაც ეპისტოლარული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშია.

ბეილის ჩანაწერები სავსეა ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებით, გრძნობებით, ნამდვილი და მოგონილი ამბებით, შეგნებული ფალსიფიკაციის გაუგონარი შემთხვევებით, პოლიტიკური შეხედულებების კონტრასტული მიმართულებებით. ანრი ბეილი ხან ნაპოლეონის აღტაცებული თაყვანისმცემელია, ხან _ სასტიკი მოწინააღმდეგე. მისი რწმენა «კორსიკელი გენიოსისადმი» მაშინ შეირყა, როცა 1801 წელს ნაპოლეონმა თავი საფრანგეთის პირველ კონსულად გამოაცხადა მემკვიდრის დანიშვნის უფლებით და ამით დაიწყო გზის გაკაფვა იმპერატორის ტახტისაკენ. ბეილმა ამაში რევოლუციის იდეებისადმი ღალატი დაინახა და ერთბაშად განუდგა თავის ძველ კერპს. შემდეგ, როცა ნაპოლეონმა თავი მართლაც იმპერატორად გამოაცხადა, ბეილის ჩანაწერები აივსო ანტიბონაპარტისტული აზრებით. იგი წერს, რომ ერთ დროს ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის მედროშე და დესპოტიზმის შემმუსვრელი «არწივი» თვითონვე იქცა ტირანად, დესპოტად, «სვავად». ბეილი კი ისევ რესპუბლიკის, დემოკრატიის, სოციალური თანასწორობისა და თავისუფლების იდეების ერთგული რჩებოდა; თუმცა, მისი არც ეს პოზიცია აღმოჩნდა შეურყეველი. პატივმოყვარეობის გრძნობით შეპყრობილმა და კარიერისტული მისწრაფებებით გატაცებულმა მომავალმა მწერალმა თანდათან დათმო რადიკალური პოზიციები, შეეგუა გარემოს, მოქმედებდა საკუთარი პრინციპების წინააღმდეგ და თავს იმართლებდა, სხვაგვარად შეუძლებელიაო. ამას ანრი ბეილის

შინაგანი გაორება მოჰყვა. მასში ადვილად შეეგუა ერთმანეთს უაღრესად პროტოგონისტული მისწრაფებები, რამაც ურთიერთდაპირისპირებული შეხედულებები და მოქმედებანი გამოიწვია. ამით თუ შეიძლება აიხსნას, რომ ანრი ბეილი, შინაგანი ანტიპათიის მიუხედავად, 1806 წელს ისევ ნაპოლეონის არმიას დაუბრუნდა და სამი წელიწადი გერმანიის ქალაქ ბრანშვაიგში მსახურობდა. აქაც დაწინაურდა და 1811 წელს იმავე დარიეს შემწეობით ჯერ სახელმწიფო საბჭოს აუდიტორიის, ხოლო შემდეგ იმპერატორის სასახლეების მოძრავი ქონების ინსპექტორის თანამდებობა მიიღო. ნაპოლეონთან დამოკიდებულებაც შეიცვალა: «სვავი» ისევ «არწივად» იქცა. მართალია, მისი დღიურები და ჩანაწერები ამის შემდეგაც გაჟღენთილია ანტიბონაპარტისტული განწყობილებით, მაგრამ «იმ მეორემ» მაინც იმძლავრა ბეილში; რაღაც ბოროტ ძალად შეჩენილმა პატივმოყვარეობამ, ოქროქსოვილმა მუნდირმა, მაღალმა თანამდებობამ, დიდმა ხელფასმა და ადვილმა სამსახურმა შეუქმნა ილუზია, რომ წარმატებით მიაღწია ყველაფერს, რასაც ადრე «ბედნიერებაზე ნადირობას», «მოულოდნელის ლოდინის სიამოვნებას» თუ «ღვთაებრივ გაუთვალისწინებლობას» უწოდებდა. ამ განწყობილებით მიიღო მან მონაწილეობა ნაპოლეონის არმიის ლაშქრობაში რუსეთის წინააღმდეგ, როგორც რეზერვების მომარაგების გენერალურმა დირექტორმა. მე მგონი, ბეილს უფრო ახალი სანახაობანი და ძლიერი შთაბეჭდილებები იზიდავდა აღმოსავლეთისაკენ, ვიდრე ნაპოლეონის არმიის სამხედრო მიზანდასახულებანი, რომლისადმი იგი სრულიად გულგრილად იყო განწყობილი. იმ მძიმე ბრძოლების დროს თავისი მდიდრული კარეტით წიგნებითა და ხელნაწერებით სავსე უზარმაზარი ხის სკივრს დაატარებდა და თავისუფალ დროს, ომის პირობებშიც რომ ადვილად პოულობდა, «იტალიის მხატვრობის ისტორიას» წერდა. მოსკოვი რომ იწვოდა, ეს მისთვის მხოლოდ სანახაობა იყო. ყველაზე უფრო ის უხაროდა, რომ აქ შესანიშნავი ნადავლი იგდო ხელთ: ვოლტერის თხზულებათა ბრწყინვალედ გამოცემული ერთტომეული. ნაპოლეონის არმიის განადგურება ბეილისთვის ცხოვრების მძიმე სკოლა იყო, უკანდახევის დროს ბევრი სიძნელეც შეხვდა, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც იმან დაწყვიტა გული, რომ ხელნაწერების სკივრი და ვოლტერის წიგნი დაკარგა. ნაპოლეონის არმიის განადგურება კი გულთან ახლოს არ მიუტანია. პირიქით, რუსების გმირული წინააღმდეგობითა და თავდადებული პატრიოტიზმით უფრო იყო აღტაცებული, ვიდრე ბოროდინოსთან ბრძოლით. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მას შინაგანად სძულდა ეს გაუთავებელი ომები. იმასაც წერენ, მუსიკის ათიოდე ტაქტის მოსმენა ან ერთი კარგი წიგნის წაკითხვა ერჩია მთელ ამ

ლაშქრობასო. ბეილი რომ რუსეთისკენ მიდიოდა, კენიგსბერგის ოპერაში «კლემენცა ტიტო» მოისმინა, ხოლო ნაპოლეონის განადგურებული არმიის ნარჩენებთან ერთად უკან დაბრუნებულმა დრეზდენში _ «მატრიმონიო ნეგრეტო». ამის გამოც ამბობენ, რომ ბეილისათვის რუსეთთან ომი მხოლოდ უსიამოვნო ინტერვალი იყო ამ ორ ოპერას შორისო. მთავარი კი მაინც ისაა, რომ მან ცხოვრების დიდი გამოცდილება მიიღო, რაც შემდეგ მის რომანებში გამოვლინდა. ამის შედეგად შეიყვარა მან ისეთი მწერლობა, რომელიც ცხოვრების დრამატიზმს გამოხატავს. ომის თემაც თავისებურად ნეგატიური პოზიციებიდან აისახა მის შემოქმედებაში. სტენდალის მიერ აღწერილი ბრძოლა ვატერლოოსთან, რაც ასე აღაფრთოვანებდა ბალზაკსა და ტოლსტოის, ამის აშკარა დასტურია. შეიძლება ითქვას, რომ სტენდალმა პირველმა მიმართა ომების დეჰეროიზაციის პრინციპს. არავითარი რომანტიკა, პატრიოტული ციებ-ცხელება, ან აღტაცება, მხოლოდ გულგრილი ჭვრეტა და ომის საშინელებათა ეპიზოდური სურათები.. «სიმართლე, მკაცრი სიმართლე», - ამ შემთხვევაშიც ეს იყო მისი დევიზი, რასაც ბოლომდე ახორციელებდა...

ამით დასრულდა ანრი ბეილის სამხედრო კარიერა. 1814 წელს მან განაცხადა, მე დავემხე ნაპოლეონთან ერთადო. მართალია, ამის შემდეგაც შესთავაზეს მაღალი თანამდებობა, მაგრამ უარი თქვა, რადგან ბურბონები კიდევ უფრო ეზიზღებოდა, ვიდრე ნაპოლეონი, რომელმაც, საბოლოოდ, უღალატა რევოლუციის პრინციპებს. თავისი ამგვარი წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება ნაპოლეონთან მან გამოხატა ორ წიგნში: «ნაპოლეონის ცხოვრება» და «აზრები კონსტიტუციის შესახებ». მისი აზრით, «რევოლუცია იმიტომ დამარცხდა, რომ ხალხი არ აღმოჩნდა თავისუფლების ღირსი».

ბეილის ამავე წიგნებიდან და სხვა ნაწარმოებებიდანაც ჩანს, რომ სამხედრო ცხოვრებას არასოდეს გამოუწვევია მისი ენთუზიაზმი. უკვე აღარც პოლიტიკა აინტერესებდა. ამიტომ სიამოვნებით გაიხადა ოფიცრის მუნდირი და ისევ საყვარელი მილანისკენ გასწია, რათა დამტკბარიყო ხელოვნებისა და ლიტერატურის შედევრებით. ამიერიდან მე მაინტერესებს მხოლოდ სტილიო, განაცხადა მან. მასში თანდათან იმძლავრა მწერლურმა სტიქიამ, თუმცა ბეილიდან სტენდალამდე ჯერ კიდევ შორი მანძილი იყო გასავლელი.

* * *

1814-1831 წლები ბეილმა მილანში გაატარა. აქ იგი დაუახლოვდა იტალიელ რომანტიკოსებს, რამდენჯერმე შეხვდა ბაირონს, კარბონაროებსაც თანაუგრძნობდა, მაგრამ რომანტიზმით, როგორც ლიტერატურული მიმართულებით, არასოდეს ყოფილა გატაცებული. თვითონ წერს, მე რომანტიკოსების მეგობარი ვიყავი, მაგრამ - რომანტიკული სტილის მოწინააღმდეგეო. მართალია, სტენდალი ზოგჯერ თავის თავს (ისევე, როგორც პროსპერ მერიმეს) რომანტიკოსს უწოდებს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან 20-30-იან წლებში მისთვის «რომანტიკული» და «რევოლუციური» სინონიმური ცნებები იყო. ამიტომაც წერდა, ნამდვილი რომანტიკოსი ის არის, ვინც ხალხთან ერთად იბრძვის საერთო კეთილდღეობისთვისო. ამ პოზიციიდან ილაშქრებდა სტენდალი რომანტიკული სტილის წინააღმდეგ. ეს გასაგებიცაა, რადგან მომავალში იგი ჩამოყალიბდა, როგორც ნამდვილი რეალისტური სკოლის ფუძემდებელი ფრანგულ ლიტერატურაში. იგი იმთავითვე იცავდა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდ საზოგადოებრივ როლს. სტენდალი რევოლუციების ბობოქარ ეპოქაში ცხოვრობდა და ამიტომ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ვერ იქნებოდა მოხიბლული ვერც ანტიკური ხელოვნებით და ვერც ლუი XIV-ის დროის კლასიციზმით, მით უმეტეს, რომანტიზმის წარმომადგენლებით, რომელნიც შორს იდგნენ ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებისაგან და ერიდებოდნენ სინამდვილის უშუალო ასახვას ხელოვნებაში. სტენდალი სასურველ ზომიერებას იჩენდა ამ მხრივ: იგი არც ცხოვრების ნატურალისტური (სარკისებური) ასახვის მომხრე იყო და არც მისგან რომანტიკული განდგომის. ლიტერატურა ან მხატვრობა მას არასოდეს მიუჩნევია «მოდელიდან ასლის გადაღების» ხელოვნებად. პირიქით, შემოქმედის აქტიური როლის გაძლიერებას მოითხოვდა. მისი აზრით, რაც უფრო აქტიურია შემოქმედის პიროვნება, მით უფრო ემოციურია მისი ნაწარმოები. ეს ეხება არა მარტო მხატვრულ ლიტერატურას, არამედ ხელოვნების სხვა დარგებსაც. ანრი ბეილი არა მარტო კარგად იყო გათვითცნობიერებული ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგებში, არამედ წარმატებით მოღვაწეობდა ამ მიმართებით. იგი რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნის ავტორია მუსიკისა და მხატვრობის საკითხებზე. ბეილი სპეციალურად სწავლობდა ჰაიდნის, მოცარტის, მეტასტაზიოს და როსინის ცხოვრებასა და შემოქმედებას, აგრეთვე იტალიური მხატვრობისა და არქიტექტურის ისტორიას. ბევრს კითხულობდა, იწერდა ცნობებს სპეციალისტთა წიგნებიდან. არც იმას ერიდებოდა, მთელი გვერდები გადმოეწერა სხვისი ნაშრომიდან და შეეტანა თავისაში. ეს ბევრ გაუგებრობას იწვევდა. ზოგი პლაგიატში დებდა ბრალს, ზოგიც _ სხვისი შრომისადმი

არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებაში. კრიტიკოსები გესლიან შენიშვნებსაც არ იშურებდნენ ამის გამო მის მიმართ. ანრი ბეილი კი, ვითომც არაფერი, ყურადღებას არ აქცევდა მათ. მართალიც იყო. რამდენიც არ უნდა «მიეთვისებინა» სხვისგან, ბეილი ისე თავისებურად, ორიგინალურად იყენებდა წაკითხულს და იმდენ თავის საკუთარ, უაღრესად საყურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამდა განხილულ საკითხებზე, რომ საბოლოო შედეგი უკვე მას ეკუთვნოდა და არა სხვა ვინმეს. გარდა ამისა, ანგარიში იმ გარემოებასაც უნდა გაეწიოს, რომ ანრი ბეილი ამ წიგნებს უმთავრესად თვითსრულყოფის მიზნით წერდა, «გამოცდილების მისაღებად» და არა ორიგინალური მკვლევარის რენომეს დასაცავად თუ საჩვენებლად. ანრი ბეილი ცდილობდა არა მარტო ცოდნის მიღებას, არამედ მისი გამოყენების უნარის გამომუშავებასაც. ამიტომ მოგახსენებთ, რომ ყველაფერი, რასაც ანრი ბეილი წერდა, მხოლოდ ვარჯიში იყო სტენდალის მოსამზადებლად. წერდა კი ბევრს, ძალიან ბევრს! მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მხოლოდ დღიურების სახით ჩანაწერებმა თხუთმეტიოდე ტომი შეადგინა. ამას ემატება ექვსი ტომი ლიტერატურული კორესპონდენციებისა და ის რამდენიმე წიგნი, რაც ანრი ბეილმა გამოაქვეყნა სხვადასხვა ფსევდონიმით. უნდა ითქვას, რომ ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი ამ ნაწერებისადმი თვითონვე იყო. შეიძლება ზედმეტად მკაცრიც. ასეა თუ ისე, ყოველივე ამას მან «ლიტერატურული ღორობა» უწოდა, ან კიდევ «სისულელეები, რასაც ჩვენ ჩავდივართ დაბადებამდე». ამით ისა თქვა, რომ ყველაფერი, რაც სხვათა ნიღბებს ამოფარებულმა ანრი ბეილმა შექმნა, სტენდალის «დაბადებამდეა» დაწერილი. შეიძლება ეს მართლაც ასეა, მაგრამ მის მიერ გაწეული შრომა უნაყოფო მაინც არ ყოფილა: ამით ბეილი «ცხოვრების ხელოვნებას» ეუფლებოდა და სტილის გამომუშავებას ცდილობდა. ასე ყალიბდებოდა მისი უაღრესად რთული პიროვნება, რაცDშეგვიძლია ღრმასა და ვრცელ ტბას შევადაროთ. ამ ტბას უამრავი მიწისქვეშა შენაკადები აქვს. ეს შენაკადები ავსებენ მას, ხოლო შემდეგ იმავე ტბიდან უამრავი ნაკადული მოედინება _ ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ მაინც ერთი წყაროდან (ტბიდან) გამომდინარე. ეს ნაკადულები შემდეგ ისევ ერთიანდებიან, მდინარეებად იქცევიან და ზღვას უერთდებიან. ასეა ანრი ბეილიც. იგი ჯერ «ცხოვრების გამოცდილებით» აივსო (ტბა), სხვადასხვა ჯურის ადამიანების ხასიათებს დაენათესავა (მიწისქვეშა წყაროები); შემდეგ ამას მოჰყვა საკუთარი სულის (ისევ იმ ტბის) ანალიზი, გულწრფელი აღსარება და უამრავი სხვადასხვა ხასიათების პერსონაჟებში განსახიერება (იმ ტბიდან გამომდინარე ნაკადულები), რაც საბოლოოდ სტენდალის ფენომენის «ზღვას»

ქმნის. მკვლევარი ვალდებულია ის მიწისქვეშა წყაროები დაძებნოს, ის ტბაც შეისწავლოს, მისგან გამომდინარე ნაკადულებიც და მოგვცეს სრული წარმოდგენა «ზღვაზე», რომელსაც სტენდალი ეწოდება. ვიმეორებ, რომ ეს ძნელი საქმეა, ძალიან ძნელიც, მაგრამ აუცილებელი, რადგან უამისოდ ბეილიცა და სტენდალიც ისე დაგვაბნევენ, რომ ვერც ერთ მის მიერ დასმულ საკითხს ვერ ვუპოვით შესავალ კარს. საქმე ის არის, რომ იმ «მიწისქვეშა წყაროებში» წუმპის წყალიც ბევრი ურევია. ნატურალისტ მწერლებზე ამბობდნენ, ყველა წუმპიდან სვამენ წყალსო. უნდა მოგახსენოთ, რომ არც ანრი ბეილი ერიდება ამას. მას შეუძლია ისეთი რამ ჩაიდინოს ან გაამჟღავნოს, რაც ზიზღს გვრის, ოღონდ იმ «სხვის» თუ «შემაძრწუნებლად მეორის» ხასიათს დაანათესავოს. იგი ამისთვის არც საკუთარი სულის სარჩულის გადმობრუნებას ერიდება. იცის, რომ შეპყრობლია პატივმოყვარეობის სენით, მაგრამ სულაც არ ცდილობს ამის დამალვას. პირიქით, ყველაფერი სააშკარაოზე გამოაქვს, მხოლოდ იმ პირობით, რომ თვითონ ეფარება «თავისივე სხვის» ნიღაბს და ასე ავლენს მის (ფაქტიურად, თავის) ხასიათს. ანრი ბეილი წერდა:

«პატივმოყვარეობისათვის მე მზად ვარ ჩავიდინო როგორიც გნებავთ, ისეთი უხამსობა, საზიზღროება, ყველაფერი...»

ასე გრძნობდა იგი სხვის ხასიათს, თვალნათლივ ხედავდა მას, აკვირდებოდა, სწავლობდა, ლაბორატორიული სიზუსტით აანალიზებდა და საკუთარი თვალთახედვის რენტგენის სხივებით გაშუქებულს ანსახიერებდა თავისი რომანების პერსონაჟებში. ამიტომაც ვამბობთ, რომ მისი ნაწარმოებების თითქმის ყველა გმირი თვითონ ისაა _ ანრი ბეილი; ყველაფერი მასშია მოცემული ან, როგორც თვითონ ამბობს _ დაკრისტალებული; ხოლო რაც არ არის, რაც ეწინააღმდეგება მის ბუნებას, იმას იგონებს, წარმოიდგენს, სხვისი ხასიათებიდან ანათესავებს და ისე ქმნის ახალ სახეს. ამისი მაგალითი უამრავია როგორც პირად ცხოვრებაში, ისე მის რომანებში. ცნობილია, რომ ჭაბუკი ბეილი რაღაც ავადმყოფურად მორცხვი და გაუბედავი იყო ქალთა საზოგადოებაში, რაც მას ტანჯავდა, რადგან ახალგაზრდობაში ქალებთან სიახლოვე მიაჩნდა ბედნიერების მთავარ წყაროდ, უნდოდა კიდეც დაეძლია «ნაპოლეონის ოფიცრისათვის» ეს ყოვლად მიუტევებელი ნაკლი, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, თუმცა ამ სფეროშიც ბევრს ვარჯიშობდა. თავის თავს არწმუნებდა, სიყვარულის გარეშე ვერაფერს მიაღწევს ადამიანიო. მისი უმაღლესი იდეალია ლამაზი ქალის სიყვარული და აქ იგი ყველაზე ხელმოცარული იყო, ამიტომ დონ კიხოტივით იგონებდა თავის დულცინეას, ვითომ შეყვარებული იყო, განიცდიდა თავისი სიყვარულის გაუზიარებლობას, იტანჯებოდა, დღიურებს ავსებდა გულისამაჩუყებელი

აღსარებებით... ყველაფერი კი თამაში იყო. მისივე დღიურებიდან ვიცით, თუ რა თავგამოდებით «უყვარდა» მას მთელი ხუთი წლის განმავლობაში ვინმე ვიქტორინა მუნიე, რომლის შესახებ ერთხელ გაიგონა, კარგად უკრავს როიალზეო. თვითონ ქალი კი თვალით არ უნახავს. წარმოდგენილი კი ჰყავდა, თუ რა ლამაზი იყო მისი «ოცნების დედოფალი» - ნატიფი, ცისფერთვალება. მერე რომ უთხრეს, ის შენი მუნიე ერთი სქელი და ძალიან უშნო გოგოაო, არ დაიჯერა, ისევე როგორც დონ კიხოტს არ სჯეროდა, შენს დულცინეას «მინანქრისებური თვალები» აქვსო რომ უთხრეს, როგორ შეიძლება ასე იყოსო.

ხუთი წლის შემდეგ ანრი მართლა შეხვდა იმ მუნიეს და რომ დარწმუნდა, მართალს ეუბნებოდნენ, გაოცებულ ქალიშვილს კაბა შეუქო და სამუდამოდ განშორდა. ერთხანს ასევე გატაცებული იყო იგი მსუბუქი ყოფაქცევის ქალით ანჟელა პიეტრაგუათი. ის ანჟელა კი ისე კალთამადლიანი ვინმე იყო, რომ არც ერთ ოფიცერს არ უშვებდა გულდაწყვეტილს. ანრი ბეილი კი ფარულად იტანჯებოდა თავისი «უნუგეშო სიყვარულით»... მერე, თერთმეტი წლის შემდეგ ანრი ბეილი ისევ შეხვდა იმ ანჟელას და გაუმხილა თავისი უნუგეშო სიყვარულის ძველი ამბავი. ანჟელა პიეტრაგუამ გულწრფელად გაიოცა, მერედა რაზე იტანჯებოდი, მაშინვე ვერ მითხარიო, და... მართალია, გვიან, მაგრამ მაინც გამოასწორა ეს შეცდომა. ასეთ შემთხვევაში კი ანრი ბეილს ჩვეულებად ჰქონდა, ქამარზე ამოექარგა თავისი «გამარჯვების» ზუსტი თარიღი და «დამარცხებულის» ვინაობა, და ამ წესისათვის არც ახლა უღალატია.

ასეთი ამბები იმითაა საინტერესო, რომ შემდეგში მის რომანებში იჩენენ თავს, მაგრამ არა მოდელიდან პირდაპირ გადაღებულად, არამედ შეცვლილი სახით. სტენდალი არც ამ შემთხვევაში იზღუდავს თავს ზედმეტად. იგი ანრი ბეილის ყოველ თავგადასავალს, მისი ხასიათის ყოველ გამოვლენას ისე ატრიალებს, როგორც სურს, ზოგჯერ კი სრულიად ანტიპოდურ სახეებსაც ქმნის მისგან, მაგრამ ისე, რომ მოდელი მაინც არ იკარგება. ასე მაგალითად, თუ თვითონ ანრი ბეილი ძალიან მორცხვი და გაუბედავი იყო სიყვარულში, ამ ნაკლს სტენდალი ასწორებს თავის რომანში «წითელი და შავი». მისი ჟულიენ სორელი, მოგეხსენებათ, საკმაოდ გაბედულია და უტიფარიც ამ მხრივ, რაც ქალბატონ რენალზე თავბრუდამხვევი იერიშიდანაც ჩანს, მაგრამ საქმე ის არის, რომ მოდელი არც აქ იკარგება. რომანს რომ წაიკითხავთ, დაინახავთ, რამდენი შინაგანი ბრძოლა, მერყეობა, გაუბედაობა, შიში დასძლია ჟიულიენმა, ვიდრე გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდოდა. ასეა სხვა შემთხვევებშიც. ამიტომ ანრი ბეილის სულიერი ბიოგრაფიისა და

სტენდალის რომანების გმირთა ხასიათის შედარებითი ანალიზის გარეშე ძნელია ამ უაღრესად რთულ და საინტერესო მწერალზე სწორი წარმოდგენის შექმნა.

* * *

ამ ამოცანის შესრულებას, ასე თუ ისე, აადვილებს სტენდალის ავტობიოგრაფიული წიგნი «ანრი ბრიულარის ცხოვრება» და დღიურებისა თუ ჩანაწერების რამდენიმე ტომი, სადაც სეისმოგრაფიული სიზუსტითაა ფიქსირებული ავტორის სულიერი მოძრაობის ყველაზე ფაქიზი, თანაც საოცრად ცვალებადი და ძნელად მოსახელთებელი ნიუანსები. ცვაიგის მიხედვით, ანრი ბეილს ამის განსაკუთრებული უნარი აქვს. მან იცის: შინაგანი გრძნობა შენიშნავს თუ არა, მითვალთვალებენო, მაშინვე დაირცხვენს და ისე სწრაფად გადაიცვამს ტანისამოსს, რომ საჭიროა მწერალმა ერთი ნახტომით, ელვისებური სისწრაფით წამოაგოს ის ანკესზე და ამოისროლოს ცხოვრების ნაკადიდან იმ წამიერ მომენტში, როცა ის ტანშემოძარცულია და ჯერ კიდევ არ არის მიმხვდარი _ მიყურებენო. ასეთ დროს გრძნობა სრულიად შიშველი მოცურავს ცნობიერების ნაპირისაკენ. აი, სწორედ ასეთი თვითდაკვირვების ამ წამის წამოგებაა საჭირო ფანქრის წვერზე, ვიდრე ის ქვეცნობიერის სფეროში მიიმალებოდეს ან პირმოთნეობის ბურუსში გაეხვეოდეს. ეს უზრუნველყოფს გრძნობის შეუფერაობასა და ბუნებრიობას. ანრი ბეილი იხსენებს, რომ მან მთელი ბავშვობა პირმოთნეობის ატმოსფეროში გაატარა. ამის შესახებაცაა დაწერილი «ანრი ბრუილარის ცხოვრება», სადაც სტენდალი ათეული წლების გამოცდილების სიმაღლიდან უყურებს თავისი ბავშვობისა და ყრმობის წლების განცდებს. თხრობაში ნათლად იგრძნობა ეს მანძილი. სტენდალისათვის ჭაბუკი ანრი ბეილი ვიღაც სხვაა, ვისაც იგი «მათემატიკური სიზუსტით» სწავლობს. თვითონაც წერს, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემში სხვა აღმოვაჩინეო. ეს «აღმოჩენა» განაპირობებს ნაწარმოების ობიექტურობას და გულწრფელობას. აქ ავტორის «სხვასთან დანათესავებული» ხასიათის ჩამოყალიბების პროცესია ნაჩვენები, როგორც მისივე სულიერი ცხოვრების სხვადქცეული, ანუ გაუცხოებული თავგადასავალი. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ჩვეულებრივად მალავს რაღაცას, თავისთვის ინახავს, არ ამჟღავნებს, რადგან უხერხულად მიაჩნია იმის გამოაშკარავება, რაც სირცხვილის გრძნობას იწვევს. ყოველივე ეს «თავის თვითონში» რჩება და «სხვა თვითონად» არ იქცევა. სტენდალისათვის კი ამგვარი «პირმოთნეობა» უცხოა. იგი ქვეცნობიერის სფეროში არაფერს მალავს და არც თავს გრძნობს უხერხულად, როცა თავისივე მანკიერება გამოაქვს სააშკარაოზე. იგი ხაზგასმული პირდაპირობით წერს

თავისი გრძნობების ბნელ თუ ნათელ მხარეებზე. ამის მიხედვით ანრი ბრუილარი (ე. ი. ჭაბუკი ბეილი) ხასიათდება როგორც გადაჭარბებული, ზედმეტად გაფაქიზებული გრძნობების ადამიანი. ეს კი ბევრ რამეს ნიშნავს, რადგან სტენდალისათვის, საერთოდ, გრძნობაა სულიერი ცხოვრების უმთავრესი ძალა. ეს თვით ბალზაკმაც შენიშნა, რომელიც «ეტიუდში ბეილის შესახებ» წერდა, მისთვის გრძნობა უდრის ტალანტსო. გრძნობა გაგების მეტოქეა, როგორც მოქმედება _ განსჯისა. საშუალო ადამიანი გრძნობის ძალით შეიძლება უფრო მაღლა იდგეს, ვიდრე გენიალური ხელოვანი. ეს ამართლებსო ქალებს, _ განაგრძობს ბალზაკი, _ რომელთაც ბრიყვები უყვართ. ამის ლიტერატურული რემინისცენცია იმაში გამოიხატა, რომ სტენდალმა თავისი ფაბრიციო («პარმის სავანე») სხვებზე მაღლა დააყენა სწორედ გრძნობის სიძლიერით, რადგან გონებით სხვას ვერ გადააჭარბებდა. გრძნობების ამგვარი უპირატესობითაა გამოწვეული ანრი ბეილის თითქმის ავადმყოფური მიდრეკილება ხელოვნებისადმი, რაც, მისი აზრით, მოწოდებულია აღძრას ძლიერი გრძნობები, ემოციები და მოგვხიბლოს «სილამაზის სანახაობით».

სტენდალის რომანებში ამ რაკურსითაა დანახული ადამიანის სულიერი ცხოვრების დამახასიათებელი ნიშნები, ყველაფერი, რაც მას მნიშვნელოვნად და საყურადღებოდ მიაჩნია. გრძნობების დახასიათებისას იგი ყოველთვის ცდილობს იყოს მართალი და ბუნებრივი, მაშინაც კი, როცა სრულიად მოულოდნელ აფეთქებებთან აქვს საქმე. ყოველი ადამიანი თითქოს დამუხტულია გრძნობათა დადებითი და უარყოფითი ელექტრობით. მათი დაპირისპირება პოლარული ხასიათისაა და როგორც კი რამე მიზეზით მოულოდნელი, თუნდაც შემთხვევითი კონტაქტი ხდება _ აფეთქება, ზოგჯერ კატასტროფაც, გარდუვალია. ამიტომაა ადამიანი სულ მუდამ აღგზნებულ მდგომარეობაში, რაღაცის მოლოდინსა და გაურკვეველ შიშში შეუცნობლობის წინაშე. თვითონ სტენდალშიც ერთიანდება ეს ორი იპოსტასი: ინტელექტუალობა და ეგზალტირებული მგრძნობელობა. ამის გამო ცვაიგმა იგი შეადარა ზღაპრულ პრინცესას, რომელიც ბუმბულის ასი ლეიბის ქვეშაც გრძნობს ფეტვის მარცვალს და წუხს ამის გამო. იგი ყველაფერს ხედავს, ამჩნევს და გრძნობს. რაც მის ოცნებებსა და იდეალებს არ შეესაბამება, ისე აღიზიანებს, რომ ერთხელ თვითმკვლელობაზეც კი უფიქრია. იგი ვერ იტანს ცხოვრების უსამართლობას, ფარისევლობას, პირმოთნეობას, სტილის ზედმეტ მოკაზმულობას, ყალბ ფრაზას, უაზრო ჟესტს, ცრუ პათეტიკას. ყოველივე ეს სასოწარკვეთას ჰგვრის, რის გაფანტვასაც საკუთარ პიროვნებაში ჩაღრმავებით,

თვითანალიზითა და ოცნებებით ცდილობს. ამიტომაც ამბობს, ყველაფერზე უფრო ოცნება მიყვარსო. რა თქმა უნდა, უყვარს, მაგრამ უხეში სინამდვილე ამსხვრევს მის ნაოცნებარ იდეალებს და ძალაუნებურად ითრევს სინამდვილის ჭაობში. აქ კი მისი კრიტიკული ხედვა უაღრესად გამძაფრებულია. იგი არც სხვას ინდობს და არც თავის თავს. ცნობილია, რომ ბეილი დიდი ხანი იდგა ხოლმე სარკის წინ და ზიზღით ათვალიერებდა თავის «გასიებულ სახეს», «მორგვივით ტანს», «ტლანქ მიმოხრას», «უსაშველოდ დიდსა და ძირს ჩამოვარდნილ მუცელს». იგი წუხდა, რომ მისი «მეოცნებე სული ესოდენ შეუფერებელ, მძიმე და ულაზათო სხეულში» იყო მოთავსებული. ზოგჯერ ვინმე ბანოვანის მიერ უგულებელყოფით აღშფოთებული ისევ დღიურებში წერდა, ბულდოგს ვგევარო, ან თავის თავს «მილანელ ყასაბს» უწოდებდა. სხვებიც დასცინოდნენ მას. ვიწრო თვალის ჭრილის გამო «შინუას» _ ჩინელს ეძახდნენ. ბეილს კი ნუგეშად ისღა რჩებოდა, რაც ერთხელ ბაბუა ვინიონს უთქვამს მისთვის, _ შენ მახინჯი ხარ, მაგრამ საკუთარი სახე გაქვსო.

სტენდალი ყოველთვის ახერხებდა «საკუთარი სახის» შენარჩუნებას, მაშინაც კი, როცა ათასგვარ ნიღბებს ეფარებოდა, ან სხვის ხასიათს უნათესავდებოდა. ამაშია მისი პიროვნების სირთულე. ვინ იცის, იქნებ ანრი ბეილს და სტენდალს შორის განსხვავების მიზეზიც ეს იყოს: ანრი ბეილი სულ იმას ცდილობდა, სხვას დამსგავსებოდა, მაგრამ სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა. სტენდალი კი პირიქით, რაღაც შინაგან ზიზღს გრძნობს სხვებისადმი, თავის შინაგან სამყაროში იკეტება და, როგორც დღიურებში წერს, «უკიდურესი ეგოტისტი» ხდება. ეს კარგად ჩანს მის ცნობილ წიგნში «ეგოტისტის ჩანაწერები». აქაც სულ «საკუთარი პერსონის» განქიქებაა, რითაც იგი ეჩვევა თვითანალიზს, თანაც უფრო გულგრილი ხდება გარეშე ამბებისადმი, ძველებურად აღარ არის გატაცებული პოლიტიკური ბრძოლებით, არც ზედმეტად იწუხებს თავს რამეზე. ამბობს, ყველაფერს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის ვაკეთებო. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ სიბერეში შესვლამდე აღარც მწერლობა გაუხდია «თავისი ხელობის საქმედ». უფრო მუსიკითა და მხატვრობით იყო გატაცებული. რომენ როლანმა სტატიაში «სტენდალი და მუსიკა» სცადა აეხსნა ამის მიზეზი, თან საყვედური გამოთქვა, რომ ლიტერატურათმცოდნეობა არ უთმობს საჭირო ყურადღებას საკითხს, თუ რა ადგილი უჭირავს მუსიკას სტენდალის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. როლანის აზრით, მუსიკა იყო მისი მთავარი ვნება, მისი ყველაზე დიდი, ღრმა და მყარი გატაცება. ამგვარი თვალსაზრისი თვითონ სტენდალსაც აქვს გამოთქმული. «ანრი ბრუილარის ცხოვრებაში» იგი წერს:

«მუსიკა იყო ჩემი, შესაძლებელია, ყველაზე ძლიერი და ძვირფასი მიდრეკილება. ახლაც, როცა უკვე 52 წლისა ვარ, მუსიკის სიყვარული კიდევ უფრო სრულია და ცოცხალი ჩემში, ვიდრე ოდესმე. მე სიამოვნებით გავივლიდი ასიოდ ლიეს, დავთანხმდებოდი კვირეების მანძილზე ციხეში ჯდომას, ოღონდ მომესმინა «დონ ჟუანი» ან „Matrimonio segreto“ (მოცარტისა და ჩიმაროზას ოპერები, _ მ. კ.). ვერც წარმომიდგენია, სხვა რამისთვის თუ შემეძლო ასეთი ხარკი გამეღო».

ერთხანს სტენდალს ეგონა, რომ იგი კომპოზიტორად იყო დაბადებული და არა მწერლად, თუმცა მუსიკისათვის არც მწერლობაში უღალატია. შემთხვევამ ინება ჩამეწერა ბგერები, რაც ჩემს სულში იბადებოდაო, წერს იგი. როლანსაც მიაჩნია, რომ სტენდალის მთელი გრძნობა და გონება გარემოსილია მუსიკითა და ფერებით. თავის შემოქმედებაში იგი აღწევდა კიდეც ამ ორი იპოსტასის _ ფერებისა და ბგერების სრულ შერწყმას.

სტენდალს ყველაზე უფრო ჩიმაროზასა და მოცარტის მუსიკა მოსწონდა. ამბობდა, ჩიმაროზა ჩემი ახალგაზრდობის მხურვალე სიყვარული იყო, ხოლო მოცარტი _ მთელი ცხოვრების ერთგული მეგობარიო. იმასაც აღნიშნავენ, რატომღაც ეშინოდა ბეთჰოვენისო. უფრო იტალიური მუსიკით იყო მოხიბლული. იქნებ ამითაცაა გამოწვეული, ცხოვრების დიდი ნაწილი რომ იტალიაში, მილანში გაატარა, «ლა სკალას» სიახლოვეს.

მუსიკით ამგვარმა გატაცებამ ანრი ბეილის (სტენდალის) მთელ შემოქმედებაზე მოახდინა გავლენა. მისი რომანების გმირები _ ჟიულიენი, ფაბრიციო, ქ-ნ დე ლამოლი, კლელია და სხვები თავიანთ გრძნობებს თითქოს მუსიკალური აკომპანიმენტებითაც გამოხატავენ...

მიუხედავად მძიმე სამსახურებრივი და სულიერი მდგომარეობისა, სტენდალი თავს ბედნიერად გრძნობდა იტალიაში. «ლა სკალას» ბრწყინვალე სპექტაკლებით, უძვირფასესი ექსპონატებით სავსე მუზეუმებით, დიდებული არქიტექტურული ძეგლებითა და... იტალიელი ბანოვანებით ისე იყო ყელამდე სავსე, რომ შეუძლებელიცაა ამას დიდი გავლენა არ მოეხდინა მის მხატვრულ შემოქმედებაზე. მართალია, სიყვარულში ისევ ხელმოცარული იყო, მაგრამ ამ დანაკლისს ოცნებით ავსებდა ან კიდევ რომანებში გამოყვანილ გმირებს ასრულებინებდა თავის საწადელს. ცნობილია ბეილის უნუგეშო სიყვარული მატილდა ვისკონტინი-დემბოვსკასადმი. მატილდა მას მეგობრობას სთავაზობდა, მაგრამ სიყვარულს უკრძალავდა. მერე ჩამოიშორა კიდეც, მაგრამ სტენდალი განუწყვეტლივ წერდა გულისამაჩუყებელ წერილებს. მატილდა ამ წერილებს გაუხსნელად უბრუნებდა «გაწბილებულ დონ ჟუანს». ამან ისე გააცოფა სტენდალი, რომ განიზრახა

გამოეყვანა ეს მატილდა რომანის პერსონაჟად და სამაგიერო მიეზღო შეურაცხყოფისათვის; დაიწყო კიდეც ცხელ გულზე წერა, მაგრამ ათიოდე გვერდის შემდეგ თავი მიანება, თუმცა ეს მატილდა სრულიად ტრანსფორმირებული სახით მაინც გამოჩნდა მის რომანში «წითელი და შავი».

ალბათ, ამდენმა უიღბლო ტრფიალებამ აიძულა «ცხოვრების ხელოვნებას» საკმაოდ დაუფლებული ბეილი, «მათემატიკური სიზუსტით» შეესწავლა «სიყვარულის მექანიზმი». ამისთვის, მისი აზრით, ამ «უპირველესი გრძნობის» ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური საფუძვლების გამოკვლევა იყო საჭირო. ეს მან შეასრულა კიდეც 1822 წელს დაწერილი ტრაქტატით «სიყვარულის შესახებ». თვითონ ავტორის განცხადებით, «ეს არის მოგზაურობა ადამიანის გულის ნაკლებად ცნობილ კუნჭულებში». მისი მიზანია სიყვარულის გრძნობის საიდუმლოებათა «მათემატიკური სიზუსტით ამოხსნა». ამისთვის ბეილი კლინიკურად სწავლობს სიყვარულს, როგორც სნეულებას. იგი ადგენს ამ გრძნობის სამ უმთავრეს სახეობას: 1. სიყვარული _ ვნება; 2. სიყვარული _ მიდრეკილება; 3. სიყვარული _ პატივმოყვარეობა. სამივე სახე განხილულია სინამდვილისა და წარმოსახვის ასპექტში, რასაც თვითონ «სიყვარულის კრისტალიზაციას» უწოდებს. განუწყვეტელმა თვითანალიზმა ანრი ბეილს განუმტკიცა აზრი, რომ ადამიანის შინაგანი სამყაროს ისეთივე ობიექტური გამოსახვა შეიძლება, როგორც გარეშე სინამდვილისა, რაც კიდევაც განახორციელა თავის ბრწყინვალე რომანებში.

* * *

რეაქციის პერიოდში ანრი ბეილი იტალიაში პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფეობდა. იგი ეჭვმიტანილი იყო როგორც «კარბონარულ მოძრაობასთან დაკავშირებული უცხოელი». 1821 წელს, ამ მოძრაობის მონაწილეთა ცნობილი პროცესის შემდეგ, ბეილი იძულებული გახდა საყვარელი მილანი დაეტოვებინა და საფრანგეთში დაბრუნებულიყო. აქ კი რესპუბლიკელებს დევნიდნენ. ყველას, ვინ ბურბონების წინააღმდეგი იყო, «ფრანგ კარბონაროებს» უწოდებდნენ. ანტიმონარქისტული მოძრაობა მაინც ძლიერდებოდა, განსაკუთრებით ე. წ. «საღვთო კავშირის» ქვეყნებში. ბეილი ამ დროს, სხვადასხვა ფსევდონიმს ამოფარებული და საიმედოდ შენიღბული, უამრავ პუბლიცისტურ სტატიებს აქვეყნებდა როგორც პარიზის, ისე ლონდონის ჟურნალებში. იგი გაბედულად ესხმოდა თავს რეაქციონერებს, მონარქისტებს, საგვარეულო და საფინანსო არისტოკრატიას. მოწინააღმდეგენი, რომელთაც იცოდნენ ამ სტატიების ავტორის ვინაობა,

«ღიპიან მეფისტოფელს» უწოდებდნენ და ცინიზმს, უზნეობასა და უღმერთობას დებდნენ ბრალად. პროსპერ მერიმემაც «ღვთის მტერი» უწოდა. ამაზე ბეილმა უპასუხა: ღმერთს ბოდიშს მხოლოდ ის ხდის, რომ არ არსებობსო.

ბეილის სტატიები მართლაც სავსეა სარკაზმითა და ირონიით. ესეც ერთგვარი ვარჯიში იყო და მწერალი უფრო დახელოვნდა, კიდევ უფრო გაიწაფა ხელი. იმავე მერიმეს სიტყვებია: «იგი წერდა ბრწყინვალედ ისე, რომ თვითონაც არ ჰქონდა ეს შეგნებული». ვინ იცის, ასეა ეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ამ დროს ბეილს უკვე საკმაოდ ნათლად აქვს ჩამოყალიბებული თავისი ესთეტიკური იდეალი. ნარკვევი «შექსპირი და რასინი», სადაც მან თავი «შიშველი სიმართლის» მომხრედ გამოაცხადა, შეიძლება ფრანგული რეალიზმის პირველ ესთეტიკურ მანიფესტად ჩაითვალოს.

ბეილი ახალგაზრდობაში ოცნებობდა ისეთი მწერალი გამოსულიყო, როგორც კორნელი და რასინია. ამის შესახებ წერდა კიდეც დას _ პოლინას: მე მინდა სამასი წლის შემდეგ კორნელისა და რასინის თანამედროვედ მთვლიდნენო. მაშინ ბეილი კლასიკური ტრაგედიებისა და კომედიების შექმნაზე ოცნებობდა. ბუალო იყო მისთვის ლიტერატურის უზენაესი კანონმდებელი. ამ პოზიციიდან ებრძოდა იგი რომანტიზმს. ოციან წლებში ეს ბრძოლები უმთავრესად შექსპირისა და რასინის დაპირისპირებაში გამოიხატებოდა. კლასიცისტები რასინს იცავდნენ, რომანტიკოსები _ შექსპირს. ბეილიც ჩაება ამ ბრძოლაში, მაგრამ მან სრულიად თავისებურად გაიგო «რომანტიზმი». ყველაფერი, რაც მისი თვალსაზრისით ჭეშმარიტად ღირებულია ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში _ რომანტიზმია. ყველა დიდი მწერალი რომანტიკოსიაო, ამტკიცებს იგი. «რომანტიზმი», მისი აზრით, სინამდვილის სწორ ასახვას ნიშნავს. ფრანგი მატერიალისტები და XVIII საუკუნის განმანათლებლები მიაჩნია მას სინამდვილის ამგვარი რეალისტური ასახვის ფუძემდებლად, ნიმუშად კი _ მოლიერი, რომელიც, მისი აზრით, «ტიპიურად განზოგადებულ» სახეებს ქმნის.

ასე თავისებურად მიდის ბეილი რეალიზმისკენ. იგი მოითხოვს «სინამდვილის მათემატიკური სიზუსტით» ასახვას, რასაც კრიტიციზმის გაძლიერება მოჰყვება მის შემოქმედებაში. იგი ისევ თავგამოდებით იბრძვის როგორც რესპუბლიკის, დემოკრატიის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მომხრე, თუმცა უკვე ეჭვიც ეპარება ცხოვრების მანკიერებასთან ბრძოლის პერსპექტულობაში. ხედავს, რომ ამგვარი ბრძოლით დიდი არაფერი გამოდის და როგორც პატივმოყვარე სახელმწიფო მოხელე, თვითონაც ეფლობა შემგუებლობის ჭაობში. იგი აკეთებს იმას, რაც ეზიზღება. მწერლობაში

დასახული მიზანი აიძულებს მას «დაუნათესავდეს სხვათა ხასიათებს». ამიტომ იკეთებს «პატივცემული ვიგინდარების ნიღბებსაც» და ასახავს რომანებში, როგორც თავისივე სულის ნაწილებს. ამით ისტორიული პროტოტიპები _ ლუდოვიკოები, რიშელიები, მეტერნიხები და სხვები, მისი თანამედროვენი თუ ნაცნობები, თავდადებული რესპუბლიკელები თუ რესტავრაციის მონარქისტი ბობოლები ავტობიოგრაფიულ ასპექტში გარდაისახებიან მის რომანებში. ასე რომ, ეს «პროტოტიპები» უშუალოდ კი არ არიან ასახულნი სტენდალის რომანებში, არამედ ჯერ ანრი ბეილად იქცევიან, ხოლო შემდეგ თვითანალიზის გზით ხორცს ისხამენ მხატვრულ ნაწარმოებებში. ასე რომ, ბეილის რომანების ამაზრზენი პერსონაჟების პროტოტიპებიც სადმე სხვაგან კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ თვით მასში, ანრი ბეილში. ეს, შეიძლება, რამდენადმე ძნელი გასაგები იყოს, მაგრამ ასე კია. როცა ფლობერს ჩააცივდნენ, ვინ არის მადამ ბოვარის პროტოტიპიო, განრისხებულმა უპასუხა: «მადამ ბოვარი მე თვითონა ვარ!..»

აქაც იგივე უნდა ითქვას: სტენდალის გმირები განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ზნეობისა თუ უზნეობისა, მაინც ანრი ბეილები არიან, ანუ თავად სტენდალი! როცა ჟიულიენზე, ლუსიენსა თუ ფაბრიციოზეა ლაპარაკი _ ეს ადვილი გასაგებია, მაგრამ ლუი არაგონი წერს: «ასევე შეიძლება ითქვას, რომ მარკიზი დე ლამოლიც სტენდალია». ამრიგად, სტენდალი ისეთი ლიტერატურული ფენომენია, რომელიც ანრი ბეილის ყველა ანტინომიურ თვისებებს აერთიანებს. მისი გმირების წყარო თვით ბეილის «ცხოვრების ხელოვნებაა». აქაა მოცემული ყველაფერი, რასაც ცხოვრება ქმნის, რაც მას უყვარს და რაც სძულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ ეს არის ანრი ბეილის «მოულოდნელის ლოდინის სიამოვნება» თუ «ღვთაებრივი გაუთვალისწინებლობა», რამაც აგრძნობინა გენიალობის გაღვიძება და დიდი მხატვრული ტილოების შესაქმნელად მოუწოდა.

* * *

ახლა ის უნდა ვიკითხოთ, როდის მოხდა ეს? როდის იგრძნო მან «გენიალობის გაღვიძება» და როდის ჩამოჰკრა კაჟს რკინა ნაპერწკლების გასაჩენად, რაც შემდეგ ხანძრად უნდა ქცეულიყო. ამ კითხვაზე შეიძლება ერთადერთი პასუხი იყოს: 1827 წელს, როცა უკვე ორმოც წელს მიღწეულმა გაბედა და რეაქტიული სისწრაფით (ოცდათერთმეტ დღეში) შექმნა პირველი დიდი რომანი _ «არმანსი».

ჩვეულებრივად წერენ, რომ სტენდალი ხუთი რომანის ავტორია. ეს ასეა, მაგრამ ნამდვილი შედევრი მათ შორის მხოლოდ ორია _ «წითელი და შავი» და «პარმის სავანე».

პირველი რომანი «არმანსი» ვულკანის პირველ ამოხეთქვას ჰგავდა და ვიდრე დაიწმინდებოდა, ფერფლიც ბევრი ამოჰყვა. ორი უკანასკნელი კი («ლუსიენ ლევენი» და «ლამიელი») დაუმთავრებელი დარჩა. გარდა ამისა, სტენდალს ეკუთვნის მთელი სერია მოთხრობებისა საერთო სათაურით «იტალიური ქრონიკები» («ვანინა ვანინი», «ვიტორია აკორამბონი», «ჩენჩი», «ვიოლანტე პალიანო», «კასტროელი წინამძღვარი»).

სტენდალს არც ადრინდელი ჟანრის _ მოგზაურის ჩანაწერებისათვის უღალატნია და რამდენიმე მხატვრული ნარკვევი გამოაქვეყნა («ეგოტისტის მოგონებანი», «ტურისტის ჩანაწერები» და «1838 წლის მოგზაურობა»). ეს არის და ეს! მერედა, ცოტაა თუ ბევრი? ამ კითხვაზე ძნელია პასუხი. მე მგონი, ეს ბევრიცაა, ცოტაც და მაინც ბევრი. «ბევრი» იმიტომ, რომ სტენდალის თხზულებათა სრული კრებული, ყველაფერი რომ გამოიცეს, სპეციალისტების აზრით, სამოცამდე ტომი გამოვა; «ცოტა» იმიტომ, რომ ამ სამოცი ტომიდან სტენდალის ლიტერატურის სიმაღლეზე, როგორც მოგახსენეთ, მხოლოდ ორი რომანი დგას და მაინც «ბევრი», რადგან ეს ორი რომანი მსოფლიო ლიტერატურის ის შედევრებია, რომლისთვისაც ღირდა სხვა დანარჩენზე ვარჯიში.

რომანში «არმანსი» უმთავრესად რესტავრაციის პერიოდის პრივილეგირებული წოდებისა და კლასების ცხოვრებაა აღწერილი. რევოლუციით დამფრთხალი არისტოკრატები ბრუნდებიან ემიგრაციიდან და რის ვაივაგლახით აკოწიწებენ «ახალ, მყუდრო ცხოვრებას». ნაწარმოების მთავარი გმირი ოქტავ დე მალივერიც ამ წრეს ეკუთვნის, მაგრამ თავისი ხასიათით მაინც ამზადებს ჟიულიენსა («წითელი და შავი») და ფაბრიციოს («პარმის სავანე»). ოქტავი ხედავს, რომ მისი კლასი განწირულია, მაგრამ არც რამე გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა შეუძლია, რადგან თვითონაც ამ კლასის არასრულფასოვნების კომპლექსი ზღუდავს. ბეილიც ამიტომ კმაყოფილდება თავისი გმირის ფსიქო-ფიზიოლოგიური ანალიზით და სულაც არ ცდილობს მის სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით დახასიათებას.

ასეა თუ ისე, რომანი არ გამოვიდა. არც მეგობრებმა მოუწონეს. სუმბურულიაო, უთქვამს მერიმეს. თვითონაც მიხვდა ამას, თუმცა ბალზაკი არც ისე მკაცრად იყო განწყობილი ბეილის პირველი რომანისადმი, რომელშიც მან მომავალი სტენდალის «კეთილი ნიშნები» შეამჩნია: აზრებისა და გრძნობების კონკრეტულობა, არისტოკრატიული წრეების მართალი ანალიზი და სხვა. ეს მართლაც ასეა. ბეილს, ფაქტიურად, ერთი არისტოკრატიული სალონის ისტორია აქვს აღწერილი. მოქმედების დრო ზუსტადაა განსაზღვრული: 1827 წელი. რომანში ნაჩვენებია არისტოკრატიული

კლასის გარეგნული ბრწყინვალება, მაგრამ შინაგანი უშინაარსობა და გამოფიტულობა. გავიხსენოთ მარკიზი დე ბონიკე, კომანდორი დე სუმირანი და სხვები. ეს ისეთი ხროვაა, რომელიც გონებისა და გრძნობების ყოველგვარ თავისუფლებას სპობს. ასეთი ბედი ეწევა ოქტავისა და არმანსის სიყვარულსაც. ოქტავის სიმპათია განმანათლებლობისა და რევოლუციური იდეებისადმი უცხოა და საშიში - არისტოკრატიული წრისათვის, თუმცა თვითონ ოქტავიც ამ წრის პირმშოა და სარგებლობს კიდეც მისი პრივილეგიებით. ამის მიუხედავად, ოქტავი მაინც უცნაურად გამოიყურება მათ წრეში. თავისი კლასის უსამართლობით შეწუხებული, იგი არ არის გულგრილი ღატაკი მასებისადმი. ასეთია არმანსიც. ამიტომ გამოძებნეს მათ ადვილად საერთო ენა, მაგრამ მათი სიყვარული განწირულია. ოქტავის დაღუპვა და არმანსის მონაზვნად აღკვეცა ასახულია, როგორც რესტავრაციის პერიოდის რეაქციული გარემოცვის ბუნებრივი შედეგი. ოქტავის უბედურება ის არის, რომ ვერ თავისუფლდება ამ გარემოცვისაგან. მართალია, ზოგჯერ ცდილობს, განერიდოს თავის წრეს, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნის, რომ ბოლომდე გაწყვიტოს კავშირი მასთან. არმანს ზოილოვა, როგორც რუსი დეკაბრისტების შთამომავალი, შედარებით უფრო რადიკალურია, მაგრამ ბეილი აქაც ფსიქოლოგიური პორტრეტის ჩვენებით კმაყოფილდება, თითქოს მისი გრძნობების შინაგანი კონტრასტულობაც იგრძნობა, მაგრამ გადაჭარბებული ფსიქოანალიზი (ესოდენ დამახასიათებელი ჩვენი საუკუნის ბურჟუაზიული რომანისათვის) არ იძლევა მოქმედების დინამიური განვითარების საშუალებას. ეს არის რომანის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი. მიუხედავად ამისა, «არმანსი» მაინც გარკვეული ნაბიჯია ბეილიდან სტენდალისაკენ.

* * *

ნამდვილი სტენდალი კი მაინც «წითელი და შავიდან» იწყება. აქ ჩნდება სრულად მისი ლიტერატურული შესაძლებლობა. სხვა რომ არაფერი დაეწერა, სტენდალი ამ რომანითაც დაიმკვიდრებდა საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი მწერლის სახელს.

ლიტერატურათმცოდნენი დღემდე იკვლევენ საკითხს, თუ როდის დაიწერა ეს რომანი. ამგვარი თავსატეხიც თვითონ ავტორმა გაუჩინა მათ. ადრეც მოგახსენეთ, რომ ასეთ საკითხებზე სტენდალი არასოდეს იძლეოდა სწორ ცნობებს. ხშირად წინასწარგანზრახულადაც მიმართავდა ლიტერატურული ფალსიფიკაციის მეთოდს, ზოგჯერ ცენზურისა და პოლიციის თვალის ასახვევად, ზოგჯერ კი გაურკვეველი

მიზეზების გამო. ამ შემთხვევაშიც ასეა. მკითხველებისადმი მიმართვაში იგი აცხადებს, რომ «წითელი და შავი» დაწერილია 1827 წელს.

«ეს ნაწარმოები, _ წერს იგი, _ მზად იყო გამოსაქვეყნებლად მაშინ, როცა დაიწყო ივლისის დიდი ამბები და ყველას გონებას მისცა ისეთი მიმართულება, რაც ნაკლებ ხელსაყრელია ფანტაზიის თამაშისათვის. გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ ქვემორე გვერდები დაწერილია 1827 წელს...»

მიუხედავად ამგვარი კატეგორიული განცხადებისა, სპეციალისტების გამორკვევით, შეუძლებელია ასე იყოს, რადგან რომანის სიუჟეტურ კანვად გამოყენებული ე. წ. ბარტეს პროცესი დაიწყო 1827 წლის დეკემბერს და დამთავრდა 1828 წლის თებერვალს. გარდა ამისა, რომანში აღწერილია 1829 წელს მომხდარი ამბები, ბევრი რამ კი 1830 წლის ივლისის რევოლუციასთან არის დაკავშირებული, რაზედაც თვითონ ავტორიც მიგვითითებს. სტენდალს ეს «სიცრუე», ალბათ, იმისთვის დასჭირდა, რომ პოლიცია ვერ მიმხვდარიყო, ნაწარმოების იდეა ივლისის რევოლუციით რომ არის შთაგონებული. ლიტერატურათმცოდნენი ვერც იმაში შეთანხმებულან, თუ რატომ ეწოდება ამ რომანს «წითელი და შავი». ათას რამეს ამბობენ: ვითომ წითელი _ რევოლუციის ფერია, შავი კი _ რეაქციისო»; ან: წითელი მკვლელობას ნიშნავს, შავი კი _ გლოვას ჟიულიენ სორელის სიკვდილით დასჯის გამოო; ზოგი იმას გაიძახის: წითელი ჟიულიენის ოცნებაა ნაპოლეონის კარიერაზე, შავი _ ამ ოცნების მსხვრევაო: ე. ი. წითელი და შავი ფერი აღნიშნავს რევოლუციისა და რესტავრაციის ორ მნიშვნელოვან პერიოდს.

საბჭოთა ლიტერატურათმცოდნენი (მაგალითად, ბ. რეიზოვი) ამ საკითხის გარკვევის დროს ყურადღებას აქცევენ რომანის ასეთ პასაჟს: ეკლესიაში სალოცავად დაჩოქილი ჟიულიენი შემთხვევით დასწვდება და იღებს გაზეთის ნახევს, სადაც მოთხრობილია ბარტეს პროცესის ამბავი. ამ დროს ეკლესიის სარკმლიდან შემოიჭრება ჟოლოსფერი სინათლე, ეცემა ემბაზს და აწითლებს წმინდა წყალს, როგორც ბედისწერის ნიშანს.

საერთოდ, ორი ფერის ალეგორიული თამაში შემთხვევითი არ არის სტენდალისათვის. ცნობილია, რომ მის რომანს «ლუსიენ ლევენს» ხან «ჟოლოსფერი და წითელი» ერქვა, ხან «წითელი და თეთრი», ხანაც _ «ვარდისფერი და მწვანე».

ფერების ამგვარი სიმბოლური შეპირისპირება მხატვრობაშიც იყო ცნობილი. ვან გოგი ოცნებობდა, ორი ფერის მოულოდნელი შეკავშირებით გამოეხატა სიყვარულის გრძნობა. გალაკტიონ ტაბიძეს ანრი დე რენიეს ერთ-ერთი ნაწარმოებიდან გადმოუწერია

ფრაზა: «ვარდისფერისა და შავის მოულოდნელი შეხვედრით გამოწვეული განცვიფრება». მისთვისაც სიკვდილის გზაც ხომ ვარდისფერია. ჰოდა, ვინ იცის, იქნებ, სტენდალიც რაღაც ამის მსგავს განწყობილებას გამოხატავს თავისი წითელითა და შავით.

რომანის მოქმედება ოთხ წელს გრძელდება: 19 წლის ჟიულიენ სორელის რენალების ოჯახში შესვლიდან (1826 წ.) გილიოტინამდე. აქ დახატულია რესტავრაციის პერიოდის საფრანგეთი, იმდროინდელი საზოგადოების ყველა ფენა: არისტოკრატია, ბურჟუაზია, სასულიერო წოდება, მშრომელი ხალხი. სტენდალის კრიტიკული მახვილი, უწინარეს ყოვლისა, სასულიერო წოდების, კერძოდ, კათოლიკური ეკლესიის ფარისეველ მსახურთა წინააღმდეგაა მიმართული. რომანში ამ წოდების მთელი იერარქიაა ნაჩვენები. რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთს უკავშირდება. ეკლესია იცავს რეაქციას. ბურჟუაზია უტევს საგვარეულო არისტოკრატიას; ეს უკანასკნელი კი ცდილობს შეეგუოს ახალ ბურჟუაზიულ წყობილებას. ბრძოლის მთელი პათოსი გამოიხატება კარიერიზმსა და პირადი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ახალგაზრდები უფრო რადიკალურად არიან განწყობილნი. მათი უმრავლესობა «კორსიკელი გენერლის» კარიერითაა გატაცებული. ე. წ. «დაბალი წრიდან» გამოსული ახალგაზრდები ისევ რევოლუციაზე ოცნებობენ. ისინი ვერ ეგუებიან საგვარეულო არისტოკრატიის პრივილეგიების აღორძინებას. ასეთია რომანის მთავარი გმირი ჟიულიენ სორელი, ხოლო ნაწილობრივ მატილდა დე ლამოლიც. დრო კი სულ სხვაა: ნაპოლეონის რომანტიკა დამთავრებულია, საფინანსო არიტოკრატია ავიწროებს საგვარეულოს, ბრძოლის ველს ბირჟა ცვლის, ოფიცრის ბრწყინვალე მუნდირს _ ანაფორა. პატივმოყვარეობის ძლიერი გრძნობით შეპყრობილი ჟიულიენი (იგივე ანრი ბეილი) თანდათან ეფლობა ამ ჭაობში. რომანის სხვა გმირებიც ნატურიდან არიან აღებულნი - ზოგი პირდაპირ, სახეშეუცვლელად (ფილანთროპი აპერი, გეომეტრი გრო, მომღერალი ლაბლანში, მღვდელყოფილი დიუკრო, ბიბლიოთეკარი ფალკოზე, სემინარიელი შაზელი და სხვები), ზოგიც ნიღბით: იმ დროის საზოგადო მოღვაწენი, მინისტრები, გენერლები, საგვარეულო და ფინანსური არისტოკრატიის წარმომადგენლები _ როიალისტები, კლერიკალები, ლიბერალები, კათოლიკური ეკლესიის მესვეურები. ყველა მათგანი ადრე, მოგეხსენებათ, ანრი ბეილთან იყვნენ «დანათესავებულნი», ახლა კი მისივე «სხვა თვითონებად» არიან ქცეულნი. თავად სტენდალი ამას «რეალური ფაქტების გადადნობას და ახალი ლითონის მიღებას» უწოდებს. ეს, მართლაც, მისივე «სულიერი მრავალფეროვნების» გამოსხივებაა, განსახიერება იმისი, რაც მასშია მოცემული. სამი ათეული წლის მოსამზადებელმა მუშაობამ, «ცხოვრების ხელოვნების» დაუფლებამ,

უშუალოდ ნაგრძნობმა და განცდილმა შთაბეჭდილებებმა თუ «ხელის გასაწაფავად» დაწერილმა ოციოდე ტომმა შეუქმნა მას ამის შესაძლებლობა. ყველაფერი სხვისმიერი, რაც ანრი ბეილმა «თავის თვითონად» აქცია, შემდეგ სტენდალმა სპექტრივით გაშალა «სხვა თვითონებში». ამიტომ ელვარებენ მისი რომანების პერსონაჟები სპექტრის ყველა ფერით. გორკი წერს, რომ «სტენდალთან გამოსახვა ფიზიკურ შეგრძნებამდე მიდის». იგი საკუთარ მე-ს, გრძნობებსა და შთაბეჭდილებებს უზიარებს თავის ნაწარმოებთა პერსონაჟებს. ისინიც ლაკმუსის ქაღალდივით იჟღინთებიან ყოველივე იმით, რაც ანრი ბეილმა «სხვებთან დანათესავებით» შეისისხლხორცა. აქ ყველანი ფერს იცვლიან, ახალ სახეებად («ახალ ლითონად») იქცევიან, ან სრულიად საწინააღმდეგო ხასიათსაც ამჟღავნებენ. ეს ხდება ბუნებრივად, ძალდაუტანებლად და ისე თავისუფლად, რომ არავითარ იძულებას არ ვგრძნობთ, პირიქით, ჩვენც სტენდალის რომელიმე გმირის (უმეტესად ჟიულიენის) თვალით ვუყურებთ ბეილის სულიერი ცხოვრების ნათელ და ბნელ მხარეებს. ის კი არა მარტო აშიშვლებს თავის შინაგან სამყაროს, არამედ რენტგენის სხივებით აშუქებს ყველაფერს, რასაც ჯერ ბუნება ფარავს სხეულით, ხოლო შემდეგ ადამიანი გაპუდრული პარიკებითა და სხვადასხვა მოდის ტანისამოსით. სტენდალმა მოგლიჯა, მოხსნა პარიკი და შემოახია ტანისამოსი ადამიანურ ფარისევლობას, რისთვისაც არც სხვა დაინდო და არც თავისი თავი. მხოლოდ ამის შემდეგ თქვა ემილ ზოლამ, ჭეშმარიტებას შეუძლია შიშველი სიარულიო. ეს კი სტენდალთან უმტკივნეულოდ როდი ხდება. თვითონ ისიც შეძრწუნებულია თავისი სულის ტოტალური გაშიშვლებით, ყოველივე იმის მზის გულზე გამოფენით, რაც ქვეცნობიერის ბნელში უნდა იყოს ჩამარხული.

«მე მრცხვენია ამაზე ფიქრი, _ წერს იგი, _ მაგრამ უკვე მზად ვარ ჩავიდინო ყოვლად სამარცხვინო საქციელი, რისი წარმოდგენაც შეიძლება. თუ გინდა პატივმოყვარედ მოაჩვენო თავი, ისე უნდა წარმოიდგინო, რომ ყველაფერს სწირავ ამ ერთ ჟინს და, აი მე მრცხვენია ამის გამხელა, მაგრამ შაბათ საღამოს მეც ასეთი პატივმოყვარე ვიყავი, როცა განვიზრახე ჯვარი დამეწერა დედაბერზე მისი ძმებისაგან რენტის მისაღებად. მე ჩემში ვგრძნობდი მიდრეკილებას, ჩამედინა ყველაზე დიდი დანაშაული, დიდზე უდიდესი საძაგლობა...»

სტენდალის გმირები ამგვარ «დანაშაულსა» და «საძაგლობას» ყოველი ფეხის ნაბიჯზე სჩადიან, მაგრამ ეს მათ ღირსების შელახვად არ მიაჩნიათ. მათი აზრით, «ყველაფერს «ამართლებს» საკმაოდ ბლაგვი ფორმულა: «რას იზამ, ასეთია ცხოვრება!» მათ შორის განსხვავება მაინც არის: ერთნი თავს არხეინად გრძნობენ უწმინდური ცხოვრების

ჭაობში, მეორენი კი როგორღაც გაორებულნი არიან და ცდილობენ ერთგვარი ფსიქოლოგიური დისტანცია მაინც დაიცვან. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ თავის დროზე ანრი ბეილიც ცდილობდა არ გაემჟღავნებინა თავისი «ემოციური მონაწილეობა» ამ სისაძაგლეში, მაგრამ საბედნიეროდ ეს არ გამოუდიოდა. «საბედნიეროდ»-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ სწორედ ამ სულიერი კონტრასტებით აღწევს შემდეგ სტენდალი დიდ ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას. იგი ფსიქოანალიზის პირველი დიდოსტატია ფრანგულ ლიტერატურაში, რომელმაც მთელი საუკუნით გაუსწრო წინ თავის ეპოქას. მის სულიერ ლაბორატორიაში ხდება ყოველგვარი გრძნობის კლინიკური შესწავლა. მისი «გენიალური ანალიტიკური გონება» (ცვაიგი) ქიმიურად შლის რთულ გრძნობებს, «მიკროსკოპულად სინჯავს ყოველ დეტალს. მას შეუძლია «ცივი გონებით» განსაჯოს «სიყვარულის ციებ-ცხელება», ვნების ისტერია, დაძებნოს «სიყვარულის ბაცილები», შეისწავლოს მათი თვისებები. ამას იგი «სულის ნათელმხილველობას» უწოდებს. ცვაიგი კი წერს, სტენდალს შეუძლია «ადამიანის თავის ტვინში ჩაიხედოს», გასინჯოს მისი ყოველი უჯრედი, აამუშაოს «გონივრული ნერვები» და შეუთანაბროს თავისი რომანების პერსონაჟთა გულის ძგერასო. ამიტომაც უწოდებს მას «გულის ასტრონომიის კოპერნიკს», ან კიდევ, «გრძნობათა მათემატიკური ანალიზის» დიდოსტატს.

სტენდალი მართლაც გასაოცარია ამ მხრივ. იგი ხასიათებს ქიმიური ხსნარებივით ურევს ერთმანეთში, შემდეგ კოლბას შეანჯღრევს და ბადებს ლიტერატურულ ჰომუნკულუსებს, რომელთაც თავისი პირადი გამოცდილების სისხლითა და ხორცით აძლიერებს. თვითონ კი, მოგეხსენებათ, ისეა დამუხტული საპირისპირო ძალებით, რომ ყოველი მოულოდნელი კონტაქტი მათ შორის იწვევს გენიალობის აფეთქებას, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ ჩნდება მის პირველ შედევრში _ «წითელი და შავი». ეს არის კრიტიკული რეალიზმის პირველი გამარჯვება საფრანგეთში. მ. გორკიმაც პირველად უწოდა სტენდალს «კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელი». ცხოვრების სინამდვილის მართალი ასახვა და სახეების დიდი განზოგადების ძალა კიდევ უფრო ზრდის ამ ნაწარმოების მხატვრულ ძლიერებას. გორკი წერს, სტენდალმა უბრალო სასამართლო ქრონიკა აიყვანა დიდ ისტორიულ-ფილოსოფიურ განზოგადებამდეო.

თავისი გმირების დახასიათების დროს სტენდალი აუცილებლად აღნიშნავს მათ სოციალურ წარმოშობას. მისი ჟიულიენ სორელი არ მიეკუთვნება ე. წ. «მაღალ წრეს». ეს არის ხალხის წიაღიდან გამოსული, გამდიდრებული გლეხის (დურგლის) შვილი, ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც საზოგადოებაში გზის გაკაფვასა და ცხოვრების ფართო ასპარეზზე

გასვლაზე ოცნებობს. მას წილად ხვდა, იცხოვროს რესტავრაციის პერიოდში, როცა, ერთი მხრივ, რევოლუციით დაშინებული არისტოკრატია ებღაუჭება ფეოდალური წარსულის პრივილეგიებს, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერდება ბურჟუაზიული კლასი, რომელსაც ფულის მოხვეჭა გაუხდია ცხოვრების იდეალად და ამას სწირავს ყველაფერს. პროვინციულ ქალაქ ვერიერში მცხოვრები ჟიულიენი ყოველივე ამას ხედავს და განიცდის. მას სული ეხუთება გარემოცვაში, სადაც ყველაფერი ეწირება ფულს: ღირსება, პატიოსნება, ნათესაური გრძნობები, ოჯახის ინტერესები, ყველაფერი, რაც წმინდა და შეუბღალავი უნდა იყოს.

საგვარეულო არისტოკრატიაც ებმება ფულისათვის გაშმაგებულ ბრძოლაში. მთელი მისი მონდომება გამდიდრების ინსტინქტს ეწირება. როიალისტური და ლიბერალური პარტიები ერთმანეთს ეცილებიან ამ ბრძოლაში. სახელმწიფო ძალაუფლებას თანდათან ბურჟუაზია იგდებს ხელთ. ცხოვრებას მგლური კანონები მართავს. აღარ არის მოყვასისადმი სიყვარული. უკვე აღარც ჟიულიენი ეძლევა ილუზიებს. იგი ითვისებს ცხოვრების ისეთ წესებს, რაც სძულს, «უნათესავდება» იმათ, ვინც ეზიზღება. ამით თვითონაც ტარტიუფად იქცევა, პატივმოყვარე პირმოთნედ, კარიერისტად. იგი ღალატობს საკუთარ სინდისს, მაგრამ, ბალზაკის რასტინიაკის მსგავსად, «ვერ ახერხებს» ბოლომდე გადაგვარებას. ამაშია მისი ცხოვრებისეული ტრაგედიისა და სულიერი განწმენდის საფუძველი. მან იცის, რომ ასეთ საზოგადოებაში ორი გზაა: ცხოვრების «ტკბილ საზიზღრობასთან» შეგუება და უწმინდურების ჭაობში კეთილდღეობის ძიება, რაც ეზიზღება, ან პროტესტი და ბრძოლა უსამართლობის წიანაღმდეგ, რისკენაც გული მიუწევს, მაგრამ სახიფათოდ მიაჩნია. ჟიულიენისთვის, როგორც ანრი ბეილისთვის, არც ერთია უცხო და არც მეორე. ამითაა გამოწვეული მათი შინაგანი სულიერი ბრძოლა და ხასიათების ანტინომიურობა. ჟიულიენი გრძნობს თავის თავში დაუოკებელ ენერგიას, მოქმედების ძალას, დარწმუნებულია, რომ დიდი საქმეებისთვისაა მოწოდებული. მას არ აკმაყოფილებს ვიწრო მეშჩანური კეთილდღეობა, რადგან გულში ეშმაკივით უზის ნაპოლეონი, რომლის რევოლუციური პერიოდის საქმეებისადმი ბოლომდე დიდ მოკრძალებას იჩენს. სამაგიეროდ, ეზიზღება ტახტზე ასული დესპოტი ბონაპარტი, რომელმაც ფეხქვეშ გათელა თავისუფლების, ძმობის და ერთობის პრინციპები, რითაც ასე ძლიერ იყო გატაცებული მაშინდელი საფრანგეთის ჟულიენისებრი ახალგაზრდობა.

რომანის დანარჩენი გმირები კი ან ერთ საშუალებას ეძებენ, ან მეორეს, იმისდა მიხედვით, თუ რომელ სოციალურ კლასს მიეკუთვნებიან. ჟიულიენი სოციალური

იერარქიის დაბალი საფეხურიდან იწყებს. იგი გრძნობს მტრულ გარემოს, მაგრამ ძლიერი შინაგანი ბუნებისაა და ცდილობს წინ აღუდგეს მას. მასში თავისი კლასის დიდი პოტენციური ძალაა დაგროვილი, მაგრამ ცხოვრება უფრო ძლიერია და სასტიკი. მის ყრუ კედლებზე იმსხვრევა ჭაბუკური ოცნებები, რევოლუციური პათოსიც თანდათან ქრება, მძლავრობს პატივმოყვარეობისა და განურჩევლობის გრძნობა. მას არ შეუძლია დასძლიოს თავისივე შინაგანი «შემაძრწუნებლად მეორე» _ პატივმოყვარეობის დაუოკებელი ჭია. ეს არის მისი ბედისწერა, მისი მეფისტოფელი. თავად პატიოსანი, ზნეობრივი ჭაბუკი მზადაა უპატიოსნო გზით იაროს, რათა დააცხროს ეს ეშმაკივით შეჩენილი გრძნობა. ამიტომაა, რომ ყველაზე მძაფრი ბრძოლა ჟიულიენს თავის თავთან აქვს გამართული.

ბეილიც ხომ ასეთი იყო: თვითგამქირდავი და საკუთარი არსების განმქიქებელი. ამიტომ იყო, რომ ყველაფერს, რასაც წერდა, «ლიტერატურულ ღორობას» უწოდებდა (წერილი დისადმი). ჟიულიენის სახეში სტენდალი მთელ თავის (ანრი ბეილის) გამოცდილებას დებს. ეს აღრმავებს მის ფსიქოლოგიურ პორტრეტს. გულით იგი რევოლუციონერია («მომავალი დანტონი»), მოქმედებით _ არა. იგი არც ივლისის რევოლუციაში იღებს მონაწილეობას, თუმცა შინაგანად მზადაა ამისთვის. შეიძლება იმიტომაც, რომ მატილდა დე ლამოლის «ციხესიმაგრის» დაპყრობა ურჩევნია ბასტილიის აღებას. ამის შედეგია, რომ იგი თანდათან ეგუება იმას, რაც ეზიზღება: ივლისის მონარქიას, როიალისტური პარტიის ინტრიგებს, კარიერისადმი სწრაფვას, პატივმოყვარეობის გრძნობის დაკმაყოფილებას; უბრალოდ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, ერთს ფიქრობდე, მეორეს აკეთებდე, რწმენის წინააღმდეგ მოქმედებდე და თან თავს იმართლებდე _ რა გაეწყობა, სხვა გზა არ არისო.

ბეილიც ამისკენ მოუწოდებდა ნაცნობებს. დელაკრუასთვის მიუწერია: «ნურაფერზე იტყვით უარს, რაც თქვენი დიდების მისაღწევადაა საჭირო». თვითონაც აღიარებს, თუ რამ გამიკეთებია, მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვისო. არც მწერლობა გაუხდია ოდესმე ცხოვრების ძირითად ხელობად. მხოლოდ მაშინ წერდა, როცა ეწერებოდა. თავის გამოდება არ უყვარდა, არც სახიფათო საქმეებში ჩაბმა. მართლაცდა, ყველას ხომ არ შეუძლია თავის გაწირვა!

ყოველივე ეს მანამ ხდება, ვიდრე მოთმინების ფიალა აღევსებოდეს. შემდეგ კი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ჭაობს ისევ ეშაფოტი სჯობია, თავის დახრას _ თავის მოკვეთა. ამას კი უკვე უფრო მორალური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე საზოგადოებრივი. მართალია, მონანიებით შეუძლია თავის გადარჩენა, მაგრამ არ სურს. ჯოჯოხეთში ცხოვრებას

სიკვდილს არჩევს და ზნეობრივად განწმენდილი უსვამს წერტილს თავის ხანმოკლე სიცოცხლეს. მისი უკანასკნელი სურვილია იმ კლდის გამოქვაბულში დამარხონ, სადაც ერთ დროს განმარტოვდებოდა ხოლმე და ილუზიებს ეძლეოდა.

ამგვარი წინააღმდეგობანი იწვევს გმირის შინაგან დაძაბულობას, დრამატიზმს, ხასიათის სიმკვეთრეს, რაც ფსიქოლოგიური ნიუანსებითაა გადმოცემული. სტენდალი ებრძვის არისტოკრატიის მოძალებას, მაგრამ არც ბურჟუაზიულ მოძრაობას ემხრობა. მას, ისევე როგორც ბალზაკს, ყველაზე უფრო ბურჟუაზიის გაბატონებისა ეშინია. ამიტომ მერყეობს და არისტოკრატიისკენ უფრო იხრება, ვიდრე ბურჟუაზიისკენ. დამახასიათებელია, რომ თუ ბალზაკმა თავის გვარს თვითნებურად დაურთო მაღალი წოდების ნიშანი «დე», ბეილმა თავის პატარა წიგნს «რომი, ვენეცია, ფლორენცია» მოაწერა: «ბარონი დე სტენდალი». რაკი ნიღაბზე მიდგა საქმე, მან ცრუ არისტოკრატობა არჩია. იმავე დროს იგი მხარს უჭერდა ლიბერალების ბრძოლას ასევე თვითმარქვია მეფის შარლ X-ის წინააღმდეგ. ისე კი არც ეს «ლიბერალობა» იყო მისი პოლიტიკური იდეალი. მთელი თხრობა ამ პლანში მიმდინარეობს: შინაგანი, ამაღლებული, ზნეობრივად წმინდა იდეალი და მტრულ გარემოში მოხვედრილი პატივმოყვარე კარიერისტის საძულველი მოქმედება. ამ წინააღმდეგობას ჭაბუკი მხოლოდ მოწამებრივი სიკვდილით აღწევს თავს.

ასეთივე მტრულ გარემოში მოხვედრილი ქალის იდეალური სახეა ქალბატონი რენალიც. განსხვავება ისაა, რომ ჟიულიენი აქტიური მოქმედებისა და ბრძოლისკენაა მოწოდებული, რენალი კი მხოლოდ სულიერი სიმშვიდისა და სიყვარულისთვის. იგი მეშჩანური, მდიდრული ცხოვრების პირობებშია აღზრდილი და ეშინია ყოველგვარი ცვლილებისა; თანაც უაღრესად ღვთისმოსავია, მორწმუნე და მინდობილი. სძულს ყველაფერი, რაც რადიკალურია _ რობესპიერი, ნაპოლეონი. მას მხოლოდ მყუდრო კუთხე უნდა ცხოვრებაში, ეკლესიური სიმშვიდე და სიყვარული.

სტენდალი უკვე შემზადებული იყო ამგვარი წმინდა სიყვარულის დასახატავად. ტრაქტატში «სიყვარულის შესახებ» მან წინასწარ გამოიკვლია ამ «ღვთაებრივი გრძნობის» ყველა ასპექტი. ამას ბეილის პირადი გამოცდილებაც დაერთო და ამიტომაც შესძლო «ჟიულიენისა და ქ-ნ რენალის ტრაგიკული სიყვარულის ასე შთამბეჭდავად დახატვა. იმ ტრაქტატში სტენდალი წერდა «სიყვარულ-ვნებაზე», რაც ყველაზე ამაღლებულად მიაჩნდა. ასეთ სიყვარულზე უარის თქმა კი არაბუნებრივად ეჩვენებოდა, გაუმართლებელ სისასტიკედ არა მარტო თავისი თავისადმი, არამედ მის მიმართაც, ვისი გაბედნიერებაც შეეძლო თავისი გულწრფელი და არა პატივმოყვარე სიყვარულით. ქ-ნ რენალისათვის

უცხოა ანგარებიანი სიყვარული. ამიტომაც არ აკლებს თავის ჟიულიენს «შესაძლებელ ბედნიერებას». სულ სხვაა მატილდა დე ლამოლი, არისტოკრატი ქალი, რომელიც მხოლოდ ძველი ფეოდალური ტრადიციების ფარგლებში ოცნებობს. იგი რენალის ანტიპოდია _ ექსტრავაგანტური და რამდენადმე თეატრალური, რომელიც უფრო თამაშობს, ვიდრე გრძნობს. მან რაღაც მოსაზრებით კიდეც შეიყვარა და კიდეც შეიძულა ჟიულიენ სორელი. სულის სიღრმეში მას ისიც კი უნდა, რომ მისი საყვარელი არსება ეშაფოტზე აიყვანონ, რადგან ეს უფრო რომანტიკული იქნება. იგი განადიდებს ადამიანს, რომელიც მას რატომღაც უყვარდა. საოცარია ადამიანის ამგვარი სულიერი გაშიშვლება სიყვარულისა და სინდისის წინაშე... სტენდალი «მკაცრი სიმართლით» აშუქებს მატილდას სიყვარულს ჟიულიენისადმი და გვიჩვენებს ერთგვარ სპექტაკლ-ფარსს, რომლის ფინალში ტრანსფორმირებულია მატილდას ძველთაძველი წინაპრის მარგარიტა ნავარელის მიერ საყვარლის მოჭრილი თავის საკუთარი ხელით დამარხვის ამბავი. იმ შორეული ამბის აღსანიშნავად მატილდა ყოველწლიურად იმ დღეს ძაძებს იცვამს. ეს სპექტაკლია, წინასწარ განზრახული, საკუთარი პატივმოყვარეობის გრძნობისა და ჟინის დასაკმაყოფილებლად დადგმული. ამისთვის მას შეუძლია თავიც გაწიროს, მაგრამ ურჩევნია, ისევ ჟიულიენს მოჰკვეთონ თავი. ეს უფრო რომანტიკული იქნება და საშუალებას მისცემს, გაიმეოროს თავისი შორეული წინაპრის ექსტრავაგანტური საქციელი: თვითონ დამარხოს თავისი საყვარლის მოჭრილი თავი. შეიძლება ეს მართლაც თეატრალური იყოს, მაგრამ ამისი განსჯა ცალმხრივად მაინც არ შეიძლება. სტენდალი ყველა თავის რომანში ცდილობს გააერთიანოს «გრძნობებისა და მოქმედების ბედნიერება». მისი აზრით, ამაშია «ბედნიერად ყოფნის ხელოვნება» თვით სრული უბედურების ჟამსაც კი. ამისთვის მას ყველა საშუალებით ბრძოლა გამართლებულად მიაჩნია. ეს ეხება როგორც ქ-ნ რენალს, ისე მატილდა დე ლამოლს, რომელნიც ისეთ ძლიერ სიყვარულს განასახიერებენ, რაც ანადგურებს, მაგრამ არ ამცირებს ადამიანს. ამისი დასტურია რომანის ფინალური სცენა, სადაც ისინი სამუდამოდ ეთხოვებიან მათი უბედურების მიზეზს _ ჟიულიენ სორელს.

* * *

წინამდებარე ერთტომეულში «წითელი და შავის» გარდა შეტანილია მოთხრობების მთელი ციკლი საერთო სათაურით - «იტალიური ქრონიკები». სტენდალმა რომში ყოფნის დროს სადღაც ამოჩხრიკა ძველი, XVI-XVII საუკუნეების ხელნაწერები, სადაც იმ დროის

საინტერესო, როგორც იტყვიან, «ჭრელ-ჭრელი» ამბები (ვაჟა რომ «რამე-რუმეებს» უწოდებს) იყო აღწერილი. ამ მასალების ნაწილი მან შეიძინა, დანარჩენების ასლი გადაიღო, გულმოდგინედ შეისწავლა და გამოიყენა მოთხრობების სიუჟეტებად, სადაც ორივე ექსპოზიცია, ისტორიული და თანამედროვე, ადვილად ერწყმის ერთმანეთს. როგორც ჩანს, სტენდალს არც იმ ისტორიული კოლორიტის დარღვევა უნდოდა და არც თანამედროვეობის სულისკვეთების გამოხატვაზე უარის თქმა. «ქრონიკები» ამის საშუალებას იძლეოდა, რადგან მასში აღწერილი ამბები საოცრად ჰგადა იმას, რაც სტენდალის დროს ხდებოდა და ასევე საოცრად განსხვავდებოდა მათგან. დანაშაულს მაშინაც სჩადიოდნენ და სტენდალის დროსაც, მაგრამ მაშინ ეს ძლიერი გრძნობების აფეთქების შედეგი იყო და არა ანგარების გამო ჩადენილი საქციელი. ამის მიუხედავად, თანამედროვეობაზე თხრობის დროსაც არ იკარგება ისტორიული ასპექტი.

ამ მოთხრობების ქვესათაურებში, როგორც წესი, მოკლე ანოტაციების სახით მითითებულია ისტორიული წყაროები, ხოლო ტექსტის შინაგანი აზრი და მორალი თანამედროვეობას ეხმაურება. ამისთვის სტენდალი ლიტერატურული ფალსიფიკაციის ძველებურ (ბეილისებურ) ხერხს მიმართავს და ისევ თავსატეხს გვიჩენს: გვინდა გავიგოთ, ამ მოთხრობებში სად ისტორიული ამბებია და სად თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ფაქტები. ნაწარმოებთა საკმაოდ ვრცელ ქვესათაურებში უფრო მეტად ქრონიკებზეა მითითება, გარდა «ვანინა ვანინისი», სადაც წერია: «ამბავი კარბონაროების უკანასკნელი შეთქმულებისა, რომელიც პაპის სახელმწიფოში იქნა აღმოჩენილი». დანარჩენებს კი ასე აწერია: «ჩენჩი» _ «ნამდვილი ამბავი ჯაკომო და ბეატრიჩე ჩენჩის და მათი დედინაცვლის _ ლუკრეცია პეტრონი-ჩენჩის სიკვდილისა: ეს ადამიანები მამისა და ქმრის მკვლელობისათვის დასჯილ იქნენ უკანასკნელ შაბათს, 1599 წლის სექტემბრის თერთმეტს, ჩვენი წმინდა მამის - პაპი კლიმენტი VIII-ის - ალდობრანდინის ზეობის დროს». «ვიოლანტე პილიანო» _ «ზედმიწევნით სწორი თარგმანი ძველი ამბისა, რომელიც 1566 წელს აღიწერა». «წმინდა ფრანჩესკოს ეკლესია» _ «არისტი და დორანტი მოგვითხრობენ ამ სიუჟეტს, რამაც შთააგონა ერასტი, მათი მაგალითისათვის მიებაძა». «ვიტორია აკორამბონი» _ «როგორც ჩემი, ისე მკითხველის საუბედუროდ, ეს სრულიადაც არ არის რომანი, არამედ ზუსტი თარგმანია ნამდვილ ამბავზე აგებული მოთხრობისა, რომელიც 1585 წლის დეკემბერს დაიწერა პადუაში». «Suora scolastica» _ «ამბავი, რომელმაც 1740 წელს მთელი ნეაპოლი ააღელვა». «მეტისმეტი კეთილგანწყობილება დამღუპველია» _ «1589 წელს მომხდარი ამბავი».

ქვესათაური საერთოდ არა აქვს მხოლოდ საკმაოდ მოზრდილ მოთხრობას «კასტროელი წინამძღვარი», რომელიც ამავე ტომშია შეტანილი.

ამ მოთხრობათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს «ვანინა ვანინი», რომელშიც კარბონარო მისირილის სახით, ჟულიენის, ლუსიენისა და ფაბრიციოსაგან განსხვავებით, რევოლუციისადმი ბოლომდე ერთგული, გაუტეხელი ნებისყოფის მებრძოლის ტიპია გამოყვანილი. მისირილისათვის სამშობლოს თავისუფლების გარდა სხვა არავითარი ბედნიერება არ არსებობს. ვანინა ვანინისაც სურს ასეთი იყოს, მაგრამ ვერ თმობს პირად ბედნიერებას, რის გამოც მათი ურთიერთობა ტრაგიკულ ფინალში გადაიზრდება.

იმავე იტალიური ქრონიკების რამდენიმე გვერდზე სტენდალმა ამოიკითხა ცნობა თავზე ხელაღებული ყმაწვილის, ვინმე ალესანდრო ფარნეზეს საოცარი თავგადასავლის შესახებ. ის ფარნეზე (1468-1549) რაღაც მანქანებით ციხიდან გაიქცა და ისე წარმართა თავისი ცხოვრება, რომ 1534 წელს რომის პაპად იქნა არჩეული. სტენდალს უნდოდა ამ სიუჟეტზე მოთხრობის დაწერა, შემდეგ კი გადაიფიქრა და იმავე სიუჟეტის მიხედვით დიდი რომანის შექმნა გადაწყვიტა. ამ დროს იგი შემოქმედებითი ენერგიის ისეთ მოზღვავებას გრძნობდა, რომ სულ რაღაც 53 დღეში უკარნახა გადამწერს თავისი ცხოვრების ეს მეორე შედევრი _ რომანი «პარმის სავანე». როცა მკვლევარები გაიოცებენ ესოდენ სწრაფი ტემპით წერის მაგალითით, ინგლისელი მხატვრის უისტლერის სიტყვებს გაიხსენებენ ხოლმე: «მე ეს სურათი მეოთხედ საათში დავხატე მთელი ჩემი ცხოვრების გამოცდილებაზე დაყრდნობით...»

ეს, რა თქმა უნდა, სტენდალზეც ითქმის.

მოქმედება «პარმის სავანეშიც» თანამედროვე იტალიაშია გადმოტანილი. თუ რომანის შექმნის დრო ასე საოცრად შეკუმშულია, სამაგიეროდ, მასში საკმაოდ ხანგრძლივი დროის (1796-1830) მანძილზე მომხდარი ამბებია გადმოცემული. დაწერის თარიღი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, ფალსიფიცირებულია. რეალური სინამდვილიდანაც ბევრი რამაა შეცვლილი. მთავარი აქაც ავტორისეული განზოგადებაა და არა ისტორიული სიზუსტე, რასაც სტენდალი შეგნებულად არ იცავს, ან უკეთ, თავს არ იზღუდავს ამ სიზუსტით. მკვლევარებმა იციან, რომ პარმაში არავითარი სავანე არ არის. აღწერილობის მიხედვით იგი უფრო რომის წმ. ანგელოზის ტაძარია, შორეულ წარსულში რომაელი იმპერატორის _ ადრიანეს მავზოლეუმი, რომელიც რომის პაპს სატუსაღოდ

ჰქონდა გამოყენებული. პარმაში არც არავითარი რევოლუცია მომხდარა ოდესმე. ეს საჰერცოგოც ნაპოლეონის ცოლს, მარია-ლუიზას ეკუთვნოდა და არა სანსევერინას.

ამგვარი შეუსაბამობანი ხელს სულაც არ უშლის სტენდალს, გასაოცარი სიზუსტით გადმოგვცეს იმდროინდელი იტალიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გარემო. იტალია მაშინ ასე თუ ისე დამოუკიდებელ საჰერცოგოებად, სამეფოებად თუ რესპუბლიკებად იყო დაქუცმაცებული. ნაწილი მისი ტერიტორიისა ავსტრიას ეკუთვნოდა. თითქმის ყველგან დესპოტური რეჟიმი იყო გაბატონებული. ამიტომ ხვდებოდა იტალიის თავისუფლებისმოყვარე ხალხი საფრანგეთის რევოლუციას ასეთი დიდი აღფრთოვანებით; განსაკუთრებით აღტაცებულნი იყვნენ რესპუბლიკელები. შემდეგ კი მათი ყველა იმედი გაქარწყლდა, როცა ნაპოლეონმა საფრანგეთი სამეფოდ გამოაცხადა და იტალიაც ამ გზაზე დააყენა. მან თვითნებურად მიჭრა-მოჭრა იტალიის რუკა და აღკვეთა თავისუფლების ყოველგვარი ნიშანი. ნაპოლეონის ეგვიპტეში ლაშქრობის დროს ავსტრიელებმა დრო იხელთეს და ისევ შეიჭრნენ იტალიაში. აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა ნაპოლეონმა კი მარენგოსთან ბრძოლის შედეგად ერთხელ კიდევ განდევნა ავსტრიელები იტალიიდან, მაგრამ მისი დამხობის შემდეგ იტალიაში კიდევ უფრო გაძლიერდა მონარქისტული ტენდენციები, ხოლო ჯუჯა სამეფოთა ნაწილი ისევ ავსტრიელების გამგებლობაში გადავიდა. ერთი მათგანი პარმა იყო თავისი მინიატურული დესპოტური რეჟიმით. პოლიტიკური კლიმატის ესოდენ სწრაფი ცვლა შიშის ზარს სცემდა პატარა ტირანებს. რევოლუციის განმეორების შიში მოსვენებას არ აძლევდა მათ. ამიტომაც გრძნობდნენ თავს უფრო მშვიდად ავსტრიელთა ხიშტებზე. სტენდალი ასახავს ამგვარ სიტუაციას. მისი ერნსტ რანუციი და გრაფი მოსკა აშკარად ადასტურებენ ამას. მათი სასახლე სავსეა კარიერისტებით, მლიქვნელებით, პირმოთნეებით (მინისტრი რასი, გენერალი კონტი და სხვები). არანაკლებ ამაზრზენია მოსყიდული ლიბერალების სახეები. მთავარია მათ შორის პირველი მინისტრი გრაფი მოსკა. იგი «თავისთვის» თითქოს დემოკრატიული თავისუფლების მომხრეა, სინამდვილეში კი დესპოტიზმის ერთგული მსახურია. სტენდალი ისეთი ოსტატობით აღწერს ამ წრის ცხოვრებას, რომ აღტაცებაში მოჰყავს ბალზაკი, რომელიც ამჩნევს, რომ ავტორი იყენებს ისტორიულ პირებს (ლუდოვიკოებს, მეტერნიხს, რიშელიეს) და ამის მიხედვით ხატავს თავის პერსონაჟებს. პარმის პრინცი, მოდენის ჰერცოგი ფრანცისკო IV სულ თავისი პატარა სამეფოს საზღვრების გაფართოებაზე ოცნებობდა, მთლიანი იტალიის სამეფოზე; თითქოს ამიტომაც «სძულდა» ავსტრიელები და «ემხრობოდა» ლიბერალებს, მაგრამ როგორც კი

მოდენაში აჯანყებამ იფეთქა, მისთვის «საძულველ» ავსტრიაში გაიქცა, უცხოეთის ჯარი შემოიყვანა და აჯანყება სისხლში ჩაახშო. ასევე იქცევა რომანში რანუციი. სტენდალს ეხერხება პორტრეტების ლაკონური მოხაზვა და დიალოგების დინამიური განვითარება, რაც ბალზაკის აზრითაც დიდი ცოდნისა და გამოცდილების შედეგია.

მთავარი გმირი აქაც მტრულ გარემოში მოხვედრილი ჭაბუკია _ ფაბრიციო. იგი ახალგაზრდა ანრი ბეილის მსგავსად, კუნძულ ელბიდან გამოქცეული ნაპოლეონის არმიაში გარბის და მონაწილეობას იღებს ვატერლოოსთან გამართულ ბრძოლებში, უფრო სწორად, გულუბრყვილო, გაოცებული თვალებით უყურებს ამ უაზრო სასაკლაოს, ყოველგვარ რომანტიკას მოკლებულ სისხლისღვრას, მაროდიორების თარეშს, დემორალიზებული არმიის გახრწნის სურათებს. იქნებ ეს, მართლაც, დიდების შარავანდედით მოსილი «გმირული ბრძოლების» პირველი დერომანტიზაცია იყოს ფრანგულ ლიტერატურაში. ყოველ შემთხვევაში, როგორც მოგახსენეთ, სტენდალის მიერ ნაჩვენებმა ვატერლოომ ტოლსტოის, ბალზაკისა და სხვების გულწრფელი აღტაცება გამოიწვია.

რამდენიმე ხნის შემდეგ ფაბრიციო გულგატეხილი და დემორალიზებული ბრუნდება არმიიდან. იგი მოქმედების ახალ სფეროს _ სიყვარულს ირჩევს, რაც მას სულიერი სიწმინდის შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად მიაჩნია. «წითელისა და შავის» ქალთა კონტრასტული სახეები _ ქ-ნი რენალი და მატილდა აქ ანალოგიური პერსონაჟების _ გრაფის ასულ სანსევერინასა და კლელიას სახითაა წარმოდგენილი.

პროტოტიპების ძიების მოყვარულებმა ამ შემთხვევაშიც დაადგინეს გრაფის ასულ სანსევერინას «ლიტერატურული გენეალოგია»: ჯერ იტალიურ ქრონიკებში მოხსენიებულ «ღვთაებრივ როსკიპს» ვანდოცა ფარნეზეს დაადეს ხელი, შემდეგ კი ანრი ბეილის ასეთივე კალთამადლიან ტრფიალს _ ანჟელა პიეტრაგუას. ორივე ერთად რომანში ჯერ ანჯელა პიეტრანერაა, მერე - სანსევერინა, ბოლოს კი გრაფ მოსკას მეუღლე. სტენდალმა ქრონიკებში აღწერილი ამბები ანრი ბეილის გამოცდილებით გაამდიდრა და ახალი ლიტერატურული სახეები შექმნა. ფაბრიციოშიც ბეილის საუკეთესო თვისებები და ოცნებები განასახიერა. გრაფები დე ლამოლიცა და მოსკაც ერთმანეთს ჰგვანან. მსგავსი პერსონაჟები ჩნდებიან სტენდალის დაუმთავრებელ რომანში «ლუსიენ ლევენი». ჟიულიენი «დაბალი წრიდანაა», ფაბრიციო ბანკირის შვილია, ხოლო ლუსიენი _ საგვარეულო არისტოკრატიის წარმომადგენელი. სამივენი მტრულ გარემოში მოხვედრილი ახალგაზრდებია, რომელნიც ოცნებით, ბრძოლით, თავისუფლების

იდეალებით იწყებენ, შემდეგ ცხოვრების ბნელით მოსილ ჯუნგლებს გაივლიან და საბოლოოდ გულგატეხილნი ამთავრებენ სიცოცხლეს. ცვაიგი წერს, რომ სამივე ახალგაზრდა მხურვალე, უსაზღვრო იდეალიზმით იწყებს ცხოვრებას «იმ ცივ საუკუნეში», სამივეს აბოდებს ნაპოლეონი. დასაწყისში სამივე სავსეა ჭარბი მგრძნობელობით; სამივე სთავზობს ქალებს აღგზნებულ, ფარული ვნებით სავსე გულს, ჭაბუკურ რომანტიკას, რაც ჯერ კიდევ არ არის შებილწული ანგარებით; სამივეში გულსაკლავად იღვიძებს მოულოდნელი შეგნება, რომ ამ «ყინულისებურ გარემოში» საჭიროა ჩაიქრო გულის მხურვალება, ჩაიხშო ოცნებები, დაამახინჯო საკუთარი არსება, მიენდო საზოგადოებრივ გარემოცვას, წვრილმანობას, მეშჩანობას. ისინი, მართლაც, ითვისებენ (ითავისებენ) თავიანთი მტრების ხერხებს, მათ სავალალო გამოცდილებას, მაქინაციებს, ინტრიგების ხელოვნებას, ერთი სიტყვით, სამივენი ხელშეკრულებას დებენ ბოროტ ძალებთან, ეგუებიან სინამდვილეს, ან ტრაგიკულად ამთავრებენ თავიანთ სიცოცხლეს.

ეს თვით სტენდალის მიერ განვლილი გზაა - მისი მარენგო, ვატერლოო და აუსტერლიცი.

მეცხრამეტე საუკუნის ფრანგული ლიტერატურის ყველა დიდმა რომანისტმა თავისებურად ახსნა «დამსხვრეული ილუზიების» ამგვარი დრამატული ისტორია. სტენდალი პირველი იყო მათ შორის. მან შექმნა იმდროინდელი საზოგადოების პრივილეგირებული წარმომადგენლების მთელი გალერეა. მათ შორის არიან «უძლიერესნი ამა ქვეყნისანი», მაღალი თანამდებობის მოხელეები, მინისტრები, დიპლომატები, მოსამართლეები, პროკურორები, ბანკირები, გახუნებული არისტოკრატები და გააზნაურებული მდაბიოები, სინდისითა და სიყვარულით მოვაჭრენი, სალონების მოლაყბენი. იმათგან ბევრი ძალითაა ჩათრეული ამ ჭაობში, უფრო მეტი კი ნებით ირჩევს ამ გზას და ნებივრობს სიბინძურეში. არიან ისეთებიც, სული რომ ეხუთებათ და გამოსავალს ეძებენ, მაგრამ ვერ ახერხებენ და მეშჩანურ კეთილდღეობაში ეძებენ ნუგეშს; ყველა მათგანი იდუმალი შიშითაა შეპყრობილი. ისინი გრძნობენ, რომ მათი კეთილდღეობა მყარი არ არის. ვინ იცის, საიდან დაუბერავს ქარი, როდის ატყდება ჭექა-ქუხილი, ან ისევ თუ შემოვარდება ახალი კორსიკელი გადარეული და მილეწ-მოლეწავს მათ მოჩვენებით კეთილდღეობას. სტენდალი თავისი მაღალი გონებისა და იდეალების სიმაღლიდან დაჰყურებს ვნებათა ღელვის ამ სოდომსა და გომორს. იგი შეუბრალებელი პირდაპირობით აშუქებს ყველაფერს; არც არაფერი შეეშლება, რადგან ყველაფერი თვითონ აქვს განცდილი. ანრი ბეილმა იმდენი მასალა დაუგროვა სტენდალს, რომ, ვინ იცის, ბალზაკივით ნაყოფიერი რომ ყოფილიყო, ან მეტ ხანს ეცხოვრა, კიდევ რამდენი შედევრით გაამდიდრებდა მსოფლიო ლიტერატურას. მაგრამ რაც უფრო ფართოვდებოდა

სტენდალის შემოქმედებითი დიაპაზონი, მით უფრო იკუმშებოდა მისი სიცოცხლის შაგრენის ტყავი. მერე განაცხადა, სულაც არ იქნება სასაცილო, თუ სადმე ქუჩაში მოვკვდებიო. «სასაცილო», რა თქმა უნდა, ეს არც ყოფილა, მაგრამ მართლაც ასე მოხდა: 1842 წელს პარიზის ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალს დამბლა დაეცა და მეორე დღეს გარდაიცვალა. მის ცხედარს მონმარტრის სასაფლაომდე პროსპერ მერიმე და კიდევ რამდენიმე ნაცნობი მიაცილებდა.

საფრანგეთმა მაშინ არც იცოდა, რომ იმ დღეს თავის დიდებას მარხავდა.

ახლა კი სტენდალი ყველასათვის ნაცნობია. იგი საკმაოდ პოპულარულია საქართველოშიც. ჩვენს ენაზე თარგმნილია მისი საუკეთესო ნაწარმოებები. ეს ერთტომეულიც ძვირფასი საჩუქარია ქართველი მკითხველებისათვის, მისალოციც, რადგან მათ საშუალება ეძლევათ, ერთხელ კიდევ გაეცნონ დიდი ფრანგი მწერლის ნაწარმოებებს გერონტი და თინათინ ქიქოძეების მშვენიერი თარგმანების მიხედვით.

მიხეილ კვესელავა

წითელი და შავი

ნაწილი პირველი

სიმართლე, მკაცრი სიმართლე.

დანტონი

I

პატარა ქალაქი

თუნდაც გალიაში ათასი სული ჩავსვათ, იგი მაინც გასართობ ადგილად ვერ გადაიქცევა.

ჰობსი

პატარა ვერიერი შეიძლება ულამაზეს ქალაქად ჩაითვალოს ფრანშკონტეში.* მისი თეთრი სახლები წითელი კრამიტის წვეტიანი სახურავებით გაშლილა გორაკის ფერდობზე, რომლის ოღრო-ჩოღროებს ატყორცნილი წაბლის ხეების ქოჩრები აღნიშნავენ. რამდენიმე ასეული ფეხის ნაბიჯის მანძილზე მისი ციხე-სიმაგრიდან, რომელიც ოდესღაც ესპანელებს აუშენებიათ, ხოლო დღეს დანგრეულია, დუ მიედინება.

ჩრდილოეთის მხრიდან ვერიერი დაცულია მაღალი მთით. მისი დაკბილული წვეტები ოქტომბრის პირველი სიცივეების დაწყებისთანავე თოვლით იფარება. მთიდან ძლიერი ნაკადი მოქუხს და, სანამ დუს შეუერთდებოდეს, ვერიერს ჭრის, სადაც მრავალ სახერხ ჩარხს ამოძრავებს. ეს მარტივი მრეწველობაა და ერთგვარ კეთილდღეობას ქმნის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის, რომელიც უფრო გლეხებისაგან შედგება, ვიდრე ბურჟუებისაგან. მაგრამ ეს პატარა ქალაქი ხე-ტყის ქარხნებს როდი გაუმდიდრებია: იგი თავის შეძლებას დაჩითული ქსოვილების ფაბრიკას უნდა უმადლოდეს. ეს ქსოვილები მიულჰუზენურის სახელწოდებითაა ცნობილი. ნაპოლეონის დამხობის დღიდან ამ ფაბრიკის წყალობით გადაკეთდა თითქმის ყველა შენობა ვერიერში.

ქალაქში შესვლისთანავე ადამიანს მანქანის გრიალი აყრუებს. ეს მანქანა საშიში შესახედავია. ათი მძიმე ჩაქუჩი ისეთი ხმაურით ეცემა, რომ ქვაფენილი ზანზარებს. ამ ჩაქუჩს წყლის ბორბალი ამოძრავებს. თითოეული ჩაქუჩი დღეში რამდენიმე ათას ლურსმანს ამზადებს. ქორფა და ლამაზი გოგონები ამ უზარმაზარ ჩაქუჩებს ქვეშ რკინის პატარა ნაჭრებს უდებენ. ეს ნაჭრები ჩქარა ლურსმნებად იქცევა ხოლმე. ეს შრომა, ესოდენ მძიმე რომაა გარეგნულად, ყველაზე მეტად აკვირვებს მოგზაურს, რომელიც პირველად ხვდება საფრანგეთისა და ჰელვეციის* მოსაზღვრე მთებში. თუ ქალაქში შესვლისას მოგზაური იკითხავს, ვის ეკუთვნის ეს მშვენიერი ქარხანა, ასე რომ აყრუებს მთავარ ქუჩაზე მიმავალ ხალხსო, მას გაჭიანურებული აქცენტით უპასუხებენ: «ეჰ, იგი ბატონ ქალაქის მერს ეკუთვნის!».

საკმაოა, მოგზაური ცოტა ხნით შეჩერდეს ვერიერის მთავარ ქუჩაზე, რომელიც დუს ნაპირიდან გორაკის მწვერვალისკენ მიიმართება, რომ თითქმის უეჭველად შეხვდეს მაღალი ტანის, საქმიანი და მედიდური გამომეტყველების მქონე ადამიანს.

მისი გამოჩენისთანავე ყველანი უმალ ქუდს იხდიან. თმა შეჭაღარავებული აქვს, ნაცრისფერი ტანისამოსი აცვია. რამდენიმე ორდენის კავალერია, მაღალი შუბლი, არწივისებური ცხვირი და სახის სწორი ნაკვთები აქვს; კიდევ მეტს ვიტყვით: პირველი შეხედვით ამ სახეზე აღბეჭდილია პროვინციალი ქალაქის მერის ღირსება, შეერთებული ერთგვარ მოხდენილობასთან, რომელიც შეიძლება კიდევ შერჩეს ორმოცდარვა თუ ორმოცდაათი წლის მამაკაცს. მაგრამ თუ მოგზაური პარიზელია, მისი გემოვნება, ცოტა არ იყოს, შეურაცხყოფილი დარჩება ამ კაცის თვითკმაყოფილებით, რასაც ზედ რაღაც შეზღუდულობის და მოუსაზრებლობის იერი დაჰკრავს. ბოლოს, ადამიანი გრძნობს, ამ

კაცის მთელი ნიჭი იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ სხვებს აიძულოს, ვადაზე გადაიხადონ თავიანთი ვალი, თვითონ კი რაც შეიძლება აგვიანებს ვალის გადახდას.

ასეთია ვერიერის მერი, ბატონი დე რენალი. იგი მძიმე ნაბიჯით ჭრის ქუჩას, ქალაქის თვითმმართველობაში შედის და თვალთაგან ეფარება მოგზაურს. მაგრამ თუ ახლადჩამოსულმა გზა განაგრძო, ასი ნაბიჯის ზემოთ საკმაოდ ლამაზ შესახედავ სახლს მიადგება. ამ სახლს რკინის მავთულით შემოღობილი საუცხოო ბაღი აკრავს. იმას იქით შორეულ სივრცეში ბურგუნდიის გორაკები მოჩანს. ისინი თითქოს იმისთვის არიან შექმნილი, რომ თვალს წყალი დაალევინონ. ეს სანახაობა მოგზაურს ავიწყებს ფულის ინტერესებით გაჟღენთილ ატმოსფეროს, რომელმაც ის იყო, კინაღამ სული შეუხუთა.

შემდეგ მოგზაურს აუწყებენ, ეს სახლი დე რენალს ეკუთვნისო. თავისი დიდი სალურსმნო ქარხნიდან მიღებულ შემოსავალს უნდა უმადლოდეს ვერიერის მერი* თავის მშვენიერ, თლილი ქვის ბინას, რომელსაც იგი ამჟამად ამთავრებს. ამბობენ, მისი გვარი ესპანეთიდანაა, მეტისმეტად ძველია და იქ დასახლებულა ბევრად ადრე, ვიდრე ამ კუთხეს ლუი XIV დაიპყრობდაო.

1815 წლის შემდეგ მას სათაკილოდ მიაჩნია, რომ მრეწველია: 1815 წელმა გახადა იგი ვერიერის მერად. ტერასებად ამოყვანილი კედლებიც, რომელნიც ამ დიდებული ბაღის სხვადასხვა ნაწილებს აკავებს და სართულ-სართულ დუმდე ეშვება, მოწმობს აგრეთვე, რომ ბ. დე რენალს რკინის აღებ-მიცემობაში დიდი ცოდნა აქვს.

ნუ ეძებთ საფრანგეთში მხატვრულ ბაღებს, რომელნიც გარს არტყია გერმანიის სამრეწველო ქალაქებს: ლაიფციგს, ფრანკფურტს, ნიურნბერგს და სხვებს. ფრანშკონტეში ადამიანი მით უფრო პატივსაცემი ხდება მეზობლების თვალში, რაც უფრო მეტ კედელს ააშენებს, რაც უფრო მეტ ყორის ქვას აახორავებს თავის მამულში. ბ-ნ დე რენალის ბაღებსაც ხომ კედლები არ აკლია. ისინი აღტაცებს იწვევენ იმიტომ, რომ პატრონმა ბაჯაღლო ოქროდ იყიდა ზოგიერთი მიწის ნაკვეთი, რომელიც ამ ბაღებს უკავია. მაგალითად, იმ ხე-ტყის სახერხ ქარხანას, რომლის თავისებურმა მდებარეობამ დუს ნაპირას თქვენ გაგაოცათ ვერიერში შემოსვლისთანავე, და რომლის აბრაზე სორელის გვარი ამოიკითხეთ, უზარმაზარი ასოებით დაწერილი, ამ ექვსიოდე წლის წინათ ის ადგილი ეჭირა, სადაც ამჟამად რენალის ბაღების მეოთხე ტერასის კედელს აგებენ.

თავისი სიამაყის მიუხედავად, ბატონ მერს მრავალი ნაბიჯის გადადგმა დასჭირდა, რათა ტლანქი და ჯიუტი გლეხი, ბებერი სორელი მოელბო. მრავალი ბრჭყვიალა ლუიდორი ჩაუთვალა, სანამ ქარხანას სხვაგან გადაატანინებდა. რაც შეეხება სათემო

მდინარის წყალს, რომელიც ხერხს ამოძრავებდა, რენალმა თავისი გავლენის წყალობით პარიზში ნებართვა მიიღო, იგი სხვა კალაპოტში გადაეგდო. ეს წყალობა მას 1821 წლის არჩევნებმა მოუპოვა.

მან სორელს დუს ნაპირას ოთხი დღიური მისცა ერთში. და თუმცა ეს ადგილი ბევრად უფრო მოხერხებული იყო ნაძვის ფიცრების აღებ-მიცემობისათვის, პაპა სორელმა, რომელსაც ამ სახელს უწოდებდნენ მისი გამდიდრების შემდეგ, კიდევ შეძლო თავისი მეზობლის მოუთმენლობისა და მესაკუთრის მანიის გამოყენება და სართად 6.000 ფრანკი მიიღო.

მართალია, ამ შეთანხმებას ადგილობრივი ჭკვიანი ადამიანები აკრიტიკებდნენ ხოლმე. ერთხელ, კვირა დღეს, ოთხი წლის წინათ, როდესაც ქალაქის მერის ტანისამოსში გამოწყობილი დე რენალი ეკლესიიდან ბრუნდებოდა, დაინახა, რომ თავისი სამი ვაჟით გარშემორტყმული ბებერი სორელი მას შორიდან უცქეროდა და იღიმებოდა. ამ გაღიმებამ საბედისწერო სინათლე შეიტანა ბატონი მერის სულში: მას შემდეგაა, რომ ფიქრობს, უფრო სარფიანად შემეძლო გაცვლა მომეხდინაო.

საზოგადოებრივი პატივისცემის დასამსახურებლად ვერიერში თავი და თავია, რაც შეიძლება მეტი კედელი ააშენოთ, მაგრამ არც ერთი გეგმა არ მიიღოთ, რომელიც იტალიიდან კალატოზებს მოაქვთ, როცა ისინი გაზაფხულზე იურის მთების უღელტეხილებზე გადმოდიან, რათა პარიზს მიაღწიონ. ასეთი რეფორმა თავქარიანი კაცის სახელს მოუხვეჭდა გაუფრთხილებელ აღმშენებელს, და იგი სამუდამოდ სახელგატეხილი იქნებოდა იმ კეთილგონიერი და ზომიერი ადამიანების თვალში, რომელნიც ღირსებას ანაწილებენ ფრანშკონტეში.

ნამდვილად ეს გონიერი ადამიანები მეტად აუტანელი მტარვალები არიან: მათი წყალობით პატარა ქალაქებში ცხოვრება შეუძლებელია ადამიანისათვის, რომელსაც იმ დიდ რესპუბლიკაში უცხოვრია, პარიზს რომ უწოდებენ. საზოგადოებრივი აზრის (და ისიც რა აზრის!) მტარვალობა ისევე დიდია საფრანგეთის პატარა ქალაქებში, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში.

II

ქალაქის მერი

ღირსების მოპოვება საზოგადოებაში! ბატონო, განა ეს არაფერია? ესაა უგუნურთა მოკრძალება, ბალღთა გაკვირვება, მდიდართა შური, ბრძენთა ზიზღი.

ბარნავი

ბ. დე რენალის, როგორც ადმინისტრატორის, რეპუტაციის საბედნიეროდ საჭირო გახდა ვეებერთელა ჯებირის გაკეთება იმ საზოგადოებრივი სასეირნო ადგილის გასამაგრებლად, რომელიც გორაკს გარს უვლის ასი ნაბიჯის სიმაღლეზე დუს ნაპირიდან. აქედან საუცხოო გადასახედი იშლება, ერთი ულამაზესი სანახაობა მთელს საფრანგეთში. მაგრამ ყოველ გაზაფხულზე ნიაღვარი ლეკავდა ამ სასეირნო ადგილს, ოღრო-ჩოღროს ხდიდა მას, სრულიად გამოუსადეგარს სეირნობისათვის. ამ გარემოებამ ბ. დე რენალი აიძულა თავისი ადმინისტრატორობა უკვდავეყო ექვსი მეტრის სიმაღლისა და სამოცი თუ ოთხმოცი მეტრის სიგრძის ჯებირის აგებით.

ამ ჯებირის გალავანი, რომლის გულისთვისაც ბ. დე რენალი იძულებული გახდა სამჯერ გამგზავრებულიყო პარიზში იმიტომ, რომ წინანდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ვერიერის სასეირნო ადგილს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა, დღეს ოთხი წყრთის სიმაღლეზეა ამართული, და თითქოს ყველა წარსული და ახლანდელი მინისტრის გამოსაჯავრებლად ამ წუთში ფილაქანით ამკობენ.

რამდენჯერ მივყრდნობივარ ამ ქვის დიდ, მშვენიერ, ნაცრისფერ ან მომწვანო ლოდებს, ახლად დატოვებული პარიზის საზეიმო საღამოებზე მიოცნებია და დავმტკბარვარ დუს ველის ცქერით! გაღმა, მარცხენა ნაპირას ხუთი თუ ექვსი სხვა ხეობა იკლაკნება. მათ სიღრმეში თვალი ადვილად გაარჩევს პატარა ღელეებს, ალაგ-ალაგ ნაპრალებზე რომ გადმოქუხან, რათა ბოლოს დუს შეუერთდნენ. მზე მწვავედ აცხუნებს ამ მთებში. როცა იგი ოდნავ გადაიხრება, მოგზაურს შეუძლია თავისუფლად იოცნებოს ტერასაზე დიდებული ჭადრების ქვეშ. თავიანთ სწრაფ ზრდასა და თავიანთ მშვენიერ მწვანე ფერს, რომელიც ლურჯში გადადის, ეს ხეები მოტანილ მიწას უნდა უმადლოდნენ. ეს მიწა ბატონმა მერმა თავისი უზარმაზარი ჯებირის უკან დააყრევინა იმიტომ, რომ თვითმმართველობის საბჭოს წინააღმდეგობის მიუხედავად, მან ორი მეტრით გააფართოვა სასეირნო ადგილი (თუმცა იგი უკიდურესი ლეგიტიმისტია,* მე კი ლიბერალი ვარ, მაინც ქებას ვუძღვნი ამისთვის). აი ამიტომ, მისი აზრით, და აგრეთვე ვერიერის ღარიბთა

თავშესაფრის ბედნიერი დირექტორის ვალნოს აზრით, ეს ტერასა სენ ჟერმენის ტერასას შეედრება.

მაგრამ ერთი რამ უნდა შევნიშნო «ერთგულების სასეირნოს»: - ასეთია ამ ადგილის ოფიციალური სახელწოდება; იგი აქ თხუთმეტ თუ ოც მარმარილოს ფიცარზეა წარწერილი _ ამ ფიცრებმა კიდევ ერთი ჯვარი მოუპოვეს ბ. დე რენალს: მე «ერთგულების სასეირნოს» იმას ვუწუნებ, რომ აქ მმართველობას ბარბაროსულად გაუსხეპავს და შეუკრეჭია ეს ძალ-ღონით სავსე ჭადრები. ბევრად უკეთესი იქნებოდა, ცაში რომ ყოფილიყვნენ ატყორცნილი, აქ კი ისინი თავიანთი დაბალი, მრგვალი და გაბრტყელებული თავებით უფრო ბაღჩის მცენარეებს ჰგვანან. ესაა, რომ ბ. ქალაქის მერს დესპოტური ხასიათი აქვს და ამიტომ წელიწადში ორჯერ თვითმმართველობის ხეები ულმობელად ისხეპება. ადგილობრივი ლიბერალები ირწმუნებიან, თუმცა უნდა ითქვას, რომ ისინი აჭარბებენ, ოფიციალური მებაღის ხელი ბევრად უფრო მკაცრი გახდა მას შემდეგ, რაც ეპისკოპოსის თანამესაყდრე მასლონი გასხეპისა და გასხვლის საქმეს დაეპატრონაო. ეს ახალგაზრდა სამღვდელო პირი ბეზანსონიდან გადმოიყვანეს რამდენიმე წლის წინათ, რათა აქაური აბატი შელანისა და მახლობელი სოფლების ხუცებისათვის ედევნებინა თვალყური. ერთმა ხნიერმა დოსტაქარმა, რომელსაც ნაპოლეონის დროს იტალიის არმიაში* უმსახურია და, თუ ბ. ქალაქის მერს დავუჯერებთ, ერთსა და იმავე დროს ბონაპარტისტიც* ყოფილა და იაკობინელიც,* გაბედა და ამ უკანასკნელს შესჩივლა, ამ მშვენიერ ხეებს ასე რად ასახიჩრებთო.

_ მე ჩრდილი მიყვარს, _ უპასუხა ბ. დე რენალმა გულზვიადი ტონით, რომელიც მას შეეფერებოდა დოსტაქართან, საპატიო ლეგიონის ოფიცერთან, ლაპარაკისას, _ მე ჩრდილი მიყვარს, მე ჩემს ხეებს ვასხეპინებ ჩრდილის გულისთვის და არ მესმის, სხვა რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს მცენარეს, თუ მას კაკლის ხის მსგავსად შემოსავალი არ მოაქვს.

აი, დიდი სიტყვა, რომელიც ყოველივეს წყვეტს ვერიერში: შემოსავლის მოტანა! მარტო ეს გამოხატავს მოსახლეობის სამი მეოთხედის ყოველდღიურ აზრს.

შემოსავლის მიღება ყოველი მოქმედების აზრს წარმოადგენს ამ ქალაქში, რომელიც თქვენ ესოდენ ლამაზი გეჩვენებათ. ახლადმოსულ მოგზაურს, რომელიც მოხიბლულია გრილ და ღრმა ხეობათა სილამაზით, თავდაპირველად ეგონება, მცხოვრებლები მგრძნობიარენი არიან მშვენიერებისადმიო. მართლაც, ხშირად ლაპარაკობენ თავიანთი ქვეყნის სილამაზეზე. მაგრამ ეს იმისათვის ხდება, რომ უცხოელები მოიზიდონ: მათი

ფული სასტუმროთა მეპატრონეებს ამდიდრებს, რასაც გადასახადების მექანიზმის წყალობით ქალაქის შემოსავლის ზრდა მოსდევს.

შემოდგომის ერთ მშვენიერ დღეს ბ. დე რენალი «ერთგულების სასეირნოზე» დადიოდა თავის ცოლთან ხელში ხელგაყრილი. ქალბატონი დე რენალი ყურს უგდებდა სერიოზული სახით მოლაპარაკე ქმარს, თან მოუსვენრად თვალს ადევნებდა სამი პატარა ვაჟის მოძრაობას. უფროსი, რომელიც თერთმეტი წლისა უნდა ყოფილიყო, ხშირად უახლოვდებოდა მოაჯირს და თითქოს ზედ ასვლას აპირებდა. მაშინ ტკბილი ხმა ადოლფის სახელს წარმოთქვამდა ხოლმე და ბავშვი უარყოფდა თავის გაბედულ განზრახვას. ქალბატონ დე რენალს ოცდაათი წლის ქალის შესახედაობა ჰქონდა, მაგრამ ჯერ საკმაოდ ლამაზი იყო.

_ შეიძლება, ბოლოს ძალიან ინანოს ამ მშვენიერმა პარიზელმა ვაჟბატონმა, _ ამბობდა ბ. დე რენალი, რომელსაც შეურაცხყოფილი გამომეტყველება და ჩვეულებრივზე უფრო ფერმკრთალი ღაწვები ჰქონდა, _ მეცა მყავს მეგობრები სასახლეში...

თუმცა, განზრახული მაქვს პროვინციაზე გესაუბროთ ორასიოდე გვერდის მანძილზე, მაგრამ იმდენ ბარბაროსობას არ გამოვიჩენ, რომ პროვინციული დიალოგები გადმოგცეთ მთელი მათი გაჭიანურებული და განსწავლული წილადობილათი.

ეს მშვენიერი პარიზელი ვაჟბატონი, ესოდენ აუტანელი ვერიერის მერისთვის, ბ. აპერტი* იყო. მან ორი დღის წინათ მოახერხა ცხვირი შეეყო არა მარტო სატუსაღოსა და ღარიბთა თავშესაფარში, არამედ საავადმყოფოშიც, რომელსაც ბ. მერი და ადგილობრივი შეძლებული მესაკუთრეები უფასოდ განაგებდნენ.

_ ჰო, მაგრამ, _ თქვა მოკრძალებულად ქალბატონმა დე რენალმა, _ რა ზიანი უნდა მოგაყენოთ ამ პარიზელმა ვაჟბატონმა, რაკი თქვენ კეთილსინდისიერად განაგებთ ღარიბთა ქონებას?

_ იგი მოვიდა, რათა თავს ლაფი დაგვასხას, შემდეგ სტატიებს დაბეჭდავს ლიბერალურ გაზეთებში.

_ თქვენ ხომ მათ არ კითხულობთ, ჩემო მეგობარო.

_ ჰო, მაგრამ ჩვენ გველაპარაკებიან იმ იაკობინურ სტატიებზე; ეს ყოველივე თავგზას მიბნევს და ხელს გვიშლის, კეთილი საქმე გავაკეთოთ.

III

ღატაკთა ქონება

სათნო და არა ინტრიგანი მღვდელი
ნამდვილი განგებაა სოფლისათვის.

ფლერი*

მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ ვერიერის მღვდელს, რომელიც ოთხმოცი წლის მოხუცი იყო, მაგრამ ამ მთების სუფთა ჰაერის წყალობით რკინის ხასიათითა და ჯანმრთელობით იყო დაჯილდოებული, უფლება ჰქონდა, ყოველ დროს შესულიყო სატუსაღოს, საავადმყოფოსა და თვით ღატაკთა თავშესაფარში. სწორედ დილის ექვსი საათი იყო, როცა ბ. აპერტი, რომელსაც სარეკომენდაციო ბარათი ჰქონდა მღვდელთან, ამ პატარა საინტერესო ქალაქში მოვიდა და მაშინვე მღვდლის ბინას მიაშურა.

მღვდელმა შელანმა გადაიკითხა წერილი, რომელსაც მას საფრანგეთის პერი და ამ პროვინციის უმდიდრესი მესაკუთრე ბ. დე ლამოლი წერდა, და ჩაფიქრდა.

_ მე მოხუცი ვარ და აქ სიყვარულით მეპყრობიან, _ ჩაილაპარაკა ბოლოს დაბალი ხმით, _ ისინი ვერ გაბედავენ!

იგი მაშინვე მიუბრუნდა პარიზიდან ახლადმოსულს და თვალები მიაპყრო, რომელშიც, ღრმა მოხუცებულობის მიუხედავად, ღვთაებრივი ცეცხლი ღვიოდა; ეს ცეცხლი გვაუწყებდა კეთილშობილი, მაგრამ, ცოტა არ იყოს, სახიფათო მოქმედების სურვილს.

_ გამომყევით, ბატონო, და გთხოვთ, სატუსაღოს ზედამხედველისა და, განსაკუთრებით, ღატაკთა თავშესაფრის მეთვალყურეთა თანდასწრებით არ გამოთქვათ არავითარი შეხედულება ჩვენს მიერ ნანახზე.

ბ. აპერტი მიხვდა, რომ მას საქმე ჰქონდა გულთბილ ადამიანთან; თან გაჰყვა ამ მღვდელს, ინახულა სატუსაღო, საავადმყოფო, თავშესაფარი, მრავალი რამ გამოიკითხა და უცნაური პასუხების მიუხედავად, არავისთვის საყვედური არ უთქვამს.

ეს დათვალიერება რამდენიმე საათს გაგრძელდა. მღვდელმა ბ. აპერტი სადილად მიიპატიჟა, მაგრამ ამ უკანასკნელმა მოიმიზეზა, წერილები მაქვს დასაწერიო; არ უნდოდა, კიდევ უფრო გაეტეხა სახელი თავისი სულგრძელი თანამგზავრისათვის. დაახლოებით სამ საათზე მათ დაასრულეს ღატაკთა თავშესაფრის დათვალიერება და სატუსაღოში დაბრუნდნენ. იქ მათ კართან სატუსაღოს ზედამხედველი შეხვდა, ახმახი,

მრუდეფეხებიანი ბუმბერაზი. მისი ისედაც უჯიშო სახე შიშს კიდევ უფრო უხამსი გაეხადა.

_ აჰ, ბატონო, _ უთხრა მან მღვდელს, _ ეს მამაკაცი, თქვენ რომ გახლავთ, ბ. აპერტი ხომ არ არის?

_ მერე რა? _ უპასუხა მღვდელმა.

_ საქმე ისაა, რომ გუშინ სასტიკი ბრძანება მივიღე, სატუსაღოში არ შეუშვათ ბ. აპერტიო. ეს ბრძანება პრეფექტს გამოეგზავნა ჟანდარმის ხელით; მას მთელი ღამე ცხენი ეჭენებინა, რათა დროზე მოესწრო.

_ რა დაგიმალოთ, ბ. ნუარე, _ თქვა მღვდელმა, _ ეს მოგზაური, რომელიც მე მახლავს, მართლაც ბ. აპერტია. ცნობთ თუ არა, რომ მე უფლება მაქვს, ყოველ ჟამს შემოვიდე სატუსაღოში, დღისით იქნება თუ ღამით, და ვინც მინდა, შემოვიყვანო?

_ დიახ, ბატონო, _ ჩაილაპარაკა სატუსაღოს ზედამხედველმა და თავი დახარა ბულდოგივით, რომელიც ადამიანს ჯოხის შიშით ემორჩილება. _ ოღონდ, ბატონო, ცოლ-შვილის პატრონი ვარ: თუ დამასმინეს, გადამაყენებენ; მე კი სხვა წყარო არ გამაჩნია საცხოვრებლად.

_ ჩემთვისაც საწყენი იქნებოდა ადგილის დაკარგვა, _ უპასუხა მღვდელმა უფრო აღელვებული ხმით.

_ რა შედარებაა! _ განაგრძო სატუსაღოს ზედამხედველმა, _ ვინ არ იცის, რომ თქვენ, ბატონო, რვაასი ლივრის რენტა გაქვთ კარგი მამულიდან...

ასეთია ფაქტები, რომელთაც, სათანადო კომენტარებისა და გადაჭარბების შემდეგ, უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ყველანი ააღელვეს ქალაქ ვერიერში. ამ წუთში იგი იმ პატარა კამათის საგანს წარმოადგენდა, რომელიც ბ. რენალსა და მის ცოლს შორის გაიმართა. დილით ბ. დე რენალი ღარიბთა თავშესაფრის დირექტორის, ბ. ვალნოს თანხლებით მღვდელთან იყო, რათა მისთვის თავისი უკმაყოფილება გადაეცა. მღვდელს არავინ ჰყავდა მფარველი. მან იგრძნო სტუმრის საყვედურების მნიშვნელობა.

_ ეჰ, რა გაეწყობა, ბატონებო, მე მესამე ხუცესი ვიქნები, რომელსაც ოთხმოცი წლის ასაკში ადგილიდან აყენებენ ამ კუთხეში. ორმოცდათექვსმეტი წელიწადია, აქა ვარ. ჩემი მონათლულია თითქმის მთელი ქალაქი, რომელიც პაწია დაბა იყო, როცა აქ განმაწესეს. ყოველდღე ჯვარს ვწერ ახალგაზრდებს, ოდესღაც კი მათი მამა-პაპებისთვის დამიწერია ჯვარი. ვერიერი ჩემი ოჯახია, მაგრამ მე გულში ვთქვი ამ უცნობის დანახვისთანავე: «ეს

პარიზელი შეიძლება ნამდვილად ლიბერალი იყოს. მათი რიცხვი დღეს ლეგიონია, მაგრამ რა ზიანის მიყენება შეუძლია მას ღარიბებისა ან ტუსაღებისთვის?»

მაგრამ ბ. დე რენალის და, განსაკუთრებით, ღარიბთა თავშესაფრის დირექტორის, ბ. ვალნოს საყვედური თანდათან უფრო მძაფრი ხდებოდა.

_ კარგი, ბატონებო, გადააყენებინეთ ჩემი თავი, _ წამოიძახა ბებერმა მღვდელმა ათრთოლებული ხმით, _ მე მაინც ამ კუთხეში დავრჩები. როგორც მოგეხსენებათ, ორმოცდარვა წლის წინათ მემკვიდრეობით მიწის ნაჭერი მივიღე, რომელსაც 800 ლივრი შემოაქვს; საცხოვრებლად ეს მეყოფა. ჩემი ჯამაგირიდან არაფერი მრჩება შავი დღისთვის, ამიტომ სრულიადაც არ მეშინია მისი დაკარგვისა.

ბ. დე რენალი შეთანხმებულად ცხოვრობდა თავის ცოლთან, მაგრამ რადგან არ იცოდა, რა ეპასუხა კითხვაზე, რომელსაც ქალი გაუბედავად იმეორებდა, რა ზიანის მოტანა შეუძლია ტუსაღებისთვის ამ პარიზელ კაცსო, მზად იყო გაჯავრებულიყო, როცა ქალმა უცებ შეჰკივლა. საშუალო ბავშვი ტერასის მოაჯირზე ასულიყო და ზედ დარბოდა. ეს გალავანი კი ექვსი-შვიდი მეტრის სიმაღლიდან დასცქეროდა მეორე მხარეზე გაშენებულ ვენახს. იმის შიშით, ბავშვი არ დავაშინო და არ გადავარდესო, ქალბატონმა დე რენალმა დაძახება ვერ გაბედა. ბოლოს, თავისი ვაჟკაცობით გამხიარულებულმა ბავშვმა დედას შეხედა, მისი ფერწასული სახე შეამჩნია, ძირს ჩამოხტა და მისკენ გაიქცა. იგი ძალზე დატუქსეს.

ამ პატარა ამბავმა სხვა მიმართულება მისცა საუბარს.

_ აუცილებლად უნდა დავიყენო მხერხავის შვილი სორელი, _ თქვა ბატონმა დე რენალმა, _ იგი თვალყურს ადევნებს ბავშვებს, თორემ მეტისმეტად გაცელქდნენ. ახალგაზრდა მღვდელია თუ რაღაც ამის მსგავსი, კარგად იცის ლათინური, ხელს შეგვიწყობს ბავშვების აღზრდაში; ჩვენი მღვდელი ამბობს, მტკიცე ხასიათი აქვსო. სამას ფრანკსა და სასმელ-საჭმელს მივცემ. ცოტა არ იყოს, ეჭვი მქონდა მისი ზნეობის შესახებ იმიტომ, რომ იგი მეტისმეტად უყვარდა ბებერ დასტაქარს, საპატიო ლეგიონის წევრს, რომელმაც ნათესაობა მოიმიზეზა და სორელებისას დასახლდა. ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ვაჟბატონი ლიბერალების საიდუმლო აგენტი ყოფილიყო; ამბობდა, ამ მთების ჰაერი ნამდვილი მალამოა ჩემი გულის ქოშინისთვისო, მაგრამ ეს არაა დამტკიცებული. იგი მონაწილეობდა ბონაპარტის ყველა ლაშქრობაში იტალიაში, შემდეგ იმპერიის წინააღმდეგაც კი მიუცია ხმა. ეს ლიბერალი ლათინურს ასწავლიდა ახალგაზრდა სორელს, მისთვისვე უანდერძებია წიგნების გროვა, რომელიც თან ჰქონდა

ჩამოტანილი. ამიტომ არასოდეს თავში აზრად არ მომივიდოდა, ეს დურგლის შვილი ჩემი შვილებისთვის მიმეჩინა, მაგრამ ჩვენმა ხუცესმა სწორედ ჩვენი სამუდამოდ წაჩხუბების წინა დღით მითხრა, ჭაბუკი სორელი სამი წელიწადია ღვთისმეტყველებას სწავლობს, რათა სემინარიაში შევიდესო; მაშასადამე, ლიბერალი კი არა, ლათინისტი ყოფილა.

_ ეს ჩვენ მრავალნაირად გვარგებს, _ განაგრძო ბ. დე რენალმა და თავის ცოლს გადახედა დიპლომატიურად, _ ვალნო დიდად ამაყობს თავისი ორი ჯიშიანი ნორმანდიული ცხენით, ამას წინათ რომ იყიდა თავისი ეტლისთვის, მაგრამ აღმზრდელი როდი ჰყავს ბავშვებისთვის.

_ შეიძლება ეს წაგვართვას.

_ მაშ, შენ იწონებ ჩემს განზრახვას, _ თქვა რენალმა და ცოლს ღიმილით მადლობა გადაუხადა მის მიერ გამოთქმული საუცხოო აზრისთვის. _ მაშ, გადაწყვეტილია.

_ აჰ, ღმერთო ჩემო, რა ჩქარა წყვეტ საქმეს, ჩემო მეგობარო!

_ იმიტომ, რომ მტკიცე ხასიათი მაქვს; ეს მღვდელმაც კარგად დაინახა. რა დასამალია, ჩვენ აქ ლიბერალებით ვართ გარშემორტყმული. ყველა ეს მიტკლის ვაჭარი შურით შემომყურებს, ამაში დარწმუნებული ვარ; ორი თუ სამი მათგანი მდიდარი გახდა; ჰოდა, მინდა დავანახო, როგორ დასეირნობენ ბ. დე რენალის ბავშვები თავიანთ აღმზრდელთან ერთად. ეს სიამოვნება, ალბათ, ასიოდე ეკიუ დამიჯდება, მაგრამ ამას უნდა შევხედოთ, როგორც აუცილებელ ხარჯს ჩვენი მდგომარეობის გასამტკიცებლად.

ამ უცაბედმა გადაწყვეტილებამ ჩააფიქრა ქალბატონი დე რენალი. ეს იყო მაღალი, ტანადი ქალი, რომელიც ამ კუთხის მშვენიერებად ითვლებოდა, როგორც ამ მთებში იტყვიან ხოლმე. მის მიხრა-მოხრას ერთგვარი უბრალოებისა და ახალგაზრდობის იერი ჰქონდა. პარიზელი მამაკაცის თვალში ამ გულუბრყვილო გრაციას, აღსავსეს უმანკოებითა და სიმკვირცხლით, ნაზი ვნებათა ღელვის გაღვივება შეეძლო. ქ. დე რენალს რომ ასეთი გამარჯვების ამბავი შეეტყო, ცოტა არ იყოს, კიდეც შერცხვებოდა: არც კეკლუცობა, არც თვალთმაქცობა არასოდეს გაკარებია მის გულს. ამბობდნენ, თავშესაფრის მდიდარი დირექტორი ბ. ვალნო ეაშიკებოდა ამ ქალს, მაგრამ ვერაფერს მიაღწიაო. ეს განსაკუთრებულ სხივს ჰფენდა მის სათნოებას იმიტომ, რომ ეს წარმოსადეგი, ტლანქი, უსირცხვილო და მყვირალა არსებათაგანი იყო, რომელთაც პროვინციაში ლამაზ მამაკაცებს უწოდებენ.

ქალბატონი დე რენალი მეტად გაუბედავი და, ალბათ, მერყევი ხასიათის ქალი იყო. მას ეჩოთირებოდა ვალნოს მოუსვენრობა და ხმამაღალი ლაპარაკი. რადგან იგი გაურბოდა

ყოველივეს, რასაც ვერიერში გართობას უწოდებდნენ, ბევრს ეგონა, მეტისმეტად თავი მოაქვს თავისი წარმოშობითო. ნამდვილად ეს ქალი ნაკლებ ფიქრობდა თავის წარმოშობაზე, მაგრამ ძლიერ კმაყოფილი იყო, რომ ქალაქის მცხოვრებლები აგრერიგად არ აწუხებდნენ თავიანთი დარბაზობით. არ დავმალავთ, რომ იგი უჭკუოდ ითვლებოდა ადგილობრივი ქალების თვალში იმიტომ, რომ არავითარ პოლიტიკას არ აწარმოებდა თავისი ქმრის მიმართ და ხელიდან უშვებდა საუკეთესო შემთხვევას, მოსართავი ქუდები ეყიდა პარიზსა თუ ბეზანსონში. არასოდეს არაფერზე დაიჩივლებდა, თუკი ხელს არ შეუშლიდნენ, მარტოდმარტო ეხეტიალა თავის მშვენიერ ბაღში.

ეს იყო გულუბრყვილო სული, რომელიც იქამდისაც კი არ მისულა, რომ თავისი ქმარი განესაჯა და თავის გულში ეღიარებინა, თავი მომაბეზრაო. ეგონა, თუმცა თავს არ უტყდებოდა, ცოლ-ქმარს შორის შეუძლებელია უფრო ნაზი ურთიერთობა არსებობდესო. განსაკუთრებით მაშინ მოსწონდა ბ. დე რენალი, როცა თავის გეგმებს უზიარებდა შვილების შესახებ, რომელთაგან ერთი სამხედრო სამსახურისთვის ჰყავდა დანიშნული, მეორე _ სასამართლოსთვის, ხოლო მესამე _ ეკლესიისთვის. საერთოდ, ქალი თავის ქმარს ბევრად ნაკლებ მოსაწყენად თვლიდა, ვიდრე სხვა ნაცნობ მამაკაცებს.

ქალის ასეთი შეხედულება არ იყო სრულიად უსაფუძვლო. ვერიერის მერს ჭკვიანი და კარგი ტონის ადამიანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ხუთი-ექვსი ნაკვესის შემწეობით, რომელიც მემკვიდრეობით მიეღო ერთი თავისი ბიძისაგან. კაპიტანი დე რენალი რევოლუციამდე ბ-ნ დუკა ორლეანელის ქვეითი ჯარის ათასეულში მსახურობდა და, როცა პარიზში იმყოფებოდა, პრინცის დარბაზებში იყო მიღებული. იქ იგი შეხვედროდა ქალბატონ მონტესონს,* ცნობილ ქალბატონ დე ჟანლისს* და პალე როიალის* გამომგონებელ დიუკრეს.* სწორედ ეს პირები გამოდიოდნენ ხშირად ბ-ნ დე რენალის ანეგდოტებში. მაგრამ მისთვის თანდათან ძნელი გახდა ასეთი ფაქიზი საამბობი საგნების გახსენება და ეს რამდენიმე ხანია, მხოლოდ საზეიმო შემთხვევებში იმეორებდა ანეგდოტებს ორლეანელთა გვარის შესახებ. რადგან, ამას გარდა, იგი მეტად ზრდილობიანიც იყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ლაპარაკი ფულს შეეხებოდა, სრულიად საფუძვლიანად ყველაზე არისტოკრატიულ პიროვნებად ითვლებოდა ვერიერში.

IV

მამა და ვაჟიშვილი

«ჩემი ცოლი ნამდვილად ჭკვიანი ქალია, _ ფიქრობდა მეორე დღეს დილის ექვს საათზე ვერიერის მერი, როცა პაპა სორელის სახერხი ქარხნისაკენ მიეშურებოდა. _ მე ვერ მოვისაზრე, რომ თუ ეს ახალგაზრდა აბატი სორელი არ დავიყენე, რომელმაც, როგორც ამბობენ, ლათინური ენა ანგელოზივით იცის, თავშესაფრის დირექტორს, ამ მოუსვენარი სულის ადამიანს, შეიძლება აზრად მოუვიდეს მისი ჩემთვის წართმევა. და მერე როგორი თვითკმაყოფილებით დაიწყებს თავისი ბავშვების აღმზრდელზე ლაპარაკს!.. მაგრამ ატარებს თუ არა ეს ყმაწვილი ანაფორას, როცა ჩემს სახლში იქნება აღმზრდელად?»

ბ. დე რენალი ამ ფიქრებში იყო წასული, როცა შორიდან თითქმის სამი ადლის სიმაღლის გლეხი დაინახა, რომელიც გათენებიდან დუს ნაპირას დაწყობილ ხის მორებს ზომავდა. გლეხს სახეზე მაინცდამაინც კმაყოფილება არ გამოხატვია ბ. ქალაქის მერის დანახვაზე იმიტომ, რომ ხის მორები გზას ხერგავდა და იქ უკანონოდ ელაგა.

ეს იყო პაპა სორელი. მას გულში მეტად გაუკვირდა და გაუხარდა დე რენალის წინადადება მისი ვაჟის ჟიულიენის შესახებ. ამისდა მიუხედავად, უკმაყოფილო და გულგრილი სახის გამომეტყველება მიიღო, რომლითაც ეს მთიელები ასე თვალთმაქცურად ფარავენ თავიანთ ნამდვილ ზრახვებს. მათ ეს ეგვიპტელი ფელახისებური თვისება იმ დროიდან აქვთ შენარჩუნებული, როცა აქ ესპანელები ბატონობდნენ, ხოლო მათი წინაპრები მონურად ქედმოხრილნი იყვნენ.

სორელმა თავდაპირველად პასუხი გასცა იმ პატივსაცემი სიტყვების ჩამოთვლით, რომელნიც ზეპირად იცოდა. როცა ამ უშინაარსო სიტყვებს იმეორებდა და უხერხულად იღიმებოდა, რაიცა კიდევ უფრო აძლიერებდა ყალბ და თითქმის ოინბაზურ გამომეტყველებას, რომელიც დამახასიათებელი იყო მისი სახისთვის, მისი გლეხური მოქმედი ჭკუა ცდილობდა გამოეცნო, რა მოსაზრება აიძულებს ასეთ წარჩინებულ კაცს ჩემი ნაცარქექია ვაჟიშვილი დაიყენოსო. თვითონ მეტისმეტად უკმაყოფილო იყო ჟიულიენისა, ბ. დე რენალი კი მოულოდნელად სწორედ მის გასამრჯელოდ სთავაზობდა სამას ფრანკს წელიწადში, საჭმელ-სასმელსა და ტანისამოსს. ეს უკანასკნელი პრეტენზია, რომლის წარდგენა პაპა სორელმა უცაბედად მოისაზრა, მიღებულ იქნა ბ. დე რენალის მიერ.

ამ მოთხოვნამ გააოცა ქალაქის მერი. თუ სორელი აღტაცებული არაა ჩემი წინადადებით, ცხადია, მისთვის სხვა მხრიდანაც მიუციათ რაიმე წინადადებაო, ფიქრობდა იგი. ვინ იზამდა ამას, თუ არა ვალნო? დე რენალი ამაოდ აჩქარებდა სორელს დაუყოვნებლივ დაედოთ ხელშეკრულება. ცბიერი ბერიკაცი გაჯიუტდა და უარზე იდგა: ირწმუნებოდა, შვილს მინდა დავეკითხოო, თითქოს პროვინციაში შეძლებული მამა სერიოზულად ოდესმე რასმეს ეკითხებოდეს შვილს, რომელსაც სრულიად არაფერი გააჩნია.

ხე-ტყის სახერხი ქარხანა წარმოადგენს დიდ ფარდულს, რომელიც მდინარის პირას დგას. სახურავი დაყრდნობილია ნივნივებზე, ოთხ მსხვილ ბოძზე რომაა დაბჯენილი. იატაკიდან რვა თუ ცხრა წყრთის სიმაღლეზე მეტად მარტივი მექანიზმი ამ ხერხს ხის მორს აწვდის. ამ ორმაგ მექანიზმს ბორბალი ამოძრავებს, ბორბალს კი მდინარე ატრიალებს.

პაპა სორელი თავის ქარხანასთან მივიდა და ხმადაბლა დაუძახა ჟიულიენს; არავინ გამოხმაურებია. მან მხოლოდ თავისი უფროსი ვაჟიშვილები დაინახა. ეს ბუმბერაზთა მოდგმის ადამიანები მძიმე ცულებით იყვნენ შეიარაღებულნი და ნაძვის მორებს თლიდნენ, სანამ ქარხანაში შეიტანდნენ დასახერხად. მთელი მათი გულისყური იქით იყო მიმართული, რომ არ ასცდენოდნენ მორზე გავლებულ შავ ხაზს, და ცულის ყოველ დაკვრაზე ვეებერთელა ნაფოტები ცვიოდა. მათ არ ესმოდათ მამის ძახილი. პაპა სორელი ქარხანაში შევიდა, მაგრამ ჟიულიენი ხერხის გვერდით როდი აღმოჩნდა, სადაც უნდა ყოფილიყო; ჭერში ამძვრალიყო და თავხეზე შემჯდარიყო ფეხებგადალაჯული. იმის მაგივრად, რომ ქარხნის მუშაობისთვის ედევნებინა თვალყური, წიგნს კითხულობდა. არაფერი არ შეაწუხებდა ბებერ სორელს ისე, როგორც ამ სურათის დანახვამ შეაწუხა; ჟიულიენისთვის შეიძლება კიდევ ეპატიებინა მისი სხეულის სინარნარე, რომელიც ნაკლებ შესაფერი იყო მძიმე ფიზიკური შრომისთვის და მას ასე ანსხვავებდა მისი უფროსი ძმებისაგან; მაგრამ ეს წიგნის კითხვის სიყვარული ბებერი სორელისთვის პირდაპირ აუტანელი იყო. თვით მან როდი იცოდა წერა-კითხვა.

მამამ ორ-სამჯერ დაუძახა ჟიულიენს. უფრო იმ გულისყურმა, რომლითაც იგი წიგნს კითხულობდა, ვიდრე ხერხის ხრიალმა, ყმაწვილს ხელი შეუშალა, მამის მრისხანე ხმა გაეგონა. ბოლოს, თავისი ასაკის მიუხედავად, მოხუცი მკვირცხლად შეხტა დასახერხ მორზე და იქიდან ჭერის თავხეზე ავარდა. პირველმა ძლიერმა შემოკვრამ მდინარეში გადააფრინა ჟიულიენის წიგნი; მეორე არა ნაკლებ ძლიერმა შემოკვრამ დაარეტიანა

ყმაწვილი. ის იყო, სამი-ოთხი მეტრის სიმაღლიდან უნდა ჩამოვარდნილიყო და ამუშავებული მანქანის ოწინარებს დასცემოდა, რომელნიც მას გასრესდნენ, რომ მამამ იგი მარცხენა ხელით დაიჭირა:

_ შე ნაცარქექიავ, კიდევ ამ წყეულ წიგნებს კითხულობ, იმის მაგივრად, რომ ხერხს უყურო? საღამოთი იკითხე, თუ არ დაგიშლია, როცა შენს ხუცესთან მიდიხარ სალაყბოდ.

თუმცა ჟიულიენი თავბრუდახვეული და გასისხლიანებული იყო, მაინც თავის საგუშაგო ადგილს მიუახლოვდა ხერხის გვერდით. თვალები ცრემლებით ჰქონდა ავსებული, რაც უფრო საყვარელი წიგნის დაკარგვით იყო გამოწვეული, ვიდრე ფიზიკური ტკივილით.

_ ძირს ჩამოდი, მხეცო, უნდა მოგელაპარაკო!

მანქანის ხმაურმა ჟიულიენს კვლავ შეუშალა ხელი, ეს ბრძანება გაეგონა. მის მამას, რომელიც უკვე ძირს იყო ჩამოსული, აღარ უნდოდა თავის შეწუხება და ხელახლა ზევით აცოცება: მან ნიგვზის სარეკი ხალა მოიტანა და მხარზე დაარტყა ჟულიენს. ვერც კი მოასწრო ჭაბუკმა ძირს ჩამოხტომა, რომ მოხუცმა სორელმა იგი წინ გაიგდო შინისკენ.

«ერთმა ღმერთმა იცის, რას მიზანს», _ ფიქრობდა ახალგაზრდა. მან სევდიანად გაიხედა მდინარისკენ, სადაც მისი წიგნი ჩავარდა. ეს წიგნი ყველაზე მეტად უყვარდა _ ეს იყო «წმინდა ელენეს დღიური».* ლოყები გაწითლებული ჰქონდა, თვალები დახრილი. ეს იყო მორჩილი ტანის ჭაბუკი თვრამეტ-ცხრამეტი წლისა, შესახედავად სუსტი აგებულებისა. უსწორმასწორო, მაგრამ სათუთი სახის ნაკვთები, ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა, დიდი შავი თვალები, რომლებშიც სიმშვიდის წუთებში დაფიქრება და ვნება ეხატებოდა, - ამჟამად გააფთრებული სიძულვილის ნაპერწკლებს აფრქვევდნენ. მუქი წაბლისფერი თმა ჰქონდა, ცოტა არ იყოს, დაბალი შუბლი; სიბრაზისაგან მზერა გაბოროტებოდა. ადამიანის მრავალ სახეობათა შორის იშვიათად მოიძებნებოდა ისეთი, რომელიც ესოდენ თავისებური ყოფილიყოს. მოქნილი და კარგად გამოკვეთილი წელი უფრო სინარნარეს გამოხატავდა, ვიდრე ძალ-ღონეს. ბავშვობიდანვე თანდაყოლილმა დაფიქრებულმა და ფერმკრთალმა სახემ მის მამას ის აზრი ჩააგონა, ეს ყმაწვილი ვერ იცოცხლებს ან ოჯახს დააწვება მძიმე ტვირთადო. შინ იგი ყველას ათვალწუნებული ჰყავდა. თავის მხრივ, მასაც სძულდა ძმებიც და მამაც. როცა კვირაობით საზოგადო მოედანზე თამაშობდა, ამხანაგები ყოველთვის ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდნენ ხოლმე.

უკვე ერთი წელიწადი იყო, რაც მისმა ლამაზმა შესახედაობამ თანაგრძნობა მოუპოვა ახალგაზრდა ქალებს შორის. ეს ყველასგან აბუჩად აგდებული სუსტი ბიჭი აღმერთებდა

მხოლოდ იმ მოხუც სამხედრო დასტაქარს, რომელმაც ჭადრების შესახებ სიტყვა შეკადრა ქალაქის მერს. ეს დასტაქარი ხანდახან დღიურ ხელფასს აძლევდა პაპა სორელს, თითქოს ჟიულიენი დაქირავებული ჰყოლოდეს, და მას ლათინურსა და ისტორიას ასწავლიდა, ანუ, უკეთ ვთქვათ, იმას, რაც მან ისტორიიდან იცოდა, სახელდობრ, 1796 წლის ბრძოლას იტალიაში. სიკვდილის წინ მან ჟიულიენს საპატიო ლეგიონის ჯვარი, თავისი პენსიის დარჩენილი თანხა და ოცდაათი თუ ორმოცი ტომი წიგნი უანდერძა; ამათგან ყველაზე ძვირფასი ის იყო, რომელიც ახლა წყალში მიცურავდა. სახლში შესვლისთანავე ჟიულიენმა იგრძნო, რომ მხარზე მამის მძიმე ხელი დააწვა; ცახცახი დააწყებინა, ეგონა, კიდევ გამლახავსო...

_ მიპასუხე, მხოლოდ არ იცრუო, _ უყვიროდა მკვახე ხმით მოხუცი გლეხი; ამავე დროს მისი კოჟრიანი ხელი ჟიულიენს ისე ატრიალებდა, თითქოს იგი ტყვიისგან ჩამოსხმული სათამაშო ჯარისკაცი ყოფილიყოს. ჟიულიენის დიდი, ცრემლებით სავსე შავი თვალები შეხვდნენ წვრილ, ნაცრისფერ თვალებს ბებერი დურგლისა, რომელსაც თითქოს სურდა, ვაჟს სულის სიღრმეში ჩასწვდომოდა.

V

მოლაპარაკება

დაყოვნება საქმეს შველის.

ენიუსი*

_ მიპასუხე, მხოლოდ არ იცრუო, მწიგნობარო ძაღლის შვილო, საიდან იცნობ ქალბატონ დე რენალს? როდის გილაპარაკია მასთან?

_ არასოდეს არ მილაპარაკია, _ უპასუხა ჟიულიენმა, _ ეს ქალი მხოლოდ ეკლესიაში დამინახავს.

_ მაგრამ, ალბათ, თავხედად უცქეროდი, ბრიყვო!

_ არასოდეს. ხომ იცით, რომ ეკლესიაში მხოლოდ ღმერთს ვხედავ, _ დაუმატა ჟიულიენმა, ცოტა არ იყოს, ფარისევლური ტონით, რათა თავში დარტყმა აეცილებინა.

_ აქ მაინც რაღაც უნდა იყოს, _ უპასუხა ცბიერმა გლეხმა და ერთი წუთით დადუმდა, _ მაგრამ შენ ვერაფერს გამოგტყუებ, შეჩვენებულო ფარისეველო. მართალია, მალე მოგიშორებ თავიდან და ჩემი სახერხი ქარხანა ამით მხოლოდ მოიგებს. შენ მღვდლის

თუ ვიღაც სხვისი გული მოგიგია, მას შენთვის კარგი ადგილი უშოვია. წადი, შენი ბარგი შეკარი, დე რენალთან წაგიყვან, მისი ბავშვების აღმზრდელი გახდები.

_ რას მომცემენ გასამრჯელოდ?

_ საჭმელ-სასმელს, ტანისამოსს და სამას ფრანკს ჯამაგირს.

_ მე არ მინდა შინამსახური გავხდე.

_ მხეცო, ვინ გეუბნება შინამსახური გახდიო? მე კი მსურს ჩემი შვილი შინამსახური გახდეს?

_ მაშ, ვისთან ვიჯდები სუფრაზე სადილად?

ამ კითხვამ შეაშფოთა მოხუცი სორელი, იგრძნო, თუ ლაპარაკი განვაგრძე, შეიძლება საქმე გავაფუჭოო. იგი გაუჯავრდა ჟიულიენს, გალანძღა, გაუმაძღრობა დააბრალა და მიატოვა, რათა უფროს ვაჟებს მოლაპარაკებოდა.

ჟიულიენმა მათკენ გაიხედა და დაინახა, რომ მამა-შვილნი თავიანთ ცულებს დაყრდნობოდნენ და თათბირობდნენ. კარგა ხანს უცქირა, შემდეგ იფიქრა, სულ ერთია, ვერ გავიგებ, რას ლაპარაკობენო და ხერხს ამოეფარა, რათა უცაბედად არ შეემჩნიათ. სურდა ეფიქრა ამ მოულოდნელ წინადადებაზე, რაც სრულიად ცვლიდა მის ბედს, მაგრამ გრძნობდა, არ ძალმიძს სიფრთხილის გამოჩენაო. მისი ფანტაზია ცდილობდა წარმოედგინა, რა მოელოდა ბ. დე რენალის მშვენიერ სახლში.

«უკეთესია, ყოველივეზე უარი ვთქვა, ვიდრე თავი დავიმცირო და მოსამსახურეების სუფრაზე ვისადილო, _ გაიფიქრა მან: _ მამაჩემი ძალას დამატანს, მაგრამ ამას სიკვდილი მირჩევნია. თხუთმეტი ფრანკი და რვა სუ მაქვს შემონახული: ამ ღამითვე გავიპარები; ორ დღეში ვიწრო ბილიკებით, სადაც ჟანდარმის შეხვედრის შიში არ მექნება, ბეზანსონში ამოვყოფ თავს; იქ ჯარისკაცად შევალ და, თუ საჭირო გახდა, შვეიცარიაში გადავალ. მაგრამ მაშინ უარი უნდა ვთქვა დაწინაურებაზე, უარი უნდა ვთქვა მღვდლის მშვენიერ მდგომარეობაზე, რომელიც ყოველივე სიკეთეს გვიქადის».

ეს შიში მოსამსახურეების ტრაპეზის განაწილებისა თანდაყოლილი როდი ჰქონდა ჟიულიენს. კეთილდღეობის მისაღწევად ბევრად უფრო მძიმე საქმეებსაც იკისრებდა. ეს გრძნობა რუსოს «აღსარებამ» შთააგონა.* ეს იყო ერთადერთი წიგნი, რის შემწეობითაც მას მსოფლიოს წარმოდგენა შეემუშავებინა. ამ მის ყურანს ზედ ერთვოდა ნაპოლეონის დიდი არმიის ბიულეტენები და «წმინდა ელენეს დღიური». იგი მზად იყო, სიცოცხლე გაეწირა ამ სამი თხზულების გულისთვის. სხვა რაიმე არასოდეს სწამებია. მოხუცი სამხედრო

დასტაქარისა არ იყოს, ჟიულიენი ყოველ სხვა წიგნს დედამიწის ზურგზე სიცრუედ თვლიდა, კარიერისტი გაიძვერების მიერ დაწერილად.

ანთებულ სულთან ერთად ჟიულიენს ჰქონდა გასაოცარი მახსოვრობა, რაც ხშირად უჭკუობასთანაა დაკავშირებული. იმ მოხუცი მღვდელი შელანის გულის მოსაგებად, ვისზედაც, მისი აზრით, მისი მომავალი ბედი იყო დამოკიდებული, ლათინურ ენაზე ზეპირად ისწავლა ახალი აღთქმა. მან იცოდა აგრეთვე რეაქციის ახალი სახარება _ ჟოზეფ დე მესტრის* წიგნი «პაპის შესახებ», თუმცა ესეც ისევე ნაკლებ სწამდა, როგორც ახალი აღთქმა.

თითქოს მოხუცი სორელი და მისი უმცროსი ვაჟი შეთანხმებული ყოფილიყვნენ, ლაპარაკს გაურბოდნენ ამ დღეს. საღამოთი ჟიულიენი ღვთისმეტყველების გაკვეთილზე წავიდა მღვდელთან, მაგრამ ამჯობინა, მისთვის არაფერი ეთქვა უცნაურ წინადადებაზე, რომელიც მამამისს მისცეს. შეიძლება ეს რაიმე მახე იყოსო, _ ფიქრობდა ყმაწვილი: _ თავი ისე უნდა დავიჭირო, თითქოს ეს ამბავი დამავიწყდა კიდეცო.

მეორე დილით გათენებისთანვე ბ. დე რენალმა დააძახებინა მოხუცი სორელისთვის, რომელმაც ერთი თუ ორი საათი აცდევინა. ბოლოს, როგორც იყო, გამოჩნდა და კარებიდანვე დაუსრულებელი ბოდიშის მოხდა და თავის დაკვრა დაიწყო. ნართაული სიტყვა-პასუხის შემწეობით სორელმა გამოარკვია, რომ მისი ვაჟი დიასახლისსა და მამასახლისთან იჯდებოდა სუფრაზე, ხოლო როცა მათ სტუმრები ეყოლებოდათ, ბავშვებთან ერთად ისადილებდა ცალკე ოთახში. იგი მით უფრო აძნელებდა საქმეს, რაც უფრო რწმუნდებოდა, ბატონ მერს მართლაც სწყურია ჩემი ვაჟის დაყენებაო, რაც დიდად აკვირვებდა და ეჭვს იწვევდა მასში. მოითხოვა, მისი ვაჟის დასაძინებელი ოთახიც ეჩვენებინათ. ეს იყო დიდი ოთახი, სუფთა ავეჯით მორთული, სადაც უკვე შეჰქონდათ სამი ბავშვის საწოლი.

ამ გარემოებამ ზოგი რამ გამოარკვია მოხუცი გლეხისთვის. ახლა მან იკითხა, როგორი ტანისამოსი ექნება ჩემს ვაჟსაო. ბ. დე რენალმა თავისი მაგიდის ყუთი გამოაღო და ასი ფრანკი ამოიღო.

_ თქვენმა ვაჟმა ეს ფული მემაუდე დიურანს წაუღოს და შავი ტანისამოსი შეაკერინოს.

_ და როცა შინ წავიყვან, ეს შავი ტანისამოსი მას დარჩება? _ იკითხა გლეხმა, რომელსაც უცებ სრულიად დაავიწყდა თავისი ზრდილობიანი ქცევა.

_ რასაკვირველია.

_ ძალიან კარგი! _ თქვა სორელმა გაჭიანურებული ტონით: _ ახლა ისღა დაგვრჩენია, ჯამაგირის შესახებ შევთანხმდეთ.

_ როგორ! _ წამოიძახა აღშფოთებულმა დე რენალმა, _ აკი გუშინვე შევთანხმდით: სამას ფრანკს ვაძლევ. მე მგონია, ეს საკმაოა, მეტიცაა.

_ ეს თქვენი წინადადება იყო, მე არ უარვყოფ, _ თქვა ბებერმა სორელმა კიდევ უფრო გაჭიანურებულად, და რაღაც შთაგონების ზეგავლენით, რომელიც ოდნავ არ გააკვირვებს იმას, ვინც ფრანშკონტელ გლეხებს იცნობს, იგი ბ. დე რენალს ჩააცქერდა და დაუმატა: _ სხვაგან უკეთ მოვეწყობით.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალაქის მერს სახე დაემანჭა, მაგრამ თავი შეიკავა. ორი საათის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკის შემდეგ, როცა არც ერთი სიტყვა არ წარმოთქმულა დაუფიქრებლად, გლეხის ეშმაკობამ აჯობა მდიდარი კაცის ეშმაკობას, რომელიც მას აგრერიგად როდი სჭირია ცხოვრებაში. მიღებულ იქნა მრავალი მუხლი, რომელსაც უნდა მოეწესრიგებინა ჟიულიენის ახალი ცხოვრება: ჯამაგირად ოთხასი ფრანკი დაენიშნა, ფულს წინასწარ მიიღებდა ყოველი თვის პირველ რიცხვში.

_ კარგი, მაშ, ოცდათხუთმეტ ფრანკს მივცემ, _ თქვა დე რენალმა.

_ თანხის დასამრგვალებლად ისეთი მდიდარი და ხელგაშლილი ადამიანი, როგორიც ჩვენი ბატონი მერი ბრძანდება, არც ოცდათექვსმეტ ფრანკს დაიშურებს, _ უპასუხა გლეხმა შემპარავი ხმით.

_ ეგრე იყოს, _ თქვა დე რენალმა, _ მაგრამ ამაზე გავჩერდეთ.

გაბრაზება მას ერთგვარ სიმტკიცეს აძლევდა ლაპარაკში. გლეხმა შეამჩნია, რომ საჭირო იყო ვაჭრობის შეწყვეტა. მაშინ დე რენალმა შემოუტია, არაფრის გულისთვის არ უნდოდა სორელისთვის გადაეცა პირველი თვის გასამრჯელო, ოცდათექვსმეტი ფრანკი, თუმცა მოხუცი ჩქარობდა, ეს ფული თვითონ მიეღო შვილის მაგივრად. დე რენალს გაახსენდა, რომ იძულებული გახდებოდა თავისი ცოლისთვის ეამბნა, რა არასასიქადულო როლი შეასრულა ამ მოლაპარაკებაში.

_ უკან დამიბრუნებთ ასი ფრანკი, რომელიც ეს არის გადმოგეცით, _ თქვა მან გულმოსულად. _ ბ. დიურანს ჩემი მართებს ცოტა რამ. მე თვით გავყვები თქვენს შვილს შავი დრაფის ტანისამოსის საყიდლად.

ამ ენერგიული ქცევის შემდეგ სორელი ხელახლა თავის მოკრძალებულ ფრაზებს დაუბრუნდა. კარგი მეოთხედი საათი ილაპარაკა. ბოლოს, რაკი დარწმუნდა, მეტს ვერაფერს მოვიგებო, მასპინძელს გამოეთხოვა:

_ ახლავე ჩემს ვაჟს გამოგიგზავნით ციხე-დარბაზში.

ასე უწოდებდნენ ქალაქის მერის ხელქვეითნი მის სახლს, როცა მისი მოპირფერება უნდოდათ.

ქარხანაში დაბრუნებისას სორელმა ამაოდ დაუწყო ძებნა თავის ვაჟს. მოსალოდნელი ამბების შიშით ჟიულიენი შუაღამით გავიდა შინიდან. უნდოდა, უშიშარ ადგილს დაემალა თავისი წიგნები და საპატიო ლეგიონის ჯვარი. ყოველივე თავისი მეგობრის, ხე-ტყის ვაჭრის, ფუკეს სახლში გადაიტანა. იგი იმ მთაზე ცხოვრობდა, რომელიც ზევიდან დასცქერის ვერიერს.

როგორც კი ჟიულიენი გამოჩნდა, მამამ მიაძახა:

_ ღმერთმა უწყის, შე შეჩვენებულო, შე უქნარავ, გამოიჩენ თუ არა ოდესმე იმდენ პატიოსნებას, რომ გადამიხადო საჭმელ-სასმელის ფასი, რომელსაც რამდენიმე წელიწადია ვხარჯავ ავანსად. მოკრიბე შენი ჩვრები და ბატონ მერთან წაეთრიე.

ჟიულიენი გაოცებული იყო, რომ არ გალახეს და საჩქაროდ გაუდგა გზას, მაგრამ, როგორც კი თავისი მრისხანე მამის თვალებს მიეფარა, ნაბიჯს უკლო; გაიფიქრა, ჩემი ფარისევლობისთვის ურიგო არ იქნება, ეკლესიაში რომ შევიდოდე ცოტა ხნითო.

განა ეს სიტყვა გაკვირვებთ? ახალგაზრდა გლეხის სულმა დიდი გზა განვლო, სანამ ამ საშინელ სიტყვას მიადგებოდა.

ჯერ კიდევ სრულიად ბალღი იყო, მის თვალწინ მეექვსე ლეგიონის დრაგუნებმა რომ გაიარეს. ისინი იტალიიდან ბრუნდებოდნენ: მათ გრძელი თეთრი წამოსასხამები ჰქონდათ და შავჯიღოსანი მუზარადები ეხურათ. ჟიულიენი უცქეროდა, როგორ აბამდნენ თავიანთ ცხენებს მათი სახლის რკინისბადიან ფანჯარასთან. ამ დღიდან იგი სამხედრო წოდების თაყვანისმცემელი გახდა. შემდეგ აღტაცებით ისმენდა ლოდის ხიდის, არკოლეს და რივოლის ბრძოლის ამბებს,* რასაც მოხუცი დასტაქარი უყვებოდა ხოლმე. მან შეამჩნია, რომ მოხუცი ხანდახან ანთებული თვალებით შეხედავდა თავის ჯვარს.

მაგრამ, როცა ჟიულიენი თოთხმეტი წლისა გახდა, ვერიერში ისეთი ეკლესიის აგება დაიწყეს, რომელიც შეიძლება დიდებულ შენობად ჩაითვალოს ასეთი პატარა ქალაქისთვის. ეკლესიას ოთხი მარმარილოს სვეტი ჰქონდა. მათმა დანახვამ გააოცა ჟულიენი: ამ სვეტებმა მთელ ამ კუთხეში სახელი გაითქვეს იმ მომაკვდინებელი სიძულვილის გამო, რაც მათ მომრიგებელ მოსამართლესა და ბეზანსონიდან გამოგზავნილ ახალგაზრდა აბატს შორის გააღვივეს. ეს აბატი კონგრეგაციის ჯაშუშად ითვლებოდა. მომრიგებელმა მოსამართლემ კინაღამ თავისი ადგილი დაკარგა, ყოველ შემთხვევაში,

ასეთი იყო საზოგადო შეხედულება. განა იმდენად გაკადნიერდა, რომ შეედავა სასულიერო პირს, რომელიც თვეში ორჯერ ბეზანსონში დადიოდა, სადაც, როგორც ამბობდნენ, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს ესაუბრებოდა.

ამასობაში მომრიგებელმა მოსამართლემ, მრავალრიცხოვანი ოჯახის მამამ, რამდენიმე აშკარად უსამართლო განაჩენი გამოიტანა: ეს განაჩენი მიმართული იყო იმათ წინააღმდეგ, ვინც ლიბერალურ გაზეთ «კონსტიტუსიონელს» კითხულობდა. წესრიგის პარტიამ გაიმარჯვა.

უცებ ჟიულიენმაც თავი დაანება ნაპოლეონზე ლაპარაკს; განაცხადა, განზრახული მაქვს მღვდლად ვეკურთხოო. ამიერიდან მას ხშირად მამამისის სახერხ ქარხანაში ხედავდნენ: ბებერი მღვდლისაგან ნათხოვარ ლათინურ ბიბლიას იზეპირებდა. ეს გულკეთილი მოხუცი გაოცებული იყო მისი წარმატებით და ყოველ საღამოს ღვთისმეტყველებას ასწავლიდა. ჟიულიენი მის წინაშე მხოლოდ უკიდურეს ღვთისმოსაობას ამჟღავნებდა. ვინ იფიქრებდა, რომ ეს ახალგაზრდა ქალწულებრივი სახე, ესოდენ ფერმკრთალი და სათუთი, ფარავდა ჭაბუკის შეუდრეკელ გადაწყვეტილებას, _ სჯობს ათასჯერ სიკვდილის საფრთხეს შეებრძოლო, ვიდრე უარი ვთქვა ბედნიერების მოპოვებაზეო.

ჟიულიენისთვის ბედნიერების მოპოვება, უწინარეს ყოვლისა, ვერიერიდან თავის დაღწევას ნიშნავდა: მთელი არსებით სძაგდა თავისი სამშობლო: აქ ყოველივე მის ფანტაზიას ყინავდა.

ბავშვობიდან მას ხშირად ჰქონდა აღფრთოვანების წუთები; მაშინ იგი სიამოვნებით ოცნებობდა: ერთ მშვენიერ დღეს ლამაზი ქალების წინაშე წარმადგენენ პარიზში და შევძლებ მათი ყურადღება მივიპყრო რაიმე გმირული მოქმედებითო. რად არ შეიძლება, ვინმე მათგანმა კიდეც შემიყვაროს, როგორც ბრწყინვალე ქალბატონმა დე ბოჰარნემ* ჯერ კიდევ ღარიბი ბონაპარტი შეიყვარაო? მთელი წლების განმავლობაში ჟიულიენს შეიძლება არც ერთი საათი არ გაეტარებინოს ისე, რომ არ გაეფიქროს, - აი, ბონაპარტი უცნობი და ღარიბი ლეიტენანტი იყო, მაგრამ მსოფლიოს ბატონი გახდა მახვილის შემწეობითო. ეს აზრი ნუგეშს სცემდა უბედურებაში, რომელიც მას დიდად ეჩვენებოდა და აორკეცებდა მისი სიხარულის იშვიათ წუთებს.

ეკლესიის აშენებამ და მომრიგებელი მოსამართლის განაჩენებმა უცებ გაანათა მისი გონება. ერთმა აზრმა იგი კინაღამ გააგიჟა რამდენიმე კვირის განმავლობაში. ბოლოს, ეს

აზრი დაეუფლა პირველყოფილი ძლიერი იდეის მსგავსად, რომელიც ვნებით ანთებული სულის ადამიანს ხშირად თავისი აღმოჩენილი ჰგონია.

«როცა ბონაპარტმა ხალხი აალაპარაკა, საფრანგეთს ეშინოდა უცხოელების შემოსევისა: მაშინ სამხედრო ნიჭი აუცილებლად საჭიროც იყო და მოდაშიც ითვლებოდა. დღეს ხშირად ვხედავთ, რომ ორმოცი წლის სასულიერო პირს ასი ათასი ფრანკის შემოსავალი აქვს, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე ნაპოლეონის სახელოვან სადივიზიო გენერლებს ჰქონდათ. ამ სასულიერო პირთ თანაშემწეები სჭირდებათ. აი, მომრიგებელი მოსამართლე, ჭკვიანი, პატიოსანი, უკვე ხანში შესული ადამიანი თავს ირცხვენს იმით, რომ ეშინია ახალგაზრდა, ოცდაათი წლის აბატის, ეპისკოპოსის თანამოსაყდრის წყრომისა. ცხადია, სასულიერო პირი უნდა გავხდე».

ერთხელ, როცა ჟიულიენი ამ თავისი ახალი ღვთისმოსაობით იყო გამსჭვალული და ღვთისმეტყველებაში უკვე ორი წლის კურსი ჰქონდა გავლილი, იგი გასცა იმ ალის ავარდნამ, რომელიც მის სულს წვავდა. ეს მოხდა მოხუცი შელანისას: ამ უკანასკნელს სადილად მღვდლები ჰყავდა მოწვეული. მან სტუმრებს ჟულიენი წარუდგინა, როგორც განსწავლულობის საოცრება. ჭაბუკმა თავი ვერ შეიკავა და აღგზნებული ქება-დიდება მიუძღვნა ნაპოლეონს. შემდეგ მან თავი დაისაჯა იმით, რომ მარჯვენა ხელი ჩამოიკიდა გულზე და ორი თვის განმავლობაში ატარა ასეთ უხერხულ მდგომარეობაში: ესაო და, ნაძვის ხის გადატრიალების დროს ვიღრძეო. ასეთი იყო ეს თვრამეტი წლის სათუთი ახალგაზრდა, რომელიც იღლიაში ბოღჩაამოჩრილი ვერიერის დიდებულ ტაძარში შედიოდა.

ეკლესია პირქუში და ცარიელი იყო. დღესასწაულის გამო ყველა ფანჯარაზე ალისფერი ფარდები ეკიდა; ამიტომ მზის მხარეზე სხივები თვალისმომჭრელ სინათლეს ქმნიდნენ, რაღაც შთამაგონებელსა და რელიგიური გრძნობის გამაღვიძებელს. ჟიულიენს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, რადგან ეკლესიაში მარტოდმარტო იყო, ყველაზე კოხტა სკამზე ჩამოჯდა. ამ სკამზე დე რენალის გერბი შეამჩნია. დასაყრდნობზე ჟიულიენმა დაბეჭდილი ქაღალდი დაინახა, იგი თითქოს განგებ იყო დატოვებული. დააცქერდა და წაიკითხა:

«ლუი ჟანრელის სიკვდილით დასჯის და უკანასკნელი წუთების აღწერა. ეს ამბავი ბეზანსონში მოხდა ამა წლის...»

ქაღალდი დახეული იყო. მეორე მხარეზე ორიოდე სიტყვა ჩანდა: «პირველი ნაბიჯი...»

_ ვის უნდა დაეგდო აქ ეს ქაღალდი? _ ჩაილაპარაკა ჟიულიენმა, _ საბრალო ყმაწვილი! _ დაუმატა მან და ამოიოხრა: _ მისი გვარიც ისევე თავდება, როგორც ჩემი... _ მერე ქაღალდი დაჭმუჭნა და კარისკენ გაემართა.

გასავალში ჟიულიენს მოეჩვენა, სისხლს ვხედავ სასხურებლის მახლობლადო: ნამდვილად აქ უბრალო ნაკურთხი წყალი იყო დაღვრილი - ალისფერი ფარდების შუქის ანარეკლი მას სისხლს ამსგავსებდა.

ბოლოს, ჟიულიენს შერცხვა თავისი სიმხდალისა.

«ნუთუ მხდალი ვარ? _ გაიფიქრა მან: _ იარაღისკენ!»

ეს სიტყვა, რომელიც ხშირად მეორდებოდა ბებერი დასტაქრის ომის მონათხრობებში, ჟიულიენს გმირულ შეძახილად მიაჩნდა. იგი ეკლესიიდან გამოვიდა და დე რენალის სასახლისაკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით.

თავისი თავის გამხნევების მიუხედავად, იგი შეკრთა, როცა ოცი ფეხის ნაბიჯზე ეს დიდი შენობა დაინახა. რკინის ჭიშკარი ღია იყო; იგი მას დიდებულად ეჩვენა. მეტი გზა არ იყო, უნდა შესულიყო.

ჟიულიენის გარდა მისი ამ სახლში შესვლა სხვა ვინმესაც აღელვებდა. მორცხვი ქალბატონი დე რენალი მეტად შეაკრთო იმ აზრმა, რომ მასა და მის შვილებს შორის მუდამ ვიღაც უცხო იდგომებოდა. ქალი შეჩვეული იყო, რომ მის ვაჟებს მის ოთახში ეძინათ. დილით მან ბევრი ცრემლი დაღვარა, როცა დაინახა, როგორ გადაჰქონდათ მათი პაწია საწოლები აღმზრდელის ოთახში. ამაოდ სთხოვა ქმარს, სულ უმცროსის _ სტანისლავ ქსავიეს ლოგინი მაინც დამიტოვეთო.

ქალური სინარნარე უკიდურესად განვითარებული ჰქონდა ქალბატონ დე რენალს. მას თავისი შვილების აღმზრდელი წარმოდგენილი ჰყავდა მეტად არასასიამოვნო, ტლანქ და თმადაუვარცხნელ კაცად, რომელსაც, რაკი მან რაღაც ბარბაროსული ენა, ლათინური იცოდა, მისი შვილები უნდა დაეტუქსა და გაელახა კიდეც.

VI

მოწყენილობა

არ ვიცი, როგორ მოვიქცე და რა ვაკეთო.

მოცარტი, «ფიგარო»

ქალბატონი დე რენალი სასტუმრო ოთახიდან შუშაბანდის კარით ბაღში ჩასვლას აპირებდა იმ სიმკვირცხლითა და მოხდენილობით, რომელიც მას ახასიათებდა, როცა შორს იყო მამაკაცის თვალთაგან. უცებ ჭიშკარში ახალგაზრდა გლეხის, თითქმის ბავშვის სახე დაინახა. მას მეტისმეტად ფერმკრთალი ღაწვები და ნამტირალევი თვალები ჰქონდა. ძლიერ სუფთა თეთრი პერანგი ეცვა, ხოლო იღლიაში იისფერი მაუდის ახალი კურტაკი ამოედო.

ამ პაწია გლეხს ისეთი თეთრი კანის ფერი ჰქონდა, ისეთი უწყინარი თვალები, რომ რომანტიკული სულის პატრონმა ქალბატონმა დე რენალმა გაიფიქრა, ეს შეიძლება გადაცმული ქალიშვილი იყოს და ჩემს ქმართან მოდიოდეს რისამე სათხოვნელადო. შეეცოდა ეს საბრალო ყმაწვილი, რომელიც ჭიშკართან იდგა და, როგორც ეტყობოდა, ხელის აწევა ვერ გაებედა, რათა ზარი დაერეკა. ქალი ჭიშკარს მიუახლოვდა ისე, რომ ჟიულიენს იგი არც კი შეუმჩნევია. ჭაბუკი შეკრთა, როცა ალერსიანმა ხმამ უცებ ჰკითხა:

_ რა გნებავთ, ჩემო პატარავ?

ჟიულიენი უცებ მობრუნდა და როცა გრაციით აღსავსე თვალები დაინახა, მოკრძალება ცოტათი გაუნელდა. შემდეგ, ქალის სილამაზით გაკვირვებულს, ყოველივე დაავიწყდა, ისიც კი, თუ რისთვის იყო აქ მოსული. ქალბატონმა დე რენალმა გაიმეორა თავისი კითხვა.

_ მე ბავშვების აღსაზრდელად მოვედი, ქალბატონო, _ წაილუღღუღა მან ბოლოს და შეეცადა ცრემლები მოეწმინდა.

ქალბატონი დე რენალი გაოცებული იყო. ქალი და ვაჟი ერთიმეორის ახლოს იდგნენ, ერთიმეორეს შესცქეროდნენ. ჟიულიენს არ ახსოვდა, რომ ასე კარგად ჩაცმული და ასეთი ბრწყინვალე კანის ფერის მქონე ქალი მას ოდესმე ასეთი ნაზი ხმით დალაპარაკებოდეს. ქალბატონი დე რენალი უცქეროდა მსხვილ ცრემლებს, რომელნიც შეჩერებულიყვნენ ახალგაზრდა გლეხის ბუნებრივად ფერმკრთალ, ხოლო ამ წუთში შეწითლებულ ლოყებზე. უცებ ქალს სიცილი წასკდა, როგორც გიჟმაჟ ქალიშვილს სჩვევია ხოლმე: იგი თავის თავს დასცინოდა, ვერ გაეზომა მთელი თავისი ბედნიერება. აი, როგორი ყოფილა ეს ბავშვების მრისხანე მწვრთნელი, რომელიც მას ჭუჭყიან და უშნოდ ჩაცმულ დიაკვნად ჰყავდა წარმოდგენილი.

_ განა თქვენ ლათინური იცით, ბატონო? _ ჰკითხა ქალმა ბოლოს.

ამ ბატონობით მიმართვამ ისე გააკვირვა ჟიულიენი, რომ იგი ერთი წუთით ჩაფიქრდა.

_ დიახ, ქალბატონო, _ უპასუხა მორცხვად.

ქალბატონი დე რენალი ისე ბედნიერი იყო, რომ გაბედა ჟიულიენისთვის ეთქვა:

_ თქვენ ძლიერ დატუქსავთ ხოლმე ჩემს ბავშვებს?

_ დავტუქსავ? რისთვის? _ იკითხა გაკვირვებულმა ჟიულიენმა.

_ ჰო, ბატონო ჩემო, აღმითქვით, რომ გულკეთილობას გამოიჩენთ მათდამი, _ წარმოთქვა ქალმა ცოტაოდენი დუმილის შემდეგ აღელვებული ხმით.

ხელახლა სერიოზულად ბატონის დაძახება ასე კარგად ჩაცმული ქალის მიერ სჭარბობდა ჟიულიენის ყოველ იმედს: როცა იგი ოცნებაში ხშირად ჰაეროვან კოშკებს აგებდა, ფიქრობდა _ არც ერთი რიგიანი მანდილოსანი არ ინებებს დამელაპარაკოს, სანამ კარგად შეკერილი ფორმის ტანისამოსი არ მეცმებაო. თავის მხრივ, ქალბატონ დე რენალს თავგზა აუბნია ჟიულიენის მშვენიერმა კანის ფერმა, დიდმა შავმა თვალებმა და ლამაზმა თმამ, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო დახუჭუჭებული იყო იმიტომ, რომ გასაგრილებლად ყმაწვილმა ის იყო მოედანზე თავი ჩაჰყო შადრევნის აუზში. თავისდა სასიხარულოდ ქალმა დაინახა, რომ ამ საბედისწერო აღმზრდელს, რომლის სიტლანქესა და შემზარავ გარეგნობას იგი უფრთხოდა, კდემამოსილი ქალიშვილის სახე ჰქონდა. ისეთი წყნარი სულის ქალისთვის, როგორიც ქალბატონი დე რენალი იყო, ასეთი კონტრასტი მოსალოდნელსა და სინამდვილეს შორის დიდ მოვლენას წარმოადგენდა. ბოლოს, იგი გამოერკვა გაოცებისაგან, მაგრამ გაუკვირდა, რომ ამდენ ხანს ჭიშკართან იდგა ახალგაზრდა მამაკაცთან, რომელიც თითქმის პერანგის ამარა იყო.

_ შემობრძანდით, ბატონო, _ თქვა ქალმა და ოდნავ გაწითლდა.

არასოდეს არავითარ სასიამოვნო გრძნობას ასე ღრმად არ აუღელვებია ქალბატონი დე რენალი; მის ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა, რომ ასეთი მომხიბლავი ხილვა მოჰყოლოდეს ასეთ შემაშფოთებელ მოლოდინს. დერეფანში შესვლისთანავე იგი ჟულიენს მიუბრუნდა, რომელიც ფეხაკრეფით მისდევდა. ვაჟის სახეზე აღბეჭდილი გაოცება, ასეთი მშვენიერი სახლის დანახვით გამოწვეული, ახალ მომხიბლავ თვისებას წარმოადგენდა ქალბატონ დე რენალის თვალში. ქალს ვერ დაეჯერებინა საკუთარი თვალებისათვის: ეგონა, ბავშვების აღმზრდელს აუცილებლად შავი ტანისამოსი უნდა ეცვასო.

ქალი ერთხელ კიდევ შედგა და, თითქოს სიკვდილივით ეშინოდა, არ შევცდეო, იმდენად ბედნიერი იყო ამ წუთში, ხელახლა შეეკითხა ჟიულიენს:

_ ნუთუ მართალია, ბატონო, რომ თქვენ ლათინური იცით?

ამ სიტყვებმა შეურაცხყოფა მიაყენა ჟიულიენის სიამაყეს და გაფანტა ის გრძნობა, რომელიც მას დაეუფლა უკანასკნელი მეოთხედი საათის განმავლობაში.

_ დიახ, ქალბატონო, _ წარმოთქვა მან რამდენადაც შეიძლებოდა ცივი ტონით: _ მე ლათინური ვიცი ისევე კარგად, როგორც ჩვენმა მღვდელმა; ხანდახან თვით იგი თავისი გულკეთილობის გამო ჩემს უპირატესობასაც კი აღიარებს.

ახლა ქალბატონმა დე რენალმა აღმოაჩინა, რომ ჟიულიენს ძლიერ ბოროტი გამომეტყველება ჰქონდა: ვაჟი ორი ფეხის ნაბიჯზე შეჩერდა მისგან. ქალი მიუახლოვდა და ხმადაბლა უთხრა:

_ პირველ დღეებში მაინც ხომ არ გაწკეპლავთ ჩემს ბავშვებს, თუნდაც მათ არ იცოდნენ გაკვეთილები?

ასეთი ლამაზი ქალის ასეთმა უწყინარმა და თითქმის ვედრების ტონმა ჟიულიენს დაავიწყა ის, რასაც აკისრებდა მას ლათინისტის რეპუტაცია. ქალბატონ დე რენალის სახე ახლო იყო მის სახესთან, იგი იყნოსავდა ქალის საზაფხულო ტანისამოსის სურნელებას: ეს უცნაური რამ იყო საბრალო გლეხისთვის. ჟიულიენი საშინლად გაწითლდა, ამოიოხრა და ოდნავ გასაგონი ხმით თქვა:

_ ნურაფრის გეშინიათ, ქალბატონო, მე ყველაფერში დაგემორჩილებით.

მხოლოდ ამ წუთში, როცა ქალბატონ დე რენალს სრულიად გაეფანტა შიში ბავშვებისთვის, იგი გააოცა ჟიულიენის სილამაზემ. თითქმის ქალური ნაკვთები და მორცხვობა სასაცილოდ როდი ეჩვენებოდა ამ ქალს, რომელიც თვით მეტისმეტად გაუბედავი იყო. ვაჟკაცური შეხედულება, რაც ჩვეულებრივ აუცილებელ თვისებად ითვლება მამაკაცის სილამაზისთვის, მას შეაკრთობდა კიდეც.

_ რამდენი წლისა ბრძანდებით? _ ჰკითხა ჟიულიენს.

_ მალე ცხრამეტისა გავხდები.

_ ჩემი უფროსი ვაჟი თერთმეტი წლისაა, _ მშვიდად განაგრძო ქალბატონმა დე რენალმა: _ იგი თითქმის მეგობრობას გაგიწევთ, თქვენ კიდევ ჭკუას ასწავლით. ერთხელ მამამ გალახვა მოუნდომა. ამის შემდეგ ბავშვი მთელი კვირა ავად იყო, თუმცა ხელი თითქმის არც კი მოხვედრია.

«რა განსხვავება ყოფილა ჩემსა და მას შორის, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ ჯერ კიდევ გუშინ მამაჩემმა სასტიკად მცემა. რა ბედნიერები არიან ეს მდიდრები!»

_ სახელად რას გეძახიან, ბატონო? _ ჰკითხა ქალმა ისეთი ტონით და მოხდენილობით, რომ ჟიულიენი სავსებით მოიხიბლა.

_ ჟიულიენ სორელს მეძახიან, ქალბატონო. მე ვთრთი იმიტომ, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად შევდივარ უცხო სახლში; მე თქვენი მფარველობა მჭირდება. აგრეთვე უნდა მაპატიოთ პირველი დღეების შეცდომები. არასოდეს კოლეჯში არ მისწავლია. მე ხომ ღარიბი ვარ; არასოდეს არავისთან არ მილაპარაკია, გარდა ჩემი ბიძაშვილი დასტაქარისა და ბ. შელანისა. უფროსი ძმები მუდამ მცემდნენ: ნუ დაუჯერებთ, თუ მათ ცუდი რამ გითხრან ჩემზე. მაპატიეთ ჩემი შეცდომები, ქალბატონო, მე მათ არასოდეს ბოროტი განზრახვით არ ჩავიდენ.

ჟიულიენი გამხნევდა ამ გრძელი სიტყვის დროს: იგი ათვალიერებდა ქალბატონ დე რენალს. ასეთია სრულქმნილი გრაციის ზეგავლენა, როცა იგი თანდაყოლილი და ბუნებრივია და როცა მის მიერ დაჯილდოებული პიროვნება არც კი ფიქრობს, მოხდენილი ვარო. ჟიულიენი, რომელსაც ძლიერ კარგად ესმოდა ქალის მშვენიერება, ამ წუთში მზად იყო დაეფიცა, იგი ოც წელზე მეტის არ იქნებაო. უცებ მას თავში თამამი აზრი მოუვიდა _ ხელზე ვაკოცებო. მაგრამ მაშინვე შეეშინდა თავისი განზრახვისა. ერთი წუთის შემდეგ ხელახლა გაიფიქრა: ჩემი მხრივ, სიმხდალე იქნებოდა არ გამეკეთებია ისეთი რამ, რაც მე სარგებლობას მომიტანდა და შეამცირებდა ზიზღს, რომელსაც ეს მშვენიერი მანდილოსანი უნდა გრძნობდეს ბეჩავი მშრომელის, გუშინდელი მხერხავის მიმართო. შეიძლება ჟიულიენი, ცოტა არ იყოს, გათამამებული იყო იმით, რომ მას კვირა დღეობით ხშირად ქალიშვილები ლამაზ ყმაწვილს უწოდებდნენ. ამ შინაგანი ბრძოლის დროს ქალბატონი დე რენალი მას დარიგებას აძლევდა, თუ როგორ უნდა მოქცეოდა ბავშვებს პირველ ხანებში. ჟიულიენს თავის შეკავება უხდებოდა და ხელახლა გაფითრდა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და თქვა:

_ არასოდეს თქვენს ბავშვებს არ გავლახავ, ქალბატონო, გეფიცებით ღმერთს. _ ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე გაკადნიერდა და ქალბატონ დე რენალის ხელი აიღო, რათა ტუჩებთან მიეტანა. ქალი გააკვირვა ამ ქცევამ, ხოლო ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ კიდეც შეურაცხყო. რადგან მეტისმეტად ცხელოდა, ქალის მკლავი სრულიად ტიტველი იყო მოსახურავის ქვეშ და ვაჟის მოძრაობამ იგი მთლად გამოაჩინა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქალმა გაიფიქრა, საყვედურის ღირსი ვარ, ამ შეუფერებელი ქცევის გამო მაშინვე უნდა აღვშფოთებულიყავიო.

ბატონ დე რენალს ლაპარაკი მოესმა და თავისი კაბინეტიდან გამოვიდა. იმავე შეუშფოთებელი და მამობრივი სახით, რომლითაც იგი სამოქალაქო ქორწინებას ხელმძღვანელობდა თვითმმართველობის შენობაში, მან უთხრა ჟიულიენს:

_ მინდა მოგელაპარაკოთ, სანამ ბავშვები დაგინახავდნენ.

მან თავის ოთახში შეიყვანა ჟიულიენი და თავისი ცოლიც შეაჩერა, თუმცა ამ უკანასკნელს უნდოდა მამაკაცები მარტო დაეტოვებინა. კარის მიხურვისთანავე ბ. დე რენალი მძიმედ დაჯდა.

_ ბატონმა მღვდელმა თქვენ კარგ ყმაწვილ კაცად დაგსახათ. აქ თქვენ ყველანი კარგად მოგეპყრობიან, და თუ მე კმაყოფილი დავრჩი, თავის დროზე დახმარებას გაგიწევთ, რათა ასე თუ ისე მოეწყოთ. მე მსურს, თქვენ ამიერიდან არც ნათესავებს შეხვდეთ, არც მეგობრებს. მათი ტონი შეუფერებელია ჩემი ბავშვებისთვის. აი, ოცდათექვსმეტი ფრანკი, პირველი თვის გასამრჯელო. პატიოსანი სიტყვა მომეცით, რომ ამ ფულიდან ერთ გროშსაც არ მისცემთ მამათქვენს.

ბ. რენალი გაბრაზებული იყო მოხუცზე, რაკი მასზე მეტი ეშმაკობა გამოიჩინა ამ საქმეში.

_ ახლა, ბატონო, გეუბნებით ბატონო-მეთქი, იმიტომ, რომ განკარგულება გავეცი, ყველამ ბატონობით მოგმართოთ და თქვენ მალე იგრძნობთ, რა უპირატესობას წარმოადგენს წესიერ ოჯახში შესვლა. ახლა, ბატონო, უხერხულია, ბავშვებმა გლეხურ ტანისამოსში დაგინახონ. მოსამსახურეებმა უკვე ნახეს? _ ჰკითხა რენალმა ცოლს.

_ არა, ჩემო მეგობარო, _ უპასუხა ღრმა ფიქრებში წასულმა ქალმა.

_ მით უკეთესი. ეს ჩაიცვით, _ უთხრა მან გაკვირვებულ ყმაწვილს და თავისი სერთუკი გადასცა. _ ახლა დრაფის სოვდაგარ დიურანთან წავიდეთ.

როცა ერთი საათის შემდეგ რენალი შავ ტანისამოსში გამოწყობილ აღმზრდელთან ერთად უკან დაბრუნდა, მისი ცოლი იმავე ადგილას იჯდა. ქალი იმდენად დამშვიდებული იყო ჟიულიენის იქ ყოფნით, რომ კიდეც დაავიწყდა თავისი ადრინდელი შიში. თავის მხრივ, ჟიულიენიც აღარ ფიქრობდა ქალზე, თუმცა, იჭვით უცქეროდა ბედსა და ადამიანებს. ამ წუთში თითქოს ბავშვის სული ჰქონდა; ეგონა, მთელმა წლებმა განვლო იმ წუთის შემდეგ, როცა ვერიერის ეკლესიაში ვცახცახებდიო. შეამჩნია, რომ ქალბატონ დე რენალს ცივი გამომეტყველება ჰქონდა და მიხვდა, ალბათ, გული მოსდის, რომ ხელზე კოცნა შევკადრეო. მაგრამ ახალი ტანისამოსი, ესოდენ განსხვავებული მისი წინანდელი ტანისამოსისაგან, ისეთი სიამაყის გრძნობას იწვევდა მასში, იმდენად აღელვებდა, რომ

ეშინოდა, სიხარული არ შემამჩნიონო, და ამიტომ ყოველ მის მოძრაობას რაღაც მძაფრი სიგიჟმაჟე ეტყობოდა. ქალბატონი დე რენალი მას გაოცებული თვალებით უცქეროდა.

_ მეტი სიდარბაისლე გამოიჩინეთ, ბატონო, თუ გსურთ, რომ ჩემი ბავშვები და მოსამსახურეები მეტი პატივისცემით მოგეპყრონ, _ უთხრა ბ. დე რენალმა.

_ ბატონო, _ უთხრა ჟიულიენმა, _ თავს უხერხულად ვგრძნობ ამ ახალ ტანისამოსში: ღარიბი გლეხი ვარ და არაფერი მიტარებია, გარდა უბრალო კურტაკისა. თუ ნებას დამრთავთ, ჩემს ოთახში ჩავიკეტები.

_ როგორ მოგწონს ეს ახალი მონაპოვარი? _ ჰკითხა დე რენალმა თავის ცოლს.

რაღაც უანგარიშო ინსტინქტის კარნახით ქალმა ჭეშმარიტება დაუმალა ქმარს.

_ უნდა გამოგიტყდეთ, რომ თქვენსავით მოხიბლული როდი ვარ ამ ახალგაზრდა გლეხით. თქვენი თავაზიანობა მას გაათავხედებს და იძულებული გახდებით, შინ გაისტუმროთ თვის გასვლამდე.

_ მერე რა, გავისტუმროთ! ეს შეიძლება ასიოდე ფრანკი დამიჯდეს, სამაგიეროდ ვერიერი შეეჩვევა იმას, რომ ბ. დე რენალის ბავშვებს აღმზრდელის თანხლებით ხედავდეს. ჟიულიენი რომ მუშის ტანისამოსში დამეტოვებინა, ამ მიზანს ვერ მივაღწევდით. თუ შინ გავისტუმრე, რასაკვირველია, დავიტოვებ შავ ტანისამოსს, რომელიც ესაა მემაუდეს შევუკვეთე; თან გავატან მხოლოდ იმას, რაც მკერავს მზად აღმოაჩნდა და ახლა ჟიულიენს ზედ აცვია.

საათი, რომელიც ჟიულიენმა თავის ოთახში გაატარა, ერთ წუთად ეჩვენა ქალბატონ დე რენალს. ბავშვებმა გაიგეს მასწავლებლის მოსვლა და გამოკითხვით შეაწუხეს თავიანთი დედა. ბოლოს, ჟიულიენიც გამოჩნდა. ეს უკვე სულ სხვა ადამიანი იყო, ნამდვილი სიდარბაისლის განსახიერება. იგი ბავშვებს წარუდგინეს. მან პატარებს ისეთი ტონით დაუწყო ლაპარაკი, რომ ბატონი დე რენალიც კი გაკვირდა.

_ მე აქ მომიწვიეს, ბატონებო, რათა ლათინური გასწავლოთ, _ თქვა მან თავისი სიტყვის დასასრულს. _ თქვენ იცით, რას ნიშნავს გაკვეთილის მოყოლა. აი, ეს პატარა შავყდიანი წიგნი წმინდა ბიბლიაა. ეს ნაწილი, კერძოდ, ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს ისტორიას წარმოადგენს, მას ახალ აღთქმას უწოდებენ. მომავალში ხშირად გათქმევინებთ თქვენს გაკვეთილს, ახლა კი თქვენ მათქმევინეთ ჩემი გაკვეთილი.

ჟიულიენმა წიგნი გადასცა უფროს ვაჟს, ადოლფს.

_ გადაშალეთ ალალბედზე და მითხარით ახალი სტრიქონის პირველი სიტყვა. მე თქვენ ზეპირად გეტყვით ჩვენი საყოველთაო ზნეობის ნიმუშს _ საღმრთო წერილის თავებს, სანამ არ შემაჩერებთ.

ადოლფმა წიგნი გადაშალა და ერთი სიტყვა წაიკითხა, ხოლო ჟიულიენმა ისე ადვილად წარმოთქვა მთელი გვერდი, თითქოს ფრანგულად ლაპარაკობსო. ქმარმა ცოლს გამარჯვებული სახით გადახედა. როცა ბავშვებმა მშობლების გაკვირვება შეამჩნიეს, თვითონაც თვალები დააჭყიტეს. სასტუმრო ოთახის კართან ლაქია გამოჩნდა, ჟიულიენი კი ისევ განაგრძობდა ლათინურად ლაპარაკს. ლაქია სახტად დარჩა, შემდეგ გაქრა. მალე კართან ქ. დე რენალის პირისფარეში და მზარეული ქალი მოვიდნენ; ამასობაში ადოლფს უკვე რვა სხვადასხვა ადგილას გაეხსნა წიგნი. ჟიულიენი კი ისევე ადვილად განაგრძობდა ლაპარაკს. ბ. დე რენალი შეეცადა გაეხსენებინა ნაცნობი ლათინური სიტყვები და ბოლოს ორიოდე სიტყვა წარმოთქვა ჰორაციუსიდან.* ჟიულიენმა ლათინურად არაფერი იცოდა, გარდა თავისი ბიბლიისა. მან შუბლი შეიჭმუხნა:

_ წმინდა თანამდებობა, რისთვისაც მე ვემზადები, ხელს მიშლის ასეთი საერო პოეტი ვიკითხო.

ბ. დე რენალმა წარმოთქვა საკმაოდ დიდი რიცხვი ვითომდა ჰორაციუსის ლექსებისა. მან ბავშვებს აუხსნა, ვინ იყო ჰორაციუსი; მაგრამ ისინი გონებადაკარგულნი იყვნენ აღტაცებისაგან და ყურადღებას არ აქცევდნენ მის სიტყვებს. ისინი ჟიულიენს შესცქეროდნენ.

რადგან მოსამსახურეები კვლავ კარებთან იდგნენ, ჟიულიენმა საჭიროდ ცნო გამოცდის გაგრძელება.

_ ახლა სასურველია, _ თქვა მან და უმცროს ვაჟს მიუბრუნდა, _ ბატონმა სტანისლავ ქსავიემაც მიმითითოს რომელიმე ადგილზე საღმრთო წერილიდან.

სიამაყით აღსავსე პატარა სტანისლავმა დიდის გაჭირვებით რომელიღაც თავისი პირველი სიტყვა წაიკითხა და ჟიულიენმა მთელი გვერდი წარმოთქვა ზეპირად.

რათა ბ. დე რენალის ბედნიერება სრული ყოფილიყო, ბედმა ინება, რომ, როცა ჟიულიენი უკვე უმცროსი ვაჟის კარნახით განაგრძობდა ახალი აღთქმის ზეპირად წარმოთქმას, ოთახში საუცხოო ნორმანდიული ცხენების მფლობელი ბ, ვალნო და ოლქის პრეფექტის თანაშემწე შარკო დე მოჟირონი შემოსულიყვნენ. ამ სცენამ ჟიულიენს საბოლოოდ ბატონის სახელწოდება დაუმკვიდრა. თვით მოსამსახურეები ვეღარ ბედავდნენ ამაზე უარი ეთქვათ.

საღამოთი მთელმა ვერიერმა რენალის ბინაზე მოიყარა თავი, რათა ეს ახალი სასწაული ენახა. ჟიულიენი ყველას პირქუშად უპასუხებდა, რომ თავი ყველასაგან შორს დაეჭირა. მისი სახელი ისე გავრცელდა მთელ ქალაქში, რომ ორიოდე დღის შემდეგ ბ. დე რენალს შეეშინდა, არავინ წამართვასო და წინადადება მისცა, ორი წლით დავდოთ ხელშეკრულებაო.

_ არა, ბატონო, _ უპასუხა ცივად ჟიულიენმა, _ თუ ჩემი დათხოვნა მოისურვეთ, მე მაინც იძულებული გავხდები წავიდე. ხელშეკრულება, რომელიც მე ხელ-ფეხს მიბოჭავს, ხოლო თქვენ არაფერს გავალებთ, თანასწორი არაა; ამიტომ უარს ვამბობ მის დადებაზე.

ჟიულიენმა ისე კარგად დაიჭირა თავი, რომ ერთი თვის შემდეგ მას თვით ბ. დე რენალიც კი პატივისცემით ეპყრობოდა. რადგან მღვდელი წაჩხუბებული იყო რენალსა და ვალნოსთან, არავის შეეძლო გაემჟღავნებინა ჟიულიენის ძველი სიყვარული ნაპოლეონისადმი; ახლა თვითონაც შიშის ძრწოლით წარმოთქვამდა ხოლმე მის სახელს.

VII

არჩევითი ნათესაობა

მათ გულის შეხება სხვანაირად არ
შეუძლიათ, თუ შეურაცხყოფა არ მიაყენეს.
ერთი თანამედროვე

ბავშვები ჟიულიენს აღმერთებდნენ, მაგრამ თვით მას როდი უყვარდა ისინი: მისი აზრი სხვაგან იყო. რაც უნდა გაეკეთებინათ ამ პატარა ბიჭებს, იგი არ კარგავდა მოთმინებას. ცივი, სამართლიანი, აუღელვებელი იყო, მაგრამ მაინც საყვარელ ადამიანად ითვლებოდა იმიტომ, რომ მისმა აქ დასახლებამ რამდენადმე სახლიდან განდევნა მოწყენილობა. თავის მხრივ, ჟიულიენი მხოლოდ სიძულვილსა და ზიზღს გრძნობდა მაღალი საზოგადოებისადმი, სადაც მასაც გაუღეს კარი, თუმც კი სუფრის ბოლოში დასვეს. შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდა მისი ზიზღი და სიძულვილი. ზოგიერთი წვეულების დროს დიდი გაჭირვებით იკავებდა თავს, რომ თავისი სიძულვილი არ გამოეაშკარავებია სტუმარ-მასპინძლებისადმი. ერთხელ სუფრაზე ბ. ვალნომ ისეთი დაუსრულებელი ენაწყლიანობა გამოიჩინა, რომ ჟიულიენს შეეშინდა, თავს ვერ შევიკავებო და ბაღში გაიქცა ვითომდა ბავშვების დასახედავად.

_ რა შესხმას უძღვნის პატიოსნებას! _ წამოიძახა მან: _ ამავე დროს კი, ალბათ, გააორკეცა ან გაასამკეცა თავისი შეძლება მას შემდეგ, რაც ღარიბთა ქონებას განაგებს! სანაძლეოს დავდებ, თუ იგი უსახლკარო ბავშვების თანხებზეც არ იგებდეს. ეჰ, მეც ხომ თითქოს მიგდებული ბავშვი ვარ, უსახლკარო, მოძულებული მამისაგან, ძმებისაგან, მთელი ოჯახისაგან.

ერთ მშვენიერ დღეს ჟიულიენი, თავისი ლოცვანით აღჭურვილი, მარტოდმარტო სეირნობდა პატარა ტყეში, რომელიც ზემოდან დასცქერის «ერთგულების სასეირნოს» და მოულოდნელად თავის ორ ძმას შეეჩეხა განამრტოებულ ბილიკზე. ამ ტლანქი მუშების მეშურნეობა ისე გააღიზიანა მათი უმცროსი ძმის ახალმა შავმა ტანისამოსმა, სუფთა გარეგნობამ და აშკარა ზიზღმა მათდამი, რომ შეუბრალებლად გალახეს და სისხლშესვრილი და გულწასული დააგდეს. შემთხვევით ტყეში ქალბატონი დე რენალი სეირნობდა ვალნოსა და პრეფექტის თანაშემწესთან ერთად: ქალმა მიწაზე გართხმული ჟიულიენი დაინახა და გაიფიქრა _ მომკვდარაო; ისე შეწუხდა, რომ ვალნოს ეჭვიანობაც კი გამოიწვია.

მაგრამ მისი შეშფოთება ნაადრევი იყო: ჟიულიენს ქალბატონი დე რენალი მეტად ლამაზ ქალად მიაჩნდა, მაგრამ სძულდა სწორედ მისი სილამაზის გამო; რაც შეიძლება ნაკლებ ელაპარაკებოდა, რათა დაევიწყებინა თავისი პირველი აღტაცება, რომელმაც იგი აიძულა ხელზე ეკოცნა მისთვის.

დე რენალის მოახლეს ელიზას პირველ შეხედვისთანავე შეუყვარდა ჟიულიენი; ამის შესახებ ხშირად ელაპარაკებოდა თავის ქალბატონს. მადმუაზელ ელიზას სიყვარულმა ერთს ლაქიას სიძულვილი აღუძრა ჟულიენისადი. ერთხელ მან გაიგონა, როგორ უთხრა ამ კაცმა ელიზას: თქვენ არ გინდათ დამელაპარაკოთ მას შემდეგ, რაც ამ სახლში ეს ჭუჭყიანი აღმზრდელი გაჩნდაო.

ჟიულიენს არ დაუმსახურებია ეს სალანძღავი სახელწოდება; ამისდა მიუხედავად, ლამაზი ჭაბუკების დამახასიათებელი ინსტინქტის კარნახით იმ დღიდან მეტი ყურადღებით ეპყრობოდა თავის გარეგნობას. ბ. ვალნომაც უფრო მეტად შეიძულა ჟიულიენი. მან ხმამაღლა განაცხადა, ასეთი კოპწიაობა არ შეეფერება ახალგაზრდა აბატსო. ჟიულიენის ტანისამოსი სრულიად ისეთი იყო, როგორსაც აბატები იცვამენ, _ მხოლოდ ანაფორა აკლდა.

ქალბატონმა დე რენალმა შეამჩნია, რომ ჟიულიენი ჩვეულებრივზე უფრო ხშრიად ესაუბრებოდა მადმუაზელ ელიზას. მალე გაიგო, ამის მიზეზი ის იყო, რომ ჟიულიენს

მეტად ღარიბი გარდერობი ჰქონდა. რადგან საცვალი აკლდა, იძულებული იყო, იგი ხშირად მიეცა გასარეცხად და ელიზა ასეთი პატარა საქმეებისთვის სჭირდებოდა. ამ უკიდურესმა სიღარიბემ გული აუჩუყა ქალბატონ დე რენალს; იფიქრა, რამეს ვაჩუქებო, მაგრამ ვერ გაბედა. ბოლოს ქმარს სთხოვა, თეთრეული აჩუქეო.

ეს შინაგანი წინააღმდეგობა პირველი მტანჯველი გრძნობა იყო, რომელიც ქალში ჟიულიენმა გამოიწვია. აქამდე ჟიულიენის სახელი მისთვის წმინდა სულიერ სიხარულს უდრიდა.

_ რა სისულელეა! _ უპასუხა ქმარმა: _ როგორ, საჩუქრები ვაძლიოთ ადამიანს, რომელიც კარგად გვემსახურება და სრულიად გვაკმაყოფილებს? ეს იმ შემთხვევაში უნდა გვექნა, თუ იგი დაუდევრობას გამოიჩენდა და მისი გულმოდგინების გაღვივება იქნებოდა საჭირო.

ქალბატონი დე რენალი იმ პროვინციელ ქალთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომელნიც ადვილად შეიძლება უჭკუოდ გვეჩვენონ გაცნობიდან პირველი თხუთმეტი დღის განმავლობაში. მას არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა ცხოვრებაში, თავს ძალას არ ატანდა ლაპარაკის დროს, ფაქიზი და ქედმაღალი სული ჰქონდა, ამასთანავე აღჭურვილი იყო ბედნიერების ინსტინქტით, რომელიც თანდაყოლილი აქვს ყოველ არსებას. ამიტომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმ ტლანქი ადამიანების ყოფაქცევას, რომელთა წრეში ბედს გადაეგდო.

ეს ქალი საზოგადოებაში ყურადღებას მიიპყრობდა თავისი ბუნებრივი და მახვილი გონებით, რაიმე განათლება რომ მიეღო; მაგრამ როგორც მდიდარ მემკვიდრეს შეეფერება, იგი აღიზარდა იესო ქრისტეს «წმინდა გულის» თაყვანისმცემელ მონაზვნებს შორის,* რომელნიც სიძულვილით იყვნენ გამსჭვალული ფრანგებისადმი, როგორც იეზუიტების მტრებისადმი. ამ ქალს იმდენი ჭკუა ჰქონდა, რომ მალე დაივიწყა, როგორც უაზრო რამ, ყოველივე, რაც მონასტერში შეისწავლა; მაგრამ დანაკლისი არაფრით შეუვსია, ასე რომ, ბოლოს არაფერი არ იცოდა. ჟიულიენის მოსვლამდე მხოლოდ თავის ბავშვებს აქცევდა ყურადღებას. მათი ავადმყოფობა, მათი პაწია ტკივილები, მათი პაწია სიხარული სულ მთლად ავსებდა მგრძნობიარობას ამ სულისა, რომელიც წინათ, როცა ბეზანსონის გულიწმინდის მონასტერში იმყოფეობდა, არავის სცემდა თაყვანს, გარდა ღმერთისა.

როცა ცოლქმრობის პირველ წლებში გულისნადების გამჟღავნების მოთხოვნილებამ იგი აიძულა ქმრისთვის გაემხილა თავისი ტანჯვა და თავისი სიხარული, მას ტლანქი ხარხარით, მხრების აჩეჩვით და იაფფასიანი ფრაზებით უპასუხეს: ქალური

სისულელებიაო. ეს ლაზღანდარობა, განსაკუთრებით, როცა იგი ბავშვების ავადმყოფობას შეეხებოდა, თითქოს ხანჯალს ატრიალებდა ქალბატონი დე რენალის გულში. აი, რა აღმოაჩინა მან იმ იეზუიტური მონასტრის გულმოდგინე და მოთაფლული პირფერობის მაგივრად, სადაც თავისი ახალგაზრდობა გაატარა. მისი აღზრდა ტანჯვამ დაასრულა. იგი მეტად ამაყი იყო, რომ თავისი გულისტკივილი თუნდ ახლო მეგობრის _ ქალბატონი დერვილისთვის გაემხილა. წარმოიდგინა, ყველა მამაკაცი ჩემს ქმარს, ვალნოს ან პრეფექტის თანაშემწეს შარკო დე მოჟირონს ჰგავსო. ეგონა, სიტლანქე, მხეცური უგრძნობლობა ყველაფრისადმი, რაც ფულის ინტერესს, წარჩინებას ან ორდენის მიღებას არ შეეხება, მამრობით სქესს ახასიათებს ისევე, როგორც ჩექმების და ფეტრის ქუდის ტარებაო.

კარგა ხანმა განვლო, მაგრამ ქალბატონი დე რენალი კიდევ ვერ შეეჩვია იმ ფულიან კაცებს, რომელთა შორისაც უხდებოდა ცხოვრება.

ამით აიხსნება ახალგაზრდა გლეხის _ ჟიულიენის გამარჯვება. ქალბატონმა დე რენალმა ჩქარა აპატია როგორც მისი უკიდურესი უმეცრება, რომელიც კიდევ უფრო მომხიბლავად ხდიდა მას, ისე მისი ტლანქი მიხრა-მოხრა, რომელიც ქალმა გაასწორებინა. ასე ეგონა სულგრძელობა, სულიერი კეთილშობილება, ადამიანობა მხოლოდ ამ ახალგაზრდა კაცში ცხოვრობსო.

ქალბატონი დე რენალი ხშირად ფიქრობდა ჟიულიენის სიღატაკეზე და თვალები ცრემლით ევსებოდა. ჟიულიენმა ერთხელ მიუსწრო, როცა იგი ტიროდა.

_ ქალბატონო, რაიმე უბედურება ხომ არ შეგმთხვევიათ?

_ არა, ჩემო მეგობარო, _ უპასუხა ქალმა: _ დაუძახეთ ბავშვებს და სასეირნოდ წავიდეთ.

ქალმა ხელი ხელში გაუყარა და ისე დაეყრდნო ჟიულიენს, რომ ვაჟს, ცოტა არ იყოს, ეუცხოვა. ეს პირველი შემთხვევაში იყო, რომ იგი მას თავის მეგობარს უწოდებდა.

სეირნობის დასრულებისას ჟიულიენმა შეამჩნია, რომ ქალი ძლიერ წითლდებოდა, ნაბიჯიც შეანელა.

_ თქვენ გეტყოდნენ, რომ მე ერთადერთი მემკვიდრე ვარ მდიდარი მამიდასი, რომელიც ბეზანსონში ცხოვრობს, _ თქვა ქალმა ისე, რომ არც კი შეუხედავს ჟიულიენისთვის: _ მამიდაჩემი საჩუქრებით მავსებს... ჩემი ვაჟები ისე დაწინაურდნენ... რომ მე მინდოდა მცირედი რამით აღმენიშნა ჩემი მადლობა. ეს სულ რაღაც ორიოდე

ლუიდორია, რითაც თქვენ შეგიძლიათ საცვალი იყიდოთ... მაგრამ, _ დაუმატა ქალმა ბოლოს, კიდევ უფრო გაწითლდა და დადუმდა.

_ მაგრამ რა, ქალბატონო? _ ჰკითხა ჟიულიენმა.

_ ზედმეტი იქნებოდა ამის შესახებ რაიმე გეთქვათ ჩემი ქმრისთვის.

_ მე პატარა კაცი ვარ, ქალბატონო, მაგრამ მდაბალი არა ვარ, _ თქვა ჟიულიენმა, შედგა, თვალებიდან სიბრაზის ნაპერწკლები გადმოჰყარა და წელში გაიმართა: _ თქვენ, ალბათ, ეს კარგად არ მოიფიქრეთ. მე ლაქიაზე დაბლა ვიდგომებოდი, თუ ბ. დე რენალს დავუმალავდი რასმე, რაც ჩემი ფულის საკითხს შეეხება.

ქალბაოტნი დე რენალი განადგურებული იყო.

_ ბ. დე რენალმა ხუთჯერ მომცა ოცდათექვსმეტი ფრანკი, მას შემდეგ, რაც მის ოჯახში დავბინავდი, _ განაგრძო ჟიულიენმა: _ მე მზად ვარ ჩემი ხარჯების წიგნი ბ. დე რენალს ვაჩვენო, თუნდ ბ. ვალნოსაც, რომელსაც მე ვძულვარ.

ამის შემდეგ ქალბატონ დე რენალს ფერი აღარ მოსვლია, იგი თრთოდა, და სეირნობა ისე დასრულდა, რომ ვერც ერთმა, ვერც მეორემ საბაბი ვეღარ იპოვა საუბრის გასაახლებლად. ქალბატონ დე რენალის შეყვარება თანდათან შეუძლებელი ხდებოდა ჟიულიენის ამაყი გულისთვის. რაც შეეხება ქალს, მან ვაჟისადმი პატივისცემა, თაყვანისცემა იგრძნო. რათა გამოესწორებია შეურაცხყოფა, რაც უნებლიეთ ჟიულიენს მიაყენა. მან თავს ნება მისცა უნაზესი მზრუნველობა გამოეჩინა მისადი. ქალი თავის ყოფაქცევაში რაღაც სიახლეს გრძნობდა და ბენიერი იყო მთელი კვირის განმავლობაში. ვაჟის გულისწყრომაც ნაწილობრივ დაცხრა.

«აი, როგორი ყოფილან ეს მდიდარი ადამიანები, _ ფიქრობდა იგი: _ ისინი ჯერ გამცირებენ და შემეგ თქვენი გულის მონადირებას ცდილობენ რაღაც მაიმუნობით!»

ქალბატონ დე რენალის გული იმდენად აღსავსე და უმწიკვლო იყო, რომ ყოყმანის შემდეგ ქმარს უამბო, ჟიულიენს ფული შევთავაზე და მან უკუაგდო ჩემი წინადადებაო.

_ როგორ, _ წამოიძახა შეურაცხყოფილმა ბატონმა დე რენალმა, _ თქვენ მოსამსახურეს ნება მიეცით უარი ეთქვა თქვენს წინადადებაზე?

რადგან ცოლმა სიტყვა შეუბრუნა, ჟიულიენი მოსამსახურე არ არისო, ქმარმა განაგრძო:

_ ქალბატონო, მე ვლპარაკობ, როგორც განსვენებული პრინცი დე კონდე ლაპარაკობდა, როცა მან თავისი კარისკაცები მეუღლეს წარუდგინა: «ყველა ეს ადამიანები თქვენი მოსამსახურეები არიან». მე თქვენ ეს წაგიკითხეთ ბეზანვალის* მემუარებში,

რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია თავის დაჭერის შესასწავლად. ყველა, ვინც კეთილშობილი არაა, თქვენს ოჯახში ცხოვრობს და ჯამაგირს ღებულობს, თქვენი მოსამსახურეა. მე მსურს ორიოდე სიტყვა ვუთხრა ბატონ ჟიულიენს და ასიოდე ფრანკი მივცე.

_ აჰ, მეგობარო, _ უთხრა ქმარს ათრთოლებულმა ქალბატონმა დე რენალმა: _ ყოველ შემთხვევაში მსახურების თანდასწრებით ნუ იქმთ ამას!

_ ჰო, მათ შეიძლება სამართლიანად გაეღვიძოთ შურის გრძნობა, _ თქვა ქმარმა და გარეთ გავიდა, თან ფიქრობდა, ბევრი ხომ არ გავიღეო.

მწუხარებისაგან თითქმის გულწასული ქალბატონი დე რენალი სკამზე ჩაიკეცა. იგი ჟიულიენს შეურაცხყოფას მიაყენებს და ეს ჩემი ბრალი იქნებაო, ფიქრობდა ქალი. მან სიძულვილი იგრძნო ქმრისადმი და პირზე ხელები აიფარა. თავის თავს აღთქმა მისცა, არასოდეს აღარ გავუმხელ ჩემი გულის ნადებსო.

როცა ჟიულიენი დაინახა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა; სული შეუგუბდა; სიტყვის წარმოთქმა ვერ მოახერხა. ისე დაიბნა, რომ ხელში ხელი ჩასჭიდა და მოუჭირა.

_ მეგობარო, _ თქვა მან ბოლოს, _ კმაყოფილი ხართ, თუ არა ჩემი ქმრის?

_ რად არ უნდა ვიყო, _ უპასუხა ჟიულიენმა მწარე ღიმილით, _ მან ასი ფრანკი მაჩუქა.

ქალბატონმა დე რენალმა ყმაწვილს ეჭვის თვალით შეხედა.

_ ხელი მომეცით, _ უთხრა ქალმა ისეთი გაბედულებით, როგორიც მასში ჟიულიენს არასოდეს შეუმჩნევია.

ქალბატონმა დე რენალმა გაბედა ვერიერის წიგნის მაღაზიაში წასულიყო ჟიულიენთან და თავის ბავშვებთან ერთად, თუმცა ამ მაღაზიის პატრონს საშიში სახელი ჰქნდა გავარდნილი, ლიბერალიაო. აქ ქალმა თავის ბავშვებს ათი ლუიდორის წიგნები აურჩია. მაგრამ იცოდა, ეს ისეთი წიგნები იყო, რომელთა შეძენა ჟიულიენს სურდა. ქალმა თითოეულ თავის ვაჟს მოსთხოვა, აქვე მაღაზიაში შენი სახელი დააწერე იმ წიგნებს, რომელიც წილად გერგოო. ჟიულიენი გაოცებული უცქეროდა წიგნებით გატენილ თაროებს, გული აჩქარებით უძგერდა, ფიქრობდა, ნეტავი რა საშუალებით შეუძლია ჩემისთანა ახალგაზრდა თეოლოგს ზოგიერთი ამ წიგნის შეძენაო. ბოლოს, მას თავში აზრმა გაუელვა, თუ მარჯვედ ვიქენი, შეიძლება ბ. დე რენალი დავარწმუნო, საჭიროა თქვენს შვილებს ისეთი წიგნები მივცეთ, რომელნიც მათ ამ პროვინციაში დაბადებული სახელგანთქმული თავადაზნაურობის ისტორიას გააცნობენო. ერთი თვის უნაყოფო

მუშაობა დასჭირდა ამ აზრის განხორციელებას. ბოლოს, ბ. დე რენალი დათანხმდა, მართლაც კარგი იქნებოდა, ჩემი უფროსი ვაჟი გაეცნობოდეს იმ თხზულებათ, რომელთა შესახებ მას შეიძლება ლაპარაკი ჩამოუგდონ სამხედრო სკოლაში ყოფნის დროსო; მაგრამ ჟიულიენი ხედავდა, რომ ბ. დე რენალი ჯიუტობდა და შემდგომი ნაბიჯის გადადგმა არა სურდა.

_ მე ვფიქრობ, ბატონო, _ უთხრა მან ჟიულიენს ერთ მშვენიერ დღეს, _ დიდად შეუფერებელი იქნებოდა, რომ ისეთი კეთილშობილი გვარი, როგორიც რენალია, წიგნის გამყიდველის აბონენტთა ჭუჭყიან სიაში მოხვდეს.

_ ეს ცუდი იქნებოდა თეოლოგიის ღარიბი მოწაფისთვისაც, თუ ერთს მშვენიერ დღეს აღმოაჩენდნენ, რომ მისი სახელი და გვარი შეტანილი ყოფილა წიგნის გამყიდველის სიაში, _ დაუმატა ჟიულიენმა უფრო მოკრძალებული ტონით: _ ამ ლიბერალებს ისიც კი შეუძლიათ დამაბრალონ, უსაძაგლეს წიგნებს თხოულობდაო; შეიძლება ისიც კი ჩაიდინონ, რომ ჩემი სახელის და გვარის გვერდით ამ გარყვნილი წიგნების სათაურები მოათავსონ.

ჟიულიენი ბ. დე რენალის სახეს დააკვირდა და შეამჩნია, რომ იგი შეშფოთებული და შეწუხებული იყო. «ახლა კი ხელში მყავხარ», _ გაიფიქრა მან.

რამდენიმე დღის შემდეგ უფროსმა ვაჟმა ბ. დე რენალის იქ ყოფნის დროს ჟიულიენს კითხვა მისცა ერთი წიგნის შესახებ, რომელიც გამოცხადებული იყო მონარქისტულ გაზეთ «კოტიდიენში».*

_ რათა, ერთი მხრივ, იაკობინელების პარტიას ყოყლოჩინობის საბაბი არ მიეცეს, ხოლო, მეორე მხრივ, შევძლო პასუხი გავცე ბატონი ადოლფის ასეთ კითხვებს, შეიძლებოდა აბონემენტი რომელიმე თქვენი მოსამსახურის სახელზე აგვეღო.

_ აი, კარგი აზრი, _ წამოიძახა ბ. დე რენალმა, რომელიც ეტყობოდა დიდად ნასიამოვნები იყო.

_ ყოველ შემთხვევაში, საჭიროა განკარულების გაცემა, _ თქვა ჟიულიენმა იმ სერიოზული და თითქმის ბეჩავი ტონით, რომელიც ასე უხდება ზოგიერთ ადამიანს, როცა იგი ხედავს, რომ მისი დიდი ხნის სურვილი განხორციელდა, _ საჭიროა განკარგულების გაცემა, რომ მსახურმა არავითარი რომანი არ წამოიღოს. თუ ეს სახიფათო წიგნები ოჯახში გაჩნდა, ისინი ადვილად გარყვნიან ქალბატონის მოახლეებს და თვით თქვენს მსახურს.

_ თქვენ გავიწყდებათ პოლიტიკური პამფლეტები, _ დაუამტა ბ. დე რენალმა ბრძნული გამომეტყველებით. იგი აღტაცებული იყო თავისი ბავშვების აღმზრდელით და არ უნდოდა ეს გამოემჟღავნებია.

ამრიგად, ჟიულიენის ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა სხვადასხვა მოლაპარაკებას; მას ერჩია აქ მოეპოვებია გამარჯვება, ვიდრე ქალბატონი დე რენალის გულში.

ვერიერის მერის ოჯახში მან იგივე ზნეობრივი პოზიცია დაიჭირა, როგორიც მთელ თავის ცხოვრებაში ეჭირა. აქ ისევე, როგორც თავისი მამის სახერხ ქარხანაში, სულითა და გულით სძულდა ადამიანები, რომლებთანაც ცხოვრობდა, და მათი სიძულვილიც დაიმსახურა. პრეფექტის თანაშემწეს, ვალნოს და ამ ოჯახის სხვა მეგობრების საუბრიდან ყოვლდღე ხედავდა, რა ნაკლებ ჰგავდა ამ ადამიანების იდეები სინამდვილეს. მათ სამარცხვინოდ მიაჩნდათ ის, რაც ჟიულიენს საუცხოოდ ეჩვენებოდა. მას ხშირად ჩაულაპარაკნია: «რა მახინჯები, რა სულელები არიან!» ხშირად სრულიად არაფერი გაეგებოდა მათი.

თავის სიცოცხლეში არავისთან გულწრფელად არ ულაპარაკნია, გარდა ბებერი დასტაქარისა; მისი აზრები ტრიალებდა ნაპოლეონის იტალიური კომპანიისა და დასტაქრობის გარშემო. როცა ქალბატონი დე რენალი პირველად შეეცადა სხვა რამეზე დალაპარაკებოდა, გარდა ბავშვების აღზრდისა, მან ქირურგიულ ოპერაციებზე გააბა საუბარი; ქალი გაფითრდა და სთხოვა, დადუმდითო.

ამის მეტი ჟიულიენმა არაფერი არ იცოდა. ამიტომ, როცა ქალბატონ დე რენალთან დარჩებოდა პირისპირ, მათ შორის უცნაური დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე. ჟიულიენს ეგონა, მამაკაცი ვალდებულია ილაპარაკოს, როცა მარტოდმარტო რჩება ქალთანო. მისი სული ღრუბლებში დანავარდობდა, მაგრამ იგი ვერ ახერხებდა დაერღვია თავისი დამამცირებელი დუმილი. თუ თავს ძალას ატანდა, მხოლოდ სასაცილო რამეებს ამბობდა. უბედურება კიდევ ის იყო, რომ იგი ხედავდა და აჭარბებდა თავის უჭკუობას; მაგრამ ვერ ხედავდა ერთ რამეს, სახელდობრ თავისი თვალების გამომეტყველებას. ეს თვალები ისეთი მშვენიერი იყვნენ და ისეთი ანთებული სულის არსებობას მოწმობდნენ, რომ კარგი მსახიობის მსავსად მომხიბლავ აზრს აძლევდნენ ისეთ რამესაც, რასაც ეს აზრი ჰქონდა. ქალბატონმა დე რენალმა შეამჩნია, რომ ჟიულიენი მხოლოდ მაშინ ახერხებდა მჭევრმეტყველ ლაპარაკს, როცა რაიმე მოულოდნელი მოვლენით იყო შთაგონებული და არ ცდილობდა ლამაზად გადმოეცა თავისი აზრი. რადგან ქალი თავისი ოჯახის მეგობრის

მიერ განებივრებული არ იყო ახალი და ბრწყინვალე იდეებით, იგი ჟიულიენის სულის ნაპერწკლებით ტკბებოდა.

ნაპოლეონის დამხობის შემდეგ ყოველივე რაინდული სიფაქიზე განდევნილია პროვინციის ზნე-ჩვეულებიდან. ყველას ადგილის დაკარგვისა ეშინია. არამზადა ადამიანები ცდილობენ დასაყრდენი იპოვონ კონგრეგაციაში: მუზმუზელობამ დიდი წარმატება მოიპოვა თვით ლიბერალურ ფენებში. მოწყენილობა მატულობს. არავითარი გასართობი აღარ არსებობს, გარდა წიგნის კითხვისა და სოფლის მეურნეობისა.

ქალბატონ დე რენალს, ღვთისმოსავი მამიდის დიდ მემკვიდრეს, რომელიც თექვსმეტი წლისა გაათხოვეს, არასოდეს არაფერი არ განუცდია, რაც შორიდან მაინც ჰგვანებოდეს სიყვარულს. მხოლოდ მისი მოძღვარი, კეთილი მღვდელი შელანი ელაპარაკებოდა სიყვარულზე, ისიც ბ. ვალნოს აშიკობის გამო. მღვდელმა ქალს სიყვარული ისეთ შემზარავ სურათად წარმოუდგინა, რომ ეს სიტყვა მას მხოლოდ გულისამრევ გარყვნილებად ეჩვენებოდა. ქალი გამონაკლისად ან სრულიად არაბუნებრივ მოვლენად თვლიდა სიყვარულის აღწერას, რომელიც მან ორიოდე, შემთხვევით მის ხელში მოხვედრილ რომანში აღმოაჩინა. ამ უმეცრების წყალობით ქალბატონი დე რენალი თავს ბედნიერად თვლიდა, რადგან განუწყვეტლივ ჟიულიენზე ფიქრობდა და ეს სრულიადაც სათაკილოდ არ მიაჩნდა.

VIII

პატარა ამბები

> აღმოოხვრა მით უფრო ღრმა იყო, რაც უფრო აკრძალული იყო იგი; ფარული შეხედვა და გაწითლება მით უფრო ტკბილი იყო, რაც უფრო ძვირად უჯდებოდა ისინი მათ მომტაცებელს.
>
> **ბაირონი, დონ ჟუანი**

ქალბატონ დე რენალის სულიერი სიმშვიდე მხოლოდ მაშინ იმღვრეოდა, როცა იგი თავის მოსამსახურე ქალზე, ელიზაზე ფიქრობდა. ამ ქალმა მემკვიდრეობა მიიღო, აღსარების სათქმელად წავიდა მამა შელანთან და გამოუტყდა, ჟიულიენზე მინდა

გათხოვებაო. მღვდელს დიდად გაუხარდა თავისი მეგობრის გაბედნიერება: ადვილი წარმოსადგენია, როგორი უნდა ყოფილიყო მისი გაოცება, როცა ჟიულიენმა გადაჭრით უთხრა, ელიზას წინადადება მიუღებელია ჩემთვისო.

_ ყურადღება მიაქციეთ, ჩემო შვილო, რა ხდება თქვენს გულშიო, _ უთხრა მღვდელმა და წარბები შეიჭმუხნა: _ მე თქვენ გილოცავთ, თუ სასულიერო წოდებამ გათქმევინათ უარი ქონებაზე, რომელიც საკმარისზე მეტია. ორმოცდათექვსმეტ წელზე მეტია, რაც მღვდლად ვარ ვერიერში. ამისდა მიუხედავად, როგორც ეტყობა, მალე გადამაყენებენ. ეს გულს მტკენს, თუმცა რვაასი ლივრი რენტა მაქვს. ამას გეუბნებით, რათა ილუზიები არ იქონიოთ მღვდლის მდგომარეობაზე. თუ განზრახული გაქვთ ეპირფეროთ ამა ქვეყნის ძლიერთ, თქვენი საუკუნო დაღუპვა აუცილებელია. შეიძლება ქონება შეიძინოთ, მაგრამ იძულებული იქნებით ზიანი მიაყენოთ ჩაგრულთ, ელაქუცოთ პრეფექტის მოადგილეს, ქალაქის მერს, ყოველ წარჩინებულ პირს და თქვენივე საკუთარი ვნებათა ღელვის მონა გახდეთ: ეს ყოფაქცევა, რომელსაც საზოგადოებაში ცხოვრების ცოდნას უწოდებენ, საერო პირისთვის შეიძლება სავსებით შეუთანხმებელი არ იყოს სულის ცხონებასთან; მაგრამ ჩვენს მდგომარეობაში არჩევანის მოხდენაა საჭირო: ან სააქაოში უნდა მივაღწიოთ ბედნიერებას, ან საიქიოში _ მესამე გზა არ არსებობს. წადით, ძვირფასო მეგობარო, იფიქრეთ და სამ დღეში უკან დაბრუნდით, რათა საბოლოო პასუხი მომცეთ. მე გულის წუხილით ვხედავ, რომ თქვენი არსების სიღრმეში ბნელი ცეცხლი ღვივის, იგი არც ზომიერებას მოწმობს და არც ამქვეყნიური სიკეთის უარყოფას, რაც ესოდენ საჭიროა სასულიერო პირისთვის. მე ბევრ რამეს ველი თქვენი ჭკუისაგან, მაგრამ ნება მომეცით გითხრათ, რომ ვშიშობ არ წაწყმდეთ, თუ მღდელი გახდით.

ჟიულიენს რცხვენოდა, რომ ღელავდა: პირველად თავის ცხოვრებაში სიყვარულის სითბო იგრძნო; მან ნეტარების ცრემლები დაღვარა, მხოლოდ ვერიერის ზემოთ მდებარე ტყეში წავიდა, რათა მისი სისუსტე არავის დაენახა.

სამი დღის შემდეგ ჟიულიენმა ისეთი რამ მოიმიზეზა, რაც პირველ დღესვე უნდა გამოეყენებინა; ცილისწამებას მიმართა, მაგრამ რა უშავს? დიდი ყოყმანით მღვდელს გამოუტყდა, მიზეზი, რომლის გამხელა არ შემიძლია, რადგან იგი მესამე პირს ავნებს, ხელს მიშლის ეს ქალი შევირთოო. ამით იგი ჩრდილს აყენებდა ელიზას ყოფაქცევას. მამა შელანმა მის მიხრა-მოხრაში რაღაც საერო ცეცხლი აღმოაჩინა, სრულიად განსხვავებული იმისგან, რასაც შთაგონება უნდა გამოეწვია ახალგაზრდა ლევიტელში.

_ მეგობარო, _ გაუმეორა მან, _ უმჯობესია ნაღდი პროვინციელი ბურჟუა გახდეთ, პატივსაცემი და განათლებული, ვიდრე მოწოდებას მოკლებული ხუცესი.

ქალბატონი დე რენალი გაკვირვებული იყო, რომ ახლად მიღებულმა მემკვიდრეობამ არ გააბედნიერა მისი მოსამსახურე ქალი. ქალბატონი ხედავდა, რომ ეს უკანასკნელი ყოველდღე მღვდელთან დადიოდა და უკან ნამტირალევი ბრუნდებოდა; ბოლოს თვით ელიზამ ჩამოუგდო ლაპარაკი ქორწინებაზე.

ქალბატონმა დე რენალმა წარმოიდგინა, ავად ვარო; ციებ-ცხელებამ ძილი წაართვა; თავს ცოცხლად გრძნობდა მხოლოდ მაშინ, როცა თავის მოსამსახურე ქალს ან ჟიულიენს ხედავდა. მას ფიქრი შეეძლო მხოლოდ მათზე და იმ ბედნიერებაზე, რომელსაც ისინი იპოვიდნენ თავიანთ ოჯახში. ამ პაწია სახლის სიღარიბე, სადაც წელიწადში მხოლოდ ორმოცდაათი ლუიდორი* დაიხარჯებოდა, მას მომხიბლავ ფერებში ჰქონდა წარმოდგენილი. ადვილად შეიძლებოდა ჟიულიენი ადვოკატი გამხდარიყო ბრეში, ორი ლიეს მანძილზე ვერიერიდან. ამ შემთხვევაში ხანდახან მასაც ინახულებდა.

ქალბატონ დე რენალს მართლაც ეგონა, ვგიჟდებიო; ეს თავის ქმარს განუცხადა და ბოლოს ლოგინში ჩაწვა. იმავე საღამოს, როცა მისი მოსამსახურე ქალი მასთან შევიდა, შეამჩნია, რომ იგი ტიროდა. ამ წუთში შეძულდა ელიზა და გაუწყრა მას; შემდეგ ბოდიში მოიხადა. ელიზამ უმატა ტირილს: თუ ქალბატონი ნებას დამრთავს, ჩემს უბედურებას ვუამბობო.

_ მიამბეთ, _ უპასუხა ქალბატონმა დე რენალმა.

_ ქალბატონო, იგი არ მთხოულობს; ბოროტმა ადამიანებმა ცუდი რამ უთხრეს ჩემზე და მასაც სჯერა.

_ ვინ არ გთხოულობს? _ ჰკითხა ქალბატონმა დე რენალმა, რომელიც ძლივს სუნთქავდა.

_ ვინ, ქალბატონო, თუ არ ჟიულიენი, _ უპასუხა მსახურმა ქალმა და გულამოსკვნილი ტირილი დაიწყო: _ ბატონმა მღვდელმა ვერ შეძლო მისი წინააღმდეგობის დაძლევა. ბატონი მღვდელი იმ აზრისაა, მას უფლება არა აქვს უარი უთხრას პატიოსან ქალს იმ საბაბით, რომ იგი მოსამსახურე იყო. განა თვით ჟიულიენის მამა ხურო არ არის; თვით იგი რას აკეთებდა, სანამ ქალბატონთან დადგებოდა?

ქალბატონი დე რენალი აღარ უსმენდა; ბედნიერებამ თითქმის გონება დაუკარგა. მან რამდენჯერმე დაადასტურებინა, ჟიულიენმა გადაჭრით თქვა უარი და მოსალოდნელი არაა იგი უფრო გონიერ გადაწყვეტილებას დაუბრუნდესო.

_ მინდა უკანასკნელ საშუალებას მივმართო და ჟიულიენს მოველაპარაკო, _ უთხრა მან თავის მოსამსახურე ქალს.

მეორე დღეს საუზმის შემდეგ ქალბატონმა დე რენალმა ვნებით აღსავსე სიამოვნების წუთები განიცადა, როცა თავის მოქიშპე ქალის საქმეს იცავდა და ხედავდა, რომ ელიზას ხელსა და მზითევს მთელი საათის განმავლობაში უარყოფდნენ.

ნელ-ნელა ჟიულიენმა თავი დააღწია თავის შეჭირვებულ პასუხებს და გაათავა იმით, რომ გონებამახვილად უპასუხებდა ქალბატონ დე რენალის გონივრულ მოსაზრებათ. ქალი ვეღარ უძლებდა ბედნიერების ნიაღვარს, რომელიც მის სულს წალეკვას უპირებდა ამდენი სასოწარკვეთილებით აღსავსე დღის შემდეგ. იგი ძალიან ცუდად შეიქნა. როცა მოღონიერდა და თავის ოთახში შევიდა, ყველანი გარეთ გაისტუმრა. მეტისმეტად გაკვირვებული იყო.

«ნუთუ ჟიულიენი მიყვარს?» _ გაიფიქრა ბოლოს. ეს აღმოჩენა სხვა დროს ამ ქალში სინდისის ქენჯნას და ღრმა მღელვარებას გამოიწვევდა, ახლა კი მხოლოდ უცნაურად და თითქოს არასაინტერესოდ ეჩვენა. მისი სული არაქათგამოცლილი იყო განცდილით, მას მგრძნობიარობა აღარ რჩებოდა ვნებათა ღელვისთვის.

ქალბატონ დე რენალს უნდოდა წამომდგარიყო და მუშაობას შესდგომოდა, მაგრამ ღრმა ძილში წავიდა; როცა გამოეღვიძა, ისე შეძრწუნებული არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. იმდენად ბედნიერი იყო, რომ არ შეეძლო რაიმე ცუდად მოჩვენებოდა. ამ პროვინციელ ქალს, გულუბრყვილოს და უმანკოს, არასოდეს თავისი სული არ უწვალებია, რათა თავისი ახალი გრძნობის ან უბედურების ელფერი გაეძლიერებინა. ჟიულიენის მოსვლამდე იგი გართული იყო იმ შრომით, რომელიც პარიზის გარეთ ყოველი კარგი დიასახლისის ხვედრია. ვნებათა ღელვაზე ისე ფიქრობდა, როგორც ჩვენ ლატარიაზე ვფიქრობთ: ეს აშკარა მოტყუებაა, ესაა ბედნიერება, რომელსაც უგუნურები ეძებენო.

გაისმა სადილის მაუწყებელი ზარის ხმა; ქალბატონი დე რენალი საშინლად გაწითლდა, როცა ჟიულიენის ხმა გაიგონა. რადგან სიყვარულმა ცოტაოდენი თვალთმაქცობა ასწავლა, მან თავის ტკივილი მოიმიზეზა სიწითლის ასახსენლად.

_ ქალები ყველანი ასეთები ხართ, _ წამოიძახა ბატონმა დე რენალმა და ხმამაღლა გაიცინა: _ მუდმივად რაიმე გასასწორებელი აქვს ამ მანქანებს!

თუმცა ქალბატონი დე რენალი შეჩვეული იყო ასეთ ხუმრობას, ნათქვამის კილომ მაინც შეურაცხყო იგი. მან ჟიულიენს შეხედა: თუნდაც ეს ყმაწვილი ყოვლად მახინჯი ადამიანი ყოფილიყო, ამ წუთში მაინც მოეწონებოდა.

* * *

ბ. დე რენალი ცდილობდა კარისკაცებისთვის წაებაძნა და, როგორც კი გაზაფხულის თბილი დღეები დაიჭირა, ვერჟიში გადასახლდა. რამდენიმე ასეული ფეხის ნაბიჯზე ძველი გოთური ეკლესიის მხატვრული ნანგრევებიდან ბ. დე რენალს ოთხკოშკიანი ციხე-დარბაზი ჰქონდა, რომელსაც გარს ტიულრის პარკის* მსგავსად დაგეგმილი, ბზის არშიებითა და წაბლის ხეივნებით შემკული ბაღი ეკრა. ხეებს წელიწადში ორჯერ კრეჭდნენ და სხეპავდნენ. ბაღის მეზობლად იშლებოდა სასეირნო ველი, სადაც ვაშლის ხეები იყო დარგული. ხოლო ბაღის ბოლოში ამართული იყო რვა თუ ათი საუცხოო კაკლის ხე. მათი დიდებული ფოთლების გვირგვინი თითქმის ოთხმოცი წყრთის სიმაღლეზე იყო ატყორცნილი.

_ თითოეული ეს დაწყევლილი კაკლის ხე ნახევარი დღიურის მოსავლად მიღირს: პური ვერ მწიფდება მათ ჩრდილში, _ ამბობდა ბ. დე რენალი, როცა მისი ცოლი აღტაცებას გამოთქვამდა ამ ხეების ცქერისას.

სოფელი ახალი სახით ეჩვენა ქალბატონ დე რენალს; იგი უაღრესად აღტაცებული იყო. მისი სული თითქო გაცხოველდა; თითქო გამბედაობა მიემატა. როცა მესამე დღეს ბ. დე რენალი ქალაქში გაემგზავრა თვითმმართველობის საქმეების გამო, ქალბატონმა დე რენალმა მუშები დაიქირავა თავის ხარჯზე; ჟიულიენმა ურჩია, სილამოყრილი ბილიკი გააკეთებინეთ ბაღში კაკლის ხეების ქვეშ, რათა ბავშვებმა დილიდან სეირნობა შეძლონ ისე, რომ ცვარში ფეხები არ დაუსველდეთო. ქალბატონი დე რენალი მეორე დილიდანვე შეუდგა ამ აზრის განხორციელებას. მან მთელი დღე მხიარულად გაატარა ჟიულიენთან; მუშებს განკარგულებას აძლევდა.

როცა ვერიერის მერი შინ დაბრუნდა, დიდად გაოცებული დარჩა, ბილიკი მზად რომ დახვდა. ქალბატონი დე რენალიც გაკვირვებული იყო მისი მოსვლით: მას დაავიწყდა ქმრის არსებობა. ბ. დე რენალი კი მთელ ორ თვეს გულისტკივილით ლაპარაკობდა გამბედაობაზე, რომელიც ქალმა გამოიჩინა, როცა მის დაუკითხავად ესოდენ მნიშვნელოვანი განახლება მოახდინა ბაღში; მაგრამ ამის ხარჯები თვით ქალბატონმა დე რენალმა გაიღო და ეს ცოტათი ანუგეშებდა ქმარს.

ქალი მთელ დღეს იმაში ატარებდა, რომ ბავშვებთან ერთად დარბოდა ბაღში და პეპლებს დასდევდა. ბაცი ფერის გაზის ბადეები გააკეთებინა. მათი შემწეობით იჭერდა საბრალო ლეპიდოპტერებს. ეს ბარბაროსული სახელი ჟიულიენმა ასწავლა ქალბატონ დე

რენალს, თვით ყმაწვილმა იგი გოდარის* საუცხოო წიგნში ამოიკითხა, რომელიც ბეზანსონიდან გამოიწერეს საგანგებოდ: ყმაწვილი კაცი ქალს აცნობდა ამ პაწია არსებათა თავისებურ ზნე-ჩვეულებათ.

დაჭერილ პეპლებს ქინძისთავებზე აცვამდნენ და მუყაოზე ამაგრებდნენ. ეს მუყაოც ჟიულიენის გამოჭრილი იყო. ამრიგად, ქალბატონ დე რენალსა და ჟიულიენს სალაპარაკო საგანი გაუჩნდათ და ვაჟსაც აღარ ეშინოდა იმ საშინელი წამებისა, რომელსაც მას წინათ დუმილის წუთები უმზადებდა.

ისინი განუწყვეტლივ საუბრობდნენ, დიდი ინტერესითაც, თუმცა მათი საუბრის საგანი მეტისმეტად უმანკო იყო. ეს მოქმედი, საქმეში გართული, მხიარული ცხოვრება ყველას მოსწონდა, გარდა ელიზასი, რომელსაც თავზე საყრელი საქმე ჰქონდა. «არასოდეს, კარნავალის დროსაც კი, როცა ვერიერში საცეკვაო საღამო იმართება, ქალბატონი ამდენს არ ზრუნავს თავისი ტანსაცმელისთვის, _ ამბობდა იგი, _ დღეში ორ-სამჯერ იცვლის კაბას».

რადგან ჩვენ სრულიადაც აზრად არ გვაქვს ვინმეს პირში მივეფეროთ, არ უარვყოფთ, რომ ქალბატონი დე რენალი, რომელსაც საუცხოო კანი ჰქონდა, ამ დროს ისეთ ტანისამოსს იკერავდა, რომელიც საკმაოდ ატიტვლებდა მის მკლავებს და მკერდს. იგი ტანადი იყო და ამგვარი ჩაცმა ძლიერ უხდებოდა.

_ არასოდეს ასეთი ახალგაზრდა არ ყოფილხართ, ქალბატონო, _ ეუბნებოდნენ ვერიერელი მეგობრები, რომელნიც სადილად ესტუმრებოდნენ ხოლმე ვერჟიში.

უცნაური და ძნელი დასაჯერებელი ამბავია, რომ თუმცა ქალბატონი დე რენალი ამდენ ყურადღებას აქცევდა თავის ტანსაცმელს, მაგრამ არავითარი გარკვეული მიზანი არ ჰქონია. რაღაც უშუალო სიამოვნებას პოულობდა იმაში და, როცა პეპლებს არ დასდევდა ბავშვებსა და ჟიულიენთან ერთად, ელიზას ეხმარებოდა კაბების კერვაში. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ გაემგზავრა ვერიერში, რათა მიულჰაუზერიდან მოტანილი ახალი საზაფხულო კაბები ეყიდა.

მან ვერჟიში მოიყვანა ერთი თავისი ნათესავი ახალგაზრდა ქალი. გათხოვების შემდეგ ქალბატონი დე რენალი ნელ-ნელა დაუახლოვდა ქალბატონ დერვილს, რომელიც მასთან ერთად სწავლობდა მონასტერში.

ქალბატონი დერვილი ბევრს დასცინოდა იმას, რასაც იგი თავის ბიძაშვილის გიჟურ იდეებს უწოდებდა; მე არასოდეს არაფერი ამის მსგავსი თავში არ მომივაო, ამბობდა იგი. როცა ეს ქალები მარტო რჩებოდნენ, ქალბატონ დე რენალის სული ცხოველდებოდა და

მთელი დილა წუთივით გაირბენდა ხოლმე; ორივენი მეტისმეტად მხიარულნი იყვნენ. ამჟამად კი ჭკუადამჯდარმა ქალბატონმა დერვილმა აღმოაჩინა, რომ მისი ბიძაშვილი ბევრად ნაკლებ მხიარული და ბევრად უფრო ბედნიერი იყო.

თავის მხრივ, ჟიულიენი ბავშვივით ბედნიერი იყო სოფელში, ისეთსავე სიამოვნებას გრძნობდა პეპლების დევნაში, როგორსაც მისი მოწაფეები გრძნობდნენ. ამდენი შეჭირვებისა და იძულებული თვალთმაქცობის შემდეგ იგი განმარტოვდა, მიეფარა აბეზარი მამაკაცების თვალებს და, რადგან ინსტინქტი ეუბნებოდა, ქალბატონი დე რენალი შენთვის საშიში არ არისო, უმშვენიერესი მთების კალთებში სულით და გულით დანებდა არსებობის სიამოვნების გრძნობას, ესოდენ ძლიერი რომაა მის ასაკში.

ქალბატონ დერვილის დანახვისთანავე ჟიულიენმა წარმოიდგინა, თითქო იგი მისი ძველი მეგობარი ყოფილიყოს; სტუმარს დაუყოვნებლივ აჩვენა გადასახედი, რომელიც ახლად გაყვანილი გზის ბოლოდან იშლებოდა; მართლაც ეს სანახაობა თუ უკეთესი არა, ნაკლები არაა შვეიცარიის და იტალიის ტბების ულამაზეს ადგილებზე. თუ დაქანებულ ფერდობზე ახვედით, რომელიც იქვე იწყება, რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე, ფრიალო კლდეებს მიაწყდებით: მუხნარის არშია თითქმის მდინარის ნაპირამდე აღწევს. აი, ამ კლდეების მწვერვალებზე აჰყავდა ორივე მეგობარი ჟიულიენს, რომელიც ბედნიერი, თავისუფალი, კიდევ მეტს ვიტყვით, თითქო ამ დიდი სახლის მეფე იყო. იგი ტკბებოდა მათი აღტაცებით ამ დიდებული სანახაობის წინაშე.

_ ეს ჩემთვის თითქო მოცარტის მუსიკაა, _ ამბობდა ქალბატონი დერვილი.

ძმების შურმა, მტარვალი და ბრაზიანი მამის სიახლოვემ ჟიულიენის თვალში სილამაზე დაუკარგა ვერიერის მიდამოებს. ვერჟიში მას აღარ აწუხებდნენ ეს მწარე მოგონებანი; პირველად თავის ცხოვრებაში თავის გარშემო არ ხედავდა მტრებს. როცა ბ. დე რენალი ქალაქში იყო, რაც ხშირად ხდებოდა, იგი წიგნების წაკითხვას ბედავდა. დღისით გაკვეთილს და გაკვეთილს შუა ამ კლდეებში ამოდიოდა თავისი წიგნებითურთ, რაიც მისი ყოფაქცევის ერთადერთ გზის მაჩვენებელს და მისი აღტაცების საგანს წარმოადგენდა. მათში პოულობდა ბედნიერებას, აღფრთოვანებასა და ნუგეშს უიმედობის წუთებში.

დიდი სიცხე დაიჭირა. საზოგადოება ჩვეულებრივ საღამოს უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ ატარებდა, რომელიც რამდენიმე ფეხის ნაბიჯზე იყო სახლიდან. მისი ფოთლების კარავი კიდევ უფრო აძლიერებდა ღამის წყვდიადს. ერთ საღამოს ჟიულიენი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა და სიამოვნებას გრძნობდა, რომ ასეთს მჭევრმეტყველებას

იჩენდა ახალგაზრდა ქალების წინაშე; ანაზდეულად იგი ხელით შეეხო ქალბატონ დე რენალის ხელს, რომელიც დაყრდნობილი იყო ბაღის შეღებილი ხის სკამის ზურგს. ქალმა საჩქაროდ გასწია თავისი ხელი; მაგრამ ჟიულიენმა გაიფიქრა, ჩემი ვალდებულებაა მივაღწიო იმას, რომ ეს ხელი უკან არ იწეოდეს, როცა მას ვეხებიო.

IX

ერთი საღამო სოფელში

გერენის «დიდონა»* მომხიბლავი მონახაზია.

შტრომბეკი*

მეორე დღეს ჟიულიენის თვალებს რაღაც თავისებური გამომეტყველება ჰქონდა, როცა მან ქალბატონი დე რენალი დაინახა; ვაჟი ქალს უცქეროდა როგორც მტერს, რომელთანაც ბრძოლა ელოდა. ამ შეხედვამ, ასე განსხვავებულმა გუშინდელისაგან, თავგზა აუბნია ქალბატონ დე რენალს: «ასეთი გულკეთილობა გამოვიჩინე მისდამი, იგი კი თითქო გაჯავრებულია». ქალი თვალს ვერ აშორებდა ვაჟის თვალებს.

ქალბატონ დერვილის იქ ყოფნა ჟიულიენს ხელს უშლიდა ელაპარაკნა. იგი უფრო თავის ფიქრებში იყო წასული. მთელი დღე შთამაგონებელ წიგნს კითხულობდა, რომელიც მის სულს აკაჟებდა.

მან ძლიერ შეამოკლა თავისი გაკვეთილები და შემდეგ, როცა ქალბატონ დე რენალის დანახვამ მასში მისი მომავალი დიდების აზრები გააღვიძა, გადაწყვიტა, ამავე საღამოს აუცილებლად უნდა მივაღწიო, რომ ქალმა ნება დამრთოს ხელზე ხელი მოვუჭიროო.

მზის ჩასვლისას, როცა გადამწყვეტი წუთი მოახლოვდა, ჟიულიენმა იგრძნო, რომ გული უცნაურად აუძგერდა. დაღამდა. ვაჟმა შეამჩნია, რომ ღამე მეტად ბნელი იქნებოდა. ამ დაკვირვებამ შეამსუბუქა მძიმე ტვირთი, რომელიც გულზე აწვა ლოდივით. ცა დაფარული იყო ბნელი ღრუბლებით, რომელთაც ძლიერ თბილი ქარი მიერეკებოდა. როგორც ეტყობოდა, ქარიშხალი ახლოვდებოდა. ორივე ქალი დიდხანს სეირნობდა. ყოველივე, რასაც ისინი ამ საღამოს აკეთებდნენ, მეტად ახირებულ რამედ ეჩვენებოდა ჟიულიენს.

ბოლოს დასხდნენ, ქალბატონი დე რენალი ჟიულიენის გვერდით, ხოლო ქალბატონი დერვილი თავისი მეგობრის გვერდით. ჟიულიენი თავისი განზრახვის შესრულებაზე ფიქრობდა და საგანი ვერ იპოვა საუბრის გასაბმელად.

«ნუთუ ასევე ავთრთოლდები და ასეთივე უბედური ვიქნები პირველი მოსალოდნელი დუელის დროს?» _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

მისი შეშფოთება იმდენად ძლიერი იყო, რომ ერჩია რაიმე სხვა საფრთხე შემთხვეოდა. რამდენჯერ ისურვა, ქალბატონ დე რენალს უცებ რაიმე საქმე გახსენებოდა, ბაღი დაეტოვებინა და სახლში შესულიყო. თავს იმდენ ძალას ატანდა, რომ შეუძლებელი იყო, ხმა არ შეცვლოდა. ჩქარა ქალბატონ დე რენალსაც აუთრთოლდა ხმა, მაგრამ ჟიულიენმა ეს ვერ შეამჩნია. საშინელი ბრძოლა ვალდებულებასა და მორცხვობას შორის იმდენად მტანჯველი იყო, რომ მას არაფრის შემჩნევა არ შეეძლო თავისი თავის მიღმა. კოშკის საათმა ცხრა და სამი მეოთხედი დარეკა და მას ჯერ კიდევ ვერაფერი გაებედა. ჟიულიენი აღშფოთებული იყო თავისი სიმხდალით, ფიქრობდა, იმ წუთშივე, როგორც კი ათ საათს დარეკს, მე ან ჩემს განზრახვას შევასრულებ, ან ჩემს ოთახში ავალ და შუბლში ტყვიას ვიკრავო.

ერთი წუთი ლოდინისა და შეშფოთების შემდეგ, როცა ჟიულიენის მღელვარებამ უკიდურეს მწვერვალს მიაღწია, კოშკის საათმა, რომელიც თითქო მის თავს ზემოთ იყო მოთავსებული, ათი დარეკა. ამ საბედისწერო ზარის ყოველი ჩამორეკვა მის მკერდში პოულობდა გამოხმაურებას და თითქო ფიზიკურ ტკივილს იწვევდა.

ჯერ კიდევ უკანასკნელი ზარის ხმა არ დადუმებულიყო ჰაერში, რომ მან ხელი გააცოცა ქალბატონ დე რენალისკენ. ქალმა მაშინვე უკან წაიღო თავისი ხელი. ჟიულიენმა ანგარიშმიუცემლად ხელახლა ხელი მოსჭიდა ქალის ხელს; დიდი მღელვარების მიუხედავად, გაოცებით შეამჩნია, რომ ქალის ხელი ყინულივით ცივი იყო; მან ღონივრად მოუჭირა აცახცახებული ხელი; ქალმა უკანასკნელად სცადა თავისი ხელი წაერთმია, მაგრამ ბოლოს იგი ვაჟის ხელს დანებდა.

მის სულს ბედნიერების ტალღამ გადაუარა, იმიტომ კი არა, რომ მას ქალბატონი დე რენალი უყვარდა, არამედ იმიტომ, რომ საშინელი წამება დასრულდა. ლაპარაკი დაიწყო, რათა ქალბატონ დერვილს არაფერი შეემჩნია; მისი ხმა ახლა მელოდიური და ძლიერი გახდა. პირიქით, ქალბატონ დე რენალის ხმა ისეთ მღელვარებას ამჟღავნებდა, რომ მისმა მეგობარმა ქალმა გაიფიქრა, ავადააო და სახლში შესვლა შესთავაზა. ჟიულიენმა საფრთხე იგრძნო: «თუ ქალბატონი დე რენალი დარბაზში შევიდა, მე იმავე შემაძრწუნებელ

მდგომარეობაში ჩავვარდები, რომელშიც მთელი დღე გავატარე. მისი ხელი ისე ცოტა ხანს მეჭირა, რომ თავს ჯერჯერობით გამარჯვებულად ვერ ჩავთვლი».

როცა ქალბატონმა დერვილმა თავისი წინადადდება გაიმეორა, ჟიულიენმა ხელახლა ხელი მოუჭირა ხელს, რომელიც მას ნებდებოდა.

ქალბატონი დე რენალი წამოდგა, მაგრამ ხელახლა დაჯდა და მინაბული ხმით წარმოთქვა:

_ მართლაც ცოტათი ავად ვარ, მაგრამ სუფთა ჰაერი მრგებს.

ამ სიტყვებმა დაამტკიცა ჟიულიენის ბედნიერება, რომელიც ამ წუთში უსაზღვრო იყო: მან ლაპარაკი დაიწყო, თავი დაანება თვალთმაქცობას და უაღრესად თავაზიან მამაკაცად ეჩვენა ორივე მეგობარ ქალს, რომელნიც ყურადღებით უსმენდნენ. მაგრამ მის მჭევრმეტყველებას, ასე მოულოდნელად მოხეთქილს, ცოტა არ იყოს, მაინც გამბედაობა აკლდა. ეშინოდა, ქარით დაღლილი და ქარიშხლის მოლოდინით შეშინებული ქალბატონი დერვილი მარტო არ შევიდეს სახლშიო. მაშინ იგი პირისპირ დარჩებოდა ქალბატონ დე რენალთან. მან თითქმის შემთხვევით გამოიჩინა ბრმა გამბედაობა, რაიცა საკმაო აღმოჩნდა სამოქმედოდ; მაგრამ გრძნობდა, ერთ სიტყვასაც ვერ ვეტყვი ქალბატონ დე რენალსო. რაც უნდა ნაზად არ მისაყვედუროს, დავმარცხდები და ჩემ მიერ მოპოვებული უპირატესობა გაბათილდებაო.

მისდა საბედნიეროდ, ამ საღამოს მისი მგრძნობიარე და მაღალფარდოვანი სიტყვები მოეწონა ქალბატონ დერვილს, რომელიც ჩვეულებრივ ჟიულიენს ბავშვივით მოუხერხებლად და ნაკლებ საინტერესოდ თვლიდა. ქალბატონი დე რენალი კი, ვისი ხელიც ჟიულიენის ხელში ესვენა, არაფერზე არ ფიქრობდა, თითქო ცხოვრების მიმდინარეობისთვის მიეცა თავი. ამ ქალისთვის ბედნიერების ერად იქცა საათები, გატარებული ამ დიდი ცაცხვის ქვეშ, რომლის დარგვას ამ კუთხის ხალხური გადმოცემა დუკა შარლ მამაცს* მიაწერს. იგი ნეტარებით ისმენდა ქარის კვნესას ცაცხვის ხშირ ფოთლებში და იშვიათი წვიმის წვეთების დაცემის ხმას. ჟიულიენმა ვერ შეამჩნია ერთი გარემოება, რომელიც მას დაამშვიდებდა: ქალბატონი დე რენალი იძულებული გახდა, მისთვის ხელი წაერთმია, რათა წამომდგარიყო და თავის ბიძაშვილს დახმარებოდა მათ ფეხებთან წაქცეული ყვავილების ქოთანი აეყენებინათ, მაგრამ დაჯდომისთანავე თვით მისცა ხელი ვაჟს, თითქო მასთან შეთანხმებული ყოფილიყო.

დიდი ხანია შუაღამის ჟამმა დაჰკრა; ბაღში დარჩენა აღარ შეიძლებოდა: მოსაუბრენი ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. ქალბატონი დე რენალი გამსჭვალული იყო სიყვარულის

ბედნიერებით და იმდენად უმეცარი იყო, რომ თავს არაფერს არ უსაყვედურებდა. ბედნიერებამ ძილი დაუფრთხო, ჟიულიენს კი პირიქით, მკვდარივით ჩაეძინა: მას არაქათი ჰქონდა გამოცლილი იმ ბრძოლის წყალობით, რაიცა მის გულში მთელი დღის განმავლობაში გაუბედაობასა და სიამაყეს შორის წარმოებდა.

მეორე დილით ხუთ საათზე გამოაღვიძეს. რა სასტიკად მოეჩვენებოდა ქალბატონ დე რენალს იგი, რომ გაეგო, ჟიულიენს თითქმის არც კი გავხსენებივარო... ვაჟმა მხოლოდ თავისი ვალდებულება შეასრულა, გმირული ვალდებულება. იგი ბედნიერი იყო ამ შეგნებით, თავის ოთახში ჩაიკეტა და რაღაც ახალი სიამოვნებით შეუდგა თავისი საყვარელი გმირის ღვაწლის ამბების კითხვას.

როცა საუზმის მაუწყებელი ზარის ხმა მოესმა, ნაპოლეონის დიდი არმიის ბიულეტენების კითხვაში უკვე დავიწყებული ჰქონდა წინა დღით მოპოვებული უპირატესობა. სასადილოსკენ დაეშვა და დაუდევრად გაიფიქრა: «ამ ქალს უნდა ვუთხრა, მიყვარხარ-მეთქი».

ვნებით გალხობილ შეხედვას ელოდა. ამის მაგივრად ბატონ დე რენალის მკაცრი სახე შეხვდა: ქალაქის მერი ორი საათის წინ დაბრუნებულიყო ვერიერიდან და არ მალავდა თავის უკმაყოფილებას, რომ ჟიულიენს მთელი დილა უქმად გაეტარებინა და არაფერი გაეკეთებინა ბავშვებთან. ძნელია უფრო მახინჯი რამის წარმოდგენა, ვიდრე ეს გულზვიადი ადამიანი იყო, რომელსაც გული მოსდიოდა და ფიქრობდა _ უფლება მაქვს ეს გამოვამჟღავნოო.

თითოეული მკვახე სიტყვა გულს უგმირავდა ქალბატონ დე რენალს. რაც შეეხება ჟიულიენს, იგი იმდენად აღფრთოვანებული იყო, იმდენად დატვირთული დიდი საგნებით, რომელთაც რამდენიმე საათის განმავლობაში მის თვალწინ გაიარეს, რომ ძლივს მოახერხა თავისი გულისყური დაემდაბლებინა და ბ. დე რენალის ტლანქი სიტყვები მოესმინა. ბოლოს საკმაოდ მკვახედ უპასუხა:

_ ავად ვიყავი.

ამ პასუხის ტონი შეურაცხყოფდა ბევრად უფრო ნაკლებ მგრძნობიარე ადამიანსაც, ვიდრე ვერიერის მერი იყო. მას გაუელვა აზრმა, დაუყოვნებლივ გაეგდო ჟიულიენი. თავი მხოლოდ იმიტომ შეიკავა, რომ წესად ჰქონდა, არასოდეს არ აჩქარებულიყო სერიოზულ საქმეში.

«ამ უგუნურმა ჭაბუკმა ერთგვარი რეპუტაცია მოიპოვა ჩემს სახლში, _ გაიფიქრა მან მაშინვე, _ შეიძლება ვალნოსთან გადავიდეს, ან კიდევ ელიზაზე დაქორწინდეს; ორივე შემთხვევაში სასაცილოდ ამიგდებს».

კეთილგონიერი მსჯელობის მიუხედავად, ბ. დე რენალმა მაინც თავისი უკმაყოფილება გამოთქვა უხეში სიტყვებით, რომელთაც ბოლოს გული მოაყვანინეს ჟიულიენს. ქალბატონი დე რენალი ძლივს იკავებდა ცრემლებს. საუზმის დამთავრებისთანავე მან ჟიულიენს ხელი სთხოვა გასასეირნებლად და მეგობრულად დაეყრდნო ზედ. ყველაფერზე, რასაც ქალბატონი დე რენალი ეუბნებოდა, ჟიულიენი ხმადაბლა უპასუხებდა:

_ აი, როგორები არიან მდიდარი ადამიანები!

ბ. დე რენალი გვერდით მიჰყვებოდა მათ. მისი სიახლოვე კიდევ უფრო აღიზიანებდა ჟიულიენს. ჭაბუკმა უცებ შეამჩნია, რომ ქალი რაღაც სხვანაირად აწვებოდა მის ხელს. ამ მოძრაობამ ვაჟი გააბრაზა, ქალს თითქმის წაუბიძგა და ხელი გაითავისუფლა.

საბედნიეროდ, ბ. დე რენალს არ დაუნახავს ეს ახალი თავხედობა, იგი მხოლოდ ქალბატონმა დერვილმა შეამჩნია; მან შეამჩნია ისიც, რომ მის მეგობარ ქალს ცრემლები სცვიოდა ღაპაღუპით. ბ. დე რენალი ქვებით მისდევდა გლეხის გოგონას, რომელიც აკრძალული გზით შემოსულიყო ბაღში.

_ ბატონო ჟიულიენ, თავი შეიკავეთ, გეთაყვა; ნუ დაგავიწყდებათ, რომ ყოველი ჩვენგანი ხშირად ცუდ გუნებაზეა, _ ჩაილაპარაკა ქალბატონმა დერვილმა.

ჟიულიენმა მას ცივად შეხედა, უაღრესი ზიზღი გაუკრთა თვალებში.

ამ შეხედვამ გააკვირვა ქალბატონი დერვილი; იგი კიდევ უფრო გაკვირვებული დარჩებოდა, მისი ნამდვილი გამომეტყველება რომ გამოეცნო: იქ უსასტიკესი შურისძიების იმედს ამოიკითხავდა. უეჭველია, რომ რობესპიერებს ასეთი დამცირების წუთები აყალიბებენ.

_ თქვენი ჟიულიენი მეტისმეტად ბრაზიანია, იგი მაშინებს, _ ჩაულაპარაკა ხმადაბლა ქალბატონმა დერვილმა თავის მეგობარ ქალს.

_ სამართლიანად მოსდის გული, _ უპასუხა ამ უკანასკნელმა: _ გასაოცარი წარმატების შემდეგ, რასაც მან ჩვენი ბავშვების აღზრდის საქმეში მიაღწია, რა უშავს ერთი დილა ისე გაატაროს, რომ მათთან არ იმეცადინოს; უნდა გამოვტყდე, მამაკაცები მეტად ტლანქები არიან.

პირველად თავის სიცოცხლეში ქალბატონმა დე რენალმა შურისძიების სურვილი იგრძნო ქმრის მიმართ. საბედნიეროდ, ბ. დე რენალმა მებაღეს დაუძახა და მასთან ერთად შეუდგა აკრძალული ბილიკის შემოსასვლელის ძეძვით გადაღობვას. ჟიულიენი კრინტსაც არ ძრავდა იმ თავაზიანი სიტყვების საპასუხოდ, რომლითაც მას ქალები მიმართავდნენ სეირნობის დროს. როგორც კი ბ. დე რენალი განშორდათ, მეგობარმა ქალებმა დაღლილობა მოიმიზეზეს და ორივე მხრიდან ხელი გაუყარეს ჟიულიენს.

ამ ორ ქალს შორის, რომელთაც სახე შეწითლებოდათ მღელვარებისაგან, გაფითრებული ჟიულიენის პირქუში და ამაყი გამომეტყველება უცნაურ კონტრასტს წარმოადგენდა. მას სძულდა ეს დედაკაცები და მთელი მათი ნაზი მგრძნობიარობა.

«ეჰ, _ ამბობდა გულში, _ ხუთასი ფრანკი რენტაც არა მაქვს სწავლის დასასრულებლად, თორემ კარგად დავანახვებდი, როგორ უნდა მოეპყრან ჩემისთანა ადამიანს».

რადგან ქალბატონი დე რენალი ლაპარაკობდა მხოლოდ იმისთვის, რომ ელაპარაკა, რადგან იგი ცდილობდა მხოლოდ საუბრის მასალა ეპოვა, მან თქვა:

_ ჩემმა ქმარმა ერთი თავისი ფერმერისაგან სიმინდის ჩალა იყიდა ლეიბების გასატენად. იგი აღარ შემოგვიერთდება, თავის მებაღესა და ლაქიასთან ერთად ლეიბების განახლებას განაგრძობს. დღეს დილით პირველი სართულის საწოლები განაახლა, ახლა მეორეზე ავა.

ჟიულიენს ფერი ეცვალა; მან ხელი მოჰკიდა ქალბატონ დე რენალს და წინ წავიდა მასთან ერთად.

_ გადამარჩინეთ როგორმე, _ უთხრა ჟიულიენმა ქალბატონ დე რენალს: _ ეს მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ; თქვენ იცით, რომ ლაქიას სასიკვდილოდ ვემეტები. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ერთი სურათი მაქვს დამალული ლეიბში.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალბატონი დე რენალიც გაფითრდა.

_ ქალბატონო, ამ წუთში მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ ჩემს ოთხში შესვლა. მოძებნეთ სხვების შეუმჩნევლად ის ლეიბი, რომელიც ფანჯრის მახლობლადაა გაშლილი, იქ შავი მუყაოს პატარა კოლოფს წაწყდებით.

_ იმ კოლოფშია პორტრეტი? _ ჰკითხა ქალბატონმა დე რენალმა და ფეხები მოეკვეთა.

_ მეორე თხოვნაც მაქვს: გემუდარებით, არ დახედოთ იმ სურათს. ეს ჩემი საიდუმლოებაა.

_ საიდუმლოება! _ გაიმეორა ქალბატონმა დე რენალმა მიმქრალი ხმით. თუმცა იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, მაინც თავგამოდება გამოიჩინა და ჟიულიენს ყოველივე გამოჰკითხა, რათა მისი დავალება შეესრულებინა.

_ ამრიგად, _ გაიმეორა მან წასვლის წინ, _ პატარა შავი მუყაოს მრგვალი ყუთია, არა?

_ ჰო, ქალბატონო, _ უპასუხა ჟიულიენმა იმ ტლანქი ტონით, რომელსაც მამაკაცები საფრთხეში ამჟღავნებენ ხოლმე.

ქალი მეორე სართულზე ავიდა; ფერწასული იყო, თითქო სასიკვდილოდ ყოფილიყო გამზადებული. გული უღონდებოდა; მაგრამ იმ შეგნებამ, ჟიულიენს დახმარება უნდა გავუწიოო, მას ძალა შემატა. მოესმა, რომ მისი ქმარი ლაქიას ელაპარაკებოდა ჟიულიენის ოთახში. საბედნიეროდ, მამაკაცები ბავშვების ოთახში გავიდნენ. ლეიბი ასწია და ისეთი ღონით ჩაყო ხელი ჩალაში, რომ თითები გაიკაწრა. თუმცა ჩვეულებრივ მეტისმეტად მგრძნობიარე იყო ასეთი ტკივილებისადმი, ახლა არაფერი გაუგია. მაშინვე მუყაოს კოლოფს შეეხო, ამოიღო და ფეხაკრეფით გავიდა.

ჯერ კიდევ შიშის ზარს არ გაევლო, რომ ამ კოლოფით გამოწვეულმა შეძრწუნებამ ხელახლა გული შეუღონა.

_ მაშასადამე, ჟიულიენი შეყვარებულია და მე მისი სატრფოს სურათი მიჭირავს!

ქალი სკამზე ჩამოჯდა და მეშურნეობის გულისმღრღნელ ტანჯვას დაემორჩილა. ჟიულიენი შემოვიდა, კოლოფი გამოართვა, არც მადლობა უთქვამს, არც კრინტი დაუძრავს, თავის ოთახში შევარდა და მაშინვე დაწვა სურათი. ფერწასული, განადგურებული იყო; განვლილ საფრთხეს მეტისმეტად აზვიადებდა.

«კარგი ამბავია, ნაპოლეონის სურათის პოვნა იმ ადამიანის საწოლში, რომელიც გარეგნულად ასეთ სიძულვილს ამჟღავნებს უზურპატორის მიმართ! _ ამბობდა ყმაწვილი კაცი და თავს იქნევდა: მერედა ვის უნდა ეპოვა? დე რენალს, რომელიც უკიდურესი ლეგიტიმისტია და ახლა საშინლად გულმოსულია ჩემზე. იმდენად გაუფრთხილებელი ვიყავი, რომ კოლოფის თეთრ ქვედა პირზე წარწერა გავაკეთე საკუთარი ხელით. არავის ეჭვი აღარ ექნებოდა, რომ ნაპოლეონის თაყვანისმცემელი ვარ; ყოველი აღტაცების დღე დათარიღებული მაქვს! უკანასკნელი წარწერა გუშინწინდელ დღეს ეკუთვნის. მთელი ჩემი რეპუტაცია ერთ წუთში დაეცემოდა, განადგურდებოდა! _ ფიქრობდა ჟიულიენი, როცა ცეცხლწაკიდებულ კოლოფს უცქეროდა. _ ჩემი რეპუტაცია კი მთელ ჩემს სიმდიდრეს წარმოადგენს და მე მხოლოდ მით ვცხოვრობ... მაგრამ განა ეს ცხოვრებაა, ღმერთო ჩემო!»

ერთი საათის შემდეგ დაღლილობამ და თავის თავის სიბრალულმა იგი მოარბილა. ქალბატონ დე რენალს შეეჩეხა, მიესალმა და ისეთი გულწრფელობით აკოცა ხელზე, როგორიც არასოდეს არ გამოუჩენია. ქალი გაწითლდა ბედნიერებისაგან, მაგრამ იმავე წუთში მეშურნეობის გრძნობამ სძლია და ხელი ჰკრა ჟიულიენს. ჟიულიენში იმწუთშივე ხელახლა გაიღვიძა სიამაყემ, რომელიც ჯერ კიდევ დაშოშმინებული არ იყო უკანასკნელი შეურაცხყოფის შემდეგ. მან ზიზღით ხელი გაუშვა ქალის ხელს და ბავშვების ოთახისკენ გაემართა ჩაფიქრებული.

უმცროსი ბავშვი, რომელიც ჟიულიენს ძლიერ უყვარდა, მიეალერსა მას და ამან ცოტათი გაანელა მისი მწვავე სევდა.

«ამას ჯერ კიდევ არ ვეზიზღები», გაიფიქრა ჟიულიენმა. მაგრამ მაშინვე თავს უსაყვედურა, ხელახლა სისუსტეს ვიჩენო. «ეს ბავშვები ისე მეალერსებიან, როგორც ახლად ნაყიდ მონადირე ძაღლის ლეკვს მიეალერსებოდნენ».

X

დიდი გული და პატარა ბედნიერება

> ვნებათა ღელვანი სხვადასხვაგვარნი არიან; რამდენადაც უფრო ბნელია მათი სიღრმე, მით უფრო მიმზიდველნი არიან ისინი. პირქუში ცა ქარიშხალს გვაუწყებს.
>
> **ბაირონი, დონ ჟუანი.**

ბ. დე რენალმა ყველა ოთახი შემოიარა კოშკში და ბავშვების ოთახში დაბრუნდა მსახურებთან ერთად, რომელთაც ლეიბები მოჰქონდათ. ამ ადამიანის უცაბედმა შემოსვლამ ჟიულიენზე ისე იმოქმედა, თითქო იგი წყლის უკანასკელი წვეთი ყოფილიყოს, რომელიც ფიალას ავსებს.

იგი მას მივარდა. სახე ჩვეულებრივზე უფრო მოღუშული და ფერმკრთალი ჰქონდა. ბ. დე რენალი გაჩერდა და თავის მსახურებს შეხედა.

_ ბატონო, _ უთხრა ჟიულიენმა, _ ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ რომელიმე სხვა მასწავლებელთან თქვენი ბავშვები იმასვე მიაღწევდნენ, რასაც ჩემი ხელმძღვანელობით

მიაღწიეს? თუ იტყვით, არაო, _ განაგრძო მან ისე, რომ ბ. დე რენალს დრო არ მისცა პასუხისთვის, _ როგორ ბედავთ უყურადღებობა მისაყვედუროთ?

ბ. დე რენალი შეკრთა. ამ ახალგაზრდა გლეხის ტონის მიხედვით დაასკვნა, ჯიბეში ალბათ უფრო ხელსაყრელი წინადადება უდევს და წასვლას აპირებსო. ჟიულიენის გულისწყრომა თანდათან მატულობდა.

_ მე შემიძლია უთქვენოდაც ვიცხოვრო, ბატონო, _ დაუმატა მან.

_ ძლიერ ვწუხვარ, რომ ასე აღელვებულს გხედავთ, _ ჩაიბუტბუტა ბ. დე რენალმა. ამ დროს მსახურები ათი ნაბიჯის მანძილზე იყვნენ და ლოგინებს ასწორებდნენ.

_ მე ეს როდი მინდა, მოწყალეო ხელმწიფევ, _ განაგრძო ბრაზმორეულმა ჟიულიენმა: _ გაიხსენეთ, რა უდიერი სიტყვებით მომმართეთ და ისიც ქალების თანდასწრებით.

ბ. დე რენალს კარგად ესმოდა, რას მოითხოვდა ჟიულიენი. გულში აღშფოთებული იყო. ბოლოს სიბრაზისაგან გონებადკარგულმა ჟიულიენმა წამოიძახა:

_ მე ვიცი, სად წავიდე, ბატონო, როცა აქედან გავალ.

ამის გაგონებაზე ბ. დე რენალმა ნათლად წარმოიდგინა, როგორ ბინავდებოდა ჟულიენი ბ. ვალნოსთან.

_ კარგი, ბატონო, _ ამოიოხრა მან ისეთი სახით, თითქო დასტაქარს იწვევდა უმტკივნეულესი ოპერაციის გასაკეთებლად: _ მე თანახმა ვარ თქვენი მოთხოვნა დავაკმაყოფილო. ზეგიდან, როცა ახალი თვე იწყება, მზად ვარ ორმოცდაათი ფრანკი მოგცეთ თვეში.

ჟიულიენს კინაღამ სიცილი წასკდა, მაგრამ სახტად დარჩა; მისი გულისწყრომა გაქრა.

«მე სათანადო ზიზღი არ გამომიჩენია ამ ცხოველისადმი, _ გაიფიქრა მან: _ მართლაც, აი, უდიდესი ბოდიში, რომელიც შეიძლება ასეთი მდაბალი სულის პატრონმა მოიხადოს!»

ბავშვები, რომელნიც პირდაღებულნი უცქეროდნენ ამ სცენას, ბაღში გაიქცნენ, რათა დედისთვის ეამბნათ, ბ. ჟიულინი ძალიან გულომსულია, მაგრამ ამიერიდან ორმოცდაათ ფრანკს მიიღებს თვეშიო.

ჟიულიენი ბავშვებს გაჰყვა ისე, რომ არც კი შეუხედავს ბ. დე რენალისთვის, რომელიც დიდად გაგულისებული დარჩა.

«ბ. ვალნო უკვე ას სამოცდარვა ფრანკად მიღირს, _ ფიქრობდა ქალაქის მერი: _ აუცილებლად ორიოდე მაგარი სიტყვა უნდა ვუთხრა უსახლკარო ბავშვების თავშესაფრის თაობაზე».

ერთი წუთის შემდეგ ჟიულიენი ბ. დე რენალს წარუდგა.

_ ბ. შელანს მინდა მოველაპარაკო ჩემი სინდისის შესახებ, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ რამდენიმე საათით გტოვებთ.

_ ჩემო ძვირფასო ჟიულიენ, _ თქვა ბ. დე რენალმა ძალდატანებული ღიმილით: _ მთელი დღით მიბრძანდით, თუ გნებავთ, მთელი ხვალინდელი დღითაც. ჩემო კარგო მეგობარო, მებაღეს ცხენი გამოართვით ვერიერში წასასვლელად.

«ალბათ, მიდის, რათა პასუხი გადასცეს ვალნოს, _ გაიფიქრა ბ. დე რენალმა: _ მე არაფერს შემპირებია, მაგრამ დაე გახურებული თავი ცოტათი გაიგრილოს».

ჟიულიენი აჩქარებით გავიდა და იმ დიდი ტყის გზას დაადგა, რომლითაც ვერჟიდან ვერიერში მისვლა შეიძლება. არ უნდოდა ასე ადრე მისულიყო ბ. შელანისას. სრულიადაც არ სურდა ფარისევლობის ახალ სცენაში მიეღო მონაწილეობა. უნდოდა მხოლოდ ნათლად ჩაეხედა თავის სულში, გამოერკვია გრძნობები, ასე რომ აღელვებდა.

_ ბრძოლა მოვიგე, _ ჩაილაპარაკა მან, როგორც კი ტყეში აღმოჩნდა ადამიანების მოშორებით: _ მაშასადამე, მე ბრძოლა მოვიგე!

ეს სიტყვა ალამზებდა მის მდგომარეობას და ერთგვარ სიმშვიდეს ანიჭებდა მის სულს.

_ აი, მე უკვე ორმოცდაათი ფრანკი მაქვს თვეში; ალბათ, ბ. დე რენალს რაღაცისა ეშინია, მაგრამ რისი?

ფიქრმა იმის შესახებ, თუ რას შეეძლო შეეშინებია ეს ბედნიერი და ძლიერი ადამიანი, რომლის წინააღმდეგ ერთი საათის წინათ იგი გულისწყრომით იყო აღსავსე, სრულიად დააშოშმინა ჟიულიენი. იგი ერთი წუთით კიდეც დაემორჩილა ტყის მომხიბლავ მშვენიერებას. ოდესღაც მთის მხრიდან უზარმაზარი სალი კლდეები მოხეთქილიყო და ტყეში ჩამოვარდნილიყო. მაღალი წიფლის ხეები თითქმის მათ სიმაღლეზე იყო ატყორცნილი. ამ კლდეების ჩრდილში სასიამოვნოდ გრილოდა, თუმცა საკმაო იყო კაცს ტყიდან სამი ნაბიჯი გადაედგა და პაპანაქება სიცხეში აღმოჩნდებოდა.

ჟიულიენმა ცოტათი დაისვენა ამ ვეებერთელა კლდეების ჩრდილში და შემდეგ გზას გაუდგა. მალე ვიწრო ბილიკმა, რომელიც თითქმის შეუმჩნეველი იყო და მხოლოდ თხის მწყემსების საცალფეხო გზას წარმოადგენდა, იგი ერთი ციცაბო კლდის წვერზე აიყვანა;

ეგონა სრულიად დაშორებული ვარ ადამიანებსო. ამ შეგრძნებამ მასში ღიმილი გამოიწვია. თვალწინ წარმოუდგა ის ზნეობრივი მდგომარეობა, რომლისკენაც ასეთი თავგამოდებით მიისწრაფოდა. ამ მაღალი მთების სუფთა ჰაერმა დაამშვიდა და კიდეც გაამხიარულა მისი სული. მართალია, ვერიერის მერი მის თვალში წინანდებურად მდიდარი და თავხედი ადამიანების წარმომადგენლად რჩებოდა დედამიწაზე, მაგრამ ჟიულიენი გრძნობდა, რომ მის სიძულვილს, სიმძაფრის მიუხედავად, არაფერი ჰქონდა პიროვნული. საკმაო იყო ერთი კვირის განამვლობაში არ დაენახა ბ. დე რენალი და სრულიად დაავიწყდებოდა ისიც, მისი კოშკი, მისი ძაღლები, მისი ბავშვები და მთელი მისი ოჯახიც.

_ თვით არ ვიცი, როგორ ვაიძულე უდიდესი მსხვერპლი გაეღო. როგორ, ორმოცდაათ ეკიუზე მეტი წელიწადში? ამ ორიოდე წუთის წინათ უდიდეს საფრთხეს დავაღწიე თავი. აი, ორი გამარჯვება ერთი დღის განმავლობაში; მეორე არ დამიმსახურებია, საჭიროა მისი მიზეზის გაგება, მაგრამ ხვალისთვის იყოს თავსატეხი კვლევა-ძიებანი.

ჟიულიენი მწვერვალიდან აგვისტოს მზით გავარვარებულ ცას შესცქეროდა. კლდის ქვემოთ, მინდორში, ჭრიჭინები ჭრიჭინებნენ. როცა ისინი ჩერდებოდნენ, გარშემო სრული დუმილი მყარდებოდა. მის ფეხთქვეშ ველ-მინდორი იშლებოდა ოცი ლიეს მანძილზე. იგი ხედავდა შევარდენს, რომელიც ზემოთ აფრენილიყო კიდევ უფრო მაღალი მწვერვალიდან და ცაში წყნარად ირაოს ჰკრავდა. ჟიულიენმა ძალაუნებურად თვალი გააყოლა ონავარ ფრინველს. იგი გააოცა მისმა მძლავრმა და აუჩქარებელმა მოძრაობამ. შეშურდა მისი ძალა, შეშურდა მისი განმარტოება.

ასეთი იყო ნაპოლეონის ბედიც. მასაც იგივე ხომ არ ელოდა მომავალში?

XI

ერთი საღამო

იულიას გულცივობა ნაზმა გულთბილობამ შეცვალა, მაგრამ ქალის ნატიფმა ხელმა გასწია ვაჟის ხელი, თუმცა ამავე დროს ისე შეუმჩნევლად მოუჭირა, რომ არავის არავითარი ეჭვის აღება არ შეეძლო.

ბაირონი, დონ ჟუანი.

ბოლოს ჟიულიენი ვერიერშიც უნდა გამოჩენილიყო. მღვდლის ბინიდან გამოსვლისთანავე ბედნიერი შემთხვევის წყალობით ჟიულიენი ბ. ვალნოს შეხდა და მაშინვე უამბო, ჯამაგირი მომიმატესო.

ვერჟიში დაბრუნების შემდეგ ჟიულიენი ბაღში არ ჩაუსლა, სანამ კარგად არ დაღამდა. მისი სული დაქანცული იყო იმ მრავალი ძლიერი განცდით, რომელიც აღელვებდა მთელი დღის განმავლობაში. «რა უნდა ვუთხრა მათ?» _ შეშფოთებული ფიქრობდა ქალებზე. მას ვერ დაენახა, რომ მისი სული სწორედ იმ წვრილმანი მოვლენების დონეზე იდგა, რომელთაც, ჩვეულებრივ, ვერ სცილდება ქალების ინტერესი. ხშირად ჟიულიენი მიუწვდომელი იყო ქალბატონი დერვილისა და თვით მისი მეგობრის გონებისთვის, თავის მხრივ, მასაც მხოლოდ სანახევროდ ესმოდა მათი ნათქვამი. ასეთი იყო ძალისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმ ვნებათა ღელვის სიდიადის გავლენა, რომელიც ამ პატივმოყვარე ჭაბუკის სულს აღვივებდა. ამ უცნაურ არსებაში თითქმის ყოველდღე ქარიშხალი მძვინვარებდა.

როცა ჟიულიენი საღამოს ბაღში შევიდა, სურდა ამ ლამაზი ბიძაშვილების საუბრით გართულიყო. ქალები მოუთმენლად ელოდნენ. ვაჟმა თავისი ჩვეულებრივი ადგილი დაიკავა ქალბატონი დე რენალის გვერდით. ჩქარა არემარე წყვდიადმა მოიცვა. ვაჟს უნდოდა ხელი მოეჭირა თეთრი ხელისთვის, რომელიც კარგა ხანია მის მახლობლად ესვენა სკამის ზურგზე. ქალი ოდნავ შეყოყმანდა, შემდეგ ვაჟს ხელი წაართვა ისეთი მოძრაობით, რომელშიც აშკარად გაჯავრება ჩანდა. ჟიულიენი მზად იყო მხიარულად განეგრძო საუბარი, როცა ბ. დე რენალის ნაბიჯის ხმა მოესმა. ჯერ კიდევ თითქო ყურებში ედგა დილით მოსმენილი ტლანქი სიტყვები. «განა ამ ბედით განებივრებული არსების სასაცილოდ აგდება არ იქნება, თუ მისი ცოლის ხელს სწორედ მისი აქ ყოფნის დროს დავეუფლე? _ გაიფიქრა მან: _ ჰო, ამას ვიზამ მე, ვის მიმართაც მან ამდენი ზიზღი გამოააშკარავა».

ამ წუთიდან სრულიად დაკარგა სულის სიმშვიდე, რომელიც ისედაც ნაკლებ ეთვისებოდა მის ბუნებას; სურვილი ქენჯნიდა, რომ ქალბატონ დე რენალს აღარ წაერთმია თავისი ხელი, მეტზე აღარაფერზე შეეძლო ფიქრი.

ბ. დე რენალი გულმოსული ლაპარაკობდა პოლიტიკაზე: ვერიერის ორი თუ სამი მრეწველი უცილობლად მასზე უფრო მდიდარი გამხდარიყო და შეჯიბრებას უპირებდა არჩევნებში. ქალბატონი დერვილი ყურს უგდებდა. ჟიულიენი გაღიზიანებული იყო მისი

სიტყვებით. მან თავისი სკამი ქალბატონ დე რენალის სკამს მიუახლოვა. წყვდიადი ფარავდა ყოველ მოძრაობას. ჟიულიენმა გაბედა თავისი ხელი სულ ახლო დაედო მშვენიერ ხელთან, რომელიც თითქმის სრულიად გატიტვლებული იყო. ვაჟი შეშფოთებული, გონებაგაფანტული ჩანდა. მან ლოყა მიუახლოვა ამ საუცხოო მკლავს და გაბედა ტუჩებით დაწაფებოდა.

ქალბატონი დე რენალი შეკრთა. ქმარი ოთხი ნაბიჯის მანძილზე იყო. ქალმა საჩქაროდ ხელიც დაანება ჟიულიენს და ოდნავ კიდეც ბიძგი ჰკრა მას. იმ დროს, როცა ბ. დე რენალი უქნარა ადამიანების და გამდიდრებული იაკობინელების გინებას განაგრძნობდა, ჟიულიენი დანებებულ ქალის ხელს ფარავდა ვნებიანი კოცნით: ყოველ შემთხვევაში, ეს კოცნა მეტისმეტად ვნებიანად ეჩვენებოდა ქალბატონ დე რენალს. ამავე საბედისწერო დღეს კი საბრალო ქალს თითქო ხელთ ეჭირა საბუთი, რომ ამ ვაჟს, რომელსაც იგი აღმერთებდა ისე, რომ თავსაც კი არ უტყდებოდა, სხვა უყვარდა! ჟიულიენის აქ არყოფნის დროს ქალი თავს მეტისმეტად უბედურად გრძნობდა. ამ გარემოებამ იგი, ცოტა არ იყოს, ჩააფიქრა.

«როგორ! ნუთუ შეყვარებული ვარ? _ ფიქრობდა იგი: _ მე ხომ ქმრიანი ქალი ვარ. მაგრამ არასოდეს ჩემი ქმრის მიმართ ის სიგიჟე არ განმიცდია, რომლის წყალობით ჩემი აზრები ჟიულიენის გარშემო ტრიალებს. არსებითად იგი ბავშვია და პატივისცემით მეპყრობა. ეს სიგიჟე გაივლის. რა მნიშვნელობა აქვს ჩემი ქმრისათვის იმ გრძნობებს, რომელიც ამ ახალგაზრდა კაცისადმი შეიძლება მქონდეს? ბ. დე რენალს მოსაწყენად ეჩვენებოდა ის საუბარი, რომელიც ჟიულიენთან გამიბამს ხოლმე. ჩემი ქმარი თავის საქმეებზე ფიქრობს. მას ხომ არაფერს ვართმევ, რათა ჟიულიენს მივცე».

არავითარი ფარისევლობა არ ამღვრევდა ამ ანკარა გულუბრყვილო სულს, რომელიც გზას იყო აცდენილი ვნებით, ვნება კი მას არასოდეს განუცდია. მოტყუებული იყო, მაგრამ არ იცოდა, მხოლოდ მისი სათნოების ინსტინქტი იყო შეშფოთებული. ასეთი იყო ის ბრძოლა, რომელიც მას აღელვებდა, როცა ჟიულიენი გამოჩნდა ბაღში და მისი ხმა გაიგონა. თითქმის იმ წუთშივე ვაჟი მის გვერდით დაჯდა. ქალის სული თითქო იმ დამათრობელმა ბედნიერებამ გაიტაცა, რომელიც ამ ორი კვირის განმავლობაში უფრო აკვირვებდა, ვიდრე ხიბლავდა. ქალისთვის ყოველივე მოულოდნელი იყო. მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ გაიფიქრა: «ნუთუ საკმაოა ჟიულიენის მოახლოება, რომ ყველა მისი შეცოდება წაიშალოს!» ქალი შეშინდა; ამ წუთში იყო, რომ ვაჟს ხელი წაართვა.

ვნებით აღსავსე კოცნამ, რომლის მსგავსი ამ ქალს არასოდეს მიუღია, უცებ დაავიწყა წინანდელი ეჭვი, ჟიულიენს შეიძლება სხვა ვინმე უყვარდესო. ვაჟი დამნაშავე აღარ იყო მის თვალში. მწვავე ტკივილი, რომელიც იჭვიანობით იყო წარმოშობილი, გაქრა, მისი ადგილი დაიჭირა ბედნიერების შეგრძნებამ, სიყვარულის თრთოლვამ, გიჟურმა სიხარულმა, რომლის მსგასვი ამ ქალს ოცნებაშიც კი არასოდეს არაფერი წარმოუდგენია. ეს საღამო საუცხოოდ ეჩვენა ყველას, გარდა ვერიერის მერისა, რომელსაც ვერ დაევიწყა თავისი გამდიდრებული მრეწველები. ჟიულიენი აღარ ფიქროდა არც თავის პირქუშ პატივმოყვარეობაზე, არც თავის ძნელად შესასრულებელ გეგმებზე. პირველად თავის სიცოცხლეში იგი გატაცებული იყო სილამაზის ძლიერებით. ჩაძირული იყო ბუნდოვან და ტკბილ ოცნებაში, რაც ესოდენ უცხო იყო მისი ხასიათისათვის. იგი ნაზად ხელს უჭერდა ქალის ხელს, რომელიც მას მოსწონდა როგორც სრულქმნილი მშვენიერების განხორციელება. ბურანში ესმოდა, როგორ აშრიალებდა ცაცხვის ფოთლებს ღამის ნელი სიო და ძაღლების შორეული ყეფა, დუს წისქვილის მხრიდან რომ მოისმოდა.

მაგრამ ეს სიამოვნების გრძნობა იყო და არა ვნებათა ღელვა; როცა ჟიულიენი თავის ოთახში შევიდა, მხოლოდ ერთ ბედნიერებაზე ფიქრობდა, ხელში აეღო თავისი საყვარელი წიგნი; ოცი წლის ასაკში ყოველივეს სჭარბობს სამყაროს იდეა და ქვეყნად გავლენის მოხდენის სურვილი.

მაგრამ მალე გადადო თავისი წიგნი. ნაპოლეონის გამარჯვებებზე იმდენს ფიქრობდა, რომ ახალი რამ თავის გამარჯვებაშიც დაინახა. «დიახ, ბრძოლა მოვიგე, _ ფიქრობდა იგი: _ ამით უნდა ვისარგებლო კიდეც: უნდა შევმუსროთ ამ ამპარტავანი აზნაურის გულზვიადობა, სანამ იგი უკან იხევს. ეს ნამდვილი ნაპოლეონობაა. სამი დღის შვებულება უნდა მოვთხოვო, რათა ჩემი მეგობარი ფუკე ვინახულო. თუ უარი მითხრა, ხელახლა ვაჭრობას დავუწყებ, მაგრამ, ალბათ, დამითმობს».

ქალბატონ რენალს თვალი არ დაუხუჭავს, ეგონა, ამ წუთამდე არც კი მიცხოვრიაო. თავი ვერ გაეთავისუფლებინა ბედნიერების გრძნობიდან, რაიცა ჟიულიენმა მიანიჭა, როცა ხელს მხურვალე კოცნით უფარავდა. უცებ თვალწინ საშინელი სიტყვა წარმოუდგა: მრუშობა. მისმა ფანტაზიამ ცოცხლად დახატა ყოველივე სისაძაგლე, რასაც უმდაბლესი გარყვნილება აჭდობს გრძნეულ სიყვარულს. ეს ჩვენებანი ცდილობდნენ დაებნელებინათ ის ნაზი და ღვთაებრივი, რომელიც მან შექმნა ჟიულიენის სახით, და მოეწამლათ მისი სიყვარულის ბედნიერება. მომავალი ქალს საშინელი ფერადებით წარმოუდგა. იგი ხედავდა, როგორ შეიძულა ყველამ.

ეს წუთი შემზარავი იყო: ქალის სულმა უცნობ ქვეყნებს მიაღწია. წუხელის მოულოდნელი ბედნიერება იგემა; ახლა უცებ შემაძრწუნებელი უბედურების მორევში ჩავარდა. წინათ არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია ასეთ ტანჯვაზე, რომელიც ახლა უმღვრევდა გონებას. ერთ წუთში აზრმა გაუელვა, ქმარს გამოვუტყდები, მეშინია ჟიულიენი არ შემიყვარდეს-მეთქი. ეს შესაძლებლობას მისცემდა მასზე ელაპარაკა. საბედნიეროდ, გაახსენდა თავისი მამიდის დარიგება, რომელიც მან გათხოვების წინა დღით მოისმინა: დიდად სახიფათოა გულახდილობის გამოჩენა ქმრის წინაშე, რომელიც მაინც ბატონია ასე თუ ისეო.

სასოწარკვეთილი ქალი ხელებს იმტვრევდა: ერთიმეორის საწინააღმდეგო და მტანჯველი აზრები მოსდიოდა თავში. ხან იმის ეშინოდა, ვაითუ ჟიულიენს არ ვუყვარვარო, ხან საკუთარი დანაშაული აწვალებდა, თითქო მეორე დღეს სამარცხვინო ბოძზე უპირებდნენ გაკვრას ვერიერის საჯარო მოედანზე, სადაც წარწერა ბრბოს მის მეძაობას აუწყებდა.

ქალბატონ დე რენალს არავითარი გამოცდილება არ ჰქონია ცხოვრებაში: როცა ცოტათი მოეშვებოდა მეძაობაზე ფიქრი და მთელი ის შერცხვენა, რაც მისი შეხედულებით ამ დანაშაულს მოსდევდა. და როცა ოცნებობდა, წინანდებურად უმანკოდ ვიცხოვრებ ჟიულიენთანო, გულს უღრღნიდა შემზარავი აზრი, ჟიულიენს, ალბათ, სხვა ქალი უყვარსო. მას თვალწინ წარმოუდგა ვაჟის გაფითრებული სახე, როცა შეეშინდა თავისი სატრფოს სურათი არ დაკარგოდა ან უნებურად არ გამოეჩინა და მისთვის სახელი არ გაეტეხა. მაშინ პირველად შეამჩნია შიში ამ სახეზე, რომელიც ასეთი მშვიდი და კეთილშობილი იყო ჩვეულებრივ. არასოდეს ჟიულიენს ასეთი მღელვარება არ გამოუჩენია მისი ან ბავშვების გულისთვის. ამ ახალმა მწუხარებამ იმ საზღვრამდე მიიყვანა მისი უბედურება, რის იქითაც იგი აუტანელი ხდება ადამიანის ძალ-ღონისათვის. ძალაუნებურად ყვირილი აღმოხდა, რამაც მისი მსახური ქალი გამოაღვიძა. მისი ლოგინი სანთლის შუქმა გაანათა და მან ელიზა იცნო.

_ მას თქვენ უყვარხართ? _ წამოიძახა გონებადაკარგულმა ქალბატონმა დე რენალმა. მსახური ქალი გააკვირვა თავისი ქალბატონის არაჩვეულებრივმა აღელვებამ, მაგრამ, საბედნიეროდ, ყურადღება არ მიაქცია მის ახირებულ სიტყვებს. ქალბატონმა დე რენალმა იგრძნო თავისი გაუფრთხილებლობა: _ ციებ-ცხელება მაქვს, _ თქვა მან, _ მგონია, ვბოდავ კიდეც; აქ დარჩით, _ თავის შეკავება რომ მართებდა, ამან გამოაფხიზლა. იგრძნო, არც ისე უბედური ვყოფილვარო; გონებამ უკან დაიბრუნა ის რაც თვლემაში ჰქონდა დაკარგული.

რათა თავისი მსახური ქალის ჩაშტერებული ცქერისაგან განთავისუფლებულიყო, უბრძანა _ გაზეთი წამიკითხეო; და აი, გაზეთის გრძელი წერილის მონოტონურად კითხვის დროს ქალბატონმა დე რენალმა სათნო გადაწყვეტილება მიიღო, სრულიად გულგრილად მოვეპყრობი ჟიულიენს, როცა შევხვდებიო.

XII

მოგზაურობა

მოხდენილი ადამიანი პარიზში
გვხვდება, პროვინციაში კი ძლიერი
ხასიათის პატრონები სჭარბობენ.

სიესი

მეორე დღეს, დილის ხუთი საათიდან, სანამ ქალბატონი დე რენალი გამოჩნდებოდა, ჟიულიენმა მისი ქმრისაგან სამი დღის შვებულება მიიღო. მოულოდნელად ჟიულიენს ქალის ნახვა მოუნდა, იგი ოცნებობდა მის მშვენიერ ხელზე. ბაღში ჩავიდა; ქალბატონი დე რენალი არსად ჩანდა. მაგრამ ჟიულიენს რომ იგი მართლაც ჰყვარებოდა, მას მინაზე შუბლმიყრდნობილს დაინახავდა პირველი სართულის ნახევრად დახურული დარაბების უკან. ქალი ვაჟს უცქეროდა. ბოლოს, თავისი პირვანდელი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ქალი ბაღში ჩავიდა. ჩვეულებრივად ფერმკრთალი სახე შეწითლებოდა, ეტყობოდა, რომ ეს გულუბრყვილო ქალი აღელვებული იყო: ერთგვარი უხერხულობის და გულისწყრომის გრძნობას შეეცვალა შეუშფოთებელი სინათლის და ცხოვრების მდაბალ ინტერესებზე მაღლა დგომის გამომეტყველება, რომელიც იმდენ მომხიბლაობას აძლევდა ამ მშვენიერ სახეს.

ჟიულიენი ქალს ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა; აღტაცებული უცქეროდა მის სანდომიან მკლავებს, რომლებიც კარგად მოჩანდა ნაუცბადევად წამოსხმულ შალს ქვეშ. დილის გრილი ნიავი თითქოს კიდევ უფრო აძლიერებდა მისი სახის კანის ბრწყინვალებას. ეს კანი ღამით განცდილ მღელვარებას უფრო მგრძნობიარე გაეხადა ყოველგვარი შთაბეჭდილების მისაღებად. ეს მორცხვი და გრძნობის ამშლელი სილამაზე ამასთანავე ისეთი აზრიანი იყო, რომ მის მსგავსს ვერ იპოვით დაბალ კლასებში. იგი ჟიულიენს თითქო სულის ისეთ ნიჭს უმჟღავნებდა, რომელიც მას არასოდეს შეუმჩნევია.

ვაჟი მეგობრულ შეხვედრას ელოდა, ამიტომ უფრო გააკვირვა ყინულივით ცივმა მოპყრობამ, რომელშიც იგრძნო განზრახვა, მისთვის შესაფერი ადგილი ეჩვენებინათ.

სიამოვნების ღიმილი ტუჩებზე შეაშრა: მოაგონდა, რა საფეხურზე იდგა საზოგადოებაში, განსაკუთრებით, კეთილშობილი და მდიდარი მემკვიდრე ქალის თვალში. ერთ წუთში მისი სახიდან ყოველივე გაქრა, გარდა ქედმაღლობისა და მრისხანებისა. გული მოსდიოდა თავის თავზე, თუნდ ერთი საათით რად დავაგვიანე გამგზავრება, რათა ასეთი დამამცირებელი შეხვედრა მიმეღო.

«ნუთუ მუდამ ბავშვი დავრჩები?» _ ფიქრობდა იგი, _ როდის შევითვისებ სასიქადულო ჩვეულებებს, ჩემი სულიდან იმდენი ვუწილადო ამ ადამიანებს, რამდენიც მათი ფულისთვის ერგებათ? თუ მინდა, რომ პატივცემული ვიყო, როგორც მათგან, ისე ჩემი საკუთარი თავისაგან, უნდა ვაჩვენო, რომ მათ სიმდიდრესთან ურთიერთობის დაჭერას მხოლოდ ჩემი სიღარიბე მაიძულებს, ჩემი გული კი ათასი ლიეთია დაშორებული მათ თავხედობას და იმდენად მაღალ სფეროში ტრიალებს, რომ იქ მათი გულზვიადობის ან კეთილგანწყობილების ნიშნები ვერ მიაღწევს». იმ დროს, როცა ახალგაზრდა აღმზრდელის სულში ეს გრძნობები ირეოდა, მისმა მოძრავმა სახემ შეურაცხყოფილი სიამაყის და მრისხანების გამომეტყველება მიიღო. ქალბატონი დე რენალი დიდად შეაშფოთა ამ გარემოებამ. სათნოებით აღსავსე გულგრილობამ, რომელიც მას სურდა შეხვედრის დროს გამოეხატა, ადგილი დაუთმო ინტერესის გამოხატულებას, გაკვირვებას იმ ცვლილების გამო, რომელსაც ქალი ამჩნევდა. ორივეს ერთსა და იმავე დროს ენაზე შეაშრა უმნიშვნელო სიტყვები, რომლითაც ადამიანები დილით ერთმანეთს მიმართავენ ხოლმე. რადგან ჟიულიენის გონება არავითარი ვნებით არ იყო ამღვრეული, მან ქალბატონ დე რენალს ჩქარა აგრძნობინა, ჩვენი ურთიერთობა სრულიადაც მეგობრულად არ მიმაჩნიაო; არ გაუმხილა, გამგზავრებას რომ აპირებდა, გამოესალმა და გზას გაუდგა.

ქალმა თვალი გააყოლა: იგი განადგურებული იყო იმ პირქუში და ზვიადი გამომეტყველებით, რომელიც ამ გამოხედვაში ამოიკითხა, გუშინ ესოდენ ალერსიანი რომ ჩანდა. ამ დროს უფროსმა ვაჟმა მოირბინა, დედას აკოცა და უთხრა:

_ ჩვენ დათხოვნილები ვართ, ჟიულიენი სადღაც გაემგზავრა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ქალბატონ დე რენალს ტანში მომაკვდინებელმა ცივმა ჟრუანტელმა დაუარა; იგი უბედური იყო თავისი სათნოებისა და კიდევ უფრო უბედური თავისი სისუსტის გამო.

იგი იძულებული იყო საუზმისთვის გამოსულიყო. საუბედუროდ, ბ. დე რენალი და ქალბატონი დერვილი არაფერზე ლაპარაკობდნენ გარდა ჟიულიენის გამგზავრებისა. ვერიერის მერს შეემჩნია, რომ ახალგაზრდა კაცს რაღაც თავხედური ტონი ჰქონდა, როცა შვებულება ითხოვა.

_ ამ ახალგაზრდა გლეხს ჯიბეში, ალბათ, ვისიმე წინადადება უძევს, მაგრამ ეს ვინმე, თუნდაც იგი ბ. ვალნო იყოს, ცოტა არ იყოს შეშფოთდება ექვსასი ფრანკის წინაშე, რომელსაც ახლა მისი წლიური გასამრჯელო აღწევს. გუშინ ვერიერში, ალბათ, სამი დღის ვადა სთხოვეს მოსაფიქრებლად, ხოლო დღეს ეს პატარა ვაჟბატონი მთაში გაემგზავრა, რათა იძულებული არ გახდეს პასუხი მომცეს. აი, სადამდე დავეცით: ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ უღირს, თავხედ მუშას!

თავისუფლად ტირილი რომ შეძლებოდა და პასუხის გაცემა არ დასჭირებოდა ქალბატონ დერვილისთვის, ქალმა საშინელი თავის ტკივილი მომიზეზა და ლოგინში ჩაწვა.

_ აი, როგორი არიან ქალები, ყოველთვის რაღაც მოშლილია ამ რთულ მანქანებში. _ თქვა ბ. დე რენალმა და დამცინავი ღიმილით გავიდა.

იმ დროს, როცა ქალბატონ დე რენალს უსაშინელესი ვნებათა ღელვა ტანჯავდა, რომელშიც იგი ანაზდეულად ჩავარდა, ჟიულიენი მხიარულად განაგრძობდა გზას და უმშვენიერესი მთების ცქერით ტკბებოდა. უნდოდა გადაესერა დიდი მთაგრეხილი ვერჟის ჩრდილოეთით. ბილიკი, რომელსაც იგი მიჰყვებოდა, ზევით და ზევით მიდის დიდ წიფლნარში და დაუსრულებლად იკლაკნება იმ მაღალი მთების ფერდობზე, რომელიც ჩრდილოეთით აკრავს დუს ველს. ჩქარა მოგზაურის თვალი გადასწვდა ნაკლებ ამაღლებულ გორაკებს, რომელნიც დუს მდინარებას წინ ეღობებიან სახმრეთის მხრიდან, და მის წინაშე ბურგუნდიის და ბოჟოლეს ნაყოფიერი მინდვრები გაიშალა. თუმცა პატივმოყვარე ჭაბუკის სული უგრძნობელი იყო ამგვარი სილამაზისადმი, მაგრამ დროდადრო მაინც ჩერდებოდა, რათა ამ უსაზღვრო და დიდებული სანახაობით დამტკბარიყო.

ბოლოს დიდი მთის მწვერვალს მიაღწია, რომლის ძირში უნდა გაევლო, რათა იმ განმარტოებულ ველზე გადასულიყო, სადაც მისი მეგობარი, ხე-ტყის ახალგაზრდა ვაჭარი ფუკე ცხოვრობდა. ჟიულიენს არ ეჩქარებდოა არც მისი, არც სხვა ვინმეს დანახვა. იგი ონავარ ფრინველივით იყო დამალული ამ სალ კლდეებს შორის, რომელნიც გვირგვინივით თავს ადგანან მთაგრეხილს, და კარგა შორი მანძილიდან შეეძლო დაენახა

ადამიანის მიახლოება. უცებ პატარა გამოქვაბული აღმოაჩინა ერთი ციცაბო კლდის ნაპრალში და შიგ შეძვრა.

«აქ, _ გაიფიქრა სიხარულით თვალებგაბრწყინებულმა, _ ადამიანები ვერავითარ ზიანს ვერ მომაყენებენ». სურვილი დაებადა დაეწერა თავისი აზრები, რაც სხვაგან ყოველთვის სახიფათო იყო მისთვის. საწერი მაგიდის მაგივრობას ოთხკუთხედი ლოდი უწევდა. კალამი ფრთაშესხმულივით მიფრინავდა: ყმაწვილი ვერაფერს ხედავდა თავის გარშემო. ბოლოს შეამჩნია, რომ მზე ეშვებოდა ბოჟოლეს შორეული მთების უკან.

«მოდი, ღამით აქ დავრჩები, _ გაიფიქრა მან: _ პური მაქვს და თავისუფალიც ვარ!» თავი ხელებზე დააყრდნო და იფიქრა, არასოდეს ასეთი ბედნიერი არ ვყოფილვარ ჩემს ცხოვრებაშიო: იგი წასული იყო ოცნებაში ბედნიერებასა და თავისუფლებაზე. არც კი შეუმჩნევია, როგორ ჩაქრა უკანასკნელი ციაგი და დაღამდა. ამ უსაზღვრო წყვდიადში მისი სული უგზო-უკვლოდ მიმოდიოდა და იმ სახეებს ხედავდა, რომელნიც მას ელოდნენ პარიზში. ეს, უწინარეს ყოვლისა, ქალი იყო, ბევრად უფრო მშვენიერი და ბევრად უფრო ამაღლებული გონებით დაჯილდოებული, ვიდრე პროვინციელი ქალები იყვნენ. მას ვიღაც ვნებიანად უყვარდა და თანაგრძნობასაც პოულობდა. თუ ამ ქალს რამდენიმე წუთით შორდებოდა, მხოლოდ იმისთვის, რომ დიდებული სახელი მოეპოვებინა და კიდევ უფრო დიდი სიყვარულის ღირსი გამხდარიყო.

პარიზის საზოგადოების სევდიან სინამდვილეში აღზრდილ ყმაწვილს, თუნდაც მას ჟიულიენის ფანტაზია ჰქონოდა, მისი რომანის ამ ადგილას ცივი ირონია გამოაფხიზლებდა, დიდი ღვაწლის და განდიდების იმედი გაუქრებოდა და ცნობილი დებულება გაახსენდებოდა _ თუ სატრფო მიატოვე, ორჯერ ან სამჯერ გიღალატებს დღეშიო. მაგრამ ეს ახალგაზრდა გლეხი ფიქრობდა, გმირული მოქმედების შესასრულებლად არაფერი მაკლია გარდა ბედნიერი შემთხვევისაო.

ისე დაბნელდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი, ფუკეს ქოხამდე კი კიდევ ორი ლიე იყო გასავლელი. სანამ გამოქვაბულს დატოვებდა, ჟიულიენმა ცეცხლი დაანთო და სულ ერთიანად დაწვა ახლად დაწერილი ქაღალდები.

მისი მეგობარი დიდად გააოცა ჟიულიენის ღამის პირველ საათზე მისვლამ. ფუკე თავისი ანგარიშების წერაში იყო გართული. ეს იყო მაღალი ახალგაზრდა კაცი, საკმაოდ უშნო და ტლანქი. მსხვილი სახის ნაკვთები და გრძელი ცხვირი ჰქონდა, მაგრამ მისი გულკეთილობა ნათლად გამოსჭვიოდა ამ არასასიამოვნო გარეგნობაში.

_ ბ. დე რენალს ხომ არ წაჩხუბებიხარ, ასე მოულოდნელად რომ მესტუმრე?

ჟიულიენმა წინა დღის ამბები მოუთხრო.

_ დარჩი ჩემთან, _ უთხრა ფუკემ, _ მე ვხედავ, შენ გაიცანი ბ. დე რენალი, ბ. ვალნო, პრეფექტის მოადგილე მოჟირონი, მღვდელი შელანი; გაიგე ამ ადამიანების ხასიათის ყველა კუნჭული; კარგად შეგიძლია საჯარო ვაჭრობაში მიიღო მონაწილეობა. არითმეტიკა ჩემზე უკეთ იცი, ჩემს ანგარიშებს აწარმოებ; მე დიდი შემოსვალი მაქვს ვაჭრობაში. მაგრამ საუცხოო საქმეებს ვუშვებ ხელიდან, რადგან არ შემიძლია ყველაფერს გავწვდე, ესეც არ იყოს, მეშინია, თუ ვინმე შევიამხანაგე, თაღლითი არ აღმოჩნდეს. ამ ერთი თვის წინათ ექვსი ათასი ფრანკი მოვაგებინე მიშო დე სენტამანს, რომელიც ექვსი წელიწადია არ მინახავს და შემთხვევით შემხვდა პონტარლიეში. რატომ შენ არ უნდა მოგეგო ეს ექვსი, ან უკიდურეს შემთხვევაში, სამი ათასი ფრანკი? გახდი ჩემი ამხანაგი.

ამ წინადადებამ ცუდ გუნებაზე დააყენა ჟიულიენი; იგი ამსხვრევდა მის გიჟურ ოცნებებს; ვახშამი თვით მეგობრებმა მოამზადეს ჰომეროსის გმირებივით, რადგან ფუკე მარტოდმარტო ცხოვრობდა; ჭამის დროს მან ჟიულიენს უჩვენა თავისი ანგარიშები და დაუმტკიცა, რა სარფიანი იყო ხე-ტყის ვაჭრობა. ფუკე დიდად აფასებდა ჟიულიენის ჭკუასა და ხასიათს.

როცა ბოლოს ჟიულიენი მარტო დარჩა თავის პატარა ფიჭვის ოთახში, გაიფიქრა: «ეს მართალია, მე შემიძლია აქ რამდენიმე ათასი ფრანკი მოვიგო და შემდეგ მხედრის ან მღვდელის ხელობა ავირჩიო იმ მოდის მიხედვით, რომელიც მაშინ გაბატონებული იქნება საფრანგეთში. ორიოდე გროში, რომელსაც დავაგრვეობ, ადვილად გადამალახვინებს პატარა დაბრკოლებებს, მაგრამ ფუკე უარს ამბობს ცოლის შერთვაზე: მეუბნება, მარტოობა ჩემი ბედისწერაა. ცხადია, თუ ისეთ ამხანაგს იყვანს, რომელსაც თანხა არ გააჩნია მის საქმეში ჩასადებად, ალბათ, იმედი აქვს, რომ იგი არასოდეს არ მიატოვებს».

_ ნუთუ მეგობარს მოვატყუებ? _ წამოიძახა ჟიულიენმა გულისტკივილით. მისთვის აუტანელი იყო აზრი, რომ თავაზიანობა არ გამოეჩინა ადამიანის მიმართ, რომელსაც იგი უყვარდა.

მაგრამ უცებ ჟიულიენს სახე გაუბრწყინდა; მან საბუთი აღმოაჩინა უარის სათქმელად. «როგრო, მე სულმდაბლად შვიდი თუ რვა წელიწადი უნდა დავკარგო! ამრიგად ოცდარვა წელიწადს მივაღწევ! ამ ასაკში ბონაპარტს უკვე უდიდესი საქმეები ჰქონდა გაკეთებული! როცა მე უსახელოდ ფულს შევიძენ ხე-ტყის აღებ-მიცემობით და რამდენიმე მეორეხარისხოვანი ვიგინდარის კეთილგანწყობილებას მოვიპოვებ, ვინ არის იმის თავდები, რომ შემრჩება ის ღვთაებრივი ცეცხლი, რომლითაც სახელს იხვეჭენ?»

მეორე დღით ჟიულიენმა სრულიად გულგრილად გამოუცხადა ფუკეს, რომელსაც მოგვარებული ეგონა ამხანაგობის საკითხი, ჩემი სასულიერო მოწოდება ნებას არ მაძლევს პირობა მოგცეო. ფუკე სახტად დარჩა.

_ მაგრამ დაფიქრდი, _ უთხრა მან, _ რომ მე ამხანაგად გიყვან ან, ვთქვათ, ოთხი ათას ფრანკს გაძლევ წელიწადში. შენ მაინც გინდა რენალთან დაბრუნდე, რომელსაც ფეხის მტვრადაც არ მიაჩნიხარ? როცა ორასი ლუიდორი გექნება, ხელს ვინ შეგიშლის სემინარიაში შეხვიდე? მეტსაც გეტყვი: მე ვკისრულობ საუკეთესო მრევლი გიშოვო ამ კუთხეში. მე შეშას ვაწვდი გავლენიან პირებს, ისინი საუკეთესო მუხაში ხშირად რბილი ჯიშების ფასს მაძლევენ, მაგრამ სხვაფრივ შემიძლია ავინაზღაურო დანაკლისი.

ჟიულიენმა კვლავ თავის მოწოდება მოიმიზეზა. ფუკემ გადაწყვიტა, ცოტა არ იყოს შერყეულიაო. მესამე დღეს გათენებისთანავე ჟიულიენმა დატოვა თავისი მეგობარი, რათა მთელი დღე კლდეებში გაეტარებინა. ხელახლა ინახულა თავისი პატარა გამოქვაბული, მაგრამ სულიერი სიმშვიდე დაკარგვოდა, მეგობრის წინადადებამ მეტად შეაშფოთა. ჰერკულესის მსგავსად იგი გზაჯვარედინზე აღმოჩნდა. მაგრამ არა ბიწიერებასა და სათნოებას შორის, არამედ კეთილდღეობასთან დაკავშირებულ უსახელო ცხოვრებასა და თავისი ახალგაზრდობის გმირულ ოცნებებს შორის. «მაშასადამე, მე არ მქონია ჭეშმარიტი ხასიათის სიმტკიცე, _ ფიქრობდა იგი, და ეს იჭვი ყველაზე მეტად სტანჯავდა, - მე იმ მასალიდან არ ვყოფილვარ აგებული, რომლითაც დიდ ადამიანებს აკეთებენ, რაკი მეშინია, რომ ლუკმა-პურის მოპოვებაში დახარჯული რვა წელიწადი იმ უზენაეს ენერგიას წამართმევს, რომლის შემწეობით დიადი საქმეები კეთდება».

XIII

გამჭვირვალე წინდები

> რომანი სარკეა, რომელშიაც მთელი გზა ისახება.
>
> **სენ რეალი**

როცა ვერჟის ძველი ეკლესიის მხატვრული ნანგრევები გამოჩნდა, ჟიულიენმა შეამჩნია, რომ გუშინწინიდან მას ერთხელაც არ გახსენებია ქალბატონი დე რენალი. «იმ დღეს ამ ქალმა გამახსენა ის დაუსრულებელი მანძილი, რომელიც ჩვენ გვითიშავს, ისე მომეპყრო, როგორც მუშის შვილს; უეჭველია, უნდოდა ეგრძნობინებინა, ვნანობ, რომ წინა

დღით ხელი დაგანებეო... მაგრამ რა ლამაზია ეს ხელი! რამდენი მომხიბლაობა, რამდენი კეთილშობილებაა ამ ქალის გამოხედვაში!»

გამდიდრების შესაძლებლობა, რომელიც ფუკემ დაუსახა, ერთგვარად აადვილებდა ჟიულიენის აზრების მსვლელობას; ამ აზრებს ისე ხშრიად აღარ ამღვრევდა გაღიზიანება და სიღარიბისა და დაბალი წარმოშობის გრძნობა. ჟიულიენი თითქო ამაღლებულ კონცხზე იდგა და თავისუფლად შეეძო განესაჯა სიმდიდრე-სიღარიბე. იგი ჯერ კიდევ ფილოსოფოსის თვალით ვერ უცქეროდა თავის მდგომარეობას, მაგრამ იმდენი შორსმჭვრეტელობა კი ჰქონდა, რომ ეგრძნო, რამდენად შეიცვალა ამ პატარა მოგზაურობის შემდეგ.

ყმაწვილი კაცი გააოცა იმ უკიდურესმა შეშფოთებამ, რომელიც ქალბატონ დე რენალს დაეტყო, როცა მისივე თხოვნით თავისი მოგზაურობის ამბავი მოუთხრო.

ფუკეს არაერთხელ განეზრახა ცოლის შერთვა, რამდენჯერმე დამარცხებულიყო სიყვარულში; მან ბევრი რამ გაანდო თავის მეგობარს. ამ ამბებმა გააკვირვა ჟიულიენი, მან ბევრი რამ გაიგო ახალი. მისი წინანდელი ცხოვრება, რომელიც ოცნებითა და იჭვით იყო აღსავსე, აშორებდა ყოველივეს, რასაც შეეძლო იგი გაენათლებინა.

მისი შვებულების დროს ცხოვრება ქალბატონ დე რენალისთვის აუტანელი წამება გახდა; ეს ქალი მართლაც ავად იყო.

_ უწინარეს ყოვლისა, _ უთხრა მას ქალბატონმა დერვილმა, როცა ჟიულიენი დაინახა, _ რადგან ავად ხარ, დღეს საღამოს ბაღში აღარ ჩახვიდე, ნესტიანი ჰავა გაწყენს.

ქალბატონი დერვილი გაოცებული დარჩა, როცა შეამჩნია, რომ მის მეგობარს, რომელსაც ქმარი ყოველთვის უჯავრდებოდა არაჩვეულებრივად უბრალო ჩაცმა-დახურვისთვის, პარიზიდან გამოწერილი გამჭვირვალე წინდები და საუცხოო პაწია ფეხსაცმელები ჩაეცვა. სამი დღეა ქალბატონი დე რენალი მხოლოდ იმით ირთობდა თავს, რომ ჭრიდა და ელიზას საჩქაროდ აკერინებდა საზაფხულო კაბას; ქსოვილი მეტად ლამაზი, მსუბუქი და მოდაში მიღებული იყო. კაბის შეკერვა ჟიულიენის მოსვლისთანავე დასრულდა: ქალბატონმა დე რენალმა იგი იმ წუთშივე ჩაიცვა. ამ გარემოებამ დაადასტურა მისი მეგობარი ქალის ეჭვები: «ეს უბედური შეყვარებულია», გაიფიქრა ქალბატონმა დერვილმა. გაიგო კიდეც მისი თავისებური ავადმყოფობის ნიშნები.

იგი ხედავდა, როგორ ელაპარაკებოდა მისი მეგობარი ქალი ჟიულიენს, როგორ ფითრდებოდა და წითლდებოდა, როგორი შიში იხატებოდა მის თვალებში, რომელნიც ჩასცქეროდნენ ჟიულიენის თვალებს. ქალბატონი დე რენალი ყოველ წუთში ელოდა, ესაა

მეტყვის, მივდივარო. ჟიულიენი არ ფიქრობდა, კრინტსაც არ ძრავდა ამ საგანზე. საშინელი შინაგანი ბრძოლის შემდეგ ქალბატონმა დე რენალმა ბოლოს გაბედა კითხვა მიეცა მთრთოლვარე ხმით, რომელშიც მთელი მისი ვნებათა ღელვა იხატებოდა:

_ თქვენს შეგირდებს ხომ არ ტოვებთ, სხვაგან ხომ არ ეწყობით?

ჟიულიენი გააოცა ქალის გაუბედავმა ხმამ და შეხედვამ. «ამ ქალს ვუყვარვარ», _ გაიფიქრა მან, _ მაგრამ თუ ამ წუთიერი სისუსტის შემდეგ, რომელიც მწვავეა მისი თავმოყვარეობისთვის იგი გულს დაიმშვიდებს იმით, რომ აღარ მივდივარ, ხელახლა დაუბრუნდება მისი ამპარტავნობა». ამ აზრებმა ჟიულიენს თავში ელვასავით გაურბინა და ყოყმანით უპასუხა:

_ ჩემთვის დიდად სამწუხარო იქნებოდა, ასეთი საყვარელი და კეთილშობილი ბავშვების დატოვება, მაგრამ შეიძლება ეს აუცილებელი გახდეს. ადამიანს თავის თავის მიმართაც აქვს ვალდებულება.

როცა ჟიულიენმა სიტყვა კეთილშობილი წარმოთქვა (ეს იყო ერთ-ერთი არისტოკრატიული სიტყვა, რომელიც მან ცოტა ხნის წინათ შეითვისა), იგი უღრმესი ანტიპათიის გრნობით განიმსჭვალა: «ამ ქალის თვალში მე არა ვარ კეთილშობილი», _ გაიფიქრა მან.

ქალბატონი დე რენალი ყურს უგდებდა ვაჟს და აღტაცებული იყო მისი გენიით, მისი სილამაზით; ვაითუ წავიდესო, ფიქრობდა იგი და ეს აზრი გულს უსერავდა. მისი ვერიერელი მეგობრები, რომელნიც ვერჟიში მოდიოდნენ სასადილოდ ჟიულიენის იქ არყოფნის დროს, თითქო ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ ამ გასოცარი ადამიანის შექებაში, ვისი აღმოჩენაც ბედმა მის ქმარს არგუნა; იმიტომ კი არა, რომ ვინმეს რაიმე გაეგოს მისი ბავშვების სწავლაში წარმატების მხრით. მაგრამ ბიბლიის ზეპირად ცოდნამ, და ისიც ლათინურად, ისეთი აღტაცება გამოიწვია ვერიერის მცხოვრებლებში, რომ იგი შეიძლება მთელი საუკუნე გაგრძელდეს.

ქალი კმაყოფილი იყო თავისი ახალი კაბისა და, რადგან იგი ჟიულიენსაც მოეწონა, ცოტა ხნით ბაღში გავისეირნოთო, შესთავაზა; მაგრამ იმ წუთშივე გამოტყდა, რომ სიარული გაუჭირდა; ხელი ხეში გაუყარა ჟიულიენს. მაგრამ იმის მაგივრად, რომ ძალა შეჰმატებოდა, ამ ხელის შეხებამ სრულაიდ გამოაცალა არაქათი.

უკვე ბნელოდა. ვერც კი მოასწრეს ჩამოჯდომა, რომ ჟიულიენმა თავისი ძველი უპირატესობა გაიხსენა და ტუჩები მიუახლოვა თავისი ლამაზი მეზობლის მკლავს. ამ წუთში იგი ფიქრობდა არა ქალბატონ დე რენალზე, არამედ იმ სითამამეზე, რომელსაც

მისი მეგობარი ფუკე იჩენდა თავისი საყვარლების მიმართ; სიტყვა «კეთილშობილი» ჯერ კიდევ მძიმედ აწვა გულზე. ქალმა ხელი მოუჭირა, მაგრამ ვაჟს არავითარი სიამოვნება არ უგრძნია ამის გამო. იგი არც სიამაყეს განიცდიდა, არც მადლობას იმ გრძნობისათვის, რომელსაც ამ საღამოს ქალი ამღავნებდა დაუფარავად. მის სილამაზეს, მოხდენილობას, სიქორფეს ვაჟი თითქმის გულგრილად უცქეროდა. სულიერი სიფაქიზე, ყოველი გაბოროტებული გრძნობის უქონლობა ხელს უწყობს ახალგაზრდული იერის შენარჩუნებას. ლამაზ ქალებს ყველაზე ადრე სახე უბერდებათ.

ჟიულიენი ცუდ გუნებაზე იყო მთელ საღამოს. მან დაასრულა იმით, რომ თავის შეუმჩნევლად ხელი გაუშვა ქალის ხელს. ქალი შეძრწუნდა, იფიქრა, ჩემი ბედი გადაწყვეტილიაო. ჟიულიენს რომ ცოტაოდენი მგრძნობიარობა გამოეჩინა, შეიძლება მას თავის არსებაში წინააღმდეგობის ძალა აღმოეჩინა. მაგრამ საყვარელი ადამიანის სამუდამოდ დაკარგვის შიშმა თავგზა იმდენად დაუკარგა, რომ თვით მოჰკიდა ხელი ჟიულიენის ხელს, რომელიც მას სკამის ზურგზე ჰქონდა დაყრდნობილი. ამან გამოაფხიზლა პატივმოყვარე ახალგაზრდა: უნდოდა აქ მოწმედ ყოფილიყვნენ ის გულზვიადი არისტოკრატები, რომელნიც კეთილგანწყობილი მფარველების ღიმილით უცქეროდნენ, როცა იგი სუფრის ბოლოში იჯდა ბავშვების გვერდით. «შეუძლებელია ამ ქალს არ ვუყვარდე, _ გაიფიქრა მან: _ და მეც მგრძნობიარობა უნდა გამოვიჩინო, მისი სილამაზისადმი; მე ჩემივე თავის წინაშე ვალდებული ვარ მისი საყვარელი გავხდე».

ამ უეცრად მიღებულმა გადაწყვეტილებამ გაახალისა. იგი ფიქრობდა, ან ეს ქალი უნდა დავიპყრო, ან მისი მეგობარიო. მან შეამჩნია, რომ ამჯობინებდა ქალბატონ დერვილს გააშიკებოდა; იმიტომ კი არ, რომ ეს უკანასკნელი უფრო სანდომიანი ყოფილიყოს, არამედ იმიტომ, რომ ეს ქალი მას ყოველთვის მასწავლებლად იცნობდა, პატივცემულად მისი ცოდნისთვის და არა დურგალ მუშად, რომელიც იღლიაში კურტაკგაჩრილი გამოეცხადა ქალბატონ დე რენალს.

მაგრამ თვით ქალბატონ დე რენალს სწორედ ყველაზე უფრო უყვარდა მისი წარმოდგენა ახალგაზრდა მუშად, რომელიც სახეალეწილი კარიბჭესთან იდგა და ვერ ბედავდა ზარის ჩამორეკვას.

ყმაწვილმა განაგრძო თავისი მდგომარეობის გამორკვევა და დარწმუნდა, რომ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა ქალბატონ დერვილის დაპყრობაზე; ეს უკანასკნელი, ალბათ, ამჩნევდა თავისი მეგობრის სისუსტეს მისადმი. იძულებული გახდა ისევ ქალბატონ დე რენალს დაბრუნებოდა, მაგრამ გაიფიქრა: «რა ვიცი ამ ქალის ხასიათის შესახებ? მხოლოდ

ერთი: ჩემ გამგზავრებამდე მე ვჭიდებდი ხელს, ხოლო მას უკან მიჰქონდა. დღეს ხელი მე მიმაქვს, იგი კი მართმევს და მიჭერს. კარგი შემთხვევა მეძლევა უკან დავუბრუნო ის ზიზღი, რომელიც ალბათ მას ჰქონდა ჩემს მიმართ. ერთმა ღმერთმა იცის, რამდენი საყვარელი ჰყოლია! შეიძლება იმიტომ ამირჩია, რომ ადვილია ჩემთან შეხვედრა».

ასეთია სამწუხაროდ გადაჭარბებული ცივილიზაციის უკუღმართობა. ოცი წლის ჭაბუკი, თუ მას ცოტაოდენი განათლება მიუღია, დიდი მანძილითაა დაშორებული იმ უზრუნველობას, ურომლისოდაც სიყვარული ხშირად მხოლოდ მოსაწყენი ვალდებულებაა.

«მე მით უმეტეს ვალდებული ვარ გავიმარჯვო ამ ქალზე, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ რომ თუ ოდესმე წინ წავიწიე და ვინმემ აღმზრდელის დაბალი როლი გამახსენა, შემიძლია ვანიშნო, სიყვარულმა ჩამაგდო ამ მდგომარეობაში-მეთქი».

ჟიულიენმა ჯერ თავისი ხელი გამოართვა, შემდეგ ხელახლა ხელზე მოუჭირა ქალბატონ დე რენალს. როცა შუაღამისას დარბაზში შედიოდნენ, ქალმა ჰკითხა დაბალი ხმით:

_ ნუთუ მართლა გვტოვებთ, ნუთუ მართლა მიდიხართ?

ჟიულიენმა ამოიოხრა:

_ ჩემი წასვლა საჭიროა იმიტომ, რომ ვნებიანად მიყვარხართ; ეს შეცოდებაა და მერე როგორი შეცოდება ახალგაზრდა მღვდლისთვის!

ქალბატონი დე რენალი ისე ძალდაუტანებლად დაეყრდნო ვაჟის ხელს, რომ ლოყაზე ჟიულიენის ლოყის სითბო იგრძნო.

ამ ორმა ადამიანმა ღამე სულ სხვადასხვაგვარად გაატარა. ქალი ათრთოლებული იყო ამაღლებული ზნეობრივი სიამოვნებით. თუ ახალგაზრდა კეკლუცი ქალიშვილი ადრე იწყებს სიყვარულს, იგი ეჩვევა გრძნობათა მღელვარებას; ხოლო როცა ნამდვილი ვნების ასაკს მიაღწევს, სიახლის მომხიბლაობა აღარ არსებობს მისთვის. რადგან ქალბატონ დე რენალს არასოდეს რომანები არ წაუკითხავს, ბედნიერების ყოველი ელფერი ახალი იყო მისთვის. მას არავითარი სამწუხარო ჭეშმარიტება არ აგრილებდა, თვით მომავლის აჩრდილიც კი არა. ხედავად, რომ ათი წლის შემდეგაც ისევე ბედნიერი იქნებოდა, როგორც ამ წუთში იყო. მას ამაოდ ეჩვენა თვით სათნოება და ქმრისადმი შეფიცული ერთგულება, რაც ასე აწვალებდა რამდენიმე დღის წინათ: ახლა ეს აზრები თავიდან მოიშორა დაუპატიჟებელი სტუმრებივით. «არასოდეს ჟიულიენს არ დავნებდები, _ გაიფიქრა ქალმა:

_ მომავალშიც ისე ვიცხოვრებთ, როგორც ეს ერთი თვეა ვცხოვრობთ. იგი ჩემი მეგობარი იქნება.“

XIV

ინგლისური მაკრატელი

თექვსმეტი წლის ქალს ვარდისფერი ლოყები
ჰქონდა და მაინც წითელ საღებავს იცხებდა.
პოლიდორი

რაც შეეხება ჟიულიენს, ფუკეს წინადადებამ მართლაც ყოველი ბედნიერება წაართვა; მან არ იცოდა რა გადაწყვეტილებას დასდგომოდა.

_ ეჰ, შეიძლება ხასიათის სიმტკიცე მაკლდეს; მე, ალბათ, უხეირო ჯარისკაცი ვიქნებოდი ნაპოლეონის არმიაში. დაე, _ დაუმატა მან, _ პატარა ინტრიგამ დიასახლისთან ცოტათი მაინც გამართოს.

მაგრამ მისდა საბედნიეროდ უნდა ითქვას, რომ მისი სულიერი მდგომარეობა არ შეეფერებოდა მისი სიტყვების ოდნავ ტლანქ კილოს. ქალბატონი დე რენალი მასში შიშს იწვევდა თავისი ლამაზი კაბით. ეს კაბა მის თვალში პარიზის ავანგარდს წარმოადგენდა. ფუკეს აღსარებისა და იმ ცოტა რამის მიხედვით, რაც თავის ბიბლიაში ამოეკითხა სიყვარულის შესახებ, მან მეტისმეტად ფართო გეგმა შეადგინა ბრძოლის საწარმოებლად. და რადგან, თუმცა თავს არ უტყდებოდა, მაგრამ მეტად აღელვებული იყო, მან ქაღალდეზე დაწერა ეს გეგმა.

მეორე დღეს, დილით, დარბაზში ქალბატონი დე რენალი ერთი წუთით მარტოდმარტო აღმოჩნდა მის გვერდით.

_ თქვენ სხვა სახელი არა გაქვთ, გარდა ჟიულიენისა? _ ჰკითხა ქალმა.

ჩვენმა გმირმა არ იცოდა, რა ეპასუხა ამ კითხვაზე, რომელიც მის თავმოყვარეობას ესალბუნებოდა. ეს გარემოება გათვალისწინებული არ იყო მის გეგმაში. უგუნურება რომ არ გამოეჩინა და წინასწარ გეგმა არ შეედგინა, ჟიულიენს მისი ცოცხალი ჭკუა დახმარებას გაუწევდა, ხოლო მოულოდნელობა მხოლოდ გაამძაფრებდა მის გონებამახვილობას.

იგი მოუხერხებელი იყო და კიდევ უფრო აზვიადებდა თავის მოუხერხებლობას. ქალბატონმა დე რენალმა ესეც მალე აპატია. ქალმა ამ ნაკლში მომხიბლავი გულწრფელობის გამოხატულება აღმოაჩინა. მის თვალში კი სწორედ გულწრფელობა აკლდა ამ ადამიანს, რომელშიც ყველანი ამდენ ნიჭს ხედავდნენ.

_ შენი ახალგაზრდა მასწავლებელი ჩემში დიდ უნდობლობას იწვევს, _ ეუბნებოდა მას ხანდახან ქალბატონი დერვილი. _ ისეთი სახე აქვს, თითქო მუდამ ფიქრობდეს და მხოლოდ პოლიტიკის კარნახით მოქმედებდეს. დიდი ქვეშქვეშა ვინმეა.

ამ დილით ჟიულიენი თავს დიდად დამცირებულად გრძნობდა, რაკი პასუხი ვერ გასცა ქალბატონ დე რენალს.

«ისეთმა ადამიანმა, როგორიც მე ვარ, უნდა გამოასწოროს ეს მარცხი!» _ და მან იხელთა ის წუთი, როცა ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდნენ და თავის ვალდებულებად ჩათვალა ეკოცნა ქალბატონ დე რენალისთვის.

ძნელი იყო ისეთი რამის წარმოდგენა, რაც უფრო მოულოდნელი, უფრო არასასიამოვნო და აგრეთვე უფრო სახიფათო ყოფილიყოს როგორც ქალისა, ისე თვით მისთვის. კინაღამ სხვებმა დაინახეს. ქალს ეგონა, ჭკუაზე შესცდაო; იგი შეშინებული და შეურაცხყოფილი იყო. ამ უგუნურებამ ვალნო გაახსენა.

ეს დღე მოსაწყენი აღმოჩნდა ჟიულიენისათვის; იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორ შეესრულებინა თავისი გეგმა ქალბატონ დე რენალის შეცდენისა, მაგრამ ხელმარცხად მოქმედებდა. ქალისთვის ერთხელაც არ შეუხედავს ისე, რომ თვალებით კითხვა არ მიეცეს მისთვის; მაგრამ იმდენად ჭკვიანი იყო, რომ კარგად ხედავდა, ვერც თავაზიანობას ვიჩენ და ვერც მაცდურის როლში ვარგივარო.

ქალს უკვირდა, რომ იგი ასეთი მოუხერხებელი და ამავე დროს ასეთი გაბედული იყო. «ასეთია მოკრძლებული სიყვარული ნიჭიერ ადამიანში, _ გაიფიქრა მან გამოუთქმელი სიხარულით, _ ნუთუ შეიძლება, რომ იგი არასოდეს არ ჰყვარებოდეს რომელიმე ჩემს მეტოქეს?»

საუზმის შემდეგ ქალბატონი დე რენალი სასტუმრო დარბაზში შევიდა, რათა პრეფექტის თანაშემწე შარკო დე მოჟირონი მიეღო. იგი რაღაცას ქარგავდა მაღალ ქარგაზე. მის გვერდით ქალბატონი დერვილი იჯდა. დღის სინათლის მიუხედავად, ჩვენმა გმირმა მოხერხებულად სცნო ფეხი შეეწია და ლამაზ ფეხზე დაეჭირა ქალბატონ დე რენალისთვის, რომლის გამჭვირვალე წინდები და მოხდენილი პარიზული ფეხსაცმელი უეჭველად იპყრობდა მოაშიკე პრეფექტის თვალს.

ქალბატონი დე რენალი მეტისმეტად შეშინდა; მან ხელიდან გაუშვა მაკრატელი, ძაფის შულო, ნემსები, რათა ჟიულიენის მოძრაობა დამსგავსებოდა უხერხულ ცდას, რომლითაც მას თითქო მაკრატლის ძირს დავარდნა უნდა შეეჩერებინა. საბედნიეროდ, ეს ინგლისური პატარა მაკრატელი გატყდა, და ქალბატონი დე რენალი შეწუხდა იმის გამო, რატომ ჟიულიენი უფრო ახლო არ იჯდა ჩემთანო.

_ თქვენ ჩემზე ადრე შეამჩნიეთ მაკრატლის დაცურება, შეგეძლოთ შეგეჩერებინათ, ახლა კი თქვენი გულმოდგინების წყალობით მხოლოდ ფეხი მატკინეთ.

ყოველივე ამან თვალები აუხვია პრეფექტის თანაშემწეს, მაგრამ არა ქალბატონ დერვილს. «ამ ლამაზ ყმაწვილს საკმაოდ უგუნური მანერები აქვს, _ გაიფიქრა მან, _ პროვინციის დედაქალაქშიც არ აპატიებენ ასეთ შეცდომებს».

ქალბატონმა დე რენალმა დრო იხელთა და წასჩურჩულა ჟიულიენს:

_ ფრთხილად იყავით, მე თქვენ გიბრძანებთ.

ჟიულიენი ხედავდა თავის ხელმარცხობას და ცუდ გუნებაზე იყო. დიდხანს ეთათბირა თავის თავს, უნდა გაჯავრებულიყო თუ არა ამ სიტყვებისთვის: «მე თქვენ გიბრძანებთ». იმდენად გამოუცდელი იყო, რომ ფიქრობდა: «ამ ქალს შეეძო ეთქვა, გიბრძანებო, თუ ლაპარაკი ბავშვების აღზრდაზე ყოფილიყო; მაგრამ რაკი ჩემს სიყვარულს თანაუგრძნობს, იგი გულისხმობს, რომ თანასწორი ვართ. შეუძლებელია სიყვარული თანასწორობის გარეშე». და მთელი მისი გონება იქით იყო მიმართული, რომ ზოგადი ადგილები მოეგონა თანასწორობაზე. იგი გაბოროტებით იმეორებდა კორნელის* ლექსს, რომელიც ქალბატონმა დერვილმა ასწავლა რამდენიმე დღის წინათ: «სიყვარული თანასწორობას ქმნის, მაგრამ არ გულისხმობს მას».

ჟიულიენი დაჟინებით განაგრძობდა დონ ჟუანის როლის თამაშს. და ეს ყმაწვილი, რომელსაც არასოდეს სატრფო არ ჰყოლია, მთელი დღე უგუნურად და სასაცილოდ იქცეოდა. მხოლოდ ერთი სწორი აზრი მოუვიდა: თავის თავსაც მოსწყინდა, ქალბატონი დე რენალიც და შიშით ელოდა დაღამებას, როცა იგი ბაღში უნდა დამჯდარიყო ქალის გვერდით. ბატონ დე რენალს განუცხადა, ვერიერში მივდივარ მღვდლის სანახავადო; ნასდილევს წავიდა და მხოლოდ ღამით დაბრუნდა.

ვერიერში ჟიულიენმა შელანს მიუსწრო, როცა იგი ბინიდან გადადიოდა; ბოლოს მაინც ადგილიდან გადაეყენებინათ. მის მაგივრად მასლონი დაენიშნათ. ჟიულიენი დაეხმარა ამ კეთილ მღვდელს; მან განიზრახა წერილი მიეწერა ფუკესთვის, სასულიერო სამსახურისადმი უძლეველ შინაგან მოწოდებას ვგრძნობდი, ამან დღემდე ხელი შემიშალა

შენი თავაზიანი წინადადება მიმეღო, მაგრამ ამჟამად ისეთი უსამართლობის ნიმუშს ვხედავ, რომ შეიძლება ჩემი სულის სახსნელად უკეთესი იქნეს არ შევიდე წმინდა ორდენშიო.

ჟიულიენს მოეწონა ეს ეშმაკობა, რომლითაც იგი ვერიერის მღვდლის გადაყენებას იყენებდა, რათა თავისთვის ღია კარი დაეტოვებინა და ვაჭრობას დაბრუნებოდა, თუ მის სულში კეთილგონიერება გაიმარჯვებდა გმირული ზრახვების წინააღმდეგ.

XV

მამლის ყივილი

სიყვარულს ლათინურად ჰქვია «ამორ»,
სიყვარულიდან წარმოსდგება სიკვდილი,
ხოლო უწინარეს ყოვლისა, გულის მღრღნელი
კაეშანი, მწუხარება, ტირილი, ხაფანგი,
ვერაგობა, სინდისის ქენჯნა.

სიყვარულის წიგნი

ჟიულიენს რომ ის მოხერხების ნატამალი ჰქონოდა, რომელსაც თავის თავს აწერდა ამაოდ, გახარებული იქნებოდა იმ მოქმედებით, რომელიც მისმა ვერიერში გამგზავრებამ გამოიწვია. მისმა წასვლამ ქალბატონ დე რენალს დაავიწყებინა მისი შეცდომები. დაბრუნების დღესაც კი საკმაოდ ცუდ გუნებაზე იყო; საღამოს თავში საკმაოდ სასაცილო აზრი მოუვიდა და ქალბატონ დე რენალს გაუზიარა გასაოცარი თავხედობით.

ის იყო, ბაღში დასხდნენ, ჯერ კიდევ კარგად არ დაბნელებულიყო, რომ ჟიულიენმა თავი დახარა ქალისკენ და უთხრა:

_ ქალბატონო, ამ ღამით, ორ სათზე თქვენს ოთახში შემოვალ, მოსალაპარაკებელი მაქვს.

ჟიულიენი შიშით ცახცახებდა, მართლა არ შეასრულოს ჩემი თხოვნაო; მაცდურის როლი ისე ემძიმებოდა, რომ თუ შეძლებოდა თავის ბუნებრივ მიდრეკილებას გაჰყოლოდა, ოთახში ჩაიკეტებოდა და რამდენიმე დღე არ შეხვდებოდა ამ ქალებს.

ქალბატონმა დე რენალმა გულწრფელი და გადაუჭარბებელი აღშფოთებით უპასუხა ჟიულიენის კადნიერ წინადადებას. ვაჟმა ზიზღი იგრძნო მის მოკლე პასუხში. უცილობელია, რომ ამ ხმადაბლა წარმოთქმულ პასუხში ერია სიტყვებიც: «რას ჩმახავთ!»

ჟიულიენმა მოიმიზეზა, ბავშვებს უნდა ვუთხრა რაღაცაო, მათ ოთახში შევიდა და უკან დაბრუნებისას ქალბატონი დერვილის გვერდით დაჯდა, ქალბატონ დე რენალისაგან მოშორებით. ამრიგად, მან თავის თავს ყოველი შესაძლებლობა წაართვა მისი ხელი აეღო ხელში. საუბარი სერიოზული ხასიათისა იყო, ჟიულიენი მხურვალე მონაწილეობას იღებდა, მხოლოდ როცა დუმილი ჩამოვარდებოდა, იგი თავის თავს ეკითხებოდა: «ნუთუ არ შეიმძლია მოვიგონო რაიმე ოინი, რათა ქალბატონ დე რენალს ვაიძულო ხელახლა მომეპყრას იმ უეჭველი სინაზით, რომელიც ამ სამი დღის წინათ მოწმობდა, რომ ეს ქალი ჩემი იყო».

ჟიულიენი უკიდრესად თავგზააბნეული იყო იმ სასოწარკვეთილი მდგომარეობით, რომელშიც თავი ჩაიგდო, მაგრამ გამარჯვება მას კიდევ უფრო შეაშფოთებდა.

როცა შუაღამისას ერთმანეთს დაშორდნენ, ჟიულიენი ფიქრობდა, ქალბატონ დერვილს ვეზიზღები და ალბათ, არც ქალბატონი დე რენალია გამსჭვალული უკეთესი გრძნობებით ჩემდამიო. ცუდ გუნებაზე იყო, თავს დამცირებულად გრძნობდა და ვერ დაიძინა. თავს იღლიდა ათასი გონებამახვილი ოინის მოფიქრებით; ერთი წუთის შემდეგ ყველაფერი უაზროდ მიაჩნდა; ერთი სიტყვით, დიდად უბედური იყო, როცა კოშკის საათმა ორჯერ ჩამოჰკრა.

ამ ხმამ გამოაფხიზლა, ისევე როგორც მამლის ყივილმა გამოაფხიზლა პეტრე მოციქული. მან იგრძნო, რომ უმძიმესი წუთი დაუდგა. «ვუთხარი, ორ საათზე მოვალ-მეთქი, _ გაიფიქრა მან და ლოგინიდან წამოდგა: _ შეიძლება გამოუცდელი და გაუთლელი ვიყო, როგორც ეს გლეხის ბიჭს შეეფერება, ქალბატონმა დერვილმაც რამდენჯერმე სიტყვა გადმომიკრა ამის შესახებ, მაგრამ სისუსტეს მაინც არ გამოვიჩენ».

როცა კარი გააღო, საშინლად ცახცახებდა, მუხლები ეკვეთებოდა და იძულებული გახდა კედელს მიყრდნობოდა. ფეხსაცმელი არ ეცვა. ჯერ ბ. დე რენალის კარს მიადო ყური და ნათლად გაარჩია მისი ხვრინვა. ამ გარემოებამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო: მაშასადამე, არავითარი საბაბი არ ჰქონდა, რომ ქალის ოთახში არ შესულიყო. «მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა უნდა გავაკეთო იქ?» მას არავითარი გეგმა არ ჰქონია და თუნდაც ჰქონოდა, იმდენად შეშფოთებული იყო, რომ არ შეეძლო მისი განხორციელება.

ბოლოს ისეთი გულის წუხილით, თითქოს სიკვდილით დასასჯელად მიჰყავდათ, იგი პატარა დერეფანში შევიდა, რომელიც ქალბატონ დე რენალის ოთახისკენ მიდიოდა. კარი ათრთოლებული ხელით შეაღო; ამან დიდი ხმაური გამოიწვია.

ოთახში სინათლე იყო: ბუხარში ღამის სანათური ენთო. ეს ახალი უბედურება მისთვის მოულოდნელი იყო. მის დანახვისთანავე ქალბატონი დე რენალი საწოლიდან წამოვარდა.

_ უბედურო! _ წამოიძახა მან.

ჟიულიენს დაავიწყდა თავისი უქმი გეგმები და თავის ბუნებრივ როლს დაუბრუნდა; გაიფიქრა, თუ ასეთ მომხიბლავ ქალს არ მოვეწონე, უდიდესი უბედურება იქნებაო და იმით გასცა პასუხი ქალის საყვედურებს, რომ მის ფეხებთან დაეცა და მუხლებზე მოეხვია, რადგან ქალი უკიდურესი სიმკაცრით კიცხავდა, და ტირილი დაიწყო.

როცა რამდენიმე საათის შემდეგ ჟიულიენი ქალბატონ დე რენალის ოთახიდან გამოვიდა, შეიძლებოდა რომანების სტილით გვეთქვა, მან თავისი გულის წადილი სავსებით შეისრულაო. მართლაც, სიყვარულის წყალობით, რომელიც ქალს შთააგონა და მოულოდნელი შთაბეჭდილების წყალობით, რომელიც მასზე ქალის მომხიბლავმა სილამაზემ მოახდინა, მან ისეთ გამარჯვებას მიაღწია, რასაც ვერ მიაღწევდა მთელი თავისი ხელმარცხი ოინებით.

მაგრამ უტკბილეს წუთში იგი, როგორც გულზვიადი ადამიანი, ცდილობდა ისეთი მამაკაცის როლი ეთამაშა, რომელიც შეჩვეულია ქალების დამორჩილებას: იგი არაადამიანურ ღონისძიებას ხმარობდა, რათა გაეფუჭებინა ის, რაც ყველაზე მეტად მიმზიდველი იყო მასში; იმის მაგივრად, რომ მოკრძალებით მოპყრობოდა მის მიერვე გამოწვეულ აღტაცებას და სინდისის ქენჯნას, განუწყვეტლივ მოვალეობაზე ფიქრობდა. ეშინოდა არ დაშორებოდა იმ იდეალს, რომელიც თვალწინ ედგა წასაბაძ ნიმუშად. ერთი სიტყვით, სწორედ ის, რაც ჟიულიენს უმაღლეს არსებად ხდიდა, მას ხელს უშლიდა დამტკბარიყო იმ ბედნიერებით, რომელიც კარს მოდგომოდა. იგი ჰგავდა თექვსმეტი წლის ქალს, რომელსაც საუცხოო კანის ფერი აქვს, მაგრამ მაინც უგუნურად წითელ საღებავს იცხებს საცეკვაო საღამოზე წასვლის წინ.

ქალბატონი დე რენალი პირველად შეაძრწუნა ჟიულიენის დანახვამ, შემდეგ მისმა ტირილმა და სასოწარკვეთილებამ იგი შეაშფოთა.

თვით მაშინაც კი, როცა ქალს აღარაფერი დარჩა, რაზეც უარის თქმა შეეძლო ვაჟისთვის, გულზე ხელს ჰკრავდა გულწრფელი გულისწყრომით, რათა შემდეგ ხელახლა გადახვეოდა. ქალს ეგონა, საბოლოდ შეჩვენებული ვარო და ცდილობდა ჯოჯოხეთის ხილვა დაეფარა იმით, რომ ჟიულიენს უნაზესი ალერსით ეპყრობოდა. ერთი სიტყვით, ჩვენი გმირის ბედნიერებას არაფერი აკლდა, არ აკლდა თვით მის მიერ მოტაცებული

ქალის ანთებული მგრძნობიარობაც, მხოლოდ მას უნდა სცოდნოდა ყოველივე ამის გამოყენება. ჟიულიენის წასვლამ არ შეწყვიტა არც ქალის აღტაცებული მღელვარება, არც მისი სინდისის ქენჯნა.

«ღმერთო ჩემო, ნუთუ ესაა ბედნიერება, სიყვარული, და მეტი არაფერი?» ასეთი იყო პირველი აზრი, რომელმაც ჟიულიენს თავში გაუელვა ოთახში შესვლისას. იგი შეპყრობილი იყო გაოცებითა და მოუსვენარი შეშფოთებით, რომელიც სულს მოიცავს, როცა აღწევს იმას, რაც დიდი ხანია სწყუროდა. პარადიდან დაბრუნებული ჯარისკაცივით, ჟიულიენი იგონებდა თავის ყოფაქცევის ყოველ წვრილმანს. «ხომ არაფერი შეცდომა დამიშვია ჩემი თავის წინაშე? ხომ კარგად შევასრულე ჩემი როლი?»

XVI

მეორე დღეს

მან ტუჩები მიუახლოვა ქალს და ხელით
გადასწია მისი გაფანტული კულულები.

ბაირონი, დონ ჟუანი

ჟიულიენის საბედნიეროდ ქალბატონი დე რენალი მეტისმეტად აღელვებული, მეტისმეტად გაოცებული იყო, რათა შეემჩნია იმ ადამიანის უგუნურება, რომელიც ერთ წუთში მისთვის ყველაფრად იქცა დედამიწის ზურგზე.

გათენებისას სთხოვა, წადიო.

_ ოჰ, ღმერთო ჩემო, თუ ჩემმა ქმარმა ხმაურობა გაიგონა, დავიღუპე.

რამდენიმე წინასწარ მომზადებული ფრაზიდან ჟიულიენს შემდეგი გაახსენდა:

_ დაგენანებოდათ თუ არა სიცოცხლე?

_ ეჰ, ამ წუთში ძალიან! მაგრამ არ ვინანებ, რომ თქვენ გაგიცანით.

ჟიულიენმა თავის ღირსების შესაფერად მიიჩნია გათენების შემდეგ გამოსულიყო და ისიც გაუფრთხილებლად. მაგრამ სამაგიეროდ, როცა იგი ქალს საუზმის დროს შეხვდა, მისი ყოფაქცევა სანიმუშო იყო.

მაგრამ ქალს არ შეეძლო მისთვის შეეხედა ისე, რომ არ გაწითლებულიყო; ამავე დროს, თვალი ვერ მოეშორებინა; ჟიულიენმა კი მხოლოდ ერთხელ მიაპყრო თვალები.

თავდაპირველად ქალი აღტაცებული იყო მისი სიფრთხილით; მაგრამ მალე, როცა დაინახა, რომ ვაჟი აღარ აპირებდა შეხედვას, საშინლად შეშფოთდა: «ნუთუ აღარ ვეყვარები, _ გაიფიქრა მან, _ ეჰ, მე ხნიერი ვარ მისთვის; მე ხომ ათი წლით დიდი ვარ მასზე».

სასადილო ოთახიდან ბაღში ჩასვლის დროს მან ხელი მოუჭირა ჟიულიენს. ვაჟი გააოცა ასეთი არაჩვეულებრივი სიყვარულის გამომჟღავნებამ და ვნებიანად შეხედა ქალს; გარდა ამისა, იგი მას ძალიან ლამაზი ეჩვენა საუზმის დროს. თვალები დახარა და თითო-თითოდ გაიხსენა ყოველივე, რაც მომხიბლავი ჰქონდა ამ ქალს. ამ შეხედვამ ანუგეშა ქალბატონი დე რენალი, თუმც არ გაუფანტავს მისი შეშფოთება, მაგრამ ამ შეშფოთებამ თითქმის სავსებით გააბათილა მისი სინდისის ქენჯნა ქმრის მიმართ.

საუზმის დროს ქმარს არაფერი შეუმჩნევია; იგივე არ ითქმის ქალბატონ დერვილზე: მას ეგონა, ეს-ესაა ჩემი მეგობარი წაიქცევაო. რამდენჯერმე მეგობრული გრძნობის კარნახით ნართაული სიტყვებით შემზარავ ფერებში დაუხატა ის საფრთხე, რაც მას ელოდა.

ქალბატონი დე რენალი მწვავე მოუთმენლობით ელოდა ჟიულიენთან მარტოდმარტო დარჩენას: უნდოდა ეკითხა, კიდევ გიყვარვარ თუ არაო. თავისი თვინიერი ხასიათის მიუხედავად რამდენჯერმე კინაღამ აგრძნობინა თავის მეგობარ ქალს, თავი მომაბეზრეო.

საღამოს ბაღში ქალბატონმა დერვილმა საქმე ისე მოაწყო, რომ იგი ქალბატონ დე რენალსა და ჟიულიენს შორის აღმოჩნდა. ქალბატონმა დე რენალმა, რომელიც გამოუთქმელი სიამოვნებით ოცნებობდა ხელი მოეჭირა ჟიულიენისთვის და თავის ტუჩებთან მიეტანა მისი ხელი, ერთი სიტყვის თქმაც კი ვერ მოახერხა მისთვის.

ამ დაბრკოლებამ გააძლიერა მისი მღელვარება. სინანულის გრძნობა ტანჯავდა: წინა ღამით ჟიულიენი ისე გალანძღა გაუფრთხილებლობისთვის, რომ ეშინოდა, შეიძლება ამ ღამით სულ არ მოვიდესო. ბაღიდან ადრე წავიდა და თავის ოთახში შეიკეტა. მაგრამ მოთმინება არ ეყო და გამოვიდა, რათა ყური მიედო ჟიულიენის კარზე. გულის მღრღნელი ეჭვისა და ანთებული ვნების მიუხედავად, მან ვერ გაბედა ვაჟის ოთახში შესვლა. ასეთი ქცევა უკანასკნელ სიმდაბლედ მიაჩნდა, იმიტომ რომ იგი ჩვეულებრივ პროვინციული ჭორიკანობის მასალას წარმოადგენს.

მსახურებს ჯერ კიდევ არ ეძინათ. ბოლოს კეთილგონიერებამ აიძულა თავის ოთახში დაბრუნებულიყო. ორი საათის ლოდინი ორი საუკუნის წამებად იქცა.

მაგრამ ჟიულიენი მეტად ერთგული იყო იმისა, რასაც თავის ვალდებულებას უწოდებდა, რომ ზედმიწევნით არ შეესრულებინა ამ ვალდებულების კარნახი.

როგორც კი პირველმა საათმა დაჰკრა, იგი ფეხაკრეფით გამოვიდა თავისი ოთახიდან, დარწმუნდა, რომ სახლის პატრონს ღრმად ეძინა და ქალბატონ დე რენალთან შევიდა. ამ ღამეს მეტი ბედნიერება იგრძნო თავისი სატრფოს გვერდით, იმიტომ რომ ნაკლებად ფიქრობდა როლის შესრულებაზე. მისი თვალები ღია იყო დასანახავად და მისი ყურები მზად იყო მოსასმენად. ხოლო მას შემდეგ, რაც ქალმა თავისი ხნოვანება გაანდო, თვითრწმენა შეემატა.

_ ეჰ, მე ათი წლით უფროსი ვარ თქვენზე! როგორ შეგიძლიათ ჩემი სიყვარული? _ იმეორებდა ქალი ყოველი განზრახვის გარეშე და მხოლოდ იმიტომ, რომ ეს აზრი ტანჯავდა.

ჟიულიენს არ ესმოდა ეს უბედურება, მაგრამ ხედავდა, იგი რეალური იყო, და სრულიად გაეფანტა შიში, სასაცილოდ არ ვეჩვენო ჩემს სატრფოსო. გაქრა აგრეთვე უგუნური აზრი, რომ მას მეორეხარისხოვან მიჯნურად ჩათვლიდნენ მისი მდაბიო წარმოშობის გამო. საერთოდ, ამჟამად მას თითქმის აღარ ჰქონდა ის ნასესხები ნიღაბი, რომელმაც წუხანდელი პაემანი გამარჯვებად აქცია, მაგრამ არა სიამოვნებად.

ორიოდე დღის შემდეგ ჟიულიენი სავსებით დაემორჩილა თავისი ასაკის შესაფერ გულისთქმას და თავდავიწყებით შეყვარებული იყო.

«უნდა გამოვტყდე, _ ფიქრობდა იგი, _ რომ ამ ქალს ანგელოზივით კეთილი გული აქვს და ულამაზესზე ულამაზესია».

მას თითქმის სრულიად დაავიწყდა როლის შესრულების აზრი. გულახდილობის წუთში ქალს თვით გაუზიარა თავისი ადრინდელი შიში. ამ აღსარებამ კიდევ უფრო გაამძაფრა მის მიერ შთაგონებული ვნებათა ღელვა. «მაშასადამე, მეტოქე არ მყოლია», _ ფიქრობდა ქალბატონი დე რენალი აღტაცებით. ქალმა იმ პორტრეტის ამბის კითხვაც კი გაბედა, რომელიც ასე ძლიერ აინტერესებდა; ჟიულიენმა შეჰფიცა, იგი მამაკაცისა იყოო.

როცა ქალბატონ დე რენალს საკმაო გულგრილობა რჩებოდა მსჯელობისთვის, იგი გაოცებული იყო, თურმე ასეთი ბედნიერება არსებობს, მე კი წინათ არასოდეს განმიცდიაო იგი.

«აჰ, _ ფიქრობდა იგი, _ ნეტავი ჟიულიენი ათი წლის წინათ გამეცნო, როცა ჯერ კიდევ ლამაზად ჩავითვლებოდი!»

ჟიულიენი დიდად დაშორებული იყო ამ აზრებს. მისი სიყვარული ჯერ კიდევ პატივმოყვარეობით იყო აღსავსე; მისთვის, ასეთი უბედური და ათვალწუნებული კაცისთვის დიდი სიხარული იყო ასეთი მშვენიერი ქალის ფლობა. ხოლო როცა ჟიულიენს თავისი პატივმოყვარეობა ავიწყდებოდა, იგი აღტაცებული იყო ქალბატონ დე რენალის ქუდებითა და კაბებით. ვერ გამძღარიყო მათი სურნელებით. აღებდა ქალის მინიან კარადას და მთელი საათობით ტკბებოდა შიგ მოთავსებული ნივთების სილამაზით. მეგობარი ქალი მხარზე ეყრდნობოდა, ხოლო ჟიულიენი ათვალიერებდა ამ სამკაულს, ამ საცვალს, რომელიც ჩალაგებული იყო საქორწილო კალათში.

«შეიძლებოდა ასეთ მამაკაცზე გავთხოვილიყავი! _ ფიქრობდა ხანდახან ქალბატონი დე რენალი: _ რა ანთებული სული აქვს! რა მომხიბლავი იქნებოდა მასთან ერთად ცხოვრება!»

რაც შეეხება ჟიულიენს, იგი არასოდეს ასე ახლო არ მდგარა ქალთა არტილერიის ამ მრისხანე იარაღებთან. «შეუძლებელია, _ ფიქრობდა იგი, _ რომ პარიზში უფრო მშვენიერი ნივთები იყოს!»

იყო წუთები, როცა თავისი ფარისევლობის მიუხედავად, იგი დიდ სიამოვნებას პოულობდა იმაში, რომ ამ მანდილოსანს გულწრფელად უტყდებოდა, ბევრი რამ არ გამეგება ყოფა-ცხოვრების საკითხებშიო. მისი სატრფოს მაღალი მდგომარეობა თითქოს ამაღლებდა თავისივე თავზე. თავის მხრივ, ქალბატონი დე რენალი უდიდეს ზნეობრივ სიტკბოებას პოულობდა, როცა ათას წვრილმანს ასწავლიდა ამ გენიოს ჭაბუკს, რომელსაც ყველანი დიდ მომავალს უქადდნენ. თვით პრეფექტის თანაშემწეს და ბ. ვალნოს თავი ვერ შეეკავებინათ აღტაცებისაგან მის წინაშე; ამიტომ ისინი ქალს ნაკლებ სულელად ეჩვენებოდნენ. რაც შეეხება ქალბატონ დერვილს, იგი ძლიერ დაშორებული იყო იმავე გრძნობების გამომჟღავნებას. მას სასოწარკვეთილებაში აგდებდა ის, რასაც კარგა ხანია მიმხვდარი იყო; ამავე დროს ხედავდა, რომ მისი კეთილგონიერი რჩევა აუტანელი იყო ქალისთვის, რომელმაც სრულიად დაკარგა თავგზა; ამიტომ მოულოდნელად დატოვა ვერჟი და წასვლის მიზეზი არავისთვის გაუმხელია. ქალბატონმა დე რენალმა ორიოდე ცრემლი გადმოაგდო, მაგრამ მალე წარმოიდგინა, ჩემი ბედნიერება გაორკეცდებაო. ახლა მას შეეძლო თითქმის მთელი დღე მარტოდმარტო დარჩენილიყო თავის სატრფოსთან.

XVII

მერის პირველი თანაშემწე

აჰ, როგორ ჰგავს სიყვარულის
გაზაფხული აპრილის ცვალებად დღეს,
რომელსაც ხან მზის ციმციმი აშუქებს, ხან
მოულოდნელად ღრუბლები აბნელებს.

შექსპირი, «ორი ვერონელი»

ერთ საღამოს, მზის ჩასვლისას ვაჟი თავისი სატრფოს გვერდით იჯდა ბაღის მივარდნილ კუთხეში, მიფარებული იყო ცნობისმოყვარე ადამიანების თვალებს და ღრმა ფიქრებში იყო წასული. «მუდმივად გაგრძელდება თუ არა ტკბილი წუთები?» ფიქრობდა იგი. მას გულზე მძიმე ლოდად აწვა ცხოვრების გზის არჩევის სიძნელე; ტანჯავდა იმ უბედურების პირველი შემოტევა, რომელიც ამთავრებს ბავშვობის ასაკს და აფუჭებს ნაკლებ მდიდარი სიჭაბუკის პირველ წლებს.

_ ეჰ, _ წამოიძახა მან, _ ნაპოლეონი თვით ღმერთის მიერ იყო გამოგზავნილი ახალგაზრდა ფრანგებისთვის! ვინ დაიჭერს მის ადგილს? რას იზამენ უმისოდ უბედურები, თუნდაც ჩემზე უფრო მდიდრები. რაც უნდა მოხდეს, ეს საბედისწერო მოგონება მუდამ ხელს შეგვიშლის ბედნიერები ვიყოთ!

მან შეამჩნია, რომ ქალბატონმა დე რენალმა წარბები შეიჭმუხნა და ცივი და ზიზღის გამომხატველი სახე მიიღო: ასეთი აზრები ქალს ლაქიების შესაფერისად მიაჩნდა. რადგან თვითონ სიმდიდრეში იყო გაზრდილი, თავისთავად საგულისხმოდ მიაჩნდა, რომ ჟიულიენიც მდიდარი იყო.

ჟიულიენს კი არ ესმოდა მისი გულის ნადები. იგი ფიქრობდა: «ეს ქალი გულკეთილი და თვინიერია, ამჟამად ძლიერ მოვწონვარ, მაგრამ იგი მტრის ბანაკშია აღზრდილი. იქ ყველაზე უფრო უნდა ეშინოდეთ იმ გაბედული ადამიანებისა, რომელთაც კარგი განათლება მიიღეს, მაგრამ იმდენი ფული არა აქვთ, რომ ცხოვრების სარბიელზე გამოვიდნენ. რა მოუვიდოდათ ამ კეთილშობილთ, ჩვენ რომ შეგვძლებოდა თანასწორი იარაღით გვებრძოლა მათ წინააღმდეგ! მაგალითად, თუ ვერიერის მერი გავხდებოდი, კეთილგონიერი, პატიოსანი, როგორიც არსებითად ბ. დე რენალიცაა, როგორ შევმუსრავდი ვალნოს, იეზუიტ თანამოსაყდრეს და მთელ მათ არამზადა ამალას! სამართლიანობა

გაიმარჯვებდა ვერიერში! ასეა თუ ისე, მათი ტალანტები ხელს არ შემიშლიდა: ისინი ხელების ფათურით იკვლევენ გზას».

ჟიულიენი ვეღარ ბედავდა ხმამაღლა ოცნებას. იგი ამ წუთში უფრო წყნარი და ნაკლებ შეყვარებული იყო და იმ აზრს დაადგა, უგუნურებაა ქალის ოთახში სიარული მის შესახვედრადო. უმჯობესი იქნებოდა, თვით ქალი მისულიყო მასთან: თუ რომელიმე მოსამსახურე დაინახავდა, რომ ქალბატონი დერეფანში დადიოდა, ათასი საბაბით შეიძლებოდა ამის გამართლება.

მაგრამ ასე საქმის მოგვარებასაც თავისი უარყოფითი მხარეები ჰქონდა. ჟიულიენმა ფუკესაგან მიიღო წიგნები, რომელთაც იგი, როგორც ღვთისმეტყველების მოწაფე, ვერ მოითხოვდა წიგნის მაღაზიაში. ამ წიგნების კითხვას იგი მხოლოდ ღამით ბედავდა. ხშირად უნდოდა, რომ ეს კითხვა არავითარ დარბაზობას არ შეეწყვიტა.

ქალბატონ დე რენალის წყალობით მას წიგნები სულ სხვანაირად ესმოდა. იგი ქალს გაბედულად ეკითხებოდა ათასი ისეთი საგნის შესახებ, რომელთა უცოდინარობა აფერხებს განათლებული საზოგადოების მიღმა დაბადებული ყმაწვილის გონებრივ განვითარებას, რა ბუნებრივი ნიჭითაც უნდა იყოს იგი დაჯილდოებული.

ეს სიყვარულის აღზრდა, რომელსაც მეცნიერულად გაუნათლებელი ქალი იძლეოდა, დიდი ბედნიერება იყო ვაჟისთვის. ჟიულიენმა მიაღწია იმას, რომ საზოგადოება უშუალოდ დაინახა ისე, როგორიც ამჟამად არის. მას აღარ ეხამუშებოდა იმის მოთხრობა, თუ როგორი იყო ეს საზოგადოება ოდესღაც, ორი ათასი წლის წინათ, ან თუნდაც სამოცი წლის წინათ, ვოლტერისა და ლუი XV-ის დროს. მისდა სასიხარულოდ თვალზე რიდე აეხადა; ბევრი რამ გაიგო, რაც ვერიერში ხდებოდა.

პირველ პლანზე გამოჩნდა მეტად რთული ინტრიგები, ორი წლის წინათ რომ გაიბა ბეზანსონის პრეფექტის მახლობელი წრეებიდან. მათ მხარს უჭერდა პარიზიდან მოსული წერილები, რომლბიც მეტად გავლენიანი პირების მიერ იყო დაწერილი. საკითხი ეხებდოა იმას, რომ ბ. დე მუარო, რომელიც ყველაზე ღვთის მორწმუნე კაცად ითვლებოდა ამ კუთხეში, გაეხადათ ვერიერის მერის პირველ და არა მეორე თანაშემწედ.

მისი მოქიშპე ერთი მდიდარი მექარხნე იყო, რომლისთვისაც აუცილებლად მეორე თანაშემწის ადგილზე უნდა დაეხევინებინათ.

ჟიულიენმა ახლა გაიგო იმ ნართაული სიტყვების აზრი, სადილის დროს რომ ესმოდა სუფრაზე, როცა ბ. დე რენალისას მაღალი საზოგადოება იყრიდა თავს. ეს პრივილეგიური საზოგადოება დიდად დაინტერესებული იყო პირველი თანაშემწის

არჩევით. საქმე ის იყო, რომ ვერიერის მთავარი ქუჩის აღმოსავლეთი ნაწილი ცხრა ნაბიჯით უნდა გაფართოებულიყო იმიტომ, რომ ეს ქუჩა სამეფო გზა გახდა. ჰოდა, როცა ბ. დე მუარო, რომელსაც სამი სახლი ჰქონდა ამ ქუჩაზე, ჯერ პირველი თანაშემწე, ხოლო შემდეგ, თუ ბ. დე რენალს დეპუტატად აირჩევდნენ, ქალაქის მერი გახდებოდა, იგი თვალებს დახუჭავდა და დიდ ქუჩაზე წინწაწეულ სახლებს ოდნავ შეასწორებინებდა, რათა შემდეგ მთელი საუკუნე ხელუხლებლად დარჩენილიყვნენ. მისი დიდი ღვთისმოსაობისა და საყოველთაოდ აღიარებული პატიოსნების მიუხედავად, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ბ. დე მუარო დათმობის გზას დაადგებოდა იმიტომ, რომ იგი წვრილშვილიანი იყო. დასანგრევ სახლებს შორის ცხრა ვერიერის უწარჩინებულეს და უმდიდრეს პირებს ეკუთვნოდა.

ჟიულიენის თვალში ამ ინტრიგას ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ფონტენუას* ბრძოლას, რომლის სახელიც მან პირველად ამოიკითხა ფუკესაგან მიღებულ წიგნებში. ჟიულიენს ბევრი რამ აკვირვებდა ამ ხუთი წლის განმავლობაში, როცა იგი მღვდელთან დადიოდა. მაგრამ რადგან თავმდაბლობა და თვინიერება სემინარიელის პირველ სამკაულად ითვლებოდა, მას არ შეეძლო რაიმე კითხვები დაესვა.

ერთხელ ქალბატონი დე რენალი რაღაც ბრძანებას აძლევდა თავისი ქმრის ლაქიას, ჟიულიენის მტერს.

_ ჰო, მაგრამ დღეს ხომ თვის უკანასკნელი პარასკევია, _ უპასუხა ლაქიამ მრავლისმეტყველი კილოთი.

_ კარგი, წადით, _ უთხრა ქალბატონმა დე რენალმა.

_ ახლა წავა თივის საწყობში, რომელიც რევოლუციამდე ეკლესია იყო და ამ ცოტა ხნის წინათ ხელახლა დაუბრუნეს სამღვდელოებას; მაგრამ რისთვის? აი, ერთი იმ საიდუმლოებათაგანი, რომელიც ვერაფრით ვერ გამიგია, _ ჩაილაპარაკა ჟიულიენმა.

_ ეს მეტისმეტად სასარგებლო, მაგრამ უცნაური დაწესებულებაა, _ თქვა ქალბატონმა დე რენალმა. _ ქალებს იქ არ უშვებენ; ვიცი მხოლოდ, რომ იქ ყველანი შენობით ელაპარაკებიან ერთმანეთს. მაგალითად, თუ ეს ლაქია იქ ბ. ვალნოს შეხვდა, ეს უკანასკნელი თავისი ამპარტავნობისა და სისულელის მიუხედავად სრულიადაც არ გაჯავრდება, როცა ჟანი მას შენობით მიმართავს; ვალნოც შენობით უპასუხებს. თუ გსურთ იცოდეთ, რა ხდება იქ, დაწვრილებით გამოვკითხავ ბ. მოჟირონსა და ბ. ვალნოს. ჩვენ ოც-ოც ფრანკს ვაძლევთ მოსამსახურეებს, რათა მათ ყელი არ გამოგვღადრონ, თუ ოთხმოცდაცამეტი წლის ტერორი დაბრუნდა.

დრო შეუმჩნევლად მიქროდა. იმ წუთებში, როცა ნაადრევად განვითარებული ბავშვები შეყვარებულთ აიძულებდნენ ცივი გონების ენით ესაუბრათ, ჟიულიენი სრული მორჩილების გამომხატველი სახით და სიყვარულით გაბრწყინებული თვალებით უსმენდა ქალს, რომელიც მას ქვეყნის ავან-ჩავანს უამბობდა. ხშირად ქალი წყვეტდა საუბარს ამა თუ იმ გაიძვერობაზე, რასაც მისი წრის ადამიანები გზის გაყვანისა ან რაიმე საქონლის მიწოდების გამო იჩენდნენ, და ისეთივე ტკბილი სიტყვებით მიმართავდა ჟიულიენს, როგორც თავის ბავშვებს. ქალს ეგონა, ეს ყმაწვილიც ჩემი შვილივით მიყვარსო. მართლაც, განა ხშირად პასუხის გაცემა არ უხდებოდა ათას გულუბრყვილო კითხვაზე, რაიცა მაღალი საზოგადოების ყოველმა ბავშვმა იცის თხუთმეტი წლის ასაკში? მაგრამ ერთი წუთის შემდეგ ვაჟს აღტაცებით უცქეროდა, როგორც თავის მბრძანებელს. ხანდახან მისი გენია ქალს აფრთხობდა კიდეც; იგი დღითი დღე უფრო ნათლად ხედავდა დიდს ადამიანს ამ სამღვდლოდ განმზადებულ ჭაბუკში. იგი მას პაპად, ხან კიდევ რიშელიეს* მსგავს პირველ მინისტრად ევლინებოდა.

_ მოვესწრები თუ არა შენს დიდებას? _ ჰკითხავდა იგი ჟიულიენს, _ გზა ხსნილია დიდი ადამიანისათვის; იგი მონარქიას, რელიგიას ესაჭიროება.

XVIII

მეფე ვერიერში

ნუთუ გვამივით გადასაგდები
გახდი, უსულო და უსისხლო ხალხო?
ეპისკოპოსის ქადაგებიდან

სამ სექტემბერს, საღამოს ათ საათზე, ჟანდარმმა, რომელმაც ვერიერის მთავარი ქუჩა განვლო ცხენის ჭენებით, მთელი ქალაქი შეაფუცხუნა; მან ამბავი მოიტანა, მისი უდიდებულესობა საფრანგეთის მეფე კვირას გვესტუმრებაო, იმ დღეს კი სამშაბათი იყო. პრეფექტი ნებას იძლეოდა, ე. ი. მოითხოვდა საპატიო გვარდია შემდგარიყო; ყველაფერს, რაც შეიძლება ბრწყინვალე იერი უნდა ჰქონოდა. ვერჟიში შიკრიკი გაიგზავნა. ბ. დე რენალი ღამით ჩამოვიდა და მთელი ქალაქი აღელვებული დახვდა. ყველას თავისი

პრეტენზიები ჰქონოდა; საქმით ნაკლებ დატვირთული ადამიანები აივნებს ქირაობდნენ, რათა მეფის შემოსვლა დაენახათ.

ვინ გაუწევს სარდლობას საპატიო გვარდიას? ბ. დე რენალმა მაშინვე იგრძნო, რა მნიშვნელობა ექნებოდა სამეფო გზის გაყვანისათვის, ეს სარდლობა ბ. დე მუაროს რომ დაკისრებოდა. ეს მას გაუადვილებდა პირველი თანაშემწის ადგილის მიღებას. ბ. დე მუაროს ღვთისმოსაობის წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლებოდა, ამ მხრივ მას ვერავინ შეედრებოდა. მაგრამ იგი არასოდეს ცხენზე არ მჯდარა. ეს იყო ოცდათექვსმეტი წლის მამაკაცი, ყოველმხრივ გაუბედავი, მას ეშინოდა როგორც ძირს ჩამოვარდნისა, ისე სასაცილოდ გახდომისაც.

ქალაქის მერმა იგი დილის ხუთი საათისათვის დააბარებინა...

_ მე თქვენ რჩევას გთხოვთ, ბატონო ჩემო, თითქო თქვენ უკვე გეჭიროთ პოსტი, რომელსაც ყველა პატიოსანი ადამიანი თქვენს შესაფერად თვლის. ამ უბედურ ქალაქში მანუფაქტურა ყვავის, ლიბერალური პარტიის წევრები მილიონრები ხდებიან. ისინი ხელისუფლებისაკენ მიისწრაფიან და ამისათვის ყოველ იარაღს იყენებენ. ვიზრუნოთ მეფის ინტერესებსა, მონარქიის ინტერესებსა, ხოლო, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი წმინდა რელიგიის ინტერესებზე. როგორ ფიქრობთ, ბატონო, ვის შეიძლება მივანდოთ საპატიო გვარდიის სარდლობა?

მიუხედავად შიშის ძრწოლისა, რომელსაც ბ. დე მუაროში ცხენის სახელის გაგონება იწვევდა, ბოლოს ეს საპატიო დავალება ისე მიიღო, როგორც მოწამეობის გვირგვინი.

_ თავს არ შევირცხვენ, _ უთხრა ქალაქის მერს.

ძლიერ ცოტა დრო რჩებოდა იმ ფორმის ტანსაცმლის შესაკეთებლად, რომელიც შვიდი წლის წინათ ეხმარათ რომელიღაც მაღალი წარმოშობის პრინცის შეხვედრის დროს.

დილის შვიდ საათზე ქალბატონი დე რენალი ვერიერში მოვიდა ბავშვებითა და ჟიულიენითურთ. მისი სასტუმრო დარბაზი სავსე იყო ლიბერალი მანდილოსნებით, რომელნიც პარტიათა ერთობას ქადაგებდნენ და მასთან სათხოვნად მოსულიყვნენ, თქვენმა ქმარმა საპატიო გვარდიაში მიიღოს ჩვენი ქმრებიო. ერთი მათგანი ირწმუნებოდა, თუ ჩემი ქმარი საპატიო გვარდიელად არ აირჩიეს, მწუხარებისაგან გაკოტრდებაო. ქალბატონმა დე რენალმა ჩქარა გაისტუმრა ეს საზოგადოება. იგი დიდად შეშფოთებული იყო.

ჟიულიენი გაკვირვებული და კიდევ უფრო გულმოსული იყო იმის გამო, რომ ეს ქალი მალავდა თავის აღელვების მიზეზს. «წინდაწინვე ვიცოდი, _ ფიქრობდა იგი

გულისტკივილით, _ რომ მისი სიყვარული განელდებოდა ბედნიერების წინაშე, რასაც მისთვის მეფის სტუმრობა წარმოადგენს: ეს ხმაურობა მას ათრობს. მაგრამ ხელახლა შემიყვარებს, როცა მისი კასტის იდეები აღარ დაუბნელებს გონებას».

საოცარი ამბავია, მაგრამ ვაჟის სიყვარული კიდევ უფრო გაძლიერდა ამის გამო.

სახლი აივსო შპალერების გამკვრელებით; ჟიულიენი დიდხანს ამაოდ ელოდა შემთხვევას, თუნდ ერთი სიტყვა ეთქვა ქალისთვის. ბოლოს შეხვდა, როცა მას ჟიულიენის ოთახიდან მისი ტანისამოსი გამოჰქონდა. ამ დროს მათ გარდა იქ არავინ იყო. ვაჟს უნდოდა გამოლაპარაკებოდა; ქალმა ყური არ დაუგდო და გაიქცა. «დიდი სულელი ვარ, რომ ასეთი ქალი მიყვარს: პატივმოყვარეობა ისევე აგიჟებს, როგორც მის ქმარს».

ქალი მართლაც გიჟივით იყო: ერთი მისი უდიდესი ნატვრა, რომელსაც იგი ვაჟს არ უმხელდა, რადგან მისი შეურაცხყოფისა ეშინოდა, ის იყო, რომ ჟიულიენს თუნდ ერთი დღით გაეხადა თავისი სევდიანი შავი ტანსაცმელი. ისეთი მოხერხებით, რომელიც მოულოდნელი იყო ასეთი მიამიტი ქალისაგან, მან ჯერ ბ. მუაროსა, ხოლო შემდეგ პრეფექტის თანაშემწე ბ. მოჟირონთან მიაღწია იმას, რომ ჟიულიენი საპატიო გვარდიელად დაენიშნათ; მას უპირატესობა მიეცა ხუთი თუ ექვსი ჭაბუკის წინაშე, რომელნიც შეძლებული მეფაბრიკეების შვილები იყვნენ; ორი მათგანი სანიმუშო ღვთისმოსაობითაც განირჩეოდა. ბ. ვალნო, რომელიც ფიქრობდა, თავისი ეტლი ულამაზესი ქალებისათვის ეთხოვებინა და ამრიგად თავისი მშვენიერი ნორმანდიული ბედაურები გამოეფინა, იძულებული გახდა, ერთი ცხენი ჟიულიენისთვის დაეთმო, ე. ი. ადამიანისთვის, რომელიც ყველაზე მეტად სძულდა. მაგრამ ყველა საპატიო გვარდიელს შეძენილი ან ნათხოვარი ჰქონდა კოხტა ცისფერი, ვერცხლის ეპოლეტიანი ტანსაცმელი, რომელიც შვიდი წლის წინათ იყო შეკერილი. ქალბატონ დე რენალს უნდოდა ახალი ტანსაცმელი ეშოვა, მას კი მხოლოდ ოთხი დღე რჩებოდა, რათა კაცი გაეგზავნა ბეზანსონში და იქიდან მოეტანინებინა ფორმის კურტაკი, იარაღი, ქუდი და სხვა ყოვლივე, რაც საპატიო გვარდიელისთვისაა საჭირო. არ უნდოდა ტანსაცმელი ვერიერში შეეკვეთა, სურდა მოულოდნელობით გაეოცებინა ჟიულიენიც და მთელი ქალაქიც.

როცა საპატიო გვარდიის ორგანიზაცია და საზოგადოებრივი აზრის დამუშავება დასრულდა, ქალაქის მერს დიდი რელიგიური ცერემონიისთვის მოუხდა ზრუნვა: მეფეს არ უნდოდა ისე გაევლო ვერიერში, რომ არ ენახა წმინდა კლემენტის ცნობილი ნაწილები, რომელიც ბრელეჰოში ინახება ერთი ლიეს მანძილზე ქალაქიდან. უნდოდათ მრავალრიცხოვანი სამღვდელოებისათვის მოეყარათ თავი. ეს ყველაზე ძნელი

მოსაგვარებელი საქმე იყო; ახალ მღვდელს, მამა მასლონს, არავითარ შემთხვევაში არ სურდა მამა შელანის მონაწილეობა. ამაოდ უხსნიდა ბ. დე რენალი, ეს დაუშვებელიაო. მეფის თანმხლებლად დანიშნული იყო ბ. მარკიზი დე ლამოლი, რომლის წინაპრები დიდხანს მართავდნენ ამ პროვინციას; უკვე ოცდაათი წელიწადია იგი მამა შელანს იცნობდა და უეჭველია მის ამბავს იკითხავდა ვერიერში მოსვლისთანავე; იგი ისეთი ადამიანი იყო, რომ როგორც კი გაიგებდა, შელანი გადაყენებულიაო, მაშინვე თავისი ამალით მის საძებნად გაემართებოდა. როგორი სილა იქნებოდა ეს ყველასათვის!

_ მე შევრცხვები აქაც და ბეზანსონშიც, თუ იგი ჩემს სამღვდელოებაში გამოჩნდა, _ უპასუხებდა მასლონი: _ ღმერთო ჩემო, იგი ხომ იანსენისტია.*

_ რაც უნდა თქვათ, ჩემო ძვირფასო აბატო, _ უპასუხა ბ. დე რენალმა, _ ვერიერის ადმინისტრაციას ვერ გავწირავ ბ. დე ლამოლის სალანძღავად. თქვენ მას არ იცნობთ, იგი თვინიერია მეფის კარზე; მაგრამ აქ, პროვინციაში, ბოროტი სატირიკოსია, მხოლოდ იმას ფიქრობს, რომ თავგზა აუბნიოს ადამიანებს. შეუძლია თავის გასართობად ყველანი სასაცილოდ გაგვხადოს ლიბერალების თვალში.

მხოლოდ სამი დღის მოლაპარაკების შემდეგ მოიდრიკა აბატი მასლონის პატივმოყვარეობა ქალაქის მერის შიშის წინაშე, რაც ბოლოს გამბედაობად იქცა. საჭირო იყო დათაფლული წერილის მიწერა აბატი შელანისადმი, რომ მას კეთილენება და დასწრებოდა წმინდა ნაწილების ცერემონიას, თუ მისი ღრმა მოხუცებულობა და მისი უძლურება ნებას აძლევდა. შელანმა მოითხოვა და მიიღო მოწვევის წერილი ჟიულიენისთვისაც, რომელიც მას თან უნდა ხლებოდა როგორც დიაკვანი.

კვირას, დილიდანვე, მეზობელი მთებიდან გლეხები გუნდ-გუნდად ჩამოეშვნენ და ვერიერის ქუჩები აავსეს. საუცხოო მზიანი დღე იდგა. ბოლოს, დაახლოებით ნაშუადღევის სამ საათზე, მთელი ეს ბრბო შეტორტმანდა; ორი ლიეს მანძილზე ვერიერიდან კლდეზე ცეცხლის ალი ავარდა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მეფემ ფეხი შემოდგა დეპარტამენტის მიწა-წყალზე. მაშინვე ზარების რეკვამ და ძველი ესპანური ზარბაზნის გასროლამ ხალხის სიხარული გამოხატეს ამ დიდი ამბის გამო. ნახევარი მოსახლეობა სახურავებზე ავიდა. ქალები აივნებზე გამოეფინენ. საპატიო გვარდია ამოძრავდა. ყველანი აღტაცებული იყვნენ ბრწყინვალე ფორმის ტანსაცმლით, გვარდიელებს შორის თავიანთ მეგობრებს, ნათესავებს ეძებდნენ. დასცინოდნენ მშიშარა ბ. დე მუაროს, რომელიც ყოველ წუთში ხელს ჰკიდებდა უნაგირის კეხს. მაგრამ ერთმა გარემოებამ ყოველივე დაჩრდილა: მეცხრე რაზმის პირველი მხედარი მეტად ლამაზი და მეტად გამხდარი ყმაწვილი იყო, რომელიც თავდაპირველად

ვერავინ იცნო. ჩქარა ზოგს აღშფოთების შეძახილი აღმოხდა, ზოგმა კიდევ გაკვირვების დუმილით აღნიშნა საერთო შთაბეჭდილება. ეს ახალგაზრდა, რომელიც ვალნოს ნორმანდიულ ბედაურზე იჯდა, პატარა სორელი აღმოჩნდა, დურგლის შვილი. ატყდა ერთსულოვანი ყვირილი, განსაკუთრებით ლიბერალებს შორის. ქალაქის მერს ლანძღავდნენ. როგორ? რადგან ეს მღვდლის ნიღაბაფარებული ახალგაზრდა მუშა მისი ღლაპების აღმზრდელი იყო, იგი გაკადნიერდა და საპატიო გვარდიელად დანიშნა ამა და ამ მდიდარი მექარხნეების მაგივრად?

_ ამ ბატონებმა შეურაცხყოფა უნდა მიაყენონ ამ უზრდელ ბიჭს, რომელიც ნაგავშია დაბადებული, _ თქვა ერთი ბანკირის ცოლმა.

_ იგი გაიძვერაა, ხმლითაა შეიარაღებული და იმდენ ვერაგობას გამოიჩენს, რომ მათ თავებს წასჭრის, _ უპასუხა გვერდით მჯდომარე ქალმა.

ამ დროს ჟიულიენი უბედნიერესი ადამიანი იყო დედამიწის ზურგზე. როგორც ბუნებით გაბედული ადამიანი, იგი უკეთ იჯდა ცხენზე, ვიდრე ამ ახალგაზრდა მთიელი მოქალაქეების უმრავლესობა. ქალების თვალებში კითხულობდა, რომ საუბარი მას ეხებოდა. მისი ეპოლეტები ყველაზე უფრო ახალი იყო და ყველაზე მეტად ბრწყინავდა. მისი ბედაური ყოველ წუთს ყალყზე დგებოდა. ჟიულიენი ცას სწვდებოდა სიხარულისაგან.

მისმა ნეტარებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, როცა ძველი ციხე-სიმაგრის მახლობლად გავლის დროს პატარა ზარბაზნის ხმამ შეახტუნა და რაზმიდან გამოაგდო მისი ცხენი. უბრალო შემთხვევის წყალობით მოხდა, რომ იგი ძირს არ გადმოვარდა; ამ წუთიდან იგი თავის თავს გმირად თვლიდა. თითქოს ნაპოლეონის თანმხლები ოფიცერი იყო და ბატარეას მეთაურობდა.

ერთი ადამიანი მასზე უფრო ბედნიერი იყო. პირველად ქალმა იგი ქალაქის თვითმმართველობის ფანჯრიდან დაინახა; შემდეგ ეტლში ჩაჯდა, ქალაქს შემოუარა და სწორედ იმ დროს მოუსწრო, როცა ჟიულიენი ცხენმა რიგებიდან გააქანა. ბოლოს, ქალბატონი დე რენალის ეტლი ქალაქის მეორე კარიბჭეში გავიდა, იმ გზას დაადგა, რომელზედაც მეფეს უნდა გაევლო და ოცი ნაბიჯის მანძილზე გაჰყვა საპატიო გვარდიას ისე, რომ ქალი კეთილშობილ მტვერს ყლაპავდა. ათი ათასმა გლეხმა დაიყვირა: გაუმარჯოს მეფესო, როცა ქალაქის მერს პატივი მიენიჭა მისი უდიდებულესობისთვის მიემართა სიტყვით. ერთი საათის შემდეგ, როცა ყველა სიტყვის მოსმენის შემდეგ მეფე ქალაქში შედიოდა, პატარა ზარბაზანმა ხელახლა ატეხა შეუწყვეტელი სროლა. ამ დროს

ერთი მარცხი მოხდა; იგი მოუვიდა არა მეზარბაზნეებს, რომელთაც გამოცდა დაიჭირეს ლაიფციგთან და მონმირაილთან,* არამედ მომავალ პირველ თანაშემწეს ბ. დე მუაროს. მისმა ცხენმა იგი წყნარად ჩაუშვა ერთადერთ წუმპეში, რომელიც დიდი ქუჩის ნაპირას დარჩენილიყო; ამან არევ-დარევა გამოიწვია: საჭირო გახდა მისი ამოყვანა, რათა მეფის ეტლს გაევლო.

მისი უდიდებულესობა შევიდა მშვენიერ ახალ ეკლესიაში, რომელიც ამ დღეს ალისფერი ფარდებით იყო შემკული. მეფეს უნდა ესადილა და მაშინვე ეტლში ჩამჯდარიყო, რათა წმინდა კლემენტის თაყვანისსაცემლად გამგზავრებულიყო. როგორც კი მეფე ეკლესიაში შევიდა, ჟიულიენი ცხენის ჭენებით გაექანა ბ. დე რენალის სახლისკენ. იქ გულისტკივილით გამოეთხოვა თავის ლამაზ ცისფერ ტანისამოსს, ეპოლეტებს, ხმალს და თავისი შავი გახეხილი ტანისამოსი ჩაიცვა. ხელახლა ცხენზე შეჯდა და რამდენიმე წუთის შემდეგ ბრელეჰოში ამოჰყო თავი, ლამაზი გორაკის მწვერვალზე. «აღფრთოვანება ადიდებს ამ გლეხების რიცხვს, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ ვერიერში კაცი ბრბოში ვერ გაატანს, აქაც ათი ათას კაცზე მეტს მოუყრია თავი ამ ძველი მონასტრის გარშემო». ეს მონასტერი ნახევრად განადგურებულიყო მეამბოხეთა ვანდალიზმის წყალობით, შემდეგ დიდებულად შეეკეთებინათ რესტავრაციის დროს და ახლა სასწაულმოქმედებაზე იყო ლაპარაკი. ჟიულიენმა მონახა აბატი შელანი, რომელიც მას ძალიან გაუჯავრდა და ანაფორა და სტიქარი მისცა. საჩქაროდ შეიმოსა და მამა შელანს გაჰყვა ახალგაზრდა აგდელ ეპისკოპოსთან. ეს იყო მარკიზ დე ლამოლის ძმისწული, ახლად ნაკურთხი. მას წმინდა ნაწილები უნდა ეჩვენებინა მეფისთვის. მაგრამ ამ ეპისკოპოსს ვერსად მიაგნეს.

სამღვდელოება მოთმინებას კარგავდა, იგი თავის მეთაურს ბნელ, გოთურ მონასტერში ელოდა. ბოლოს გადაწყვიტეს, მის უსამღვდელოესობასთან გაეგზავნათ თავიანთი უხუცესი, რათა ეცნობებინათ, მეფე მობრძანდება და დროა შევიკრიბოთო. ასაკის მიხედვით მამა შელანი უხუცესი აღმოჩნდა; თუმცა იგი ჟიულიენზე გაჯავრებული იყო, მაინც ანიშნა, გამომყეო. ჟიულიენს ძალიან უხდებოდა თავისი სტიქარი. რაღაც საეკლესიო ტუალეტის ოინების შემწეობით მას სწორად დაევარცხნა თავისი ლამაზი ხუჭუჭი თმა, მაგრამ გულმავიწყობის გამო, რომელმაც გააორკეცა მამა შელანის გულისწყრომა, ანაფორის გრძელ კალთებს ქვეშ საპატიო გვარდიელის დეზები მოუჩანდა.

ეპისკოპოსის ბინაზე მოსირმულ-მოვარაყებულმა ლაქიებმა ძლივს აღირსეს ბებერ მღვდელს პასუხი, მისი უსამღვდელოესობის ნახვა არ შეიძლებაო. იგი სასაცილოდ

აიგდეს, როცა სცადა აეხსნა, როგორც კაპიტულის უხუცესს, უფლება მაქვს ყოველთვის შევიდე ეპისკოპოსთანო.

ჟიულიენის ამაყი ბუნება შეურაცხყო ლაქიების თავხედობამ. მან თავიდან ბოლომდე შემოვლო ძველი მონასტრის პალატები და ყველა კარის სახელური მოსინჯა. ერთი პატარა კარი გაიღო და იგი სენაკში აღმოჩნდა ეპისკოპოსის მოსამსახურეებს შორის, რომელთაც შავი ტანისამოსები ეცვათ და ყელზე ჯაჭვები ეკიდათ. ჟიულიენი ისეთი ჩქარი ნაბიჯით შევიდა, რომ მოსამსახურეებმა იფიქრეს, თვით ეპისკოპოსს დაუძახნიაო და შეუშვეს. მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და უზარმაზარ გოთურ დარბაზში აღმოჩნდა. დარბაზი მეტად ბნელი იყო, კედლები შავი მუხისა ჰქონდა, ფანჯრები აგურით იყო ამოშენებული გარდა ერთისა. ეს აგური არაფრით იყო დაფარული და კედლების ძველებურ ბრწყინვალებასთან ტლანქ კონტრასტს ჰქმნიდა. ამ დარბაზის სიგრძის კედლები, რომლებიც 1470 წელს შარლ მამაცმა ააშენებინა რაღაც ცოდვის მოსანანიებლად, მდიდრულად მოჩუქურთმებული ხის სკამებით იყო შემკული. იქ სხვადასხვა ფერის ხეზე აპოკალიფსის* ყველა საიდუმლოება იყო გამოქანდაკებული.

ამ მელანქოლიურმა სიდიადემ, შებღალულმა შეულესავი აგურებითა და ახლად გათეთრებული ჭერით, გააოცა ჟიულიენი. იგი უსიტყვოდ შეჩერდა. დარბაზის მეორე კუთხეში, ერთადერთი გადარჩენილი ფანჯრის მახლობლად, ძვირფასჩარჩოიანი სარკე დაინახა. ახალგაზრდა კაცი, რომელსაც იისფერი ანაფორა და არშიებიანი სტიქარი ეცვა, მაგრამ თავშიშველი იყო, სამი ნაბიჯის მანძილზე იდგა სარკიდან. ეს სარკე უცხო შთაბეჭდილებას ახდენდა ამ ადგილას და, როგორც ეტყობოდა, ქალაქიდან იყო საგანგებოდ მოტანილი. ჟიულიენმა შეამჩნია, რომ ახალგაზრდა კაცს გაჯავრებული სახე ჰქონდა; მარჯვენა ხელით მძიმედ აგზავნიდა ლოცვა-კურთხევას სარკის მიმართულებით.

«ეს რას უნდა ნიშნავდეს, _ გაიფიქრა მან, _ ნუთუ ეს ახალგაზრდა კაცი წინასწარ ცერემონიას ასრულებს მღვდელმსახურებისთვის? შეიძლება იგი ეპისკოპოსის მდივანია... ალბათ, ისეთივე თავხედი იქნება, როგორიც მისი ლაქიები არიან... მაგრამ არა უშავს რა, ვსინჯოთ».

მან ნელი ნაბიჯით განვლო დარბაზი ისე, რომ თვალი არ მოუშორებია ამ ახალგაზრდა კაცისთვის, რომელიც შეუჩერებლივ განაგრძობდა ლოცვა-კურთხევის დარიგებას.

რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უკეთ არჩევდა მის გაჯავრებულ სახეს. არშიით შემკული სტიქარის სიმდიდრემ ჟიულიენი ძალაუნებურად შეაჩერა რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე ბრწყინვალე სარკიდან.

«ჩემი ვალია ვილაპარაკო», _ გაიფიქრა მან; მაგრამ დარბაზის მშვენიერებამ ააღელვა და თავს წინდაწინვე შეურაცხყოფილად გრძნობდა ტლანქი სიტყვებით, რომელსაც უცნობისგან ელოდა.

ახალგაზრდა კაცმა იგი სარკეში დაინახა, მობრუნდა. უცებ შეიცვალა გულმოსული ადამიანის გამომეტყველება და ალერსიანი ხმით ჰკითხა:

_ ბატონო! უკვე შეაკეთეთ?

ჟიულიენი სახტად დარჩა. როცა ეს ახალგაზრდა კაცი მისკენ მობრუნდა, მის მკერდზე სამღვდელთმთავრო ჯვარი შეამჩნია: ეს იყო აგდის ეპისკოპოსი.

«რა ახალგაზრდაა! _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ სულ დიდი, რვა წლით იყოს ჩემზე უფროსი».

მას შერცხვა თავისი დეზებისა.

_ თქვენო უსამღვდელოესობავ, _ უპასუხა მოკრძალებით, _ მე კაპიტულის უხუცესის მამა შელანისგან ვარ გამოგზავნილი.

_ აჰ, იგი ძალიან მიქეს, _ თქვა ეპისკოპოსმა ზრდილობიანი ტონით, რამაც მთლად მოაჯადოვა ჟიულიენი. _ ბოდიშს ვიხდი, ბატონო, მე თქვენ ის კაცი მეგონეთ, ვინც მიტრა უნდა მომიტანოს. იგი ცუდად შეუხვევიათ პარიზში; ატლასი საშინლად გაფუჭებულია ზემოდან. ეს ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს, _ დაუმატა მან სევდიანად, _ და ახლა კი მალოდინებენ!

_ მე წავალ მიტრის მოსატანად, თუ თქვენი უსამღვდელოესობა ნებას მომცემს.

_ წადით, ბატონო, _ უპასუხა ეპისკოპოსმა ზრდილობიანად: _ დაუყოვნებლივ მჭირდება. დიდად ვწუხვარ, რომ კაპიტულის წევრებს ვაცდევინებ.

როცა ჟიულიენმა შუა ადგილს მიაღწია, ეპისკოპოსისკენ მიიხედა და შეამჩნია, რომ იგი განაგრძობდა სარკეში ლოცვა-კურთხევას. როცა იმ სენაკში შევიდა, სადაც მსახურნი იდგნენ, დაინახა, რომ მიტრა მათ ხელში ეჭირათ. ამ ვაჟბატონებმა უნებლიეთ უკან დაიხიეს მისი მბრძანებლური მზერის წინაშე და მღვდელთმთავრის მიტრა გადასცეს.

მან იგი თან წაიღო ამაყი გამომეტყველებით: დარბაზი ნელი ნაბიჯით განვლო, მიტრა მოკრძალებით ეჭირა ხელში. ეპისკოპოსი ახლა იჯდა სარკესთან, მაგრამ

დროგამოშვებით მისი უკვე დაქანცული მარჯვენა მაინც ლოცვა-კურთხევას არიგებდა. ჟიულიენი დაეხმარა მიტრის დახურვაში. ეპისკოპოსმა თავი გააქან-გამოაქანა.

_ ახლა კი კარგად გაჩერდება, _ უთხრა ჟიულიენს კმაყოფილი სახით. – გთხოვთ, ცოტათი უკან დაიხიოთ.

ეპისკოპოსი დარბაზის შუაგულისკენ გაემართა ჩქარი ნაბიჯით, შემდეგ სარკეს მიუახლოვდა აუჩქარებლად, გზადაგზა მძიმედ არიგებდა ლოცვა-კურთხევას.

ჟიულიენი გაოცებისაგან გაქვავდა, გაგება უნდოდა, მაგრამ კითხვას ვერ ბედავდა. ეპისკოპოსი შეჩერდა და ჟიულიენს შეხედა თვალებით, რომელთაც უცებ დაკარგეს წინანდებური სერიოზულობა.

_ რას იტყვით ჩემს მიტრაზე, ბატონო, მიხდება თუ არა?

_ ძალიან, თქვენო უსამღვდელოესობავ.

_ უკან გადაწეული ხომ არ არის? ეს, ცოტა არ იყოს, უაზრო გამომეტყველებას მომცემდა; მაგრამ არც ის ვარგა, რომ თვალებზე ჩამოფხატული ვატარო ოფიცრის ქუდივით. მეფე შეჩვეულია ჭკუადამჯდარ სამღვდელოებას. არ მინდა თავქარიანი ჭაბუკის შეხედულება მქონდეს.

და ეპისკოპოსმა განაგრძო სიარული და ლოცვა-კურთხევის დარიგება.

«ახლა კი ცხადია, ვარჯიშობს», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

_ მზად ვარ, _ უთხრა ეპისკოპოსმა, _ წაბრძანდით და აცნობეთ უფალ უხუცესსა და კაპიტულის წევრებს.

ჩქარა დარბაზში მამა შელანი შემოვიდა ორი უხნიერესი მღვდლის თანხლებით, შემდეგ დარბაზი მღვდლებით აივსო. ერთი წუთის არეულობის შემდეგ პროცესია დაირაზმა და ფსალმუნის გალობა გაისმა. ეპისკოპოსი უკანა რიგში მიდიოდა შელანსა და მეორე მოხუცებულ მღვდელს შორის. ჟიულიენი გაძვრა და ეპისკოპოსს ამოუდგა გვერდში, როგორც აბატ შელანის თანმხლები. მშვენიერი მზიანი დღის მიუხედავად, მონასტრის კედლებში ბნელოდა და გრილოდა. ბოლოს სტოვას მიაღწიეს. ჟიულიენი აღტაცებული იყო ასეთი საუცხოო ცერემონიით. ეპისკოპოსის ასაკმა პატივმოყვარული ზრახვები აღუძრა გულში, მისმა თავაზიანობამ კი აღტაცებაში მოიყვანა ჟიულიენი. ეს თავაზიანობა სრულიად არ ჰგავდა ბატონი დე რენალისას.

«რაც უფრო მაღლა ადიხარ საზოგადოებრივ კიბეზე, მით უფრო სასიამოვნო ქცევას ხვდები», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

ეკლესიაში გვერდის კარიდან შევიდნენ. უცებ საზარელმა ხმაურმა შეაზანზარა მისი ძველისძველი თაღები. ჟიულიენს ეგონა, ჭერი ინგრევაო. ეს იგივე პატარა ზარბაზანი იყო: რვა ცხენს მოეტანა ჭენებით, დადგმისთანავე ლაიფციგელ მეზარბაზნეებს გაემართათ და ხუთჯერ ისროდნენ წუთში, თითქო მის წინ პრუსიელები მდგარიყვნენ.

მაგრამ ეს საუცხოო ხმაური შთაბეჭდილებას აღარ ახდენდა ჟიულიენზე. იგი აღარ ოცნებობდა ნაპოლეონზე და სამხედრო დიდებაზე. «ასეთი ახალგაზრდაა და უკვე აგდის ეპისკოპოსია! _ ფიქრობდა იგი: _ მაგრამ სადაა აგდი? რა შემოსავალს იძლევა ეს ეპარქია? შეიძლება ორას ან სამას ათას ფრანკს?»

გამოჩნდნენ ეპისკოპოსის ლაქიები დიდებული საჩრდილობლითურთ. ერთ-ერთი საყრდენი მამა შელანს ეჭირა, მაგრამ ნამდვილად მას ჟიულიენი ატარებდა. ეპისკოპოსი მის ქვეშ დადგა. მან მართლაც მიაღწია იმას, რომ ხნიერი ადამიანის სახე ჰქონოდა. ჩვენი გმირის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. «რას არ მიაღწევს მოხერხებული კაცი!» _ ფიქრობდა იგი.

შემოვიდა მეფე. ჟიულიენს ბედნიერება ჰქონდა იგი ახლო დაენახა. ეპისკოპოსმა მას გულისამაჩუყებელი სიტყვით მიმართა; ცოტა არ იყოს, მღელვარებაც გამოამჟღავნა, რაიცა დიდად სასიამოვნო იყო მისი უდიდებულესობისთვის. ჩვენ აღარ გავიმეორებთ ბრელეჰოს ცერემონიის აღწერას: რამდენიმე დღის განმავლობაში დეპარტამენტის გაზეთების სვეტები სავსე იყო ამ ამბებით. ჟიულიენმა ეპისკოპოსის სიტყვიდან გაიგო, რომ მეფე დუკა შარლ მამაცის შთამომავალი იყო.

უფრო გვიან ჟიულიენს დაევალა ამ ცერემონიის ხარჯები შეემოწმებინა. ბ. დე ლამოლმა, რომელმაც ეპისკოპოსობა მოუპოვა თავის ძმისწულს, დარდიმანდობა გამოიჩინა და მთელი ხარჯები იკისრა. მარტო ბრელეჰოს ცერემონია სამი ათას რვაასი ფრანკი დაუჯდა.

მეფემ ეპისკოპოსის სიტყვა მოისმინა, პასუხი გასცა და საჩრდილობლის ქვეშ დადგა; შემდეგ ბალიშზე მოკრძალებით მუხლი მოიდრიკა საკურთხევლის წინ. შარიშინი გარშემორტყმული იყო სავარძლებით, ხოლო სავარძლები ცოტა მომაღლებულზე იდგა. ჟიულიენი ბოლოში იჯდა, ერთ-ერთ საფეხურზე, ბ. შელანის ფეხებთან, როგორც შლეიფის მატარებელი ზის თავის კარდინალის გვერდით რომის სიქსტეს კაპელაში.* გაისმოდა Te Deum.* ეკლესია საკმევლით იყო სავსე, გარეთ დაუსრულებლივ თოფ-ზარბაზანს ისროდნენ; გლეხები შეზარხოშებული იყვნენ ბედნიერებითა და ღვთისმოსაობით. ერთი ასეთი დღე იაკობინური გაზეთის ასი ნომრის მიერ გაკეთებულ საქმეს აბათილებს.

ჟიულიენი ექვსი ფეხის ნაბიჯზე იმყოფებოდა მეფისაგან, რომელიც მართლაც გულმოდგინედ ლოცულობდა. მან პირველად შეამჩნია დაბალი ტანის, ჭკვიანი სახის კაცი, რომელსაც თითქმის უსამკაულო ტანისამოსი ეცვა, მაგრამ ამ უბრალო ტანისამოსზე ცისფერი ზონარი ჰქონდა გადადებული. იგი უფრო ახლო იდგა მეფესთან, ვიდრე სხვა დარბაისელნი, რომელთა ტანისამოსი ისე მოვარაყებული და ოქრომკედით ამოქსოვილი იყო, რომ, ჟიულიენის თქმისა არ იყოს, კაცი მაუდს ვეღარ ხედავდა. რამდენიმე წუთის შემდეგ მან გაიგო, რომ ეს ბ. დე ლამოლი იყო. ჟიულიენის აზრით, მას ამპარტავანი და თავხედი სახე ჰქონდა.

«ეს მარკიზი, ალბათ, ისეთი ზრდილობიანი არაა, როგორც ჩემი ლამაზი ეპისკოპოსი, _ გაიფიქრა მან: _ აჰ, სასულიერო წოდება ადამიანს მშვიდს და ბრძენს ხდის. მაგრამ მეფე წმინდა ნაწილების თაყვანისსაცემად მოვიდა, მე კი ვერ ვხედავ წმინდა ნაწილებს. სადაა წმინდა კლემენტი?»

მისმა მეზობელმა, პატარა დიაკვანმა აცნობა, თაყვანსაცემი წმინდა ნაწილები შენობის ზემო ნაწილშია მოთავსებული, ალმოდებულ სამლოცველოშიო.

«რა არის ალმოდებული სამლოცველო?» _ გაიფიქრა ჟიულიენმა, მაგრამ არ უნდოდა ამ სიტყვის ახსნა-განმარტება ეთხოვა. ყურადღება გაუორკეცდა.

როცა ალმოდებულ სამლოცველოსკენ გაემართნენ, აგდის ეპისკოპოსმა მოიხმო აბატი შელანი; ჟიულიენმა გაბედა უკან გადევნებოდა ამ უკანასკნელს.

ჯერ გრძელი კიბე აიარეს, შემდეგ პატარა კარს მიადგნენ, რომლის გოთური თამასა ბრწყინვალედ იყო მოვარაყული. კაცს ეგონებოდა, გუშინ არის გაკეთებულიო.

კარიბჭესთან დაჩოქილიყო ოცდაოთხი ახალგაზრდა ქალი, რომელნიც ვერიერის საუკეთესო ოჯახებს ეკუთვნოდნენ. სანამ კარიბჭეს გააღებდნენ, ეპისკოპოსმა ამ ახალგაზრდა ქალებს შუა დაიჩოქა. ისინი ყველანი ლამაზები იყვნენ. ეპისკოპოსი ხმამაღლა ლოცვებს კითხულობდა, ქალები აღტაცებით შესცქეროდნენ მის მშვენიერ არშიებს, ტკბებოდნენ მისი გრაციით, მისი ახალგაზრდა და მშვიდი სახით. ამ სანახაობამ ჩვენს გმირს მთლად დააკარგვინა ჭკუა. ამ წუთში იგი მზად იყო ინკვიზიციისთვის ებრძოლა სულით და გულით. უცებ კარი გაიღო. პატარა სამლოცველო თითქო ცეცხლის ალში იყო გახვეული. სამსხვერპლოზე ათას სანთელზე მეტი ენთო; რვა წყებად დარაზმული, მათ შორის ყვავილების თაიგულები იდგა. საკურთხევლის კარებიდან საკმევლის სურნელება გამოდიოდა. ახლად მოვარაყული სამლოცველო პატარა, მაგრამ მეტად მაღალი იყო. ჟიულიენმა საკურთხეველზე თხუთმეტმტკავლიანი კელაპტრები

შეამჩნია. ახალგაზრდა ქალებს აღტაცების ძახილი აღმოხდათ. სამლოცველოს პატარა ელამონში მხოლოდ ეს ოცდაოთხი ახალგაზრდა ქალი, ორი მღვდელი და ჟიულიენი შეუშვეს.

ჩქარა მოვიდა მეფე, რომელსაც მოჰყვა მხოლოდ ბ. დე ლამოლი და მთავარი კამერჰერი. საპატიო გვარდიელებიც კი გარეთ დარჩნენ; მათ მუხლი მოიყარეს და ხმლები იშიშვლეს.

მისი უდიდებულესობა უფრო დაეცა, ვიდრე დაეშვა მუხლებზე. ჟიულიენმა, რომელიც მოვარაყულ კარებზე იყო აკრული, მხოლოდ ახლა, ერთი ახალგაზრდა ქალის შიშველი მკლავის ზემოთ, დაინახა წმინდა კლემენტის საუცხოო ქანდაკება. იგი სამსხვერპლოს ქვეშ იყო დამალული; ახალგაზრდა რომაელი ჯარისკაცის ტანისამოსი ეცვა, ყელზე ფართო ჭრილობა ჰქონდა, იქიდან თითქო სისხლი გადმოდიოდა. მხატვარს გადაეჭარბებია თავის თავისთვის: წმინდანის მომაკვდავი, მაგრამ გრაციით აღსავსე თვალები ნახევრად დახუჭული იყო. მომხიბლავ ტუჩებს ახლად ამწვანებული ულვაშები უმშვენებდა. პირი ნახევრად დაღებული ჰქონდა და თითქო ლოცვის სიტყვებს იმეორებდა. ამ სანახაობამ გული აუჩუყა ჟიულიენის გვერდით მდგომარე ახალგაზრდა ქალს, რომელიც ცხარე ცრემლით ტიროდა; ერთი მისი ცრემლი ხელზე დაეცა ჟიულიენს.

მოკლე ლოცვის შემდეგ, რომლის უღრმეს დუმილს არავითარი ხმაური არ არღვევდა გარდა მახლობელი სოფლების ზარების რეკვისა, აგდის ეპისკოპოსმა მეფეს სთხოვა, ნება დამრთე ვილაპარაკოო. თავისი პატარა გულისამაჩუყებელი სიტყვა მან უბრალოდ დაამთავრა, რამაც კიდევ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

_ ნურასოდეს ნუ დაივიწყებთ, ახალგაზრდა ქრისტიანო ქალებო, რომ თქვენ დედამიწის ერთი უძლიერესი მეფე იხილეთ ამ ყოვლისშემძლე და მრისხანე ღმერთის მსახურთა წინაშე დაჩოქილი. ეს მსახურნი სუსტნი, დევნილნი არიან ამქვეყნად. მათ აქ ხოცავენ, როგორც წმინდა კლემენტის ჯერ კიდევ დაუშუშებელ ჭრილობაზე ხედავთ, მაგრამ ისინი ზეცაში იმარჯვებენ. ახალგაზრდა ქრისტიანო ქალებო, ხომ სამუდამოდ დაიმახსოვრებთ ამ დღეს და სამუდამოდ შეიძულებთ ბიწიერებას! თქვენ სამუდამოდ ერთგული იქნებით ესოდენ დიდი, ესოდენ მრისხანე, მაგრამ ესოდენ კეთილი ღმერთისა!

ამ სიტყვების შემდეგ ეპისკოპოსი წელში გაიმართა ხელმწიფურად.

_ აღმითქვამთ თუ არა ამას? _ იკითხა მან და ხელები წინ გაიწოდა შთაგონებული სახით.

_ აღგითქვამთ, _ წარმოთქვეს ახალგაზრდა ქალებმა და ცრემლები წამოსკდათ.

_ მე თქვენ აღთქმას ვღებულობ მრისხანე ღმერთის სახელით! _ დაუმატა ეპისკოპოსმა მგრგვინავი ხმით და ცერემონია დასრულდა.

თვით მეფე ტიროდა. კარგა ხანმა განვლო, სანამ ჟიულიენმა გონება მოიკრიბა და იკითხა, სადაა წმინდანის ძვლები, რომლებიც რომიდან ბურგუნდიის დუკას ფილიპე კეთილს გამოუგზავნესო. მას უპასუხეს, ისინი ამ საუცხოო სანთლის ქანდაკებაში არიან დამალულიო.

მისმა უდიდებულესობამ კეთილინება და ნება დართო ახალგაზრდა ქალებს, რომელნიც მას სამლოცველოში ახლდნენ, წითელი ლენტი ეტარებინათ შემდეგი ამოქარგული სიტყვებით: «სიძულვილი ბიწიერებას, მუდმივი თაყვანისცემა სათნოებას».

ბ. დე ლამოლმა გლეხებისთვის ათი ათასი ბოთლი ღვინო დაარიგებინა. საღამოთი, ვერიერში, ლიბერალები შეეცადნენ ასჯერ გადაეჭარბებინათ როიალისტებისთვის ქალაქის განათებაში. გამგზავრების წინ მეფე სადარბაზოდ იყო ბ. დე მუაროსთან.

XIX

აზროვნება ტანჯვას ნიშნავს

ყოველდღიური წვრილმანი მოვლენები ვნებათა
ღელვის ნამდვილ უბედურებას ფარავს.

ბარნავი

როცა ჟიულიენი ავეჯს ალაგებდა იმ ოთახში, რომელიც ბ. დე ლამოლს ეჭირა, სქელი ქაღალდის ფურცელი აღმოაჩინა ოთხად გაკეცილი. პირველი გვერდის ბოლოში წაიკითხა:

«მის მაღალკეთილშობილებას ბ. დე ლამოლს, საფრანგეთის პერს,* მეფის ორდენების კავალერს და სხვ. და სხვ...»

ეს იყო თხოვნა, დაწერილი ისეთი ხელით, რომელიც მზარეულ ქალს თუ შეეფერებოდა.

«ბატონო მარკიზო!

მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში სარწმუნოებრივი პრინციპები მქონდა. ლიონში კინაღამ ყუმბარების მსხვერპლი გავხდი 1793 წლის ალყის დროს, წყეული იყოს

მისი მოგონება. წმ. ზიარებას ვღებულობ, ხოლო ყოველ კვირა დღეს სამრევლო ეკლესიაში დავდივარ. არასოდეს პასექის მიერ დაკისრებული ვალდებულებისათვის არ მიღალატნია, თვით 1793 წელშიც კი, წყეული იყოს მისი ხსოვნა. ჩემი მზარეული ქალი პარასკეობით მარხულობს. ვერიერში ყველანი პატივისცემით მეპყრობიან. შემიძლია გაბედულად ვთქვა, რომ ეს პატივისცემა დამსახურებული მაქვს. პროცესიებში საჩრდილობლის ქვეშ დავდივარ ბ. კიურესა და ბ. ქალაქის მერის გვერდით. მნიშვნელოვან შემთხვევებში ხელში კელაპტარი მიჭირავს, ჩემს ხარჯზე ნაყიდი. ჩემი ყოფაქცევის შესახებ მოწმობები პარიზში მოიპოვება ფინანსთა სამინისტროში. ბატონ მარკიზს ვთხოვ, სალატარეო ბიუროს გახსნის ნება მომცეს ვერიერში, იგი ჩქარა ვაკანტური გახდება ასე თუ ისე, იმიტომ რომ ახლანდელი პატრონი ძლიერ ავადაა და, ესეც არ იყოს, ხმას მთავრობის წინააღმდეგ აძლევს არჩევნების დროს და სხვ.

დე შოლენი».

ამ თხოვნის არშიებზე დე მუაროს რამდენიმე სტრიქონი მიეწერა, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა:

«გუშინ პატივი მქონდა მელაპარაკნა კეთილსაიმედო პიროვნებაზე, რომელიც ზემორეს ითხოვს და სხვ.».

«ამგვარად, თვით ეს უჭკუო დე შოლენი მიჩვენებს იმ გზას, რომელსაც უნდა გავყვე», _ გაიფიქრა ჟიულიენმა.

ერთი კვირის შემდეგ, რაც მეფემ ვერიერში გაიარა, იმ ურცხვი ტყუილებისა, უაზრო ჭორებისა და სასაცილო მითქმა-მოთქმისაგან, რომლის საგანი ხან მეფე იყო, ხან აგდის ეპისკოპოსი, ხან მარკიზ დე ლამოლი, ხან ათი ათასი ბოთლი ღვინო და ცხენიდან ჩამოვარდნილი საბრალო დე მუარო (ჯვრის მიღების მოლოდინში იგი სახლიდან არ გამოდიოდა მთელი თვის განმავლობაში), დარჩა მხოლოდ მოგონება იმის შესახებ, რომ ხუროს შვილი ჟიულიენ სორელი საპატიო გვარდიაში იქნა ჩაჩრილი. ამ საგანზე უნდა ყური დაგეგდოთ ჩითის მდიდარი მეფაბრიკეებისთვის, რომელნიც დილითა და საღამოთი ყავახანაში ხმას იხლეჩდნენ თანასწორობის ქადაგებით. ამ უხამსობის ავტორი ეს ამპარტავანი ქალბატონი დე რენალი იყო. მიზეზი? ყოველივე პატარა აბატი სორელის მშვენიერი თვალებითა და ქორფა ლოყებით აიხსნებოდა.

მალე, ვერჟიში დაბრუნების შემდეგ, უმცროს ბავშვს სტანისლავ ქსავიეს ციება დააწყებინა; უცებ ქალბატონი დე რენალი სინიდისის ქენჯნამ მოიცვა. პირველად

ხდებოდა, რომ იგი თავის თავს სიყვარულისთვის ჰკიცხავდა მკაცრად და დაჟინებით, თითქო რაღაც სასწაულის შემწეობით გაეგო, რა საშინელი შეცდომა ჩაიდინა. თუმცა ეს ქალი ღრმად ღვთისმოსავი იყო, ამ წუთამდე არ უფიქრია თავის დიდ შეცოდებაზე ღმერთის წინაშე.

ოდესღაც «გულიწმინდის» მონასტერში მას ღმერთი ვნებიანად უყვარდა; შიშით ახლაც ეშინოდა მისი. შინაგანი ბრძოლა, რომელიც მის სულს ქენჯნიდა, მით უფრო საშინელი იყო, რომ მის შიშში არაფერი იყო აზრიანი. ჟიულიენი ხედავდა, რომ ყოველივე მსჯელობა ქალს აღიზიანებდა იმის მაგივრად, რომ იგი დაემშვიდებინა; ქალს ამ მსჯელობაში ჯოჯოხეთის ენა ესმოდა. მაგრამ რადგან თვით ჟიულიენს ძლიერ უყვარდა პატარა სტანისლავი, ლაპარაკი დაიწყო ბავშვის ავადმყოფობაზე, რომელმაც ჩქარა სერიოზული ხასიათი მიიღო. განუწყვეტელმა სინიდისის ქენჯნამ ქალბატონ დე რენალს ძილი გაუტეხა; იგი მუდამ პირქუში და მდუმარე იყო; თუ პირს გააღებდა, მხოლოდ იმისთვის, რომ შეცოდება ეღიარებინა ღმერთისა და ადამიანების წინაშე.

_ გაფიცებთ, _ ეუბნებოდა მას ჟიულიენი, როცა ისინი მარტო რჩებოდნენ, _ არავის არაფერი უთხრათ. დაე, მარტო მე ვიყო თქვენი ტანჯვის ერთადერთი მოწმე. თუ კიდევ გიყვარვართ, არაფერი თქვათ; თქვენს სიტყვებს არ ძალუძს ციებისაგან განკურნოს ჩვენი სტანისლავი.

მაგრამ ეს ნუგეში არავითარ გავლენას არ ახდენდა; ვაჟმა არ იცოდა, რომ ქალბატონ დე რენალს შემდეგი აზრი ჰქონდა აკვიატებული: შურისმაძიებელი ღმერთის რისხვის დასაშოშმინებლად ან ჟიულიენი უნდა შევიძულო, ან ჩემი შვილის სიკვდილს შევურიგდეო. და რადგან გრძნობდა, რომ თავის საყვარელს ვერ შეიძულებდა, მეტისმეტად უბედური იყო.

_ გაიქეცით აქედან, _ უთხრა ერთხელ ჟიულიენს, _ ღვთის გულისათვის, დატოვეთ ეს სახლი; თქვენი აქ ყოფნაა, ჩემს შვილს რომ კლავს. ღმერთი მსჯის, _ დაუმატა მან დაბალი ხმით, _ იგი სამართლიანია; მე თაყვანს ვცემ მის სამართალს: ჩემი დანაშაული საშინელია და მე მოუნანიებლად ვცხოვრობდი. ეს იყო პირველი ნიშანი იმისა, რომ ღმერთმა მიმატოვა; მე ორმაგად უნდა დავისაჯო.

ჟიულიენი ღრმად შეშფოთებული იყო. მას არ შეეძლო აქ ან ფარისევლობა დაენახა ან გადაჭარბება. «ფიქრობს, რომ შვილს კლავს ჩემი სიყვარულის გამო, მაგრამ ამ უბედურს მე უფრო ვუყვარვარ, ვიდრე ღვიძლი შვილი; სინდისი ქენჯნის, მე არ შემიძლია ამაში ეჭვი

შევიტანო, მაგრამ როგორ შევძელი ასეთი სიყვარულის ჩანერგვა მე, ესოდენ ღარიბმა, ცუდად აღზრდილმა, უმეცარმა, ხანდახან ესოდენ ტლანქმა ქცევასა და მიმოხვრაში?»

ერთ ღამეს ბავშვი ძლიერ ცუდად გახდა. დილის ორ საათზე მის დასახედად ბ. დე რენალი შევიდა. ციებ-ცხელებისაგან აცახცახებული ბავშვი საშინლად გაწითლებულიყო და ვერ იცნო მამა. უცებ ქალბატონი დე რენალი მუხლებში ჩაუვარდა ქმარს. ჟიულიენმა იფიქრა, იგი ყოველივეს იტყვის და სამუდამოდ დაიღუპავს თავსო.

საბედნიეროდ, ამ მუხლის მოდრეკამ გააღიზიანა ბ. დე რენალი.

_ მშვიდობით, მშვიდობით, _ თქვა მან და გარეთ გასვლა დააპირა.

_ არა, მომისმინე, _ შეევედრა ცოლი, რომელიც დაჩოქილი იყო მის წინაშე და ცდილობდა შეეჩერებინა, _ გაიგე მთელი ჭეშმარიტება. მე ვარ ჩემი ვაჟის მკვლელი, მე მივეცი მას სიცოცხლე და მევე ვართმევ. ზეცა ამისათვის მსჯის; ღვთის წინაშე მე კაცის მკვლელობაში ვარ დამნაშავე. მე თვით უნდა დავიღუპო და დავიმცირო თავი; შეიძლება ამ მსხვერპლმა დაამშვიდოს ღმერთი.

ბატონი დე რენალი რომ ფანტაზიით აღჭურვილი ადამიანი ყოფილიყო, იგი ყველაფერს მიხვდებოდა.

_ რომანტიკული იდეებია, _ წამოიძახა მან და შეეცადა მოეშორებინა ცოლი, რომელიც ცდილობდა მუხლებზე მოხვეოდა, _ ყოველივე ეს რომანტიკული იდეებია! ჟიულიენ, გათენებისთანავე ექიმი მოაყვანინეთ, _ და დასაძინებლად გავიდა. ქალბატონი დე რენალი მიწაზე დაემხო ნახევრად გულწასული. იგი ხელების ცახცახით თავიდან იშორებდა ჟიულიენს, რომელიც ცდილობდა მიშველებოდა.

ჟიულიენი სახტად დარჩა.

«აი, რას ნიშნავს ცოლქმრული ღალატი! _ ფიქრობდა იგი, _ განა შესაძლებელია, რომ ეს ცუღლუტი ხუცები მართალი იყვნენ? განა შესაძლებელია, რომ იმას, ვინც ამდენ ცოდვას სჩადის, უპირატესობა ჰქონდეს ცოდვის ნამდვილი თეორიის ცოდნაში? რა ახირებული ამბავია...»

უკვე ოცმა წუთმა განვლო ბ. დე რენალის წასვლის შემდეგ, მაგრამ ჟიულიენი ხედავდა, რომ მისი საყვარელი ქალი, თავით დაყრდნობილი ბავშვის პატარა საწოლზე, არ ინძრეოდა და თითქმის გრძნობადაკარგული იყო. «აი, საუცხოო გონების ქალი, რომელიც ყოვლად უბედური გახდა იმიტომ, რომ მე გამიცნო, _ გაიფიქრა ჟიულიენმა. _ საათები ჩქარა მიქრიან. რით შემიძლია ვანუგეშო? უნდა გადავწყვიტო, საქმე ახლა მე როდი შემეხება. რა მნიშვნელობა აქვს ჩემთვის ადამიანებსა და მათ უხამს მანჭიობას? რის

გაკეთება შემიძლია თვით ამ ქალისთვის? მივატოვო? მაგრამ მაშინ იგი მარტოდმარტო დარჩება თავისი აუტანელი ტანჯვით. ეს ავტომატი, მისი ქმარი, ვნების მომტანი უფროა, ვიდრე სარგებლობისა. ბუნებით ტლანქია და ალბათ, ტლანქ სიტყვებს ეტყვის; შეიძლება ქალი გაგიჟდეს და ფანჯრიდან გადავარდეს. თუ მარტო დავტოვე, თვალყური თუ არ ვადევნე, ქმარს ყველაფერს გაუმხელს. და ვინ იცის, შეიძლება მემკვიდრეობის მიუხედავად, რომელიც მან თავის ქმარს უნდა მოუტანოს, ამ უკანასკნელმა ალიაქოთი ატეხოს. ღმერთო ჩემო, მას შეუძლია ყველაფერში გამოუტყდეს აბატ მასლონს, რომელიც ექვსი წლის ბავშვის ავადმყოფობით სარგებლობს, რათა ფეხი აღარ დაძრას ამ სახლიდან, და ამას, რასაკვირველია, განზრახ სჩადის. თავისი ტანჯვისა და ღვთის შიშის გამო ეს ქალი ივიწყებს ყოველივეს, რაც ამ ადამიანის შესახებ იცის; მასში ვერაფერს ხედავს, გარდა მღვდლისა».

_ წადი აქედან! _ უთხრა მას უცებ ქალბატონმა დე რენალმა და თვალები გაახილა.

_ მე მზად ვარ ათასჯერ გავწირო სიცოცხლე, რათა გავიგო, რა არის შენთვის ყველაზე უფრო სასარგებლო, _ უპასუხა ჟიულიენმა, _ არასოდეს ასე არ მყვარებიხარ, ჩემო ძვირფასო ანგელოზო, ან უკეთ, მხოლოდ ამ წუთიდან ვიწყებ შენს გაღმერთებას ისე, როგორც ამის ღირსი ხარ. რა მომივა, თუ იმ შეგნებით მოგშორდი, რომ უბედურს გტოვებ, მაგრამ ნუ ვილაპარაკებთ ჩემს ტანჯვაზე. ჰო, მე წავალ, ჩემო სიყვარულო, მაგრამ თუ დაგტოვე, თუ მე აღარ გითვალთვალე, შენსა და შენს ქმარს შორის აღარ ვიქენი, შენ მას ყველაფერს ეტყვი, თავს დაიღუპავ. იცოდე, იგი სამარცხვინოდ გაგაგდებს სახლიდან. მთელი ვერიერი, მთელი ბეზანსონი ამ სკანდალის შესახებ ილაპარაკებს. მთელ ბრალს შენ მოგახვევენ თავზე; ვერასოდეს თავს ვეღარ ასწევ ამ შერცხვენის შემდეგ...

_ მეც სწორედ ეგ მინდა, _ წამოიძახა ქალმა და ფეხზე წამოდგა, _ მით უკეთესი, თუ დავიტანჯები.

_ მაგრამ ამ საშინელი სკანდალით შენ მასაც გააუბედურებ.

_ სამაგიეროდ თავს დავიმცირებ, ტალახში ამოვისვრები და შეიძლება ამით ჩემი ვაჟი გადავარჩინო. ეს თავის დამცირება, რომელიც ყველას დასანახად მოხდება, საჯარო სასჯელი იქნება. რამდენადაც ჩემი სუსტი გონებით შემიძლია განვსაჯო, ეს უდიდესი მსხვერპლია, რომელიც შემიძლია ღმერთს შევწირო... შეიძლება მან ღირსმყოს, ჩემი დამცირება შეიწყნაროს და შვილი მაჩუქოს! მაჩვენე სხვა უფრო მძიმე მსხვერპლი და მე მას მივმართავ.

_ ნება მომეცი თავი დავისაჯო. მეც დამნაშავე ვარ. ხომ არ გსურს ტრაპისტების ორდენში* შევიდე? მათი ცხოვრების სიმკაცრეს შეუძლია შენი ღმერთი დაამშვიდოს... აჰ, ზეცავ, ნეტავი სტანისლავის სენი მე შემეყრებოდეს!..

_ აჰ! შენ გიყვარს იგი? _ წამოიძახა ქალბატონმა დე რენალმა, წამოვარდა და გადაეხვია ჟიულიენს, მაგრამ იმავე წუთში შეძრწუნებულმა ხელი ჰკრა.

_ მე შენი მწამს, მე მწამს შენი, _ განაგრძო ქალმა და ხელახლა მუხლებზე დაეცა: _ ოჰ, ჩემო ერთადერთო მეგობარო! რატომ სტანისლავის მამა არა ხარ! მაშინ საშინელი ცოდვა არ იქნებოდა, რომ შენ უფრო მყვარებოდი, ვიდრე შენი შვილი.

_ ნებას მომცემ თუ არა აქ დავრჩე ისე, რომ ამიერიდან მხოლოდ დაძმური სიყვარულით მიყვარდე? ეს ერთადერთი გონიერი შენანიება იქნებოდა: ამას შეეძლო უზენაესის რისხვა დაემშვიდებია.

_ განა მე შემიძლია, _ წამოიძახა ქალმა, ფეხზე წამოვარდა, ჟიულიენის თავი ხელებში დაიჭირა და თვალებში ჩააცქერდა, _ შენ დაძმური სიყვარულით მიყვარდე?

ჟიულიენი ცრემლებს აფრქვევდა.

_ დაგემორჩილები, _ თქვა მან და ქალის ფეხებთან დაეცა, _ შევასრულებ, რაც უნდა მიბრძანო; მეტი არაფერი დამრჩენია, გონება მებნევა, სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ. რომ მიგატოვო, ყოველივეს გაუმხელ ქმარს; თავსაც დაიღუპავ და მასაც დაღუპავ. ასეთი შერცხვენის შემდეგ ვერასოდეს დეპუტატი ვერ გახდება. მაგრამ თუ აქ დავრჩი, ვაჟის სიკვდილის მიზეზად ჩამთვლი და მწუხარება გადაგიტანს. გინდა ვცადოთ, რა გავლენას მოახდენს ჩემი წასვლა? თუ გინდა ჩვენი შეცოდებისთვის თავს დავისჯი იმით, რომ ერთი კვირით გაგშორდები. ამ დროს იქ გავატარებ, სადაც შენ გსურს, მაგალითად, ბრელეჰოს სააბატოში. მაგრამ შემომფიცე, რომ ჩემი აქ არყოფნის დროს არაფერში არ გამოუტყდები ქმარს. გახსოვდეს, თუ რამე წამოგცდა, მე უკან ვეღარ დავბრუნდები.

ქალი დათანხმდა, ვაჟი გაემგზავრა, მაგრამ ორი დღის შემდეგ უკან იქნა გამოწვეული.

_ ჩემთვის შეუძლებელია აღთქმის შესრულება, თუ შენ აქ არ იქენი. მე ყველაფერს ვუამბობ ქმარს, თუ მუდამ გვერდით არ მეყოლე და შენი შეხედვით არ მიბრძანე, დაჩუმდიო. ამ შემაძრწუნებელი სიცოცხლის ყოველი საათი მთელ დღედ მომეჩვენება.

ბოლოს, ზეცამ შეიბრალა ეს უბედური დედა. სტანისლავი თანდათან გამოკეთდა. მაგრამ ყინული გალხობილი იყო; ქალს უკვე შეგნებული ჰქონდა თავისი ცოდვის მთელი სიმძიმე, აღარ შეეძლო სულიერი წონასწორობის აღდგენა, სინიდისის ქენჯნა შერჩა და მან

ის ძალა შეიძინა, რომელიც ამ ესოდენ გულწრფელი ქალის გულში უნდა ჰქონოდა. მისი ცხოვრება ხან სამოთხე იყო, ხან ჯოჯოხეთი: ჯოჯოხეთი, როცა იგი ჟიულიენს ვერ ხედავდა, სამოთხე, როცა იგი მის ფეხებთან იყო გართხმული.

_ მე აღარავითარი ილუზიები აღარა მაქვს, _ ეუბნებოდა ქალი ვაჟს იმ წუთებშიაც, როცა იგი ბედავდა თავდავიწყებით მისცემოდა სიყვარულს: _ მე შეჩვენებული, საბოლოოდ შეჩვენებული ვარ. შენ ახალგაზრდა ხარ, შენ მე მოგხიბლე. შეიძლება ზეცამ შენ გაპატიოს: მე კი შეჩვენებული ვარ. ამის უტყუარი ნიშნები მაქვს. მეშინია. და განა ვის არ შეეშინდება ჯოჯოხეთის დანახვისა? მაგრამ გულის სიღრმეში არა ვნანობ. მე ხელახლა ჩავიდენდი ჩემს შეცოდებას, საჭირო რომ ყოფილიყო. მხოლოდ დაე ზეცა ბავშვს ნუ წამართმევს და ჩემი დანაშაულისათვის ნუ დამსჯის. ამაზე მეტი მადლის ღირსი არა ვარ. მაგრამ შენ ხომ მაინც ბედნიერი ხარ, ჩემო ჟიულიენ? ხედავ თუ არა, როგორ მიყვარხარ?

ჟიულიენის ურწმუნოებამ და ავადმყოფურმა სიამაყემ, რომელნიც სიყვარულისაგან მსხვერპლს მოითხოვდნენ, ვერ გაუძლეს ასეთი დიდი, ასეთი უეჭველი, ასეთი ხშირი მსხვერპლის სანახაობას. იგი აღმერთებდა ქალბატონ დე რენალს. «თუმცა კეთილშობილი ქალია, ხოლო მე მუშის შვილი ვარ, მაინც ვუყვარვარ... მე მის თვალში არა ვარ უბრალო ლაქია, რომელიც საყვარლის როლს ასრულებს».

რაკი ეს შიში აღარ აწუხებდა, ჟიულიენი გადავარდა სიყვარულის სიგიჟეში, მის მომაკვდინებელ მერყეობაში რწმენასა და ურწმუნოებას შორის.

_ ყოველ შემთხვევაში, _ ამბობდა ქალი, _ როცა ხედავდა, რომ ვაჟს ეჭვი ჰქონდა მის სიყვარულში, _ მე შენ სრულიად ბედნიერს გაგხდი იმ ცოტა ხნის განმავლობაში, რომელიც ჩვენ ერთად უნდა გავატაროთ! დროს ნუ დავკარგავთ: შეიძლება ხვალ შენი აღარ ვიყო. თუ ღმერთმა ბავშვები წამართვა, ვეღარ შევძლებ შენი სიყვარულით ვიცოცხლო, არ ვირწმუნო, რომ ისინი ჩემმა დანაშაულმა მოკლა. მე ვერ ავიტანდი ამ უბედურებას. და თუნდაც მომენდომებია, გავგიჟდებოდი. აჰ, რატომ არ შემიძლია შენი ცოდვაც ვიკისრო; აკი შენ სულგრძელად ნატრობდი, სტანისლავის ციებ-ცხელება თავად გეტვირთა.

ამ დიდმა ზნეობრივმა კრიზისმა შესცვალა იმ გრძნობის ბუნება, რომელიც ჟიულიენს აკავშირებდა მის სატრფოსთან. მისი სიყვარული აღარ წარმოადგენდა მხოლოდ აღტაცებას ამ ქალის სილამაზის წინაშე, სიამაყეს მისი დაპყრობის გამო.

მათი ბედნიერება ამიერიდან უფრო ამაღლებული გახდა; ცეცხლი, რომელიც მათ სწვავდა, უფრო აღიგზნო. ხანდახან მათი აღტაცება სიგიჟეში გადადიოდა. გარეშეებს

შეიძლებოდა ჩვენებოდათ, ისინი წინანდელზე უფრო ბედნიერები არიანო. მაგრამ ისინი ვეღარ პოულობდნენ უწინდელი სიყვარულის საუცხოო სინათლეს, უღრუბლო ნეტარებას, მსუბუქ ბედნიერებას, როცა ქალბატონ დე რენალს მხოლოდ ერთადერთი რამ აშინებდა _ ვაითუ ჟიულიენს საკმაოდ არ ვუყვარვარო. ახლა მათი სიყვარული ხშირად დანაშაულს ჰგავდა.

უბედნიერეს და გარეგნულად თითქო უმშვიდეს წუთებში ქალბატონი დე რენალი ცახცახით ხელს უჭერდა ჟიულიენს და უცებ წამოიძახებდა; _ აჰ, ღმერთო, ჯოჯოხეთს ვხედავ. რა საშინელ ტანჯვას განვიცდი! მე ეს დავიმსახურე. _ და ქალი ვაჟს ისე ეკვროდა, როგორც სურო კედელს.

ჟიულიენი ამაოდ ცდილობდა დაეშოშმინებინა ეს აღელვებული სული. ხელს სჭიდებდა მის ხელს და მხურვალედ კოცნიდა. შემდეგ ვაჟიც პირქუში და ჩაფიქრებული ხდებოდა.

_ ჯოჯოხეთი მოწყალება იქნებოდა ჩემთვის, _ ამბობდა ქალი: _ მე კიდევ რამდენიმე დღეს შენთან გავატარებდი ამ ქვეყანაზე; ჩემი ბავშვების სიკვდილი კი სააქაო ჯოჯოხეთი იქნებოდა... მაგრამ ამ ფასის სანაზღაუროდ შეიძლება ჩემი დანაშაული მეპატიოს... აჰ, ღმერთო ძლიერო! ამ ფასს ნუ მომთხოვ შენი წყალობის მისაღებად. ამ საბრალო ბავშვებს შენთვის არაფერი უწყენინებიათ; მე, მარტო მე ვარ დამნაშავე: მე მიყვარს მამაკაცი, რომელიც ჩემი ქმარი არ არის.

შემდეგ ჟიულიენი ხედავდა, რომ ქალბატონი დე რენალი თითქო ცოტათი მშვიდდებოდა. ქალი ცდილობდა თავი დაეჭირა: არ უნდოდა სიცოცხლე მოეწამლა ადამიანისთვის, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

სიყვარულის, სინიდისის ქენჯნის და სიამოვნების ამ ცვალებადობაში დღეები მათთვის ელვის სისწრაფით მირბოდნენ. ჟიულიენმა დაკარგა დაფიქრების და მსჯელობის უნარი.

ელიზა რამდენიმე დღით ვერიერში წავიდა, რათა დასწრებოდა პატარა პროცესს, რომელიც იქ ირჩეოდა. მან შეამჩნია, რომ ბ. ვალნო საშინლად გაბრაზებული იყო ჟიულიენზე. ამ ქალს სძულდა ჟიულიენი და ბ. ვალნოს ხშირად ელაპარაკებოდა მის შესახებ.

_ თქვენ დამღუპავთ, ბატონო, თუ სიმართლე გითხარით! _ უთხრა მან ერთ დღეს ბ. ვალნოს. _ მნიშვნელოვან საკითხებში ბატონები ადვილად თანხმდებით ურთიერთს

შორის... ზოგირთი რამის გამჟღავნებას არასოდეს არ აპატიებთ საბრალო მოსამსახურეებს...

ამ ჩვეულებრივი ფრაზების შემდეგ, რომელთა შესამოკლებლად მოთმინებიდან გამოსულმა და დაინტერესებულმა ვალნომ ერთგვარი ხელოვნება გამოიჩინა, ამ მამაკაცმა ისეთი ამბები გაიგო, რომელიც მომაკვდინებელი იყო მისი თავმოყვარეობისთვის.

ეს ქალი, რომელიც ყველაზე მომხიბლავი იყო ამ კუთხეში და რომელსაც იგი ექვსი წლის განმავლობაში, საუბედუროდ, მთელი ქვეყნის დასანახად ასეთი მზრუნველობით ეპყრობოდა, ეს ამაყი ქალი, რომლის ათვალწუნებულ მოპყრობას იგი არაერთხელ გაუწითლებია, საყვარლად იყვანდა მასწავლებლად გადაცმულ უბრალო მუშას. ცეცხლზე ნავთს ასხამდა ის ამბავი, რომ ქალბატონი დე რენალი თურმე აღმერთებდა თავის სატრფოს.

_ ჟიულიენს კი თავიც არ შეუწუხებია ამ გამარჯვების მოსაპოვებლად; იგი ჩვეულებისამებრ ცივია ქალბატონის მიმართ, _ ოხვრით ამბობდა მოსამსახურე ქალი.

ელიზა ყოველივე ამაში მხოლოდ სოფელში ყოფნის დროს დარწმუნდა, მაგრამ იგი ფიქრობდა, რომ ამ სიყვარულის ქსელი ბევრად უფრო ადრე გაიხლართა. «უეჭველია ამის გამო მოხდა, რომ მან უარი მითხრა შერთვაზე. მე კი იმდენად სულელი ვიყავი, რომ ქალბატონ დე რენალს ვთხოვე ჟიულიენს მოლაპარაკებოდა!»

იმავე საღამოს ბატონმა დე რენალმა ქალაქიდან გაზეთთან ერთად მიიღო გრძელი ხელმოუწერელი წერილი, სადაც მას დაწვრილებით ატყობინებდნენ, თუ რა ხდებოდა მის ოჯახში. ჟიულიენმა შეამჩნია, რომ იგი ჯერ გაფითრდა, როცა ამ მოლურჯო ქაღალდზე დაწერილ წერილს კითხულობდა, შემდეგ მას გადახედა ბოროტი გამომეტყველებით. მთელი საღამო ბ. ქალაქის მერი მეტად ცუდ გუნებაზე იყო; ჟიულიენი ამაოდ ელაქუცებოდა მას, ამაოდ ეკითხებოდა ბურგუნდიის საუკეთესო ოჯახების გენეალოგიის შესახებ.

XX

ხელმოუწერელი წერილები

> ზედმეტს თავისუფლებას ნუ მისცემთ სიყვარულს; უძლიერესი ფიცი ჩალას ჰგავს სისხლის ხანძარში.
>
> **შექსპირი, «ქარიშხალი»**

როცა შუაღამისას სასტუმრო ოთახიდან გამოდიოდნენ, ჟიულიენმა დრო იხელთა და წასჩურჩულა თავის სატრფოს:

_ ამაღამ ერთმანეთს ნუ შევხვდებით, შენს ქმარს ეჭვი აქვს აღებული; მზად ვარ დავიფიცო, რომ გრძელი წერილი, რომელსაც იგი ოხვრით კითხულობდა, უსახელო წერილია.

საბედნიეროდ, ჟიულიენი გასაღებით კეტავდა თავის ოთახს. ქალბატონ დე რენალს თავში გიჟური აზრი მოუვიდა, ეს გაფრთხილება მხოლოდ საბაბია, რომ ამაღამ თავის ოთახში შესვლა ამიკრძალოსო. ქალმა სრულიად თავგზა დაკარგა და დათქმულ ჟამს იგი ვაჟის კარებს მიადგა. ჟიულიენმა ხმაურობა გაიგონა დერეფანში და მაშინვე ლამპა ჩააქრო. ვიღაც მის კარის გაღებას შეეცადა. ვინ უნდა ყოფილიყო ეს, ქალბატონი დე რენალი თუ ეჭვიანი ქმარი?

მეორე დღეს გათენებისთანავე მზარეულმა ქალმა, რომელიც ჟიულიენს მფარველობდა, წიგნი მოუტანა; გარეკანზე მან შემდეგი სიტყვები ამოიკითხა იტალიურად დაწერილი: Guardate alla pagina 130 (ჩაიხედეთ 130-ე გვერდზე).

ჟიულიენი აათრთოლა ამ გაუფრთხილებლობამ. 130 გვერდი გადაშალა და იქ შემდეგი წერილი აღმოაჩინა ქინძისთავით მიბნეული, საჩქაროდ დაწერილი, ცრემლებით დასველებული; მართლწერის კანონები სრულიად არ იყო დაცული; ჩვეულებრივ, ქალბატონი დე რენალი სწორად წერდა; ვაჟს გული აუჩუყა ამ წვრილმანმა და თითქმის დაავიწყდა ქალის გაუფრთხილებლობა.

«შენ ჩემი მიღება არ ისურვე ამ ღამით. არის წუთები, როცა მგონია, რომ არასოდეს არ ჩამიხედნია შენი სულის სიღრმეში. შენი თვალები მაძრწუნებენ. მე მეშინია შენი. ღმერთო დიდებულო! ნუთუ არასოდეს არ გყვარებივარ? თუ ეს ასეა, დაე ჩემმა ქმარმა გაიგოს ჩემი სიყვარულის ამბავი, დაე მან სატუსაღოში ჩამამწყვდიოს სამუდამოდ, სოფელში გამგზავნოს, მოშორებით ჩემი ბავშვებისაგან. შეიძლება ღმერთს ასე სურდეს. მე ჩქარა მოვკვდებოდი. მაგრამ შენი ბრალი იქნება ყოველივე.

აღარ გიყვარვარ? მოგწყინდა ჩემი სიგიჟე, ჩემი სინიდისის ქენჯნა, შენ ურჯულოვ? გინდა დამღუპო? ამისთვის უადვილეს საშუალებას გასწავლი. წადი და ეს წერილი მთელ ვერიერს ანახე ან უკეთ მარტო ბ. ვალნოს წააკითხე. უთხარი, რომ მიყვარხარ; მაგრამ არა, ასეთს ღვთის გმობას ნუ წარმოთქვამ; უთხარი, რომ გაღმერთებ, რომ ცხოვრება ჩემთვის მხოლოდ იმ დღიდან დაიწყო, როცა შენ დაგინახე; რომ ჩემი ახალგაზრდობის ყველაზე

გიჟურ წუთებში მე არასოდეს არ მიოცნებია იმ ბედნიერებაზე, რომელიც შენ მომანიჭე; რომ მე სიცოცხლე შემოგწირე და ახლა ჩემს სულსაც გწირავ. შენ იცი, რომ შენი გულისთვის უფრო დიდ მსხვერპლსაც გავიღებ.

მაგრამ რა ესმის მსხვერპლისა ამ მამაკაცს? უთხარი მას, უთხარი, რათა გააღიზიანო, რომ მე არაფრად ვაგდებ ბოროტ ადამიანებს და ჩემთვის ამქვეყნად მხოლოდ ერთადერთი უბედურება არსებობს, ესაა ცვლილების დანახვა იმ მამაკაცში, რომელიც სიცოცხლეს მაკავშირებს. რა ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის, რომ ამ სიცოცხლეს გამოვეთხოვებოდე, მის მსხვერპლად მიტანას შევძლებდე, რომ შიში აღარ მექნებოდეს, ჩემს ბავშვებს რამე მოუვათ-მეთქი!

დარწმუნებული იყავით, ძვირფასო მეგობარო, რომ თუ ხელმოუწერელი წერილი მართლაც არსებობს, იგი გამოგზავნილია იმ საზიზღარი კაცის მიერ, რომელიც ექვსი წელიწადია თავს მაბეზრებს თავისი ბოხი ხმით, თავისი ცხენოსნობის შექებით, თავისი ქარაოცობით და თავის ღირსებათა დაუსრულებელი გამოფენით.

არსებობს კი ხემოუწერელი წერილი? ბოროტო, აი, რის შესახებ მინდოდა მომელაპარაკნა შენთან; მაგრამ არა, შენ კარგად მოიქეცი. ვინ იცის, იქნებ უკანასკნელადაც გიკრავ მკერდზე, მე არ შემიძლია ისე გულგრილად ვიმსჯელო, როგორც ვიმსჯელებდი, მარტო რომ ვყოფილიყავი. ამ წუთიდან ჩვენი ბედნიერება აღარ იქნება წინანდებურად შეუმღვრეველი. გულს გატკენს თუ არა ეს თქვენ? ჰო, შეიძლება გულისტკივილი იგრძნო იმ დღეებში, როცა ბ. ფუკესაგან რაიმე საინტერესო წიგნს არ მიიღებთ. მსხვერპლი გაღებულია: ხვალ, სულ ერთია არსებობს უსახელო წერილი თუ არა, მეც ვეტყვი ჩემს ქმარს, რომ უსახელო წერილი მივიღე და საჭიროა რაიმე საპატიო საბაბის გამონახვა, რათა შენ დაუყოვნებლივ მშობლებთან დაგაბრუნოთ.

სამწუხაროდ, ძვირფასო მეგობარო, ჩვენ ორი კვირით, შეიძლება ერთი თვითაც გავშორდეთ ერთმანეთს! იცოდე, მჯერა, რომ შენ ჩემზე ნაკლებ არ გაიტანჯები. მაგრამ ეს ერთადერთი საშუალებაა ამ ხელმოუწერელი წერილის გასაბათილებლად; იგი არაა პირველი წერილი, რომელიც ჩემმა ქმარმა მიიღო, წინანდელებიც მე მეხებოდა. ეჰ, რამდენი მიცინია მათ გამო.

ჩემი მიზანია ქმარი დავარწმუნო, რომ იგი ვალნოს დაწერილია; ეჭვი არ მაქვს, რომ იგია მისი ავტორი. თუ აქედან წახვალ, უსათუოდ ვერიერში მოეწყვე; მე მოვახერხებ, რომ ჩემმა ქმარმა ორიოდე კვირა იქ გაატაროს, რათა უჭკუო ადამიანებს დაუმტკიცოს, რომ მასსა და ჩემს შორის შავ კატას არ გაუვლია. რაკი ვერიერში მოხვდები, შეეცადე

მეგობრული კავშირი იქონიო ყველასთან, თვით ლიბერალებთან. მე ვიცი, ეს ქალბატონები შენთან დაახლოებას მოისურვებენ.

არ იფიქრა ვალნოსთან წაჩხუბება ან მისთვის ყურების დაჭრა, როგორც ერთხელ თქვი; პირიქით, რაც შეიძლება თავაზიანად მოეპყარი. თავი და თავი ისეა, რომ ვერიერში ხმა გავრცელდეს, თითქო შენ ვალნოსთან ან სხვა ვინმესთან აპირებდე დადგომას ბავშვების აღსაზრდელად.

ამას კი ჩემი ქმარი ვერავითარ შემთხვევაში ვერ აიტანს. თუ ამას შეურიგდა, ძალიან კარგი! ყოველ შემთხვევაში შენ ვერიერში იცხოვრებ და ხანდახან მაინც შეგხვდები; ჩემი ბავშვები, რომელთაც ასე ძლიერ უყვარხარ, ივლიან შენს სანახავად. ღმერთო ჩემო, მე ვგრძნობ, რომ უფრო მეტად მიყვარს ჩემი ბავშვები, იმიტომ, რომ მათ შენ უყვარხარ. ოჰ, რა სინიდისის ქენჯნას განვიცდი! რით დასრულდება ყოველივე ეს?.. თავგზა მებნევა... ერთი სიტყვით, გესმის როგორ უნდა მოიქცე; იყავი თავმდაბალი, ზრდილობიანი, ზიზღს ნუ გამოიჩენ ამ ტლანქი ადამიანებისადმი, მუხლმოდრეკილი გემუდარები, ბოლოს ისინი გადაწყვეტენ ჩვენს ბედ-იღბალს. დარწმუნებული იყავი, რომ ჩემი ქმარი ისე მოიქცევა, როგორც საზოგადოებრივი აზრი უკარნახებს.

შენ ხელმოუწერელი წერილი უნდა გამომიგზავნო. შეიარაღდი მოთმინებითა და პატარა მაკრატლით. ამოჭერი წიგნიდან სათანადო სიტყვები და დააწებე მოცისფრო ქაღალდზე, რომელსაც გიგზავნი: იგი ვალნოსაგან მაქვს მიღებული. შეიძლება შენი ოთახი გაჩხრიკონ. ამიტომ დაწვი ეს წიგნი. თუ მთელი სიტყვები ვერ გამონახე, ნუ დაიზარებ და ასო-ასო შეადგინე. შენი შრომის შესამსხუბუქებლად ხელმოუწერელი წერილი მოკლედ შეგიდგინე. ეჰ, თუ აღარ გიყვარვარ, როგორც მე ვშიშობ თავს გამოვუტყდე, რა გრძლად მოგეჩვენება ჩემი წერილი?!

ხელმოუწერელი წერილი

«ქალბატონო, ყველა თქვენი ოინი გამოაშკარავებულია, მაგრამ ადამიანები, რომელთაც ეს თქვენი საქციელი ზიანს აყენებს, გაფრთხილებული არიან. თქვენი კეთილისმდომელი ვარ და გირჩევთ სრულიად ჩამოშორდეთ ახალგაზრდა გლეხს. თუ საკმაო კეთილგონიერებას გამოიჩენთ და ამას შეასრულებთ, თქვენი ქმარი იფიქრებს, რომ მის მიერ მიღებული ცნობა ტყუილია და იგი თავის შეცდომის ანაბარა დარჩება. დაფიქრდით, რომ მე ვიცი თქვენი საიდუმლოება; თრთოდეთ, უბადრუკო; ამჟამად უკანა ფეხებზე უნდა იაროთ ჩემს წინაშე».

როგორც კი გაათავებ იმ სიტყვების დაწებებას (იცანი თუ არა დირექტორის ლაპარაკის მანერა?), სახლიდან გამოდი; მე შენ შეგხვდები.

სოფელში წავალ და დაღონებული დავბრუნდები; მართლაც, ძლიერ დაღონებული ვიქნები. ღმერთო ჩემო, რას არ ვბედავ, მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მოგეჩვენა, თითქო ხელმოუწერელი წერილი მოსულიყოს. მე დაღვრემილი სახით ჩემს ქმარს გადავცემ ამ წერილს, რომელიც ვითომ ვიღაც უცნობმა მომაწოდა. შენ ბავშვებითურთ სასეირნოდ წადი დიდი ტყის გზაზე და მხოლოდ სადილობის დროს დაბრუნდი.

კლდის მწვერვალიდან შეგიძლია სამტრედეს კოშკი დაინახო: თუ ჩვენი საქმე კარგად წავიდა, იქ თეთრ ცხვირსახოცს მივაკრავ; წინააღმდეგ შემთხვევაში იქ არაფერი იქნება.

ნუთუ შენი გული, უმადურო, არ გიკარნახებს რაიმე საშუალებას, სასეირნოდ წასვლამდე მითხრა, რომ გიყვარვარ? რაც უნდა მოხდეს, ერთ რამეში დარწმუნებული იყავი: ერთ დღესაც არ ვიცოცხლებ, თუ ერთმანეთს საბოლოოდ გავშორდით. აჰ, რა საძაგელი დედა ვარ! მაგრამ ეს ამაო სიტყვებია, ძვირფასო ჟიულიენ. მე მათ არ ვგრძნობ; მე არ შემიძლია ამ წუთში სხვა რამეზე ვიფიქრო შენს გარდა, ეს სიტყვები მხოლოდ იმისთვის დავწერე, რომ შენ არ გამკიცხო. ახლა, როცა ვხედავ, რომ შეიძლება დაგკარგო, რაღა საჭიროა კუკუმალულობია? ჰო, დაე, ჩემი სული მკაცრად გეჩვენებოდეს, მაგრამ მე ტყუილს ვერ ვეტყვი ადამიანს, რომელსაც ვაღმერთებ! ისედაც ბევრი ვიცრუე ცხოვრებაში. იცოდე, გაპატიებ, თუ აღარ გიყვარვარ. დრო აღარ მაქვს ხელახლა გადავიკითხო ჩემი წერილი. მე უმნიშვნელო საზღაურად მიმაჩნია, რომ ჩემი სიცოცხლის ფასით გადავიხადო ის ბედნიერი დღეები, რომელნიც შენს მკერდზე გავატარე. ვიცი, ეს დღეები უფრო ძვირად დამიჯდება».

XXI

დიალოგი მბრძანებელთან

ამის მიზეზი ვართ არა ჩვენ, არამედ ჩვენი
სუსტი ბუნება, ვინაიდან ჩვენ ისეთნი ვართ,
როგორადაც გაგვაჩინა არსთა გამრიგემ.

შექსპირი, «მეთორმეტე ღამე»

მთელი ერთი საათი ჟიულიენი ბავშვური გატაცებით აგროვებდა ამ სიტყვებს. როცა იგი ოთახიდან გამოდიოდა თავის მოწაფეებს და მათს დედას შეხვდა; ქალმა წერილი უბრალოდ და გაბედულად გამოართვა, მისმა გულგრილობამ ვაჟი შეაშინა.

_ წებო საკმაოდ გამშრალია? _ ჰკითხა ქალმა.

«ნუთუ ეს იგივე ქალია, რომელიც სინანულმა კინაღამ ჭკუაზე შეაცდინა? _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ რა განზრახვები აქვს ამ წუთში? ისე ამაყი იყო, რომ ამას ვერ ჰკითხავდა; მაგრამ შეიძლება ქალი არასოდეს ასე არ მოსწონებია.

_ თუ საქმე ცუდად შეტრიალდა, _ დაუმატა ქალმა იმავე გულგრილობით, _ ყველაფერს წამართმევენ. ეს ნივთი მიწაში ჩაჰფალით სადმე მთაში. შეიძლება ოდესმე იგი ჩემი ერთადერთი საცხოვრებელი სახსარი იქნეს.

ქალმა მას მინის ყუთი გადასცა, რომელსაც წითელი ტარსიკონის ბუდე ჰქონდა: იგი ოქროთი და ალმასებით იყო სავსე.

_ ახლა გზას გაუდექით, _ უთხრა მან.

შემდეგ ბავშვებს აკოცა, უმცროსს _ ორჯერ. ჟიულიენი უძრავად იდგა. ქალი ჩქარი ნაბიჯით გაშორდა ისე, რომ უკანაც არ მოუხედნია.

იმ წუთიდან, როცა ხელმოუწერელი წერილი გახსნა, ბ. დე რენალის ყოფა აუტანელი გახდა. იგი ასე აღელვებული არ ყოფილა იმ დუელის შემდეგ, რომელიც კინაღამ შედგა 1816 წელს; სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ მაშინ ტყვიის მოხვედრის შესაძლებლობა მას ნაკლებ უბედურებად ეჩვენებოდა. იგი წერილს იკვლევდა ყოველი მიმართულებით. «შეიძლება ეს ქალის ხელი იყოს, _ ფიქრობდა ის. _ თუ ასეა, რომელმა ქალმა დაწერა?» ყველა ნაცნობი ქალი გაიხსენა ვერიერში, მაგრამ ეჭვი ვერავისზე შეაჩერა. მამაკაცის ნაკარნახევი ხომ არ იყო წერილი? ვინაა ეს მამაკაცი? ესეც გაურკვეველი იყო; უეჭველია ნაცნობი მამაკაცების უმრავლესობა შურითა და სიძულვილით უცქეროდა მას. «ჩემს ცოლს უნდა მოველაპარაკო», გაიფიქრა ძველი ჩვეულების მიხედვით და სავარძლიდან წამოდგა.

_ ღმერთო ჩემო, _ წამოიძახა მან და თავზე ხელი მიირტყა, _ უწინარეს ყოვლისა, სწორედ მას უნდა ვუფრთხოდე; იგი ჩემი მტერია ამ წუთში _ და სიბრაზით ცრემლები წამოუვიდა.

იგი სამართლიანად იყო დასჯილი იმ გულცივობისათვის, რომელიც ერთადერთ სიბრძნეს წარმოადგენს პროვინციაში, და ამ წუთში მისი უახლოესი მეგობარი მხოლოდ ორი ადამიანი იყო, რომელთაც ის ყველაზე მეტად უფრთხოდა.

«მათ გარდა, შეიძლება კიდევ ათიოდე მეგობარი მყავდეს!» ისინი ცალ-ცალკე ჩამოთვალა და დააფასა ის ნუგეში, რომელიც შეეძლო თითოეული მათგანისგან მიეღო. «ოჰ, ყველას, ყველას, _ წამოიძახა გააფთრებით, _ ჩემი საშინელი უბედურება დიდ სიამოვნებას მიანიჭებს!» საბედნიეროდ, მას სწამდა რომ ყველას შურდა მისი მდგომარეობა და საფუძველიც ჰქონდათ ამისათვის. გარდა თავისი საუცხოო ქალაქის სახლისა, რომელიც მეფემ სამუდამოდ გააბედნიერა იქ ღამის გათევით, მან მშვენივრად მოაწყო თავისი კოშკი ვერჟიში. ფასადი თეთრად იყო შელესილი, ხოლო ფანჯრები ლამაზად გამოიყურებოდა თავისი მწვანე დარაბებით. საქმე ისაა, რომ ეს კოშკი სამი-ოთხი ლიეს მანძილზე მოჩანდა და ჩრდილავდა ყველა აგარაკს, ანუ ეგრეთ წოდებულ მახლობელ კოშკს, რომელთაც ჟამთა სვლისაგან რუხი ფერი დასდებოდათ.

ბ. დე რენალს შეეძლო მხოლოდ ერთი თავისი მეგობრის, ეკლესიის მნათის ცრემლებისა და თანაგრძნობის იმედი ჰქონოდა; მაგრამ მნათე უჭკუო კაცი იყო და ყველაფერი გულს უჩუყებდა. ახლა იგი მის ერთადერთ ნუგეშს წარმოადგენდა.

_ რომელი უბედურება შეედრება ჩემსას? _ წამოიძახა მან გააფთრებით, _ გულშემატკივარი არავინ მყავს.

«ნუთუ შესაძლებელია, _ ფიქრობდა ეს მართლაც შესაბრალისი ადამიანი, _ რომ უბედურებაში ერთი მეგობარიც არ მყავდეს, რომელსაც შეიძლება რჩევა ვთხოვო? გონება დამებნა».

_ აჰ, ფალკო! აჰ, დიუკრო! _ წამოიძახა მან გულისტკივილით. ესენი იყვნენ ბავშვობის დროის მეგობრები, რომელთაც მან 1814 წელს ხელი ჰკრა თავისი ქედმაღლობით. ისინი არ იყვნენ აზნაურები და ბ. დე რენალმა ამპარტავნულად შორს დაიჭირა მათგან თავი.

ერთმა მათგანმა, ფალკომ, ჭკვიანმა და გულთბილმა კაცმა, რომელიც ქაღალდით ვაჭრობდა ვერიერში, სტამბა იყიდა დეპარტამენტის მთავარ ქალაქში და გაზეთის გამოცემა დაიწყო. კონგრეგაციამ გადაწყვიტა იგი გაეკოტრებინა: გაზეთი დაუხურეს, ხოლო სტამბის პატენტი წაართვეს. ამ ბეჩავ მდგომარეობაში მან წერილი მისწერა ბ. დე რენალს, პირველად ათი წლის განმავლობაში. ვერიერის მერმა თავის ვალდებულებად მიიჩნია ძველი რომაელის ტონით ეპასუხა: «მეფის მინისტრს რომ ჩემთვის პატივი დაედო

და ჩემი რჩევა ეკითხა, მე ვუპასუხებდი: შეუბრალებლად გაანადგურეთ პროვინციის ყველა მესტამბე და სასტამბო საქმის მონოპოლია მოაწყეთ თამბაქოს მონოპოლიის მსგავსად-მეთქი». ამ უახლოესი მეგობრისადმი მიმართულ წერილს, რომელმაც თავის დროზე მთელი ვერიერის აღტაცება გამოიწვია, ბ. დე რენალი ახლა ზიზღით იგონებდა. «ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩემი მდგომარეობისა, სიმდიდრისა, ორდენების მიუხედავად მის დაწერას ვინანებდი ერთ მშვენიერ დღეს?» მან საშინელი ღამე გაატარა გულისწყრომაში. ხან თავს ემდუროდა, ხან ყოველივე იმას, რაც გარს ერტყა; მაგრამ, საბედნიეროდ, აზრად არ მოსვლია თავისი ცოლი დაეზვერა.

«ლუიზას შევეჩვიე, _ ამბობდა გულში, _ მან ყველა ჩემი საქმე იცის; თუნდაც ხვალვე თავისუფლად შემეძლოს ცოლის შერთვა, ვერავის ვიპოვი, ვინც მის მაგივრობას გამიწევდა». და ეს კაცი თავს ინუგეშებდა იმ აზრით, რომ მისი ცოლი უცოდველი იყო; ასეთი თვალსაზრისი არ აიძულებდა სიმკაცრე გამოეჩინა და ეს ბევრად უფრო ხელსაყრელი იყო მისთვის. განა ცოტაა ისეთი ქალი, რომელსაც უსაფუძვლოდ დასწამეს ცილი?

_ მაგრამ როგორ! _ წამოიძახა მან უცებ და აღელვებული ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. _ ვიგინდარასავით უნდა მოვითმინო, რომ ჩემმა ცოლმა და მისმა საყვარელმა სასაცილოდ ამიგდონ? განა მე დავუშვებ, რომ მთელმა ვერიერმა ხითხითი დაიწყოს ჩემი გულკეთილობის გამო? რას არ ლაპარაკობენ შარმიეს შესახებ? (ეს იყო ქმარი, რომელსაც ყველას თვალის დასანახავად ატყუებდნენ.) განა ყველას ღიმილი არ უთამაშებს ტუჩებზე, როცა მასზე ლაპარაკი ჩამოვარდება? კარგი ადვოკატია, მაგრამ ვის ახსოვს მისი მჭევრმეტყველება? აჰ, შარმიე! ამბობს ყველა: შარმიე დე ბერნარი! მას იმ კაცის გვარსაც უწოდებენ, რომელიც მას არცხვენს.

«მადლობა ღმერთს, _ ფიქრობდა ბ. დე რენალი ხანდახან. _ მე ქალიშვილი არა მყავს და დედის დასჯა ხელს არ შემიშლის ჩემი ბავშვები მოვაწყო: შემიძლია ამ გლეხუჭას მივუსწრო ჩემ ცოლთან და ორივენი მოვკლა; ამ შემთხვევაში ტრაგიზმი დაჩრდილავს ამ საქმის სასაცილო მხარეს. _ ეს აზრი მოეწონა და ყოველმხრივ აწონ-დაწონა. _ სისხლის სამართლის კოდექსი ჩემს მხარეზეა და რაც უნდა მოხდეს, ჩვენი კონგრეგაცია* და ჩემი მეგობრები _ ნაფიცი მსაჯულები გადამარჩენენ». მან ახედ-დახედა თავის სანადირო დანას, იგი ძლიერ ბასრი აღმოჩნდა; მაგრამ სისხლისღვრაზე ფიქრი აფრთხობდა.

«მე შემიძლია გავჯოხო ეს თავხედი მასწავლებელი და შემდეგ გავაგდო იგი; მაგრამ რა საშინელი აყალმაყალი ატყდება ვერიერში და მთელ დეპარტამენტში! როცა ფალკოს

გაზეთის დახურვის შემდეგ მისი მთავარი რედაქტორი სატუსაღოდან გამოვიდა, მე წვლილი შევიტანე იმაში, რომ მას თავისი ექვსასფრანკიანი ადგილი დაეკარგა. ამბობენ, ამ მჯღაბნელმა გაბედა ხელახლა გამოჩენილიყო ბეზანსონში. მას შეუძლია თავზე ისე მოხერხებულად გადამასხას ლაფი, რომ ვერ შევძლო მისი სამართალში მიცემა. სამართალში მიცემა... ის ურცხვი ადამიანი მკითხველს ათასნაირად აგრძნობინებს, მართალი ვთქვიო. ყველა პლებეის სძულს კეთილშობილი ადამიანი, რომელსაც ჩემსავით თავი მაღლა უჭირავს. მე, ალბათ, ჩემს სახელს ამოვიკითხავ საშინელ პარიზულ გაზეთებში. ოჰ, ღმერთო ჩემო! რა უფსკრულია! დე რენალების ძველთაძველი გვარი იფლობა ტაკიმასხარაობის ჭაობში... თუ სამოგზაუროდ წავედი, გვარის გამოცვლა მომიწევს. როგორ, გამოვიცვალო ეს გვარი, რომელიც დიდებასა და ძალას წარმოადგენს! რა საშინელი უბედურებაა!

თუ ჩემი ცოლი არ მოვკალი და მხოლოდ შერცხვენილი გავაგდე, ბეზანსონში წავა თავის მამიდასთან, რომელიც მთელ თავის ქონებას მისცემს. ამის შემდეგ პარიზში გაემგზავრება ჟიულიენთან ერთად: ამას ვერიერში გაიგებენ და მე კიდევ უფრო სულელად ჩამთვლიან».

ლამპის შუქის სიმკრთალეზე ამ უბედურმა ადამიანმა შეამჩნია, რომ თენდებოდა. იგი ბაღში გავიდა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქავად. ამ წუთში თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდა არავითარი ხმაური არ გამოეწვია, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ხმაური სიხარულით აავსებდა მის კარგ მეგობრებს ვრიერში.

ბაღში სეირნობამ ცოტათი დაამშვიდა.

_ არა, _ წამოიძახა მან, _ ვერ გავშორდები ცოლს, იგი მეტისმეტად სასარგებლოა ჩემთვის! _ მას საშინლად წარმოუდგა ოჯახი, სადაც მისი ცოლი არ იქნებოდა; ნათესავიც კი არ ჰყავდა გარდა ერთი ბებერი, გამოტვინებული და ბოროტი მარკიზის ქალისა.

ერთი გონივრული აზრი მოუვიდა თავში, მაგრამ იგი მისგან ხასიათის ძალას მოითხოვდა, რომელიც ბევრით აღემატებოდა იმ მცირე მარაგს, რაც მას გააჩნდა.

«თუ ცოლს არ გავეყარე, _ გაიფიქრა მან, _ ჩემი თავის ამბავი კარგად ვიცი, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება გული მომაყვანინოს და მე თავს ვერ შევიკავებ საყვედურისაგან. იგი ამაყია, ჩვენ წავიჩხუბებით, და ყოველივე ეს მოხდება, სანამ იგი თავისი მამიდისგან მემკვიდრეობას მიიღებდეს. ოჰ, როგორ დამცინებენ მაშინ! ჩემს ცოლს თავის ბავშვები უყვარს, ყოველივე მათ დარჩებათ, ხოლო მე ვერიერის ხელწამოსაკრავი და ყბადასაღები გავხდები. როგორ, იტყვიან ყველანი, მან შურიც კი ვერ იძია ცოლზე! განა უკეთესი არ

იქნებოდა, რომ ეჭვებზე შევჩერებულიყავი და არაფერი შემემოწმებია? მაშინ ხელები შეკრული მექნება და არ შემეძლება რაიმე ვუსაყვედურო».

ერთი წუთის შემდეგ შეურაცხყოფილმა თავმოყვარეობამ ბ. დე რენალს დაწვრილებით გაახსენა ყველა საშუალებანი, რომელთა შესახებაც კაზინოს ბილიარდთან ან ვერიერის სათავადაზნაურო კლუბში ლაპარაკობდნენ, როცა რომელიმე მოლაყბე პარტიას შეწყვეტდა და მოტყუებულ ქმარზე ლაზღანდარობას მოჰყვებოდა. რა სასტიკად ეჩვენებოდა ეს ლაზღანდარობა ახლა ბ. დე რენალს!

«ღმერთო, რად არ მომიკვდა ცოლი! მაშინ სასაცილოდ ვერავინ ამიგდებდა. რატომ ქვრივი არა ვარ? ექვს თვეს პარიზში გავატარებდი საუკეთესო საზოგადოებაში». ერთი წუთის ბედნიერების შემდეგ, რომელიც მას ამ აზრმა მიანიჭა, მისი ფანტაზია ხელახლა დაუბრუნდა ჭეშმარიტების შემოწმების საშუალებებს. თუ შუაღამისას, მას შემდეგ რაც ყველანი დაწვებოდნენ, ცოტა ქატოს მოაყრიდა ჟიულიენის ოთახის კარების წინ, მეორე დღეს დილით სინათლეზე ადვილად გაარჩევდა ნაკვალევს.

«მაგრამ ეს საშუალება არაფრად არ ვარგა! _ წამოიძახა მან გულისწყრომით: _ ის გაქნილი ელიზა შეამჩნევს და ჩქარა სახლში ყველას ეცოდინება, რომ ვეჭვიანობ».

მეორე მოთხრობაში, რომელიც კაზინოში იყო შეთხზული, ქმარი თავის უბედურებაში ვითომ იმით დარწმუნდა, რომ თმის ბეწვით დაბეჭდა თავისი ცოლისა და მისი საყვარლის კარები.

ამდენი ხნის ყოყმანის შემდეგ ეს საშუალება საუკეთესოდ ეჩვენა თავისი ბედის გამოსარკვევად, და გადაწყვიტა იგი გამოეყენებინა, როცა ხეივნის ერთ მოსახვევში შეხვდა იმ ქალს, რომლის სიკვდილსაც ნატრობდა. ქალი სოფლიდან მოდიოდა, ვერჟის ეკლესიაში ყოფლიყო წირვის მოსასმენად. გადმოცემის მიხედვით, რომელიც ნაკლებ სარწმუნოა ცივი ფილოსოფოსის თვალში, მაგრამ ამ ქალს სწამდა, ეს პატარა ეკლესია ოდესღაც ვერჟის ციხე-კოშკის მფლობელის სამლოცველო ყოფილა. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც ქალბატონმა დე რენალმა ეკლესიაში გაატარა იმ განზრახვით, რომ იქ ელოცა, ეს აზრი თავიდან ვერ მოიშორა. ეგონა, ჩემი ქმარი ვითომდა უცაბედად ჟიულიენს მოკლავს ნადირობაში და საღამოს მის გულს შემაჭმევსო.

«ჩემი ბედი დამოკიდებულია იმაზე, რას იფიქრებს იგი ჩემი სიტყვების მოსმენის დროს, _ ფიქრობდა ქალი: _ ამ საბედისწერო თხუთმეტი წუთის შემდეგ შეიძლება შემთხვევა აღარ მექნეს მასთან სალაპარაკოდ. იგი არაა ჭკვიანი მამაკაცი რომელიც გონებით ხელმძღვანელობს. ამიტომ მე შემიძლია ჩემი სუსტი გონებით განვჭვრიტო, რას

იზამს იგი ან რას იტყვის. იგი გადაწყვეტს ჩვენს საერთო ბედს, ეს მის ხელთაა. მაგრამ ეს ბედი დამოკიდებულია ჩემს მოხერხებაზეც, ჩემს ოსტატობაზეც ამ ახირებული კაცის იდეების წარმართვაში; მას გულისწყრომა აბრმავებს და ხელს უშლის ბევრი რამ დაინახოს. ღმერთო ჩემო, მე მჭირდება ნიჭი, თავდაჭერილობა, სად ვიპოვო ყოველივე ეს?»

თითქო რაღაც ჯადოქრობის წყალობით იგი დამშვიდდა, როცა ბაღში შევიდა და თავისი ქმარი დაინახა შორიდან. მისი გაწეწილი თმა და დაჭმუჭნილი ტანსაცმელი მოწმობდა,რომ მას მთელი ღამე არ უძინია.

ქალმა ქმარს გადასცა წერილი, რომელიც გახსნილი, მაგრამ შეკეცილი იყო. ქმარს წერილი არ გაუხსნია, იგი ცოლს გიჟური თვალებით უცქეროდა.

_ ეს საზიზღრობა, _ უთხრა მას ქალმა, _ როცა ნოტარიუსის ბაღის უკან გავიარე, ერთმა საძაგელმა შესახედვმა კაცმა გადმომცა, მარწმუნებდა, რომ თქვენ გიცნობთ და დავალებულია თქვენგან. მხოლოდ ერთ რამესა გთხოვთ, დაუყოვნებლივ მშობლებს დაუბრუნეთ ბატონი ჟიულიენი.

ქალბატონმა დე რენალმა აჩქარებით წარმოთქვა ეს სახელი, შეიძლება ცოტა უფრო ადრეც, ვიდრე საჭირო იყო, რათა განთავისუფლებულიყო მისი წარმოთქის საშინელი აუცილებლობისაგან. სიხარულმა მოიცვა, როცა დაინახა, როგორ გაუხარდა მისი სიტყვები ქმარს. დარწმუნდა, რომ ჟიულიენის ეჭვი ხელმოუწერელი წერილის შესახებ სწორი იყო. იმის მაგივრად, რომ შეწუხებულიყო ამ რეალური უბედურებით, მან გაიფიქრა: «რა გენია, რა ტაქტია ამ ახალგაზრდა კაცში, რომელიც ჯერ სრულიად მოკლებულია გამოცდილებას? რას არ მიაღწევს იგი შემდეგში! ეჰ, წარმატება მალე დაავიწყებინებს ჩემს თავს».

ამ პატარა აღტაცებამ ადამიანით, რომელსაც იგი აღმერთებდა სრულიად გაათავისუფლა შეშფოთებისაგან, კმაყოფილი იყო თავისი საქციელით. «მე უღირსი აღმოვჩნდი ჟიულიენისა» ფიქრობდა იგი რაღაც ღრმა შინაგანი სიამოვნებით.

იმის შიშით, არაფერი წამომცდესო, ბ. დე რენალი კითხულობდა მეორე ხელმოუწერელ წერილს, რომელიც, როგორც მკითხველს ახსოვს, დაბეჭდილი და ცისფერ ქაღალდზე დაწებებული სიტყვებისაგან შედგებოდა. «ყოველნაირად დამცინიან, _ ფიქრობდა დაღლილობისაგან არაქათგამოცლილი ბ. დე რენალი, _ კიდევ ახალი ლანძღვა-გინების გარჩევა მიხდება და ყველაფერი ეს ჩემი ცოლის წყალობით!» მან კინაღამ შეურაცხყოფა არ მიაყენა ქალს; მხოლოდ ბეზანსონის მემკვიდრეობსი მიღების იმედმა შეაჩერა. უნდოდა თავისი გაბოროტება გადმოენთხია, დაჭმუჭნა ეს მეორე ხელმოუწერელი

წერილი და წავიდა: უნდოდა განშორებოდა თავის ცოლს. რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დაბრუნდა უფრო დაწყნარებული.

_ რამე უნდა ვიღონოთ და ჟიულიენი გავაგდოთ, _ უთხრა ქალმა მაშინვე, _ ბოლოს და ბოლოს, იგი მუშის შვილია და მეტი არაფერი; თქვენ მას ზარალს აუნაზღაურებთ რამდენიმე ეკიუთი, ესეც არ იყოს, მეცნიერი კაცია და ადვილად იშოვის ადგილს, თუნდაც ვალნოსა ან პრეფექტის თანაშემწე მოჟირონთან. ბავშვების აღმზრდელად დაუდგება და ამრიგად, არაფერს დაკარგავს...

_ თქვენ ისე ლაპარაკობთ, როგორც თქვენისთანა უჭკუოს შეეფერება, _ წამოიძახა ბ. დე რენალმა მრისხანებით, _ ან რა ჭკუას უნდა ელოდეს ადამიანი დედაკაცისაგან? არასოდეს თქვენ ყურადღებას არ აქცევთ იმას, რაც გონიერია; როგორ შეიძლება რამე იცოდეთ? თქვენი უზრუნველობა, თქვენი სიზარმაცე მოქმედების უნარს გიტოვებთ მხოლოდ პეპლების სადევნელად, თქვენ, საბრალო არსებანო, რომელთაც ძალაუნებურად ვითმენთ ჩვენს ოჯახებში!..

ქალბატონმა დე რენალმა ლაპარაკის ნება მისცა და ისიც კარგა ხანს ლაპარაკობდა.

_ ბატონო ჩემო, _ უთხრა ბოლოს ქმარს: _ მე ვლპარაკობ როგორც შეურაცხყოფილი ქალი, როგორც ქალი, რომელსაც ღირსება შეულახეს, ე. ი. ის, რაც ყველაფერზე ძვირფასია მისთვის.

ქალბატონმა დე რენალმა გასაოცარი გულგრილობა შეინარჩუნა ამ მძიმე ლაპარაკის დროს, რომელზედაც დამოკიდებული იყო მისი და ჟიულიენის ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. იგი ეძებდა აზრებს, რომელიც საუკეთესოდ მიაჩნდა თავისი ქმრის ბრმა გულისწყრომის დასაცხრობად. გულგრილად შეხვდა ყველა მის შეურაცხმყოფელ სიტყვებს, არც კი უსმენდა, მხოლოდ ჟიულიენზე ფიქრობდა: ჩემი კმაყოფლი იქნება თუ არაო.

_ ეს ახალგაზრდა გლეხი, _ რომელიც ჩვენ ასე თავაზიანად მივიღეთ და საჩუქრებითაც ავავსეთ, შეიძლება უცოდველი იყოს, _ თქვა ბოლოს ქალმა, _ მაგრამ იგი მაინც იმ პირველი შეურაცხყოფის საბაბია, რომელსაც მე მაყენებენ... ბატონო, როცა ეს საშინელი ქაღალდი წავიკითხე, თავს სიტყვა მივეცი, რომ ან იგი გავა თქვენი ოჯახიდან, ან მე გავალ.

_ თქვენ გინდათ სკანდალი ატეხოთ, რათა მეც შემარცხვინოთ და თავიც შეირცხვინოთ? ვერიერში ხომ ისედაც ბევრ ადამიანს ესობით თვალში.

_ მართალია, საერთოდ შურთ ის მდგომარეობა, რომელიც თქვენი ბრძნული მმართველობით შეუქმენით თქვენს თავს, თქვენს ოჯახს და ქალაქს... ძალიან კარგი, მე

ვურჩევ ჟიულიენს ერთი თვე მთებში გაატაროს ხე-ტყის ვაჭართან, რომელიც ღირსეული მეგობარია ამ ახალგაზრდა მუშისა.

_ გეთაყვა, ნურაფერს სჩადიხართ, _ უპასუხა ბ. დე რენალმა წყნარად. _ მე მხოლოდ ერთ რამეს გთხოვთ, უწინარეს ყოვლისა, მას არაფერი უთხრათ. თავს ვერ შეიკავებთ და მას წამაჩხუბებთ, ხომ იცით, რა უკადრისია ეს პაწია ვაჟბატონი.

_ ამ ახალგაზრდა კაცს ტაქტი სულ არა აქვს, _ განაგრძო ქალბატონმა დე რენალმა: _ შეიძლება იგი მეცნიერი იყოს, ეს თქვენ უკეთ გესმით, მაგრამ მაინც ნამდვილი გლეხია. პირადად მე მასზე გული გამიტყდა როცა უარი თქვა ელიზას შერთვაზე: ეს მისთვის საუკეთესო ბედი იყო; ის მოიმიზეზა, რომ ეგ გოგო ფარულად ვალნოსთან დადისო.

_ აჰ, _ წამოიძახა დე რენალმა და შუბლი შეიჭმუხნა: _ როგორ, ეს თქვენ ჟიულიენმა გითხრათ?

_ არა, პირდაპირ არ უთქვამს; იგი ხშირად მელაპარაკებოდა თავის სასულიერო მოწოდებაზე; მაგრამ, მერწმუნეთ, ამ პატარა ადამიანების პირველი მოწოდება ლუკმა-პურის მოპოვებაა. მან მაგრძნობინა, რომ ზოგი რამ იცოდა ამ საიდუმლო შეხვედრების შესახებ.

_ მე კი, მე არაფერი ვიცოდი! _ წამოიძახა ბ. დე რენალმა წინანდელი გააფთრებით: _ ჩემს ოჯახში ისეთი რამეები ხდება, რის შესახებაც მე არაფერი ვიცი. როგორ, განა ელიზასა და ვალნოს შორის რამე ხდებოდა?

_ ეჰ, ეს ძველი ამბავია, ჩემო ძვირფასო მეგობარო, _ თქვა ქალბატონმა დე რენალმა სიცილით, _ და შეიძლება მაინცდამაინც ცუდი არაფერიც მომხდარიყოს. ეს იმ დროს იყო, როცა თქვენს კარგ მეგობარს ვალნოს არაეფრი ექნებოდა საწინააღმდეგ, თუ ვერიერში იფიქრებდნენ, რომ მასა და ჩემს შორის პატარა პლატონური სიყვარული დამყარდა.

_ მე ერთხელ თავში მომივიდა ეს აზრი, _ წამოიძახა ბ. დე რენალმა და შუბლში იტკიცა ხელი; აღმოჩენიდან აღმოჩენაზე გადადიოდა. _ რატომ თქვენ არაფერი მითხარით ამის შესახებ?

_ რად უნდა წამეჩხუბებინეთ ორი მეგობარი რაღაც პატარა მამაკაცური პატივმოყვარეობის გამომჟღავნებისათვის? განა კარგ საზოგადოებაში მოიპოვება ისეთი ქალი, რომელსაც უაღრესად გონებამახვილი და, ცოტა არ იყოს, სააშიკო წერილები არ მიეღოს?

_ იგი თქვენ წერილებს გწერდათ?

_ იგი ბევრს სწერს.

_ ამ წუთშივე მაჩენეთ წერილები, გიბრძანებთ! _ ბ. დე რენალი ექვსი წყრთით ამაღლდა თავის წარმოდგენაში.

_ ამას არ ვიზამ, _ უპასუხა ქალმა წყნარად, თითქმის გულაგდებულად: _ მაშინ გაჩვენებთ, როცა უფრო დამშვიდებული იქნებით.

_ ამ წუთშივე მოიტათ, ეშმაკმაც დალახვროს! _ დაიყვირა ბ. დე რენალმა, რომელიც გონებადაკარგული იყო სიბრაზისაგან, მაგრამ მაინც თავს უფრო ბედნიერად გრძნობდა, ვიდრე ამ თორმეტი საათის განმავლობაში.

_ შემომფიცეთ, _ უთხრა ქალმა სერიოზულად, _ რომ არასოდეს დირექტორს არ წაეჩხუბებით ამ წერილების გამო.

_ წავეჩხუბები თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება უსახლკარო ბავშვების მზრუნველობა წავართვა. ასეა თუ ისე, ეს წერილები ამ წუთში მინდა, სადაა ისინი?

_ ჩემი მაგიდის ყუთში; მაგრამ გასაღებს არ მოგცემთ.

_ მაშინ ყუთს გავტეხავ, _ წამოიძახა ბ. დე რენალმა და ცოლის ოთახისაკენ გაიქცა.

მართლაც, რკინის ჯოხით გატეხა ურთხელის ძვირფასი მაგიდა, რომელიც პარიზიდან იყო გამოწერილი და რომელსაც იგი ხშირად თავისი ტანისამოსის კალთით წმენდდა, როცა ზედ ლაქებს ამჩნევდა.

ქალბატონმა დე რენალმა სამტრედის ას ოცი ნაბიჯი აირბინა და თეთრი ცხვირსახოცი მიამაგრა პატარა ფანჯრის მავთულის ბადეზე. იგი უბედნიერესი იყო ქალთა შორის. თვალცრემლიანი იცქირებოდა ტყით დაბურული მთისკენ.

«უეჭველია, _ ფიქროდა იგი, _ ჟიულიენი ერთ-ერთ ამ წიფლის წვეროზე ზის და ბედნიერ ნიშანს ელის». ქალი დიდხანს ყურს უგდებდა ჭრიჭინების ერთფეროვან ჭრიჭინს და ფრინველების გალობას. ეს აუტანელი ხმაური რომ არ ყოფილიყო, მის ყურამდე მოაღწევდა სიხარულის ყიჟინა, რომელიც კლდეებში გაისმა. ქალი ხარბი თვალებით ჭამდა მუქ, მთლიან მწვანე ფარდას, რომელსაც ხეების კენწეროები ქმნიდა. «როგორ არ მოუვიდა თავში აზრად, _ ფიქრობდა გულაჩუყებული ქალი, როგორმე მანიშნოს, რომ იგიც ჩემსავით ბედნიერია». ქალი სამტრედიდან მხოლოდ იმის შიშმა ჩამოიყვანა, ქმარმა ძებნა არ დამიწყოსო.

ბ. დე რენალი გაცოფებული იყო სიბრაზისაგან. კითხულობდა ბ. ვალნოს უფერულ ფრაზებს, ნაკლებ შესაფერს ასეთი აღელვებული მკითხველისთვის.

ქალბატონმა დე რენალმა ისეთი წუთი შეარჩია, როცა ქმრის შეძახილებში სიტყვის ჩართვას შესძლებდა:

_ ისევ ჩემს აზრს ვუბრუნდები: სასურველია, რომ ჟიულიენი სადმე გაემგზავროს. რა ნიჭიერიც უნდა იყოს იგი ლათინურ ენაში, ბოლოს და ბოლოს, უბრალო გლეხია, რომელიც ხშირად სიტლანქესა და უტაქტობას იჩენს; ყოველდღე ვითომდა ზრდილობის გამოსაჩენად გადაჭარბებული და უგემური ქათინაურებით მიმასპინძლდება, მათ, ალბათ, რომანებიდან იღებს.

_ რომანებს თავის დღეში არ კითხულობს, _ წამოიძახა ბ. დე რენალმა: _ ამაში დარწმუნებული ვარ. თქვენ გგონიათ, ბრმა მამაკაცი ვარ, რომელმაც არ იცის რა ხდება მის ოჯახში?

_ ძალიან კარგი! თუ არსად არ სესხულობს ამ სასაცილო ქათინაურებს, მაშასადამე, თვითონ იგონებს, და ეს კიდევ უარესია მისთვის. ალბათ, ამ ტონით ულაპარაკნია ვერიერში... და შორს რომ არ წავიდეთ, _ დაუმატა ქალბატონმა დე რენალმა ისეთი გამომეტყველებით, თითქო ეს აზრი თავში პირველად მოუვიდაო, _ მას შეეძლო ასე ელაპარაკნა ელიზასთან, ეს კი დაახლოებით იმას ნიშნავს, რომ თითქოს ბ-ნ ვალნოსთვის ეთქვას.

_ აჰ! _ წამოიძახა უცებ ბ. დე რენალმა და მაგიდა და ოთახი შეანზანზარა ძლიერი მუშტის დარტყმით; _ დაბეჭდილი ხელმოუწერელი წერილი და ვალნოს წერილები ერთსა და იმავე ქაღალდზეა დაწერილი.

«მადლობა ღმერთს!..» _ გაიფიქრა ქალბატონმა დე რენალმა, რომელიც თითქო შეძრწუნდა ამ აღმოჩენით და თითქო სიტყვის წარმოთქმასაც ვეღარ ბედადვა. იგი სავარძელში ჩაჯდა დარბაზის კუთხეში.

ამიერიდან ბრძოლა მოგებული იყო; ქალს მხოლოდ ისღა დარჩა, რომ ხელი შეეშალა ბ. დე რენალისათვის დაუყოვნებლივ მოსალაპარაკებლად წასულიყო ხელმოუწერელი წერილის ავტორთან.

_ როგორ არ გრძნობთ, რომ ბ. ვალნოსთვის სცენის გამართვა საკმაო დასამტკიცებელი საბუთების უქონლად სრულიად უპატიებელი იქნებოდა? თქვენ შურით გიყურებენ, ბატონო ჩემო, ვისი ბრალია ეს? თქვენივე ნიჭისა; თქვენმა ბრძნულმა მმართველობამ, თქვენმა გემოვნებით აგებულმა შენობებმა, მზითევმა, რომელიც მომყვა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანმა მემკვიდრეობამ, რომელიც ჩემი ძვირფასი მამიდის სიკვდილის შემდეგ უნდა მივიღოთ და რომლის მოცულობა მეტისმეტად გადაჭარბებულად აქვთ წარმოდგენილი, თქვენ პირველ კაცად გაგხადეს ვერიერში.

_ თქვენ გავიწყდებათ ჩემი წარმოშობა, _ თქვა ბ. დე რენალმა ღიმილით.

_ თქვენ ჩვენი პროვინციის ერთი უწარჩინებულესი აზნაური ხართ, _ სიტყა ჩამოართვა ქალბატონმა დე რენალმა, _ მეფე რომ თავისუფალი ყოფილიყო და შეძლებოდა კეთილშობილება სათანადოდ დაეჯილდოებინა, აუცილებლად პერთა პალატაში იჯდებოდით და ამ ბრწყინვალე მდგომარეობაში მყოფ კაცს გინდათ საჭორაო მასალა მისცეთ შურიან ადამიანებს? ბატონ ვალნოსთან მის ხელმოუწერელ წერილზე ლაპარაკი იმას ნიშნავს, რომ მთელ ვერიერში, კიდევ მეტი, მთელ ბეზანსონში, მთელ პროვინციაში განაცხადოთ, ამ პატარა ბურჟუამ, რომელიც გაუფრთხილებლობის გამო რენალის ოჯახში შეიყვანეს, შემთხვევა იპოვა მისთვის შეურაცხყოფის მისაყენებლადო. თქვენ მიერ წაკითხული წერილებიდან რომ გამოაშკარავებულიყო, თითქოს მე გავიზიარე ბ. ვალნოს სიყვარული, უნდა მოგეკალით, ასჯერ დამსახურებული მექნებოდა სიკვდილი, მაგრამ არასოდეს მისთვის გულისწყრომა არ უნდა გეჩვენებინათ. იცოდეთ, რომ თქვენი მეზობლები მხოლოდ საბაბს ეძებენ, რათა თქვენზე შური იძიონ თქვენი უპირატესობისათვის; გაიხსენეთ, რომ 1816 წელს თქვენ ხელი შეუწყვეთ ზოგიერთი პირის დატუსაღებას. ის კაცი, რომელიც თავის სახლის სახურავზე დაიმალა...

_ მე ვხედავ, რომ თქვენ არც სიბრალული გაქვთ და არც მეგობრობის გრძნობა ჩემდამი, _ წამოიძახა ბ. დე რენალმა სიმწარით რომელსაც მასში ეს მოგონება იწვევდა. _ და ამის შემდეგ მე პერი არ გამხადეს.

_ მე ვფიქრობ, მეგობარო, _ განაგრძო ქალბატონმა დე რენალმა სიცილით, _ რომ მე ჩქარა უფრო მდიდარი ვიქნები, ვიდრე თქვენ, რომ თქვენი მეუღლე ვარ უკვე თორმეტი წელიწადია და ამიტომ ხმის უფელბა მაქვს ოჯახის თათბირში, ხოლო უწინარეს ყოვლისა, დღევანდელ საქმეში. თუ თქვენ ჩემს თავს ვიღაც ბატონი ჟიულიენი გირჩევნიათ, _ დაუმატა მან დაუფარავი უკმაყოფლებით, _ მზად ვარ ერთი ზამთარი ჩემს მამიდასთან გავატარო.

ეს სიტყვა კარგად იყო დამიზნებული. მასში იყო სიმტკიცე, რომელიც ცდილობს ზრდილობას ამოეფაროს; მან გადაწყვეტილება მიაღებინა ბ. დე რენალს... მაგრამ პროვინციული ჩვეულების მიხედვით იგი კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა, ხელახლა ყველა არგუმენტს დაუბრუნდა; ცოლმა აცალა ლაპარაკი, მის ხმაში კიდევ გაისმოდა სიბრაზე. ბოლოს, ორი საათის უნაყოფო ლაყბობამ ამოწურა ამ კაცის ძალა, გაბრაზებამ მთელი ღამე რომ არ დააძინა. მან უკვე იცოდა, როგორ დაეჭირა თავი ჟიულიენთან, ბ. ვალნოსთან და ელიზასთან.

ერთხელ თუ ორჯერ საუბრის დროს ქალბატონ დე რენალს გულში კინაღამ სიბრალულიც აღუძრა ამ ადამიანის მეტისმეტმა რეალურმა უბედურებამ. იგი ხომ მისი მეგობარი იყო თორმეტი წლის განმავლობაში. მაგრამ ნამდვილი ვნებათაღელვა ეგოისტურია. ამას გარდა, ქალი ელოდა, რომ ქმარი მას ხელმოუწერელი წერილის მიღებას გაუმხელდა, მაგრამ ეს არ მოხდა. ქალბატონი დე რენალი ვერ დამშვიდდებოდა, სანამ არ შეიტყობდა, რა აზრები ჰქონდა ჩაგონებული ამ ადამიანს, რომლისგანაც მისი ბედი იყო დამოკიდებული. პროვინციაში ქმრები ხომ საზოგადოებრივი აზრის განმგებლები არიან.

ჰარამხანის ოდალისკას შეიძლება სულით და გულით უყვარდეს სულთანი; ეს უკანასკნელი ყოვლისშემძლეა, ქალს არავითარი იმედი არ აქვს, რომ მის მბრძანებლობას დააღწევს თავს, რა თვალთმაქცობასაც უნდა მიმართოს. მბრძანებლის შურისძიება აქ საშინელია, ეს იგივე სისხლის აღებაა, მაგრამ ეს სასჯელი ამასთანავე მხედრულად სულგრძელია; ხანჯლის ჩაცემა ყოველივეს ბოლოს უღებს. მეცხრამეტე საუკუნეში კი ქმარი ცოლს საზოგადოებრივი ზიზღის სადგისებით კლავს; ამ მიზნის მისაღწევად იგი მას ყველა სალონის კარს უხშობს.

ქალბატონი დე რენალი მაშინვე საფრთხის გრძნობამ შეიპყრო, როგორც კი თავის ოთახში შევიდა; იქ ყოველივე აფორიაქებული დახვდა. ყველა მისი კოხტა ყუთის კლიტე გატეხილი იყო, პარკეტის რამდენიმე ცალი ამოეგდოთ. «იგი შეუბრალებელი იქნებოდა ჩემს მიმართ, _ გაიფიქრა ქალმა, _ როგორ გააფუჭა ეს ფერადი ხის პარკეტი, რომელიც თვითონვე ასე ძლიერ უყვარდა? როცა რომელიმე მისი შვილი ამ იატაკზე სველი ფეხებით გაივლიდა, სახეში სისხლი აუვარდებოდა სიბრაზისაგან. ახლა კი სამუდამოდ გაუფუჭებია!» ამ ძალმომრეობის დანახვამ უცებ გაუნელა სინიდისის ქენჯნა, რომელსაც თავისი მეტად იოლი გამარჯვების გამო განიცდიდა.

რამდენიმე წუთით ადრე სადილის ზარის დარეკვამდე ჟიულიენი შემოვიდა ბავშვებითურთ. დესერტის დროს, როცა მოსამახურეები სასადილოდან გავიდნენ, ქალბატონმა დე რენალმა მას მშრალად უთხრა:

_ თქვენ სურვილი გამოთქვით, რომ ორი კვირა ვერიერში გაატაროთ, ბ. დე რენალი მზადაა ეს შვეულება მოგცეთ. შეგიძლიათ გაემგზავროთ, როცა კი მოგესურვებათ. მაგრამ რათა ბავშვებმა დრო არ დაკარგონ, ყოველდღე მათ რვეულებს გამოგიგზავნით და თქვენ გაასწორებთ.

_ რასაკვირველია, _ დაუმატა ბ. დე რენალმა მეტად მკაცრი ტონით, _ მე ერთი კვირის შვებულების მეტს ვერ მოგცემთ.

ჟიულიენმა შეამჩნია, რომ მის სახეზე ღრმა ტანჯვა და მოუსვენრობა იყო აღბეჭდილი.

_ როგორც ეტყობა, ჯერ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია, _ უთხრა ჟიულიენმა თავის სატრფოს, როცა ერთი წუთი იხელთა სასტუმრო ოთახში. ქალმა საჩქაროდ უამბო ყოველივე, რაც დილიდან მოიმოქმედა.

_ დაწვრილებით ამ ღამით გიამბობ, _ დაუმატა მან სიცილით.

«დედაკაცური გარყვნილება! _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ რა სიამოვნება, რა ინსტინქტი აიძულებს მათ, რომ მოგვატყუონ».

_ როგორც ვხედავ, სიყვარული ერთსა და იმავე დროს თქვენ გონებასაც გიმახვილებთ და კიდეც გაბრმავებთ, _ უთხრა ვაჟმა ცოტა არ იყოს ცივად; _ თქვენი დღევანდელი ყოფაქცევა საუცხოოა; მაგრამ განა კეთილგონიერი იქნება, რომ ამ ღამით ვცადოთ ერთმანეთის ნახვა? ეს სახლი მტრებითაა სავსე; გაიხსენეთ ელიზას მძაფრი სიძულვილი ჩემდამი.

_ ეს სიძულივილი ძლიერ წააგავს თქვენს მძაფრ გულგრილობას ჩემდამი.

_ თუნდაც გულგრილი ვიყო, მე ვალდებული ვარ დაგიხსნათ იმ განსაცდელისაგან, რომელშიც ჩავარდით. თუ შემთხვევით ბ. დე რენალი ელიზას დაელაპარაკა, წამში შეიტყობს ყველაფერს. რად არ შეიძლება, რომ იგი ჩემი ოთახის კართან დაიმალოს შეიარაღებული.

_ როგორ! თქვენ ვაჟკაცობაც კი არ გაქვთ! _ თქვა ქალბატონმა დე რენალმა იმ ქედმაღლობით, რომელიც კეთილშობილი გვარის ქალიშვილს შეეფერება.

_ მე არასოდეს იქამდე არ დავმდაბლდები, რომ ჩემს მამაცობაზე ვილაპარაკო, _ უპასუხა ცივად ჟიულიენმა: _ ეს სიმდაბლედ მიმაჩნია. დაე, ქვეყანამ ფაქტების მიხედვით განმსაჯოს. მაგრამ, _ დაუმატა მან და ქალას ხელში ხელი მოჰკიდა, _ თქვენ ვერ წარმოგიდგენიათ, როგორ შეგეჩვიეთ და როგორ მიხარია, რომ შესაძლებლობა მეძლევა ამ სასტიკი განშორების წინ გამოგეთხოვოთ.

XXII

როგორ მოქმედებდნენ 1830 წელს

ენა ადამიანს იმისთვის მიეცა, რომ თავისი აზრი დამალოს.

ყოვლად ღირსეული მამა მალაგრიდა

ძლივს მივიდა ჟიულიენი ვერიერში, რომ თავს გაკიცხვა დაუწყო იმ უსამართლობისათვის, რომელიც ქალბატონ დე რენალის მიმართ გამოიჩინა. «მე იგი შემეზიზღებოდა როგორც პატარა დედალი, სისუსტის გამო გამარჯვებული რომ არ გამოსულიყო ბ. დე რენალთან შეხვედრიდან! იგი საფრთხეს თავს აღწევს, როგორც ნამდვილ დიპლომატს შეეფერება, მე კი სიმპათიას ვგრძნობ დამარცხებულისადმი რომელიც ჩემი მტერია. ამაში არის რაღაც ბურჟუაზიული წვრილმანობა; ჩემი პატივმოყვარეობა შელახულია იმიტომ, რომ ბ. დე რენალიც მამაკაცია! ბრწყინვალე და ფართოა ის კორპორაცია რომელსაც მე პატივი მაქვს ვეკუთვნოდე; ჭეშმარიტად სულელი ვარ».

ბ. შელანმა უარი თქვა ბინებზე, რომლებიც ყველაზე პატივსაცემმა ლიბერალებმა შესთავაზეს, როცა იგი სამსახურიდან გადაყენების გამო სამრევლო სახლიდან გამოასახლეს. ორი ოთახი, რომელიც მან იქირავა, სავსე იყო წიგნებით. ჟიულიენს უნდოდა მთელი ვერიერისთვის ეჩვენებია, რა პატივისცემის ღირსი იყო მღვდელი: მამას თორმეტიოდე ფიჭვის ფიცარი გამოართვა და თავისი ზურგით გაატარა უმთავრეს ქუჩაზე... შემდეგ ხელსაწყო გამოართვა ერთ თავის ძველ მეგობარს და საჩქაროდ თაროები გააკეთა და ზედ ბ. შელანის წიგნები დაალაგა.

_ მე მეგონა, შენ უკვე გაგრყვნა ამქვეყნიურმა ამაოებამ, _ ეუბნებოდა მას მოხუცი და სიხარულის ცრემლებს აფრქვევდა.

ბ. დე რენალმა ჟიულიენს უბრძანა მის სახლში დაბინავებულიყო. არავის ეჭვი არ აუღია მომხდარი ამბების შესახებ. მესამე დღეს ჟიულიენმა დაინახა, რომ მისი ოთახისაკენ მოემართებოდა ისეთი დიდი გვამი, როგორიც იყო ბ. პრეფექტის თანაშემწე დე მოჟირონი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პრეფექტის თანაშემწემ მთელი ორი საათი ილაყბა და იერემიას ცრემლები აფრქვია ადამიანთა ბოროტებასა, საზოგადოებრივი ქონების განმგებელთა უსინდისობასა, საბრალო საფრანგეთის სახიფათო მდგომარეობაზე და სხვ. და სხვ., ჟიულიენი ძლივს მიხვდა, რა შეადგენდა ამ დარბაზობის საგანს. სტუმარ-მასპინძელი უკვე კიბის ზედა საფეხურზე იდგნენ, ნახევრად დათხოვნილი საბრალო რეპეტიტორი სათანადო პატივისცემით აცილებდა რომელიმე დეპარტამენტის გამაბედნიერებელ მომავალ პრეფექტს, როცა ამ უკანასკნელს მოესურვა ჟიულიენის ბედით დაინტერესებულიყო, შეექო მისი ზომიერება ფულის საკითხებში და სხვ. და სხვ., ბოლოს ბ. მოჟირონმა იგი შვილივით გულში ჩაიკრა და წინადადება მისცა დაეტოვებია ბ. დე

რენალი, რათა ერთ თანამდებობის პირთან დამდგარიყო, რომელსაც აღსაზრდელი შვილები ჰყავდა; თუ ბ. მოჟირონს დავუჯერებდით, ეს კაცი ზეცას მადლობას უძღვნიდა იმდენად არა იმისთვის, რომ ეს შვილები აჩუქა, რამდენადაც იმისთვის, რომ ისინი ბ. ჟიულიენის მახლობლად შეეძინა. მათ აღმზრდელს მიეცემოდა რვაასი ფრანკი ჯამაგირი, რომელსაც თვიურად კი არ გადაუხდიდნენ, რაც სრულიად წესიერი არაა, არამედ კვარტალობით და ყოველთვის წინდაწინ.

ახლა ჟიულიენის ჯერი დადგა, იგი საათნახევარი მოუთმენლად ელოდა ამ შემთხვევას. მისი პასუხი საუცხოო იყო და, უწინარეს ყოვლისა, გრძელი, როგორც ეპისკოპოსის ეპისტოლე; იქ ყოველივე ნანიშნები იყო, მაგრამ ამავე დროს არაფერი იყო ნათლად გამოთქმული. იქ ერთსა და იმავე დროს იპოვიდით მოკრძალებასც ბ. დე რენალის წინაშე, ვერიერის საზოგადოების პატივისცემასაც და მადლობის გრძნობასაც სახელოვანი პრეფექტის თანაშემწის მიმართ. ამ უკანასკნელმა დაინახა, ჩემი მოსაუბრე უფრო იეზუიტი ყოფილა, ვიდრე მეო, რაკი მისგან გარკვეულ პასუხს ვერ ეღირსა. ჟიულიენმა აღტაცებით გამოიყენა ვარჯიშობის შემთხვევა და თავისი პასუხი ხელახლა გაიმეორა, მხოლოდ სხვა გამოთქმებში. არასოდეს არც ერთ მჭევრმეტყველ მინისტრს, რომელსაც სურს სხდომის დასასრული გამოიყენოს, როცა პარლამენტს გამოღვიძების ნიშნები ეტყობა, ასე ცოტა აზრი არ გამოუთქვამს ამდენ სიტყვაში. როგორც კი ბ. დე მოჟირონი წავიდა, ჟიულიენმა ხარხარი დაიწყო გიჟივით. რათა თავისი იეზუიტური შთაგონება ბოლომდე ამოეწურა, მან ცხრა გვერდიანი წერილი მისწერა ბ. დე რენალს, სადაც ანგარიშს აბარებდა ყოველივე იმის შესახებ, რაც მას ეს იყო უთხრეს და თავმდაბლად რჩევას თხულობდა. «მაგრამ ამ არამზადამ ის პიროვნება მაინც არ დამისახელა, რომელიც წინადადებას მაძლევს! ეს, ალბათ, ბ. ვალნოა, რომელიც ჩემს აქ გამოძევებას თავისი ხელმოუწერელი წერილის შედეგად თვლის».

წერილის გაგზავნის შემდეგ ჟიულიენი ბ. შელანთან წავიდა რჩევის საკითხავად: იგი კმაყოფილი იყო როგორც მონადირე, რომელიც შემოდგომის მშვენიერ დღეს დილის ექვს საათზე ნადირით მდიდარ ველზე გადის. მაგრამ სანამ მღვდლის ბინას მიაღწევდა, ზეცამ, რომელსაც ამ დღეს მისი განებივრება სურდა, ბ. ვალნოს შეახვედრა; ჟიულიენმა მას არ დაუმალა, რომ მისი გული დაფლეთილი იყო. _ ისეთი საბრალო ყმაწვილი, როგორიც მე ვარ, ვალდებულია სავსებით დაემორჩილოს ზეცის მიერ მის გულში ჩანერგილ მოწოდებას, მაგრამ მოწოდება საკმაო არაა ამ მდაბალ ქვეყანაში. რათა უფლის ვენახში ღირსეულად ვიმუშაო და სავსებით უღრსი არ ვიქნე ამდენი განსწავლული

თანამშრომლისა, განათლების მიღებაა საჭირო; საჭიროა ორი წელიწადი გავატარო ბეზანსონის სემინარიაში, ეს ორი წელიწადი ძვირად ღირს; მაშასადამე, აუცილებლად ხელმომჭირნეობა უნდა გამოვიჩინო, რაც უფრო ადვილია მაშინ, როცა ადამიანი წელიწადში რვაას ფრანკს ჯამაგირს ღებულობს კვარტალობით, ვიდრე მაშინ, როცა იგი მხოლოდ ექვსას ფრანკს ღებულობს და თვიდან თვეზე ხარჯავს. მაგრამ, მეორე მხრივ, რაკი ზეცამ ჩემი თავი დე რენალის ბავშვებს მიუჩინა და საგანგებოდ მათი სიყვარული ჩაუნერგა, განა ამით ისიც არ მანიშნა, რომ ისინი სხვების გულისთვის არ უნდა დავტოვო?

ჟიულიენმა ისეთ სრულყოფას მიაღწია ამ სახის მჭევრმეტყველებაში, რომელმაც იმპერიის დროის სწრაფი აქტივობა შეცვალა, რომ ბოლოს თვითონაც მოსწყინდა თავისი ენაწყლიანობა.

შინ დაბრუნებისას ჟიულიენს ბ. ვალნოს ლივრეიანი ლაქია დახვდა, რომელსაც იგი მთელ ქალაქში ეძებნა; წერილით სადილად ეპატიჟებოდნენ იმ დღესვე.

ჟიულიენი არასოდეს ყოფილა ამ კაცის ოჯახში; რამდენიმე დღის წინათ მხოლოდ იმაზე ოცნებობდა, რომ იგი კარგად გაეჯოხა, მაგრამ ამავე დროს როგორმე თავი დაეღწია გამასწორებელი პოლიციისათვის. თუმცა სადილი პირველი საათისთვის იყო დანიშნული, მაგრამ ჟიულიენმა ზრდილობის გულისთვის საჭიროდ სცნო პირველის ნახევარზე წარმდგარიყო ბ. დირექტორის სამუშაო კაბინეტში. ვალნო გაფუყული იჯდა თავის ქაღალდებს შუა. მისმა დიდმა შავმა ბაკენბარდებმა, სქელმა თმამ, ბერძნულმა ჩაჩმა, რომელიც კეფაზე დაეხურა, უზარმაზარმა ჩიბუხმა, მოქარგულმა ფლოსტებმა, უმსხვილესმა ოქროს ჯაჭვმა, რომელიც მკერდზე ჰქონდა გადაბმული, მთელმა მისმა იერმა პროვინციელი ფინანსისტისა, თავისი თავი მდიდარ კაცად რომ მიაჩნია, არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა ჟიულიენზე, პირიქით, ისევ იმაზე დაიწყო ოცნება, ერთი კარგად მიმაბეგვინაო.

ჟიულიენმა ითხოვა, ქალბატონ ვალნოსთან წარმადგინეთო. ქალი თავისი ტუალეტით იყო გართული და არ შეეძლო ვისიმე მიღება. მაგრამ სამაგიეროდ მას ბედნიერება მიეცა ბ. დირექტორის ტანსაცმლის გამოცვლას დასწრებოდა. ამის შემდეგ ქალბატონ ვალნოსთან შევიდნენ, რომელმაც მას თავისი თვალცრემლიანი ბავშვები წარუდგინა. ამ ქალს, ერთ უმნიშვნელოვანეს მანდილოსნად რომ ითვლებოდა ვერიერში, მსხვილი, მამაკაცური სახე ჰქონდა, რომელზედაც ამ საზეიმო ცერემონიის გამო უხვად დაედო ფერ-უმარილი. მან მთელი თავისი დედობრივი პათოსი გამოამჟღავნა.

სადილობისთვის მოვიდნენ ხარჯთამკრეფი, აქციზის ზედამხედველი, ჟანდარმთა ოფიცერი და ორი თუ სამი სხვა მოხელე თავიანთი ცოლებითურთ. მათ რამდენიმე მდიდარი ლიბერალი მიემატა. სტუმრებს მოახსენეს, სუფრა გაშლილიაო. ჟიულიენს, რომელიც ისედაც ცუდ გუნებაზე იყო, თავში აზრმა გაუელვა, სასადილო ოთახის კედლის იქით საწყალი ტუსაღები სხედან, რომელთა ხორცის ულუფა, ალბათ, შეამცირეს, რათა შეექმნათ ეს ცუდი გემოვნების კომფორტი, რითაც ჩვენი გაკვირვება სურთო.

«შეიძლება ამ წუთში მათ შიათ», _ ფიქრობდა ჟიულიენი, მას ყელში ლუკმა გაეჩხირა, არა თუ ჭამა, თითქმის ლაპარაკიც უჭირდა. მეოთხედი საათის შემდეგ კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნა; შორიდან დროგამოშვებით ხალხური სიმღერის ჰანგები მოისმოდა, მართალია, ცოტა არ იყოს, დაბალი გემოვნებისა; ამ სიმღერას ერთ-ერთი ტუსაღი მღეროდა. ბ. ვალნომ ერთ თავის ლივრეიან მსახურს შეხედა, იგი გარეთ გავიდა და სიმღერა მაშინვე შეწყდა. ამ დროს მსაუხრი ჟიულიენს რეინის ღვინოს უსხამდა მწვანე ჭიქაში, ხოლო ქალბატონმა ვალნომ შენიშნა, რომ ეს ღვინო თავის ადგილზე ცხრა ფრანკი ღირდა ბოთლი. ჟიულიენმა მწვანე ჭიქა ასხია და ბ. ვალნოს უთხრა:

_ აი, უკვე აღარ მღერიან ამ საზიზღარ სიმღერას.

_ ოღონდაც! _ უპასუხა დირექტორმა გამარჯვებულის ტონით, _ მე ვუბრძანე ეს გარეწრები ჩაეჩუმებიათ.

ეს უკვე მეტისმეტი იყო ჟიულიენისთვის; მას შეთვისებული ჰქონდა თავისი ახალი მდგომარეობის შესაფერი მანერები, მაგრამ გული ჯერ კიდევ ძველი შერჩენოდა. თუმცა ფარისევლობაში უკვე დახელოვნებული იყო, იგრძნო, რომ ლოყაზე მსხვილი ცრემლი ჩამოედინა.

იგი შეეცადა მწვანე ჭიქას ამოფარებოდა, მაგრამ ძალა აღარ შესწევდა რეინის ღვინის შესაქებად. «სიმღერასაც უკრძალავენ! _ ფიქრობდა იგი, _ ოჰ, ღმერთო ჩემო! და შენ ამას ითმენ!»

საბედნიეროდ, არავის შეუმჩნევია მისი უადგილო მგრძნობიარობა. ხარჯთამკრეფმა როიალისტური სიმღერა დაიწყო; თანამესუფრენიც აჰყვნენ. «აი, _ ჩასჩურჩულებდა სინდისი ჟიულიენს, _ ბინძური სიმდიდრე, რომელსაც შენ მიაღწევ და რომელსაც მხოლოდ იმ პირობით და ამგვარ საზოგადოებაში გამოიყენებ! შეიძლება ოცი ათას ფრანკიანი სამსახური მოგცენ, მაგრამ როცა ძროხის ხორცით ამოიყორები, სიმღერას აუკრძალავ საბრალო ტუსაღს; სადილს გამართავ ფულით, რომელსაც მის უბადრუკ ულუფას დააკლებ. და შენი სადილის დროს იგი კიდევ უფრო უბედური იქნება! ოჰ,

ნაპოლეონ! რამდენად უფრო ტკბილი იყო შენს დროს სიმდიდრის მიღწევა სახიფათო ბრძოლების გზით! ასე სულმდაბლად როგორ უნდა დაუმძიმოს კაცმა უბედურ ტუსაღს ტანჯვა».

უნდა ვაღიარო, რომ სისუსტე, რომელსაც ჟიულიენი ამ მონოლოგში იჩენს, მეტად ბეჩავ წარმოდგენას მიქმნის მასზე. იგი ღირსეული ამხანაგია იმ ყვითელხელთათმანიანი კონსპირატორების, რომელთაც სურთ მთელი დიდი სახელმწიფოს წესწყობილება შეცვალონ, მაგრამ შუბლი კი არ გაიკაწრონ.

ჟიულიენს ფიცხლად მოუწოდეს მისი როლის შესრულებისკენ. ოცნების და დუმილისათვის როდი მოგიწვიეთ ასეთ კარგ საზოგადოებაშიო.

ყოფილმა ჩითის ფაბრიკის პატრონმა, ბეზანსონის და იუზეს აკადემიების წევრ-კორესპონდენტმა მას სუფრის მეორე თავიდან ჰკითხა, მართალია თუ არა, რასაც ყველანი თქვენი გასაოცარი წარმატების შესახებ ლაპარაკობენ ახალი აღთქმის ცოდნაშიო.

უცებ ღრმა დუმილი დამყარდა; ლათინური ახალი აღთქმა თითქო რაღაც ჯადოქრობით ხელში აღმოაჩნდა ორი აკადემიის მეცნიერ წევრს. წიგნი გადაშალეს და შემთხვევით შეხვედრილი ლათინური წინადადების ნაწყვეტი წაიკითხეს. ჟიულიენმა ზეპირად განაგრძო. მახსოვრობას არ უღალატია მისთვის, და ეს სასწაული მოიწონეს იმ ენერგიული ხმაურით, რაც სადილობის დასასრულს სჩვევია ხოლმე; ჟიულიენი უცქეროდა ქალების შეფაკლულ სახეებს; მრავალი მათგანი არ იყო ულამაზო. მისი გულისყური მიიპყრო ხარჯთამკრეფის მეუღლემ, შესანიშნავმა მომღერალმა.

_ მართალი გითხრათ, მრცხვენია, რომ ამდენ ხანს ლათინურად ვლაპარაკობ ამ მანდილოსნების წინაშე. _ თქვა მან და ქალებს გადახედა: _ თუ ვინმე თქვენგანი კეთილ ინებებს და შემთხვევით რომელიმე ლათინურ ფრაზას წაიკითხავს, მე შევეცდები ექსპრომტად გადმოვთარგმნო.

ამ მეორე გამოცდამ ჟიულიენის სახელი უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა.

აქ რამდენიმე ლიბერალიც იყო. თავიანთი სიმდიდრის მიუხედავად, ისინი ოცნებობდნენ სტიპენდიები მიეღოთ შვილებისათვის და ამიტომ მოულოდნელად რჯულზე მოიქცნენ მისიონერების უკანასკნელი ჩამოსვლის შემდეგ. ამ მარჯვე პოლიტიკური ფანდის მიუხედავად, არასოდეს ბ. დე რენალს ისინი თავის ოჯახში არ მიუღია. ეს ყოჩაღი ადამიანები, რომელნიც ჟიულიენს მხოლოდ ყურმოკვრით იცნობდნენ, ახლა მისი მყვირალა თაყვანისმცემლები გახდნენ. «როდის მოსწყინდებათ ამ სულელ ადამიანებს ბიბლიური სტილი, რომლისაც მათ არაფერი გაეგებათ?» _ ფიქრობდა იგი.

ამათ კი, პირიქით, ეს სტილი ართობდა თავისი უცნაურობით; ისინი იცინოდნენ, მაგრამ თვით ჟიულიენი დაიღალა.

როცა ექვსმა საათმა დარეკა, იგი სერიოზულად წამოდგა და განაცხადა, ღვთისმეტყველების ახალი კურსის ერთი თავი უნდა ვისწავლო, რათა ხვალ ბ. შელანს ვუპასუხოო.

_ იმიტომ, რომ ჩემი ხელობა, _ დაუმატა მან ღიმილით, _ მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ გაკვეთილები ვკითხო სხვებს, არამედ იმაშიც, რომ მეც ვუპასუხო გაკვეთილები.

ბევრი იცინეს და ბევრი აღტაცება გამოთქვეს. როცა ჟიულიენი ადგა, ყველანი წამოდგნენ ეტიკეტის მიუხედავად; ასეთია გენიოსის ძალა. ქალბატონმა ვალნომ იგი მეოთხედი საათით შეაჩერა, მას სურდა მოესმინა, როგორ უპასუხებდნენ მისი ბავშვები კატეხიზმოს გაკვეთილს; ბავშვებმა ყველაფერი სასაცილოდ არივ-დარიეს, მაგრამ ეს მხოლოდ ჟიულიენმა შეამჩნია. «რა უცოდინარობაა სარწმუნოების ძირითადი პრინციპებისა!» _ ფიქრობდა იგი. ბოლოს მასპინძლებს გამოემშვიდობა და წასვლას აპირებდა; მაგრამ ლაფონტენის იგავის მოსმენაც მოუხდა.

_ ეს მეტად უზნეო მწერალია, _ უთხრა ჟიულიენმა ქალბატონ ვალნოს: _ ცნობილი იგავი მესირ ჟან შუანზე სასაცილოდ იგდებს ყოველივეს, რაც განსაკუთრებით პატივსადებია. საუკეთესო კომენტატორები მას ჰკიცხავენ.

წასვლის წინ ჟიულიენი ოთხ თუ ხუთ ადგილას მიიპატიჟეს სადილად. «ეს ახალგაზრდა კაცი სასახელოა დეპარტამენტისთვის!» გაიძახოდნენ შეზარხოშებული სტუმრები. ლაპარაკი დაიწყეს იმაზე, რომ მისთვის პენსია დაენიშნათ საზოგადოებრივი თანხებიდან, რათა შესაძლებლობა მიეცათ სწავლა განეგრძო პარიზში.

«რა საზოგადოებაა! _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ თუნდაც თავიანთი ნაქურდალის ნახევარი მომცენ, მაინც არ ვისურვებდი მათთან ცხოვრებას; ერთ მშვენიერ დღეს თავს ვერ შევიკავებდი და მთელ ჩემს ზიზღს გამოვხატავდი მათდამი».

მაგრამ ქალბატონ დე რენალის განკარგულების მიხედვით მას რამდენიმე ასეთ სადილზე მოუხდა დასწრება: ჟიულიენი მოდაში შემოვიდა. მალე ვერიერში მხოლოდ იმაზე ლაპარაკობდნენ, ვინ გაიმარჯვებს და ვინ გადაიბირებს მეცნიერ ახალგაზრდას, ბ. დე რენალი თუ ღატაკთა თავშესაფრის დირექტორიო. ეს ვაჟბატონები ბ. მასლონთან ერთად შეადგენდნენ ტრიუმვირატს, რომელსაც რამდენიმე წელიწადია ხელში ჰყავდა დაჭერილი მთელი ქალაქი. ქალაქის მერს შურით უცქეროდნენ, ლიბერალებს საფუძველი

ჰქონდათ უკმაყოფილონი ყოფილიყვნენ მისი; მაგრამ იგი აზნაური იყო, დაბადებული უპირატესობისთვის, მაშინ როცა ბ. ვალნოსთვის მამას ექვსასი ფრანკის შემოსავალიც კი არ დაუტოვებია. ადამიანი უნდა განთავისუფლებულიყო სიბრალულის გრძნობისაგან, რომელსაც მისი ცუდი მწვანე ტანსაცმელი იწვევდა ახალგაზრდობაში და შურის გრძნობაზე გადასულიყო, რასაც დღეს მისი ნორმანდიული ცხენები, მისი ოქროს ძეწკვები, პარიზიდან გამოწერილი ტანისამოსი და საერთოდ, მთელი კეთილდღეობა აღვივებდა.

ამ ახალი საზოგადოების ტალღებში ჟიულიენმა თითქო მხოლოდ ერთი პატიოსანი ადამიანი აღმოაჩინა. ეს იყო მათემატიკოსი, გვარად გრო, იაკობინელად აღიარებული. რადგან ჟიულიენმა თავს სიტყვა მისცა, ისეთი რამეები ეთქვა, რასაც თვითონ ტყუილად თვლიდა, ბ. გროსთან მას დიდი სიფრთხილით უხდებოდა ლაპარაკი.

ჟიულიენმა ვერჟიდან მთელი შეკვრა რვეულები მიიღო გასასწორებლად. ურჩევდნენ, მამაშენი ხშირად ინახულეო, ისიც უხალისოდ ასრულებდა ამ სამწუხარო მოვალეობას. ერთი სიტყვით, მან საკმაოდ გამოასწორა თავისი რეპუტაცია, როცა ერთხელ დილით მოულოდნელად ორმა ხელმა გამოაღვიძა, რომელნიც თვალებს უხუჭავდნენ.

ეს იყო ქალბატონი დე რენალი; იგი ქალაქში ჩამოსულიყო და საჩქაროდ ამოერბინა კიბეზე, რათა ერთი წუთით ჟიულიენთან დარჩენილიყო ბავშვების მოსვლამდე, რომელნიც თან მოყვანილ ბაჭიას ეთამაშებოდნენ. ეს წუთი მომხიბლავი, მაგრამ მსწრაფლ წარმავალი იყო; ქალბატონი დე რენალი გაქრა, როცა ბავშვები მოვიდნენ ბაჭიათურთ, რომელიც მეგობრისთვის უნდოდათ ეჩვენებინათ. ჟიულიენმა ყველანი კარგად მიიღო, პატარა ბაჭიაც კი. იგი გრძნობდა, რომ უყვარდა ეს ბავშვები, რომ ესიამოვნებოდა მათთან ტიკტიკი. მას აკვირვებდა მათი ხმის სინაზე, მათი მიხრა-მოხრის უბრალოება და კეთილშობილება; მოთხოვნილება ჰქონდა თავისი ფანტაზია გაეთავისუფლებია ყველა ვულგარული მოქმედებისა, ყველა უსიამოვნო აზრისაგან, რომელიც გარს ეხვია ვერიერში.

_ თქვენ, აზნაურებს, უფლება გაქვთ იამაყოთ, _ უთხრა მან ქალბატონ დე რენალს და სადილების ამბავი მოუყვა.

_ მაშ, თქვენ მოდაში ყოფილხართ! _ და ქალმა სულით და გულით იცინა ქალბატონ ვალნოზე, რომელიც თავს ვალდებულად თვლიდა ყოველთვის ფერ-უმარილი წაეცხო, როცა ჟიულიენს ელოდა. _ ვფიქრობ, არც თქვენი გულის მოგებაზე იტყოდა უარს.

საუზმე საუცხოოდ ჩატარდა. თითქო ბავშვებს მათთვის ხელი უნდა შეეშალათ, მაგრამ ნამდვილად ისინი ხელს უწყობდნენ საერთო ბედნიერებას. ამ საბრალო ბავშვებმა არ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ თავიანთი ბედნიერება ჟიულიენის დანახვის გამო.

მოსამსახურეებს მათთვის უკვე ეამბოთ, რომ ჟიულიენს ორას ფრანკს უმატებენ, პატარა ვალნოები რომ აღზარდოსო.

საუზმის დროს სტანისლავ ქსავიემ, რომელიც ჯერ კიდევ ფერმკრთალი იყო განვლილი ავადმყოფობის გამო, უცებ ჰკითხა თავის დედას, რამდენი ღირს ჩემი ვერცხლის დანა-ჩანგალი და ჭიქაო?

_ რად გინდა?

_ მინდა გავყიდო და ფული ბ. ჟიულიენს მივცე, რომ ჩვენთან დარჩენით არ მოღორდეს.

თვალცრემლიანი ჟიულიენი ბავშვს გადაეხვია, ხოლო დედა ატირდა. ჟიულიენმა მუხლებზე დაისვა ბავშვი და დაუწყო ახსნა, რომ სიტყვა მოღორება არ უნდა იხმაროს, ეს ლაქიების შესაფერი გამოთქმაო. რაკი დაინახა, რომ ეს ქალბატონ დე რენალს ესიამოვნებოდა, იგი მხატვრული მაგალითებით შეეცადა აეხსნა, რას ნიშნავდა სიტყვა მოღორება.

_ მესმის, _ უთხრა სტანისლავმა, _ მოღორებული დარჩა ყვავი, რომელმაც სისულელე გამოიჩინა და ყველი გააგდო, ფარისეველმა მელიამ კი წაიღო.

სიხარულით აღტაცებულმა ქალმა გადაკოცნა თავისი ბავშვები, თან ოდნავ ჩამოეყრდნო ჟიულიენის მკლავს.

უცებ კარი გაიღო და ბ. დე რენალი შეოვიდა. მისი მკაცრი და უკმაყოფილო სახე კონტრასტს ქმნიდა წყნარ მხიარულებასთან, რაც მისმა გამოჩენამ გაფანტა. ქალბატონი დე რენალი გაფითრდა; გრძნობდა, რომ ვერაფერს უარყოფდა. ჟიულიენმა ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი. ქალაქის მერს ვერცხლის ჭიქის ამბავი მოუყვა. დარწმუნებული იყო, რომ ეს ამბავი ბ. დე რენალს არ მოეწონებოდა. ამ უკანასკნელმა წარბები შეიჭმუხნა ვერცხლის გაგონებაზე. «ამ ლითონის გახსენება, _ ფიქრობდა იგი, _ ყოველთვის შესავალს წარმოადგენს ჩემს ქისაზე თავდასხმისათვის».

მაგრამ აქ მეტი იყო, ვიდრე ფულის ინტერესი, აქ მისი ეჭვი ღვივდებოდა. ოჯახის ბედნიერი და კმაყოფილი იერი მისი არყოფნის დროს ვერ მოეწონებოდა ასეთ თავმოყვარე მამაკაცს. ცოლმა უამბო, თუ როგორ მოხდენილად და გონებამახვილად გადასცა ჟულიენმა ახალი ცნებები თავის მოწაფეებს.

«ჰო, ჰო, ვიცი, _ გაიფიქრა ბ. დე რენალმა, _ ეს დურგლის შვილი ჩემს თავს სამაგლად უჩვენებს ბავშვებს: მისთვის ადვილია მათ ასჯერ უფრო საყვარელი ეჩვენოს,

ვიდრე მე, თუმცა არსებითად მე ვარ ოჯახის უფროსი. ამ საუკუნეში ყველაფერი იქით მიისწრაფის, რომ ჩრდილი მიაყენოს კანონიერ ხელისუფლებას! საბრალო საფრანგეთი!»

ქალბატონი დე რენალი არ შესდგომია იმ ნიუანსების გარჩევას, რომლითაც ქმარი შეხვდა. იგი ფიქრობდა როგორ მოეწყო, რომ თორმეტი საათი გაეტარებია ჟიულიენთან. მას მრავალი რამ ჰქონდა საყიდი ქალაქში და განაცხადა, აუცილებლად დუქანში უნდა ვისადილოო; ქმრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალი თავის განზრახვაზე იდგა. ბავშვებიც აღტაცებულნი იყვნენ სიტყვა დუქნის გაგონებაზე.

ბ. დე რენალმა პირველსავე მაღაზიაში დატოვა თავისი ცოლი და სადარბაზოდ წავიდა. უკან დაბრუნებისას კიდევ უფრო პირქუში იყო, ვიდრე დილით; იგი დარწმუნებული იყო, რომ მთელი ქალაქი მხოლოდ მასზე და ჟიულიენზე ლაპარაკობდა. ნამდვილად არავის არ უნიშნებია, რომ ქალქის მითქმა-მოთქმაში რაიმე შეურაცხმყოფელი ყოფილიყო მისთვის. მას მხოლოდ იმას ჰკითხავდნენ, თქვენთან რჩება ჟიულიენი ექვსასი ფრანკი ჯამაგირით თუ თავშესაფრის დირექტორის მიერ შეთავაზებულ რვაას ფრანკს დახარბდებაო.

ბ. ვალნო ბ. დე რენალს შეხვდა საზოგადოებაში და ცივი წყალი გადაასხა. ბ. ვალნო სწორედ ის კაცი გახლდათ, ვისაც პროვინციაში გამოქექილს უწოდებენ: იგი ბუნებით თავხედი და ტლანქი იყო. მისმა სატრიუმფო მსვლელობამ, რომელიც 1815 წლიდან დაიწყო, ხელი შეუწყო მის ფარული ნიჭის გაშლას. იგი, ასე ვთქვათ, მეფობდა ვერიერში ბ. დე რენალის მართვა-გამგეობის ქვეშ; მაგრამ რადგან ბევრად უფრო აქტიური იყო, არაფრის არ რცხვენოდა, ყველაფერში ერეოდა, შეუსვენებლად დარბოდა, წერდა, ლაპარაკობდა, ყოველგვარ დამცირებას იტანდა, ყოველივე პირად პრეტენზიას მოკლებული იყო. ბოლოს შეარყია თავისი პატრონის ნდობა საეკლესიო ხელისუფლების თვალში. ბ. ვალნომ თითქო ადგილობრივ ბაყლებს უთხრა: მომეცით ორი უბრიყვესი კაცი თქვენი წრიდან; იურისტებს: მიჩვენეთ ორი ყველაზე უმეცარი; ექიმებს: ამირჩიეთ ორი შარლატანი! როცა ყოველი პროფესიიდან უთავხედესი ადამიანები შეაგროვა, გამოუცხადა: ერთად ვიმეფოთო!

ამ ხალხის ასქციელი აშფოთებდა ბ. დე რენალს. ბ. ვალნოს ახლა ეგონა, გადამწყვეტი შეჯახება მომიხდება ჩემ ძველ თანამებრძოლ ბ. დე რენალთანო. ამ უკანასკნელმა მას ტლანქი სიტყვებით მიმართა, რასაც მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა; მაგრამ დე რენალს შეეძლო ბეზანსონში ან თვით პარიზში მიეწერა. შეიძლებოდა ანაზდეულად ვერიერში რომელიმე მინისტრის ბიძაშვილი ჩამოსულიყო და ღატაკთა

მზრუნველობა წაერთმია მისთვის. ბ. ვალნო ლიბერალებთან დაახლოებასაც კი ფიქრობდა: ამისთვის იყო, რომ მრავალი მათგანი დაპატიჟა სადილზე, რომელსაც ჟიულიენიც დაესწრო. მათ შეეძლოთ ძლიერი დახმარება გაეწიათ ქალაქის მერის წინააღმდეგ. ეს პოლიტიკა მშვენივრად ესმოდა ქალბატონ დე რენალს და ჟიულიენსაც აუხსნა, როცა ხელში ხელგაყრილი მაღაზიიდან მაღაზიაში გადადიოდნენ.

ამავე დროს ვალნო ცდილობდა გადაედო გადამწყვეტი ახსნა-განმარტება თავის ძველ პატრონთან და თვითონ მიეღო თავხედი ტონი. ამჟამად მისმა სისტემამ გაიმარჯვა, მაგრამ ქალაქის მერი უფრო უგუნებოდ გახადა.

არასოდეს თავმოყვარეობის შეჯახებას ფულის მძაფრ და წვრილმან სიყვარულთან ადამიანი იმაზე უფრო უბადრუკ მდგომარეობაში არ ჩაუყენებია, ვიდრე ბ. დე რენალი იმყოფეობდა დუქანში შესვლის დროს. პირიქით, არასოდეს მისი ბავშვები უფრო მხიარული და კმაყოფილი არ ყოფილან. ამ კონტრასტმა აავსო მისი მოთმინების ფიალა.

_ როგორც ვხედავ, მე ზედმეტი ვყოფილვარ ჩემს ოჯახში, _ თქვა მან შესვლისას, რაც შეიძლება მეტი შთამაგონებელი ტონით.

პასუხის მაგივრად ცოლმა იგი განზე გაიხმო და განუცხადა, ჟიულიენის დათხოვნაა საჭიროო. ბედნიერმა წუთებმა, რომელიც ქალმა ეს იყო გაატარა, მას თვითრწმენა და სიმტკიცე მიანიჭა ორი კვირის წინათ მოფიქრებული გეგმის გასახორციელებლად. საბრალო ქალაქის მერი საბოლოოდ დაიბნა. მან იცოდა, რომ ქალაქში საქვყნოდ დასცინოდნენ ფულის სიყვარულისათვის. ბ. ვალნო ხელგაშლილი იყო, როგორც ქურდს შეეფერებოდა და ეს მან ხუთ-ექვსჯერ ბრწყინვალედ დაამტკიცა, როცა ფულს აგროვებდნენ წმინდა იოსების ძმობისა, წმინდა ქალწულის კონგრეგაციისა, წმინდა ზიარების კონგრეგაციისა და სხვათა სასარგებლოდ.

ვერიერისა და მისი მახლობელი კუთხეების აზნაურთ შორის, რომელთაც ძმანი შემკრებელნი სიებში მარჯვედ ანაწილებდნენ მათი შემოწირულების რაოდენობის მიხედვით, ხშირად ბ. დე რენალი ბოლოში აღმოჩენილა. იგი ამაოდ ირწმუნებოდა, არავისგან არაფერს ვიღებო. სამღვდელოებას ხუმრობა როდი უყვარს ასეთ რამეებზე.

XXIII

მოხელის გულისწუხილი

ის სიამოვნება, რომელსაც მთელი წლის
განმავლობაში თავაწეული სიარულის
უფლება იძლევა, თხუთმეტი მძიმე წუთის
გადატანით გვაქვს ნაყიდი.

კასტი

მაგრამ თავი დავანებოთ ამ პატარა ადამიანს და მის პატარა შიშს: რად შეიყვანა თავის სახლში გულით დაჯილდოებული ადამიანი, მაშინ, როცა მას ლაქიის სული სჭირდებოდა? მსახურების არჩევა არ იცის? XIX საუკუნეში ხშირად ხდება, რომ როცა ძლიერი და წარჩინებული ადამიანი ხვდება გულით აღჭურვილ ადამიანს, იგი მას კლავს, აძევებს, ატუსაღებს ან იმდენად ამცირებს, რომ ეს უკანასკნელი უგუნურებას იჩენს _ მწუხარების გამო კვდება. საფრანგეთის პატარა ქალაქების დიდი უბედურება ისაა, რომ მათ არ შეუძლიათ დაივიწყონ ისეთ პიროვნებათა არსებობა, როგორიცაა ბ-ნი დე რენალი. ოციათასსულიან ქალაქში ეს ადამიანები საზოგადოებრივ აზრს ქმნიან, საზოგადოებრივი აზრი კი მრისხანე ძალაა ქვეყანაში, სადაც ქარტია არსებობს. კეთილშობილი სულის მქონე ადამიანი, რომელიც შეიძლებოდა თქვენი მეგობარი ყოფილიყო, მაგრამ ას ლიეს მანძილზე ცხოვრობს თქვენგან, თქვენ გაფასებთ თქვენივე ქალაქის საზოგადოებრივი აზრის მიხედვით. ეს საზოგადოებრივი აზრი კი შექმნილია უგუნურთა მიერ, რომელნიც შემთხვევამ წარჩინებულად, მდიდრად და ზომიერად დაბადა. უბედურია, ვინც საერთო ზომას გასცილდება!

ნასადილევს დე რენალები მაშინვე ვერჟიში გაემგზავრნენ, მაგრამ მესამე დღეს ჟიულიენმა მთელი ოჯახი ისევ ვერიერში დაინახა.

არ გაუვლია ერთ საათსაც და გაოცებულმა ჟიულიენმა შეამჩნია, რომ ქალბატონი დე რენალი მას რაღაცას უმალავდა. ქალი ლაპარაკს წყვეტდა თავის ქმართან, როცა ჟიულიენი გამოჩნდებოდა და, როგორც ეტყობოდა, სურდა, რომ იგი იქ არ ყოფილიყო. ჟიულიენი ცივი და თავდაჭერილი გახდა; ქალბატონმა დე რენალმა ეს შეამჩნია, მაგრამ ახსნა-განმარტება არ მოუთხოვია. «ჩემი შემცვლელის აყვანა ხომ არ უნდა? _ ფიქრობდა ჟიულიენი: _ ჯერ კიდევ გუშინწინ გულთბილი იყო ჩემთან! მაგრამ ამბობენ, ასეთია წარჩინებული ქალის ბუნებაო. ისინი მეფეებს ჰგვანან, არავის არ ექცევიან ისე თავაზიანად, როგორც მინისტრს, რომელიც შინ დაბრუნებისას მაგიდაზე დათხოვნის ბარათს პოულობს».

ჟიულიენმა შეამჩნია, რომ ამ საუბრის დროს, რომელიც მისი გამოჩენისთანავე წყდებოდა, ლაპარაკი იყო დიდ სახლზე, რომელიც ვერიერის თემს ეკუთვნოდა, ძველ, მაგრამ, ფართო და კარგად მოწყობილ სახლზე ეკლესიის პირდაპირ, ქალაქის ყველაზე მოძრავ ნაწილში. «რა არის საერთო ამ სახლსა და ახალ საყვარელს შორის?» ფიქობდა ჟიულიენი. თავის მწუხარებაში იგი იმეორებდა ფრანსუა პირველის მშვენიერ სიმღერას, რომელიც მას ახალი ეგონა იმიტომ, რომ ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც ქალბატონმა დე რენალმა ასწავლა. და მაშინ რამდენი ფიცი, რამდენი ალერსი ჰქონდა დართული თითოეულ ლექსს!

Souvent femme varie,
Bien fol est qui s'y fie.

ბ-ნი დე რენალი საფოსტო ეტლით გაემგზავრა ბეზანსონში. მისი მოგზაურობა ორი საათით ადრე გადაწყდა, სახეზე ეტყობოდა, რომ ძლიერ შეწუხებული იყო. დაბრუნებისთანავე მაგიდაზე დააგდო ნაცრისფერ ქაღალდში გახვეული დიდი პაკეტი.

_ აი, ეს სულელური საქმე, _ უთხრა მან ცოლს.

ერთი საათის შემდეგ ჟიულიენმა ეს პაკეტი აფიშების გამკვრელის ხელში დაინახა და მას უკან გაჰყვა ფეხდაფეხ: «მე მინდა საიდუმლოება პირველი ქუჩის კუთხეში გავიგო», _ ფიქრობდა იგი.

იგი მოუთმენლად იდგა აფიშების გამკვრელის უკან, რომელიც თავის მსხვილ ფუნჯს უსვამდა გაკრულ აფიშას. როგორც კი აფიშა წაიკითხა, ჟიულიენის ცნობისმოყვარეობა დაკმაყოფილებულ იქნა: აღმოჩნდა, რომ ეს იყო მეტად დეტალური განცხადება, რომ საჯარო ვაჭრობით ქირავდებოდა ის დიდი და ძველი სახლი, რომლის სახელი ასე ხშირად მეორდებოდა ბ-ნ დე რენალის ცოლთან საუბარში. ვაჭრობა დანიშნული იყო სათემო დარბაზში მეორე დღეს ორი საათისთვის და თავდებოდა მესამე სანთლის დაქრობით. ჟიულიენი მეტისმეტად იმედგაცრუებული იყო; იგი ფიქრობდა, ვადა მეტისმეტად მოკლეაო. როგორ მოასწრებენ კონკურენტები ამის გაგებას? მაგრამ ეს აფიშა, რომელიც თხუთმეტი დღის წინათ იყო დათარიღებული და რომელიც მან თავიდან ბოლომდე წაიკითხა სამ სხვადასხვა ადგილას, არსებითად არაფერს ეუბნებოდა. იგი დასაქირავებელი სახლის სანახავად წავიდა. მეკარე, რომელმაც იგი ვერ შეამჩნია, იდუმალი სახის გამომეტყველებით ეუბნებოდა თავის მეზობელს:

_ ვაჰ, ვაჰ! ყოველი ცდა ამაოა. ბ. მასლონმა მას აღუთქვა, რომ სამას ფრანკად მიიღებს; რადგან ქალაქის მერი წინააღმდეგი იყო, იგი ეპისკოპოსმა მიიწვია ბ. თანამოსაყდრის ფრილერის შემწეობით.

ჟიულიენის მოსვლამ, როგორც ეტყობოდა, დიდად შეაშფოთა მეგობრები, რომელთაც კრინტიც აღარ დაუძრავთ.

ჟიულიენი საჯარო ვაჭრობაზე წავიდა. ცუდად განათებულ დარბაზში დიდი ორომტრიალი იდგა; მაგრამ ყველანი ერთმანეთს ათვალიერებდნენ უცნაურად. ყველა თვალი მიმართული იყო მაგიდისკენ, სადაც ჟიულიენმა სპილენძის თეფშზე სამი პატარა ანთებული სანთელი დაინახა. ბოქაულმა დაიძახა:

_ სამასი ფრანკი, ბატონებო!

_ სამასი ფრანკი! ეს უკვე მეტისმეტია, _ უთხრა დაბალი ხმით ერთმა კაცმა თავის მეზობელს. ჟიულიენი მათ შორის იდგა.

_ იგი რვაას ფრანკზე მეტი ღირს, მე მინდა დავუმატო!

_ ეს წყლის ნაყვა იქნებოდა. რას მოიგებ, თუ შენს წინააღმდეგ ბ. მასლონი, ბ. ვალნო, ეპისკოპოსი, მრისხანე ფრილერი და მთელი მათი ხროვა აიმხედრე?

_ სამას ოცი ფრანკი, _ დაიყვირა მეორემ.

_ საზიზღარი მხეცი! _ წამოიძახა მისმა მეზობელმა: _ აი, ქალაქის მერის ჯაშუში, _ დაუმატა მან და ჟიულიენს მიუთითა.

ჟიულიენი უცებ მოტრიალდა, რათა დაენახა ამ სიტყვების მთქმელი, მაგრამ მოსაუბრენი მას უკვე ყურადღებას არ აქცევდნენ. მათი გულგრილობა ვაჟსაც გადაედო. ამ წუთში უკანასკნელი სანთელი ჩაქრა და ბოქაულმა გაჭიანურებული ხმით სახლი ცხრა წლით სამას ოცდაათ ფრანკად მიაკუთვნა ბ. დე სენ ჟიროს, პრეფექტურის ბიუროს უფროსს.

როგორც კი ქალაქის მერი დარბაზიდან გავიდა, ლაპარაკი განახლდა.

_ გროჟოს გაუფრთხილებლობამ ოცდაათი ფრანკი შეჰმატა თემს, _ ამბობდა ერთი.

_ მაგრამ სენ ჟირო სამაგიეროს გადაუხდის გროჟოს, _ უპასუხებდა მეორე.

_ რა უსინდისობაა, _ თქვა ერთმა მსხვილმა კაცმა ჟიულიენის გვერდით, _ ამ სახლში მე რვაას ფრანკს მივცემდი ჩემი ფაბრიკისათვის და მაინც იაფი იქნებოდა.

_ ვაჰ, _ უპასუხა მას ახალგაზრდა ლიბერალმა მეფაბრიკემ: _ განა ბ. სენ ჟირო კონგრეგაციის წევრი არ არის? განა მისმა ოთხმა შვილმა სტიპენდია არ მიიღო? საწყალი კაცი! ვერიერის თემს მისი სარჩო ხუთასი ფრანკით უნდა გაედიდებინა, ესაა და ეს.

_ საკვირველია, რომ ქალაქის მერმა ხელი არ შეუშალა! _ შენიშნა მესამემ: _ თუმცა იგი უკიდურესი კონსერვატორია, მაგრამ არ ქურდობს.

_ არ ქურდობს? _ ჰკითხა მეორემ: _ ყველანი ქურდობენ. ნაქურდალს ერთ ქისაში უყრიან თავს და შემდეგ წლის ბოლოს ინაწილებენ. მაგრამ აქ ახალგაზრდა სორელი დგას წავიდეთ.

ჟიულიენი გულმოსული დაბრუნდა. ქალბატონი დე რენალი ცუდ გუნებაზე იყო.

_ საჯარო ვაჭრობიდან მოდიხართ? _ ჰკითხა ქალმა.

_ დიახ, ქალბატონო, იქ მე პატივი მქონდა ბ. ქალაქის მერის ჯაშუშად გავსაღებულიყავი.

ამ დროს გამოჩნდა ბ. დე რენალი; იგი მეტად პირქუში იყო. სადილზე სრული დუმილი სუფევდა. ბ. დე რენალმა ჟიულიენს უბრძანა ბავშვებს გაჰყოლოდა ვერჟიში; მოგზაურობის დროს ყველანი მოწყენილი იყვნენ. ქალბატონი დე რენალი ანუგეშებდა თავის მეუღლეს.

_ თქვენ ამას უნდა შეჩვეოდით, ჩემო მეგობარო.

საღამოს ყველანი წყნარად ისხდნენ ბუხართან; ერთადერთი გართობა წიფლის შეშის ტკრციალი იყო. ეს იყო ერთი იმ სევდიან წუთთაგანი, რომელიც ხშირად გვხვდება ყველაზე შეთანხმებულ ოჯახებში. ერთმა ბავშვმა მხიარულად წამოიძახა:

_ ზარს რეკავენ, ზარს რეკავენ!

_ ეშმაკმა დალახვროს! _ წამოიძახა ქალაქის მერმა: _ თუ ეს სენ ჟიროა და მადლობის სათქმელად მოვიდა, მე ყველაფერს ვეტყვი; ეს მეტისმეტია. იგი თავს ვალდებულად ჩათვლის ვალნოს მიმართ, სახელგატეხილი კი მხოლოდ მე დავრჩები. რა უნდა ვქნა, თუ ამ წყეულმა იაკობინურმა გაზეთებმა ხელზე დაიხვიეს ეს ამბავი და ჩემი სახელი სათრევლად აქციეს?

ოთახში მსახურმა შავბაკენბარდებიანი ლამაზი მამაკაცი შემოიყვანა.

_ ბ. ქალაქის მერო, მე სინიორ ჯერონიმო* ვარ. აი, წერილი, რომელიც ნეაპოლის საელჩოს ატაშემ ბ. კავალერმა დე ბოვეზიმ გადმომცა თქვენთვის ჩემი წამოსვლის წინ; ცხრა დღეა მას შემდეგ, _ დაუმატა სინიორ ჯერონიმომ მხიარულად და ქალბატონ დე რენალს შეხედა, _ თქვენი ბიძაშვილი და ჩემი კარგი მეგობარი სინიორ დე ბოვეზი, ქალბატონო, ამბობს, რომ თქვენ იცით იტალიური ენა.

ნეაპოლელის კარგმა გუნებამ ეს სევდიანი საღამო მეტად მხიარული გახადა. ქალბატონმა დე რენალმა მოისურვა, სტუმარს აუცილებლად ვახშმით გამასპინძლებოდა.

ქალმა მთელი ოჯახი ფეხზე დააყენა; მას უნდოდა ჟიულიენისათვის დაევიწყებინა, რომ ორჯერ ჯაშუში უწოდეს ამ დღეს. სინიორ ჯერონიმო გამოჩენილი მომღერალი იყო, ერთსა და იმავე დროს კარგი საზოგადოების კაციც და მეტად მხიარული ადამიანიც. ეს ისეთი თვისებებია, რომელნიც საფრანგეთში ერთად აღარ თავსდებიან. ვახშმის შემდეგ მან პატარა დუეტი იმღერა ქალბატონ დე რენალთან ერთად. შემდეგ საუცხოო ამბები მოჰყვა. ნაშუაღამევის პირველ საათზე ბავშვებმა ყვირილი ატეხეს, როცა ჟიულიენმა უთხრა, დაწექითო.

_ კიდევ ერთ ამბავს მოვისმენთ, _ თხოულობდა უფროსი.

_ ეს ჩემი საკუთარი ამბავია, სინიორინო, _ თქვა სინიორ ჯერონიმომ. _ რვა წლის წინათ მეც ნეაპოლის კონსერვატორიის ახალგაზრდა მოწაფე ვიყავი, ე. ი. თქვენი ხნისა გახლდით; მაგრამ მე არ მქონდა პატივი მშვენიერი ქალაქი ვერიერის სახელოვანი მერის ვაჟი ვყოფილიყავი. _ ამ სიტყვებმა ბ. დე რენალის ღრმა ამოოხვრა გამოიწვია, მან თავის ცოლს გადახედა. _ სინიორ ძინგარელი, _ განაგრძო ახალგაზრდა მომღერალმა ცოტა არ იყოს გადაჭარბებული აქცენტით, რომელიც სიცილით ხოცავდა ბავშვებს, _ სინიორ ძინგარელი მეტად მკაცრი მასწავლებელი იყო. კონსერვატორიაში იგი არ უყვარდათ, მაგრამ მას უნდოდა ყველანი ისე მოქცეულიყვნენ, თითქოს აღმერთებდნენ. მე სასწავლებლიდან ისე ხშირად გამოვდიოდი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო; ხშირად დავდიოდი სან-კარლინოს თეატრში, სადაც ღმერთების მუსიკას ვისმენდი. მაგრამ, ჰოი, ზეცავ! სად .მეშოვნა რვა სუ პარტერში შესასვლელად? ეს უზარმაზარი თანხაა. _ თქვა მან და ბავშვებს შეხედა, რომელთაც ხელახლა სიცილი აუტყდათ. _ სან-კარლინოს დირექტორმა სინიორ ჯიოვანონემ შემთხვევით გაიგონა როგორ ვმღეროდი. მე უკვე თექვსმეტი წლისა ვიყავი. ეს ბავშვი ნამდვილი განძიაო, გაიფიქრა.

_ მეგობარო, გინდა ჩემთან მოგიწვიო? _ მკითხა მან.

_ რამდენს მომცემთ?

_ ორმოც დუკატს თვეში.

ბატონებო, ეს ას სამოცი ფრანკია. მეგონა, ზეცა გამეხსნა-მეთქი.

_ მაგრამ როგორ მოვახერხო, რომ სასტიკმა ძინგარელიმ გამიშვას? _ ვკითხე ჯიოვანონეს.

_ Lascia fare a me.

_ ეს მე მომანდეთ! _ გადმოთარგმნა უფროსმა ვაჟმა.

_ სწორედ ასეა, ჩემო ახალგაზრდა სინიორ. სინიორ ჯიოვანონემ მითხრა: «ძვირფასო, უწინარეს ყოვლისა, პირობა დავდოთ». მე ხელი მოვაწერე. იგი სამ დუკატს მაძლევს. არასოდეს ამდენი ფული არ მინახავს ერთად. შემდეგ ამიხსნა რა უნდა გამეკეთებინა.

მეორე დღეს აუდიენციას ვთხოვ საშინელ სინიორ ძინგარელის. მასთან მის ბებერ ლაქიას შევყავარ.

_ რა გინდა, ეშმაკის ფეხო? _ მკითხავს ძინგარელი.

_ მაესტრო, _ ვუპასუხე მე, _ მე მოვინანიე ჩემი შეცოდებანი: კონსერვატორიიდან გასვლისას არასოდეს რკინის მოაჯირს არ გადავახტები, ჩემ ბეჯითობას გავაორკეცებ.

_ თუ მე საუკეთესო ბანის გაფუჭებისა არ მშინებოდა, რომელიც ოდესმე მომისმენია, თხუთმეტი დღით საკანში ჩაგსვამდი წყალსა და პურზე, არამზადავ.

_ მაესტრო, _ განვაგრძე მე, _ მე მინდა მთელი სკოლის ნიმუში ვიყო, მერწმუნეთ ამაში. მაგრამ უმორჩილესად გთხოვთ, თუ ქალაქიდან ვინმე მოვიდა და მთხოვა ქალაქში იმღერეო, უარი უთხარით. უთხარით, რომ ამის ნებას ვერ დამრთავთ.

_ ვინ გადარეული შეგეხვეწება ასეთ გარეწარს, იმღერეო? განა მე შენ ოდესმე ნებას დაგრთავ, რომ კონსერვატორია დატოვო? ჩემი სასაცილოდ აგდება ხომ არ გინდა? გაეთრიე! გაეთრიე! _ მითხრა მან და შეეცადა პანღური ამოეკრა, _ გაეთრიე, თორემ ხმელი პური და საკანი გელის.

ერთი საათის შემდეგ სინიორ ჯიოვანონე მოდის დირექტორთან.

_ მე გთხოვთ, ჩემს გაბედნიერებას შეუწყოთ ხელი, _ უთხრა მან დირექტორს: _ მომეცით ჯერონიმო. დაე, მან ჩემს თეატრში იმღეროს და ამ ზამთარშივე ჩემს ქალს გავათხოვებ.

_ რაში გამოგადგება ეს უქნარა? _ ჰკითხა ძინგარელიმ: _ არა, მე არ მსურს. შენ მას ვერ მიიღებ. და თუნდაც მე დაგთანხმდე, თვით იგი არ მოისურვებს კონსერვატორიის დატოვებას. ესაა, თვით შემომფიცა.

_ თუ საქმე მის სურვილზეა დამოკიდებული, _ თქვა სერიოზულად ჯიოვანონემ და ჯიბიდან ჩემი ხელშეკრულება ამოიღო, _ აი, მისი ხელის მოწერა.

გააფთრებული ძინგარელი ზარს მივარდა.

_ გააგდეთ ჯერონიმო კონსერვატორიიდან, _ ყვიროდა იგი ცოფიანივით.

მეც გამაგდეს, მაგრამ სიცილს ვეღარ ვიკავებდი. იმავე საღამოს პულჩინელოს* არია ვიმღერე. პულჩინელოს სურს ცოლი შეირთოს და თითებზე ითვლის, რა და რა დასჭირდება თავის ოჯახში, მაგრამ ანგარიში ყოველ წუთში ეშლება.

_ გთხოვთ, ბატონო, გვიმღერეთ ეს არია, _ უთხრა ქალბატონმა დე რენალმა.

ჯერონიმომ იმღერა და ყველამ იმდენი იცინა, რომ ცრემლები წამოსცვივდათ. სინიორ ჯერონიმო მხოლოდ ნაშუაღამევის ორ საათზე წავიდა დასაძინებლად და მთელი ოჯახი მოხიბლული დატოვა თავისი კარგი მანერებით, თავაზიანობით და მხიარულებით.

მეორე დღეს ბატონმა და ქალბატონმა დე რენალებმა მას წერილები გადასცეს, რაც მას სჭირდებოდა საფრანგეთის მეფის სასახლეში წარსადგომად.

«ამგვარად, ყველგან სიყალბეა, _ ფიქრობდა ჟიულიენი: _ აი, სინიორ ჯერონიმო, რომელიც ლონდონში მიემგზავრება სამოცი ათას ფრანკ ჯამაგირზე. თუ სან-კარლინოს დირექტორი ასეთი მოხერხებული კაცი არ ყოფილიყო, მის ღვთაებრივ ხმას მხოლოდ ათი წლის შემდეგ გაიცნობდნენ და დააფასებდნენ... მე რომ მკითხონ, ვამჯობინებდი ჯერონიმო ვყოფილიყავი, ვიდრე რენალი. მართალია, იგი აგრერიგად პატივცემული არაა საზოგადოებაში, მაგრამ, სამაგიეროდ, იძულებული არაა დღევანდელის მაგვარი საჯარო ვაჭრობა მოახდინოს, და მისი ცხოვრება მხიარულია».

ერთი რამ აკვირვებდა ჟიულიენს: ის კვირეები, რომელიც მან მარტო გაატარა ვერიერში, ბ. დე რენალის სახლში, ბედნიერ ხანად ეჩვენებოდა. ზიზღი და სევდა მას მხოლოდ იმ სადილების დროს იპყრობდა, რომელზედაც რამდენჯერმე მიიწვიეს. განა ამ განმარტოებულ სახლში არ შეეძლო შეუშფოთებლად ეკითხა, ეწერა, ეფიქრა. იგი ბრწყინვალე ოცნებიდან როდი გამოჰყავდა მდაბალი სულის შესწავლის და მისი მოპირფერებისა და მოტყუების აუცილებლობას.

_ ნუთუ ბედნიერება ასე ახლოა?.. ასეთი ცხოვრება ძვირად არ ჯდება; შემიძლია, თუ მოვისურვე, ელიზა შევირთო ან ფუკეს კომპანიონი გავხდე... მგზავრი, რომელიც ფრიალო კლდეზე ადის, დიდი სიამოვნებით შეისვენებს მწვერვალზე, მაგრამ განა ის ბედნიერი იქნება, თუ აიძულეს დაუსრულებლივ დასვენებული იყოს?

ქალბატონი დე რენალის სულმა საბედისწერო აზრებს მიაღწია. თავისი პირვანდელი გადაწყვეტილების მიუხედავად, მან ჟიულიენს ყოველივე უამბო საჯარო ვაჭრობის შესახებ.

«იგი ყველა ფიცს გამატეხინებს», _ ფიქრობდა ქალი.

ის უყოყმანოდ გასწირავდა სიცოცხლეს, რათა ქმარი გადაერჩინა, თუ იგი საფრთხეში ჩავარდებოდა. მას კეთილშობილი და რომანტიკული სული ჰქონდა, რომელიც დამნაშავის სინიდისის ქენჯნას განიცდის, თუ დაინახა, რომ სულგრძელი მოქმედების ჩადენა შეუძლია და არ ჩაიდინა იგი. ამისდა მიუხედავად ზოგიერთ მჭმუნვარე საათებში მას თავიდან ვერ განედევნა უდიდესი ნეტარების აზრი, რომ შეიძლებოდა უცებ დაქვრივებულიყო და ჟიულიენს მისთხოვებოდა.

ჟიულიენს ამ ქალის ვაჟები ბევრად უფრო უყვარდა, ვიდრე მათს მამას; მისი სამართლიანი სიმკაცრის მიუხედავად, ბავშვებიც აღმერთებდნენ. ქალი კარგად გრძნობდა, რომ თუ ჟიულიენზე გათხოვდებოდა, მას უნდა დაეტოვებინა ეს ვერჟი, რომლის ჩრდილოვანი ხეივნები ასე ძვირფასი იყო მისთვის. მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ პარიზში იცხოვრებდა და თავისი ვაჟების აღზრდას განაგრძობდა ისე, რომ მთელი ქვეყნის აღტაცებას გამოიწვევდა. მისი შვილები, ჟიულიენი, თვითონაც სრულიად ბედნიერი იქნებოდნენ.

ასეთია ამ ცოლქმრობის უცნაური შედეგი, რომელიც XIX საუკუნემ შექმნა. ცოლქმრული ცხოვრების მოწყენილობა აუცილებლად სპობს სიყვარულს, თუკი სიყვარული არსებობდა დაქორწინებამდე. ერთი ფილოსოფოსი ამბობდა, ქორწინება მდიდარ და უქმ ადამიანებში ღრმა ზიზღს იწვევს ყველა წყნარი სიამოვნების მიმართო. ქალებში კი მხოლოდ მშრალი სულის პატრონები არიან მოკლებული სიყვარულის უნარს.

ამ ფილოსოფოსის მსჯელობა მაიძულებს ყოველივე ვაპატიო ქალბატონ დე რენალს, მაგრამ ვერიერში მას არ აპატიეს, და მთელი ქალაქი მის სიყვარულზე ლაპარაკობდა, მაგრამ ქალს ამის შესახებ ეჭვიც კი არ ჰქონია. ამ დიდი ამბის გამო იმ შემოდგომამ ჩვეულებრივზე ნაკლებ მოსაწყენად განვლო.

შემოდგომა და ზამთრის ერთი ნაწილი მალე გავიდა. მოვიდა დრო ვერჟის ტყეების დატოვებისა. ვერიერის საზოგადოება აღშფოთებული იყო იმით, რომ მისი აღშფოთება ნაკლებ ახდენდა შთაბეჭდილებას ბ, დე რენალზე. ერთი კვირის განმავლობაში სერიოზულმა პიროვნებებმა, რომელნიც თავიანთ ჩვეულებრივ გაბღენძილობას ასეთი დავალებების შესრულების მიერ მონიჭებული სიამოვნებით ანაზღაურებდნენ, მასში უსასტიკესი ეჭვები გამოიწვიეს, თუმცა ამისთვის მეტად ზომიერ გამოთქმებს ხმარობდნენ.

ბ. ვალნომ, რომელიც ყოველთვის მეტად ფრთხილად იქცეოდა, ელიზა ერთ წარჩინებულ, მეტად პატივსაცემ ოჯახში დააბინავა, სადაც ხუთი დედაკაცი იყო. თავის

მხრივ, ამ გოგოს თავში მოუვიდა საუცხოო აზრი, აღსარების სათქმელად წასულიყო წინანდელ მღვდელ შელანსა და იმავე დროს ახალ მღვდელთანაც, რათა ორივესთვის ჟიულიენის სიყვარული დაწვრილებით ეამბნა.

აბატმა შელანმა დილის ექვს საათზე დაიბარა ჟიულიენი.

_ მე არაფერს არ გკითხავთ, _ უთხრა მან ჟიულიენს: _ მე თქვენ გთხოვთ, ხოლო თუ საჭირო იქნა, გიბრძანებთ არაფერი თქვათ; მე მოვითხოვ, რომ სამი დღის განმალობაში ან ბეზანსონის სემინარიაში გაემგზავროთ ან თქვენს მეგობარ ფუკესკენ, რომელიც კვლავ მზადაა საუცხოოდ მოგაწყოთ. ყოველივე წინასწარ მოვიფიქრე, ყოველივე მოვაწყე, ასე რომ, თქვენ აქედან უნდა გაემგზავროთ და ვერიერში არ დაბრუნდეთ ერთ წელზე ადრე.

ჟიულიენმა არაფერი უპასუხა, იგი მხოლოდ ფიქრობდა, შეურაცხყოფილად ხომ არ უნდა ვიგრძნო თავი ბ. შელანის მზრუნველობის გამო, იგი ხომ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი მამა არ არისო.

_ ხვალ ამ დროს მე პატივი მექნება გინახულოთ, _ უთხრა მან ბოლოს მღვდელს.

შელანს ეგონა ადვილად გავიმარჯვებ ესოდენ ახალგაზრდა კაცზეო და ბევრი ილაპარაკა. ჟიულიენი პირმოკუმული იდგა. გულჩათხრობილი და მოკრძალებული იყო ერთსა და იმავე დროს.

ბ. შელანის ბინიდან გამოსვლისთანავე ჟიულიენი ქალბატონ დე რენალთან გაიქცა გასაფრთხილებლად; ქალი სასოწარკვეთილი იყო. ქმარს მასთან ელაპარაკა საკმაოდ გულახდილად. ამ მამაკაცის ხასიათის ბუნებრივ სისუსტეს და ბეზანსონის მემკვიდრეობის მიღების პერსპექტივას იგი აეძულებინა თავისი ცოლი სავსებით უცოდველად მიეჩნია. მან ქალს უამბო, თუ რა უცნარად სჯიდა ვერიერის საზოგადოებრივი აზრი. საზოგადოება ცდებოდა, მისი მდგომარეობა შურდათ, მაგრამ ბოლოს რა უნდა მოემოქმედნა?

ქალბატონ დე რენალს ერთ წუთს მოეჩვენა, ჟიულიენს შეუძლია ბ. ვალნოს წინადადება მიიღოს და ვერიერში დარჩესო. მაგრამ ეს უკვე აღარ იყო წარსული წლის უბრალო და მორცხვი ქალი; მისმა საბედისწერო სიყვარულმა, მისმა სინდისის ქენჯნამ იგი გაანათლა. ქმრის სიტყვების მოსმენის დროს მალე დარწმუნდა გულისტკივილით, რომ განშორება, თუნდაც დროებითი, აუცილებელი გახდა. «თუ ჟიულიენი მომშორდა, იგი გადავარდება პატივმოყვარე გეგმებში, რომელიც ესოდენ ბუნებრივია, როცა ადამიანს არაფერი აქვს. მე კი, ღმერთო ჩემო, რა მდიდარი ვარ და როგორ უსარგებლოა ეს სიმდიდრე ჩემი ბედნიერებისთვის! იგი დამივიწყებს, იგი მომხიბლავია, მას შეიყვარებენ,

მასაც ვინმე შეუყვარდება. აჰ, უბედურო ჩემო თავო... როგორ შემიძლია ვიჩივლო? ზეცა სამართლიანია, მე ბოლო ვერ მოვუღე დანაშაულს და მსჯელობის ნიჭი წამერთვა. ელიზა ფულით უნდა მომესყიდა, არაფერი იყო ამაზე უფრო ადვილი. თავს ძალა არ დავატანე ცოტათი დავფიქრებულიყავი, სიყვარულის გიჟურმა აზრებმა მთლად ჩანთქეს ჩემი დრო. დავიღუპე».

ჟიულიენი გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ როცა ქალბატონ დე რენალს საშინელი ამბავი აუწყა წასვლის შესახებ, ქალს არავითარი ეგოისტური შენიშვნა არ გაუკეთებია, მხოლოდ, როგორც ეტყობოდა, ცდილობდა არ ატირებულიყო.

_ ჩვენ სიმტკიცე გვჭირდება, ჩემო მეგობარო, _ თქვა ქალმა და თმის ერთი კულული მოიჭრა: _ მე არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ თუ მოვკვდი, აღმითქვი, რომ არასოდეს არ დაივიწყებ ჩემს ბავშვებს. შორს იქნები თუ ახლო, შეეცადე ისინი პატიოსანი ადამიანები გამოვიდნენ. თუ ახალი რევოლუცია მოხდა, ყველა კეთილშობილთ ყელებს გამოსჭრიან; შეიძლება ამ ბავშვების მამა ემიგრანტი გახდეს სახურავზე მოკლული გლეხის გამო. ბავშვებს მოუარე... მომეცი შენი ხელი. მშვიდობით, ჩემო მეგობარო! ეს ჩვენი უკანასკნელი წუთებია. ამ დიდი მსხვერპლის შემდეგ იმედი მაქვს, რომ საზოგადოებაში გამბედაობა მექნება ჩემს რეპუტაციაზე ვიფიქრო.

ჟიულიენი ელოდა, რომ ქალი სასოწარკვეთილი იქნებოდა. ამ გამომშვიდობების უბრალოებამ გული აუჩუყა.

_ არა, მე არ მინდა ასე გამოგემშვიდობო. მე წავალ. მათ ასე სურთ; თქვენც ეს გინდათ, მაგრამ სამი დღის შემდეგ დავბრუნდები, რათა თქვენ ღამით გინახულოთ.

ქალბატონ დე რენალისთვის ყოველივე შეიცვალა. მაშასადამე, ჟიულიენს იგი ძლიერ ჰყვარებია, რაკი თვით მოისურვა მისი ნახვა! მისი საშინელი მწუხარება შეცვალა უძლიერესმა სიხარულმა, რომლის მსგავსი არასოდეს განუცდია სიცოცხლეში, მისთვის ყოველივე ადვილი გახდა. მეგობრის ნახვის იმედმა გაანელა მისი სულიერი ქენჯნა. ამ წუთიდან როგორც ქალბატონ დე რენალის ქცევა, ისე მისი სახე კეთილშობილი, მტკიცე და სავსებით მშვიდი გახდა.

მალე ბ. დე რენალი დაბრუნდა; იგი გააფთრებული იყო და ბოლოს ცოლს გამოუტყდა, ორი თვის წინათ ხელმოუწერელი წერილი მივიღეო.

_ მინდა ეს წერილი კაზინოში წავიღო და ყველას ვაჩვენო, რომ იგი ამ ურცხვმა ვალნომ დაწერა, რომელიც სიღატაკიდან ამოვიყვანე, რათა უმდიდრეს ბურჟუად

გადამექცია ვერიერში. ჯერ საჯაროდ შევარცხვენ, ხოლო შემდეგ დუელში გამოვიწვევ. ეს მეტისმეტია!

«ღმერთო ჩემო, შეიძლება დავქვრივდე! _ გაიფიქრა ქალბატონმა დე რენალმა. მაგრამ იმავე წუთში გულში თქვა: _ თუ ამ დუელს ხელი არ შევუშალე (ეს კი მე შემიძლია), ჩემი ქმრის მკვლელი გავხდები».

არასოდეს ამ ქალს თავისი ქმრის თავმოყვარეობა არ დაუცავს ასეთი მოხერხებით. ორი საათის განმავლობაში თვით მის მიერვე აღმოჩენილი საბუთებით უმტკიცებდა, ჩვეულებრივზე უფრო მეგობრულად უნდა მოეპყრო ბ. ვალნოს და თვით ელიზაც კი დააბრუნო უკანო. ქალბატონ დე რენალს დიდი თავდაჭერილობა დასჭირდებოდა, რათა თავი აეძულებინა ხელახლა შეხვედროდა ელიზას. მაგრამ ეს აზრი ჟიულიენისაგან მომდინარეობდა.

ბოლოს, როცა სამჯერ თუ ოთხჯერ ჭეშმარიტების გზას დააყენეს, ბ. დე რენალი თვით მიადგა იმ ფინანსურად თავისთვის მეტად მძიმე აზრს, რომ მისთვის მეტად არასასიამოვნო იქნებოდა, თუ ჟიულიენი, მთელი ვერიერის მღელვარების და მითქმა-მოთქმის მიუხედავად ამ ქალაქში დარჩებოდა ბ. ვალნოს ბავშვების აღმზრდელად. ჟიულიენის ინტერესი ცხადად მოითხოვდა, რომ ბ. ვალნოს წინადადება მიეღო; პირიქით, ბ. დე რენალის კეთილი სახელისთვის საჭირო იყო, რომ ჟიულიენს დაეტოვებია ვერიერი, რათა ბეზანსონის ან დიჟონის სემინარიაში შესულიყო. მაგრამ როგორ დაერწმუნებია იგი, ან რით უნდა ეცხოვრა მას იქ?

ბ. დე რენალმა დაინახა, რომ ფულადი მსხვერპლის გაღება იყო საჭირო და უფრო დიდ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, ვიდრე მისი ცოლი. ქალის ამ საუბრის შემდეგ იმ გულთბილი და მგრძნობიარე ადამიანის მდგომარეობაში იყო, რომელიც ცხოვრებით დაიღალა და დიდ დოზას ღებულობს თავის მოსაკლავად. იგი, ასე ვთქვათ, ინერციით მოქმედებს და არაფრის ინტერესს აღარ იჩენს; ამრიგად იგი აღწევს ლუი XIV-ის მდგომარეობას, ვინც სიკვდილის წინ გასაოცარი სიტყვები წარმოთქვა: «როცა მე მეფე ვიყავი...»

მეორე დღეს გათენებისთანავე ბ. დე რენალმა ხელმოუწერელი წერილი მიიღო, რომელიც მეტისმეტად შეურაცხმყოფელი სტილით იყო დაწერილი. ყოველ სტრიქონში მოიპოვებოდა უტლანქესი სიტყვები, რომელიც მის მდგომარეობას შეეხებოდა. ეს, ალბათ, რომელიმე შურიანი ხელქვეითის თხზულება იყო. ამ წერილმა მასში ხელახლა გააღვიძა დუელის აზრი. მისი გამბედაობა იქამდე მივიდა, რომ განიზრახა დაუყოვნებლივ

შეესრულებია ეს. მარტოდმარტო გამოვიდა სახლიდან და იარაღის ხელოსანთან წავიდა დამბაჩების გამოსართმევად, ისინი მაშინვე გაატენინა.

«მართლა, _ ფიქრობდა იგი, _ თუ იმპერატორ ნაპოლეონის მკაცრი ადმინისტრაცია დაბრუნდა, მე ერთი გროშის თაღლითობას ვერ დავაყვედრი ჩემს თავს. უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ თვალებს ვხუჭავდი; მაგრამ მე კარგი წერილები მაქვს ჩემს მაგიდაში, ეს წერილები ამის უფლებას მაძლევენ».

ქალბატონი დე რენალი შეძრწუნებული იყო თავისი ქმრის ცივი გულისწყრომით; იგი მას დაქვრივების იმ საბედისწერო აზრს ახსენებდა, რომელსაც ასეთი გაჭირვებით ებრძოდა. ქალი ოთახში ჩაიკეტა ქმართან ერთად. რამდენიმე საათის განმავლობაში უნაყოფოდ ელაპარაკა. ახალმა ხელმოუწერელმა წერილმა ამ კაცს საბოლოო გადაწყვეტილება მიაღებია. ბოლოს ქალმა მიაღწია იმას, რომ თავისი ქმრის ვაჟკაცობა, როგორც ბ. ვალნოს გალახვაში უნდა გამოხატულიყო, გადააქცია ვაჟკაცურ განზრახვად ჟიულიენისთვის ექვსასი ფრანკი შეეთავაზებინა, როგორც წლიური გადასახადი სემინარიაში სწავლისთვის. ბ. დე რენალი წყევლიდა იმ დღეს, როცა მას უბედური აზრი დაებადა ბავშვების აღმზრდელი აეყვანა; მას დაავიწყდა ხელმოუწერელი წერილი.

ქალბატონ დე რენალს დიდი ენერგია დაეხარჯა, რათა ჟიულიენისთვის დაემტკიცებია, რომ, რაკი იგი მისი ქმრის გულისთვის სწირავდა რვაას ფრანკიან ადგილს, რომელსაც ღარიბთა თავშესაფრის დირექტორი საჯაროდ სთავაზობდა, მას შეეძლო შეუშფოთებლად მიეღო საზღაური.

_ ჰო, მაგრამ, _ უპასუხებდა ჟიულიენი, _ მე ერთი წუთითაც არ მიფიქრია ამ წინადადებაზე დათანხმება. თქვენ მეტისმეტად შემაჩვიეთ ელეგანტურ ცხოვრებას და იმ ადამიანების სიტლანქეს ვერ ავიტანდი.

სასტიკმა გაჭირვებამ რკინის ხელით მოდრიკა ჟიულიენის ნებისყოფა. თავისი თავმოყვარეობის შემწეობით მან შექმნა ილუზია, ამ თანხას ვერიერის მერისგან ვსესხულობ და მას ხელწერილს მივცემ, რომ ვალს ხუთი წლის შემდეგ გადავუხდი სარგებლითურთო.

ქალბატონ დე რენალს რამდენიმე ათასი ფრანკი ჰქონდა დამალული მთაზე, გამოქვაბულში. მან ეს ფული ვაჟს შესთავაზა, თუმცა გრძნობდა, რომ მისი წინადადება გულისწყრომით იქნებოდა უარყოფილი.

_ თქვენ გინდათ, რომ ჩვენი სიყვარულის მოგონება საზიზღარი გახდეს? _ ჰკითხა ჟიულიენმა.

ბოლოს ჟიულიენმა დატოვა ვერიერი. ბ. დე რენალი ნეტარების მწვერვალზე იყო. გადამწყვეტ წუთში, როცა ჟიულიენს მისგან ფული უნდა მიეღო, ეს მსხვერპლი აუტანელი აღმოჩნდა ჟიულიენისათვის. მან გადაჭრით უარი თქვა. თვალცრემლიანი ბ. დე რენალი მას ყელზე გადაეჭდო. ჟიულიენმა მხოლოდ ყოფაქცევის მოწმობა სთხოვა და მან აღფრთოვანებაში საკმაოდ ბრწყინვალე სიტყვები ვერ იპოვა მისი ყოფაქცევის შესაქებად. ჩვენს გმირს მხოლოდ ხუთი ლუიდორი ჰქონდა შავი დღისთვის შენახული, იმედი ჰქონდა, რომ ამდენსავეს ფუკესგან ისესხებდა.

იგი მეტისმეტად აღელვებული იყო. მაგრამ, როცა ერთი ლიეს მანძილზე გაშორდა ვერიერს, სადაც ამდენი სიყვარული დატოვა, არაფერზე აღარ ფიქრობდა, გარდა იმ სიამოვნებისა, რომელსაც ისეთი დიდი სამხედრო ქალაქის ნახვა გამოიწვევდა, როგორიც ბეზანსონი იყო.

ამ მოკლე განშორების დროს, რომელიც სამი დღე გაგრძელდა, ქალბატონი დე რენალი შეცდომაში შეიყვანა სიყვარულის ერთმა უმკაცრესმა ილუზიამ. მისი ცხოვრება არ იყო იმდენად აუტანელი, უკიდურესი უბედურების შეგრძნობიდან ქალს იცავდა იმ უკანასკნელი შეხვედრის იმედი, რომელიც მას ჟიულიენთან უნდა ჰქონოდა. იგი საათებს, წუთებს ითვლიდა. ბოლოს მესამე დღეს, ღამით, შორიდან პირობითი ნიშნის ხმა მოესმა. ათასი დაბრკოლების გადალახვის შემდეგ ჟიულიენი მის წინაშე წარსდგა.

ამ წუთიდან ქალი ერთადერთმა აზრმა მოიცვა: მე უკანასკნელად ვხედავ მასო. იმის მაგივრად, რომ თავისი მეგობრის ალერსისთვის გაეცა პასუხი, იგი თითქმის ცხედარს დაემსგავსა. თუ თავს აიძულებდა ვაჟისთვის ეთქვა, მიყვარხარო, ამას ისე მოუხერხებლად აკეთებდა, რომ თითქო წინააღმდეგის თქმა ნდომებოდეს. ქალს ვერაფერმა ვერ გაუფანტა სასტიკი აზრი სამუდამო განშორებაზე. ეჭვიან ჟიულიენს ეგონა, ალბათ, გული გაუცივდა ჩემზეო. როცა ვაჟმა საყვედური უთხრა, ქალს მსხვილი ცრემლები წამოუვიდა ღაპაღუპით და მან თავის მეგობარს მთრთოლვარე ხელი მოუჭირა.

_ მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორ დაგიჯერო? _ უპასუხა ჟიულიენმა სატრფოს ცივ პროტესტებზე. _ თქვენ ასჯერ უფრო გულწრფელ მეგობრობას იჩენთ ქალბატონ დერვილის ან უბრალო ნაცნობისადმი.

გაქვავებულ ქალბატონ დე რენალს სიტყვები ვერ მოენახა საპასუხოდ.

_ შეუძლებელია ადამიანი უფრო უბედური იყოს... იმედი მაქვს, მალე მოვკდები... ვგრძნობ, გული მეყინება...

ასეთი იყო ყველაზე გრძელი ფრაზები, რომელიც ვაჟმა მისგან გაიგონა.

როცა ალიონის მოახლოებამ მათი განშორება აუცილებელი გახადა, ქალბატონ დე რენალს უცებ შეაშრა ცრემლები. უსიტყვოდ უცქეროდა, როგორ აბამდა ვაჟი თოკს ფანჯარაზე და არც კი უპასუხებდა მის კოცნას. ჟიულიენი ეუბნებოდა:

_ აი, ჩვენ მივაღწიეთ იმ მდგომარეობას, რომელსაც თქვენ ნატრობდით. ამიერიდან სინდისის ქენჯნა აღარ შეგაწუხებთ. ბავშვების მცირედი ავადმყოფობის დროს არ წარმოიდგენთ, რომ ისინი უკვე საფლავში წვანან.

_ ვწუხვარ, რომ თქვენ არ შეგიძლიათ სტანისლავს აკოცოთ, _ უპასუხა ქალმა ცივად.

ბოლოს, ჟიულიენი დიდად გააოცა ამ ცოცხალი ცხედრის ცივმა კოცნამ; რამდენიმე ლიეს მანძილზე მას სხვაზე არაფერზე შეეძლო ფიქრი. მისი სული აფორიაქებული იყო, და სანამ მთის ქედს გადალახავდა, რამდენჯერმე უკან მოიხედა, რათა ვერიერის სამრეკლო დაენახა.

XXIV

პროვინციის დედაქალაქი

რამდენი ხმაურია, რამდენი საქმიანი ხალხია! რამდენი აზრია მომავლის შესახებ ამ ოცი წლის ადამიანის თავში! რამდენად დაშორებულია ყოველივე ეს სიყვარულს.

ბარნავი

ბოლოს ჟიულიენმა შორეულ გორაკზე შავი კედელი დაინახა: ეს იყო ბეზანსონის ციხე-სიმაგრე. «რა განსხვავება იქნებოდა ჩემთვის, _ გაიფიქრა მან და ამოიოხრა, _ რომ ამ კეთილშობილ სამხედრო ქალაქში იმისთვის შევდიოდე, რათა ასისთავი გავხდე ერთ-ერთ მის დამცველ ლეგიონში».

ბეზანსონი არა მარტო ერთი უმშვენიერესი ქალაქია საფრანგეთში, იგი სავსეა გულით და სულით დაჯილდოებული ადამიანებითაც. მაგრამ ჟიულიენი მხოლოდ ერთი ახალგაზრდა გლეხი იყო და მას არავითარი საშუალება არ ქჰონდა გამოჩენილ პიროვნებათ დაახლოებოდა.

ფუკეს ბურჟუაზიული ტანისამოსი გამოართვა და ამ ტანისამოსში გამოწყობილი გავიდა ასაწევ ხიდზე. მას ახსოვდა 1674 წლის გარემოცვის ისტორია,* და სანამ

სემინარიაში ჩაიკეტებოდა, უნდოდა ციხის თხრილები დაეთვალიერებინა. ორჯერ თუ სამჯერ კინაღამ დაიჭირეს გუშაგებმა, რადგან ისეთ ადგილებზე შევიდა, რომელიც აკრძალულია გარეშეთათვის.

გალავნის სიმაღლემ, თხრილების სიღრმემ, ზარბაზნების მრისხანე შესახედაობამ იგი გაართო რამდენიმე საათის განმავლობაში. ბულვარზე დიდი ყავახანის წინ გაიარა და აღტაცებული სახტად დარჩა, თუმცა ორ უზარმაზარ კარზე დიდი ასოებით სიტყვა «ყავახანა» ეწერა, მაგრამ მას თავის თვალებისა არ სჯეროდა. გაუბედაობა დასძლია, კარი შეაღო და ფართო დარბაზში შევიდა, რომლის სიგრძე ოცდაათ-ორმოც ნაბიჯს უდრიდა, ხოლო სიმაღლე ოც წყრთას. ამ დღეს მას ყველაფერი მომხიბვლელად ეჩვენებოდა.

ორი ბილიარდი დაკავებული იყო. მოსამსახურე ბიჭები ციფრებს იძახდნენ; მოთამაშეები ბილიარდების გარშემო დარბოდნენ, მათ მაყურებლები ერტყათ გარს. ყველას პირიდან თამბაქოს კვამლი ამოსდიოდა და დარბაზს ლურჯი ნისლით ავსებდა. ჟიულიენი ყველაფერს აქცევდა ყურადღებას _ ამ მამაკაცების მაღალ ტანს, მრგვალ მხრებს, მძიმე ნაბიჯებს, უზარმაზარ ბაკენბარდებს, გრძელ სერთუკებს. ანტიკური ბიზონციუმის* ეს კეთილშობილი შვილები მხოლოდ ყვირილით ლაპარაკობდნენ და მრისხანე მეომრების გამომეტყველებას ღებულობდნენ. ჟიულიენი აღტაცებული იყო და უმოძრაოდ იდგა; ფიქრობდა ისეთი დედაქალაქის სიდიდესა და ბრწყინვალებაზე, როგორიც ბეზანსონია, გამბედაობა არ ყოფნიდა ერთი ფინჯანი ყავა მოეთხოვა რომელიმე ამ ამაყი ვაჟბატონისათვის, რომელიც ბილიარდის ციფრებს იძახდა.

მაგრამ დახლში მჯდომარე ქალიშვილმა ყურადღება მიაქცია ამ ახალგაზრდა სოფლელი ბურჟუას მომხიბლავ გარეგნობას რომელიც სამი ნაბიჯის მანძილზე იდგა ღუმელიდან და იღლიაში პაკეტამოჩრილი შეჰყურებდა თეთრი თაბაშირისაგან ჩამოსხმულ მეფის ბიუსტს. ამ მაღალმა ფრანშკონტელმა ქალიშვილმა, რომელიც ისეთი მოხდენილიც იყო და ისე კარგად ჩაცმულიც, რომ სახელს გაუკეთებდა ყოველ ყავახანას, უკვე ორჯერ მიმართა ჟიულიენს, მაგრამ ისეთი დაბალი ხმით, რომ მის მეტი ვერავინ გაიგონებდა: «ბატონო ჩემო, ბატონო ჩემო!» ჟიულიენს ორმა დიდმა ცისფერმა, მეტად ალერსიანმა თვალმა მიანათა, და იგი მიხვდა, რომ მას ელპარაკებოდნენ.

იგი საჩქაროდ მიუახლოვდა დახლს და ლამაზ ქალიშვილს, თითქო მტრის წინააღმდეგ მიდიოდა. ამ სწრაფი მოძრაობის დროს პაკეტი გაუვარდა.

რა საბრალოდ ეჩვენებოდათ ჩვენი პროვინციელი ახალგაზრდა პარიზელ ლიცეელებს, რომელნიც ასეთი გულზვიადი და ელეგანტური სახით შედიან ყავახანაში?

მაგრამ ეს ბავშვები, რომელნიც ასე კარგად არიან დაგეშილი თხუთმეტი წლის ასაკში, ვულგარული ხდებიან, როცა თვრამეტ წელს აღწევენ. მორცხვობა, რომელიც ხშირად პროვინციაში გვხვდება, ადვილად დაიძლევა და ნებისყოფის სტიმული ხდება. როცა ჟიულიენი ამ ლამაზ ქალიშვილს მიუახლოვდა, რომელმაც კეთილინება მას დალაპარაკებოდა, იფიქრა, მართალი უნდა ვუთხრა მასო: დაძლეულმა მორცხვობამ სითამამე შეჰმატა.

_ ქალბატონო, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვარ ბეზანსონში; ერთი ფინჯანი ყავა და პურის ნაჭერი მინდა, ნაღდად, რასაკვირველია.

ქალიშვილმა გაიღიმა, შემდეგ გაწითლდა; ეშინოდა, ბილიარდის მოთამაშეებს სასაცილოდ არ აეგდოთ ეს ლამაზი ჭაბუკი, თორემ დაფრთხებოდა და აქ აღარ გამოჩნდებოდა.

_ დაჯექით აქ, ჩემს მახლობლად, _ უთხრა ქალმა და მარმარილოს მაგიდა უჩვენა, რომელიც თითქმის მოფარებული იყო ურთხელის უზარმაზარ დახლს.

ქალიშვილი დახლზე გადმოიხარა, რამაც მას შეაძლებინა თავისი მშვენიერი გულმკერდი გამოეჩინა. ჟიულიენმა ეს შეამჩნია და ყველა მისი აზრი შეიცვალა. ლამაზმა ქალიშვილმა წინ ყავა, შაქარი და პატარა პური დაუდვა. მას არ უნდოდა მოსამსახურე ბიჭისთვის დაეძახა, რადგან მაშინ მარტო აღარ იქნებოდა ჟიულიენთან.

ფიქრებში წასული ჟიულიენი ამ ქერა და მხიარულ ქალს იმ მოგონებებს ადარებდა, რომელნიც მას ხშირად აღელვებდნენ. იმ აზრმა, ამ ქალში ვნებათაღელვა გამოვიწვიეო, თითქმის სრულიად გაანთავისუფლა მორცხვობისაგან. თვით ქალს კი მხოლოდ ერთი წუთი დასჭირდა, რათა ყოველივე ამოეკითხა ჟიულიენის თვალებში.

_ ამ თამბაქოს კვამლის გამო გახველებთ, ხვალ საუზმისთვის დილის რვა საათამდე მოდით, ამ დროს მე თითქმის მარტო ვარ.

_ რა გქვიათ? _ ჰკითხა ჟიულიენმა ბედნიერი გაუბედაობის მიერ გამოწვეული ალერსიანი ღიმილით.

_ ამანდა ბინე.

_ ნებას მომცემთ, ერთ საათში ასეთი პატარა პაკეტი გამოგიგზავნოთ?

მშვენიერი ამანდა ცოტათი ჩაფიქრდა.

_ მე მითვალთვალებენ: თქვენი თხოვნის შესრულებამ შეიძლება სახელი გამიტეხოს; მაგრამ ჩემს მისამართს მაინც დაგიწერთ ქაღალდის ნაგლეჯზე, რომელსაც პაკეტზე დააწებებთ. თამამად გამომიგზავნეთ.

_ მე ჟიულიენ სორელს მეძახიან, _ უთხრა ახალგაზრდა კაცმა: _ ბეზანსონში არც ნათესავები მყავს, არც ნაცნობები.

_ აჰ, მესმის, _ უპასუხა ქალმა მხიარულად, _ თქვენ სამართლის სკოლაში შედიხართ.

_ სამწუხაროდ არა, _ უპასუხა ჟიულიენმა: _ სემინარიაში გამომგზავნეს.

ამანდას სახეზე ათვალწუნება გამოეხატა; მან მოსამსახურე ბიჭს დაუძახა. ამ უკანასკნელმა ყავა დაუსხა ჟიულიენს ისე, რომ არც კი შეუხედავს მისთვის.

_ ქალბატონო, თუ გნებავთ, _ უთხრა ჟიულიენმა გაბედულად, _ მე ვიტყვი, რომ თქვენი ბიძაშვილი ვარ.

ეს ცოტა არ იყოს ავტორიტეტული ტონი მოეწონა ამანდას. «ეს უმნიშვნელო ადამიანი არაა», _ გაიფიქრა მან.

_ მე ჟანლისიდან ვარ, დიჟონის მიდამოებიდან; თქვით, რომ თქვენც ჟანლისიდან ხართ და დედაჩემს ბიძაშვილად ერგებით, _ უთხრა ქალმა ჟიულიენს.

_ ასე ვიტყვი.

_ ზაფხულში, ყოველ ხუთშაბათს, ხუთ საათზე ბატონი სემინარიელები ჩვენი ყავახანის წინ გაივლიან ხოლმე.

_ თუ ჩემზე იფიქროთ, ხელში იების თაიგული იქონიეთ, როცა აქ გავივლი.

ამანდამ გაკვირვებით შეხედა; ამ შეხედვამ ჟიულიენის სითამამე მამაცობად აქცია; მაგრამ მაინც ძლიერ გაწითლდა, როცა ქალს უთხრა:

_ ვგრძნობ, რომ გაგიჟებით შემიყვარდით.

_ უფრო ხმადაბლა ილაპარაკეთ, _ უთხრა ქალმა შეშინებული სახით.

ჟიულიენი ფრაზებს იხსენებდა «ახალი ელოიზას»* დაშლილი ტომიდან, რომელიც ვერჟიში აღმოაჩინა. მახსოვრობამ კარგი სამსახური გაუწია; ათი წუთის განმავლობაში ზეპირად «ახალ ელოიზას» უმეორებდა ამანდას, რომელიც აღტაცებული იყო; ვაჟი ბედნიერი იყო თავისი მამაცობით, როცა უცებ მშვენიერმა ქალიშვილმა გულგრილი სახის გამომეტყველება მიიღო, ყავახანის კარში ერთ-ერთი მისი საყვარელი გამოჩნდა.

იგი სტვენითა და მხრების თამაშით დახლს მიუახლოვდა, შემდეგ ჟიულიენს გადახედა. მაშინვე ამ ჭაბუკის ფანტაზია, რომელიც მუდამ წინააღმდეგობებით იყო გათიშული, დუელის იდეამ მოიცვა. იგი საშინლად გაფითრდა, ფინჯანი გასწია, გაბედული სახის გამომეტყველება მიიღო და თავის მოქიშპეს ჩააცქერდა. სანამ ახლად შემოსული დახლთან იდგა თავდახრილი და არაყს ისხამდა, ამანდამ ჟიულიენს შეხედვით

უბრძანა, თვალები დახარეო. იგი დაემორჩილა და ორი წუთის განმავლობაში უმოძრაოდ იჯდა თავის ადგილზე ფერწასული, ჩახმახივით ფეხზე შემდგარი და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა თუ რა მოხდებოდა; იგი მართლაც კარგი იყო ამ წუთში. მეტოქე გაკვირვებული დარჩა ჟიულიენის თვალებით; მან არაყი გადაჰკრა, თავისი დიდი სერთუკის ჯიბეებში ჩაიყო ხელები და ბილიარდს მიუახლოვდა სტვენით, თან თვალს არ აცილებდა ჟიულიენს. ეს უკანასკნელი გააფთრებული წამოვარდა; მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო ჩხუბი. თავისი პატარა პაკეტი იქვე დადო და, რამდენადაც შეიძლებოდა, გაფუყული სახით მიუახლოვდა ბილიარდს.

ამაოდ ჩასჩურჩულებდა მას კეთილგონიერების ხმა: თუ ბეზანსონში მოსვლისთანავე დუელი გამართე, საეკლესიო სარბიელი სამუდამოდ დაგეხშობა!

«მერე რა ვუყოთ, იმას მაინც ვერ იტყვიან, რომ თავხედ ადამიანს ვუთმობ».

ამანდამ დაინახა მისი ვაჟკაცობა, რომელიც საუცხოო კონტრასტს წარმოადგენდა მის გულუბრყვილო მანერებთან; იმავე წუთში ქალმა მას უპირატესობა მისცა მაღალი, ახალგაზრდა, სერთუკიანი საყვარლის წინაშე. იგი წამოდგა, და იმ სახით, თითქო ვიღაც ქუჩაში მიმავალს უცქეროდა, მკვირცხლად ჩადგა ჟიულიენსა და ბილიარდს შორის:

_ გთხოვთ, ამ ყმაწვილს ალმაცერად ნუ უცქერით, იგი ჩემი სიძეა.

_ მერე რა? იგი თვით დამაცქერდა.

_ გინდათ უბედური გამხადოთ? რასაკვირველია იმან აგათვალიერათ, შეიძლება კიდეც დაგელაპარაკოთ. მე ვუთხარი, რომ თქვენ დედაჩემის ნათესავი ხართ და ჟანლისიდან მოხვედით. იგი ფრანშკონტელია და არასოდეს დაბა დოლს არ გასცილებია ბურგუნდიის გზაზე; უთხარით რაც გნებავთ, ნურაფრის ნუ გეშინიათ.

ჟიულიენი კიდევ ყოყმანობდა; ქალმა, რომელიც დახლში დგომამ ტყუილების ფქვევას შეაჩვია, საჩქაროდ დაუმატა:

_ მართალია, აგათვალიერათ, მაგრამ ეს მაშინ იყო, როცა თქვენზე მეკითხებოდა _ ვინ არისო; იგი ცოტა არ იყოს ტეტიაა და თქვენი შეურაცხყოფა არ სდომებია.

ჟიულიენი თვალს არ აშორებდა ამ ვითომდა სიძეს, რომელიც სათამაშოდ ემზადებოდა მეორე, უფრო მოშორებულ ბილიარდზე და ბოხი ხმით და მუქარის ტონით იძახდა: _ მე ვიწყებ! ჟიულიენმა აჩქარებული ნაბიჯით გაიარა ქალის წინ და ბილიარდისკენ მიბრუნდა. ამანდამ ხელი მოსჭიდა:

_ ჯერ ფული გადაიხადეთ.

«ეს სწორია, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ მას ეშინია, ფულის გადაუხდელად არ გავიქცე». ამანდაც მასავით აღელვებული იყო და საშინლად გაწითლდა; ქალმა ხურდა რაც შეიძლებოდა აუჩქარებლად დაუბრუნა და დაბალი ხმით განუმეორა:

_ ახლავე გადით ყავახანიდან, თორემ აღარ მეყვარებით, ისე კი ძლიერ მიყვარხართ.

ჟიულიენი მართლაც გავიდა, მაგრამ აუჩქარებლად. «განა ჩემი ვალდებულება არაა, _ ფიქრობდა იგი, _ მეც ავათვალიერ-ჩავათვალიერო ეს ტლანქი პიროვნება?» ამ ყოყმანმა იგი ერთი საათით ბულვარზე შეაჩერა ყავახანის წინ; იგი თავის მოწინააღმდეგის გამოსვლას უცდიდა, მაგრამ ეს მამაკაცი არ გამოჩნდა, და ჟიულიენი თავის გზას გაუდგა.

რაღაც ორიოდე საათი იმყოფებოდა ბეზანსონში და უკვე უკმაყოფილო იყო თავისი ყოფაქცევისა. ბებერმა სამხედრო დასტაქარმა მას, ნიკრისის ქარების მიუხედავად, ოდესღაც რამდენიმე გაკვეთილი მისცა ფარიკაობაში; ასეთი იყო მთელი ის მეცნიერება, რომელიც ჟიულიენს გააჩნდა თავისი გულისწყრომის გასამაგრებლად. მაგრამ ეს დაბრკოლება არაფერი იქნებოდა, თუ მას სცოდნოდა, როგორ გამოეხატა თავისი გაბრაზება სხვანაირად, გარდა სილის გარტყმისა და თუ იგი დარწმუნებული არ ყოფილიყო, რომ როცა საქმე მუშტზე გადავიდოდა, მას მისი უზარმაზარი მეტოქე აჯობებდა, გალახავდა და იქვე დააგდებდა.

«ჩემისთანა ღატაკისთვის, ასეთი უფულო და უმფარველო მოხეტიალესთვის დიდი განსხვავება როდი იქნება სემინარიასა და სატუსაღოს შორის; რომელიმე სასტუმროში ჩემი სამოქალაქო ტანსაცმელი უნდა გავიხადო და შავი ტანისამოსი ჩავიცვა. თუ ხანდახან ორიოდე საათით სემინარიიდან გამოვედი, შემიძლია ხელახლა სამოქალაქო ტანისამოსი გადავიცვა და ისე ვინახულო ამანდა». ეს კარგი აზრი იყო, მაგრამ ჟიულიენმა ყველა სასტუმროს ჩაუარა და ვერც ერთში ვერ შებედა.

ბოლოს, როცა «ელჩების სასტუმროს» მიუახლოვდა, შეშფოთებული თვალები მიაპყრო ერთს მსხვილ დედაკაცს, რომელიც ჯერ კიდევ საკმაოდ ახალგაზრდა, თეთრყირმიზი და მხიარული იყო. ჟიულიენი მას მიუახლოვდა და თავისი ამბავი უამბო.

_ სიამოვნებით, ჩემო პატარა ლამაზო აბატო, _ უპასუხა «ელჩების სასტუმროს» დიასახლისმა: _ კიდეც შეგინახავთ თქვენს სამოქალაქო ტანისამოსს და ხანდახან კიდევ გავაწმენდინებ. კარგი არაა მაუდის ტანისამოსის დიდხანს ერთ ადგილას დადება ხელუხლებლად. _ ქალმა გასაღები აიღო და თვით შეიყვანა ოთახში, სადაც ჩააწერინა ყველაფერი, რასაც იქ ტოვებდა.

_ ღმერთო ჩემო, როგორ დამშვენდით ბ. აბატო სორელ, _ უთხრა მსხვილმა დედაკაცმა, როცა ჟიულიენი სამზარეულოში ჩავიდა: _ ახლავე კარგ სადილს მოვართმევინებ თქვენთვის. და, _ დაუმატა მან დაბალი ხმით, _ თქვენ მხოლოდ ოცი სუ დაგიჯდებათ ნაცვლად ორმოცდაათისა, რასაც სხვები იხდიან; თქვენი პატარა ქისა უნდა დავინდოთ.

_ მე ათი ლუიდორი მაქვს, _ უპასუხა ჟიულიენმა ერთგვარი სიამაყით.

_ აჰ, ღმერთო ჩემო, _ შეაჩერა იგი შეშინებულმა დიასახლისმა, _ ასე ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთ. ბეზანსონში ბევრი არამზადა მოიპოვება. ისე გაგქურდავენ, რომ ვერც კი გაიგებთ. განსაკუთრებით ნურასოდეს ყავახანებში ნუ შეხვალთ, იქ მუდამ ნაძირალა ხალხი იყრის თავს.

_ მართალია! _ თქვა ჟიულიენმა და ჩაფიქრდა.

_ ყოველთვის ჩემთან იარეთ. მე ყავას მოგიმზადებთ. იცოდეთ, რომ აქ ყოველთვის მეგობარსა და კარგ სადილს იპოვით ოც სუდ; იმედი მაქვს, გესმით. სუფრას მიუჯექით, კერძს თვით მოგიტანთ.

_ არაფრის პირში ჩადება არ შემიძლია, _ უპასუხა ჟიულიენმა, _ მეტისმეტად აღელვებული ვარ, აქედან პირდაპირ სემინარიაში უნდა წავიდე.

მაგრამ გულკეთილმა დედაკაცმა მაინც არ გაუშვა, სანამ ჯიბეები სანოვაგით არ გაუვსო. ბოლოს ჟიულიენი საშინელი დაწესებულებისაკენ გაემართა; დიასახლისი კარის ზღურბლზე იდგა და გზას უჩვენებდა.

XXV

სემინარია

336 სადილი 83 სანტიმად თითო, 336 ვახშამი 38 სანტიმად თითო, შემდეგ შოკოლადი იმათთვის, ვისაც მისი მიღების უფლება აქვს; რაღა უნდა მოინაგროს კაცმა საჯარო ვაჭრობით აღებული იჯარისაგან?

ბეზანსონელი ვალნო

მან შორიდან დაინახა ჭიშკარზე ამართული მოვარაყული რკინის ჯვარი. ნელა მიაბიჯებდა, თითქო მუხლები ეკეცებოდა. «აი, ამქვეყნიური ჯოჯოხეთი, საიდანაც თავს ვეღარ დავაღწევ!» ბოლოს გადაწყვიტა ზარი ჩამოერეკა. ზარის ხმა თითქო უდაბნოში გაისმა. ათი წუთის შემდეგ კარის გასაღებად ფერმკრთალი, შავით მოსილი მამაკაცი მოვიდა. ჟიულიენმა შეხედა და მაშინვე თვალები დახარა. მეკარეს უცნაური სახე ჰქონდა. მას კატასავით მრგვალი წამოკარკლული და მწვანე თვალები ჰქონდა. მისი უმოძრაო ქუთუთოები არავითარ სიმპათიას არ იწვევდა: მისი თხელი ტუჩები ნახევარწრეს ჰქმნიდა წინ გამოწეული კბილების გარშემო. მაგრამ ეს სახე გამოხატავდა არა დამნაშავის სულს, არამედ სრულ უგრძნობლობას, რომელიც ბევრად უფრო აფრთხობს ახალგაზრდობას. ერთადერთი გრძნობა, რომელიც ჟიულიენის თვალმა ამ ღვთისმოსავის მოგრძო სახეზე ამოიკითხა, იყო ღრმა ზიზღი ყველაფრისადმი, რაც სარწმუნოების საკითხების გარეშე იდგა.

ჟიულიენმა გაჭირვებით აიხედა ზევით და გულისცემისაგან ათრთოლებული ხმით განაცხადა, სემინარიის დირექტორის პირარის ნახვა მინდაო. სიტყვის დაუძვრელად შავმა ადამიანმა ანიშნა, უკან გამომყევიო. ისინი მესამე სართულზე ავიდნენ ფართო, ხის მოაჯირიანი კიბით, რომლის დაბრეცილი საფეხურები კედლის საწინააღმდეგო მხარეზე იყვნენ გადახრილი და თითქო გადავარდნას აპირებდნენ. პატარა კარი, რომელზედაც საფლავის დიდი, შავად შეღებილი ჯვარი იყო ამართული, გაჭირვებით გაიღო და მეკარემ ჟიულიენი ბნელ და დაბალ ოთახში შეიყვანა; ამ ოთახის თეთრად შელესილ კედლებზე ორი სურათი ეკიდა, დროს მიერ გაშავებული. იქ ჟიულიენი მარტო დატოვეს; იგი განადგურებული იყო, გული აჩქარებით უცემდა, ბედნიერი იქნებოდა, რომ ტირილი შეძლებოდა. მთელს სახლში სასაფლაოს დუმილი მეფობდა.

მეოთხედი საათის შემდეგ, რომელიც მას მთელ დღედ ეჩვენა, პირქუში მეკარე ოთახის საწინააღმდეგო მხარეზე გამოჩნდა და სიტყვის წარმოუთქმელად ანიშნა მისკენ წასულიყო. იგი შევიდა კიდევ უფრო დიდ და ცუდად განათებულ ოთახში, კედლები აქაც თეთრად იყო შელესილი; მაგრამ ავეჯეულობა არსად ჩანდა. მხოლოდ ერთ კუთხეში, კარების მახლობლად, ჟიულიენმა თვალი მოჰკრა თეთრი ხის საწოლს, ორ სელის სკამს და პატარა, ფიჭვის ხის, უბალიშო სავარძელს. ოთახის მეორე კუთხეში შეყვითლებულმინებიანი და ყვავილების ჭუჭყიანი ლარნაკებით შემკული პატარა ფანჯრის მახლობლად მან დაინახა მამაკაცი, რომელიც მაგიდას უჯდა გახუნებულ ანაფორაში. როგორც ეტყობოდა, გაბრაზებული იყო, ოთხკუთხედად დაჭრილ პატარა

ქაღალდებს იღებდა, ზედ რამდენიმე სიტყვას აწერდა და მაგიდაზე ალაგებდა. იგი ვერ ამჩნევდა ჟიულიენს. ეს უკანასკნელი უმოძრაოდ იდგა შუა ოთახში, სადაც მეკარემ დატოვა, როცა კარები მოხურა გასვლის დროს.

ამრიგად ათმა წუთმა განვლო; ცუდად ჩაცმული მამაკაცი წინანდებურად წერას განაგრძობდა. ჟიულიენი ისე აღელვებული და შეშინებული იყო, რომ ეგონა, წავიქცევიო. რომელიმე ფილოსოფოსი იტყოდა და, ალბათ შეცდებოდა: ასეთია ძლიერი შთაბეჭდილება სიმახინჯისა იმ სულზე, რომელიც მშვენიერების სატრფიალოდ არის შექმნილიო. წერაში გართულმა კაცმა თავი ასწია; ჟიულიენმა ეს მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ შეამჩნია, მაგრამ მაინც უმოძრაოდ იდგა, თითქო სასიკვდილოდ იყო განგმირული მისკენ მიმართული მრისხანე შეხედვით. ჟიულიენის შეშფოთებულმა თვალებმა ძლივს გაარჩია უცნობის წითელი ლაქებით დაფარული მოგრძო სახე: მხოლოდ შუბლი ჰქონდა მიცვალებულივით ფერმკრთალი. ამ წითელ ღაწვებსა და თეთრ შუბლს შორის ორი პატარა, შავი თვალი ბრწყინავდა. მათ შეეძლოთ უმამაცესი ადამიანი შეეშინებიათ. ამ შუბლის ფართო კონტურები მოხაზული იყო ხშირი, სწორი, გიშერივით შავი თმით.

_ ფიქრობთ თუ არა ახლოს მოსვლას? _ ჰკითხა ბოლოს ამ მამაკაცმა მოუთმენლად.

ჟიულიენი ბარბაცით მიუახლოვდა; იგი ასე ფერწასული არასოდეს ყოფილა თავის ცხოვრებაში; სამი ფეხის ნაბიჯზე გაჩერდა თეთრი ხის მაგიდიდან.

_ უფრო ახლო! _ უთხრა კაცმა.

ჟიულიენმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა, ხელი წინ ჰქონდა გაწვდილი, თითქო ცდილობდა რასმეს დაყრდნობოდა.

_ თქვენი სახელი და გვარი?

_ ჟულიენ სორელი.

_ თქვენ ძალიან დაიგვიანეთ, _ უთხრა მან და ხელახლა შემაძრწუნებელი თვალები მიაპყრო.

ჟიულიენმა ვეღარ გაუძლო ამ შეხედვას; მან ხელები გაიშვირა, თითქო თავის შეკავება სდომებოდეს და იატაკზე გაიშხლართა.

კაცმა დარეკა. ჟიულიენს მხოლოდ მხედველობის და მოძრაობის ძალა ჰქონდა წართმეული; მას ესმოდა მოახლოებული ნაბიჯების ხმა.

იგი ასწიეს და პატარა სავარძელში ჩასვეს. მერე საშინელი ადამიანის ხმა მოესმა, მეკარეს რომ ეუბნებოდა:

_ როგორც ეტყობა, ბნედა აქვს; ესღა გვაკლდა.

როცა ჟიულიენმა თვალები გაახილა, წითელსახიანი კაცი წერას განაგრძობდა; მეკარე აღარ ჩანდა. «მხნეობა უნდა გამოვიჩინო, _ გაიფიქრა ჩვენმა გმირმა, _ ხოლო, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავმალო, რასაც ვგრძნობ (მას გული ერეოდა); თუ რაიმე მომივიდა, ღმერთმა იცის, რას იფიქრებენ». ბოლოს უცნობმა წერა შეწყვიტა და გვერდიდან შეხედა ჟიულიენს:

_ შეგიძლიათ თუ არა მიპასუხოთ?

_ დიახ, ბატონო, _ უპასუხა ჟიულიენმა მისუსტებული ხმით.

_ აჰ, მადლობა ღმერთს.

შავი კაცი ოდნავ წამოდგა და მოუთმენლად წერილის ძებნა დაიწყო თავის ფიჭვის ხის ყუთში, რომელიც ჭრიალით გაიღო. წერილი იპოვა, ნელა დაჯდა და ჟიულიენს ხელახლა ისეთი თვალით შეხედა, თითქოს მისთვის სიცოცხლის უკანასკნელი ნაშთის წართმევა სდომებოდეს.

_ თქვენ რეკომენდაცია გაგიკეთათ ბ. შელანმა, იგი საუკეთესო მღვდელი იყო ეპარქიაში, მასავით სათნოებით აღსავსე კაცი ცოტა თუ მოიძებნება. ამას გარდა, ჩემი ოცდაათი წლის მეგობარია.

_ აჰ, მე პატივი მაქვს ბ. პირარს ველაპარაკო? _ ჰკითხა ჟიულიენმა მიკნავებული ხმით.

_ ოღონდაც, _ უპასუხა სემინარიის დირექტორმა და წყენით შეხედა მას.

პატარა თვალები კიდევ უფრო გაუბრწყინდა, ყბის კუნთები უნებლიეთ აუმოძრავდა. იგი ვეფხვს ჰგავდა, რომელიც წინდაწინ სიამოვნებას განიცდის თავის მსხვერპლის დანახვაზე.

_ შელანის წერილი მოკლეა, _ თითქო თავისთვის ჩაილაპარაკა მან. _ Intelligenti pauca;* ჩვენს დროში ბევრი წერა შეუძლებელია.

მან ხმამაღლა წაიკითხა:

_ «გიგზავნი ჟიულიენ სორელს ჩვენი მრევლიდან. მე იგი ოცი წლის წინათ მოვნათლე; მდიდარი დურგლის შვილია, მაგრამ მამა არაფერს აძლევს. ჟიულიენი გამოჩენილი მუშაკი იქნება ღვთის ვენახში. მას არ აკლია არც მახსოვრობა, არც გონება, მსჯელობის უნარიც აქვს. მტკიცეა თუ არა მისი მოწოდება? გულწრფელია თუ არა იგი?»

_ გულწრფელი! _ გაიმეორა აბატმა პირარმა გაოცებული სახით და ჟიულიენს შეხედა: მაგრამ აბატის სახე უკვე ნაკლებ განძარცვული იყო ყოველივე ადამიანობისაგან: _ გულწრფელი! _ თქვა მან ერთხელ კიდევ დაბალი ხმით და კითხვა განაგრძო:

«ჟიულიენ სორელისთვის სტიპენდიის დანიშვნას გთხოვ; იგი მას საჭირო გამოცდების ჩაბარებით დაიმსახურებს. მე მას ცოტაოდენი ღვთისმეტყველება ვასწავლე, ძველი და კარგი ღვთისმეტყველება ბოსუესა,* არნოსი* და ფლერისა,* თუ ეს ყმაწვილი თქვენთვის მიუღებელია, უკან გამომიგზავნეთ: ღარიბთა თავშესაფრის დირექტორი, რომელსაც თქვენ იცნობთ, რვაას ფრანკს სთავაზობს, თუ იგი მისი ბავშვების აღმზრდელობას იკისრებს. ჩემი სულიერი ცხოვრება შეუშფოთებელია, მადლობა ღმერთს. ვეჩვევი საშინელ შემთხვევებს. Vale et me ama».*

აბატმა პირარმა თანდათან ხმას დაუკლო და ოხვრით წარმოთქვა სიტყვა «შელანი».

_ იგი შეუშფოთებელია, _ წარმოთქვა მან: _ მართლაც მისი სათნოება ღირსია ამ ჯილდოსი; ღმერთმა მეც ასეთი ჯილდო მომმადლოს. _ მან ზეცას შეხედა და პირჯვარი გადაისახა. ამის დანახვაზე ჟიულიენმა იგრძნო, რომ განელდა ის შემაძრწუნებელი შიში, რომელმაც იგი შებოჭა ამ შენობაში შემოსვლისთანავე.

_ მე აქ სამას ოცდაერთი ასპირანტი მყავს უსამღვთოესი მოწოდებისთვის, _ თქვა ბოლოს აბატმა პირარმა მკაცრი, მაგრამ უბოროტო ხმით: _ მათ შორის, მხოლოდ შვიდი თუ რვაა ისეთი ადამიანის რეკომენდაციით, როგორიც აბატი შელანია; ამრიგად, სამას ოცდაერთში თქვენ მეცხრე იქნებით. მაგრამ ჩემი მფარველობა არც მოწყალებაში გამოიხატება და არც სისუსტეში, არამედ მხოლოდ თვალყურის დევნების გაძლიერებასა და სისასტიკეში ბიწიერების მიმართ. წადით, ის კარი დაკეტეთ.

ჟიულიენი გაჭირვებით მივიდა კართან და იმდენი მოახერხა, რომ არ დაეცა. მან შეამჩნია, რომ შემოსავალი კარის გვერდით პატარა ფანჯარა იყო გამოჭრილი, იქიდან მინდორი ჩანდა, მან ხეებს შეხედა; ამ სურათმა გაახალისა, თითქო ძველი მეგობარი დაენახოს.

_ Loquerisne linguam latinam? (ლაპარაკობთ თუ არა ლათინურს?) _ ჰკითხა აბატმა პირარმა, როცა იგი უკან დაბრუნდა.

_ Ita, pater optime (დიახ, აღმატებულო მამაო), _ უპასუხა ჟიულიენმა, რომელმაც ცოტათი გონება მოიკრიბა. რასაკვირველია, არასოდეს მას არც ერთი ადამიანი ნაკლებ აღმატებული არ ჩვენებია, ვიდრე ბ. პირარი ამ ნახევარი საათის განმავლობაში ეჩვენა.

საუბარი ლათინურად გაგრძელდა. აბატის თვალების გამომეტყველება შერბილდა; ჟიულიენმა, ცოტა არ იყოს, სულიერი სიმშვიდე დაიბრუნა. «რამდენად სუსტი ვყოფილვარ, _ გაიფიქრა მან, _ თუ ასეთმა სათნოების მოჩვენებამ შემაშინა! ეს ადამიანი,

ალბათ, ისეთივე გაიძვერაა, როგორც ბ. მასლონი». და ჟიულიენი კმაყოფილი იყო, რომ თითქმის მთელი თავისი თანხა ფეხსაცმელში შეინახა.

აბატმა პირარმა ჟიულიენი ღვთისმეტყველებაში გამოსცადა. იგი გააოცა მისმა ცოდნამ. გაკვირვება გაუორკეცდა, როცა კერძოდ საღმრთო წერილზე გადავიდნენ. მაგრამ როცა კითხვები წმინდა მამების მოძღვრებათ შეეხო, შეამჩნია, რომ ჟიულიენმა წმინდა იერონიმეს, წმინდა ავგუსტინეს, წმ. ბონავენტურას* წმ. ბასილის* და სხვათა სახელებიც კი არ იცოდა.

«მართლაც, _ იფიქრა აბატმა პირარმა, _ აი, საბედისწერო მიდრეკილება პროტესტანტიზმისადმი, რომელსაც მუდამ ვუსაყვედურებდი შელანს. ღრმა, თვით გადაჭარბებით ღრმა ცოდნა საღმრთო წერილისა! სად მივყავართ ამ დაუსრულებელ მსჯელობას საღმრთო წერილზე თუ არ პირადი განმარტებისა, ე. ი. უსაშინელესი პროტესტანტიზმისაკენ? და ამ სახიფათო ცოდნის გვერდით არავითარი ცნობა წმინდა მამების შესახებ, რასაც შეუძლია შეანელოს ეს მიდრეკილება».

მაგრამ სემინარიის დირექტორის გაკვირვებას საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა მან ჟიულიენს პაპის ხელისუფლების შესახებ გამოჰკითხა და ამ ჭაბუკმა ბ. დე მესტრის წიგნის მთელი შინაარსი უთხრა.

იგი ამაოდ ეკითხებოდა ჟიულიენს, რათა გამოერკვია სწამდა თუ არა მას სერიოზულად დე მესტრის მოძღვრება. ახალგაზრდა კაცი მხოლოდ თავისი მახსოვრობის შემწეობით აძლევდა პასუხს. ამ წუთიდან ჟიულიენი მართლაც ყოჩაღად იყო, იგი თავის კალაპოტში გრძნობდა თავს. მეტად ხანგრძლივი გამოკითხვის შემდეგ მოეჩვენა, რომ ბ. პირარის სიმკაცრე მის მიმართ ხელოვნური იყო. მართლაც, უკვე თხუთმეტი წელიწადია სემინარიის დირექტორს სიმკაცრე პრინციპად რომ არ გადაექცია თავისი მოწაფეების მიმართ ღვთისმეტყველებაში, იგი ლოგიკის სახელით გადაკოცნიდა ჟიულიენს, იმდენ სინათლეს, ზედმიწევნილობას და გარკვეულობას პოულობდა მის პასუხებში.

«აი, თამამი და ჯანსაღი სული, _ ფიქრობდა იგი, _ მაგრამ corpus debile (სხეული სუსტი აქვს)».

_ ხშირად ეცემით ასე? _ ჰკითხა მან ჟიულიენს ფრანგულად და იატაკზე მიუთითა.

_ ეს პირველად ხდება ჩემს ცხოვრებაში; მეკარის სახემ შემაძრწუნა, _ უთხრა ჟიულიენმა და ბავშვივით გაწითლდა.

აბატ პირარს ჩაეცინა.

_ აი, ამქვეყნიური ამაოების შედეგი: თქვენ, ალბათ, შეჩვეული ხართ მხიარულ, მაგრამ მატყუარა სახეებს. ჭეშმარიტება მკაცრია, ბატონო ჩემო. განა ჩვენი როლიც ამ ქვეყანაზე მკაცრი არაა? უნდა ვცადოთ, რომ თქვენი სინდისი უფრთხოდეს ამ სისუსტეს, ზედმეტი მგრძნობიარობის გამოჩენას ამაო ზიზილ-პიპილებისადმი.

თუ თქვენთვის რეკომენდაცია ისეთ ადამიანს არ გაეკეთებია, როგორიც აბატი შელანია, _ განაგრძო ბ. პირარმა, რომელიც ლათინურ ენაზე გადავიდა სიამოვნებით, _ მე თქვენ ამქვეყნიური ამაოების ენით გესაუბრებოდით, როგორსაც, გეტყობათ, ძლიერ შეჩვეული ხართ. სრული სტიპენდია, რომელსაც თქვენ ითხოვთ, უნდა გამოგიტყდეთ, უძნელესი საქმეა. მაგრამ აბატ შელანს მეტი ჯილდო ეკადრება მისი ორმოცდაათი წლის მოციქულებრივი მოღვაწეობისათვის, ვიდრე ერთი სტიპენდიის გაცემა სემინარიაში.

ამის შემდეგ აბატმა პირარმა ჟიულიენს ურჩია, ნურავითარ ფარულ საზოგადოებაში ან ასოციაციაში ნუ შეხვალ ჩემი თანხმობის გარეშეო.

_ პატიოსან სიტყვას გაძლევთ, _ უპასუხა ჟიულიენმა პატიოსანი კაცის აღფრთოვანებით.

სემინარიის დირექტორმა პირველად გაიცინა.

_ ეს სიტყვა აქ არ იხმარება, _ უპასუხა მან, _ იგი ერისკაცთა ამაო პატიოსნებას გვაგონებს, რომელიც შეცდომებს და ხშირად დანაშაულს იწვევს. თქვენ ვალდებული ხართ დამემორჩილოთ წმ. პიუს V-ის ბულის* _ Unam ecclesiam-ის* მეჩვიდმეტე მუხლის ძალით. მე თქვენი სულიერი უფროსი ვარ. ამ სახლში გაგონება, ჩემო უძვირფასესო შვილო, დამორჩილებას ნიშნავს. ფული რამდენი გაქვთ?

«აი, მივედით, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ ამიტომაა, რომ უძვირფასესი შვილი გავხდი».

_ ოცდათხუთმეტი ფრანკი, მამაო.

_ ზედმიწევნით ჩასწერეთ რაშიც დახარჯოთ ეს ფული; მერმე ანგარიში უნდა ჩამაბაროთ.

ეს მძიმე ასატანი სცენა სამ საათს გაგრძელდა. ჟიულიენმა მეკარეს დაუძახა.

_ მოათავსეთ ჟიულიენ სორელი სენაკ №103-ში, _ უთხრა აბატმა პირარმა ამ კაცს.

დიდი ყურადღების ნიშნად მან ჟიულიენს ცალკე მისცა ბინა.

_ შეიტანეთ იქ თქვენი ყუთი, _ დაუმატა მან.

ჟიულიენმა თვალები დახარა და წინ თავისი ყუთი დაინახა, მისთვის სამი საათის განმავლობაში ეცქირა, მაგრამ ვერ შეემჩნია.

№103 პატარა, რვა კვადრატულ წყრთიანი ოთახი აღმოჩნდა უკანასკნელ სართულზე. ჟიულიენმა შეამჩნია, რომ იგი ციხის გალავანს გადასცქეროდა, გალავანს იქით კი მშვენიერი ველი მოჩანდა, რომელიც მდინარე დუს ჰყოფს ქალაქიდან.

_ რა მშვენიერი სურათია! _ წამოიძახა ჟიულიენმა, მაგრამ იგი ვერ გრძნობდა რას გამოხატავდა ეს სიტყვები. ძლიერმა შთაბეჭდილებამ, რომელიც მან ბეზანსონში განიცადა ამ ცოტა ხნის განმავლობაში, არაქათი გამოაცალა. იგი ფანჯარასთან დაჯდა ერთადერთ ხის სკამზე, რომელიც სენაკში აღმოჩნდა, და მაშინვე ღრმა ძილს მიეცა. არც ვახშმის ზარი გაუგონია, არც ძილისპირისა; იგი დაივიწყეს.

როცა მეორე დღეს დილით მზის სხივებმა გამოაღვიძა, იატაკზე აღმოჩნდა გაწოლილი.

XXVI

ჩვენი სამყარო, ანუ რა აკლია მდიდარს

> მე მარტო ვარ დედამიწაზე, არავინ თავს არ იწუხებს ჩემთვის. ყველანი, ვინც ჩემს თვალწინ ბედნიერებას აღწევენ, ან ურცხვი ადამიანები არიან, ან კიდევ უგულონი. მე მათ არ ვგავარ. მათ მე ვძულვარ ჩემი გულკეთილობისათვის. აჰ, მე ჩქარა მოვკვდები ან შიმშილით, ან კიდევ იმით შეწუხებული, რომ ადამიანები ასეთი სასტიკნი არიან.
>
> **იუნგი**

ჟიულიენმა საჩქაროდ გაიწმინდა ტანისამოსი და ძირს ჩავიდა, მაგრამ მაინც დაიგვიანა, უმცროსმა მასწავლებელმა სასტიკად გაკიცხა; იმის მაგივრად, რომ თავი გაემართლებია, ჟიულიენმა ხელები დაიკრიფა გულზე:

_ Peccavi, pater optime (შევცოდე, აღმატებულო მამაო), _ წარმოთქვა მან მჭმუნვარე სახით.

ეს პირველი ნაბიჯი დიდს წარმატებას ნიშნავდა. ყველაზე გაქნილმა სემინარიელებმა დაინახეს, რომ მათ საქმე ჰქონდათ ისეთ ადამიანთან, რომელსაც შეთვისებული ჰქონდა მათი ხელობის პირველი ელემენტები. დასვენების დროს

ჟიულიენი საერთო ყურადღების ცენტრად გადაიქცა. მაგრამ თვით იგი თავდაჭერილი იყო და დუმდა. მის მიერ შედგენილი შეხედულების მიხედვით იგი სამას ოცდაერთ ამხანაგს სამას ოცდაერთ მტრად თვლიდა; ყველაზე სახიფათო მტერი მის თვალში აბატი პირარი იყო.

ორიოდე დღის შემდეგ ჟიულიენს მოძღვრის ამორჩევა მოუხდა: მას მთელი სია წარუდგინეს.

«ეჰ, ღმერთო ჩემო! ვინ ვგონივარ ამ ხალხს? _ გაიფიქრა მან, _ ნუთუ მათ წარმოდგენილი აქვთ, რომ მე არ მესმის, რისთვის ხდება ყოველივე ეს?» და აბატი პირარი აირჩია.

ეს ნაბიჯი გადამწყვეტი აღმოჩნდა. ერთმა პატარა ახალგაზრდა სემინარიელმა, რომელიც ვერიერიდან იყო და პირველ დღიდანვე თავს მის მეგობრად თვლიდა, უთხრა, შეიძლება უფრო კეთილგონიერი იქნებოდა, რომ სემინარიის დირექტორის მოადგილე ბ. კასტანედი აგერჩიაო.

_ აბატი კასტანედი პირარის მტერია, ამ უკანასკნელს კი იანსენისტობას აბრალებენ, _ ჩასჩურჩულა პატარა სემინარიელმა ყურში.

«ეჰ, ფარისევლობა ჩემი ერთადერთი იარაღია, _ ფიქრობდა ჟიულიენი: _ სხვა დროს ლუკმა-პურს იარაღით მოვიპოვებდი მტრის საწინააღმდეგო ბრძოლაში».

ჟიულიენი კმაყოფილი იყო თავისი ყოფაქცევის და გარშემო იცქირებოდა; ყველაფერს უწმინდესი სათნოების ბეჭედი აჯდა.

რვა თუ ათ სემინარიელს წმინდანებად მოჰქონდათ თავი და ხილვანი ჰქოდნათ წმინდა ტერეზას ან წმინდა ფრანცისკივით, როცა მან აპენინის მთებში ვერნას გორაზე იარები მიიღო.* მაგრამ ეს დიდი საიდუმლოება იყო, მათი მეგობრები ამას მალავდნენ. ეს საბრალო ნათელმხილველი ყმაწვილები თითქმის მუდამ საავადმყოფოში იწვნენ. ასიოდე მოწაფე ძლიერ რწმენას დაუღალავ ბეჯითობასთან აკავშირებდა. ისინი თითქმის სნეულდებოდნენ მუშაობით, მაგრამ ბევრს ვერაფერს იძენდნენ. ორსა თუ სამს ნამდვილი ნიჭი ჰქონდა, მათ შორის ვინმე შაზელი ერია; მაგრამ არც ჟიულიენი მათ და არც ისინი ჟიულიენს სიმპათიით არ უყურებდნენ.

დანარჩენი იმ სამას ოცდაერთი სემინარიელიდან მხოლოდ ტლანქი არსებანი იყვნენ, რომელთაც არც კი ესმოდათ ლათინური სიტყვები, თუმცა მთელი დღის განმავლობაში თუთიყუშებივით იმეორებდნენ მათ. თითქმის ყველანი გლეხების შვილები იყვნენ და ამჯობინებდნენ ლუკმაპური ლათინური სიტყვების წარმოთქმით მოეპოვებიათ,

ვიდრე მიწის თხრით. ამ დაკვირვების ნიადაგზე ჟიულიენმა პირველი დღიდანვე წარმატება უწინასწარმეტყველა თავის თავს. «ყოველ უწყებაში ჭკვიანი ადამიანებია საჭირო, _ ფიქრობდა იგი: _ ნაპოლეონის დროს მე სერჟანტი ვიქნებოდი, ამ მომავალი მღვდლების წრეში უფროსი ქორეპისკოპოსი გავხდები».

«ეს ღარიბი ბიჭები დღიური მუშები არიან ბავშვობიდანვე და სანამ აქ მოვიდოდნენ, მაწვნითა და შავი პურით იკვებებოდნენ. თავიანთ ქოხებში ხორცს მხოლოდ ხუთჯერ თუ ექვსჯერ ჭამდნენ წელიწდში. რომაელი ჯარისკაცების მსგავსად, რომელნიც ომს დასვენებად თვლიდნენ, ეს ტლანქი გლეხები აღფრთოვანებული არიან სემინარიის ცხოვრებით»,

ჟიულიენი მათს მოწყენილ თვალებში მხოლოდ ფიზიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას კითხულობდა სადილის შემდეგ და ფიზიკური სიამოვნების მოლოდინს სადილობამდე. ასეთი იყვნენ ადამიანები, რომელთა შორის ჟიულიენს თავი უნდა გამოეჩინა; მაგრამ ჟიულიენმა არ იცოდა, სხვები კი მას არ ეუბნებოდნენ, რომ პირველი ადგილის დაჭერა სხვადასხვა საგნებში, როგორიცაა დოგმატიკა, საეკლესიო ისტორია და სხ. და სხ., მათს თვალში მხოლოდ ბრწყინვალე შეცოდება იყო და მეტი არაფერი. ვოლტერის შემდეგ, ორპალატიანი მმართველობის შემოღების შემდეგ, რომელიც არსებითად დაეჭვებას და პირადი კრიტიკის თავისუფლებას წარმოადგენს, საფრანგეთის ეკლესიამ, როგორც ეტყობა, შეიგნო, რომ წიგნები მისი ნამდვილი მტრები არიან. მისი შეხედულებით თავი და თავი გულის მორჩილებაა. წარმატება მეცნიერებაში, თუნდაც საღმრთოში, საეჭვოდ მიაჩნია და სრულიად საფუძვლიანადაც. ვინ შეუშლის გამოჩენილ ადამიანს მეორე მხარეზე გადავიდეს სეიესის* ან გრეგუარის* მსგავსად! მერყევი ეკლესია პაპს ებღაუჭება, როგორც ხსნის ერთადერთ იმედს. მხოლოდ პაპს შეუძლია თავისუფლების კრიტიკა გააბათილოს და თავის კარის ცერემონიების ღვთისმოსავი ბრწყინვალებით შთაბეჭდილება მოახდინოს ერისკაცების მოწყენილ და ავადმყოფ სულზე.

როცა ჟიულიენმა სანახევროდ გაიგო ეს სხვადასხვა ჭეშმარიტებანი, რომელთაც აბათილებს ყოველივე, რასაც სემინარიაში ლაპარაკობენ, იგი უღრმეს მელანქოლიაში გადავარდა. ბევრს მუშაობდა, ჩქარა ითვისებდა ისეთ საგნებს, რომელნიც მეტისმეტად სასარგებლონი არიან მღვდლისთვის, მაგრამ ყალბი იყვნენ მისი შეხედულებით და რომელთაც იგი სრულიად გულგრილად უცქეროდა.

«ნუთუ ყველამ დამივიწყა ამქვეყნად?» _ ფიქრობდა იგი. მან არ იცოდა, რომ ბ. პირარმა მიიღო და ცეცხლში ჩააგდო რამდენიმე წერილი, რომელიც დიჟონის საფოსტო ბეჭდით იყო აღნიშნული, და სადაც მეტად წესიერი სტილის მიუხედავად, უძლიერესი ვნებათაღელვა გამოსჭვიოდა. როგორც ეტყობოდა, ეს სიყვარული უძლიერეს სინიდისის ქენჯნას ებრძოდა. «მით უკეთესი, _ ფიქრობდა აბატი პირარი, _ ყოველ შემთხვევაში ამ ახალგაზრდა კაცს ბიწიერი ქალი არ ჰყვარებია».

ერთ მშვენიერ დღეს აბატმა პირარმა გახსნა წერილი, რომელიც სანახევროდ გადარეცხილი იყო ცრემლებით, იგი საუკუნო გამომშვიდობებას შეიცავდა: «ბოლოსო, _ ეუბნებოდნენ ჟიულიენს ამ წერილში, _ ზეცამ მომმადლა შევიძულო არა ჩემი დანაშაულის ჩამგონებელი, რომელიც ჩემთვის ყოველთვის უძვირფასეს ადამიანად დარჩება დედამიწის ზურგზე, არამედ თვით დანაშაული. მსხვერპლი შეწირულია, ჩემო მეგობარო, მაგრამ არა უცრემლოდ, როგორც ხედავთ. გაიმარჯვა ვალდებულების გრძნობამ იმ არსებათა წინაშე, რომელნიც თქვენ ასე ძლიერ გიყვარდათ. სამართლიანი, მაგრამ მრისხანე ღმერთი მათზე შურს აღარ იძიებს მათი დედის დანაშაულის გამო. მშვიდობით, ჟიულიენ, სამართლიანი იყავით ადამიანების მიმართ».

წერილის დასასრულის გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. მოცემული იყო დიჟონის მისამართი, ამასთანავე გამოთქმული იყო იმედი, რომ არასოდეს ჟიულიენი არ უპასუხებდა, ან ყოველ შემთხვევაში ისეთ წერილს დაწერდა, რომ მისი წაკითხვა გაუწითლებლად შეეძლებოდა სათნოების გზაზე დამდგარ ქალს.

ჟიულიენის მელანქოლია და ის ცუდი საკვები, რომელსაც სემინარიას 83 სანტიმიანი სადილების მიმწოდებელი აძლევდა, უკვე სათანადო გავლენას ახდენდა მის ჯანმრთელობაზე, როცა ერთს მშვენიერ დილას მოულოდნელად ფუკე გაჩნდა მის ოთახში.

_ როგორც იქნა მოვახერხე შენთან შემოსვლა. კი არ გისაყვედურებ, მაგრამ ხუთჯერ კი ვარ ჩამოსული ბეზანსონში, რათა შენ გინახულო. ყოველთვის ერთი და იგივე გაშეშებული სახე მხვდებოდა. ყარაულიც კი დავაყენე სემინარიის კარებთან; რატომ ერთხელ მაინც არ გამოხველი?

_ ეს გამოცდაა, რომელიც ჩემს თავს დავაკისრე.

_ როგორც ვხედავ, ძლიერ გამოცვლილხარ. ორმა ბრჭყვიალა ხუთფრანკიანმა ჭკუა მასწავლა: სულელი ვყოფილვარ, რომ პირველადვე არ შევთავაზე.

საუბარი მეგობრებს შორის დაუსრულებლივ გაგრძელდა. ჟიულიენს ფერი შეეცვალა, როცა ფუკემ უთხრა:

_ მართლა, იცი რას გეტყვი? შენი მოწაფეების დედა ღვთისმოსაობაში გადავარდა.

და დაიწყო იმ გულაგდებული ტონით ლაპარაკი, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ვნებიან სულზე, როცა შეუგნებლად მის უძვირფასეს ინტერესებს ეხებიან.

_ დიახ, ჩემო მეგობარო, აღგზნებულ ღვთისმოსაობაში გადავარდა. ამბობენ, სალოცავად დადისო. მაგრამ აბატი მასლონის სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ქალბატონმა დე რენალმა არ მოისურვა იგი მოძღვრად აეყვანა. ეს ქალი დიჟონსა და ბეზანსონში დადის აღსარების სათქმელად.

_ ბეზანსონში მოდის? _ იკითხა ჟიულიენმა და გაწითლდა.

_ საკმაოდ ხშირად, _ უპასუხა ფუკემ ოდნავ გაოცებული სახით.

_ გაზეთი «კონსტიტუსიონელი»* ხომ არ გაქვს თან?

_ რას ამბობ? _ ჰკითხა ფუკემ.

_ «კონსტიტუსიონელი» ხომ არ გაქვს-მეთქი, _ უთხრა ჟიულიენმა რაც შეიძლება დაწყნარებული ხმით. _ აქ ნომერი ოცდაათ სუდ იყიდება.

_ რაო! სემინარიაშიც კი არიან ლიბერალები! _ წამოიძახა ფუკემ: _ საბრალო საფრანგეთო! _ დაუმატა მან აბატი მასლონისებური ფარისევლური და ტკბილი ხმით.

ეს შეხვედრა ღრმა შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩვენს ფუკეზე, თუ მეორე დღეს პატარა ვერიერელ სემინარიელს, რომელიც მას მთლად ბავშვად მიაჩნდა, ორიოდ ნართაული სიტყვის შემწეობით მნიშვნელოვანი აღმოჩენა არ გაეკეთებინა მისთვის. აღმოჩნდა, რომ სემინარიაში შესვლის დღიდან ჟიულიენის ყოფაქცევა ყალბი ნაბიჯების მთელი რიგი ყოფილიყო. მან თავის თავსვე დასცინა მწარედ.

მართლაც, მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოქმედებანი გონივრულად იყო მოფიქრებული; მაგრამ იგი უყურადღებოდ ექცეოდა წვრილმანებს, გაიძვერა სემინარიელები კი მხოლოდ წვრილმანებს ამჩნევდნენ. მათ თვალში მის უდიდეს შეცოდებას ის შეადგენდა, რომ იგი დამოუკიდებლად აზროვნებდა და მსჯელობდა, იმის მაგივრად, რომ ბრმად გაჰყოლოდა ავტორიტეტსა და მაგალითს. აბატი პირარი არავითარ დახმარებას არ უწევდა; ერთხელაც მისთვის სიტყვა არ უთქვამს სააღსარებოს გარეშე, სადაც იგი მას უფრო უსმენდა, ვიდრე ელაპარაკებოდა. სულ სხვა იქნებოდა, რომ მოძღვრად აბატი კასტანედი აერჩია.

როგორც კი ჟიულიენმა თავისი უგუნურება შეამჩნია, იგი განთავისუფლდა მოწყენილობის გრძნობისაგან. მას უნდოდა თავის შეცდომების სიდიდე გაეზომა და ამიტომ უკუაგდო ის გულზვიადი და ჯიუტი დუმილი, რომლითაც წინათ თავისი ამხანაგები დააფრთხო. ახლა მათ შური იძიეს მის წინააღმდეგ. მისი ახლანდელი თავაზიანობა ზიზღით და დაცინვით მიიღეს. მან გაიგო, რომ სემინარიაში შესვლის დღიდან ერთი საათიც არ ყოფილა ისეთი, განსაკუთრებით დასვენების დროს, როცა მას ან ახალი მტრები არ შეეძინოს, ან ზოგიერთი გულწრფელი, სათნო და ნაკლებ ტლანქი სემინარიელის კეთილგანწყობილება არ მოეპოვებინოს. ამიტომ ბევრი რამ იყო გასასწორებელი. ამიერიდან ჟიულიენის ყურადღება გამძაფრდა; მას თავისი ხასიათი უნდა გამოესწორებინა.

მაგალითად, თვალების გამომეტყველება მას დიდ გასაჭირში აგდებდა. უსაფუძვლოდ არ ხდება, რომ ასეთ ადგილებში თვალდახრილი დადიან. «რა გადაჭარბებული თვითრწმენა მქონდა ვერიერში, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ მე მეგონა, ვცხოვრობ-მეთქი; მაგრამ თურმე მხოლოდ ვემზადებოდი ცხოვრებისთვის, და აი, ბოლოს მოვხვდი ქვეყანაში, რომელშიც ჩემი როლის დასრულებამდე ვიცხოვრებ ნამდვილი მტრებით გარემოცული. რა საშინლად ძნელია ეს განუწყვეტელი პირფერობა! მის წინაშე არაფრად მოჩანს თვით ჰერკულესის ღვაწლი. თანამედროვე ჰერკულესი სიქსტე მეხუთეა,* იგი თხუთმეტი წელიწადია თავის თავმდაბლობით ორმოც კარდინალს ატყუებს, რომელნიც მას გულზვიადსა და გულფიცხელს ხედავდნენ ახალგაზრდობაში».

«მაშასადამე, მეცნიერება აქ არაფერს ნიშნავს, _ ფიქრობდა იგი წყენით; _ მხოლოდ მოსაჩვენებლად აფასებენ წარმატებას დოგმატიკასა, საღმრთო წერილში და სხვ. ამის შესახებ მხოლოდ იმისთვის ლაპარაკობენ, რომ მახეში გააბან ისეთი სულელები, როგორიც მე ვარ. ეჰ, ჩემი ერთადერთი დამსახურება ისაა, რომ სწრაფად ვითვისებ ამ აბდაუბდას. განა ისინი მას მისი ნამდვილი ღირებულების მიხედვით არ აფასებენ? მე კი იმდენად სულელი ვიყავი, რომ ვამაყობდი ამ ცოდნით! პირველმა ადგილმა, რომელიც სწავლაში მოვიპოვე, მხოლოდ შეურიგებელი მტრები შემძინა. შაზელი, რომელსაც ბევრად მეტი ცოდნა აქვს, ვიდრე მე, ყოველ თავის თხზულებაში ერთ რასმე ისეთს უაზრობას შეიტანს ხოლმე, რომ ორმოცდამეათე ადგილზე გადავარდება, ხოლო თუ მან პირველი ადგილი დაიჭირა, ეს გაფანტულობის წყალობით ხდება. აჰ, როგორ გამომადგებოდა ბ. პირარის ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა!».

ჟიულიენი ხშირად ხედავდა დერეფნის კედლებზე ნახშირით დაწერილ ფრაზებს: «რას წარმოადგენს სამოცი წლის განსაცდელი საუკუნო ნეტარებასა ან ჯოჯოხეთის საუკუნო მდუღარე კუპრთან შედარებით!» მას აღარ ეზიზღებოდა ეს ფრაზები; მიხვდა, რომ თვალთაგან ვეღარ მოიშორებდა მათ. «რას გავაკეთებ მთელს ჩემს სიცოცხლეში? _ ფიქრობდა იგი: _ კეთილმორწმუნე ადამიანებს ადგილებს მივყიდი ზეცაში».

რამდენიმე თვის ვარჯიშობის შემდეგ ჟიულიენს მაინც ისეთი სახე ჰქონდა, რომ ეტყობოდა _ იგი აზროვნებდა. მისი მანერა თვალების მოძრაობისა და ტუჩების მოკუმვისა არ მოწმობდა ბრმა რწმენას, რომელიც მზადაა ყოველივე იწამოს და ყოველივე განამტკიცოს თვით მოწამეობის გზით. ჟიულიენი ხედავდა, რომ, ამ მხრივ, უტლანქესი გლეხები სჯობნიდნენ. მაგრამ მათ საბუთი ჰქონდათ იმისთვის, რომ მოაზროვნე სახე არ გამოეჩინათ.

დიდ დღესასწაულებზე სემინარიელებს ძეხვებსა და მჟავე კომბოსტოს აძლევდნენ. ჟიულიენის მეზობლებმა სუფრაზე შეამჩნიეს, რომ იგი გულგრილად უყურებდა ამ ბედნიერებას; ეს მისი ერთი პირველი დანაშაულთაგანი იყო. «ერთი შეხედეთ ამ ბურჟუას, ამ ამპარტავანს, რომელიც ისე იქცევა, თითქო არაფრად აგდებდეს საუკეთესო ყელის ჩასაკოკლოზინებელს, ძეხვებს კომბოსტოთი!» _ გაიძახოდნენ ისინი.

პირველ ხანს ჟიულიენს სული ეხუთებოდა ზიზღის გრძნობით, შემდეგ მხოლოდ სიბრალულს განიცდიდა თავისი ამხანაგებისადმი; ხშირად მომხდარა, რომ ამ უკანასკნელთა მამები ზამთრის საღამოს შინ დაბრუნებულან და თავიანთ ქოხში არაფერი დახვედრიათ, არც პური, არც წაბლი, არც კარტოფილი. «რა გასაკვირველია, _ ფიქრობდა ჟიულიენი, _ თუ მათ თვალში ბედნიერად ითვლება ისეთი ადამიანი, რომელიც მაძღრისად სადილობს და კარგად იცვამს! ჩემს ამხანაგებს მტკიცე მოწოდეაბ აქვთ, ისინი სასულიერო წოდებას ამ ბედნიერების გაგრძელებად თვლიან: კარგად ისადილონ და თბილი ტანისამოსი იქონიონ ზამთარში».

ერთხელ ჟიულიენმა გაიგონა, რომ ერთი ახალგაზრდა სემინარიელი, რომელიც ფანტაზიით იყო დაჯილდოებული, თავის ამხანაგს ეუბნებოდა:

_ რად არ შეიძლება პაპი გავხდე სიქსტე მეხუთესავით, რომელიც ღორების მწყემსი იყო ახალგაზრდობაში?

_ პაპებად მხოლოდ იტალიელებს ირჩევენ, _ უპასუხა მეორემ: _ მაგრამ, ალბათ, ჩვენ წილს გვიყრიან ქორეპისკოპოსისა, კანონიკისა და შეიძლება ეპისკოპოსის ადგილის მოსაცემად. შალონის ეპისკოპოსი მეკასრის შვილია; მამაჩემიც მეკასრეა.

ერთხელ დოგმატიკის გაკვეთილის დროს აბატმა პირარმა ჟიულიენს დაუძახა. საბრალო ჭაბუკი აღტაცებული იყო, რომ თავი დააღწია იმ ფიზიკურ და ზნეობრივ ატმოსფეროს, რომელშიც ჩაფლული იყო.

ჟიულიენს დირექტორი ისევე შეხვდა, როგორც პირველ დღეს, როცა მან იგი დააფრთხო თავისი სიმკაცრით.

_ ამიხსენით, რა აწერია ამ სათამაშო ქაღალდს, _ ჰკითხა მან და ისეთი თვალებით შეხედა, რომ ჟიულიენს ერჩია მიწა გახეთქოდა.

ჟიულიენმა წაიკითხა:

«ამანდა ბინე, «ჟირაფის ყავახანა», რვა საათამდე. უნდა განაცხადოთ, რომ ჟანლისიდან ხართ და დედაჩემს ბიძაშვილად ერგებით».

ჟიულიენმა დაინახა საშიშროების მთელი სიდიდე: აბატ კასტანედის პოლიციას მისთვის ეს მისამართი მოეპარა.

_ როცა აქეთ მოვდიოდი, _ უპასუხა მან და აბატ პირარის შუბლს დააცქერდა იმიტომ, რომ ვერ უძლებდა მის საშინელ გამოხედვას, _ მე შეშინებული ვიყავი: ბ. შელანმა მითხრა, ეს ყოველგვარი ვერაგობის და ბოროტების ადგილიაო; იქ აქეზებენ ჯაშუშობას და ამხანაგების დასმენასო. ეს ასე სურს ზეცას, მას უნდა ახალგაზრდა მღვდლებს ცხოვრება შეუფერადებლად დაანახოს, რათა მათ ქვეყნიერებისა და მისი ამაოების ზიზღი შთააგონოსო.

_ ეს ჩემთვის თხზავთ ასეთ ფრაზებს? _ უთხრა გააფთრებულმა აბატმა: _ არამზადა!

_ ვერიერში, _ განაგრძო გულგრილად ჟიულიენმა, _ ძმები მცემდნენ, როცა საბუთი ჰქონდათ შურით ეცქირათ ჩემთვის...

_ საქმეზე გადადით, საქმეზე, _ წამოიძახა მოთმინებიდან გამოსულმა აბატმა პირარმა.

ჟიულიენმა სრულიად შეუშფოთებლად განაგრძო თავისი მოთხრობა:

_ ბეზანსონში ჩამოსვლის დღეს, შუადღისას მომშივდა და ყავახანაში შევედი. ჩემი გული ზიზღით იყო აღსავსე ესოდენ მდაბიო ადგილისადმი; მაგრამ ვფიქრობდი, საუზმე აქ უფრო იაფი დამიჯდება, ვიდრე სასტუმროში-მეთქი. ერთმა ქალმა, რომელიც, როგორც ეტყობა, დაწესებულების დიასახლისი იყო, შემიბრალა გამოუცდელობის გამო. «ბეზანსონი სავსეა ვიგინდარებით, მითხრა მან, ვშიშობ არაფერი მოგივიდეს, ბატონო ჩემო, ვინიცობაა ცუდი რამე შეგემთხვეს, მე მომმართეთ, რვა საათამდე ვინმე

გამომიგზავნეთ. თუ სემინარიის მეკარეებმა უარი თქვან თქვენი დავალების შესრულებაზე, უთხარით, რომ ჩემი ბიძაშვილი ხართ ჟანლისიდან...»

_ მთელი ეს ლაყბობა შემოწმებულ იქნება, _ დაუყვირა აბატმა პირარმა, რომელიც ადგილს ვერ პოულობდა და ოთახში მიმოდიოდა. _ წადით თქვენს სენაკში!

აბატი ჟიულიენს უკან გაჰყვა და კარი ჩაუკეტა. ჟიულიენმა მაშინვე თავისი ყუთი გასინჯა, რომლის ძირში საბედისწერო ქაღალდი ჰქონდა შენახული. ყუთში არაფერი არ აკლდა, მაგრამ იგი რამდენჯერმე გაეჩხრიკათ; გასაღები კი ყოველთვის მას ჰქონდა. «რა ბედნიერებაა, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ რომ ჩემი სიბრმავის დროს არასოდეს არ მისარგებლია ქალაქში გასვლის ნებართვით, რომელსაც ბ. კასტანედი ასე ხშირად მთავაზობდა. ხომ დავიღუპებოდი, რომ ოდესმე სისუსტე გამომეჩინა და ტანისამოსი გამომეცვალა, რათა მშვენიერ ამანდას სანახავად წავსულიყავი. და აი, მათ დაბეზღებას მიმართეს, როცა დარწმუნდნენ, რომ ხაფანგში ვერ დამიჭერენ».

ორი საათის შემდეგ დირექტორმა იგი ხელახლა მიიწვია.

_ თქვენ არ მოგიტყუებივართ, _ უთხრა მან ნაკლებ სასტიკი ტონით. _ მაგრამ ასეთი მისამართის შენახვა დიდი გაუფრთხილებლობაა, რომლის მნიშვნელობის განსჯა თქვენ არ შეგიძლიათ. საბრალო ბავშვო, შეიძლება ათი წლის შემდეგ თქვენ მან ზიანი მოგაყენოთ.

XXVII

ცხოვრების პირველი გამოცდილება

ღმერთო ჩემო, ჩვენი დრო რაღაც
აღთქმის კიდობანია; უბედურება ეწვევა იმას,
ვინც კიდობანს შეეხება.

დიდრო

მკითხველი ნებას დაგვრთავს მხოლოდ რამდენიმე ნათელი და გარკვეული ფაქტი მივცეთ ჟიულიენის ცხოვრების ამ ეპოქიდან. იმიტომ კი არა, რომ ეს ფაქტები გვაკლდეს, პირიქით; მაგრამ ის, რაც მან სემინარიაში ნახა, მეტად შავი ფერისაა იმ ზომიერი კოლორიტისთვის, რომელიც შეძლებისამებრ დაცული იქნა ამ ფურცლებზე.

ჟიულიენს ძალიან უჭირდა პირფერობის დაცვა მიხრა-მოხრაში; ხანდახან ზიზღისა და სასოწარკვეთილების წუთებს განიცდიდა. იგი წინ ვერ მიდიოდა თვით ასეთ უვარგის სარბიელზე. ცოტაოდენი გარეგანი დახმარება მას გაამხნევებდა; გადასალახავი სიძნელე არც ისე დიდი იყო, მაგრამ იგი მარტო იყო, როგორც ოკეანეში მიტოვებული ხომალდი. «და თუ გავიმარჯვე, _ ფიქრობდა იგი, _ მთელი ჩემი ცხოვრება ასეთს ცუდს საზოგადოებაში უნდა გავატარო! ეს იქნებიან ან ღორმუცელები, რომელნიც მხოლოდ იმაზე ოცნებობენ, რომ ქონზე მომწვარი კვერცხი ჭამონ სადილად, ან კიდევ აბატი კასტანედები, რომელთათვის არავითარი დანაშაული საკმაოდ ჭუჭყიანი არაა! ისინი ძალაუფლებას მიაღწევენ, მაგრამ რა საფასურით, ღმერთო ჩემო!»

«ადამიანის ნებისყოფა ყოვლისშემძლეა, ამას ყველგან ვკითხულობ წიგნებში; მაგრამ განა ის საკმაოა ასეთი ზიზღის დასაძლევად? დიდი ადამიანების წინაშე ადვილი ამოცანა იდგა: რა ძლიერიც უნდა ყოფილიყო საფრთხე, ისინი მას მშვენივრად თვლიდნენ; ვის შეუძლია ჩემს გარდა გაიგოს ყოველივე იმის სიმახინჯე, რაც გარს მარტყია?»

ეს წუთი უდიდესი განსაცდელი იყო მისთვის. მისთვის ადვილი იყო ერთ-ერთ მშვენიერ ათასეულში მოწყობილიყო, რომელიც ბეზანსონის ციხე-სიმაგრეში იდგა! შეეძლო ლათინური ენის მასწავლებელიც გამხდარიყო; მას ბევრი როდი სჭიროდა თავის სარჩენად! მაგრამ ამ შემთხვევაში მშვიდობით, კარიერავ, მშვიდობით, მომავალო, რომელიც მის ფანტაზიას ეალერსებოდა. მისთვის ეს სიკვდილი იყო. აი ერთი მისი სევდიანი დღის წვრილმანები.

«გულზვიადობის გამო ხშირად მიხაროდა, რომ განვსხვავდებოდი სხვა გლეხის ბიჭებისაგან! _ ფიქრობდა იგი ერთ დილას: _ და აი მე იმდენი კი ვიცხოვრე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ განსხვავება სიძულვილს ბადებს». ეს დიდი ჭეშმარიტება მას ერთმა მისმა მარცხმა დაანახვა. იგი მთელი კვირა ცდილობდა მოსწონებოდა ერთ მოწაფეს, რომელიც წმინდანივით ცხოვრობდა. იგი მას დაჰყვებოდა ეზოში, მის აუტანელ სისულელეებს ისმენდა. უცებ დარი შეიცვალა და ჭექა-ქუხილი დაიწყო. წმინდა ჭაბუკმა ტლანქად ხელი ჰკრა ჟიულიენს და წამოიძახა:

_ გამიგონეთ! ყველამ თავისთვის უნდა იზრუნოს ამქვეყნად; მე არ მინდა ელვამ დამწვას; ღმერთმა შეიძლება თქვენ გაგანადგუროთ ვითარცა ბიწიერი, ვითარცა ვოლტერი.

გააფთრებულმა ჟიულიენმა თვალები ზეცისკენ აღაპყრო, სადაც ელვა იკლაკნებოდა: «მე ღირსი ვიქნებოდი წყლით წალეკვისა, ქარიშხლის დროს რომ

დამძინებოდა! _ წამოიძახა მან. _ ვეცდები სხვა რომელიმე პედანტის კეთილგანწყობილება დავიპყრო».

ზარმა მოწაფეებს აბატ კასტანედის საღმრთო წერილის გაკვეთილისკენ მოუწოდა.

ამ ახალგაზრდა გლეხებს, რომელნიც დაშინებული იყვნენ თავიანთი მამების მძიმე შრომითა და სიღარიბით, აბატი კასტანედი ამ დღეს ასწავლიდა, რომ საშიშარ არსებას, სახელდობრ მთავრობას, რეალური და კანონიერი ძალაუფლება მხოლოდ იმდენად ჰქონდა, რამდენადაც იგი ღმერთის თანამოსაყდრის დელეგატი იყო ამქვეყნად.

_ გახდით პაპის მოწყალების ღირსი თქვენი წმინდა ცხოვრებით, თქვენი მორჩილებით, იყავით ვითარცა კვერთხი მის ხელში, _ დაუმატა მან, _ და თქვენ საუცხოო ადგილს დაიჭერთ, სადაც მბრძანებელი იქნებით თვინიერ ყოველივე ზედამხედველობისა; თქვენი ჯამაგირის ერთ მესამედს მთავრობა გადაიხდის, ხოლო ორ მესამედს სამწყსო, რომელსაც თქვენ უწინამძღვრებთ.

გაკვეთილის დასრულების შემდეგ ბ. კასტანედი ეზოში შეჩერდა:

_ სწორედ მღვდელზე შეიძლება ითქვას, როგორიც ალხანა, ისეთი ჩალხანაო, _ ეუბნებოდა იგი თავის გარშემო შემოკრებილ მოწაფეებს: მე თვით ვიცი ზოგიერთი მრევლი მთაში, რომელსაც ბევრად მეტი შემოსავალი ჰქონდა, ვიდრე ქალაქის ეკლესიებს. არც ფული ჰქონიათ ნაკლები, ხოლო მსუქანი ყვერულები, კვერცხები, ახლად შედღვებილი კარაქი და სხვა სასიამოვნო რამერუმეები ხომ სათვალავში მისაღები არაა; და იქ მღვდელი უცილობლად პირველი ადამიანია: არც ერთი სადილი არ გაიმართება ისე, რომ იგი არ მიიწვიონ, პატივი არა სცენ და სხვ.

როგორც კი ბ. კასტანედი თავის ბინაზე ავიდა, მოწაფეები ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ. ჟიულიენი არც ერთ ჯგუფს არ მიმხრობია, იგი მარტოდმარტო დატოვეს ქეციანი ცხვარივით. თითოეულ ჯგუფში ერთი რომელიმე მოწაფე სპილენძის ფულს ისროდა ჰაერში და თუ სწორად გამოიცნობდა, პირით დაეცემოდა მიწაზე თუ ზურგით, მისი ამხანაგები ასკვნიდნენ, იგი ჩქარა შემოსავლიან მრევლს მიიღებსო.

შემდეგ ანეგდოტები დაიწყეს. ამა და ამ ახალ ნაკურთხ მღვდელს თურმე ბაჭია ეჩუქებია მოხუცი მღვდლის მსახური ქალისთვის და სამაგიეროდ ჯერ ამ მოხუცის მოადგილე გამხდარიყო, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ მისი შემოსავლიანი მრევლი მიეღო. მეორე თურმე ყოველდღე ესწრებოდა ბებერი დამბლადაცემული მღვდლის სადილს და მოხდენილად უქნიდა ქათამს, ამიტომ მას დიდი და მდიდარი დაბა მიეღო.

«მეც უნდა ჩავერიო ამ საუბარში», _ ფიქრობდა ჟიულიენი, როცა ისინი ძეხვებსა და შემოსავლიან მრევლზე არ ლაპარაკობდნენ, საეკლესიო მოძღვრების საერთო მხარეზე მსჯელობდნენ; ეპისკოპოსების და პრეფექტების, ქალაქის მერების და მღვდლების განსხვავებაზე. ჟიულიენი ხედავდა, რომ მეორე ღმერთის იდეა ჩნდებოდა, ღმერთისა, რომელიც ბევრად უფრო საშიში და ძლიერი იყო, ვიდრე პირველი; ეს მეორე ღმერთი პაპი იყო. ერთმანეთში ლაპარაკობდნენ, ოღონდ ჩურჩულით, რათა ბ. პირარს არაფერი გაეგონა: თუ პაპი თავს არ იწუხებს ყველა პრეფექტი* და ქალაქის მერი დანიშნოს საფრანგეთში, ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მან ეს საქმე საფრანგეთის მეფეს მიანდო და ეკლესიის უფროსი შვილი უწოდა მასო.

ამ დროს მოუვიდა თავში ჟიულიენს ის აზრი, შეიძლება გამოვიყენო ბ. დე მესტრის წიგნი პაპის შესახებ, რათა ამხანაგებს ჩემი პატივისცემა ჩავაგონოო. მართალი უნდა ითქვას, მან გააოცა თავისი ამხანაგები; მაგრამ ეს ახალი უბედურება იყო. არ მოეწონათ, რომ იგი მათს აზრებს მათზე უკეთ გამოთქვამდა. ჟიულიენის მჭევრმეტყველება ახალი დანაშაული აღმოჩნდა. მისმა ამხანაგებმა იმდენი იფიქრეს მასზე, რომ ბოლოს ერთს სიტყვაში გამოხატეს მთელი შიშის ზარი, რომელსაც იგი მათში იწვევდა: მარტინ ლუთერი* უწოდეს, განსაკუთრებით იმ ჯოჯოხეთური ლოგიკისათვის, რომელიც მას ესოდენ ამაყად ხდისო, ამბობდნენ ისინი.

ზოგიერთ ახალგაზრდა სემინარიელს უფრო ქორფა კანი ჰქონდა და ისინი შეიძლებოდა უფრო ლამაზად ჩათვლილიყვნენ, ვიდრე ჟიულიენი; სამაგიეროდ, ჟიულიენს თეთრი ხელები ჰქონდა და არ შეეძლო დაემალა, რომ სიფაქიზე და სისუფთავე უყვარდა. მაგრამ ეს უპირატესობად არ ითვლებოდა იმ სევდიან სახლში, სადაც იგი ბედისწერამ გადაისროლა. ჭუჭყიანმა გლეხებმა, რომელთა შორის ჟიულიენი ცხოვრობდა, განაცხადეს, იგი გარყვნილიაო.

ჩვენ გვეშინია მკითხველი არ დავღალოთ ჩვენი გმირის ათასი უბედურების ჩამოთვლით. მაგალითად, ზოგიერთმა მისმა ამხანაგმა, რომელსაც ღონე ერჩოდა, მისი გალახვა მოინდომა. იგი იძულებული იყო რკინის სახაზავით შეიარაღებულიყო და ენიშნებია, რომ გამოიყენებდა კიდეც გაჭირვების დროს.

XXVIII

პროცესია

ყოველი გული აღელვებული იყო. თითქო ღმერთი ჩამოეშვა ამ ვიწრო გოთურ ქუჩებში, მორწმუნეთა მზრუნველობის წყალობით ყოველმხრივ გაშლილი და მოფარდაგებული რომ იყო.

იუნგი

ძალიან ცდილობდა ჟიულიენი პატარა და სულელი გამოჩენილიყო, მაგრამ ვერ შეძლო თავი მოეწონებინა: მეტისმეტად განსხვავდებოდა ამხანაგებისაგან. «ამავე დროს, _ ფიქრობდა იგი, _ ყველა ეს მასწავლებელი მეტად ნატიფი ადამიანები არიან, არჩეულნი ათასებს შორის; როგორ არ აფასებენ ისინი ჩემს თავმდაბლობას?» მხოლოდ, როგორც ეტყობოდა, ერთი ბოროტად იყენებდა მის მიამიტობას და თავმდაბლობას. ეს იყო აბატი შას-ბერნარი, ცერემონიების დირექტორი საკათედრო ტაძარში, სადაც მას თხუთმეტი წელიწადია კანონიკის ადგილი აღუთქვეს; ჯერჯერობით კი იგი საეკლესიო მჭევრმეტყველებას ასწავლიდა სემინარიაში. პირველ ხანებში ეს ის კურსი იყო, სადაც ჟიულიენს ჩვეულებრივ პირველი ადგილი ეჭირა. ამიტომ აბატი შასი მას მეგობრულად ეპყრობოდა და გაკვეთილიდან გამოსვლის შემდეგ ხელში ხელს უყრიდა, რათა ბაღში გაესეირნა.

«რა უნდა ჩემგან?» _ ფიქრობდა ჟიულიენი. აკვირვებდა, რომ აბატი მთელი საათობით ელაპარაკებოდა საკათედრო ტაძარში დაგროვილ სამკაულებზე: იქ ჩვიდმეტი ოქრომკედით ნაქსოვი ფილონია გარდა სამგლოვიარო სამოსლებისაო. დიდ იმედს ამყარებდა მოხუც ქალბატონ რიუბამპრეზე; ამ ოთხმოცდაათი წლის მანდილოსანს სამოცდაათი წელიწადია შენახული აქვს თავისი საქორწინო ტანისამოსი საუცხოო ლიონის ოქროქსოვილი მატერიიდანო.

_ წარმოიდგინეთ, ჩემო მეგობარო, _ ამბობდა აბატი შასი, რომელიც უცებ ჩერდებოდა და თვალებს აჭყეტდა, _ რომ ეს ქსოვილი პირდაპირ დგება, იმდენი ოქროა მასში. ბეზანსონში ყველას სწამს, რომ ამ მანდილოსნის ანდერძი ათი სამოსლით მაინც გაამდიდრებს ტაძრის სალაროს, ანგარიშში რომ არ მივიღოთ ოთხი და ხუთი მანტია დიდი დღესასწაულებისათვის. მე კიდევ უფრო შორს მივდივარ, _ უმატებდა აბატი შასი ხმადაბლა, _ საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ იგი ჩვენ დაგვიტოვებს რვა საუცხოო ოქროცურვებულ ვერცხლის სასანთლესაც, რომელიც, როგორც ფიქრობენ, იტალიაში იყო

ნაყიდი ბურგუნდიის დუკა შარლ მამაცის მიერ; ამ მანდილოსნის ერთ-ერთი წინაპარი დუკას საყვარელი მინისტრი იყო.

«საით უმიზნებს ეს ადამიანი მთელი თავისი ძონძებით? _ ფიქრობდა ჟიულიენი. _ ამდენი ხანია რაღაცას მიმზადებს, მაგრამ ჯერ ვერ გამიგია მისი. ალბათ ძალიან იჭვის თვალით მიცქერის! იგი უფრო ეშმაკია, ვიდრე სხვები, რომელთა საიდუმლოებას ადამიანი ორ კვირაში გაიგებს. ეს მესმის, მისი პატივმოყვარეობა ხომ თხუთმეტი წელია, რაც ილახება!»

ერთ საღამოს, როცა ჟიულიენი ფარიკაობის გაკვეთილზე იყო, აბატ პირართან დაუძახეს. მან უთხრა:

_ ხვალ Corpus Domini-ს (უფლის სხეულის) დღესასწაულია. აბატ შას-ბერნარს სჭირდებით ეკლესიის შესამკობად; წადით და დაემორჩილეთ. _ როცა ჟიულიენი გასვლას აპირებდა, აბატმა პირარმა იგი მოაბრუნა და თანაგრძნობის გამომეტყველებით დაუმატა: _ თქვენზეა დამოკიდებული, ისარგებლებთ თუ არა შემთხვევით, რათა ქალაქისკენ შეუხვიოთ.

_ Incedo per ignes (ფარული მტრები მყავს), _ უპასუხა ჟიულიენმა.

მეორე დღეს გათენებისთანავე ჟიულიენი საკათედრო ტაძრისკენ გაემართა თვალებდახრილი. ქუჩებისა და ახლად დაწყებული მოძრაობის დანახვამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ყველგან სახლების ფასადებს ამკობდნენ პროცესიისთვის. მას ერთ წუთად მოეჩვენა მთელი ის დრო, რომელიც სემინარიაში გაატარა. აზრით იგი ვერჟიში იყო გადასული ან კიდევ იმ ლამაზ ამანდა ბინეზე ფიქრობდა, რომელსაც შეიძლებოდა შეხვედროდა იმიტომ, რომ მისი ყავახანა შორს არ იყო. აბატი შას-ბერნარი შორიდან დაინახა მისი ძვირფასი ტაძრის კარიბჭეში; ეს იყო მსხვილი მამაკაცი, მხიარული და გახსნილი სახე ჰქონდა. ამ დღეს იგი სადღესასწაულოდ იყო განწყობილი.

_ მე თქვენ გელოდით, ჩემო ძვირფასო შვილო, _ წამოიძახა მან, როგორც კი შორიდან მომავალი ჟიულიენი დაინახა: _ კეთილი იყოს თქვენი მოსვლა. დღეს დიდი და მძიმე სამუშაო გვაქვს შესასრულებელი; ცოტათი დავნაყრდეთ, მეორე საუზმე ათ საათზე იქნება, წირვის დროს.

_ მე არ მინდა, ბატონო, თუნდ ერთი წუთითაც მარტო დავრჩე, _ უთხრა მას ჟიულიენმა სერიოზული ტონით: _ კეთილინებეთ და ყურადღება მიაქციეთ, _ დაუმატა

მან და დიდ საეკლესიო საათს მიუთითა, _ რომ მე მოვედი, როცა ხუთ საათს ერთი წუთი აკლდა.

_ აჰ, თქვენ ეს პატარა ბოროტი სემინარიელები გაშინებენ? _ ჰკითხა აბატმა შასმა: _ არ ღირს მათზე ფიქრი; განა გზა ნაკლებ მშვენიერი ხდება იმის გამო, რომ ღობეებში, რომლებიც მას მისდევს, ეკალნარია ჩართული? მოგზაურები თავიანთი გზით მიდიან, ხოლო ბოროტ ბარდნარს ყინვა და ხორშაკი ელის. მაგრამ საქმეს შევუდგეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

აბატი შასი მართალი იყო, როცა ამბობდა, მძიმე სამუშაო გველისო. წინა დღით საკათედრო ტაძარში დიდი სამგლოვიარო ცერემონია მოეწყოთ და მეორე დღისთვის არაფრის მომზადება არ შეიძლებოდა. ამიტომ ამ დილითვე გოთური სვეტები, რომელნიც ტაძარს სამ ნავად ჰყოფდნენ, წითელი აბრეშუმით უნდა შემოსილიყვნენ ოცდაათი წყრთის სიმაღლეზე. ბ. ეპისკოპოსმა ოთხი მეშპალერე გამოიწვია პარიზიდან, მაგრამ ისინი ყველაფერს ვერ ასწრებდნენ და, იმის მაგივრად, რომ თავიანთი ბეზანსონელი ამხანაგები გაემხნევებინათ, დასცინოდნენ მათ.

ჟიულიენმა დაინახა, რომ თვითონ უნდა ასულიყო კიბეზე, მისმა სიმარჯვემ დიდი დახმარება გაუწია. მან ადგილობრივი მეშპალერეების ხელმძღვანელობა იკისრა. აბატი შასი აღტაცებული იყო, როცა მის კიბიდან კიბეზე გადაფრენას უცქეროდა. როცა ყველა სვეტი აბრეშუმით შეიმოსა, გადაწყვიტეს ხუთი უზარმაზარი ფრთების კონა მიემაგრებიათ დიდ საჩრდილობელზე, რომელიც მთავარ საკურთხეველს ფარავდა. მოვარაყულ ხის მდიდრულ გვირგვინს რვა დიდი იტალიური მარმარილოს სვეტი აკავებდა, მაგრამ კაცს საჩრდილობლის ცენტრში რომ მიეღწია, ხის ძველი კარნიზი უნდა გაევლო, რომელიც შეიძლებოდა ჭიანაჭამი ყოფილიყო; თანაც ეს კარნიზი ორმოცი წყრთით იყო ამაღლებული იატაკის ზედაპირზე.

ამ ძნელი გზის დანახვამ გაანელა პარიზელი მეშპალერეების გონებამახვილობა და მხიარულობა; ისინი ქვემოდან ზევით იცქირებოდნენ, ბევრს კამათობდნენ, მაგრამ ასვლას ვერ ბედავდნენ. ჟიულიენმა ხელი მოჰკიდა ფრთების კონას, კიბეზე აირბინა და კარგად დაამაგრა გვირგვინზე, ბალდახინის ცენტრში. როცა ძირს ჩამოვიდა, აბატმა შას-ბერნარმა გულში ჩაიხუტა.

_OOptime!* _ წამოიძახა მან, _ მე ამას ყოვლად სამღვდელოს ვუამბობ.

ათი საათის საუზმე მეტად მხიარული აღმოჩნდა. არასოდეს აბატ შასს ასე მშვენიერი არ ჩვენებია თავისი ეკლესია.

_ ძვირფასო მოწაფევ, _ ეუბნებოდა იგი ჟიულიენს, _ დედაჩემი სკამებს აქირავებდა ამ პატივსადებ ბაზილიკაში, ასე რომ, მე ამ დიდ შენობაში აღვიზარდე. რობესპიერის ტერორმა ჩვენ გაგვაკოტრა, მაგრამ მაშინ უკვე რვა წლის ვიყავი და მღვდელს ფარულ წირვა-ლოცვაზე ვეხმარებოდი ოთახებში, სამაგიეროდ საჭმელ-სასმელს მაძლევდნენ. არავინ არ იცოდა ჩემზე უკეთ სამოსლის დაკეცვა, არასოდეს ოქრომკედს არ ვჭმუჭნიდი. მას შემდეგ, რაც ნაპოლეონმა კულტი აღადგინა,* მე ბედნიერება მაქვს ყოველივეს ვუხელმძღვანელო ამ პატიოსან ტაძარში. წელიწადში ხუთჯერ ჩემი თვალები მას ასე მშვენივრად შემკულს ხედავს. მაგრამ არასოდეს იგი ასე ბრწყინვალე არ ყოფილა, არასოდეს აბრეშუმს ასეთი ლამაზი ნაოჭები არ გაუკეთებია სვეტების გარშემო.

«ალბათ ახლა გამიმხელს თავის საიდუმლოებას, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ იგი თავის თავზე ლაპარაკობს, ახლავე გულახდილობა დაიწყება. მაგრამ ამ ადამიანს, თავისი აღფრთოვანების მიუხედავად, არაფერი უთქვამს უგუნური».

როცა შუა წირვისა დარეკეს, ჟიულიენს ოლარის გადაცმა უნდოდა, რათა ეპისკოპოსს გაჰყოლოდა დიდებულ პროცესიაში.

_ ქურდებზე რას ფიქრობ, მეგობარო, ქურდებზე! _ წამოიძახა აბატმა შასმა: _ პროცესია გარეთ გავა; ჩვენ აქ უნდა ვუდარაჯოთ. ჩვენ ბედნიერი ვიქნებით, თუ ორიოდე წყრთის მეტი არ დაგვაკლდა იმ მშვენიერ ყაითნიდან, რომელიც ამ სვეტებს არტყია გარს. ესეც ქალბატონი რიუბამპრეს საჩუქარია; იგი სახელოვან გრაფს, მის წინაპარს ეკუთვნოდა; ეს წმინდა ოქროა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, _ დაუმატა აბატმა ჩურჩულით და გულწრფელი აღტაცებით, _ შიგ სხვა არაფერი ურევია! მე თქვენ ჩრდილოეთის ფრთის მეთვალყურეობას განდობთ, იქიდან ნუ გამოხვალთ. მე კიდევ ჩემთვის სამხრეთის ფრთასა და შუა ნაწილს ვიტოვებ. ყურადღება მიაქციეთ სააღსარებოს; იქიდან უთვალთვალებენ ქურდების ჯაშუშები იმ წუთს, როცა მათ ზურგს შეაქცევთ.

როგორც კი ლაპარაკი შესწყვიტა, თორმეტი საათის სამმა მეოთხედმა დაჰკრა; მაშინვე დიდი ზარის ხმა გაისმა. იგი მთელი ხმით რეკდა; მისმა ბოხმა, დღესასწაულებრივმა ხმამ ააღელვა ჟიულიენი. იგი თავისი ფანტაზიით უკვე დედამიწაზე აღარ იმყოფებოდა.

საკმეველის სურნელებამ და ვარდის ფურცლებმა, რომლებიც წმინდა იოანესავით ჩაცმულმა ბავშვებმა ზიარების წინ მიმოაბნიეს, იგი საბოლოოდ აღაგზნო.

ამ ზარის ბოხ ხმებს ჟიულიენში უნდა გაეღვიძებია ის აზრი, რომ სამრეკლოზე და ეკლესიაში ოციოდე კაცი მუშაობდა ორმოცდაათ სანტიმად თითო, და მათ თხუთმეტი თუ

ოცი მორწმუნე ეხმარებოდა. მას უნდა ეფიქრა, რომ ცვდებოდა სამრეკლოს თოკიც და ხის ნაწილებიც, რომ საფრთხე მოელოდა თვით ზარს, რომელიც ძირს ვარდება ყოველ ორ საუკუნეში ერთხელ; მას უნდა ეფიქრა, როგორ შეიძლებოდა შემცირებულიყო ზარების მრეკავების გასამრჯელო, ან როგორ შეიძლებოდა მათი დაჯილდოება ინდულგენციით* და სხვა ისეთი რამის წყალობით, რაც არ დააზარალებდა ეკლესიის სალაროს.

ამ ბრძნული აზრების მაგივრად ჟიულიენის სული, აღფრთოვანებული ამ ვაჟკაცური და სავსე ხმებით, ფანტასტურ სივრცეებში დახეტიალობდა. იგი არასოდეს არ გახდება არც კარგი მღვდელი, არც კარგი ადმინისტრატორი. ასეთი მგრძნობიარე ადამიანები მხოლოდ მხატვრებად გამოდგებიან.

იმ დროს, როცა საეკლესიო პროცესია ნელი ნაბიჯით წინ მიიწევდა მზით განათებულ ბეზანსონში და მხოლოდ მთავრობის მიერ აგებული ბრწყინვალე საკურთხევლების წინ ჩერდებოდა, ეკლესია უღრმესი დუმილით იყო მოცული. იქ ბინდბუნდი და სასიამოვნო სიგრილე მეფობდა; იგი ჯერ კიდევ გაჟღენთილი იყო ყვავილებისა და საკმევლის სურნელებით.

სიწყნარე, მარტოობა, ტაძრის სიგრილე კიდევ უფრო მეტს სიტკბოებას აძლევდა ჟიულიენის ოცნებებს. მას არ ეშინოდა, რომ აბატი შასი შეუშლიდა ხელს: ეს უკანასკნელი შენობის მეორე ნაწილში იმყოფებოდა. ჟიულიენის სულმა თითქმის დატოვა თავისი მომაკვდავი გარსი, რომელიც ნელი ნაბიჯით დასეირნობდა ეკლესიის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი დამშვიდებული იყო, რაკი დარწმუნდა, რომ სააღსარებოში მხოლოდ რამდენიმე ღვთისმოსავი ქალი იმყოფებოდა; ჟიულიენის თვალი ყველაფერს ხედავდა, თუმცა არაფერს უცქეროდა.

მაგრამ მისი გონების გაფანტულობა სანახევროდ გაქრა, როცა მან ორი კარგად ჩაცმული ქალი დაინახა; ისინი მუხლმოდრეკილნი იყვნენ, ერთი სააღსარებოში, ხოლო მეორე სულ ახლო პირველისაგან, სკამის წინ. «საოცარია, _ გაიფიქრა ჟიულიენმა, _ რომ ეს მშვენიერი ქალები რომელიმე გარეთ ამართული საკურთხევლის წინაშე არ არიან მუხლმოდრეკილი, თუ ღვთისმოსავნი არიან, ან მოხდენილად რომელიმე აივანზე არ სხედან პირველ რიგში, თუ ურწმუნონი არიან. რა კარგადაა შეკერილი ეს კაბა, რამდენი სილაზათეა მასში!» მან ნაბიჯი შეანელა, რათა ქალების სახეები გაერჩია.

ქალმა, რომელიც სააღსარებოს წინ იყო დაჩოქილი, ცოტათი თავი მოაბრუნა, როცა ჟიულიენის ფეხის ხმა გაიგონა ამ დიდ დუმილში. უცებ მას ყვირილი აღმოხდა და გული წაუვიდა. იგი პირაღმა დაეცა. მისი მეგობარი ახლო იყო და საშველად მივარდა.

ჟიულიენმა დაინახა ძირს დაცემული ქალის მხრები. მას თვალში ეცა მსხვილი მარგალიტის გულსაბამი, რომელსაც იგი კარგად იცნობდა. რა მოუვიდა მას, როცა ქალბატონ დე რენალის თმა იცნო! დიახ, ეს ის იყო. ხოლო ქალი, რომელიც ცდილობდა მისი თავი დაეჭირა და ხელი შეეშალა მიწაზე განრთხმულიყო, ქალბატონი დერვილი აღმოჩნდა. ჟიულიენი მათკენ გაიქცა; ქალბატონ დე რენალს შეიძლება თავისი მეგობარი ქალიც წაექცია, ჟიულიენს ორთავე რომ არ შეეჩერებინა. ქალბატონი დე რენალის ფერწასული, სრულიად უგრძნობი თავი მის მხარზე იყო მიყრდნობილი. ვაჟი ქალბატონ დერვილს მიეშველა, რათა ეს მომხიბლავი თავი სელის სკამის ზურგზე მიესვენებია: თვით მანაც დაიჩოქა.

ქალბატონმა დერვილმა მას შეხედა და იცნო.

_ აქედან წადით, ბატონო, ახლავე წადით! _ უთხრა მას ქალმა უდიდესი გულისწყრომით: _ აქ არ დაგინახოთ. თქვენი დანახვა მას შეაძრწუნებს, იგი ბედნიერი იყო თქვენს გაცნობამდე! თქვენი ქცევა სასტიკია. გაიქეცით აქედან, თუ კიდევ ცოტაოდენი სირცხვილი შეგრჩენიათ.

ეს სიტყვები ისეთი შეუვალი ტონით იყო წარმოთქმული, ხოლო ჟიულიენი ისეთი სუსტი იყო ამ წუთში, რომ მაშინვე წავიდა. «ამ ქალს ყოველთვის ვძულდი», _ გაიფიქრა მან ქალბატონ დერვილზე.

ამავე დროს ეკლესიაში პროცესიის მოწინავე მღვდლების დუდღუნის მსგავსი სიმღერა გაისმა; პროცესია ახლოვდებოდა. აბატმა შას-ბერნარმა რამდენჯერმე დაუძახა ჟიულიენს, რომელსაც ერთხანს არაფერი ესმოდა; ბოლოს მან იგი ერთი სვეტის უკან აღმოაჩინა, იქ დამალულიყო ცოცხალ-მკვდარი. აბატს უნდოდა იგი ეპისკოპოსისთვის წარედგინა.

_ თქვენ თავს ცუდად გრძნობთ, შვილო, _ უთხრა მას აბატმა, დაინახა, რომ ფერმკრთალი იყო და განძრევის თავი არა ჰქონდა. _ თქვენ ბევრი იმუშავეთ. მოდით, აქ დაჯექით, ამ პატარა სკამზე, ჩემს უკან; მე თქვენ დაგფარავთ. დამშვიდდით, ჩვენს განკარგულებაში კიდევ ოცი წუთია, სანამ ყოვლად სამღვდელო გაივლიდეს. ეცადეთ მოსულიერდეთ; როცა იგი გაივლის, ფეხზე წამოგაყენებთ: მე ღონიერი და ჯანსაღი ვარ ჩემი ასაკის მიუხედავად.

როცა ეპისკოპოსმა გაიარა, ჟიულიენი ისე თრთოდა, რომ აბატმა შასმა უარი თქვა მის წარდგენაზე.

_ გული ნუ დაგწყდებათ, _ უთხრა მან, _ კიდევ ვიპოვი შემთხვევას.

საღამოს აბატმა შასმა სემინარიის სამლოცველოში ათი გირვანქა სანთელი გაგზავნა, რომელიც ვითომ ჟიულიენის მომჭირნეობით და ანთებული სანთლების ნაადრევად ჩაქრობით იყო დაგროვილი. ეს არ იყო მართალი. საბრალო ჭაბუკი თვით იყო ჩამქრალი: იგი არაფერზე აღარ ფიქრობდა მას შემდეგ, რაც ქალბატონი დე რენალი დაინახა.

XXIX

პირველი დაწინაურება

იგი იცნობდა თავის ეპოქას, იცნობდა
თავის დეპარტამენტს და მდიდარიც იყო.

ჟიულიენი ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო ღრმა ოცნებიდან, რომელშიაც იგი ეკლესიაში მომხდარმა ამბავმა ჩააგდო, როცა ერთხელ დილით მას მკაცრმა აბატმა პირარმა დაუძახა.

_ აი, ბ. აბატი შას-ბერნარი წერილში თქვენს თავს მიქებს. მეც საერთოდ კმაყოფილი ვარ თქვენი ყოფაქცევისა. მაგრამ თქვენ მეტად გაუფრთხილებელი და თავქარიანი ხართ, თუმცა ეს როდი ჩანს. მაგრამ ესეცაა, გულკეთილი, თვით სულგრძელიც ხართ; არც ჭკუა გაკლიათ. საერთოდ თქვენში ისეთ ნაპერწკალს ვხედავ, რომლის უგულებელყოფა არ შეიძლება. თხუთმეტი წელია რაც აქ ვმუშაობ, ახლა ჩქარა ეს დაწესებულება უნდა დავტოვო: ჩემი დანაშაული ისაა, რომ სემინარიელები ნებაზე მივუშვი და არ შემივიწროებია ის ფარული საზოგადოება, რომლის შესახებ თქვენ აღსარების დროს გელაპარაკეთ. სანამ წავიდოდე, მინდა ცოტა რამ გავაკეთო თქვენთვის; ამას ორი თვით ადრე ვიზამდი, თქვენ ამის ღირსი ხართ, თქვენს ყუთში აღმოჩენილი ამანდა ბინესადმი მიწერილი წერილის გამო რომ არ დაესმინეთ. მე თქვენ ახალი და ძველი აღთქმის რეპეტიტორად გნიშნავთ.

მადლობის გრძნობით გამსჭვალულ ჟიულიენს თავდაპირველად უნდოდა მუხლებზე დამხობილიყო და თაყვანი ეცა ღმერთისთვის; მაგრამ უფრო გულწრფელ გრძნობას დაემორჩილა: იგი მიუახლოვდა აბატ პირარს, მისი ხელი აიღო და ტუჩებთან მიიტანა.

_ ეს რას ნიშნავს? _ წამოიძახა დირექტორმა მწყრალად. მაგრამ ჟიულიენის თვალები უფრო მჭევრმეტყველი იყო, ვიდრე მისი საქციელი.

აბატმა პირარმა გაკვირვებით შეხედა, როგორც შეეფერება ადამიანს, რომელიც დიდი ხანია აღარ შეხვედრია სათუთ გრძნობებს; ამ შეხედვამ გამოამჟღავნა დირექტორი: მას ხმა აუთრთოლდა.

_ ჰო, შვილო, მე შემიყვარდი. ზეცამ იცის, რომ ეს უჩემოდ მოხდა. მე მიუდგომელი უნდა ვყოფილიყავი და არავისადმი არ გამომეჩინა არც სიძულვილი და არც სიყვარული. შენი ცხოვრების სარბიელი მძიმე იქნება. შენში არის რაღაც ისეთი, რაც შეურაცხყოფას აყენებს ვულგარულ ადამიანებს. შენ შურსა და ცილისწამებას გამოიწვევ. სადაც უნდა წაგიყვანოს განგებამ, შენს ამხანაგებს მუდამ ეძულები, ხოლო თუ შენდამი ვითომდა სიყვარულს გამოიჩენენ, მხოლოდ იმისთვის, რომ უკეთ გიღალატონ. ამის წინააღმდეგ მხოლოდ ერთი წამალია: მიენდე მხოლოდ ღმერთს, რომელმაც, რათა შენი გულზვიადობისთვის დაესაჯე, ისეთი რამე მოგცა, რაც შენდამი სიძულვილს იწვევს; დაე შენი ყოფაქცევა წმინდა იყოს; ამაშია შენი ერთადერთი ხსნა. თუ ჭეშმარიტების გზას არ ასცდი, ადრე თუ გვიან შენი მტრები ქედს მოიხრიან.

დიდი ხანია ჟიულიენს მეგობრული ხმა არ გაუგონია, ამიტომ უნდა ეპატიოს სისუსტე, თუ ცრემლები წასკდა. აბატი პირარი მას გადაეხვია; ეს წუთი ტკბილი იყო ორივესთვის.

ჟიულიენი გაგიჟებული იყო სიხარულით; ეს მისი პირველი წარმატება იყო; ამას დიდძალი უპირატესობა მოსდევდა. ამის გასაგებად საჭიროა კაცმა მთელი თვეები ისე გაატაროს, რომ ერთი წუთით მარტო ვერ დარჩეს და მუდამ ამხანაგებთან იყოს, რომელთაგან უმცირესი ნაწილი აბეზარია, ხოლო დიდი ნაწილი აუტანელი. საკმაო იყო მათი ჟივილ-ხივილი, რათა ყოველი ფაქიზი ბუნების ადამიანი გაღიზიანებულიყო. ამ გათქვირებულ და კარგად ჩაცმულ გლეხებს სხვანაირად არ შეეძლოთ თავიანთი სიხარულის გამოხატვა, თუ არ ღრიალით.

ახლა ჟიულიენი სრულიად მარტო ან თითქმის მარტო სადილობდა ერთი საათით უფრო გვიან, ვიდრე სხვა სემინარიელები. მას ბაღის გასაღები ჰქონდა და შეეძლო გაესეირნა, როცა იქ არავინ იყო.

ჟიულიენი დიდად გაოცდა, როცა შეატყო, რომ ამხანაგებს იგი ახლა ნაკლებ სძულდათ; იგი კი, პირიქით, ელოდა, რომ სიძულვილი გაორკეცდებოდა. სიძულვილი საგრძნობლად შემცირდა, განსაკუთრებით მის უფრო ახალგაზრდა ამხანაგებს შორის, რომელნიც მისი მოწაფეები გახდნენ და რომელთაც იგი ზრდილობიანად ეპყრობოდა.

ნელ-ნელა მან მომხრეებიც კი გაიჩინა: ცუდი ტონის მაჩვენებლად გადაიქცა, მარტინ ლუთერს რომ ეძახდნენ.

ნადირობის სეზონი დადგა. ფუკეს თავში აზრად მოუვიდა სემინარიაში ირემი და გარეული ტახი გაეგზავნა ჟიულიენის ოჯახის სახელით. მოკლული ტახი გასავლელში გამოაფინეს სამზარეულოსა და სასადილოს შორის, იქ ის სემინარიელებმა ნახეს და ყურადღებით დაათვალიერეს. უმცროსი მოწაფეები შიშით ეხებოდნენ ტახის ეშვებს. მთელი კვირის განმავლობაში სხვაზე არაფერზე არ ულაპარაკიათ.

ამ ძღვენმა, რომელიც ჟიულიენს ოჯახს საზოგადოების პატივსადებ ნაწილში ათავსებდა, მომაკვდინებელი ჭრილობა დააჭდო შურს. მისი უპირატესობა ახლა სიმდიდრით იყო ნაკურთხი. შაზელმა და სხვა გამოჩენილმა სემინარიელებმა მოფერება დაუწყეს ჟიულიენს. მზად იყვნენ ესაყვედურათ, რად არ გაგვაფრთხილე, დედ-მამა თუ ასეთი მდიდარი გყავსო.

ამ დროს ჯარში გაწვევა მოხდა, რისგანაც ჟიულიენი განთავისუფლებული იყო როგორც სემინარიელი. ამ გარემოებამ იგი დიდად ააღელვა. «ეს რომ ოცი წლის წინათ ყოფილიყო, ჩემთვის გმირული ცხოვრება დაიწყებოდა, ეხლა კი სამუდამოდ გადავაბიჯე ამ ასაკს!»

ერთხელ, როცა ჟიულიენი მარტოდმარტო სეირნობდა სემინარიის ბაღში, ყური მოჰკრა ორი კალატოზის საუბარს; ისინი გალავანზე მუშაობდნენ.

_ აჰა, ჯარში უნდა წავიდეთ, ახალი გაწვევა ხდება.

_ მის დროს რატომაც არ წავიდოდი!* კალატოზი ოფიცერიც ხდებოდა, გენერალიც ხდებოდა, ამის მაგალითი ბევრია.

_ ახლა უყურე: მხოლოდ მათხოვრები მიდიან ჯარში. ვისაც ცოტა რამე გააჩნია, შინ რჩება.

_ ვინც უბადრუკია, უბადრუკი რჩება, ესაა და ეს.

_ მართალია, რომ ამბობენ, იგი მოკვდაო? _ იკითხა მესამე კალატოზმა.

_ ამ ხმას მდიდრები ავრცელებენ, ხომ იცი! იგი მათ გვარიანად აშინებდა.

_ რა დიდი ცვლილებაა, რა კარგად მიდიოდა საქმე მის დროს, მისივე მარშლებმა კი უღალატეს! აი გამცემლები!

ამ საუბარმა ოდნავ დააშოშმინა ჟიულიენი. მან ამოიოხრა და ჩაილაპარაკა:

_ აი ერთადერთი მეფე, რომლის სახელი ხალხს შერჩა მახსოვრობაში.

დაიწყო გამოცდები. ჟიულიენი ბრწყინვალედ პასუხობდა; იგი ხედავდა, რომ თვით შაზელი ცდილობდა მთელი თავისი ცოდნა გამოეჩინა.

პირველ დღეს ცნობილი აბატი ფრილერის მიერ დანიშნული გამომცდელები დიდი გულისტკივილით იძულებული გახდნენ საგამოცდო ფურცელზე პირველ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მეორე ადგილას მოეთავსებინათ ჟიულიენ სორელი, რომლის შესახებ მათ იცოდნენ, რომ იგი აბატ პირარის საყვარელი მოწაფე იყო. სემინარიაში სანაძლეოს დებდნენ, გამოცდების საერთო ფურცელზე ჟიულიენი პირველ ნომერს დაიჭერს, რაიცა მას პატივს მიანიჭებს ყოვლად სამღვდელოს სუფრაზე ისადილოსო. მაგრამ ერთი გამოცდის ბოლოს, როცა საკითხი საეკლესიო მამებს ეხებოდა, ერთმა გამოქნილმა გამომცდელმა ჟიულიენს კითხვები მისცა წმინდა იერონიმესა და მისი ციცერონისადმი მიდრეკილების შესახებ,* ხოლო შემდეგ ლაპარაკი ჩამოაგდო ჰორაციუსსა, ვერგილიუსსა და სხვა წარმართ ავტორებზე. ამხანაგების შეუმჩნევლად ჟიულიენს ზეპირად ჰქონდა ნასწავლი მრავალი ადგილი ამ მწერლების ნაწერებიდან. გამარჯვებით გათამამებულს დაავიწყდა სად იმყოფებოდა და გამომცდელის განმეორებული თხოვნის თანახმად აღგზნებულად ზეპირად წარმოთქვა ან თავისი სიტყვით მოუთხრო ჰორაციუსის რამდენიმე ოდა. გამომცდელს იგი არ შეუჩერებია ოცი წუთის განმავლობაში; შემდეგ მან მოულოდნელად სახის გამომეტყველება შეიცვალა და ჟიულიენს მკვახედ უსაყვედურა, ამდენი დრო რად დაკარგე წარმართ ავტორებზე და თავი რად გაიტენე ასეთი უსარგებლო და უკუღმართი იდეებითო.

_ მე უგუნური ვარ, ბატონო, და თქვენ სრულიად მართალი ხართ, _ უთხრა მას ჟიულიენმა თავმდაბლად, რადგან მიხვდა, რომ მარჯვე სტრატეგიის მსხვერპლი გახდა.

გამომცდელის ეს ვერაგობა უსინდისობად ჩათვალეს თვით სემინარიაში. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა აბატ ფრილერს, რომელმაც მარჯვედ მოაწყო ბეზანსონის კონგრეგაციის ქსელი და რომლის პარიზში გაგზავნილი დეპეშები შიშის ჟრუანტელს ჰგვრიდა მოსამართლეებს, პრეფექტს და ადგილობრივი გარნიზონის გენერლებს, თავისი ძლიერი ხელით ნომერი 198 დაესვა ჟიულიენის სახელის გვერდით. ამრიგად, მან გული მოუკლა თავის მტერს, იანსენისტ პირარს.

ათი წელიწადია იგი ცდილობდა სემინარიის ხელმძღვანელობა წაერთმია მისთვის. აბატი პირარი თვითონაც ისე იქცეოდა, როგორც ჟიულიენს ურჩევდა მოქცეულიყო: იგი გულწრფელი, ღვთისმოსავი, უინტრიგო, მოვალეობის შეგნებით გამსჭვალული ადამიანი იყო. მაგრამ ზეცამ იგი ფიცხი ხასიათით* აღჭურვა, რომლის პატრონიც ღრმად გრძნობს

უსამართლობასა და სიძულვილს. არც ერთი შეურაცხყოფა შეუმჩნეველი არ რჩებოდა ამ ანთებული სულისთვის. იგი აქამდე ასჯერ შეიტანდა გადადგომის თხოვნას, მაგრამ ფიქრობდა, სასარგებლო ვარ იმ ადგილზე, სადაც განგებამ დამაყენაო. «მე ხელს ვუშლი იეზუიტიზმის და კერპთაყვანისცემის გავრცელებას», _ ფიქრობდა იგი.

გამოცდების დაწყებამდე მას თითქმის ორი თვე არ ულაპარაკია ჟიულიენთან; ამისდა მიუხედავად, იგი მთელი კვირის განმავლობაში ავად იყო მას შემდეგ, რაც ოფიციალურ ფურცელზე ნომერი 198 დაინახა იმ მოწაფის სახელის გვერდით, რომელსაც იგი თავისი სასწავლებლის დიდებად თვლიდა. ერთადერთი ნუგეში ამ მკაცრმა ადამიანმა იმაში ჰპოვა, რომ მთელი თავისი გულისყური მიაპყრო ჟიულიენს. თავისდა სასიხარულოდ, მასში ვერც გულისწყრომა აღმოაჩინა, ვერც შურისძიების განზრახვა, ვერც უიმედობა.

რამდენიმე კვირის შემდეგ ჟიულიენმა პარიზიდან წერილი მიიღო. მას ტანში გააჟრჟოლა. «აჰა, ბოლოს ქალბატონ დე რენალს თავისი აღთქმა აგონდება», _ გაიფიქრა მან. ვიღაც კაცი, რომელიც თავის თავს პოლ სორელს უწოდებდა, მას ხუთას ფრანკს უგზავნიდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ თუ ჟიულიენი წარმატებით განაგრძობდა საუკეთესო რომაელი ავტორების შესწავლას, ყოველწლიურად ამდენივე თანხა გადაეგზავნებოდა.

«ეს მისი გულკეთილობაა, _ ფიქრობდა გულაჩუყებული ჟიულიენი: _ უნდა ნუგეში მცეს; მაგრამ რატომ ერთ მეგობრულ სიტყვას არ მწერს?»

ჟიულიენი ცდებოდა: ქალბატონი დე რენალი თავისი მეგობრის, ქალბატონი დერვილის ზეგავლენით მთელი თავისი არსებით ღრმა სინანულს მიეცა. თავისდაუნებურად ეს ქალი ხშირად ფიქრობდა იმ არსებაზე, რომლის შეხვედრამ ყირამალა გადაატრიალა მისი ცხოვრება; მაგრამ თავს იკავებდა წერილის მიწერისაგან.

თუ სემინარიის ენით ვიტყვით, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ხუთასი ფრანკის გამოგზავნა სასწაული იყო: ეს იყო თვით ბ. დე ფრილერი, რომელსაც ზეცა იყენებდა, რათა ეს თანხა მიეძღვნა ჟიულიენისთვის.

თორმეტი წლის წინათ ბ. აბატი დე ფრილერი ბეზანსონში მოვიდა თავისი მჩატე ჩემოდნით, რომელიც ადგილობრივი მატიანის მიხედვით მთელ მის ქონებას შეიცავდა. დღეს კი იგი უმდიდრესი მესაკუთრე იყო დეპარტამენტში. მან იყიდა იმ მამულის ნახევარი, რომლის მეორე ნახევარი მემკვიდრეობით ერგო ბ. დე ლამოლს; ამის გამო მათ შორის გრძელი პროცესი დაიწყო.

თავისი ბრწყინვალე მდგომარეობის მიუხედავად პარიზში და მეფის კარზე ბ. მარკიზი დე ლამოლი გრძნობდა, რომ სახიფათო იყო ბეზანსონში ბრძოლის დაწყება თანამოსაყდრის წინააღმდეგ, რომელიც ქმნიდა და ცვლიდა პრეფექტებს. იმის მაგივრად, რომ თავისთვის ორმოცდაათი ათასი ფრანკი გამოეთხოვა ჯილდოდ, ნიღაბაფარებული ბიუჯეტის რომელიმე მუხლის ძალით, ხოლო აბატ დე ფრილერისთვის ეს ბეჩავი სადავო მიწის ნაკვეთი დაეტოვებია, იგი გაჯიუტდა, რაკი დარწმუნებული იყო, სამართალი ჩემს მხარეზეაო.

შეიძლება ვიკითხოთ: განა არსებობს მოსამართლე, რომ ვაჟი ან ბიძაშვილი არ ჰყავდეს, რომელსაც ცხოვრებაში უნდა გამოსვლა?

არ გასულა რვა დღე პირველი განაჩენის მიღებიდან და ბ. აბატმა დე ფრილერმა თვით ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის ეტლით საპატიო ლეგიონის ჯვარი წაუღო თავის ადვოკატს. ბ. დე ლამოლი ცოტა არ იყოს შეშფოთდა მოწინააღმდეგე პარტიის სიმტკიცით და, რადგან იგრძნო, რომ მისი ადვოკატები სუსტდებოდნენ, რჩევა ჰკითხა აბატ შელანს, რომელმაც იგი ბ. პირარს დაუკავშირა.

იმ ეპოქაში, რომელსაც ჩვენ აღვწერთ, ამ ურთიერთობას რამდენიმე წლის ისტორია ჰქონდა. აბატმა პირარმა თავისი ვნებიანი ხასიათი შეიტანა ამ პროცესში. იგი განუწყვეტლივ ხვდებოდა მარკიზის ადვოკატებს, შეისწავლა მისი საქმე, დარწმუნდა, რომ იგი მართალი იყო და აშკარად მარკიზ დე ლამოლს მიემხრო ყოვლისშემძლე თანამოსაყდრის წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა ასეთი თავხედობით და ისიც ვიღაც უმნიშვნელო იანსენისტის მხრივ.

_ დახეთ, როგორია ეს მეფის კარის თავადაზნაურობა, რომელსაც თავისი თავი ასე უძლეველად აქვს წარმოდგენილი! _ ეუბნებოდა თავის მახლობლებს აბატი დე ფრილერი. _ ბ. დე ლამოლმა არა თუ ერთი უხეირო ჯვარი არ გამოუგზავნა თავის ბეზანსონელ აგენტს, იგი სულ ადვილად დაუშვებს, რომ ეს უკანასკნელი ადგილიდან გააგდონ. ამავე დროს, როგორც მწერენ, ეს დარბაისელი ერთ კვირას არ გამოტოვებს, რომ თავისი ცისფერი ლენტით არ გამოცხადდეს ამა თუ იმ მინისტრის დარბაზში.

იმისდა მიუხედავად, რომ აბატმა პირარმა დიდი აქტიურობა გამოიჩინა, ხოლო ბ. დე ლამოლს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა იუსტიციის მინისტრსა და, უწინარეს ყოვლისა, მის კანცელარიასთან, ექვსი წლის ცოდვილობით მან მხოლოდ იმას მიაღწია, რომ მისი პროცესი საბოლოოდ წაგებულად არ ჩაითვლებოდა.

რადგან მარკიზი განუწყვეტლივ მიწერ-მოწერას აწარმოებდა აბატ პირართან იმ საქმის შესახებ, რომელსაც ორივე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, მარკიზმა ბოლოს დააფასა აბატის ჭკუა. ნელ-ნელა, სოციალური მდგომარეობის უზარმაზარი განსხვავების მიუხედავად, მათმა მიწერ-მოწერამ მეგობრული ტონი მიიღო. აბატი პირარი მარკიზს ატყობინებდა, რომ სხვადასხვა წვრილმანი შევიწროებით მისი ადგილიდან გადაყენება უნდოდათ. იგი გააფთრებული იყო ურცხვი სტრატეგიით, რომელიც ჟიულიენის წინააღმდეგ იხმარეს, და ეს ამბავი მარკიზს უამბო.

თუმცა ეს წარჩინებული პირი მეტად მდიდარი იყო, მაგრამ სიძუნწეს ვერ დავაყვედრიდით. მან ვერაფრით ვერ აიძულა აბატი პირარი ის ფული მაინც მიეღო, რომელიც პროცესის მიერ გამოწვეული საფოსტო ხარჯების ასანაზღაურებლად იყო საჭირო; ამიტომ ახლა ჩაებღაუჭა აზრს, ხუთასი ფრანკი გაეგზავნა მისი საყვარელი მოწაფისთვის.

ბ. დე ლამოლი თვით გაისარჯა და საკუთარი ხელით დაწერა ჟიულიენისადმი მიმართული წერილი. ამ გარემოებამ მარკიზი აიძულა აბატის ბედზეც დაფიქრებულიყო.

ერთ მშვენიერ დღეს აბატმა პატარა ბარათი მიიღო, სადაც მას სთხოვდნენ დაუყოვნებლივ ერთ სასტუმროში მოსულიყო ბეზანსონის გარეუბანში. იქ მას ბ. დე ლამოლის მოურავი დახვდა.

_ ბ. მარკიზმა დამავალა მისი ეტლი გადმოგცეთ, _ უთხრა ამ კაცმა. _ მას იმედი აქვს, რომ ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ოთხი ან ხუთი დღით პარიზში გამგზავრებას მოისურვებთ. მე მინდა ბ. მარკიზის მამულები დავათვალიერო ფრანშკონტეში, ამის შემდეგ კი თქვენ მიერვე დანიშნულ დღეს პარიზში გავემგზავრებით.

წერილი მოკლე იყო.

«განთავისუფლდით, ჩემო ძვირფასო აბატო, ყოველივე პროვინციული აყალმაყალისგან და პარიზში მოდით, რათა მშვიდად ისუნთქოთ. გიგზავნით ეტლს, რომელსაც ნაბრძანები აქვს ოთხი დღე ელოდოს თქვენს გადაწყვეტილებას. თვით მე პარიზში გელოდებით სამშაბათამდე. თქვენი მომავალი მრევლის უმდიდრეს წევრს თქვენ ჯერ არ უნახიხართ, მაგრამ იგი უფრო ერთგულია თქვენი, ვიდრე გგონიათ: ესაა მარკიზი დე ლამოლი».

მკაცრ აბატ პირარს შეუგნებლად უყვარდა სემინარია, რომელიც მისი მტრებით იყო სავსე და რომელსაც ეს თხუთმეტი წელია მთელი თავისი სული და გული შესწირა. ბ. დე ლამოლის წერილი მისთვის იმ დასტაქრის გამოჩენას ჰგავდა, რომელმაც მკაცრი და

აუცილებელი ოპერაცია უნდა ჩაატაროს. მისი გადაყენება უცილობელი იყო. მან მოურავს პაემანი სამი დღის შემდეგ დაუნიშნა.

ორმოცდარვა საათის განმავლობაში იგი ყოყმანის ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. ბოლოს ბარათი მისწერა ბ. დე ლამოლს, ხოლო უფალი ეპისკოპოსის სახელზე წერილი შეადგინა, რომელიც საეკლესიო სტილის შედეგრად ჩაითვლებოდა, თუმცა ცოტათი გრძელი იყო. ძნელი იყო უფრო უნაკლო და უფრო გულწრფელი მოკრძალებით გამსჭვალული ფრაზების პოვნა. მაგრამ ამ წერილში, რომლის მიზანი იყო ბ. დე ფრილერი მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინა თავისი პატრონის წინაშე, ჩამოთვლილი იყო ყველა სერიოზული საჩივრის საგანი, ყველა პატარა ჭუჭყიანი თავდასხმა, რომელიც აბატმა პირარმა ექვსი წლის განმავლობაში მოთმინებით აიტანა და რომელმაც ბოლოს იგი აიძულა დაეტოვებინა ეპარქია. მას შეშას პარავდნენ ფარდულიდან, ძაღლი მოუწამლეს და სხვა და სხვა.

ამ წერილის დასრულების შემდეგ მან გააღვიძებია ჟიულიენი, რომელსაც უკვე ეძინა სხვა სემინარიელებთან ერთად.

_ იცით, სადაა ეპისკოპოსის სახლი? _ ჰკითხა კარგი ლათინური სტილით: _ მიუტანეთ ეს წერილი ყოვლად სამღვდელოს. არ დაგიმალავთ, რომ მგლებთან გგზავნით. სმენად და მხედველობად გადაიქეცით. არავითარი ტყუილი არ ჩაურიოთ თქვენს პასუხებში; მაგრამ იცოდეთ, რომ თქვენი დამკითხველი შეიძლება ჭეშმარიტად გახარებული დარჩეს, თუ თქვენთვის ზიანის მიყენება შეძლო. მე დიდად კმაყოფილი ვარ, შვილო ჩემო, რომ ამ გამოცდას გაძლევთ განშორების წინ: ვერ დაგიმალავთ, რომ ამ წერილში ჩემი გადადგომის განცხადებაა.

ჟიულიენი სახტად დარჩა; მას უყვარდა აბატი პირარი. სიფრთხილე ჩასჩურჩულებდა:

«ამ პატიოსანი კაცის წასვლის შემდეგ იეზუიტების პარტია შენ დაგამდაბლებს და შეიძლება კიდეც გაგაძევოს».

მაგრამ არ შეეძლო თავის თავზე ეფიქრა; ისღა აწუხებდა, რომ წინადადება ვერ ეპოვნა თავის აზრის ზრდილობიანად გამოსათქმელად.

_ რად არ მიდიხართ, ჩემო კარგო?

_ ამბობენ, თითქო თქვენ, ბატონო, შავი დღისთვის არაფერი გადაგიდიათ თქვენი ხანგრძლივი მმართველობის განმავლობაში, _ უთხრა ჟიულიენმა მოკრძალებით: _ მე ექვსასი ფრანკი მაქვს.

ცრემლებმა მას ხელი შეუშალა განეგრძო.

_ არც ამას დავივიწყებ, _ უპასუხა ცივად სემინარიის ყოფილმა დირექტორმა: _ წადით ეპისკოპოსთან, უკვე გვიანაა.

შემთხვევით ამ საღამოს აბატი დე ფრილერი მორიგეობდა ეპისკოპოსის დარბაზში; თვით ყოვლად სამღვდელო პრეფექტურაში სადილობდა. ამრიგად ჟიულიენმა წერილი თვით ბ. დე ფრილერს გადასცა; იგი მას პირადად როდი იცნობდა.

ჟიულიენმა გაოცებით შეამჩნია, რომ ამ აბატმა თამამად გახსნა ეპისკოპოსისადმი მიმართული წერილი. მის ლამაზ სახეზე მაშინვე გაკვირვება გამოიხატა, შეერთებული დიდ სიამოვნებასა და სერიოზულობასთან. სანამ იგი წერილს კითხულობდა, ჟიულიენმა მისი კარგად დათვალიერება მოასწრო. ეს სახე უფრო სერიოზული გამოჩნდებოდა, თუ ზოგიერთი ნაკვთი სიყალბის გამომხატველი არ ყოფილიყო და თუ ამ ლამაზი სახის პატრონს ერთი წუთით მაინც დავიწყებოდა თავისი თავი. მისი წინ წამოწეული ცხვირი სრულიად პირდაპირ ხაზს ქმნიდა და მის კეთილშობილ პროფილს სამწუხაროდ მელიის გამომეტყველებას აძლევდა. ამას გარდა ეს აბატი ლაზათიანად იყო ჩაცმული, რაიცა ძლიერ მოეწონა ჟიულიენს, რომელსაც არასოდეს არ უნახავს ასე კოხტად გამოწყობილი მღვდელი.

ჟიულიენმა მხოლოდ შემდეგ გაიგო, რაში მდგომარეობდა აბატ ფრილერის სპეციალური ნიჭი. მან იცოდა თუ როგორ გაერთო თავისი ეპისკოპოსი, პარიზში საცხოვრებლად დაბადებული თავაზიანი მოხუცი, რომელიც ბეზანსონს განდევნის ადგილად სთვლიდა. ამ ეპისკოპოსს თვალს აკლდა და თევზის ჭამა უყვარდა. აბატი ფრილერი ფხას აცლიდა თევზს, რომელიც ყოვლად სამღვდელოს მიერთმეოდა ხოლმე.

ჟიულიენი ჩუმად უცქეროდა აბატს, რომელიც ხელახლა კითხულობდა წერილს, რომ უცებ კარი გაიღო დიდი ხმაურობით. ჩქარის ნაბიჯით მდიდრულად გამოწყობილი ლაქია შემოვიდა. ჟიულიენმა ძლივს მოასწრო კარისკენ მიხედვა: მან დაინახა პატარა ბერიკაცი, რომელსაც გულის ჯვარი ეკიდა. ჟიულიენმა მუხლი მოიდრიკა: ეპისკოპოსმა ალერსიანად გაუღიმა და გაიარა. ლამაზი აბატი მას გაჰყვა, ხოლო ჟიულიენი მარტოდმარტო დარჩა დარბაზში და გულდასმით დაიწყო მისი ღვთისმოსავი ბრწყინვალების დათვალიერება.

ბეზანსონის ეპისკოპოსი ჭკვიანი კაცი იყო, რომელიც გამობრძმიდა, მაგრამ ვერ მოდრიკა ხანგრძლივი ემიგრანტული ცხოვრების გაჭირვებამ; იგი სამოცდათხუთმეტ

წელს იყო გადაცილებული და ძლიერ ნაკლებ იწუხებდა თავს იმაზე, თუ რა მოხდებოდა ათი წლის შემდეგ.

_ ვინ არის ეს სემინარიელი, რომელსაც ასეთი ჭკვიანი გამომეტყველება აქვს? _ იკითხა ეპისკოპოსმა: _ განა მოწაფეები ამ დროს არ უნდა იწვნენ ჩემი ბრძანების მიხედვით?

_ იგი მეტისმეტად ძილგაკრთობილია, გეფიცებით, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ; მან მნიშვნელოვანი ახალი ამბავი მოგვიტანა: ესაა იმ ერთადერთი იანსენისტის გადადგომის თხოვნა, რომელიც თქვენს ეპარქიაში კიდევ დარჩა. ამ საშინელმა აბატმა პირარმა ბოლოს გაიგო, რასაც აქამდე ნართაულად ანიშნებდნენ, მაგრამ პირდაპირ არ ეუბნებოდნენ.

_ ძალიან კარგი! _ უთხრა ეპისკოპოსმა სიცილით; _ მაგრამ ვშიშობ, რომ თქვენ მის ღირსეულ შემცვლელს ვერ იშოვით. და რათა თქვენ ამ კაცის ღირებულება დაგანახოთ, მე მას სადილად ვეპატიჟები ხვალისთვის.

თანამოსაყდრეს რამდენიმე სიტყვის შეპარება უნდოდა აბატ პირარის შემცვლელის არჩევანზე. მაგრამ პრელატმა, რომელიც ნაკლებ განწყობილი იყო საქმეებზე სალაპარაკოდ, უთხრა:

_ სანამ მეორეს ავირჩევდეთ, გავიგოთ ეს როგორ წავა. შემოიყვანეთ ის სემინარიელი, ჭეშმარიტება ბავშვების პირით ღაღადებს.

ჟიულიენს დაუძახეს. «მე ორ ინკვიზიტორს შორის ჩავვარდები», გაიფიქრა მან. არასოდეს იგი ამაზე უფრო მეტად მამაცი არ ყოფილა.

იმ წუთში, როცა იგი ოთახში შევიდა, ორი ლაქია, რომელნიც უკეთ იყვნენ ჩაცმული, ვიდრე თვით ბ. ვალნო, ტანსაცმელს ხდიდნენ ყოვლად სამღვდელოს. სანამ ბ. პირარზე დაიწყებოდა ლაპარაკი, ამ პრელატმა საჭიროდ დაინახა ჟიულიენისთვის მისი სწავლის ამბავი გამოეკითხა. ცოტათი დოგმაზე ილაპარაკა და გაკვირვებული დარჩა. შემდეგ ჰუმანიტარულ ცოდნაზე გადავიდა, ვერგილიუსსა, ჰორაციუსსა, ციცერონზე. «ამ სახელების წყალობით 198 ნომერი მივიღე, _ გაიფიქრა ჟიულიენმა: _ მეტს ვეღარაფერს დავკარგავ; ვეცდები თავი მაინც გამოვიჩინო». ეს მან მართლაც ბრწყინვალედ შეძლო. თვით პრელატი ძლიერ კარგი ჰუმანისტი იყო და აღტაცებული დარჩა.

მას სურდა მხოლოდ ლიტერატურაზე ელაპარაკა და ჩქარა დაავიწყდა აბატი პირარიც და ყველა საქმეც, რათა ამ სემინარიელთან გამოერკვია, მდიდარი იყო თუ ღარიბი ჰორაციუსი. პრელატმა რამდენიმე ოდა წარმოთქვა, მაგრამ მას ხანდახან მახსოვრობა

ღალატობდა; ჟიულიენი მაშინვე მთელ ოდას ამბობდა ზეპირად მოკრძალებული სახით; ეპისკოპოსი გააკვირვა იმ გარემოებამ, რომ ჟიულიენი ჩვეულებრივი საუბრის ტონს იცავდა; იგი ისე ლაპარაკობდა თავის ოცსა თუ ოცდაათს ლათინურ ლექსს, თითქოს სემინარიაში მომხდარ ამბებს ჰყვებოდა. ბევრი ილაპარაკეს ვერგილიუსსა, ციცერონზე. ბოლოს პრელატმა თავი ვერ შეიკავა და შეაქო ახალგაზრდა სემინარიელი.

_ შეუძლებელია უკეთესად სწავლა.

_ თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, _ უპასუხა ჟიულიენმა, _ თქვენს სემინარიას შეუძლია ასოთხმოცდაჩვიდმეტი მოწაფე წარმოგიდგინოს, რომელნიც ჩემზე ნაკლებ როდი არიან ღირსნი თქვენი მაღალი მოწონებისა.

_ როგორ? _ იკითხა ამ ციფრით გაკვირვებულმა პრელატმა.

_ შემიძლია ოფიციალური საბუთით დავამტკიცო, რასაც მისი ყოვლად უსამღვდელოესობის წინაშე ვამბობ. სემინარიის წლიურ გამოცდაზე მე 198 ნომერი მივიღე სწორედ იმ საგნების ცოდნისთვის, რომელმაც ამ წუთში უმაღლესი მოწონება მომიპოვა.

_ აჰ, ეს აბატ პირარის ბენიამინია!* _ წამოიძახა ეპისკოპოსმა სიცილით და ბ. დე ფრილერს გადახედა; _ ჩვენ ეს უნდა გვეფიქრა. მეგობარო, _ მიუბრუნდა იგი ჟიულიენს, _ თქვენ ალბათ, გამოგაღვიძეს, რათა აქ გამოეგზავნეთ.

_ დიახ, თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ. მე მარტოდმარტო სემინარიიდან მხოლოდ ერთხელ გამოვედი ჩემს სიცოცხლეში, რათა აბატ შას-ბერნარს დავხმარებოდი საკრებულო ტაძრის შემკობაში ღვთის სხეულის უქმე დღეს.

_ Optime, _ უთხრა ეპისკოპოსმა: _ ეს თქვენ გამოიჩინეთ ამდენი გამბედაობა და ფრთების კონები მიამაგრეთ საჩრდილობელზე? ეს კონები ყოველ წელიწადს შიშის ჟრუანტელს მგვრის; მეშინია ვისიმე სიცოცხლე არ შეეწიროს მათ. მეგობარო, თქვენ შორს წახვალთ; მაგრამ მე არ მინდა შიმშილით მოგკლათ და თქვენი სარბიელი შევწყვიტო, იგი ბრწყინვალე იქნება.

და ეპისკოპოსის ბრძანებისთანავე ბისკვიტები და მალაგის ღვინო მოიტანეს; ჟიულიენი მათ კარგად შეექცა; კიდევ უფრო ეს ითქმის აბატ დე ფრილერზე, რომელმაც იცოდა, რომ ეპისკოპოსს უყვარდა ცქერა, როცა მხიარულად და მადიანად ჭამდნენ.

პრელატმა, რომელიც თანდათან უფრო კმაყოფილი იყო თავისი საღამოს დასასრულით, ერთი წუთით საეკლესიო ისტორიაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. მან შეატყო, რომ ჟიულიენს არ ესმიდა მისი. პრელატი რომის იმპერიის ზნეობრივ მდგომარეობაზე გადავიდა კონსტანტინეს* საუკუნის იმპერატორების ხანაში. წარმართობის დასასრულს

თან სდევდა იმავე მოუსვენრობისა და იჭვიანობის განწყობილება, რომელიც XIX საუკუნეში მრავალ სევდიან და მოწყენილ სულს აგდებს სასოწარკვეთილებაში. ეპისკოპოსმა შეატყო, რომ ჟიულიენს ტაციტის* სახელიც კი არ ჰქონდა გაგონილი.

ჟიულიენმა გულწრფელად უპასუხა, ეს ავტორი არ მოიპოვება სემინარიის წიგნთსაცავშიო, რითაც დიდად გააკვირვა პრელატი.

_ მე დიდად კმაყოფილი ვარ, _ უპასუხა ეპისკოპოსმა მხიარულად: _ თქვენ გაჭირვებიდან გამოგყავართ; ერთი საათია ვცდილობ დაგიმადლოთ სასიამოვნო საღამოსთვის, რომელიც ასე მოულოდნელად გამატარებინეთ. არ მეგონა, რომ მეცნიერს აღმოვაჩენდი ჩემი სემინარიის ერთ მოწაფეში. თუმცა ჩემი საჩუქარი სავსებით კანონიერი არაა, მაგრამ მინდა ტაციტი მოგიძღვნათ.

პრელატმა რვა საუცხოოდ შეკინძული ტომი მოატანინა და ქათინაური წააწერა ჟიულიენ სორელის მიმართ. ეპისკოპოსს თავი მოჰქონდა ლათინური ენის კარგი ცოდნით; ბოლოს იმით გაათავა, რომ ჟიულიენს სერიოზული ტონით უთხრა:

_ ყმაწვილო, თუ თქვენ ბრძნულად მოიქცევით, ერთს მშვენიერ დღეს საუკეთესო მრევლს მიიღებთ ჩემს ეპარქიაში, და ეს მრევლი ასი ლიეთი დაშორებული როდი იქნება ჩემს სამღვდელთმთავრო სასახლეს; მაგრამ საჭიროა, რომ ბრძნულად მოიქცეთ.

შუაღამის თორმეტმა საათმა დაჰკრა, როცა გაოცებული და ტაციტის ტომებით დატვირთული ჟიულიენი სასახლიდან გამოვიდა.

ეპისკოპოსს მისთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს აბატ პირარზე. ჟიულიენი, უწინარეს ყოვლისა, გაკვირვებული იყო მისი უკიდურესი ზრდილობით, მას წარმოდგენა არ ჰქონდა თუ შეიძლებოდა თავაზიანობა შეერთებული ყოფილიყო ასეთ ბუნებრივ დარბაისლობასთან. გასაოცარ კონტრასტს წარმოადგენდა პირქუში აბატი პირარი, რომელიც მას მოუთმენლად ელოდა.

_ Quid tibi dixerunt (რა გითხრეს?) _ დაუძახა მან მაღალი ხმით დანახვისთანავე.

ჟიულიენი, ცოტა არ იყოს, შებორძიკდა, როცა ეპისკოპოსის სიტყვების გადათარგმნა დაიწყო ლათინურად.

_ ილაპარაკეთ ფრანგულად და გაიმეორეთ ყოვლად სამღვდელოს საკუთარი სიტყვები ისე, რომ ნურც რამეს მიუმატებთ, ნურც რამეს გამოაკლებთ, _ უთხრა სემინარიის ყოფილმა დირექტორმა თავისი ტლანქი ხმითა და თავისი არაელეგანტური მანერებით.

_ რა უცნაური საჩუქარია ეპისკოპოსის მხრივ ახალგაზრდა სემინარიელისთვის! _ ამბობდა იგი და ფურცლავდა ტაციტის საუცხოო გამოცემას, რომლის მოვარაყებული შემონაჭერი მასში თითქმის შიშის ძრწოლას იწვევდა.

ორმა საათმა დაჰკრა, როცა დეტალური ანგარიშის მოსმენის შემდეგ აბატმა თავის საყვარელ მოწაფეს ნება დართო დასაძინებლად წასულიყო.

_ დამიტოვეთ თქვენი ტაციტის პირველი ტომი, რომელზედაც ყოვლად სამღვდელოს ქათინაურია წარწერილი, _ უთხრა მას: _ ეს ლათინური სტრიქონები თქვენი მეხთამრიდი იქნება ამ სახლში ჩემი წასვლის შემდეგ. Erit tibi, fili mi, successor meus tanquam leo quaerens quem devoret (ვინაიდან, შვილო ჩემო, ჩემი შემცვლელი შენთვის მრისხანე ლომი იქნება და ჩანთქმას მოგინდომებს).

მეორე დღეს დილით ჟიულიენმა რაღაც უცნაური აღმოაჩინა თავისი ამხანაგების მანერებში. იგი ამის გამო კიდევ უფრო თავდაჭერილი გახდა. «აი ბ. პირარის გადადგომის შედეგი, _ ფიქრობდა იგი: _ ეს ამბავი მთელმა სასწავლებელმა იცის, მე მის საყვარელ მოწაფედ ვითვლები». მას ეგონა, ამხანაგებს ჩემი შეურაცხყოფა უნდათო, მაგრამ ვერ ხედავდა, რაში უნდა გამოხატულიყო ეს შეურაცხყოფა. პირიქით, იმ მოწაფეების თვალში, რომელთაც იგი ხვდებოდა, არავითარ სიძულვილს არ ხედავდა. «რას ნიშნავს ეს? უეჭველია, რაღაც მახეს მიგებენ, ფრთხილად უნდა ვიყო». ბოლოს პატარა ვერიერელმა სემინარიელმა სიცილით უთხრა: «Cornelii Taciti opera omnia» (კორნელი ტაციტის სრული თხზულებანი).

ამ ხმამაღლა წარმოთქმული სიტყვების გაგონებისთანავე ყველამ მიულოცა ჟიულიენს არა მარტო ძვირფასი საჩუქრის მიღების გამო ყოვლად სამღვდელოსაგან, არამედ იმ ორი საათის საუბრის გამოც, რომლის ღირსადაც იგი გახადეს. ამხანაგებმა უკვე ყველაფერი იცოდნენ დაწვრილებით. ამ წუთიდან შური აღარ არსებობდა. ჟიულიენს სულმდაბლად ეპირფერებოდნენ; აბატმა კასტანედმა, რომელიც ჯერ კიდევ წინადღით უკიდურესი თავხედობით ექცეოდა მას, ხელში ხელი გაუყარა და საუზმეზე მიიწვია.

ჟიულიენს ისეთი საბედისწერო ხასიათი ჰქონდა, რომ ამ ტლანქი არსებების თავხედობა მისთვის მძიმე ასატანი იყო; ხოლო მათმა სიმდაბლემ მას სიამოვნება კი არა, მხოლოდ ზიზღი აგრძნობინა.

შუადღისას აბატმა პირარმა დატოვა თავისი მოწაფეები და მკაცრი სიტყვით მიმართა მათ:

_ რა გსურთ თქვენ, ამა ქვეყნის პატივისცემა, საზოგადოებრივი უპირატესობანი, სიამოვნება, რომელსაც ადამიანს მბრძანებლის მდგომარეობა, კანონების სასაცილოდ აგდება და სხვებისადმი თავხედურად მოქცევის შესაძლებლობა ანიჭებს? თუ მხოლოდ საუკუნო ნეტარების მოპოვება გსურთ? ყველაზე ჩამორჩენილთ თქვენს შორის მხოლოდ თვალის გახელა სჭირდება ამ ორი გზის გასარჩევად.

ვერც კი მოასწრო გასვლა, რომ ფარისეველმა იეზუიტებმა «შენ უფალოს» გალობა დაიწყეს კაპელაში. სემინარიაში არავის სერიოზულად არ მიუღია ყოფილი დირექტორის სიტყვები, «იგი გულმოსულია გადაყენების გამოო», _ გაიძახოდნენ ყველანი. არც ერთ სემინარიელს არ სწამდა, რომ კაცს შეეძლო ნებაყოფლობით დაეტოვებია სამსახური, რომელიც მას შეძლებულ მოიჯარადრესთან აკავშირებდა.

აბატი პირარი ბეზანსონის საუკეთესო სასტუმროში დასახლდა: მას იქ ორი დღის გატარება სურდა რაღაც არარსებული საქმეების მოსაგვარებლად.

ეპისკოპოსმა იგი სადილად მიიპატიჟა და, ბ. დე ფრილერის გამოსაჯავრებლად, ხელი შეუწყო, რომ იგი ბრწყინვალე ყოფილიყო. ნასადილევს ტკბილეულობას ჭამდნენ, როცა პარიზიდან უცნაური ამბავი მოვიდა, აბატი პირარი ბრწყინვალე სამრევლოში დაინიშნა ოთხი ლიეს მანძილზე სატახტო ქალაქიდანო. გულკეთილმა პრელატმა გულწრფელად მიულოცა მას. ყოველივე ეს მან მოხერხებულ თამაშობად ჩასთვალა, რამაც კარგს გუნებაზე დააყენა და საუკეთესო წარმოდგენა შეუქმნა აბატ პირარის ნიჭზე. ამ უკანასკნელს დიდებული ლათინური მოწმობა მისცა, ხოლო აბატ დე ფრილერს, რომელიც თავის თავს შენიშვნების გაკეთების ნებას აძლევდა, ხმის ჩაკმენდა უბრძანა.

საღამოთი მისი ყოვლად უსამღვდელოესობა მარკიზის მეუღლე დე რიუბამპრესთან წავიდა, რათა მისთვის თავისი აღტაცება გაეზიარებია. ეს ახალი ამბავი მთელი ბეზანსონის მაღალ საზოგადოებას მოედო; არავინ იცოდა, რით აეხსნათ ეს არაჩვეულებრივი მოწყალება. ეგონათ, ხვალ ან ზეგ აბატი პირარი ეპისკოპოსი გახდებაო. ყველაზე შორსმჭვრეტელმა ადამიანებმა გადაწყვიტეს, ბ. დე ლამოლი უკვე მინისტრიაო და თავიანთ თავს ნება მისცეს ირონიულად გაეღიმათ, როცა სალონებში აბატი დე ფრილერი ჩნდებოდა გულზვიადი სახით.

მეორე დღეს დილით აბატ პირარს თითქმის ქუჩა-ქუჩა დასდევდნენ, ხოლო ვაჭრები თავიანთი დუქნების კარებიდან იცქირებოდნენ, როცა იგი მარკიზის მოსამართლეებთან მიდიოდა მოსალაპარაკებლად; პირველად იყო, რომ იგი ზრდილობიანად მიიღეს. მკაცრმა იანსენისტმა, რომელიც აღშფოთებული იყო ყოველივეთი, რასაც იგი ხედავდა, კარგა ხანს

იმუშავა მის მიერ მარკიზ დე ლამოლისთვის არჩეულ ადვოკატებთან და პარიზში გაემგზავრა. მან სისუსტე გამოიჩინა და თავისი მოწაფეობის დროის ორ თუ სამ ამხანაგს, რომელთაც იგი ეტლამდე მიაცილეს, უთხრა, სემინარიის თხუთმეტი წლის მმართველობის შემდეგ ბეზანსონს ისე ვტოვებ, რომ მხოლოდ ხუთას ოცი ფრანკი მაქვს გადადებულიო. მეგობრებმა იგი გადაკოცნეს ცრემლთა ფრქვევით და ერთმანეთს ჩაულაპარაკეს:

_ გულკეთილ აბატს შეეძლო ეს ტყუილი არ ეთქვა: იგი მეტისმეტად სასაცილოა!

ფულის სიყვარულით დაბრმავებულ ვულგარულ ადამიანებს ვერ გაეგოთ, რომ აბატი პირარი თავის გულწრფელობაში პოულობდა აუცილებელ ძალას, რათა მარია ალაკოკის,* «ქრისტეს გულის», იეზუიტების და მათი ეპისკოპოსის წინააღმდეგ ებრძოლა.

XXX

პატივმოყვარე

ერთადერთი კეთილშობილი ტიტული დუკას ტიტულია; მარკიზი სასაცილოა, დუკას სახელის გაგონებაზე კი მაშინვე მობრუნდებიან ხოლმე.

«ედინბურგის მიმოხილვა»

მარკიზმა დე ლამოლმა აბატი პირარი უბრალოდ მიიღო, დიდკაცური გადაჭარბებული ზრდილობის გარეშე, რომელიც შეურაცხმყოფელია ყველასათვის, ვისაც ეს ესმის. ეს დროს დაკარგვა იქნებოდა, მარკიზს კი იმდენი საქმე ჰქონდა, რომ ყოველი წუთი ძვირფასი იყო მისთვის.

უკვე ექვსი თვე იყო, რაც იგი ინტრიგებს აწარმოებდა, რათა მეფე და ერი აეძულებია რაღაც ახალი სამინისტრო შეექმნათ, რომელიც მას მადლობის ნიშნად დუკად გახდიდა.

მარკიზი უკვე რამდენიმე წელიწადია თავის ბეზანსონელ ადვოკატს ამაოდ სთხოვდა, ნათელი და გარკვეული ანგარიში გამომიგზავნე ჩემი პროცესის შესახებო. მაგრამ როგორ აეხსნა საქმის ვითარება ამ სახელგანთქმულ ადვოკატს, თუ თვით არ ესმოდა იგი?

ახლა კი აბატის მიერ გადაცემულმა მეოთხედმა ფურცელმა ყოველივე აუხსნა.

_ ჩემო ძვირფასო აბატო, _ უთხრა მას მარკიზმა, როცა ხუთიოდე წუთში ზრდილობის ფორმულები და პირადი საკითხები ამოწურა. _ ჩემი მოჩვენებითი კეთილდღეობის მიუხედავად, დრო არ მყოფნის, რათა სერიოზულად ხელი მოვკიდო ორ მნიშვნელოვან საგანს _ ჩემს ოჯახს და პირად საქმეებს. მე დიდად ვზრუნავ ჩემი ოჯახის მდგომარეობაზე და კიდევაც ძალმიძს წამოვწიო იგი. მე ვზრუნავ აგრეთვე ჩემს სიამოვნებაზე, მათ პირველი ადგილი უნდა ეჭიროთ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს თვალში, _ დაუმატა მან, რადგან აბატ პირარის თვალებში გაკვირვება შეამჩნია.

თუმცა აბატი გონიერი ადამიანი იყო, მას გაუკვირდა, რომ მოხუცი ასე გულახდილად ლაპარაკობდა თავის სიამოვნებებზე.

_ კარგი მუშაკები უეჭველად პარიზშიც არსებობენ, _ განაგრძო მარკიზმა, _ მაგრამ ისინი მეხუთე სართულზე სხედან, როგორც ქათმები ქანდარაზე; როგორც კი რომელიმე მათგანს სამუშაოს ვაძლევ, იგი ფართო ბინას ქირაობს მეორე სართულზე, ხოლო მისი ცოლი მისაღებ დღეებს ნიშნავს; მაშასადამე, ყოველივე მუშაობა წყდება, მთელი ძალ-ღონე იქით მიიმართება, რომ ნამდვილი ან მოჩვენებითი დარბაისლობა გამომჟღავნდეს. ესაა ამ ადამიანების ერთადერთი საზრუნავი, როგორც კი მათ ლუკმაპური გაუჩნდებათ. ყველა ჩემი პროცესისთვის და თვით ყოველი ცალკე პროცესისთვის მე ადვოკატები მყავს, რომელნიც მუშაობას თავს აკლავენ; ერთი მათგანი ჭლექით გარდაიცვალა გუშინწინ. მაგრამ დაიჯერებთ თუ არა, ბატონო, რომ მე უკვე სამი წელიწადია იმედი დავკარგე მეპოვა კაცი, რომელიც ჩემი მიწერ-მოწერის წარმოების დროს კეთილინებებდა და ცოტათი სერიოზულად დაფიქრდებოდა, თუ რას აკეთებს. მაგრამ ეს მხოლოდ წინასიტყვაა. მე თქვენ პატივს გცემთ და ვბედავ დავუმატო, რომ თუმცა პირველად გხედავთ, მაინც მიყვარხართ. გსურთ თუ არა ჩემი მდივანი გახდეთ და რვა ათასი ფრანკი ან თუნდაც ორჯერ მეტი ჯამაგირი მიიღოთ? მაინც მოგებული დავრჩები, გეფიცებით, და მე მშვენიერ სამრევლოს მოგიმზადებთ იმ შემთხვევისთვის, თუ ვეღარ შევთანხმდით.

აბატმა უარი უთხრა; მაგრამ საუბრის დასასრულს მარკიზის გაჭირვებულმა მდგომარეობამ მას ერთი აზრი შთააგონა.

_ ჩემს სემინარიაში მე დავტოვე ერთი ღარიბი ყმაწვილი, რომელსაც, ალბათ, იქ სასტიკი დევნა მოელის. დღემდე ამ ახალგაზრდას არაფერი უსწავლია, გარდა ლათინურისა და საღმრთო წერილისა; მაგრამ შესაძლებელია, რომ ერთს მშვენიერ დღეს იგი დიდ ნიჭს გამოიჩენს ან ქადაგების ან სულთა ხელმძღვანელობის დარგში. არ ვიცი, რას მოიმოქმედებს; მაგრამ მასში ღვთაებრივი ცეცხლი ღვივის, მას შეუძლია, შორს

წავიდეს. მე იმედი მქონდა, იგი ეპისკოპოსისთვის წარმედგინა, ჩვენში ოდესმე ისეთი მღვდელმთავარი რომ მოსულიყო, რომელიც თქვენსავით შეხედავდა ადამიანებსა და საგნებს.

_ რა წრიდანაა გამოსული ეს თქვენი ახალგაზრდა კაცი? _ იკითხა მარკიზმა.

_ ამბობენ, დურგლის შვილიაო, მაგრამ მე მგონია, უფრო ვინმე მდიდარი კაცის ბუში უნდა იყოს. ჩემი იქ ყოფნის დროს ანონიმური თუ ფსევდონიმური წერილი მიიღო ხუთასი ფრანკის ჩეკითურთ.

_ აჰ, ეს ჟიულიენ სორელია! _ თქვა მარკიზმა.

_ საიდან იცით მისი სახელი? _ იკითხა გაკვირვებულმა აბატმა, რომელიც ცოტა არ იყოს, კიდეც გაწითლდა.

_ აჰ, ეს ჟიულიენ სორელია! _ თქვა მარკიზმა.

_ ჰოდა, _ განაგრძო აბატმა, _ თქვენ შეგიძლიათ მისი მდივნად აყვანა სცადოთ, მას ენერგიაც აქვს და ჭკუაც; ერთი სიტყვით, ღირს მისი გამოცდა.

_ რატომაც არა? _ თქვა მარკიზმა, _ მაგრამ სანდოა თუ არა იგი იმდენად, რომ პოლიციის პრეფექტის ან სხვა ვინმეს ანკესზე არ წამოეგება და არ მიჯაშუშებს? აი, ჩემი ერთადერთი საზრუნავი.

აბატ პირარის დამაშოშმინებელი პასუხის შემდეგ მარკიზმა ათასფრანკიანი ქაღალდი ამოიღო.

_ გაუგზავნეთ ეს ფული საგზაოდ ჟიულიენ სორელს და აცნობეთ, რომ წამოვიდეს.

_ გეტყობათ, რომ პარიზელი ბრძანდებით, _ თქვა აბატმა პირარმა: _ თქვენ არ იცნობთ იმ მტარვალობას, რომელიც საბრალო პროვინციელებს, განსაკუთრებით არა იეზუიტ მღვდლებს გვჩაგრავს. ჟიულიენ სორელს როდი გამოუშვებენ, რამეს მოიმიზეზებენ, მიპასუხებენ, ავადააო, ან ვითომდა ფოსტაში წერილი დაიკარგა და სხვა და სხვა.

_ ამ დღეებში მინისტრს წერილს გამოვართმევ ეპისკოპოსის სახელზე, _ თქვა მარკიზმა.

_ ერთი მხრივ უნდა გაგაფრთხილოთ, _ თქვა აბატმა: _ თუმცა ეს ყმაწვილი საკმაოდ დაბალი წარმოშობისაა, მაგრამ გულდიდია და გამოუსადეგი იქნება, თუ მისი ქედმაღლობა შევაშფოთეთ; ამ შემთხვევაში იგი გონებას დაკარგავს.

_ ეს მომწონს, _ თქვა მარკიზმა: _ მე მას ჩემს შვილს დავუამხანაგებ; ეს საკმაო არაა?

რამდენიმე დღის შემდეგ ჟიულიენმა უცნობი ხელით დაწერილი ბარათი მიიღო, რომელსაც შალონის საფოსტო ბეჭედი ჰქონდა დაკრული, შიგ იპოვა ფულის მანდატი ერთი ბეზანსონელი ვაჭრის სახელზე და მიპატიჟება, რომ დაუყოვნებლივ პარიზისკენ გამგზავრებულიყო. წერილს ქვემოთ მოგონილი სახელი და გვარი ეწერა, მაგრამ გახსნის დროს ჟიულიენი შეკრთა: მის ფეხებთან ხის ფოთოლი დაეცა; ეს იყო ნიშანი, რომელიც მან აბატ პირართან დადო.

ერთ საათსაც არ გაუვლია ამის შემდეგ და ჟიულიენი ეპისკოპოსის სასახლეში მიიწვიეს, სადაც იგი წმინდა მამობრივი გულკეთილობით მიიღეს. მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ჰორაციუსის ციტატებს იმეორებდა, თან ჟიულიენს ულოცავდა იმ მაღალი მდგომარეობის მიღწევას, რომელიც მას პარიზში მოელოდა. სამაგიეროდ, ახსნა-განმარტება მოსთხოვა. ჟიულიენმა ვერაფერი ვერ უთხრა იმიტომ, რომ თვითონაც არაფერი იცოდა, და პრელატი კიდევ მეტი პატივისცემით გაიმსჭვალა მისდამი. საეპისკოპოსოს ერთ-ერთმა მღვდელმა წერილი მისწერა ქალაქის მერს, რომელმაც თვითონვე საჩქაროდ ხელმოწერილი პასპორტი მოიტანა, სადაც თავისუფალი ადგილი იყო დატოვებული წამსვლელის სახელისა და გვარისათვის.

იმავე დღეს, უკვე შუაღამე მოტანებული იყო, როცა ჟიულიენი ფუკესთან გაჩნდა; ეს საღი გონების ადამიანი უფრო გაკვირვებული იყო, ვიდრე მოხიბლული იმ მომავლით, რომელიც მის მეგობარს ელოდა.

_ ეს შენთვის იმით გათავდება, _ უთხრა ამ ლიბერალმა ამომრჩეველმა, _ რომ მთავრობა ადგილს მოგცემს; ეს გაიძულებს ისე მოიქცე, რომ გაზეთები შეურაცხყოფას მოგაყენებენ. მე შენს შესახებ მხოლოდ სამარცხვინო ამბებს გავიგებ. გახსოვდეს, თვით ფინანსური ენითაც რომ ვილაპარაკოთ, სჯობია, ასი ლუიდორი მოიგო ხე-ტყის პატიოსანი ვაჭრობით, სადაც კაცი თავის თავის ბატონია, ვიდრე ოთხი ათასი ფრანკი მიიღო ხაზინიდან, თუნდაც იგი მეფე სოლომონს ეკუთვნოდეს.

ჟიულიენმა ამ სიტყვებში მხოლოდ სოფლის ბურჟუის სულიერი სივიწროვე დაინახა. ბოლოს და ბოლოს, დიდ საქმეთა ასპარეზზე გამოჩნდებოდა. მას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ პარიზი დასახლებული იყო ჭკვიანი ხალხით, დიდი ინტრიგანებით, დიდი ფარისევლებით, მაგრამ ისეთივე ზრდილობიანი ადამიანებით, როგორც ბეზანსონის და აგდის ეპისკოპოსები იყვნენ; ამ ბედნიერების წინაშე ყოველივე იჩრდილებოდა. თავის მეგობარს მდგომარეობა ისე გააცნო, თითქო იგი უკანდახევას ვეღარ შეძლებდა აბატ პირარის წერილის წყალობით.

მეორე დღეს ჟიულიენი თავის თავს უბედნიერეს ადამიანად თვლიდა, როცა შუადღისას ვერიერში მივიდა; მას იმედი ჰქონდა, რომ ქალბატონ დე რენალს ინახულებდა. ჯერ თავის მფარველთან, აბატ შელანთან წავიდა. იგი მკაცრად შეხვდა.

_ გრძნობთ თუ არა, რომ რაღაც ვალდებულება გაწევთ ჩემს წინაშე?_ ჰკითხა აბატმა შელანმა და პასუხიც არ გაუცია მის მისალმებაზე: _ თქვენ ჩემთან ისაუზმებთ, ამ ხნის განმავლობაში ცხენს დაგიქირავებენ და ვერიერიდან ისე უნდა გახვიდეთ, რომ არავინ ინახულოთ.

_ მოსმენა და დამორჩილება ერთია, _ უპასუხა ჟიულიენმა სემინარიელის გამომეტყველებით. ამის შემდეგ ლაპარაკი მხოლოდ ღვთისმეტყველებასა და ლათინურ ლიტერატურაზე გადავიდა.

იგი ცხენზე შეჯდა, ერთი ლიე გაიარა და, რაკი შეატყო, რომ არავინ თვალს არ ადევნებდა, ტყეში შევიდა. მზის ჩასვლისას ცხენი უკან გამოაბრუნა. ცოტა მოგვიანებით ერთ გლეხთან შევიდა, ეს უკანასკნელი დათანხმდა მისთვის კიბე მიეყიდა და მასთან ერთად წაეღო კიდეც პატარა ტყემდე, რომელიც «ერთგულების სასეირნოს» დასცქერის ვერიერში.

_ მე ერთი საბრალო ლტოლვილი ჯარისკაცი ვარ, _ უთხრა მან გლეხს.

_ თუ კონტრაბანდისტი? _ უპასუხა გლეხმა, როცა მას გამოეთხოვა, - მაგრამ არა უშავს რა! კარგი ფასი მივიღე ჩემი კიბისთვის და, ცოტა არ იყოს, მეც მიცუღლუტია ჩემს სიცოცხლეში.

ისე ბნელოდა, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა კაცი. ნაშუაღამევის პირველ საათზე თავისი კიბით დატვირთული ჟიულიენი ვერიერში შევიდა. იგი ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა რიყეს, რომელიც ბ. დე რენალის საუცხოო ბაღებს სჭრიდა და ორ ყორეს შუა იყო მოქცეული. ყორეზე ადვილად აცოცდა კიბის შემწეობით. «როგორ შემხვდებიან ეზოს მცველი ძაღლები?» _ ფიქრობდა იგი. ძაღლები ყეფით ეცნენ; მაგრამ მან ნელა დაუსტვინა და ისინი მიელაქუცნენ.

ტერასიდან ტერასზე ადვილად ავიდა, თუმცა ყველა ჭიშკარი დაკეტილი იყო, და ქალბატონი დე რენალის საძინებელი ოთახის ფანჯრის ქვეშ აღმოჩნდა. ეს ფანჯარა ბაღის მხრით მხოლოდ რვა თუ ათი წყრთის სიმაღლეზე იყო საძირკვლიდან.

დარაბებში პატარა სარკმელი იყო გამოჭრილი გულის მსგავსად, ეს ჟიულიენს კარგად ახსოვდა. სამწუხაროდ, ეს პატარა სარკმელი შიგნიდან განათებული არ აღმოჩნდა ღამის სანათურით.

«ღმერთო ჩემო! _ გაიფიქრა მან: _ ნუთუ ამაღამ ამ ოთახში ქალბატონი დე რენალი არ წევს? _ მაშ, სად სძინავს მას? ოჯახი ვერიერშია, რაკი ძაღლები აქ არიან; მაგრამ შეიძლება ამ ბნელ ოთახში თვით ბ. დე რენალი დამხვდეს ან სხვა ვინმე, ეს კი დიდი სკანდალი იქნება!»

უფრო კეთილგონიერი საქციელი იქნებოდა, უკან დაბრუნებულიყო; მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება ჟიულიენს საშინლად ეჩვენა. «თუ აქ უცხო ვინმე წევს, თავს ვუშველი და გავიქცევი, კიბეს კი აქვე მივატოვებ; მაგრამ თუ ოთახში თვით ჩემი სატრფოა, რა შეხვედრა მელის? ვფიქრობ, რომ იგი სინანულსა და უკიდურეს ღვთისმოსაობაში გადავარდა; მაგრამ მას ცოტათი კიდევ ვახსოვარ, იმიტომ რომ წერილი მომწერა». ამ აზრმა მას გადაწყვეტილება მიაღებინა.

ათრთოლებული გულით, მაგრამ იმ გადაწყვეტილებით ან დავიღუპები, ან მას ვინახულებო, მან პატარა კენჭები ესროლა დარაბებს; არავინ პასუხი არ გასცა. კიბე მიაყუდა ფანჯარასთან და თვით დააკაკუნა დარაბებზე ჯერ წყნარად, შემდეგ უფრო ძლიერად. «თუმცა საშინლად ბნელა, მაგრამ ტყვიას მაინც ადვილად მომარტყამენ», _ გაიფიქრა ჟიულიენმა. ამ აზრმა ეს ანცობა ვაჟკაცობის საკითხად აქცია.

«ამ ოთახში არავის არ სძინავს ამ ღამით, _ გაიფიქრა მან, _ ან თუ იქ ვინმე წევს, იგი უკვე გამოფხიზლებულია, მაშასადამე, სიფრთხილეს აზრი აღარ აქვს. მხოლოდ უნდა ვეცადო, რომ ხმა სხვა ოთახებში არ გავიდეს». იგი ძირს ჩამოვიდა, თავისი კიბე ერთ-ერთ დარაბაზე მიაყუდა, ხელახლა ზევით ავიდა, ხელი გაჰყო გულის მსგავს სარკმელში და თავის საბედნიეროდ საკმაოდ ჩქარა იპოვა მავთული, რომელიც დარაბების გადასარაზზე იყო მიბმული. მავთული მოსწია და გამოუთქმელი სიხარული იგრძნო, რომ ეს დარაბა ადვილად იღებოდა. «ნელ-ნელა უნდა გავაღო და ჩემი ხმა გავაგონო». მან დარაბა ისე გააღო, რომ თავის გაყოფა შეძლო, თან ხმადაბლა იმეორებდა: «თქვენი მეგობარი ვარ».

ყური მიადო და დარწმუნდა, რომ ოთახში ღრმა დუმილს არაფერი არ არღვევდა. მაგრამ უეჭველი იყო, რომ იქ ნახევრად დამქრალი სანთელიც კი არ იდგა ბუხარზე; ეს ძლიერ ცუდი ნიშანი იყო.

«თოფს გაუფრთხილდი!» იგი ცოტათი ჩაფიქრდა; შემდეგ გაბედა თითით დაეკაკუნებია ფანჯარაზე; არავითარი პასუხი; უფრო ძლიერ დააკაკუნა. «თუნდაც ფანჯრის გატეხა მომიხდეს, უკან დახევა შეუძლებელია». როცა კიდევ უფრო ძლიერ დააკაკუნა, მოეჩვენა, რომ თეთრმა აჩრდილმა გაიარა ოთახში. ბოლოს დარწმუნდა, რომ

აჩრდილი უკიდურესი სიფრთხილით უახლოვდებოდა. უცებ აჩრდილის ლოყა იმ მინას მიეყრდნო, რომელშიც მისი თვალი იცქირებოდა.

ტანში ჟრუანტელმა გაუარა და ცოტათი უკან დაიხია. მაგრამ ღამე იმდენად ბნელი იყო, რომ მან ვერ გაარჩია, მართლაც ქალბატონი დე რენალი იყო ეს თუ არა. მას ეშინოდა პირველი შეშფოთების მიერ გამოწვეული ყვირილისა; ძაღლები კიბეს უვლიდნენ გარს და ღრენდნენ.

_ ეს მე ვარ, _ იმეორებდა იგი, _ თქვენი მეგობარი, _ არავითარი პასუხი; თეთრი მოჩვენება გაქრა.

_ ღვთის გულისათვის გამიღეთ, თქვენთან მოლაპარაკება მინდა, მეტად უბედური ვარ, _ და ისე ძლიერ დააკაკუნა, რომ მინა კინაღამ დაიმსხვრა.

მოისმა სუსტი შრიალი; ფანჯრის გადასარაზი გაიწია; ჟიულიენმა ფანჯარას ხელი ჰკრა და მარჯვედ გადახტა ოთახში.

თეთრმა აჩრდილმა უკან დაიხია; ვაჟმა მას ხელი მოსჭიდა ხელში; იგი ქალი იყო. ვაჟკაცობის იდეები კვამლივით გაქრა. «თუ ეს ჩემი სატრფოა, ნეტავ რას მეტყვის?» ძნელი წარმოსადგენია, რა მოუვიდა მას, როცა დარწმუნდა, რომ ეს მართლაც ქალბატონი დე რენალი იყო.

გულში ჩაიკრა; ქალი თრთოდა, მას ძალა აღარ შესწევდა განთავისუფლებულიყო.

_ უბედურო, რას შვრებით?

ქალი აკანკალებული ხმით ძლივს ახერხებდა ამ სიტყვების წარმოთქმას. ჟიულიენს უგულწრფელესი აღშფოთების ხმა მოესმა.

_ მოვედი, რათა თოთხმეტი თვის უმკაცრესი განშორების შემდეგ მენახე.

_ წადით აქედან, ამ წუთშივე გამეცალეთ! აჰ, რად დამიშალა ბ. შელანმა წერილი მომეწერა თქვენთვის? მე ხელს შევუშლიდი ამ საშინელებას. _ ქალმა ვაჟს ხელი ჰკრა არაჩვეულებრივი სიძლიერით. _ მე ვნანობ ჩემს დანაშაულს, ზეცამ შემიბრალა და გონება გამინათლა, _ ამბობდა იგი გამწყრალი ხმით, _ წადით, გაიქეცით!

_ თოთხმეტი უბედური თვის შემდეგ ისე არ წავალ, რომ არ მოგელაპარაკოთ. მინდა ვიცოდე, რა გააკეთეთ ამ ხნის განმავლობაში. აჰ, მე ისე მიყვარდით, რომ დავიმსახურე ეს ნდობა... მინდა ყველაფერი ვიცოდე.

ამ შეუვალმა ტონით ნათქვამმა გავლენა იქონია ქალბატონ დე რენალის გულზე, მისი წინააღმდეგობის მიუხედავად.

ჟიულიენმა, რომელსაც აქამდე ქალი ვნებიანად გულში ჩახუტებული ჰყავდა და გასხლტომის ნებას არ აძლევდა, ხელიდან გაუშვა იგი. ამან ცოტა არ იყოს, დააშოშმინა ქალბატონი დე რენალი.

_ მინდა კიბე ავიღო, _ თქვა მან, _ რათა სახელი არ გაგიტყდეთ, თუ რომელიმე მოსამსახურე ხმაურმა გამოაღვიძა და იგი ეზოში გავიდა.

_ აჰ, წადით, სულ წადით, _ უთხრა ქალმა მრისხანედ: _ რა მესაქმება ადამიანებთან. ღმერთი ხედავს საშინელ სანახაობას, რომელიც თქვენ გამიმართეთ, მე იგი დამსჯის. თქვენ სულმდაბლად გამოიყენეთ ის გრძნობა, რომელიც მე თქვენდამი მქონდა და ახლა აღარ მაქვს, გესმით თუ არა, ბატონო ჟიულიენ?

ვაჟი კიბეს ნელა იღებდა, რათა ხმაური არ აეტეხა.

_ ქალაქშია თუ არა შენი ქმარი? _ ჰკითხა მან ქალს არა უპატივცემულობის გამოსახატავად, არამედ ძველი ჩვეულების კარნახით.

_ გთხოვთ, ასე ნუ მელაპარაკებით, თორემ ჩემს ქმარს დავუძახებ. მე უკვე დიდი დანაშაული ჩავიდინე, რომ აქამდე არ გაგაგდეთ. მე თქვენ მებრალებით, _ დაუმატა ქალმა, რათა მისი თავმოყვარეობა შეებღალა, რომელიც ადვილად გასაღიზიანებლად მიაჩნდა.

შენობით მიმართვაზე უარის თქმამ, ამ სიმკაცრემ ნაზი კავშირის გაწყვეტაში ჟიულიენის სიყვარული სიგიჟემდე მიიყვანა.

_ როგორ, ნუთუ შესაძლებელია, რომ თქვენ აღარ გიყვარდეთ! _ ჰკითხა მან ქალს ისეთი გულშემზარავი ხმით, რომელიც ძნელი მოსასმენია დამშვიდებით.

ქალმა არაფერი არ უპასუხა; ვაჟი ცხარე ცრემლებით ტიროდა. მას ძალა აღარ შესწევდა სალაპარაკოდ.

_ ამრიგად, მე სრულიად დამივიწყა იმ ერთადერთმა არსებამ, რომელსაც ვუყვარდი! რაღაც მინდა ამის შემდეგ სიცოცხლე? _ მთელი მისი ვაჟკაცობა გაქრა, რაკი იგი დარწმუნდა, რომ მამაკაცთან შეჯახების საფრთხე აღარ მოელოდა. ყოველივე წარიხოცა მის გულში, გარდა სიყვარულისა.

იგი დიდხანს უხმოდ ტიროდა. მან ქალს ხელში ხელი მოჰკიდა. ამ უკანასკნელს ხელის წართმევა უნდოდა; ბოლოს, ქალმა აღარ წაართვა აცახცახებული ხელი ჟიულიენს. ოთახში სრული წყვდიადი მეფობდა; ისინი ქალბატონ დე რენალის საწოლზე ისხდნენ.

«რა განსხვავებაა იმასთან შედარებით, რაც თოთხმეტი თვის წინათ იყო! _ გაიფიქრა ჟიულიენმა; მან ტირილს უმატა. _ როგორც ჩანს, განშორება უცილობლად ანადგურებს ყოველ ადამიანურ გრძნობას!»

_ მოიღეთ მოწყალება და მითხარით, რა მოგვიდათ, _ უთხრა ბოლოს გულამომჯდარმა და დუმილით შეშფოთებულმა ჟიულიენმა.

_ რასაკვირველია, _ უპასუხა ქალბატონმა დე რენალმა მშრალად, მის ხმაში საყვედური გამოკრთოდა, _ ჩემი შეცდომები გახმაურდა ქალაქში. თქვენ ბევრი უგუნურება ჩაიდინეთ! რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მე სრულს სასოწარკვეთილებაში ვიყავი, ჩემს სანახავად პატივცემული ბ. შელანი მოვიდა. იგი დიდხანს ამაოდ ცდილობდა ჩემს გამოტეხვას. ერთს დღეს მას თავში აზრად მოუვიდა დიჟონის ტაძარში წავეყვანე, სადაც მე პირველი ზიარება მქონდა მიღებული. იქ მან პირველმა დაიწყო ლაპარაკი... _ აქ ქალბატონ დე რენალის სიტყვები ცრემლებმა შეწყვიტა... _ რა სამარცხვინო წუთი იყო! მე ყოველივე ვაღიარე. ამ კეთილმა ადამიანმა არ გამანადგურა თავისი აღშფოთების სიმძიმით, იგი მწუხარებას მიეცა ჩემთან ერთად. იმ ხანებში ყოველდღე გწერდით წერილებს, რომელთა გამოგზავნას ვერ ვბედავდი; მე მათ ფრთხილად ვმალავდი და, როცა მეტისმეტად უბედური ვიყავი, ჩემს ოთახში ვიკეტებოდი და ხელახლა ვკითხულობდი. ბოლოს, ბ. შელანმა მიაღწია იმას, რომ ეს წერილები მისთვის გადამეცა... ზოგიერთი, რომელიც ცოტა მეტი კეთილგონიერებით იყო დაწერილი, თქვენ გადმოგეგზავნათ; თქვენ არ გიპასუხიათ.

_ არასოდეს, გეფიცები, არასოდეს შენი წერილი არ მიმიღია სემინარიაში!

_ ღმერთო ჩემო, ვინ დაიჭირა ჩემი წერილები?

_ ახლა წარმოიდგინე ჩემი ტანჯვა: სანამ საკრებულო ტაძარში არ დაგინახე, მეგონა, ცოცხალი აღარ იყავი.

_ ღმერთმა წყალობა მოიღო და შემაგნებინა, რამდენს ვცოდავდი როგორც მის მიმართ, ისე ჩემი ბავშვებისა და ქმრის მიმართ, _ განგრძო ქალბატონმა დე რენალმა.

ჟიულიენი ქალს გადაეხვია, მას არავითარი განზრახვა არ ჰქონდა, მხოლოდ თავგზადაკარგული იყო. მაგრამ ქალბატონმა დე რენალმა ხელი ჰკრა და საკმაოდ მტკიცედ განაგრძო:

_ ჩემმა პატივცემულმა მეგობარმა ბ. შელანმა შემაგნებინა, რომ რაკი ბ. დე რენალს მივთხოვდი, ვალდებული ვარ, ყველა ჩემი გრძნობა მას მივუძღვნა, თვით ისიც კი, რომელიც ჩემთვის უცხო იყო და არასოდეს არ განმიცდია ჩვენი საბედისწერო კავშირის გაბმამდე... მას შემდეგ, რაც დიდი მსხვერპლი გავიღე და ის წერილები გავწირე, რომელნიც ასე ძვირფასნი იყვნენ ჩემთვის, ჩემი ცხოვრება თუ ბედნიერად არა, ყოველ

შემთხვევაში, საკმაოდ შეუშფოთებლად მიმდინარეობდა. ნუღარ შეაშფოთებთ მას; იყავით ჩემი მეგობარი, ჩემი საუკეთესო მეგობარი.

ჟიულიენმა ხელები დაუკოცნა ქალს. ამ უკანასკნელმა იგრძნო, რომ ვაჟი კიდევ ტიროდა.

_ ნუ ტირით, მე თქვენ გულს მიკლავთ. ახლა თქვენ მიამბეთ, რას აკეთებდით.

ჟიულიენი სიტყვას ვერ ძრავდა.

_ მე მინდა გავიგო, როგორ ცხოვრობდით სემინარიაში, _ გაიმეორა ქალმა: _ შემდეგ წახვალთ.

ჟიულიენი არ დაფიქრებულა იმის შესახებ, თუ რას ლაპარაკობდა. მან მოუთხრო ინტრიგებსა და შურზე, რომელიც თავდაპირველად შეხვდა, უფრო წყნარ ცხოვრებაზე მას შემდეგ, რაც იგი რეპეტიტორად დანიშნეს.

_ ეს მაშინ იყო, _ დაუმატა მან, _ როცა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ, რომლითაც, ალბათ, გინდოდათ გეგრძნობინებიათ ის, რასაც ახლა მშვენივრად ვხედავ... თქვენ აღარ გიყვარვართ... (ქალბატონმა დე რენალმა ხელი მოუჭირა)... ეს მაშინ იყო, რომ ხუთასი ფრანკი გამომიგზავნეთ.

_ არასოდეს, _ უპასუხა ქალმა.

_ ეს იყო პარიზიდან გამოგზავნილი წერილი, რომელსაც პოლ სორელი აწერდა ხელს გზა-კვალის ასაბნევად.

ქალ-ვაჟს შორის კამათი გაიმართა ამ წერილის წარმოშობის თაობაზე. ზნეობრივი პოზიცია შეიცვალა. შეუგნებლად ქალბატონმა დე რენალმა და ჟიულიენმა უკუაგდეს დღესასწაულებრივი ტონი და ნაზი მეგობრობის ტონზე გადავიდნენ. ისინი ერთმანეთს ვერ ხედავდნენ წყვდიადში, მაგრამ მათი ხმა ყოველივეს ამჟღავნებდა. ჟიულიენმა თავის მეგობარს ხელი მოხვია წელზე; ეს მოძრაობა დიდად სახიფათო იყო. ქალი შეეცადა მისი ხელი გაეწია, მაგრამ ვაჟმა ქალის ყურადღება მარჯვედ მიაპყრო თავისი მოთხრობის საინტერესო ამბებს. ხელი თითქო დავიწყებული იქნა და ისევ წელზე დარჩა.

მას შემდეგ, რაც ხუთასფრანკიანი წერილის შესახებ მრავალი მოსაზრება გამოითქვა, ჟიულიენმა ხელახლა დაიწყო თავისი მოთხრობა. მან, ცოტა არ იყოს, თავი შეიმაგრა და ლაპარაკი ჩამოაგდო თავის წარსულ ცხოვრებაზე, რომელიც იმასთან შედარებით, რასაც ამ წუთში განიცდიდა, ნაკლებ აინტერესებდა. მთელი მისი ყურადღება იქით იყო მიპყრობილი, თუ როგორ გათავდებოდა ეს შეხვედრა. «თქვენ ახლავე უნდა წახვიდეთ», _ ესმოდა მას დროგამოშვებით.

«რა სირცხვილია, თუ პირში ჩალაგამოვლებული გამიშვეს! ეს ისეთ სინდისის ქენჯნას გამოიწვევს, რომ მთელი სიცოცხლე მომეწამლება. წერილებს აღარ გამომიგზავნის. ღმერთმა იცის, როდის დავბრუნდები ამ ქვეყანაში!»

ამ წუთიდან გაქრა ყოველივე, რაც ზეციური იყო ჟიულიენის გულში. იგი იჯდა იმ ქალის გვერდით, რომელსაც აღმერთებდა, რომელსაც თითქმის გულში იკრავდა. იგი იმყოფებოდა ოთახში, სადაც წინათ ასე ხშირად ყოფილა ბედნიერი. მის გარშემო წყვდიადი სუფევდა; იგი კარგად გრძნობდა, რომ ქალი გულამომჯდარი ტიროდა, მაგრამ ჟიულიენი გულგრილ პოლიტიკოსად იქცა, თითქმის ისევე ანგარიშიანად და ცივად, როგორც სემინარიის ეზოში იყო, როცა მასზე უფრო ღონიერი ამხანაგები სასაცილოდ იგდებდნენ. ჟიულიენი აჭიანურებდა თხრობას და ლაპარაკობდა უბედურ ცხოვრებაზე, რომელიც მან ვერიერიდან წასვლის შემდეგ გაატარა.

«მე მას ვივიწყებდი, _ გაიფიქრა ქალბატონმა დე რენალმა, _ ამ დროს კი იგი განუწყვეტლივ ვერჟიში გატარებულ ნეტარ დღეებზე ოცნებობდა». მან უმატა ტირილს. ჟიულიენმა იგრძნო თავისი მოთხრობის წარმატება და ფიცხლავ პარიზიდან მოსულ წერილზე გადავიდა.

_ მე ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსს გამოვეთხოვე.

_ როგორ, ბეზანსონში აღარ დაბრუნდებით? სამუდამოდ გვტოვებთ?

_ ჰო, _ უპასუხა ჟიულიენმა დაჯერებული ტონით: _ დიახ, მე ვტოვებ ამ კუთხეს, სადაც დამივიწყა იმან, ვინც ყველაზე მეტად მიყვარდა ცხოვრებაში, და ვტოვებ, რათა არასოდეს აღარ დავბრუნდე. პარიზში მივდივარ...

_ პარიზში მიდიხარ? _ წამოიძახა ქალბატონმა დე რენალმა საკმაოდ ხმამაღლა.

მისი ხმა თითქმის ქვითინმა ჩაახშო; ნათლად ჩანდა, როგორი ძლიერი იყო მისი მღელვარება. ჟიულიენს ძლიერ სჭიროდა ეს წაქეზება; მას უკანასკნელი ღონე სურდა ეხმარა და შიშობდა, ვაითუ დავმარცხდეო. და რადგან ქალის სახეს ვერ ხედავდა, ამ შეძახებამდე მას ვერ წარმოედგინა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა მასზე. ახლა იგი აღარ ყოყმანობდა; იმის შიშმა, მერე არ ვინანოო, მას შინაგანი ძალა მისცა; იგი ფეხზე წამოდგა და ცივად დაუმატა:

_ დიახ, ქალბატონო, მე თქვენ სამუდამოდ გტოვებთ, იყავით ბედნიერად; მშვიდობით!

მან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ფანჯრისკენ; გაღება დააპირა. ქალი მისკენ გაიქცა და მკერდზე დააკვდა.

ამრიგად, სამი საათის საუბრის შემდეგ ჟიულიენმა მიიღო ის, რაც ასე ვნებიანად სწყუროდა პირველი ორი საათის განმავლობაში. ქალბატონი დე რენალი ცოტათი უფრო ადრე რომ დაბრუნებოდა ნაზ გრძნობებს, მის მიერ სინდისის ქენჯნის გადალახვა ღვთაებრივ ნეტარებად ეჩვენებოდა ჟიულიენს; მაგრამ რადგან ოსტატობით გაიმარჯვა, იგი მხოლოდ ჩვეულებრივ სიამოვნებას გრძნობდა. თუმცა ქალი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ჟიულიენმა გადაჭრით მოითხოვა, სანათური ავანთოთო.

_ ნუთუ შენ გინდა, რომ არავითარი მოგონება არ დამრჩეს შენთან შეხვედრაზე? ნუთუ ჩემთვის უნდა დაიკარგოს სიყვარული, რომელიც შენს მომხიბლავ თვალებში იხატება? მე არ უნდა დავინახო ამ მშვენიერი ხელის სითეთრე? გაიხსენე, რომ შეიძლება დიდი ხნით დაგტოვო.

ქალბატონ დე რენალს არაფერზე უარის თქმა აღარ შეეძლო; იგი ცრემლებს აფრქვევდა. მაგრამ განთიადი უკვე ვერიერის აღმოსავლეთით მთებზე ფიჭვების კონტურებს ხაზავდა ცოცხლად. იმის მაგივრად, რომ წასასვლელად გამზადებულიყო, გულისთქმით დამთვრალმა ჟიულიენმა ქალბატონ დე რენალს სთხოვა, მთელ დღეს მალულად გავატარებ შენს ოთახში და მხოლოდ ხვალ ღამით წავალო.

_ რატომ არა? _ უპასუხა ქალმა: _ ამ საბედისწერო ხელახლა დაცემამ საკუთარი თავის პატივისცემა წამართვა. მე საბოლოოდ გაუბედურებული ვარ. ჩემი ქმარი შეიცვალა, იგი ეჭვიანობს; იგი ფიქრობს, რომ მე გავასულელე ამ საქმეში, და საშინლად გამწყრალია ჩემზე. თუ ფაჩიფუჩი გაიგონა, დავიღუპები; იგი გამაგდებს, როგორც ჩემისთანა უბადრუკ ქმნილებას შეეფერება.

_ აი, ბ. შელანის ერთი ფრაზა, _ თქვა ჟიულიენმა: _ შენ ამ სიტყვებს არასოდეს ჩემს სემინარიაში წასვლამდე არ იხმარდი; მაშინ გიყვარდი!

ჟიულიენი დაჯილდოებული იქნა იმ გულგრილობისათვის, რომელიც უკანასკნელ წინადადებაში შეიტანა: მან დაინახა, რომ მისმა სატრფომ უცებ დაივიწყა ის საფრთხე, რომელსაც მისთვის ქმრის სიახლოვე ჰქმნიდა და უფრო დიდ საფრთხეზე დაიწყო ფიქრი: ვაითუ ჟიულიენს ჩემს სიყვარულში შეეპაროს ეჭვიო.

დღის სინათლე სწრაფად მატულობდა, ოთახი სრულიად განათდა. ჟიულიენის ამაყი ვნება სავსებით დაკმაყოფილებულ იქნა, როცა მან თავის მკერდზე და თითქმის თავის ფეხებთან ეს მომხიბლავი ქალი დაინახა, _ ერთადერთი არსება, რომელიც მას შეიძლებოდა ჰყვარებოდა და რომელიც ორიოდე საათის უკან სავსებით მრისხანე ღვთის შიშით და თავისი ვალდებულების გრძნობით იყო გამსჭვალული.

ჩქარა სახლში ხმაური გაისმა და ქალბატონი დე რენალი შეაშფოთა ერთმა გარემოებამ, რომელზედაც მას არ უფიქრია.

_ ეს საძაგელი ელიზა ჩქარა ჩემს ოთახში შემოვა. რა ვუყოთ ამ უზარმაზარ კიბეს? _ ჰკითხა მან თავის მეგობარს. _ სად დავმალო? მოიტა, ჭერზე ავიტან, _ წამოიძახა მან მკვირცხლად.

_ ჰო, მაგრამ მოსამსახურის ოთახში ხომ უნდა გაიარო, _ თქვა გაკვირვებულმა ჟიულიენმა.

_ კიბეს დერეფანში დავტოვებ, შემდეგ მოსამსახურეს დავუძახებ და რამეს დავავალებ.

_ მოიგონე რამე საბაბი იმ შემთხვევისათვის, თუ მოსამსახურემ კიბე შეამჩნია.

_ კარგი, ჩემო ანგელოზო, _ უთხრა ქალბატონმა დე რენალმა და აკოცა: _ შენ კი სასწრაფოდ საწოლის ქვეშ დაიმალე, თუ ჩემი აქ არყოფნის დროს ელიზა შემოვიდა.

ჟიულიენი გაკვირვებული იყო ამ უცნაური მხიარულებით. «დახე, რეალური საფრთხის მოახლოება მას არა თუ არ აშინებს, პირიქით, ამხიარულებს, იმიტომ რომ სინდისის ქენჯნას ავიწყებს! ჭეშმარიტად მაღალი ბუნების ქალია! აი გული, რომელშიც გამეფება სასახელოა!»

ქალბატონმა დე რენალმა კიბეს მოჰკიდა ხელი; ეტყობოდა, იგი მეტისმეტად მძიმე იყო მისთვის. ჟიულიენი დასახმარებლად მივიდა; იგი ტკბებოდა მისი მოხდენილი წელით, რომელიც თითქოს სრულიადაც ძალას არ ამჟღავნებდა, როცა ქალმა უცებ დაუხმარებლად კიბე ასწია და ადვილად წაიღო, თითქოს მსუბუქი სკამი ყოფილიყოს. კიბე მკვირცხლად მესამე სართულის დერეფანში აიტანა და კედლის გასწვრივ დადო. მსახურს დაუძახა და, რათა მისთვის ტანზე ჩაცმა ეცლია, ჭერიდან სამტრედეზე ავიდა. ხუთი წუთის შემდეგ ისევ დერეფანში დაბრუნდა: კიბე აქ აღარ იყო. სად გაქრა? ჟიულიენი რომ სახლიდან გასული ყოფილიყო, ეს საფრთხე ქალს სრულიადაც არ შეაწუხებდა. მაგრამ ვაითუ ქმარს კიბე დაენახა! ეს ამბავი შეიძლებოდა საშინლად დასრულებულიყო. ქალმა მთელი შენობა შემოირბინა. ბოლოს, კიბე ჭერში აღმოაჩინა. იქ მოსამსახურეს აეტანა და დაემალა კიდეც. ეს გარემოება ეუცხოვა, სხვა დროს ძლიერ შეაშინებდა კიდეც.

«რა მენაღვლება, _ გაიფიქრა მან, _ რა მოხდება ოცდაოთხი საათის შემდეგ, როცა ჟიულიენი წასული იქნება? განა ჩემთვის ყოველივე ისედაც შიშითა და სინდისის ქენჯნით არ იქნება აღსავსე?»

მას თავში გაურბინა ბუნდოვანმა აზრმა, სიცოცხლეს უნდა გამოვეთხოვოო; მაგრამ დაე, ასე მოხდეს! განშორების შემდეგ, რომელიც მას სამარადისოდ მიაჩნდა, მისი სატრფო უკან დაუბრუნდა, იგი მას ხელახლა ხედავდა, და რაც ჟიულიენმა ჩაიდინა, რათა გულისწადილი შეესრულებინა, მის დიდ სიყვარულს ამჟღავნებდა.

მან კიბის გაქრობის ამბავი უამბო ჟიულიენს.

_ რა ვუპასუხო ქმარს, თუ მოსამსახურემ უთხრა, რომ ეს კიბე იპოვა? _ ქალი ცოტა ხანს ჩაფიქრდა: _ მათ მთელი დღე და ღამე დასჭირდებათ, სანამ იმ გლეხს აღმოაჩენენ, რომელმაც იგი მოგყიდა. _ შემდეგ ჟიულიენს გადაეხვია, თრთოლვით გულზე მიიკრა და კოცნა დაუწყო: _ აჰ, რა კარგია ასე სიკვდილი! მაგრამ შენ როდი უნდა მოკვდე შიმშილით, _ თქვა მან სიცილით. _ წამოდი, ჯერ ქალბატონ დერვილის ოთახში დაგმალავ, იგი მუდამ გასაღებითაა დაკეტილი. _ ქალი დერეფნის მეორე კუთხეში დადგა დარაჯივით, ხოლო ჟიულიენმა აღნიშნულ ოთახთან მიირბინა. _ იცოდე, კარი არ გააღო, თუ დაგიკაკუნეს, _ უთხრა ვაჟს, როცა გასაღებით კეტავდა. _ შეიძლება ბავშვებმა ჩაიდინონ თამაშობის დროს.

_ მოიყვანე ისინი ფანჯრის ქვეშ, ბაღში, _ სთხოვა ჟიულიენმა, _ მესიამოვნება მათი დანახვა; დაელაპარაკე კიდეც.

_ კარგი, კარგი, _ დაუძახა ქალბატონმა დე რენალმა და წავიდა.

ჩქარა ქალი უკან დაბრუნდა ფორთოხლებითა, ბისკვიტითა და ერთი ბოთლი მალაგის ღვინით; მხოლოდ პურის მოპარვა ვერ მოეხერხებინა.

_ რას შვრება შენი ქმარი? _ ჰკითხა ჟიულიენმა.

_ სავაჭრო ხელშეკრულებებს სწერს გლეხებთან.

მაგრამ რვა საათმა დაჰკრა და სახლში დიდი ხმაური ატყდა. ქალბატონ დე რენალს ყველგან დაუწყებდნენ ძებნას, ამიტომ იგი იძულებული გახდა ვაჟი დაეტოვებინა. ჩქარა უკან დაბრუნდა და ერთი ფინჯანი ყავა მოუტანა. ეშინოდა, შიმშილით არ მოკვდესო. საუზმის შემდეგ მან მოახერხა ბავშვები ფანჯრის ქვეშ მიეყვანა. ჟიულიენმა მათ თავისი საფარიდან გადახედა და შეამჩნია, რომ ისინი გაზრდილიყვნენ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ვულგარული გამხდარიყვნენ: ან ისიც შესაძლებელია, რომ თვით მისი თვალთახედვა იყო შეცვლილი. ქალბატონმა დე რენალმა მათ საუბარი ჩამოუგდო ჟიულიენზე. უფროსმა მეგობრული ტონით დაიწყო ლაპარაკი თავის ყოფილ აღმზრდელზე, სინანული გამოთქვა მისი წასვლის გამო; მაგრამ აღმოჩნდა, რომ უმცროსებს ჟიულიენი თითქმის დავიწყებოდათ.

ბ. დე რენალი შინიდან არ გასულა ამ დილით. იგი განუწყვეტლივ ადიოდა და ჩადიოდა თავის სახლში და გლეხებს ევაჭრებოდა კარტოფილის გაყიდვის თაობაზე. სადილობამდე ქალბატონმა დე რენალმა ერთი წუთიც ვერ შესწირა თავის ტყვეს. როცა სადილის ზარი დარეკეს და სუფრა გაშალეს, მას თავში აზრად მოუვიდა, ერთი თეფში ცხელი წვენი მოეპარა მისთვის მისატანად. როცა ქალი ამ თეფშითურთ ფეხაკრეფით ჟიულიენის ოთახს უახლოვდებოდა, სწორედ იმ მოსამსახურეს შეეჩეხა, რომელმაც დილით კიბე დამალა. ამ წუთში ისიც ფეხაკრეფით მოდიოდა დერეფანში, თითქო რაღაცას ყურს უგდებსო. ალბათ, ჟიულიენმა გაუფრთხილებლად გაიარა თავის ოთახში. მოსამსახურე, ცოტა რომ იყოს, დარცხვენილი გაცილდა. ქალბატონი დე რენალი გაბედულად შევიდა ჟიულიენთან, მაგრამ ქალბატონისა და მოსამსახურის შეხვედრამ ჟიულიენი ძლიერ შეაშფოთა.

_ შენ გეშინია! _ უთხრა მას ქალმა: _ მე კი წარბის შეუხრელად შევხვდებოდი ყოველგვარ საფრთხეს ამქვეყნად. მე მხოლოდ ერთი რამის მეშინია, მეშინია მარტო დარჩენისა შენი წასვლის შემდეგ, _ ეს თქვა და გაიქცა.

«აჰ, _ გაიფიქრა ჟიულიენმა აღტაცებით, _ სინდისის ქენჯნა ერთადერთი საფრთხეა, რომელსაც ეს ამაღლებული სული გაურბის!»

დაღამდა. ბ. დე რენალი კაზინოში წავიდა.

მისმა ცოლმა საშინელი თავის ტკივილი მოიმიზეზა, თავის ოთახში წავიდა, ელიზა საჩქაროდ დაითხოვა და მაშინვე ჟიულიენთან შეირბინა.

აღმოჩნდა, რომ იგი მართლაც შიმშილით კვდებოდა. ქალბატონი დე რენალი საკუჭნაოში წავიდა პურის მოსატანად. ჟიულიენს ყვირილი მოესმა. ქალბატონი დე რენალი დაბრუნდა და უამბო, საკუჭნაოში სანთლით შევედი, კარადას მივუახლოვდი, სადაც პური ინახება და ბნელაში ქალის ხელს წავაწყდიო. ეს ელიზა იყო, რომლის ყვირილიც ჟიულიენმა გაიგონა.

_ რას აკეთებდა იქ?

_ ან რაიმე ტკბილეულობას იპარავდა, ან ჩვენ გვზვერავდა, _ უპასუხა ქალბატონმა დე რენალმა სრულიად დამშვიდებით: _ მაგრამ საბედნიეროდ ნამცხვარი და მოზრდილი პური ვიპოვე.

_ აქ რა გაქვს? _ ჰკითხა ჟიულიენმა და მისი წინსაფრის ჯიბეებს მიუთითა.

ქალბატონ დე რენალს დაავიწყდა, რომ სადილობის დროს ჯიბეები პურით გაიტენა.

ჟიულიენმა ქალი გულში ჩაიკრა ვნებიანად. არასოდეს ასე მშვენიერი არ ჩვენებია. «თვით პარიზში უფრო კეთილშობილ ქალს ვერ შევხვდები», _ გაიფიქრა მან. ეს ქალი მოუხერხებელი იყო, რადგან შეჩვეული არ იყო ასეთ საზრუნავს, ამავე დროს იგი გამბედავი იყო, როგორც არსება, რომელიც მხოლოდ სხვაგვარ, უფრო საშინელ საფრთხეს გაურბის.

იმ დროს, როცა ჟიულიენი მადიანად შეექცეოდა, ხოლო მისი სატრფო ამ ღარიბ ტრაპეზს დასცინოდა, იმიტომ რომ სერიოზული ლაპარაკისა ეშინოდა, ვიღაცამ კარები შეანძრია ღონივრად. ეს ბ. დე რენალი იყო.

_ რად ჩაკეტილხართ? _ დაიყვირა მან.

ჟიულიენმა ძლივს მოასწრო დივანქვეშ შეძრომა.

_ ეს რას ნიშნავს? თქვენ ჯერ კიდევ ტანთ არ გაგიხდიათ, ვახშმობთ და კარი ჩაკეტილი გაქვთ? _ თქვა ბ. დე რენალმა შემოსვლისთანავე.

ჩვეულებრივ დროს ეს კითხვა, რომელიც მეუღლის შესაფერი სიმკაცრით იყო წარმოთქმული, შეაშფოთებდა ქალბატონ დე რენალს. მაგრამ იგი გრძნობდა, რომ მის ქმარს მხოლოდ ცოტათი დახრა სჭიროდა, რათა ჟიულიენი შეემჩნია: ბ. დე რენალი სწორედ იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც ორიოდე წუთის წინათ ჟიულიენი იჯდა დივნის პირდაპირ.

ქალბატონმა დე რენალმა თავის ტკივილი მოიმიზეზა. იმ დროს, როცა ქმარი გრძლად მოუთხრობდა იმ ბილიარდის პარტიის ამბავს, რომელიც მას კაზინოში მოეგო («ცხრამეტ ფრანკიანი პარტია, გეფიცები!»), ქალმა შეამჩნია, რომ სამი ფეხის ნაბიჯზე მათგან სკამზე ჟიულიენის ქუდი იდო. ქალის თავდაჭერილობა გაორკეცდა. მან ტანისამოსის გახდა დაიწყო, შესაფერი წუთი შეარჩია, ქმარს უცებ უკან მოუარა და თავისი კაბა ქუდიან სკამზე დააგდო.

ბოლოს ბ. დე რენალი გავიდა. ქალმა ჟიულიენს სთხოვა, ხელახლა მიამბე, როგორ ცხოვრობდი სემინარიაშიო.

_ გუშინ ყური არ დამიგდია, გუშინ შენი ლაპარაკის დროს მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, როგორ მეიძულებინა თავი, რომ შენ გამეგდე.

ქალბატონმა დე რენალმა სრულიად დაკარგა სიფრთხილის გრძნობა. მიჯნურნი მეტისმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. და დილის ორი საათი იქნებოდა, როცა მათი საუბარი ხელახლა ძლიერმა დაკაკუნებამ შეწყვიტა. ისევ ბ. დე რენალი იყო.

_ ჩქარა გამიღეთ, სახლში ქურდებია! _ იძახოდა იგი: _ სენ ჟანს მათი კიბე უნახავს ამ დილით.

_ ახლა ყველაფერი გათავდა, _ წამოიძახა ქალმა და ჟიულიენს ჩაეკრა: _ ორივეს მოგვკლავს, თვით არა სჯერა, რომ სახლში მართლაც ქურდები იყვნენ; მე მკერდზე დაგაკვდები, სიკვდილში უფრო ბედნიერი ვიქნები, ვიდრე სიცოცხლეში ვიყავი.

ქალი არაფერს უპასუხებდა თავის მოთმინებადაკარგულ ქმარს, იგი ჟიულიენს ეკვროდა ვნებიანად.

_ გადაარჩინე სტანისლავის დედა, _ უთხრა ჟიულიენმა ბრძანების კილოთი.

_ მე კაბინეტის ფაჯრიდან გადავხტები და ბაღში დავიმალები, ძაღლებმა მიცნეს. ჩემი ტანისამოსი შეახვიე და ბაღში გადმომიგდე, როგორც კი მოახერხო. კარი კი ჯერ არ გააღო, სჯობს შემოამტვრიონ. არავითარ შემთხვევაში არ გამოტყდე, ამას გიკრძალავ: სჯობია, ეჭვი იქონიონ, ვიდრე საბოლოოდ დარწმუნდნენ.

_ კისერს მოიტეხ გადახტომის დროს! _ ეს იყო ქალის ერთადერთი პასუხი და ერთადერთი შიში. იგი ვაჟს კაბინეტში შეჰყვა, შემდეგ მისი ტანისამოსი დამალა, მობრუნდა და გაცოფებულ ქმარს კარი გაუღო. ბ. დე რენალმა უსიტყვოდ ჯერ ოთახი დაათვალიერა, მერე კაბინეტი და გარეთ გავარდა. ჟიულიენს მისი ტანისანოსი გადაუგდეს, მან იგი ჩაბღუჯა და ქვედა ბაღისკენ გაიქცა მდინარე დუს მიმართულებით.

ყურებთან ტყვიამ გაუზუზუნა, შემდეგ საფანტის ხმა მოესმა.

«ეს ბ. დე რენალის ნასროლს არა ჰგავს, იგი ასე კარგად ვერ უმიზნებს».

ძაღლები გვერდით მისდევდნენ წყნარად, მეორე გასროლაზე ერთმა მათგანმა საზარელი ყმუილი ატეხა, ეტყობოდა, საფანტი ფეხში მოხვდა. ჟიულიენი ტერასის კედელს გადაახტა, ორმოცდაათი ნაბიჯი გაირბინა თავდახრილმა და მიმართულება იცვალა. მას ხმები მოესმა. ნათლად დაინახა თავისი მტერი, მოსამსახურე, რომელიც თოფს უმიზნებდა: ბაღის მეორე მხრიდან შეიარაღებული მოიჯარადრე უვლიდა თავს, მაგრამ ჟიულიენმა უკვე დუს ნაპირს მიაღწია და ტანთ ჩაიცვა.

ერთი საათის შემდეგ იგი უკვე ერთი ლიეთი იყო დაშორებული ვერიერს და ჟენევის გზას ადგა. «თუ ჩემზე აქვთ ეჭვი, პარიზის გზაზე გამომიდგებიან», _ გაიფიქრა მან.